

ღამარა სურგულაძე

სისხლის სამართალი

დანაშაული

(ლექციები)

თბილისი 2005

67.99(2)8

343(075.8)

ს 96

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ქართველი და რუსი მეცნიერ-იურისტთა შრომების მიხედვით შედგენილ კომპილაციურ ნაშრომს.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფ. მ. ლეკვეიშვილი



გამომცემელი: იურიდიული ფირმა

“ბონა კაუზა”

თბილისი, 2005 წ

თავი I
სისხლის სამართლის ცნება, საბანი,
ამოცანები და პრინციპები.
სისხლის სამართლის მეცნიერება

§ 1. სისხლის სამართლის ცნება და საბანი

სისხლის სამართლის ცნებას შეიძლება გააჩნდეს სამი ძირითადი შინაარსობრივი მნიშვნელობა. ჯერ ერთი იგი არის სამართლის ერთ—ერთი ძირითადი დარგი, მეორე — იგი დარგობრივი მეცნიერებაა, მესამე — სასწავლო დისციპლინაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ — სისხლის სამართლის კურსია.

სისხლის სამართლისათვის, როგორც სამართლის დარგისათვის, დამახასიათებელია ყველა ის ნიშნები და ძირითადი პრინციპები, რაც საერთოდ სამართლისათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, სისხლის სამართალს აქვს სპეციფიკური ნიშნები და პრინციპები, რომლებიც გამოხატავენ ამ დარგის თავისებურებას და წარმოადგენენ მისი სამართლის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფის საფუძველს.

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, წარმოადგენს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დადგენილი იურიდიული ნორმების ერთობლიობას, სადაც განსაზღვრულია ქმედების დანაშაულობრიობა და დასჯადობა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები, დადგენილია სასჯელთა სისტემა, სასჯელის დანიშვნის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები.

სისხლის სამართლის, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია.

სისხლის სამართლის ინსტიტუტებისა და დებულებების შინაარსი გახსნილია სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებში. სისხლის სამართლებრივ ნორმათა

ნანილი განსაზღვრავს სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, პრინციპებს და ინსტიტუტებს. ეს ნორმები ქმნიან სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს. ნანილი ნორმებისა კი, — განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ქმედებათა წრესა და ნიშნებს, რომლებიც მიჩნეულნი არიან დანაშაულად და მიუთითებენ მათი ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის სახესა და ზომაზე. ასეთი ნორმები შეადგენენ სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს.

სისხლის სამართლისათვის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები: 1. მისი რეგულირების საგანი მხოლოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობებზე, ხოლო სისხლისამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი — ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა და სახელმწიფო-სამართალდამცავი ორგანოების სახით; 2. საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მეთოდი, რომელიც დამახასიათებელია სისხლის სამართლისათვის მდგომარეობს იმ ქმედებათა სისხლისამართლებრივ აკრძალვაში, რომლებიც მომეტებულად საშიშნი არიან საზოგადოებისა, პიროვნებისა და სახელმწიფოსათვის და რომელთა ჩადენისათვის, როგორც წესი, დადგენილია სისხლისამართლებრივი პასუხისგება და სასჯელი.

სისხლის სამართალი შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან. ზოგად ნაწილში სისხლის სამართლის ძირითად ცნებებთან — დანაშაულთან და სასჯელთან მიმართებაში ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები, დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და მისგან გათავისუფლების საფუძვლები, სისხლის სამართლის დროში და სივრცეში მოქმედების პრინციპები, განსაზღვრულია დანაშაულისა და ბრალის ფორმების ცნებები, მითითებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, ჩამოთვლილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, მოცემულია დანაშაულის სტადიების, თანამონაწილეობის დახასიათება, აღნიშნულია სასჯელის მიზნები, მოცემულია სასჯელთა სისტემა და გახსნილია სასჯელის ყოვე-

ლი სახის შინაარსი, რეგლამენტირებულია სასჯელის დანიშვნის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობები.

სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილები ორგანულად არიან დაკავშირებულნი და წარმოადგენენ ერთიან მთლიანს. მათი ერთიანობა პირობადებულია საერთო ამოცანით — დანაშაულებრივი ხელყოფისაგან პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს და მართლწესრიგის დაცვით; ზოგადი ნაწილის ნორმები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ განსაკუთრებული ნაწილის ნორმების მეშვეობით, ანუ მათთან ერთად. ამავე დროს, ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებული ნაწილის ნორმების პრაქტიკულად გამოყენების საფუძველს, რამდენადაც ეს უკანასკნელი უნდა ეფუძნებოდნენ ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებს და დებულებებს და ზუსტად შეესაბამებოდნენ მათ.

წარმოადგენს რა სამართლის ერთ — ერთ დარგს, სისხლის სამართალი თავისი შინაარსით და ნიშნებით წააგავს ზოგიერთ მის მომიჯნავე დარგს. ყველაზე ახლოს სისხლის სამართალი ემიჯნება სისხლის სამართლის პროცესსა და შრომა-გასწორების სამართალს. ამასთან, აღნიშნული დარგები დამოუკიდებელი არიან. მათ აქვთ საკუთარი საგანი და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მეთოდი, რომელიც დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით წარმოიშობა. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის რეგულირების საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოკვლევის, ძიების, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების საქმიანობა, აგრეთვე დანაშაულთან დაკავშირებით სასჯელის შემფარდებელ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები. ამგვარად, ამ დარგის რეგულირების სფეროში შედის სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის, მისი გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის, სასჯელის დანიშვნის წესისა და პირობების საფუძვლების განსაზღვრა.

შრომა-გასწორების სამართლის რეგულირების საგანია სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი, უპი-

რველეს ყოვლისა, მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და შრომით ზემოქმედებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. რეგულირების მეთოდი გულისხმობს სასჯელის მოხდისა და მისგან გათავისუფლების პირობებს.

სისხლის სამართალი ახლოსაა ადმინისტრაციულ სამართალთან. ორივე დარგისათვის რეგულირების საგანი — სამართალდარღვევაა, ხოლო სამართალდარღვევაზე ზემოქმედების მეთოდი კი — იძულებითი ხასიათისაა. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალი, სამართლის დამოუკიდებელი დარგია, სისხლის სამართლისაგან იგი განსხვავდება როგორც მის წინაშე მდგომი ამოცანებით, ასევე მათი გადანყვეტის ხერხით.

სისხლის სამართალი ახლოა იმ სხვა დარგობრივ მეცნიერებებთან, რომლებიც იკვლევენ დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებს, კერძოდ, კრიმინოლოგიის, სამართლებრივი სტატისტიკის, კრიმინალისტიკის, სასამართლო ფსიქოლოგიის, სასამართლო ფსიქიატრიის და ზოგიერთ სხვა მეცნიერებებთან. სისხლის სამართლის მეცნიერებისაგან განსხვავებით, კრიმინოლოგიას გააჩნია შესწავლის თავისი საგანი, დამნაშავეობა. კრიმინოლოგია შეისწავლის ამ სოციალურ ნეგატიურ მოვლენას და მის ხელშემწყობ პირობებს, ასევე დამნაშავეის პიროვნებას, შეიმუშავებს დანაშაულის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს. ამ პრობლემების კვლევისას კრიმინოლოგია ეყრდნობა სისხლის სამართლის ნორმებს და ახდენს მათ ანალიზს, მაგრამ სხვა რაკურსით.

სამართლებრივი სტატისტიკა და მისი სტრუქტურული ნაწილი — სისხლის სამართლის სტატისტიკა — სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის კრიმინალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის სოციალური განპირობებულობის გამოსაველენად. სისხლის სამართლის სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა, დინამიკა. სტატისტიკის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს სისხლის სამართლის მეცნიერებას დაასაბუთოს წინადადებები სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ.

სისხლის სამართლის მეცნიერებას უშუალო კავშირი აქვს კრიმინალისტიკასთან, რომლის არსი დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების აღმოჩენა, მათი გამოკვლევის სპეციალური მეთოდებისა და ხერხების შესწავლა და აგრეთვე დამნაშავის დადგენაა.

§ 2. სისხლის სამართლის ამოცანები.

სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი წეს-წყობის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, პიროვნების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების ყველა ფორმის დაცვა. ამ ამოცანის განსახორციელებლად სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს თუ, რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა დანაშაული და აწესებს სასჯელს ამ ქმედების ჩადენისათვის.

რუსეთის ფედერაციის 1996 წლის 24 მაისს მიღებულმა ახალმა კოდექსმა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები განსაზღვრა, როგორც ადამიანის და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, გარემოს, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილება (მე-2 მუხლი).

ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა ის თვისობრივი ცვლილებები, რაც განიცადა საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სფერომ, კერძოდ, პირველ ადგილზე წამოსწია სისხლის სამართლებრივი საშუალებებით პიროვნების, მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა, მიუთითა საკუთრების, მისი ფორმებისაგან დამოუკიდებელივ, თანაბარ დაცვაზე, სისხლის სამართლებრივი დაცვის ძირითად ობიექტთა შორის მოიხსენია გარემოს დაცვა, ხაზი გაუსვა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის

ხელის შეწყობასა და კაცობრიობის უსაფრთხოების დაცვის ამოცანას!

საქართველოს მოქმედი კოდექსის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანაა საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესწყობილების, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების, საკუთრების, მოქალაქეთა პიროვნების, მისი უფლებებისა და თავისუფლებების და მართლწესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან (პირველი მუხლი).

სისხლის სამართლის ამოცანები უშუალოდაა დაკავშირებული დამნაშავეობის დონესთან.

სხვადასხვა მიზეზების გამო დამნაშავეობა ფართოდ გავრცელდა მხედველობაშია მისაღები სამეურნეო კავშირების განწყვეტა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი პროცესი, წარმოების დონის დაქვეითება, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია საზოგადოების უმრავლესობისათვის ცხოვრების დონის ერთბაშად და უწყვეტი დაცემა და ა.შ. აღნიშნულის შესაბამისად დამნაშავეობას გააჩნია რაოდენობრივი ზრდისა და თვისობრივი ცვალებადობის მყარი ტენდენცია, ფართოდ გავრცელდა ორგანიზებული დანაშაული, გაიზარდა მძიმე დანაშაულთა ხვედრითი წონა, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, ქონების გატაცების რიცხვი.

სისხლის სამართლის როლის გადაჭარბებული შეფასება დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხში არ იქნებოდა სწორი. დამნაშავეობის მნიშვნელოვნად შემცირების ძირითად საშუალებას ზოგადსახელმწიფოებრივი ფართო მასშტაბური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებების გატარება წარმოადგენს, მათ შორის პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ რეფორმას, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტზე მომუშაოებისას ასევე გაითვალისწინა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების აღდგომის მიზნადარქობები და ამის შესაბამისად ჩამოაყალიბა კოდექსის სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანები.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის მთავარი ფუნქცია—დაცვითია. ამასთან ერთად, სისხლის სამართალს გააჩნია სხვა ამოცანებიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი და სპეციალური ფუნქცია. პირველი გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით აკრძალვების დადგენაში, რომელიც ზემოქმედებს მერყევ ელემენტებზე, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის აუცილებლობაში, რაც ხორციელდება ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების გზით. დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური ფუნქცია ხორციელდება სასჯელის ან სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიების მათ მიმართ გამოყენებით, რომელთაც სისხლისსამართლის აკრძალვა დაარღვევს.

სისხლის სამართალს გააჩნია აღმზრდელობითი ფუნქციაც. სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მისი პრაქტიკული გამოყენება მოქალაქეებში ზრდის კანონისადმი პატივისცემას, პიროვნების, მისი კანონიერი უფლებების, ინტერესების და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე დანაშაულის ჩამდენთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდუვალობის მრწამსს.

დაბოლოს, სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელია წამახალისებელი ფუნქციაც, ანუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში მოქალაქეთა აქტივობის სტიმულირების ფუნქცია. სისხლის სამართლის კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც მონოდებულნი არიან დაიცვან დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოებრივი, სხვა პირთა თუ საკუთარი ინტერესები (მაგალითად, ნორმები აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დამნაშავეის დაკავების შესახებ), ასევე, ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმის გათავისუფლებას, ვინც ნებაყოფლობით განაცხადებს ქრთამის მიცემის შესახებ (საქართველოს სსკ—ის 190—ე მუხლის მე—3 ნაწილი), ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას ან ფეთქებად ნივთიერებებს (საქა-

რთველოს სსკ-ის 238-ე მუხლის შენიშვნა), ან ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელიც უკანონოდ იყო შექმნილი ან შენახული (საქართველოს სსკ-ის 252-ე მუხლის შენიშვნა).

სისხლის სამართალი წარმოადგენს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების საშუალებას. სისხლის სამართლის პოლიტიკა მიჩნეულია სოციალური პოლიტიკის ნაწილად. იგი წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული იდეების ერთობლიობას დამნაშავეობასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებების, საშუალებებისა და გზების შესახებ. მისი ძირითადი დანიშნულებაა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრა. სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოსავალი დებულებაა — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდუვალობა. დამნაშავეობასთან ბრძოლისას სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფუძნება კანონიერების განუხრელი, სრული, მკაცრი საყოველთაო და უგამონაკლისო დაცვის პრინციპს.

თანამედროვე ეტაპზე სისხლის სამართლის პოლიტიკა ორი ძირითადი ტენდენციით ხასიათდება. პირველი გამოიხატება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან თანმიმდევრულ ბრძოლაში და სისხლის სამართლის მკაცრი ღონისძიებების გამოყენებაში მის მიმართ, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ან არაერთგზის დაარღვია სისხლისსამართლებრივი აკრძალვა, განსაკუთრებით კი, — რეციდივისტებისა და პროფესიონალი დამნაშავეების, ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების, მაფიოზური სტრუქტურების ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების, ასევე რეკეტიორების, ნარკობიზნესის წარმომადგენლების და ა.შ. მიმართ. სისხლის სამართლის პოლიტიკის მეორე ტენდენცია გამოიხატება პასუხისმგებლობის სფეროს შეზღუდვაში იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. მათდამი, რომელთაც პირველად ჩაიდინეს არც თუ მძიმე დანაშაული სისხლის სამართლის ისეთი სასჯელის შეფარდებაში, რაც საზოგადოებისაგან იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული, პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადების ფართოდ გამოყენებაში, ასევე

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადმინისტრაციული, აღმზრდელი და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით შეცვლაში.

სისხლის სამართლის პოლიტიკა რეალიზდება სამართალშემფარდებელი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესუალური და შრომა-აღმზრდელი კანონმდებლობის მეშვეობით.

§ 3. სისხლის სამართლის პრინციპები

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში სისხლის სამართლის პრინციპებზე არაფერია ნათქვამი. რუსეთის ფედერაციის ახალ 1996 წლის სისხლის კოდექსში ჩანერილია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ეფუძნება კანონიერების, მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის, პასუხისმგებლობის აუცილებლობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის, სამართლიანობის, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპებს (მუხ. 2).

სისხლის სამართლის თეორიაში, იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის საფუძვლებში და მის ნიადაგზე მიღებულ მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის პრინციპები, გამოთქმული იყო სხვადასხვა შეხედულება პრინციპების დაყოფის, მათი სახელწოდებისა და რაოდენობის შესახებ. ზოგიერი ავტორი პრინციპებს ყოფდა ზოგადსამართლებრივ და დარგობრივ ან სპეციალურ პრინციპებად, სხვები — ზოგადსამართლებრივ, დარგთაშორის და დარგობრივ პრინციპებად.

პრინციპების დაყოფა ზოგადსამართლებრივ, დარგობრივ და მითუმეტეს დარგთაშორის პრინციპებად, სამართლის დარგის თვით პრინციპის ცნებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა.

ზოგადი სამართლებრივი პრინციპები მართლაც არსებობენ, მაგრამ ისინი თავისებურად აისახებიან სამართლის ცალკეულ დარგში და იძენენ ამ დარგის შესატყვის შინაარსს. პრაქტიკულ-

ად ყოველი დარგობრივი პრინციპი შეესატყვისება ამა თუ იმ ზოგადსამართლებრივ პრინციპს.

სისხლის სამართლის პრინციპი — ესაა ფუძემდებლური იდეა, ასახული სისხლის სამართლის ნორმაში, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს ამ ნორმის ან ცალკეული ინსტიტუტის შინაარსს.

კანონიერების პრინციპი ნიშნავს, რომ ბრძოლა დამნაშავეობასთან სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით უნდა წარმოებდეს კანონთან მკაცრ და სრულ შესაბამისობაში. არაეინ არ შეიძლება ცნობილი იქნას დამნაშავედ და შეეფარდოს სასჯელი კანონისა და სასამართლო განაჩენის გარეშე.

კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით მისი წარმომავლობის, სოციალური, თანამდებობრივი თუ ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი ან ეროვნული კუთვნილების, პოლიტიკური მრწამსის, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახის და ხასიათისაგან დამოუკიდებლად.

ამ პრინციპის არსი ისაა, რომ სისხლის სამართლის კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპის არსი ის არის, რომ დანაშაულის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს ამ დანაშაულისთვის. დანაშაული განუყოფელია პასუხისმგებლობისაგან. პასუხისმგებლობის აუცდენლობა ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის ყოველი შემთხვევა იწვევს სახელმწიფო რეაგირებას სამართალშემფარდებელი ორგანოების სახით. ყველამ, ვინც კი დანაშაულს ჩაიდენს, უნდა იცოდეს, რომ აგებს პასუხს ამ დანაშაულისათვის, ხოლო სახელმწიფო კი თავისი ორგანოების მეშვეობით ვალდებულია განახორციელოს ეს პრინციპი. განხორციელების ფორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს, დანაშაული სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან დამნაშავეის მსჯავრდებამდე, მისთვის სასჯელის შეფარდებისა და აღსრულებამდე. ამასთან, ერთმანეთში არ უნდა ავეუროთ პასუხისმგებლობის აუცდენლობა სასჯელის მოხდის აუცილებლობასთან. აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეიძლება

სხვადასხვა კანონიერი საფუძვლით შეწყდეს (მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო), სასჯელი ხშირად იცვლება სხვა ღონისძიებებით (ადმინისტრაციული, არასრულწლოვანთათვის — აღმზრდელობითი), სასჯელი შეიძლება დაინიშნოს პირობითად, მისი აღსრულება შეიძლება გადაიდოს.

პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი გამოიხატება იმით, რომ დანაშაულისათვის შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმან, ვინც დანაშაული ჩაიდინა. მისი პირადი პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ფიზიკური პირი. იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია. პირადი პასუხისმგებლობა, ამავე დროს, უნდა იყოს ბრალეულიც. ეს დებულება ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე—3 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული. სისხლის სამართალში ფუძემდებლური სუბიექტური, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი, სუბიექტური შერაცხვა, მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობა — სისხლის სამართლის ქვაკუთხედი. ობიექტური შერაცხვა, ე.ი. პასუხისმგებლობა თუნდაც მიყენებული ვნებისათვის, მაგრამ ბრალის გარეშე დაუშვებელია (შემთხვევა, დაზარალებულის ბრალის გამო და ა.შ.)

სამართლიანობის პრინციპის მნიშვნელობა ისაა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ობიექტურ, დაშაჯერებელ და კანონისადმი ზუსტად შესატყვის მონაცემებს. განასაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს პრინციპი სასჯელის შეფარდების დროს.

სისხლის სამართლის პრინციპებს მიაკუთვნებენ აგრეთვე დემოკრატიზმის პრინციპს, რომლის ნიშნები მნიშვნელოვნად ემთხვევა კანონის წინაშე ყველას თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ეს პრინციპი გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის ყველას თანაბარ პასუხისმგებლობას,

სისხლის სამართლის აკრძალვების ყველასათვის თანაბრად დაწესებას. ეს პრინციპი გულისხმობს აგრეთვე ყველა დამნაშავეის მიმართ სისხლის სამართლის კანონის ობიექტურ გამოყენებას, ჩადენილი დანაშაულის ზუსტ კვალიფიკაციას. დემოკრატიზმის პრინციპი მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრიობის მონაწილეობას დანაშაულთან ბრძოლაში და დანაშაულის ჩამდენთა გამოსწორებაში.

ჰუმანიზმი, როგორც სისხლის სამართლის პრინციპი არ შეიძლება ერთმნიშვნელად იქნეს გაგებული. ერთის მხრივ, მისი არსი მდგომარეობს მათ მიმართ, რომელთაც პირველად ჩაიდინეს არც თუ გაზრდილი საშიშროების დანაშაული რბილი, ჰუმანური ღონისძიებების გამოყენებაში, დაწყებული პირობითი მსჯავრიდან და განაჩენის გადაღებიდან (მუხ. 46—ე, მუხ. 47—ე), გათავებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სრულ გათავისუფლებამდე და მისი ადმინისტრაციული ზემოქმედების (მუხ. 51—ე) ანდა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებით შეცვლამდე (მუხ. 12—ე, 52—ე, 53—ე).

ჰუმანიზმის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს—საზოგადოებისა და მისი წევრების დაცვა დანაშაულისაგან. ამ თვალსაზრისით ჰუმანიზმი გამოიხატება მკაცრ და დაუნდობელ ბრძოლაში მათ მიმართ, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა—ანდა არაერთგზის დაარღვია სისხლის სამართლებრივი აკრძალვა, პირველ რიგში კი, — რეციდივისტების, დანაშაულის ორგანიზატორების, პროფესიული დამნაშავეების, მაფიოზების მიმართ და მათ მიმართ, ვისაც არ სურს გამოსწორების გზას დაადგეს, პატიოსნად იცხოვროს და იშრომოს.

§ 4. სისხლის სამართლის მეცნიერება

სისხლის სამართლის მეცნიერება წარმოადგენს მოცემულ ეტაპზე გაბატონებული სისხლისსამართლებრივი იდეებისა და წარმოდგენების ერთობლიობას სისხლის სამართლის შესახებ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი უპირველესად არის სისხლის სამართლის კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა. სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის დანაშაულს და სასჯელს, როგორც სისხლის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტები მეცნიერების მიერ შეისწავლება მათს განვითარებაში კონკრეტულ—ისტორიული პირობებისა და პერსპექტივის გათვალისწინებით. სისხლის სამართლის მეცნიერება ვერ შემოიფარგლება სისხლის სამართლის ინსტიტუტების, კატეგორიებისა და ცნებების ფორმალურ—დოგმატური, ლოგიკური კვლევით და სისხლის სამართლის კანონის შეფარდებისათვის რეკომენდაციების შემუშავებით. იგი შეისწავლის ამ მოვლენებს სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. შედარებითი ანალიზის მეშვეობით ავლენს სისხლისსამართლებრივი ნორმების ეფექტურობას, განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების გზებსა და მეთოდებს დამანაშავეობასთან ბრძოლაში მისი როლის ამაღლებისა და დანაშაულის აცილების მიზნით.

სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად ითვლება სისხლის სამართლის სოციოლოგია, რომელიც არის მეცნიერული შეხედულებების, წარმოდგენების ერთობლიობა სისხლის სამართლის ინსტიტუტებისა და ცნებების შინაარსის სოციოლოგიურ—კონკრეტული კვლევის, მათი სოციალური განპირობებულობის, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების რეზულტატების ურთიერთკავშირის შესახებ. ამრიგად, სისხლის სამართლის სოციოლოგია ასრულებს სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ინსტიტუტების შემეცნებისა და ანალიზის მეთოდის ფუნქციას.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია არა მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მისი გამოყენების

პრაქტიკის კვლევა, არამედ ასევე სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების სტორიის კვლევაც. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის შესწავლა, მათი დადებითი გამოცდილების გამოყენება როგორც კანონმდებლობის, ისე მეცნიერული კვლევის სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი გაცილებით ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის საგანი. სისხლის სამართალს შეიძლება ეწოდოთ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულიატორი და მათი დაცვის საშუალება სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი მეთოდით. სისხლის სამართლის მეცნიერება არ არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და არ იცავს მათ, არამედ იკვლევს ამ ურთიერთობებს და მათი მარეგულირებელი სისხლის სამართლის ნორმების შინაარსს.

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი უწყვეტი კავშირი პრაქტიკასთან. ეს კავშირი სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, როგორცაა სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, ასევე მეცნიერთა მონაწილეობა იმ განზოგადებებში, რომელსაც ადგენენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოები; კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, სისხლის სამართლის კანონების პროექტების და წინადადებების შემუშავება, მეცნიერთა მონაწილეობა პარლამენტთან არსებულ საკონსულტაციო კომისიებში და ა.შ.

სისხლის სამართლის მეცნიერება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესწავლისას ეყრდნობა შემეცნების მატერიალისტურ მეთოდს. სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გამოკვლეული ინსტიტუტები და ცნებები იურიდიულ — აბსტრაქტული კატეგორიები როდია. ისინი პრობადებულნი არიან ეკონომიკური, სოციალური მიზეზებით, განსაზღვრულ პერიოდში საზოგადოების ცხოვრების რეალური პირობებით.

შემეცნების მატერიალისტური მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუტები — დანაშაული სასჯელი, ისევე როგორც ყველა სხვა ცნება და დანაშაულის

კონკრეტული შემადგენლობა, შეისწავლება მათს განვითარებაში როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორიები. ეს იძლევა სისხლის სამართლის ინსტიტუტების და ცნებების არა მხოლოდ გარეგანი სამართლებრივი „გარსის“, არამედ მათი სოციალური არსის გამოვლენის, სისხლის სამართლის ამა თუ იმ ნორმის მიღების ან გაუქმების სოციალური განპირობებულობის, ამ ნორმათა ძირითადი დანიშნულების დადგენის შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, სისხლის სამართლის მეცნიერება მოვლენათა შესწავლის დროს სარგებლობს სხვა მეთოდებითაც, როგორცაა შედარებით—სამართლებრივი, სისტემურ—სტრუქტურული და სტრუქტურულ—ლოგიკური ანალიზი.

სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი ამოცანაა: 1. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემატიური ანალიზი, რათა განისაზღვროს ამ კანონმდებლობის შემადგენელი სისხლის სამართლებრივი ნორმების სოციალური განპირობებულობა და ეფექტურობა; 2. ამა თუ იმ სოციალური მოვლენის კრიმინალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის შესახებ წინადადებების შემუშავება; 3. სისხლის სამართლის კანონების, მათი გამოყენების რეკომენდაციებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემების შემუშავება; 4. მსოფლიოს მონინავე ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიის, კანონმდებლობისა და ამ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა; 5. სისხლის სამართლის განვითარების გზების მეცნიერული პროგნოზირება და დასაბუთებულობა; 6. სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ კონცეფციის გამომუშავება, რომელიც შეესატყვისება სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნებს.

სისხლის სამართალი ასევე არის სპეციალური იურიდიული დისციპლინა—სისხლის სამართლის კურსი. კურსის ძირითად შინაარსს შეადგენს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის, სისხლის სამართლის თეორიის ძირითადი დებულებების შესწავლა. სისხლის სამართლის კურსი ეფუძნება სისხლის სამართლის მეცნიერებას.---

თავი II სისხლის სამართლის კანონი

§1 სისხლის სამართლის კანონის ცნება

სისხლის სამართლის კანონი — ესაა ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმი) მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული ნორმებისაგან. ამ ნორმათაგან ზოგი განსაზღვრავს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პრინციპებს და შეიცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად დებულებებს, სხვები კი, განსაზღვრავენ თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და ადგენენ სასჯელს, რომელიც შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენს, ან განსაზღვრულ შემთხვევაში მრუთითებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებზე.

სისხლის სამართლის კანონი სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა. მხოლოდ სისხლის სამართლის კანონი შეიცავს სისხლის სამართლის ნორმებს, მხოლოდ სისხლის სამართლის კანონი ადგენს საზოგადოებრივად საშიში ქმედების დანაშაულებრიობას და დასჯადობას. სახელმწიფოს არცერთი სხვა ნორმატიული აქტი არ შეიცავს სისხლისსამართლებრივ ნორმას. აქედან, სისხლის სამართლის წყაროდ ვერ იქნება ცნობილი ვერც ადამი და ვერც სასამართლო პრეცედენტი, ისევე როგორც საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება. ეს უკანას-კნელი მხოლოდ განმარტავს სისხლისსამართლებრივი ნორმის არსსა და აზრს, რომელიც გადმოცემულია სისხლის სამართლის კანონში, მაგრამ არ ქმნის ახალ ნორმას.¹

¹ ამ საკითხის თაობაზე განსხვავებული შეხედულება არსებობს კერძოდ, მკ-20 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა კარლ ბინდინგმა შექმნა თეორია, რომელიც ნორმათა თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ თეორიის თანახმად, ქმედების ნორმის საინინალმდეგო ხასიათი სისხლის სამართლის კანონში არ აისახება და ამდენად დამნაშავე არა თუ არღვევს

სისხლის სამართლის კანონი სისტემატიზირებულია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ორი ნაწილისაგან — ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან შედგება.

სისხლის სამართლის ის კანონი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ასახული სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე მიეკუთვნება სისხლის სამართლის ან ზოგად ან განსაკუთრებულ ნაწილს.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პრინციპებსა და ზოგადი ხასიათის დებულებებს. ზოგადი ნაწილი იყოფა შემდეგ თავებად: ზოგადი დებულებები,

კანონს, არაქედ, პირიქით, ასრულებს დისპოზიციური აღწერილ ქმედებას, დამნაშავე მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის სანინააღმდეგოდ, არაქედ მის შესაბამისად, ვინაიდან მისი მოქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილ ქმედებას სისხლის სამართლის კანონი არაფერს არ უჭრდალავს და არც არაფერს ავადებს მოქალაქეს. იგი მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს ავადებს მიუსაჯონ დამნაშავეს, რომელმაც ნორმა დაარღვია, სისხლის სამართლის კანონში აღწერილი სასჯელს ამიტომ სისხლის სამართლის კანონი ირღვევა მაშინ, როდესაც სახელმწიფო ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას. სისხლის სამართლის ნორმა, სისხლის სამართლის კანონის გარეშე არსებობს და ნინ უსწრებს ამ კანონს. ეს ნორმა შეიძლება იყოს წერილობითი ან დაუნერგელი, სამართლის სხვა დარგით გათვალისწინებული და ა. შ. ამრიგად, ბინდინგის მიხედვით ნორმა არსებობს კანონისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე ამ შეჩედვლებას საბჭოური პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაშიც გამოუჩნდნენ მომხრეები, მაგრამ იგი გაკრიტიკებული იქნა მიუთითებენ, რომ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ისეთ ნორმას, რომელიც სამართლის არცერთი სხვა დარგით არ არის რეგლამენტირებული. მაგრამ ისეთი ქმედებებიც კი, რომლებიც სისხლის სამართლის გარეშე მართლსაწინააღმდეგონნი არიან არ შეიძლება გაიგივებულნი იქნენ სისხლის სამართლის უმართლობასთან. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის სფეროში იქმნება განსხვავებული, ე.ი. ახალი ტიპის უმართლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში დანაშაულის შეზღვევლობის სახით. სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შეზღვევლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით ქმნის ახალ ნორმას. სისხლის სამართლის კანონის მნიშვნელობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ იგი უკრძალავს მოქალაქეებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს იგი მართლსაჯულების ორგანოებს, როდესაც პირი არღვევს ნორმას (თ. წერეთელი გ. ტყეშელაძე მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 49-50. Курс советского уголовного права. т. I. М. 1970. стр. 189).

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები, დანაშაული, სასჯელი, სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, აღმზრდელობითი და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები. ზოგადი ნაწილი შეიცავს 64 მუხლს.

განსაკუთრებულ ნაწილში 'მითითებულია საზოგადოებრივად საშიში და სისხლის სამართლის კანონით დასჯადი კონკრეტული ქმედებები და განსაზღვრულია სასჯელის კონკრეტული ღონისძიება ყოველი მათგანისათვის.

განსაკუთრებული ნაწილი შედგება თერთმეტი თავისაგან: დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, სამეურნეო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული, დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ; სამხედრო დანაშაული.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი შეიცავს 283 მუხლს.

ზოგადი ნაწილის მუხლები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი განსაკუთრებული ნაწილის მუხლებთან და ერთიან მთლიანს წარმოადგენენ, მაგრამ ეს ერთიანობა არ გულისხმობს მათ იგივეობას და მათ შორის განსხვავების არარსებობას.

სისხლის სამართლის კანონის მრავალი მუხლი იყოფა ნაწილებად. მუხლის ეს ნაწილები, როგორც წესი, არ გამოიყოფა ერთმანეთისაგან ციფრებით ან ასოებით.

მუხლის ნაწილები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც დისპოზიციით ისე სანქციით. ამიტომაც აუცილებელია იურიდიულ დოკუმენტში ზუსტად მიეთითოს არა მხოლოდ მუხლზე, არამედ მის ნაწილზეც.

სისხლის სამართლის კანონის მუხლები მათში ასახული ნორმების შინაარსის მიხედვით განლაგებულნი არიან მკაცრი

თანმიმდევრობით. სისხლის სამართლის კოდექსის ან სხვა სისხლის სამართლის კანონის ახალი მუხლის დამატებისას, ეს უკანასკნელი მოთავსებული უნდა იქნეს შესაბამისი თავის იმ მუხლების შემდეგ, რომლებიც შინაარსობრივად ყველაზე ახლოს არიან მასთან, რათა არ დაირღვეს შინაგანი კავშირი მომიჯნავე მუხლებს შორის. ახალი მუხლები აღინიშნება ციფრებით ან ასოებით.

მუხლს შეიძლება ჰქონდეს შენიშვნა, რომელიც არა მხოლოდ განმარტავს მუხლში ხმარებულ ცნებებს და ტერმინებს, არამედ ზღუდავს მუხლის მოქმედების ფარგლებს, ან პირიქით, აფართოებს მას. ადრე მოქმედი კოდექსები ფართოდ იყენებდნენ შენიშვნას. დღეს მოქმედი კოდექსი შედარებით იშვითად მიმართვს მას. განსაკუთრებით მიზანშეწონილია შენიშვნის გამოყენება, როდესაც მასში ასახული ნორმა ეხება არა ერთს, არამედ რამდენიმე მუხლს. (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91—ე მუხლის შენიშვნა განმეორებითობის ცნების განმარტების შესახებ წვესება არა მარტო 91—ე მუხლს, არამედ 92—ე, 93 და 94—ე მუხლებსაც).

§ 2. სისხლის სამართლის კანონის შინაგანი დანსი და მისი მოქმედება ფორმად.

მხოლოდ საქართველოს უმაღლეს ნარმომადგენლობით ორგანოს—საქართველოს პარლამენტის გამგებლობას მიეკუთვნება სისხლის სამართლის კანონის მიღება (საქართველოს კონსტიტუციის მე—3 მუხლის „შ“ პუნქტი). საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი ნარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 48—ე მუხლი).

სისხლის სამართლის კანონი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (საქართველოს კონსტიტუცია,

მუხლი 6, §1,2).

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის განმავლობაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნით უბრუნებს პარლამენტს. პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს, ან მიიღებს ან არ მიიღებს ამ შენიშვნებს. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ თვით კანონში სხვა ვადა არ არის მითითებული. ოფიციალურ ორგანოდ ითვლება „საქართველოს პარლამენტის უწყებები“, გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „სვობოდნაია გრუზია“.

ძალაში შესული კანონი მოქმედებს განსაზღვრული დროის განმავლობაში. კანონმა შეიძლება ძალა დაკარგოს თუ: 1. გამოვიდა ახალი კანონი, რომელიც აუქმებს მას; 2. ახალი კანონი ცვლის მას; 3. გავიდა ვადა, რომელიც განსაზღვრავს მისი მოქმედების დროს; 4. აღარ არის ის პირობები და ვითარება, რამაც გამოიწვია კანონის მიღება.

კანონის დროში მოქმედების პრინციპში გადმოცემულია სსაქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედების ჩადენის დროს.

კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცლდება იმ ქმედებაზეც, რომელიც მის გამოცემამდეა ჩადენილი.

სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნამოიჭრება საკითხი მოქმედებდა თუ არა მოცემული სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის ჩადენის დროს. მოქმედად ითვლება კანონი, რომელიც ძალაშია შესული სათანადო წესით და ჯერ არ დაუკარგავს ძალა. ამრიგად, სისხლის სამართლის კანონის სწორი შეფარდებისათვის ხშირად

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის იყო ჩადენილი თვით დანაშაული. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და თავისებურებაზე. ზოგადად კი შეძლება ითქვას, რომ დანაშაული ჩადენილად ითვლება მაშინ, როდესაც შესრულებულია დანაშაულებრივი ქმედების უკანასკნელი აქტი. უმოქმედობის დროს დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო. შედეგიანი დანაშაულისათვის, დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება არა შედეგის განხორციელების მომენტი, არამედ ქმედების ჩადენის დრო (მაგალითად, მკვლელობა).

დანაშაულის დროში გაჭიმულობის თვალსაზრისით განარჩევენ განგრძობად და დენად (მყოვარ) დანაშაულს.

პასუხისმგებლობა განგძობადი დანაშაულისათვის დგება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტის დროს, ხოლო დენადისათვის — იმ კანონით, რომელიც მოქმედებს დანაშაულებრივი აქტის აღკვეთის ან თვით დამნაშავის მიერ მისი დამთავრების მომენტში.

თანამონანილეობით ჩადენილი დანაშაული ამსრულებლისათვის დამთავრებულად ითვლება მის მიერ სააღსრულებო მოქმედების ჩადენის მომენტში, ხოლო დანარჩენ თანამონანილეობისათვის მათ მიერ ჩადენილი მოქმედების მომენტში. ამიტომ ვერ გავიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომლის თანახმად, თანამონანილეობით დანაშაულის ჩადენისას, დანაშაულის დამთავრების მომენტი ყველა თანამონანილისათვის განისაზღვრება ამსრულებლის მიერ დანაშაულის ობიექტური მხარის განხორციელების მომენტით.¹

როგორც აღინიშნა სსკ—ის მე—7 მუხლის თანახმად, კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა, ე.ი. გავრცელდება იმ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია ამ კანონის ძალაში შესვლამდე ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანონი აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას ან სხვაგვარად მსუბუქდება

¹ Уголовное право. Общая часть. Учебник. М, 1994. стр. 45.

მსჯავრდებლის მდგომარეობა. ეს საკვებით სწორი და ლოგიკური დებულებაა. თუკი სახელმწიფო ამა თუ იმ მიზეზით აღარ ცნობს ქმედებას დანაშაულად, ან ცნობს ასეთად, მაგრამ უფრო მსუბუქ სასჯელს აწესებს მისთვის, არააპუმანური, უსამართლო და მიზანშეუნონელი იქნებოდა დაგვესაჯა პირი საერთოდ, ან დაგვესაჯა უფრო მკაცრად, ვიდრე ამას ითვალისწინებს ახალი კანონი, მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი, დრომოჭმული კანონი აღიარებდა ქმედებას დანაშაულად, ან უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა მისთვის.¹

ახალი სისხლის სამართლის კანონი ითვლება უფრო მსუბუქად თუ იგი, ამცირებს სასჯელის მაქსიმუმს ან მინიმუმს, აუქმებს ალტერნატიული სანქციით გათვალისწინებულ უფრო მკაცრ სასჯელს, ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს ან საზოგადოებრივი ღონისძიებების გამოყენებას, აუქმებს დამატებით სასჯელს ან ითვალისწინებს უფრო მსუბუქ დამატებით სასჯელს.

ახალმა კანონმა შეიძლება ერთდროულად კიდევ გაამკაცროს და კიდევ შეამსუბუქოს სასჯელი (მაგალითად, გაითვალისწინოს უფრო დაბალი მაქსიმუმი, მაგრამ მაღლა ასწიოს მინიმუმი და პირიქით, ასეთ დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც საქმის ყველა გარემოებების მიხედვით უფრო მეტად ამსუბუქებს დამნაშავის მდგომარეობას.

დანაშაულის ჩადენიდან საქმის სასამართლოში განხილვამდე და განაჩენის გამოტანამდე კანონი, რომელიც ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს, (ეგრეთ წოდებული „შუალედური კანონი“). ამ შემთხვევაში გამოიყენება ის კანონი, რომელიც ყველაზე მეტად ამსუბუქებს დამნაშავის მდგომარეობას.

უკუძალა მიეცემათ აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ ნორმებს, რომლებიც სასჯელის დანიშვნისა და მოხდის უფრო მსუბუქ წესებს ითვალისწინებენ (მაგალითად, ნორმები შემამსუბუქებელი გარემოებების, ხანდაზმულობის,

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბილისი, 1976, გვ. 32-33.

ნასაპართლობის მოხსნისა თუ გაქარწყლების ვადების შესახებ). ხოლო ნორმებს, რომლებიც სასჯელისაგან ვადამდე ან პირობით ვადამდე გათავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლას შეეხებიან, ყველა შემთხვევაში გააჩნია უკუძალა, მიუსედავად იმისა აფართოებენ თუ ზღუდავენ ვადამდე გათავისუფლებას!

არ შეიძლება უკუძალა მიეცეს კანონს ე.ი. გავრცელდეს იმ დანაშაულზე, რომელიც მის ძალაში შესვლამდე იქნა ჩადენილი. რომელიც აწესებს ქმედების დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს. ასეთი კანონის უკუმიუქცევლობა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება დასაჯოს მოქალაქე იმ მოქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში არ მიაჩნდა დანაშაულად, ან დასაჯოს იმაზე მკაცრი სასჯელით, ვიდრე მას დანაშაულის ჩადენის მომენტში ემუქრებოდა.

§ 3. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში.

კანონის მოქმედება განისაზღვრება არა მხოლოდ გარკვეული დროით, არამედ გარკვეული სივრცითაც.

სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედება, ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად, განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლში. ამ პრინციპის თანახმად ყველა, ვინც დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენს, პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონით.

აღნიშნულ მუხლში გადმოცემული კანონის მოქმედების ტერიტორიული პრინციპი სახელმწიფოს სუვერენიტეტის იდეიდან გამომდინარეობს. ამ პრინციპის შინაარსის დასაადგენად აუცილებელია გარკვეული იქნეს თუ რა იგულისხმება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაში, ის ობიექტი და ზონა, რაზედაც

1 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბილისი, გვ. 34-35.

ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია, დანაშაულის ჩადენის ადგილი, იმ უცხოელთა, კერძოდ, დიპლომატიური წარმომადგენლებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც, დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდენენ.

სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება: 1. სახმელეთო სივრცე სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში; 2. შიდა წყლები, ე.ი. სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ზღვები, ტბები, მდინარეები, არხები; 3. სანაპირო (ტერიტორიული) წყლები, ზღვის უმეტესი მიქცევის ზოლიდან 12 საზღვაო მილის სიფართის ფარგლებში; 4. სასაზღვრო გემთსავალი მდინარეები, ტბები მთავარი ფარვატერის შუა ზოლამდე. 5. საჰაერო სივრცე სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიისა და წყლების ზევით; 6. ნიალისეული, სახმელეთო ტერიტორიისა და წყლის ქვეშ. ნიალისეულის სიღრმის განსაზღვრის რაიმე შეზღუდვა არ არსებობს; 7. კონტინენტური შელფი, რომელშიც იგულისხმება ტერიტორიული წყლების იქეთ ზღვის ზედაპირი და ზღვის ფსკერის ნიალისეული 200 მეტრის სიღრმეზე და უფრო ღრმად—სანამ ზღვის ფსკერის დამფარავი წყლების სიღრმე ამ რაიონების ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავების შესაძლებლობას იძლევა; 8. საქართველოს აღმით მცურავი სამხედრო გემი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი ღია ზღვაში თუ უცხოეთის ტერიტორიულ წყლებში; 9. საქართველოს აღმით მცურავი არასამხედრო გემი—ღია ზღვაში; 10. საქართველოს სამხედრო—საჰაერო ხომალდი (თვითმფრინავი), სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი; 11. საქართველოს სამოქალაქო—საჰაერო ხომალდი. რომელიც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ იმყოფება.

დანაშაული ჩადენილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე როდესაც: ა) თვით დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მისი შედეგი განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო საზღვარგარეთ; როდესაც დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია საზღვარგარეთ, მაგრამ მისი შედეგი განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე როდესაც მომზადება და მცდელობა

ჩადენილია საზღვარგარეთ, ხოლო დამთავრდა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე და პირიქით, მომზადება და მცდელობა ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დანაშაული დამთავრდა საზღვარგარეთ.

წმინდა უმოქმედობის დროს დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ ტერიტორიაზე, სადაც პირს უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა;

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისი ჩადენის ადგილად ითვლება: ამსრულებლისათვის ის ადგილი, სადაც მან სააღმსრულებლო მოქმედება ჩაიდინა, ხოლო თანამონაწილეებმა თუ იცოდნენ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილი — დანაშაულის სააღმსრულებლო მოქმედების ადგილი, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, მათი მოქმედების ადგილი.¹

ასევე გადანყდება საკითხი თანაამსრულებლობის დროსაც — კერძოდ, თუ თანაამსრულებელმა იცის, რომ მეორე ამსრულებელი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახორციელებს დანაშაულს, მისი მოქმედება ჩადენილი, თუნდაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკვალიფიცირდება იმ სახელმწიფოს კანონითაც, სადაც მეორე თანაამსრულებელმა ჩაიდინა დანაშაული. ასეთი ცოდნის არ არსებობისას, მხოლოდ იმ სახელმწიფოს კანონით, სადაც მან საკუთარი მოქმედება განახორციელა.²

საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებენ არ მარტო საქართველოს მოქალაქენი, არამედ უცხოელები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და

1 ამ საკითხზე ლიტერატურაში განსხვავებული აზრია გამოთქმული კერძოდ, მიუთითებენ, რომ თუ ორგანიზაციული საქმიანობა, ნაქეზება და დახმარება განხორციელდა საზღვარგარეთ, ხოლო ამსრულებელი მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებდა, ყველა თანამონაწილე პასუხს ამ სახელმწიფოს კანონით აგებს და, პირიქით (იხ. Уголовное право. Общая часть. Учебник. М. 1994. (стр. 38.)

2 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, იბილისი, 1975, გვ. 21-22

მოქალაქეობის არმქონე პირები.¹

ტერიტორიული პრინციპის ზოგადი წესიდან სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამოწვევის, სახელდობრ, უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა და იმ სხვა მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც მოქმედი კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად არ ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების განსჯადობას სისხლის სამართლის საქმეებზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდენენ, უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით.

საკითხი იმის თაობაზე, თუ ვინ სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით ანუ ექსტერიტორიულობის, პირადი ხელშეუხებლობის უფლებით საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან ჯერ კიდევ ვენის 1961 წლის სექტემბრის საერთაშორისო კონვენციით — დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ — იქნა მიწვეული. კონვენციას ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმაც.

ამ დებულების თანახმად, დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, უპირველეს ყოვლისა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, პარლამენტისა და მთავრობის დელეგაციათა წევრები, აგრეთვე, ნაცვალგების საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები, უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების თანამშრომლები, რომლებიც ჩამოსულნი არიან სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებაში, საერთაშორისო კონფერენციაში და თათბირში მონაწილეების მისაღებად ან სხვა ოფიციალური დავალებით. დიპლომატიური იმუნიტეტი ვრცელდება მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი საქართველოს მოქალაქენი არ არიან.

დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური (ელჩი, დესპანი, საქმეთა

. 1 მოქალაქეობის არმქონედ ითვლება ის, ვინც საქართველოში მუდმივად ან დროებით ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეობა არ გააჩნია და არც იმის დამადასტურებელი საბუთი არა აქვს, რომ რომელიმე უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა.

რწმუნებული) და წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალი: მრჩეველი, სავაჭრო წარმომადგენელი და მისი თანაშემწეები, სამხედრო, სიმხედრო—საზღვაო, და სამხედრო—სა-
პაერო ატაშე. პირველი, მეორე და მესამე მდივანი, ატაშე, ატაშეს
თანაშემწე, მდივანი—არქივისტი. პირადი ხელშეუხებლობა და
იმუნიტეტი სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან ასევე
ვრცელდება აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებზე, თუ ისინი
მათთან ერთად ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქენი არ
არიან.

ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობენ ნაცვალგების
საფუძველზე დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინის-
ტრაციულ—ტექნიკური პერსონალის თანამშრომლები და მათი
ოჯახის წევრები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ და
საქართველოს მოქალაქენი არ არიან. უცხო სახელმწიფოსთან
შეთანხმების საფუძველზე ასეთივე იმუნიტეტი ვრცელდება
დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის
თანამშრომლებზე და მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი
საქართველოს მოქალაქენი არ არიან ან საქართველოში მუდმივად
არ ცხოვრობენ.

დიპლომატიური იმუნიტეტი ვრცელდება აგრეთვე დიპლო-
მატიურ კურიერზე, თავისი მოვალეობის შესრულებისას და
დროებით დიპლომატიურ კურიერზე, რომელსაც დავალებული
აქვს განსაზღვრული დიპლომატიური ფოსტის გადაზიდვა.

უცხოეთის კონსულები (საკონსულო წარმომადგენლობის
მეთაური, გენერალური კონსული, ვიცე—კონსული, საკონსულო
აგენტი) შეიძლება დაკავებული ან დაპატიმრებული აქნენ წარმოად-
გებენ დანაშაულის ჩადენისათვის ან კანონიერ ძალაში შესული
სასამართლო განაჩენის აღსასრულებლად. ისინი იმუნიტეტით
სარგებლობენ საქართველოს იურისდიქციისაგან იმ მოქმედებათა
მიმართ, რაც მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან
არაა დაკავშირებული, ეს იმეზე აიხსნება, რომ მათი
სამსახურებრივი საქმიანობა იმ სახელმწიფოს შინაგანი საქმეა,
რომელსაც ისინი ემსახურებიან. სპეციალური შეთანხმებისა და
ნაცვალგების საფუძველზე უცხოეთის კონსულებზე შეიძლება

გავრცელდეს სხვა სახის იმუნიტეტიც, რაც დიპლომატიური პერსონალის წევრებს ეძლევა.

იმ პირთა წრე, რომელიც საგებლობს ექტერიტორიულობის უფლებით შეიძლება გაფართოვდეს, ან პირიქით, შეიზღუდოს დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

დიპლომატიური იმუნიტეტი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პირად ხელშეუხებლობას. ასეთი უფლებით აღჭურვილთა დაპატიმრება, პასუხისგებაში მიცემა, მონმის სახით სასამართლოში გამოძახება არ შეიძლება. ხელშეუხებელია მათი საცხოვრებელი ბინა, სამუშაო ადგილი, გადაადგილების საშუალება (ავტომანქანა, თვითმფრინავი და სხვა). ამ ადგილებში ჩხრეკა აკრძალულია, მაგრამ დიპლომატიური იმუნიტეტი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ მიზნებისათვის, რაც შეუთავსებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებთან, კერძოდ, არ შეიძლება თავშესაფარი მისცენ მას, ვინც დევნილი, სახელმწიფოს მიერ დანაშაულის ჩადენისათვის. ასევე, მათ არა აქვთ უფლება ძალდატანებით დააკავონ ვინმე დასახელებულ ადგილებში.

დიპლომატიური იმუნიტეტი არ გულისხმობს სრულ უპასუხისმგებლობას. თუ ასეთი იმუნიტეტით აღჭურვილი დანაშაულს ჩაიდენს საქართველო ტერიტორიაზე, საკითხი მისი პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყდება დიპლომატიური გზით. საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გაძევება საქართველოს ფარგლებიდან როგორც არსასურველი პირისა (*persona non grata*). საქართველოს იურისდიქციას ასეთი პირი შეიძლება მხოლოდ მაშინ დაექვემდებაროს, თუ არსებობს ამის შესახებ იმ სახელმწიფოს აშკარად გამოთქმული თ.წმობა, რომლის წარმომადგენელიც არის იგი.

საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მოქალაქეობრივ პრინციპს. ამ მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, თუ ისინი დანაშაულს საზღვარგარეთ ჩაიდენენ, მიცე-

მულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზე და არ დასჯილან უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით, პასუხს აგებენ საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. ეს პრინციპი ავსებს ტერიტორიულ პრინციპს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს იმ პირთა დასჯას, რომლებიც დანაშაულს საზღვარგარეთ ჩაიდენენ.

მე-6 მუხლის ახალი რედაქცია, ადრე მოქმედ კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ნორმას, რომლის თანახმად, თუ აღნიშნული პირები დაისაჯენ უცხო სახელმწიფოს სასამართლო განაჩენით, ისინი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, რაც სავსებით სწორია და non bis in idem — ის ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ დაუსჯელობის პრინციპის — გამოძახილს წარმოადგენს.¹

ის უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს კანონის მიხედვით პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებენ, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით და ამასთანავე, თუ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე (საქ. სსკ — ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწ.).

აღნიშნული ნორმა ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით ეფუძნება სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების უნივერსალურ პრინციპს.²

სისხლის სამართლის სივრცეში მოქმედების უნივერსალური პრინციპი, რომელსაც კოსმოპოლიტურ პრინციპადაც მოიხსენიებენ, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია გამოიყენოს | თავისი სისხლის სამართლის | კანონი უცხოელი

1 ძველი რედაქციის მიხედვით აღნიშნული პირები ავტომატურად არ თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან. ეს საკითხი სასამართლოს მიხედულებაზე იყო დამოკიდებული. სასამართლოს შეეძლო შესაბამისად შეეჩუქებინა მათთვის დანიშნული სასჯელი ან სავსებით გაეთავისუფლებინა დანაშაულის სასჯელის მოხდისაგან.

2 Курс уголовного права. Часть Общая. т.1. М., 1968. стр. 135-136.

მოქალაქის მიმართ, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებით. სხვა შეხედულებისაა უნივერსალური პრინციპის ცნებისა და გამოყენების თაობაზე პროფ. ნ. დურმანოვი. იგი თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმებების დადებას იმ ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან ამ შეთანხმებებით და ასევე ამ შეთანხმებების საფუძველზე სისხლის სამართლის კანონის მიღებას, არაფერი აქვს საერთო უნივერსალურ ანუ კოსმოპოლიტურ პრინციპთან, რომლის ქვაკუთხედია—ყველა სახელმწიფოს ინტერესების ერთიანობა ყოველგვარ დანაშაულთან ბრძოლაში, ანუ სხვაგვარად—ყოველი სახელმწიფოს მოვალეობა გამოიყენოს თავისი სისხლის სამართლის კანონი დაზნაშავის მიმართ, რომელმაც ხელყო სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესებიც, იმისაგან დამოუკიდებლად, სად და როდის იქნა ჩადენილი დანაშაული, და იყო თუ არა ამის თაობაზე საერთაშორისო შეთანხმება¹.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებამ და იმ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის აუცილებლობამ, რომლებიც ხელყოფდნენ არა ერთი რომელიმე სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესებს, მე-19 საუკუნეში გამოიწვია დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო კონვენციების დადება, რათა საერთო ძალისხმევით ებრძოლათ ამ დანაშაულთა წინააღმდეგ. ყოველი სახელმწიფო, რომელიც ხელს აწერს ასეთ კონვენციას, თავისთავზე ღებულობს საერთაშორისო ვალდებულებას, გამოსცეს სისხლის სამართლის კანონი, რომელიც გაითვალისწინებს აღნიშნულ დანაშაულს.

საქართველო დანაშაულთან ბრძოლის სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციის უშუალო მონაწილეა. იგი შეუერთდა 1993 წლის 22 ივნისს-საბაერო ხომალდის ბორტზე დანაშაულისა და

¹ Курс советского международного права. Часть общая. М., 1966. стр. 69-71.

სხვა ქმედების შესახებ 1963 წლის 14 სექტემბრის კონვენციას; 1973 წლის 11 დეკემბერს-დანაშაულის წინააღმდეგ ზომებისა და გენოციდის დასჯის შესახებ ნიუ-იორკის 1948 წლის დეკემბრის კონვენციას; 1994 წლის 20 მაისის-სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლის პააგის 1970 წლის 16 დეკემბრის კონვენციებს; 1994 წლის 25 ოქტომბერს-წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ ნიუ-იორკის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციას; 1995 წლის 24 იანვრის-სამხედრო დანაშაულისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ კონვენციას და სხვა.

ასეთი შეთანხმებებია: 1884 წ. 14 მარტის კონვენცია საზღვაო-სატელეგრაფო კაბელის დაცვის შესახებ, 1904 წლის 18 მაისის კონვენცია ქალებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ, 1910 წლის 23 სექტემბრის კონვენცია ზღვაში დახმარების აღმოჩენის შესახებ, 1901 წლის 4 მაისის და 1924 წლის 7 აგვისტოს კონვენციები პორნოგრაფიულ ნაწარმოებთა დამზადებისა და გავრცელების აკრძალვის შესახებ, 1925 წლის კონვენცია ხაშხაშის ან ინდური კანაფის უნებართვოდ დათესვის შესახებ, 1926 წლის 25 სექტემბრის კონვენცია მონობის შესახებ, 1929 წლის 20 აპრილის კონვენცია ყალბი ფულის წიშნის გაკეთებასთან ბრძოლის შესახებ, 1931 წლის 13 აპრილის კონვენცია — ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადებისა და განაწილების რეგულირების შესახებ, 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ, 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია — დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ. უნევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ; 1970 წლის 16 დეკემბრის პააგის კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონოდ გატაცებასთან ბრძოლის შესახებ და სხვა.

უცხოელი მოქალაქე, რომელიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთ ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელიც საერთაშორისო შეთანხმებით

არ არის გათვალისწინებული, პასუხს არ აგებს იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონით, სადაც იგი აღმოჩნდება, მაგრამ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად იგი შეიძლება გადაეცეს იმ დაინტერესებულ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზედაც დანაშაულია ჩადენილი, ან რომლის მოქალაქეც არის დამნაშავე, ან იმ სახელმწიფოს, რომლის ინტერესების წინააღმდეგაც იყო მიმართული დანაშაული.

დამნაშავის გაცემისა და თავშესაფრის უფლების შესახებ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა რაიმე მითითებას არ შეიცავს, როგორც დამნაშავის გაცემა, ისე თავშესაფრის უფლება სუვერენული სახელმწიფოს კონსტიტუციით და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტებით განისაზღვრება. თავშესაფრის უფლება ნარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციურ დებულებას. ამ კონსტიტუციის 47—ე მუხლის მე—2 და მე—3 ნაწილის თანახმად საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არ მქონე პირებს. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან... იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება. ამრიგად, სახელმწიფოს ამ შემთხვევაში — უფლება აქვს თავის ტერიტორიაზე ცხოვრების ნება დართოს იმ პირს, ვინც დევნილია სხვა სახელმწიფოში.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობის მიერ დადებულია სპეციალური კონვენციები დამნაშავის გაცემის შესახებ. საქართველო არ არის ამ კონვენციების მონაწილე. საერთო წესის თანახმად, დამნაშავის გაცემა მართლზომიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

საერთაშორისო ადათების შესაბამისად პოლიტიკური დანაშაულისათვის დევნილი პირები არ გაიცემიან. ეს დებულება აისახა საქართველოს კონსტიტუციის 47—ე მუხლის მე—3 პუნქტში. სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების

აღნიშნული პრინციპების გარდა, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილია სხვა პრინციპებიც. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს რეალობის პრინციპი წარმოადგენს, რომლის არსი იმაშია, რომ სახელმწიფო თავის კანონებს ავრცელებს საზღვარგარეთ ჩადენილ იმ დანაშაულზე, რომელიც სელყოფს მის ან მისი მოქალაქეების ინტერესებს, იმისაგან დამოუკიდებელივ თუ რომელი სახელმწიფოს მოქალაქეს წარმოადგენს დამნაშავე.

ამრიგად, რეალობის პრინციპი ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც გააჩნიათ მოქალაქეობის და ტერიტორიულ პრინციპებს, ვინაიდან ამ პრინციპის თანახმად პასუხისმგებლობა დგება არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ადგილის კანონმდებლობით და არა მხოლოდ საკუთარი მოქალაქის მიმართ, არამედ დაინტერესებული ქვეყნის კანონმდებლობითაც, თუ დანაშაული მიმართულია მისი ინტერესების ან მისი მოქალაქეების ინტერესების წინააღმდეგ.

ოკუპაციური პრინციპი არის გადახვევა ტერიტორიული პრინციპიდან, იგი გამოიხატება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა მიმართ იმ სახელმწიფოს კანონების გამოყენებაში, რომელმაც მოახდინა ოკუპაცია. ფორმდება ეს პრინციპი იმ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზედაც ჯარია შეყვანილი.

კაპიტულაციის რეჟიმი, ანუ როგორც მას უწოდებენ მფარველობითი პრინციპი ასევე გამოწვევს წარმოადგენს ტერიტორიული პრინციპიდან. იგი აღმოცენდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიების დაპყრობისა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ნახევრადკოლონიური რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით. ეს რეჟიმი უზრუნველყოფდა იმპერიალისტური ქვეყნების მოქალაქეთათვის პრივილეგიურ მდგომარეობას, რამდენადაც მათ მიერ ამ ქვეყნებში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოიყენებოდა არა ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონები, არამედ მათი ქვეყნის კანონები.

§ 4. სისხლის სამართლის კანონის აგეგმვა

სისხლის სამართლის კანონის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის მუხლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი სტრუქტურით. განსაკუთრებული ნაწილის მუხლები შედგება დისპოზიციისა და სანქციისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც, ეს მუხლები დაყოფილია ნაწილებად, მუხლის ყოველი ნაწილი მოიცავს სისხლისსამართლებრივი ნორმის ხაერთო შინაარსს და ამასთანავე მიუთითებს იმ თავისებურებებზე, რომელთაც ხშირად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ მუხლის ყოველ ნაწილს გააჩნია თავისი დისპოზიცია და სანქცია.

სისხლის სამართლის ნორმა მართალია, გადმოცემულია კანონის მუხლში, მაგრამ სამართლის ნორმა და მუხლის ტექსტი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. როგორც წესი, ნორმატიული აქტის ერთი მუხლი შეიცავს ერთ ნორმას, მაგრამ არც თუ იშვიათად მუხლი შეიცავს სამართლის ორ—სამ ნორმასაც.

სამართლის ნორმა შედგება სამი სტრუქტურული ნაწილისაგან: დისპოზიციის, ჰიპოთეზის და სანქციისაგან.

დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია სავალდებულო ქცევის წესი.

ჰიპოთეზა არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც აღწერილი პირობების არსებობის დროს ნორმა იწყებს მოქმედებას.

სანქციაში გადმოცემულია ის უარყოფითი, არასურველი შედეგი, რომელიც დადგება დისპოზიციაში გადმოცემულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შესთხვევაში.

ნორმის სამივე ელემენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

სისხლის სამართლის კანონში ნორმის ეს სამივე სტრუქტურული ნაწილი თანაბარი სიმკვეთრით არ არის გამოხატული. ფაქტიურად რასაც ჩვენ აქ დისპოზიციას ვუნოდებთ, იგი ჰიპოთეზაა, ხოლო ქცევის წესი — დისპოზია კი იგულისხმება. რედაქციულად ნორმა არ არის ასე აგებული: ქურდობა აკრძალულია და თუ ვინმემ მოიპარა, იგი დაისჯება. მაგრამ, როდესაც კანონმდებელმა ქურდობას სისხლისსამართლებრივი

შედეგი — სასჯელი დაუკავშირა, ყველასათვის ნათელია, რომ ამით კიდევაც აკრძალა იგი და მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებით აღარ შეაქვს თვით კანონში ქმედების პირდაპირი აკრძალვა (ქცევი წესი, ანუ დისპოზიცია), მაგრამ იგი ნორმაში უდავოდ იგულისხმება.

სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიცია ოთხი სახისაა: აღწერილობითი, მარტივი, ბლანკეტური და მითითებითი.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს დანაშაულის ყველაზე არსებითი ნიშნების გაფართოებულ აღწერას. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სსკ-ის 88-ე მუხლი, რომელიც არა მხოლოდ ასახელებს დანაშაულს, არამედ მიუთითებს მის ძირითად ნიშნებზე: ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის დამზადება—გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღება.

მარტივი არის დისპოზიცია, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნების აღწერას და მხოლოდ ასახელებს ამ დანაშაულს. ასეთი დისპოზიციის ტიპური მაგალითია სსკ-ის 105 მუხლი—განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, სადაც კანონმდებელი მისი ნიშნების აღწერის გარეშე მხოლოდ ასახელებს ამ დანაშაულს. კანონმდებელი ამ ხერხს მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც უბრალო დასახელებითაც უკვე ნათელია თუ რომელ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

ბლანკეტური დისპოზიცია კონკრეტული დანაშაულის ნიშნების განსაზღვრისათვის მიუთითებს სამართლის სხვა დარგის საკანონმდებლო ან სხვა ხასიათის სამართლებრივ აქტებზე. მაგალითად, სსკ-ის 146-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის მიერ უსაფრთხოების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის. აღნიშნული წესები დადგენილია საინჟინეროების, უწყებების და სხვათა მიერ. დანაშაულის გამოსაკვლევად აუცილებელია იმ წყაროსათვის მიმართვა, სადაც ეს წესებია გადმოცემული და დადგენა იმისა, თუ სახელდობრ რომელი წესია დარღვეული.

მითითებით დისპოზიცია აყალიბებს ქვევის ნესს სხვა მუხლის დისპოზიციაზე დაყრდნობით, მასზე მითითებით. ამის მაგალითს წარმოადგენს სსკ-ის 110-ე, 111-ე მუხლები.

სისხლის სამართლის სანქცია რამდენიმე სახისაა: აბსოლუტურად განუსაზღვრელი, შეფარდებით განსაზღვრული, აბსოლუტურად განსაზღვრული ალტერნატიული, კუმულაციური.

აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქციის დროს კანონი ძირითადად მხოლოდ აღიარებს ამა თუ იმ მოქმედებას ან უმოქმედობას დასჯადად, სასჯელის სახეზე და ზომაზე მიუთითებლად და ამ საკითხს გადასაჭრელად უტოვებს სასამართლოს.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის დროს, დადგენლია სასჯელის როგორც სახე, ასევე მისი ზომაც, რაც გამორიცხავს სასამართლოს მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას (საქართველოს სსკ-ის 277-ე მუხლი ითვალისწინებს აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას — თავისუფლების აღკვეთას თხუთმეტი წლის ვადით).

შეფარდებით განსაზღვრული სანქცია ადგენს სასჯელის სახეს და ზომას გარკვეულ ფარგლებში, მაგალითად, 78-ე მუხლი ბანდიტიზმისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან თხუთმეტი წლამდე, 105-ე მუხლი განზრახი მკვლელობისათვის — თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან თხუთმეტი წლამდე და ა.შ. ზოგჯერ სანქციაში მითითებულია სასჯელის მხოლოდ ზედა ზღვარი — ასეთ შემთხვევაში ქვედა ზღვარი იქნება სასჯელის ამ სახისათვის დადგენილი უმდაბლესი ზღვარი, მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ამ დანაშაულისათვის სასჯელის მინიმუმი იქნება თავისუფლების აღკვეთა სამი თვის

ალტერნატიული სანქციის დროს კანონმდებელი სასჯელის დამდგენ სუბიექტს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს სანქციაში მითითებული ერთ-ერთი სახე. მაგალითად სსკ-ის 188-ე მუხლის სანქციის მიხედვით დაუდევრობა შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ერთ წამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

კუმულაციური სანქცია ასახელებს სასჯელის რამდენიმე სახეს, რომელიც გამოიყენება ერთდროულად. მაგალითად სსკ-ის 96-ე მუხლის ძალით: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი, ოდენობით დატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

§ 5. სისხლის სამართლის კანონის ახსნა—განმარტება

სისხლის სამართლის კანონის ახსნა—განმარტება არის კანონმდებლის ზუსტი ნების დადგენა კანონის აზრის გახსნისა და მასში ნახმარი ტერმინების შინაარსის განსაზღვრის გზით. კანონის ახსნა—განმარტება ხდება არამართო მაშინ, როდესაც იგი არაა სრული ან გაუგებარია, არამედ მისი შეფარდების ყველა შემთხვევაში. ეს იმითაა პირობადებული, რომ კანონი როგორც სავალდებულო ქცევის წესი დაყვანილი უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ ერთეულ შემთხვევამდე, რომელსაც ადგილი ექნება საგამოძიებო—სასამართლო პრაქტიკაში.

კანონის ახსნა—განმარტების დროს უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი მოქმედი ტექსტის დადგენა. მოქმედან ითვლება კანონის ის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ გამოცემაში, ყველა თავისი დამატებებით და ცვლილებებით.

კანონის ახსნა—განმარტება იყოფა სახეებად ახსნა — განმარტების სუბიექტებისა და ასევე ახსნა—განმარტების ხერხებისა და მოცულობის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით, განარჩევენ ლეგალურ (აუტენტურ) სასამართლო (კაზუალურ) და მეცნიერულ (დოქტრინალურ) ახსნა—განმარტებას.

ლეგალურია ახსნა—განმარტება, რომელსაც იძლევა ამისათვის კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის

საკანონმდებლო ორგანო, იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს კანონის ლეგალური (აუტენტური) ახსნა—განმარტების უფლება აქვს. ასეთი ახსნა—განმარტება არსებითად ნიშნავს ახალი კანონის მიღებას, რომელსაც ისეთივე ძალა აქვს როგორც განსამარტავ კანონს. იგი სავალდებულოა ყველა დაწესებულების, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

სასამართლო ანუ კაზუალურ ახსნა—განმარტებას იძლევა სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას. იგი სავალდებულოა მხოლოდ იმ საქმისათვის, რომელთან დაკავშირებითაც არის მიცემული. სასამართლო ახსნა — განმარტებას წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ მხოლოდ იმ კატეგორიის საქმეებისათვის, რომლებზედაც იგი არის მიცემული.

მეცნიერულ ანუ დოქტრინალურ ახსნა—განმარტებას იძლევიან სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერები თავიანთ მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, სტატიებში, მოხსენებებში. ახსნა—განმარტების ეს სახე არ არის სავალდებულო, მაგრამ იგი დიდ როლს ასრულებს სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში, კანონმდებლობის სრულყოფასა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაში.

ახსნა—განმარტების ხერხების მიხედვით ცნობილია გრამატიკული ანუ ფილოლოგიური, ლოგიკური, სისტემატური და ისტორიული ახსნა—განმარტება.

გრამატიკული ახსნა—განმარტების დროს კანონის ზუსტი აზრი დგინდება მისი ტექსტის ეტიმოლოგიური, სინტაქსური გარჩევისა და ასევე კანონში ნახმარი სიტყვების, ცნებების, ტერმინების მნიშვნელობის გარკვევის გზით. მაგალითად საქართველოს სსკ—ის 152—ე მუხლით ყაჩაღობა განსაზღვრულია როგორც „თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“. გრამატიკული

ახსნა—განმარტების თანახმად, ყაჩაღობისათვის საკმარისია, რომ თავდასხმა საშიში იყოს ან სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის და არა ორივესათვის ერთად. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა „სიცოცხლესა“ და „ჯანმრთელობას“ შორის არსებული გამაცალკეებელი ნიშინი „ან“—ი.

ლოგიკური ახსნა—განმარტების დროს გამოიყენება ლოგიკის ისეთი წესები, როგორცაა „ხარისხის დასკვნა“, ანუ დასკვნა „a fortiori“, რაც გულისხმობს ორ ვარიანტს: ა) ის, ვინც უფლებამოსილი ან ვალდებულია დიდზე, ის უფლებამოსილი ან ვალდებულია მცირეზე (argumentum a majori ad minus) ბ) ის, ვისაც ეკრძალება მცირე, მას ეკრძალება დიდი (argumentum a minori ad maius). ამ ვარიანტების გამოყენების შედეგად ვიღებთ ლოგიკურ დასკვნას, ანუ ხარისხის დასკვნას.

ლოგიკური ახსნა—განმარტების წესია ეგრეთწოდებული დასკვნა „ანალოგიიდან“ (analogia intra legem), რაც ნიშნავს ანალოგიას კანონის ფარგლებში, მაგ, სისხლის სამართლის კოდექსის 38—ე მუხლის თანახმად, „სასჯელის დადების დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც კანონში აღნიშნული არ არის“.

ლოგიკური ახსნა—განმარტების შემდეგი წესია დასკვნა სანინაალმდეგოდან (argumentum a contrario). თუ სამართლის ნორმიდან ლოგიკურად ორი ურთიერთსანინაალმდეგო დასკვნა გამოძინარეობს, უნდა დადგინდეს ერთ—ერთის მცდარობა, რაც თავისთავად მეორის ჭეშმარიტებას მონიშნავს.¹

სისტემატური ახსნა—განმარტებისას სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემაში სისხლისსამართლებრივი ნორმის ადგილის მიხედვით, მისი სხვა კანონებთან შეჯერების გზით, სხვა მსგავსი კანონებიდან მისი გამიჯვნის საშუალებით დგინდება კანონის ნამდვილი შინაარსი.² მაგალითად, იმის დასადგენად, თუ სსკ—ის რაიმელი მუხლით უნდა იქნეს კვალიფიცირებული დამნაშავეის მოქმედება, რაიმესაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰქონდა, საჭიროა სისტემატური ახსნა—განმარტების გამოყენება ანუ სსკ—ის

1 ბიძინა საჯანგლი. სამართლის თეორია თბილისი, 1993, გვ. 167-168
2 ფართო მნიშვნელობით ლოგიკური ახსნა-განმარტება სისტემატურსაც მოიცავს

68—ე და 104—105 და სხვა მუხლების შედარებითი კვლევა.

ისტორიულ ახსნა—განმარტების დროს მხედველობაში მიიღება ქვეყნის ის სოციალურ—ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, გარემოებები და მიზეზები, რომელთაც მოცემული სისხლის სამართლის კანონის მიღება განაპირობეს. მხედველობაშია მისაღები კანონის შემდგენელთა აზრი, საჭიროა კანონზე მომუშავე კომისიის მასალების გაცნობა, კანონის პროექტებისა და მიღებული ტექსტის შედარება. ამ მხრივ, საინტერესოა სსკ—ის 242²—ე მუხლის დისპოზიცია საჰაერო ხომალდის გატაცების შესახებ. 60—იან და 70—იან წლებში ძლიერ გავრცელდა მთელს მსოფლიოში საჰაერო ხომალდის გატაცება. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მიერ 1968 წელს რეგისტრირებული იქნა გატაცების 27, ხოლო 1969 წელს კი—70—ზე მეტი შემთხვევა ამასთან დაკავშირებით 1970 წ. 16 დეკემბერს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდა 76 სახელმწიფო, მიიღო კონვენცია—საჰაერო ხომალდის გატაცებასთან ბრძოლის შესახებ.¹ აღნიშნული კონვენცია აისახა საქართველოს სსკ—ის 242²—ე მუხლში.

მოცულობის მიხედვით განარჩევენ სიტყვა—სიტყვით, შუბლუდვით და გავრცობით ახსნა—განმარტებას.

სიტყვა—სიტყვითია განმარტება, როდესაც კანონის აზრი ზუსტად შეესაბამება მის ტექსტს, კანონის შენაარსს, მის სიტყვიერ გამოხატულებას.

შუბლუდვითი განმარტებისას კანონის სიტყვა უფრო მეტია, ვიდრე მისი აზრი. მაგალითად, სსკ—ის 236—ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხი შეიძლება აგოს 18 წლის ასაკს მიღწეულმა პირმა, მაშინ, როცა ზოგადი წესის თანახმად (სსკ—ის 12—ე მუხლი) ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ასაკი 16 წელია.

გავრცობითი ახსნა—განმარტება გამოიყენება იმ შემთხვევაში,

¹ Уголовное право. Общая часть. М., 1994. стр. 48.

როდესაც კანონის აზრი უფრო ფართოა, ვიდრე მისი ტექსტი. გავრცობითი ახსნა—განმარტების მაგალითია სსკ-ის 104—ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელის მიხედვით განზრახ მკვლელობის ერთ—ერთ დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ ეს პუნქტი მოიცავს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ერთი კაცის მკვლელობა და მეორის მკვლელობის მცდელობაა ჩადენილი.²

თავი III დანაშაული

§ 1 დანაშაულის ცნება და მისი ნიშნები.

დანაშაულის ცნება განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე მართლწესრიგის ხელყოფი: სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“

დანაშაულის ცნების ამ საკანონმდებლო განსაზღვრებაში საზგასმულია მისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი. ეს ნიშნებია: ადამიანის მოქმედება ან უმოქმედობა, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ქმედების მართლწინააღმდეგობა.

პირველი ნიშანი, რომელიც ახასიათებს დანაშაულს, ეს არის

² Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР. 1924-1977. т.2. М., 1978. стр. 302.

ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), როგორც ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული, ნებელობითი ქცევა¹. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება ნებელობითი ქცევის აქტად და ამდენად დანაშაულად ადამიანის სხეულის რეფლექტორული და ინსტიქტური მოძრაობა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია თავის ტვინის მაკონტროლებელი ფუნქცია ამავე საფუძღვით გამორიცხულია მოქმედება დაუძღველი ძალისა და ფიზიკური ძალადობის დროს. რაც შეეხება ფსიქიკურ ძალადობას (მუქარას), იგი არ გამორიცხავს ადამიანის ნებელობით მოქმედებას. ასეთი ძალადობის ვითარებაში ჩადენილი მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ იგი აკმაყოფილებს უკიდურესი აუცილებლობის პირობებს. ამასთან, მუქარის ზეგაულენით ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება (სსკ-ის 38-ე მუხ. 3.3).

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს აფექტში ჩადენილი მოქმედების ბუნების საკითხი. როგორც წესი, ფიზიოლოგიური აფექტი მთლიანად არ გამორიცხავს ადამიანის შეგნებულ კონტროლს თავისი მოქმედებისადმი, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას, ამიტომაც დგება პასუხისმგებლობა ამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის, თუმცა აფექტი ითვლება ბრალის შემამსუბუქებელ ერთ-ერთ გარემოებად (სსკ-ის მუხ. 38-ე პ 5, მუხ. 106-ე, 113-ე). სხვაგვარად წყდება საკითხი პათოლოგიურ აფექტში ჩადენილ მოქმედებათა მიმართ.

1 ადამიანის როგორც მართლზომიერი, ისე მართლსაზიარებელი ქცევა აზრობრივი პროცესით იწყება, რომელიც თავისთავად არ შეიძლება დანაშაულებრივი იქოს, თუ მას თან არ ეროვის ადამიანის განსაზღვრული მოქმედება; ზრახვანი და მიზნები, რომელთა განსაზღვრელებლად ადამიანი არაერთარ მოქმედებას არ სჩადის, არ მიეკუთვნება სისხლის სამართლის რეგულირების სფეროს, ვინაიდან მანვე შედეგის გამოწვევის საშიშროებას არ შეუცავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება განსაზღვრული ქმედების ჩადენისათვის და არა აზრობისათვის როგორც ამბობენ: „აზრობისათვის ბატი არ გადაიხდევინება“. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ კანონმდებელი დანაშაულის ერთ-ერთ მახასიათებლად ქმედებას ასახელებს.

პათოლოგიური აფექტი ცნობიერების ისეთ სრულ დაბნელებას იწვევს, რაც სახეებით გამორიცხავს აზროვნებას და მოქმედების შეგნებული კონტროლის უნარს და რადგან ნებელობითი მოქმედება სახეებით გამორიცხებულია, გამორიცხებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც ამ დროს.

დანაშაული არ არის გამორიცხული ისეთ შემთხვევაში, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია *actio libera in causa*—ს სახელწოდებით.¹ ეს ისეთი მდგომარეობაა, როგორც თვით ტერმინის განმარტებიდან ჩანს, როდესაც მკვნე შედეგის გამონვევის მომენტში მართალია პირი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ უგონო მდგომარეობა თვით მოქმედი პირის მიერ ბრალეულად არის გამოწვეული. ამიტომაც, პასუხისმგებლობა დაკავშირებულია იმ მომენტთან, როდესაც პირმა შეგნებულად მიიყვანა თავი უგონო მდგომარეობამდე, რათა შემდეგ დანაშაული ჩაედინა. მაგალითად, რკინიგზის მეისრე, მატარებლის მარცხის გამონვევის მიზნით ისე დათვრება, რომ მატარებლის მოსვლის დროისათვის ისრის გადაყვანის შესაძლებლობას დაკარგავს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ცენტრი იმ მომენტზე იწვევს, როდესაც მეისრე მატარებლის მარცხის გამონვევის მიზნით, შეგნებულად უგონოდ თვრება.

კანონში ნახმარი სიტყვა, „ქმედება“, გაგებულნი უნდა იქნას, როგორც გვარეობითი ცნება, რომელიც აერთიანებს ორ სახეობით ცნებას—მოქმედებას და უმოქმედობას და არ უპირისპირებს მათ ერთმანეთს; თუ მოქმედება მოიხზრება არა როგორც ადამიანის სხეულის მხოლოდ უბრალო მოჭორული მოძრაობა, არამედ როგორც შეგნებული, მიზანდასახული ნებელობითი აქტი, მაშინ უმოქმედობაც ასეთ აქტად უნდა მივიჩნიოთ. განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება ხშირად ნებელობითი ენერგიის გაცილებით მეტ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე აქტიური ქცევა.

¹ მიზნითაღიწვეული მოქმედება, მაგნიფიკაციანი მოქმედება, ჩადენილი იურიდიულობის მდგომარეობაში, რომელიც თვით დანაშაულზე ბრალეულად გამოიწვია (იხ. იურიდიული ტერმინოლოგია, თბილისი, 1963, გვ. 319).

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც დადებით, აქტიურ მოქმედებაში, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პასიურ ქცევაში, ანუ უმოქმედობაში. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს არა ყოველგვარი უმოქმედობისათვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ჰქონდა განსაზღვრული მოქმედების ვალდებულება და შეეძლო კიდევაც ამ ვალდებულების შესრულება.

მოქმედების ვალდებულება შეიძლება განსხვავებული სუფუძვლიდან წარმოდგეს. იგი ხშირად გამომდინარეობს თვით კანონიდან. როგორც ცნობლია, სისხლისსამართლებრივი ნორმა იმპერატიული ხასიათისაა, იგი პიროვნებისაგან მოითხოვს თავი შეიკავონ განსაზღვრული მოქმედების ჩადენისაგან, ან პირიქით, ავალდებულებს მას შეასრულოს გარკვეული მოქმედება და, თუ პიროვნება არ ასრულებს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას—იმოქმედოს, იგი ჩადის დანაშაულს. მაგალითად, მშობელი ვალდებულია აღიმენტი გადაუხადოს არასრულწლოვან ან შრომისუნარო შვილს. თუ მშობელი არ ასრულებს ამ მოვალეობას, ე.ი., უმოქმედობს, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით (სსკ—ის 124—ე მუხლი). ასევე, მოქალაქეს ევალება სათანადო ორგანოებში განაცხადოს, რომ მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო დანაშაული, თუ მოქალაქე არ შეასრულებს თავის ამ მოვალეობას, იგი ჩადენს დანაშაულს უმოქმედობით და პასუხს აგებს სსკ—ის 90—ე მუხლით. აღნიშნულის მსგავსად გადაწყდება პასუხისმგებლობის საკითხი სხვათა განსაცდელში მიტოვებისათვის (სსკ—ის 129—ე მუხ.), სხვისთვის დაზარების აღმოუჩენლობისათვის (სსკ-ის 130-ე მუხ.) და სხვა.

მოქმედების მოვალეობა შეიძლება პირის პროფესიულ ან სამსახურებრივ მდგომარეობას უკავშირდებოდეს, მაგალითად, ექიმი ვალდებულია დაზარება აღმოუჩინოს ავადმყოფს. თუ ექიმი არ ჩიობს თავის მოვალეობას, უმოქმედობს, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით (სსკ—ის 131—ე მუხლი).

მოქალაქეს სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ევალება

განსაზღვრული მოქმედების განხორციელება და ამ მოვლეობისათვის თავის არიდება ხშირად მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. ასეთია, მაგალითად, ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა (სსკ—ის 198—ე მუხლი).

მოქმედების მოვალეობა შეიძლება პირის წინა მოქმედებამ წარმოშვას: კარგი მცურავი, რომელიც დაიყოლიებს ცუდ მცურავს ზღვაში შესელაზე და გაჭირვების ჟამს დახმარებას დაპირდება, ვალდებულია შეასრულოს დანაპირები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უმოქმედობა დანაშაულად განიხილება.

უმოქმედობის ყველა განხილული შემთხვევა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს იმ პერიოდში, როდესაც პირს მოქმედების მოვალეობა ეკისრებოდა, იგი საერთოდ უმოქმედობდა. შეიძლება ამ დროს იგი სულ სხვა საქმით იყოს დაკავებული, მაგრამ ეს საკითხი სისხლის სამართალს არ აინტერესებს.

უმოქმედობა, როგორც ამის შესახებ უკვე აღინიშნა, მხოლოდ მაშინ დააფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, თუ პირს მოქმედების ვალდებულების გვერდით, ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობაც გააჩნდა. ამიტომ, სისხლის სამართლის წესით არ აგებს პასუხს რკინიგზის მენიჯზე, რომელსაც ბოროტმოქმედებმა ხელ—ფეხი შეუკრეს და ამით მოუსპეს მას მოქმედების შესაძლებლობა, რასაც მატარებლის მარცხი მოჰყვა.

დანაშაულის ძირითად თვისობრივ ნიშანს მისი საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. დანაშაულად ითვლება არა ყოველგვარი მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც საშიშია საზოგადოებისათვის. ეს ნიშანი—დანაშაულის მატერიალურ ნიშანია, იგი ხსნის დანაშაულის სოციალურ არსს და იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ცხადდება ესა თუ ის ქმედება დანაშაულად. საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა იმის მომასწავებელია, რომ ქმედება ხელყოფს საზოგადოებაში არსებულ მორალურ, მატერიალურ ურთიერთობებს, ვნებას აყენებს მას.

სიტყვა „ხელყოფის“ ქვეშ იგულისხმება სამართლით დაცული

ობიექტის არა მხოლოდ დაზიანება, არამედ ასეთი დაზიანების რეალური საფრთხის შექმნა, ამიტომაცაა, რომ დანაშაულად ითვლება არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელმაც ვნება მიაყენა სამართლით დაცულ სიკეთეს, არამედ, ისეთიც, რომელმაც ობიექტისათვის ვნების მიყენების საფრთხე შექმნა.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის მატერიალური ნიშანია, მისი ობიექტური თვისებაა და არ არის დამოკიდებული კანონმდებლის შეგნებისა და ნებისაგან. კანონმდებლის ამოცანა კი ის არის, რომ მოცემულ ვტაპზე შეაფასოს საზოგადოების ცხოვრების პირობები და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადების შესახებ.

საზოგადოებრივი საშიშროების არსი სსკ—ის მე—მ მუხლში განსნილია იმ ობიექტებზე მითითებით, რომელთა ხელყოფაც დანაშაულს წარმოადგენს. ეს ობიექტებია: საქართველოს საზოგადოებრივი წესყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლებები. აგრეთვე მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით.

ეს ჩამონათვალი სანიმუშო ხასიათისაა და იმ ობიექტთა შემდგომი კონკრეტიზაცია, რომელთა ხელყოფაც საშიშია საზოგადოებისათვის, სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილშია მოცემული.

საზოგადოებრივი საშიშროება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დანაშაული. საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს არა მხოლოდ დანაშაულს, არამედ სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვა). უფრო მეტიც, საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს ისეთ ქმედებებსაც, რომლებიც საერთოდ სამართლებრივი რეგულირების სფეროს გარეთ რჩებიან (მაგალითად, სრულწლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის შეგუღიანება და მისთვის ხელის შეწყობა). ისმის ახვა, როგორ უნდა მოახდინოს კანონმდებელმა დანაშაულის

გამიჯვნა აღნიშნული შემთხვევებისაგან, თუკი ყველა მათგანისათვის საზოგადოებრივი საშიშროებაა თანაარსი?

სისხლის სამართლის მეცნიერება და სისხლის სამართლის კანონმდებლობა განარჩევენ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს.

საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი ესაა დანაშაულის თვისობრივი მაჩვენებელი, ხოლო ხარისხი რაოდენობრივი მახასიათებელი.

საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობით, რაც ხელყოფილია დანაშაულით, ანუ დანაშაულის ობიექტით. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაული განლაგებულია არა თვითნებურად, არამედ იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც კანონმდებელი ანიჭებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სახეებს. ამიტომ, სავსებით მართებულია მტკიცება, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათი განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსში იმ ადგილით, სადაც მოთავსებულია ამ ურთიერთობის

1 ამ საკითხის ირგვლივ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი შეხედულება. კერძოდ, ავტორთა ნაწილს მიაჩნია, რომ დისციპლინურ და ადმინისტრაციულ გადაცდომებს, განსხვავებით დანაშაულისაგან, საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი არ ახასიათებს (იხ. Дурманов Н. Д. Понятие преступления Я. М., 1948, с. 135, Шнейдер М. А. Советское уголовное право. Часть Общая (учебное пособие), М., 1956; Сомошенко Понятие правонарушения по советскому законодательству, М., 1963, с. 57; Строгович М., С. Основные вопросы советской социалистической законности, 1966, М., стр. 199). სწორია პროფ. თ. ნურეთელი, რომელიც არ ეთანხმება საკითხის ამგვარ გაგებას. განსხვავება დანაშაულსა და სამართალდარღვევების სხვა სახეებს შორის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხშია და ეს განსხვავება არა მხოლოდ რაოდენობრივია, არამედ თვისობრივიც. საზოგადოებრივი საშიშროება არ არის დანაშაულის ცნების სახეობითი ნიშანი, (*differentia specifica*), რომელიც მას განასხვავებს სხვა სამართალდარღვევებისაგან, არამედ იგი არის გვარეობითი ნიშანი (*genus proximus*). რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც (იხ. თ. ნურეთელი, გ. ტყეშელაშვილი მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 39-41; Курс советского уголовного права. т. 2. М., 1970. стр. 40-41).

ხელმყოფი დანაშაული, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის კლასიფიკაციით. დანაშაული, რომელიც ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ურთიერთობებს ხელყოფს, ერთი ტიპის, ერთი ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრის დროს კი მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორ¹, კი, როგორცაა: დანაშაულით გამოწვეული შედეგის სიმძიმე, ხელყოფის ობიექტის ღირებულება, შესაძლებელი ზიანის მოცულობა, დანაშაულის განვითარების სტადია, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი, დანაშაულის ჩადენის ხერხი, დრო, ადგილი, ვითარება, მიზანი და ა.შ. ყველა ეს მომენტი ერთობლივად უნდა იქნეს და არა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მონყვევით შეფასებული. ამასთან, მანვე შედეგის განხორციელების შესაძლებლობის საკითხი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან. რაც უფრო დიდია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება და რაც უფრო მეტია შესაძლებელი ზიანის მოცულობა, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მით უფრო შორეული შესაძლებლობა დაასაბუთებს ქმედების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას და, პირიქით.

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი თავის საბოლოო გამოხატულებას უმეტესწილად მუხლის სანქციაში პოვებს; ორი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესადარებლად საჭიროა მათი სანქციების შედარება: რაც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს მუხლის სანქცია, მით უფრო ამრიგად, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათით ერთნაირი დანაშაული!

¹ თანაფარდობა დანაშაულსა და გადაცდომას შორის არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული და ერთმანეთისაგან ჩინური კედლით გაყოფილი, არამედ იგი იცვლება სპეციალური განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობების კვალობაზე; ზოგიერთმა ქმედებამ, რომელიც ადრე დანაშაულს წარმოადგენდა შემდეგ დაკარგა ასეთი ხასიათი და დისციპლინურ ან ადმინისტრაციულ გადაცდომად გადაიქცა და პირიქით, ეს პროცესი

სსკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილი, სადაც კანონმდებელი ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნების განსაზღვრებას იძლევა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის უფრო სრულად გახსნას. ამ ნორმის არსი იმაშია, რომ დანაშაულად მხოლოდ ისეთი მოქმედება შეიძლება იქნას ცნობილი რომელსაც მალალი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი გააჩნია. ამიტომ ჩადენილი ქმედების ნიშნების ფორმალური დამთხვევა კანონში. აღწერილი დანაშაულის ნიშნებთან არ არის საკმარისი ამ ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის, თუკი იგი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ქმედება შეიძლება ცნობილი იქნეს ასეთად მიყენებული ვნების უმნიშვნელო ხასიათის დროს (იაფფასიანი ნივთის ქურდობა, იმ ქონების დაზიანება, რომლის აღსადგენად საჭირო არ არის დიდი ძალისხმევა და მნიშვნელოვანი დანახარჯია ამავე დროს, განზრახი დანაშაულის დროს დადგენილი უნდა იქნეს, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო ისეთი მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედების ჩადენაზე, ვნების მიყენებაზე, რომელსაც არ გააჩნია მალალი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. თუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა მნიშვნელოვანი ვნების მიყენება, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესძლო ამის მიღწევა, ქმედება მცირემნიშვნელოვნად ვერ ჩაითვლება. ქმედების მცირემნიშვნელობა შეიძლება განაპირობონ მხოლოდ იმ ნიშნებმა, რომელთაც თავი იჩინეს ჩადენილ ქმედებაში (დანაშაულის ჩადენის ხერხი, მოტივი, მიზანი, ბრალის ხარისხი და ა.შ.). გარემოებები, რომლებიც ვერ აისახა მოქმედებაში (დანაშაულის ჩადენის შემდეგ გულწრფელი მონანიება, დამნაშავის ცხოვრების ნირი დანაშაულის ჩადენამდე, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.), ვერ მიიღება მხედველობაში ქმედების მცირემნიშვნელოვნების დასადგენად.

განსაკუთრებით დღესდღეობით შეიმჩნევა ფართო დეკორინალიზაციასთან ერთად, ზოგიერთმა ქმედებამ, განკითხარების არსებული პირობების შესატყვისად, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი შეიძინა და იგი დანაშაულად გამოცხადდა.

საზოგადოებრივ საშიშროებასთან ერთად ქმედების მართლ-
ლწინააღმდეგობა ანუ კანონსაწინააღმდეგობა წარმოადგენს
დანაშაულის ერთ—ერთ ძირითად ნიშანს. მართლწინააღმდეგობა
არის საზოგადოებრივი საშიშროების—დანაშაულის მატერია-
ლური ნიშნის—იურიდიული გამოხატულება, დანაშაულის ფორ-
მალური ნიშანი. იგი ორგანულად უკავშირდება საზოგადოებრივ
საშიშროებას. მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს
საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს.

დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედება ითვლება, რომელიც
გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. ამასთან,
კანონმდებელი, როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულად აღიარებს
მხოლოდ იმ ქმედებას, რომელსაც საზოგადოებრივი საშიშროების
განსაზღვრული ხასიათი და ხარისხი ახასიათებს.

მართლწინააღმდეგობა მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის
ჩამდენმა დაარღვია აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის
ნორმაშია მოცემული. ამდენად, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც
არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის ნორმით,
თუნდაც კანონის ხარვეზის შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება
დანაშაულად. მხოლოდ კანონმდებელს აქვს უფლება დანაშაულის
რანგში აიყვანოს ესა თუ ის ქმედება. „დანაშაული არის სისხლის
სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა“ (სსკ—ის მე—8
მუხლი). დანაშაულის ასეთი საკანონმდებლო განსაზღვრებით
საყოველთაოდ აღიარებულია პრინციპი: არ არის დანაშაული
კანონის გარეშე (*nullum crime sine lege*).

შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც ამა თუ იმ
მოქმედებას ან უმოქმედობას ადამიანთა მართლშეგნება
საზოგადოებისათვის საშიშად მიიჩნევს, მაგრამ თუ ასეთი ქმედება
აკრძალული არ არის სისხლის სამართლის კანონით, არავის
არა აქვს უფლება ებრძოლოს მას სასჯელის მეშვეობით. არ
არის სასჯელი კანონის გარეშე (*nulla poena sine lege*).

მართალია, მართლწინააღმდეგობის საკითხი ბევრ დავას იწვევს
ლიტერატურაში მაგრამ ერთი უდავოა, რომ
მართლწინააღმდეგობა ნიშნავს ობიექტურ ნიშანს. სამართლებრივი
ნორმის მიერ ადამიანის ქმედების უარყოფით შეფასებას, მაგრამ

არა ყოველი მოქმედება, რომელიც სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება, ქმნის სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას.

სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა მდგომარეობს ქმედების შესაბამისობაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან. აქედან გამომდინარე, მოქმედება შეიძლება ითვლებოდეს მართლწინააღმდეგოდ სამართლის რომელიმე სხვა დარგის მიხედვით, მაგრამ იგი არ იყოს მართლწინააღმდეგო სისხლის სამართლისათვის, ანდა იგი შეიძლება ასეთი იყოს როგორც სისხლის სამართლის ასევე სამართლის სხვა დარგისთვისაც.¹

გარდა აღნიშნული ნიშნებისა დანაშაულის ნიშნებში უნდა მიეკუთვნოს ბრალი და დასჯადობა.

ბრალი არის დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ძირითადი

1 ადრეული აქროლის საბჭოურ სისხლის სამართალში მიღებული იყო, რომ დანაშაულის ფორმალური განსაზღვრება, რომელიც ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კლასიკურმა სკოლამ ჩამოაყალიბა (მართლწინააღმდეგობის სახით) დანაშაულის დასჯადობის შიშოდ კონსტანტაციას ახდენდა და არ ხსნიდა მის შინაგან არსს. აკრიტიკებდა რა, ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მიერ დანაშაულის ფორმალურ გაგებას, საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერება მიუთითებდა, რომ ასეთი განსაზღვრება უმთავრესად იმაზე მინიშნებით იფარგლებოდა, რომ დანაშაული არის ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება ანდა, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით სასჯელის შიშით. აღნიშნული შეხედულება აისახა კანონმდებლობაშიც. ადრე მოქმედი საბჭოური კოდექსები დანაშაულის ამ ნიშანს არ ითვალისწინებდნენ და შიშოდ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანზე მითითებით იფარგლებოდნენ. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებმა გაითვალისწინეს დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მისი ეს ნიშანი (მუხ. 7), რომელიც შემდეგ უცვლელად გათვალისწინეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშაულის მატერიალური განსაზღვრებაც არ აღმოცენებულია საბჭოური სისხლის სამართლის ნიადაგზე მისი აკვანაც პირველად ბურჟუაზიული სოციალოგიური სკოლის კედლებში დაიწყო და იგი დღესაც წარმოადგენს საზღვარგარეთის სისხლის სამართლის თანამედროვე თეორიას. მაგალითად, აშშ-ის სისხლის სამართლის საწინამართლო კოდექსი დანაშაულს განსაზღვრავს, როგორც ისეთ ქცევას, რომელმაც არასაპატიო არსებითი ზიანი მიაყენა პიროვნების და საზოგადოების ინტერესებს ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხე შექმნა (იხ. Примерный УК (США), М., 1969,

ნიშანი; ქმედება შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიშიც, მართლსაწინააღმდეგოც, მაგრამ თუ ამ ქმედებისა და ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ პირს არ აქვს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც იკიცხება საზოგადოების მიერ ზნეობრივი თვალსაზრისით—ასეთი ქმედება არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, ე.ი. ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული. ამ მომენტზე სპეციალურად მიუთითებს სსკ—ის მე—3 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“. მოცემული დებულება გამორიცხავს ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას, ანუ ბრალის გარეშე სისხლის

e.32). ასეთსავე განსაზღვრებას იძლევიან აშშ-ის სხვა მტატების სისხლის სამართლის კოდექსებიც. პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებისათვის არსებითი ზიანის მიყენებაზე მითითება მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროების ცნების გახსნას ნარმოადგენს. ჩვენი მოქმედი კანონმდებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის ფორმალურ-მატერიალურ განსაზღვრებას იძლევა, რამდენადაც მიუთითებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებაზე, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ლიტერატურაში ამის თაობაზე აღინიშნა, რომ საბჭოური სისხლის სამართალი თავისი ჩასახვის მომენტიდანვე ეფუძნებოდა კლასობრივი ბრძოლის შესახებ მოძღვრებას და სისხლის სამართლის კლასობრივი ბუნებიდან გამოდიოდა, ამასთან, იგი ხაზს უსვამდა საბჭოური და ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ დანაშაულის ცნების საპირისპირო გაგებას მაგრამ რაკი ყოფილმა საბჭოთა სახელმწიფოებმა აღიარეს სამინაო და საგარეო პოლიტიკაში ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტი, ლოგიკურად უარი უნდა ითქვას იმ დაპირისპირებულობაზე, რაც არსებობს დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ჩვენსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში. ეს კი, უპირველესყოფისა დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრების უარყოფით უნდა გამოიხატოს. ამ ავტორთა აზრით სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულის მთავარ განმსაზღვრელ ნიშანს სისხლის-სამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობა უნდა წარმოადგენდეს. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მხედველობაში მიიღება კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კანონის შექმნის პროცესში (იხ. Игнатов А. Н., Красиков Ю. А., Крашков, Ю. А., Побегайло Э. Ф., Шишов О. Ф., Пашин С. А., Палеев М. С., Концептуальные начала уголовного законодательства Российской Федерации. "Советская юстиция". 1992, №3, с. 3).

სამართლის პასუხისმგებლობას.

საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი და მართლწესრიგისადმი, ბრალის ცნებისაგან განსხვავებით, ქმედების ობიექტურ წინააღმდეგობას გამოხატავენ, ხოლო ბრალი გამოხატავს დამნაშავეს შინაგან, ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტიური ნიშნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი.

დასჯადობის, როგორც დანაშაულის ნიშნის ქვეშ, იგულისხმება ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა, აქედან გამომდინარე ყოველი დანაშაული დასჯადი ქმედებაა. რეალურად შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩადენილი დანაშაული სხვადასხვა გარემოებათა გამო სასჯელს არ იმსახურებდეს. ამან ლიტერატურაში წარმოშვა აზრი, რომ თითქოს დასჯადობა არ არის დანაშაულის აუცილებელი ნიშანი. ცნობილი ქართველი იურისტის ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულს თან არ ახლავს სასჯელი, მაგალითად, პირობითი მსჯავრის დროს მოსამართლე არ იყენებს სასჯელს და ა.შ. ამ მაგალითების ანალიზის საფუძველზე ლ. ანდრონიკაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დასჯადობა არ არის დანაშაულის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი.¹

დანაშაულის ცნების დასჯადობის ნიშანი ისეთნაირად უნდა იქნეს გაგებული, რომ დანაშაულის ჩადენის თითოეულ ფაქტს თან სასჯელის მუქარა სდევს. მხოლოდ ისეთი ქმედებაა დანაშაული, რომლისათვისაც კანონმდებელი საჭიროდ თვლის სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნას. ამრიგად, დანაშაული არ არსებობს სასჯელის გარეშე, ისევე როგორც არც სასჯელი არსებობს დანაშაულის გარეშე. ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით სასჯელი შეიძლება არც იქნეს გამოყენებული, სრულიადაც არ ცვლის ამ დებულებას, ყოველი დანაშაული პრინციპულად დასჯადია.²

1 ზ. ავაშვილი ლ. ანდრონიკაშვილის მეცნიერულ-მედიკოგიური მოღვაწეობა „საბჭოთა სამართალი“, 1963, №3, გვ. 63-64.

2 თ. ნ. რიყთაი, ზ. ტყეშელაშვილი, მომღერება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 62

ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ დანაშაულის ნიშნებს უნდა მიეკუთვნოს ასევე ამორალობა, შერაცხაობა და პასუხისმგებლობის ასაკი.

მართალია, ყოველი დანაშაული არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, არამედ იმავდროულად ამორალური ქმედებაც არის, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ ნიშნის სპეციალურად შეტანა დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში, რამდენადაც ქმედების მართლსაწინააღმდეგობა თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ქმედება ამორალურიც არის.³

შეურაცხაობისა და პასუხისმგებლობის ასაკის ნიშნების მოხსენიება დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ასევე არ უნდა იყოს გამართლებული, ვინაიდან ეს ნიშნები შთანთქმულია ბრალეულობის ნიშნით, მხოლოდ შერაცხად და გარკვეულ ასაკს მიღწეულ პირს შეუძლია იმოქმედოს ბრალეულად.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და დასჯადი ქმედება.

§ 2. დანაშაულის კლასიფიკაცია

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებითაა გათვალისწინებული. ამ დანაშაულთა მიკუთვნებას სხვადასხვა კატეგორიისადმი ანუ დანაშაულთა კლასიფიკაციას მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ასეთ დაყოფასთან განსხვავებული იურიდიული შედეგებია დაკავშირებული. თუმცა აქვე უნდ ითქვას, რომ ამ საკითხში

3. იქვე გვ 59 კურს: советского уголовного права т-2 м 1970 с. 28.

კანონმდებლობაში არ არის სრული გარკვეულობა. ¹

მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის განსაზღვრება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-8¹ მუხლში. მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მძიმე დანაშაულად ითვლება ის განზრახი ქმედება, რომელიც წარმოადგენს მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამ ქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია მუხლის მეორე ნაწილში. როგორც ლიტერატურაში აღინიშნა მძიმე დანაშაულის კაზუსტური ჩამოთვლა არ არის გამართლებული, ვინაიდან კანონმდებელს შეიძლება გამოიჩინოს და არ გაითვალისწინოს ამ ჩამონათვალში მომეტებული საფრთხის შემცველი დანაშაული, და პირიქით, ჩამონათვალში შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაული! ამიტომ უფრო სწორი იქნება, კანონით დადგენილი სასჯელის სიდიდის მიხედვით, თუ კანონმდებელი ფორმალური ნიშნით განსაზღვრავს მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის ცნებას, კერძოდ, მძიმე დანაშაულად ჩაითვალოს ქმედება, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა.

შემდეგ კატეგორიას განეკუთვნება დანაშაული, რომელიც, ერთი მხრით, მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულს არ წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრით, არც ნაკლებ მნიშვნელოვან დანაშაულს ეკუთვნის. ასეთი კატეგორიის დანაშაულთა მიახლოებითი ჩამონათვალი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და მათ არამძიმე დანაშაული ეწოდება. მუხლის ტექსტიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არამძიმეა დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ხუთი წლისა. თუმცა ამ ტექსტის სიტყვა-სიტყვითი გაგებით ეს ის დანაშაულობებია, რომლისთვისაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოსამართლის მიერ დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ხუთი წლისა და არა ის დანაშაულობები,

¹ С. г. Закутский. О. понятии тяжкого (особо тяжкого) преступления. "Правоведение", 1967, №6, стр. 67-69; თ. ნურთელი, გ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ. გვ. 81

რომლისთვისაც კანონით არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა აღნიშნული ვადით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მუხლის ჩამონათვალით გათვალისწინებულ დანაშაულთაგან მხოლოდ ორი დანაშაულისათვის არის დადგენილი თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით (სსკ-ის 196-ე მუხლის II ნაწილი — თავისუფლების აღკვეთა ორიდან შვიდ წლამდე და 241-ე მუხლის შესამე ნაწილი — თავისუფლების აღკვეთა ორიდან რვა წლამდე).

ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაული აერთიანებს დანაშაულს, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს და რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი ან მისი ჩამდენი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდებქვეშ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომით კოლექტივს ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად (სსკ-ის 53-ე მუხლის I ნაწილი) და მცირემნიშვნელოვან დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, ან დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან (სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სისხლის სამართლის კოდექსის პროექტზე მომუშავე სამთავრობო კომისიის მიერ შემოთავაზებულია დანაშაულთა კლასიფიკაციის გაცილებით გაუმჯობესებული წესი, სახელდობრ, დანაშაულის მიკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიისადმი ხდება ყოორმალური ნიშნის მიხედვით. ამ თვალსაზრისით ყველა დანაშაული დაყოფილია ანუ კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად:

1. წერილმანი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნა თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ორი წლისა;

2. ნაკლებ მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ორი წლიდან არა უმეტეს ხუთ წლამდე;

3. მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ათი წლისა;

4. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც კანონით

შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ზევით ან სამუდამო პატიმრობა.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულის კლასიფიკაციას ფორმალური ნიშნის მიხედვით ახდენენ. სხვადასხვა კოდექსები იძლევიან დანაშაულის ორნევროვან და სამნევროვან დაყოფას. უფრო ხშირად ვხვდებით სამნევროვან დაყოფას (ტრიხოტომია). სამნევროვანი დაყოფა პირველად საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო. კოდექსის პირველი მუხლი ერთმანეთისაგან განარჩევდა დანაშაულებრივ ქმედებათა შემდეგ სახეებს: დანაშაული (crime), გადაცდომა (delit), დარღვევა (contravention). დანაშაულის სამნევროვან დაყოფას იძლევა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიც: დანაშაული (verbrechen), გადაცდომა (vergehen), დარღვევა (ubertretung). დანაშაულის სამნევროვან დაყოფას ითვალისწინებს უფრო ახალი სისხლის სამართლი კოდექსებიც.

თავი IV დანაშაულის შიშადგენლობა

დანაშაულის შემადგენლობა არის კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ქმედებას როგორც დანაშაულებრივს და დასჯადს.

დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში და ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონის შემადგენელი ნაწილია. შემადგენლობაში აღწერილია საშიში ქმედება, მკვლელობა, ქურდობა, მავნებლობა და ა.შ. ამ აღწერას (დისპოზიციას) კანონმდებელი უკავშირებს სისხლისსამართლებრივ შედეგს (საწიქციას) და ამგვარად, საშიში ქმედება ცხადდება დასჯად ქმედებად.

დისპოზიციაში აღწერილ ქმედებასთან სასჯელის დაკავშირებით, შესაბამის მოქმედებას კანონმდებელი მართლსაწინააღმდეგოდ — დანაშაულად აღიარებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ქმედება აკრძალული სამართლის რომელიმე სხვა დარგით, ან უარყოფითად ფასდებოდა თუ არა იგი ზნეობის ნორმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი იმავდროულად ამ მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე მეტყველებს; ესე იგი დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობის საფუძველი: ქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას, თუ კი იგი შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას.

კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობას ხელმძღვანელობს

1 Трайнин А. Н. Общее учение о составе преступления. М., 1957, стр. 82. თ. ნერყოელი, გ. ტყეშელაძე მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 99; Курс советского уголовного права. т II. М., 1970, с. 87 და სხვა

ქმედების საზოგადოებისათვის საშიშროების გარკვეული ხარისხით. სწორედ ეს მომენტი წარმოადგენს განმსაზღვრელს ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის. ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების (მკვლელობის, ქურდობის, მკვნილობის და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს აღარ სჭირდება ამ ქმედების საზოგადოებისათვის საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცება, იგი უკვე თავისთავად იგულისხმება. მაგალითად, თუ სასამართლომ დაამტკიცა, რომ დანაშაულმა ფარულად გაიტაცა სხვისი პირადი ქონება მითვისების მიზნით, ე.ი. ჩადინა ქურდობა, საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, რომ ეს მოქმედება არის საშიში და მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, ხოლო გამონაკლისი კი ის არის, რომ ქმედება შეიძლება ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ არ იყოს მართლსაწინააღმდეგო ისეთი გარემოებების არსებობის გამო, რამაც მას დაუკარგა საშიში ხასიათი. ასეთ გარემოებებს სისხლის სამართლის კანონი მიაკუთვნებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით, მე-15, მე-16 — ე და მე-16' მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს. „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედების, ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას (სსკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილი). ასევე, სსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედების ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში“ ანალოგიურ მითითებას ვხვდებით სსკ-ის მე-16 მუხლში, რომელიც უკიდურეს აუცილებლობას შეეხება. იგივე დებულებას იმეორებს მე-16' მუხლიც, სადაც დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების მოვალეობის შეუსრულებლობაზე ლაპარაკი.

კანონის აღნიშნული სიტყვები იმაზე მიშანიშნებელია, რომ თუმცა ზოგიერთ გამონაკლისს და განსაკუთრებულ შემთხვევაში

ქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობს მართლწინააღმდეგისა და საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები—იგი დანაშაულად ვერ ჩაითვლება.

სისხლის სამართლის კანონში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების აღწერით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს და სასჯელს იმსახურებს.

შემადგენლობაში აბსტრაქტული, განზოგადებული ფორმით არის აღწერილი ის ტიპური ნიშნები, რომელთა ერთობლიობა სისხლისსამართლებრივ უმართლობას ქმნის და კონკრეტულ დანაშაულს ახასიათებს, ხოლო ინდივიდუალური, შემთხვევითი ნიშნები შემადგენლობის გარედ არის გატანილი. მაგალითად, სსკ-ის 150-ე მუხლით ქურდობა განსაზღვრულია, როგორც მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება. აქედან, კანონი ქურდობის ცნების შემდეგ ნიშნებს ასახელებს: 1) მოქალაქეთა პირადი ქონება, 2) გატაცება, 3) ფარული. იგულისხმება, რომ ამ ნიშნების ერთობლიობა საშიშია საზოგადოებისათვის და მართლწინააღმდეგოა.

ქმედება, რომელიც არ ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ნიშნებს არ წარმოადგენს. დანაშაულს და დასჯადს. ეს კი ცნობილი პრინციპის —არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე—(*nullum crimen nulla poena sine lege*) — განუხრელად განხორციელების გარანტიას იძლევა და გამორიცხავს დანაშაულის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც პირველი საკავშირო აქტი, 1924 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები და მის საფუძველზე მიღებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, 1958 წლის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების მიღებამდე ითვალისწინებდნენ.

ანალოგია ნიშნავდა იმ ქმედებისადმი, რომელიც პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებ-

ლობით, პასუხისმგებლობის საფუძვლისა და ფარგლის და აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიების განსაზღვრას კოდექსის იმ მუხლის ანალოგიით, რომელიც ითვალისწინებდა მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავს დანაშაულს. (საქართველოს სსრ 1928 წ. სსკ-ის მე-8 მუხლი).

ანალოგიას თავის დროზე ყავდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენი.

ანალოგიის მომხრეები თავიანთი შეხედულების სისწორის დასასაბუთებლად მიუთითებდნენ, რომ ანალოგიის ინსტიტუტი უშუალო კავშირშია დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებასთან და ამდენად, ანალოგიის ინსტიტუტის დაშვება აუცილებელია. ასეთი განცხადების ერთგვარ წინაპირობას ის გარემოება იძლეოდა, რომ მოცემული პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მხოლოდ მის მატერიალურ ნიშანზე—საზოგადოებრივ საშიშროებაზე — ამხვილებდა ყურადღებას და ჩრდილში ტოვებდა მის ფორმალურ ნიშანს — მართლწინააღმდეგობას. მეორე არგუმენტი, რომელსაც იშველიებდნენ აღნიშნული შეხედულების მომხრენი ის იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსს არ ძალუძს ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედების გათვალისწინება და ამდენად, ანალოგიის გარეშე ბევრი საზოგადოებრივად საშიში ქმედება დაუსჯელი დარჩებოდა.¹

ანალოგიის მოწინააღმდეგენი სათანადო არგუმენტის საფუძველზე უარყოფდნენ ანალოგიის ინსტიტუტის საჭიროებას.²

ჯერ ერთი, მიუთითებდნენ, რომ მართალია, იმჟამინდელი კოდექსები დანაშაულის ცნების მხოლოდ მატერიალურ ნიშანზე ამხვილებდნენ ყურადღებას, მაგრამ დანაშაულის ცნება მხოლოდ ამ ნიშნით არ ამოიწურება, იგი მატერიალური და ფორმალური ნიშნების ერთიანობას წარმოადგენს და თუ ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას დანაშაულის ერთადერთ ნიშნად ვაღიარებთ,

1 ა. ჯონის, ბ. ტრაინინი, ვ. ჩხიკვაძე, მ. შარგოროდსკი, ე. კამინსკაია, მ. პრაირინი და სხვ.

2 ა. პონტკოვსკი, ა. გერცენზონი, თ. ნერეთელი, კ. თაქმაზოვი და სხვ.

ეს თავისთავად მიგვიყვანდა განუსაზღვრელ ანალოგიაში.

გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუმცა დანაშაულის ფორმალურ განსაზღვრებას იძლეოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ფართოდ გამოეყენებინა დანაშაულის ანალოგია.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რომ არ არსებობს უხარვეზო სისხლის სამართლის კოდექსი, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ხარვეზის შევსება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ ასეთი ხარვეზი აღმოჩნდება იგი საკანონმდებლო გზით უნდა გამოსწორდეს და შეივსოს და არა ცალკეული მოსამართლის მიერ.

გარდა აღნიშნულისა, ანალოგიის ინსტიტუტის მონიშნულ-მდეგენი მიუთითებდნენ, რომ ანალოგია ფართოდ ნერგავდა და ხელს უწყობდა ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტივიზმის დამკვიდრებას და კანონიერების პრინციპის რღვევას. სახელდობრ, სისხლის სამართლის კანონის ადგილს იჭერდა ცალკეული მოსამართლის შეხედულება ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად აღიარების საკითხში, ხოლო ეს შეხედულება სხვადასხვა მოსამართლეს და თუნდაც ერთსა და იმავეს—განსაზღვრულ გარემოებებში—სულ განსხვავებული შეიძლება ჰქონოდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლიდა ერთიანი კანონიერების გატარებას. მოსამართლე ამ შემთხვევაში გვევლინება კანონშემოქმედად, რომელიც სისხლის სამართლის ახალ ნორმას ქმნიდა.

ანალოგიის გამოყენება ასევე წინააღმდეგობაში იყო სისხლის სამართლის იმ უმნიშვნელოვანეს დებულებასთან, რომლის თანახმად, დამამძიმებელ კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უკუძალა. ეს დებულება მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ერთერთი ურყევი საფუძველია. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოქალაქეს ისეთი კანონისადმი მორჩილება, რომელიც მისი ქმედების შემდეგ იქნა მიღებული—და თუ თვით კანონსაც კი არ ეძლევა უკუძალა, როგორ შეიძლებოდა ასეთი ძალა მისცემოდა მოსამართლის მიერ შექმნილ ნორმას.

აღნიშნული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა კანონმდებლის მიერ და როგორც აღინიშნა, 1958 წლის

საფუძვლებმა და შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებმა უარი თქვეს ანალოგიის ინსტიტუტზე და გაითვალისწინეს ნორმა, რომლის თანახმად „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებელობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“ (საქართველოს სსკ—ის მე—3 მუხლი). ანალოგიური ნორმა გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე—8 მუხლში, რომელიც დანაშაულის ცნების განსაზღვრებას იძლევა: „დანაშაულად ჩაითვლება კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა აგრეთვე მართლმსაჯულების ნელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.

დანაშაულის შემადგენლობას, როგორც ამის შესახებ უკვე აღინიშნა, აღწერს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიცია და ამდენად, დანაშაულის შემადგენლობა და შესაბამისი მუხლის დისპოზიცია ემთხვევა ერთმანეთს. ეს თითქოს და ნათელი დებულებაა იურიდიულ ლიტერატურაში დავის საგანი გახდა. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ დანაშაულის შემადგენლობა და დისპოზიცია არ ემთხვევა ერთმანეთს და, რომ დისპოზიცია უფრო ფართოა, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობა, რამდენადაც შემადგენლობის ნიშნები მითითებულია არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში, არამედ კოდექსის ზოგად ნაწილშიც.¹

საქმე იმაშია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილები ერთმანეთისაგან მონყვევით არ

¹ Кудрявцев В. Н. Теоретические основы квалификации преступлений. М., 1963, стр. 82. Вышинская Э. А., Кузнецов А. В. Некоторые замечания к проекту основных начал уголовного законодательства Союза СССР и Союзных республик "Советское государство и право", 1956, №8, стр. 75.

აღიქმება. აქ გადმოცემული ნორმები ერთ ორგანულ მთლიანობას შეადგენენ და ერთმანეთის გარეშე არ წარმოიდგინება. მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრების გამო არ იმეორებს კანონმდებელი განსაკუთრებული ნაწილის ყოველი კონკრეტული მუხლის დისპოზიციაში იმ დებულებას; რომელიც სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია გადმოცემული და განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებულ ყველა დანაშაულის შემადგენლობაზე ერთნაირად ვრცელდება. კანონმდებელს, რა თქმა უნდა, შეეძლო ძირითადი შემადგენლობის აღწერის დროს, იქვე მიეთითებინა, რომ ისჯება ამ დანაშაულის მომზადება და მცდელობა, ასევე, რომ ისჯება არა მხოლოდ ამსრულებელი, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს, არამედ მის გარდა, დანაშაულის ორგანიზატორი, ნაძქეზებული და დაშმარე და ა.შ. ასევე შეიძლებოდა განსაკუთრებული ნაწილის დისპოზიციაში მითითებული ყოფილიყო, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, იგივე ითქმის შემადგენლობის სუბიექტური და ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებზედაც. მაგრამ კანონის დისპოზიციის ასეთი კონსტრუქცია მეტისმეტად გადატვირთავდა კოდექსს და მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრების გათვალისწინებით კანონმდებელმა ზოგადი ხასიათის ნიშნები, რომელიც ყველა დანაშაულისათვის არის დამახასიათებელი, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოათავსა. ამიტომაც არ შეიძლება „კანონის მხოლოდ სიტყვას დავემყაროთ და დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მხოლოდ ის ჩავთვალოთ, რაც კანონის ტექსტში სიტყვა—სიტყვითაა მითითებული“! ამ

1 თ. წერეთელი, ტყუილადი მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 100, Курс советского уголовного право. т. 2. М., 1970, стр. 93.

თვალსაზრისს იზიარებს კრიმინალისტთა უმრავლესობა.

დანაშაულის ნიშნების შევსება ხდება არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან, არამედ კანონის ახსნა—განმარტების მეშვეობით, ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიცია პირდაპირ არ ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, მაგრამ ეს ნიშანი უდავოდ იგულისხმება და დგინდება კანონის ახსნა—განმარტებით. ამის მშვენიერი მაგალითია ქურდობის შემადგენლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის 91—ე და 150—ე მუხლების დისპოზიციაში. იქ აღნიშნულია: ქურდობა, ესე იგი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი (მუხ. 91—ე) ან მოქალაქეთა პირადი (მუხ. 150—ე) ქონების ფარული გატაცება. დისპოზიციაში არ არის მითითებული ნიშნები „სხვისი“ და „მითვისების მიზნით“, მაგრამ აქ ისინი უდავოდ იგულისხმება. არცერთი მოსამართლე არ დააკვალიფიცირებს აღნიშნული მუხლებით საკუთარი ქონების გატაცებას, ან გატაცებას, ჩადენილს მითვისების მიზნის გარეშე, ხოლო ამ დასკვნამდე მოსამართლე სწორედ კანონის აზრის განმარტების შედეგად მივა.¹

ზემოდ აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების აღწერა. ეს ნიშნები შეიძლება დაყოფილი იქნას ორ ძირითად კატეგორიად: აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად.

აღწერილობითი ეწოდება ისეთ ნიშანს, რომელიც დანაშაულის ფაქტიურ მხარეს შეეხება, დროს და სივრცეში არსებობს და შესაძლებელია მისი აღქმა გრძნობის ორგანოების მეშვეობით. ასეთი ნიშნებია ქონების დაზიანება, მისი გატაცება, ადამიანის სიკვდილი და ა.შ. ეს ნიშნები, როგორც წესი, მიზეზობრივად არიან დაკავშირებულნი ადამიანის მოქმედებასთან. გარდა ამისა, არსებობენ შემადგენლობის ისეთი ნიშნები, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ უკავშირდებიან მოქმედებას, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს მიეკუთვნებიან, მაგალითად, ნივთი, ქონების გატაცებისას, ორსულობა, ორსული ქალის მკვლელობისას.²

¹ თ. ნერეთელი, გ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 112.

² იქვე

აღწერილობითი ნიშნების დროს მოსამართლე ვალდებულია დაადგინოს ამ ნიშანთა არსებობა მოქმედების კვალიფიკაციისას. მაგალითად, ნამდვილად მოკლულია თუ არა კაცი, გატაცებულია თუ არა ქონება და ა.შ.

რაც შეეხება შეფასებით ნიშანს, აქ საკითხი რამდენადმე გართულებულია. ეს ნიშანი არ აღიქმება გრძნობის ორგანოების საშუალებით, არ არის განლაგებული დროსა სივრცეში და მისი არსის დადგენისათვის აუცილებელია კანონის შემფარდებლის გონების თვალთ შეფასება, ანალიტიკური აზროვნების მოშველიება ასეთი ნიშანია, მაგალითად, „გარყვნილი“ მოქმედება, „სხვისი“ ქონება და ა.შ. ამრიგად, შემადგენლობის შეფასებით ნიშნებს, სიზუსტის და გარკვეულობის დეფიციტი ახლავს. მათი დადგენა შესაძლებელი ხდება სხვადასხვაგვარი მომენტების მოშველიებით (სამართლის სხვა დარგიდან, ზნეობრივი ნორმებიდან და ა.შ.), ამის გამო, აქ, მოსამართლის პიროვნულ შეხედულებას ფართო გასაქანი ეთმობა. ამდენად, კანონმდებელი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს არ მიმართოს შეფასებით ნიშნებს, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ამა თუ იმ ქმედების საკანონმდებლო დახასიათება მხოლოდ აღწერილობითი ნიშნების მოშველიებით შეუძლებელია. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ნიშნების დადგენა არ გულისხმობს ნორმის შემფარდებლის სრულ თვითნებობას. შეფასებითი მსჯელობის შემონახვა შესაძლებელია კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებისა და მთლიანად სამართლისა და ზნეობის ნორმების მოშველიებით. ზოგჯერ ზღვარი შემადგენლობის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის იშლება. მაგალითად, სსკ—ის 211—ე მუხლი ითვალისწინებს დოკუმენტის გატაცებას ან დაზიანებას. აქ დაკუმენტს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა ქაღალდი, შტამპი, ბეჭედი, ხელმოწერა, ე.ი. ისეთი ნიშნები, რაც აღიქმება ჩვენი გრძნობის ორგანოების მეშვეობით, ანუ აღწერილობითი ნიშნები, მაგრამ დოკუმენტის ის თვისება, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნას განსაზღვრული იურიდიული ფაქტების ან ხდომილების დამადასტურებლად, მის შეფასებით ნიშნებს განეკუთვნება.¹

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განეკუთვნებიან დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს.

დანაშაულის ობიექტი არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც იცავს სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ან ასეთი ხელყოფის საფრთხისაგან. დანაშაულის ობიექტზე მითითება ზოგჯერ პირდაპირ არის მოცემული სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად სსკ—ის 66—ე მუხლი სამშობლოს ღალატის ობიექტად ასახელებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, სახელმწიფო უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის ობიექტის დადგენა კანონის განმარტების მეშვეობით ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებისათვის ცნობილია ორ ობიექტიანი დანაშაული (მაგალითად, სსკ—ის 96—ე და 152—ე მუხლები, რომლებიც ყაჩაღობის შემადგენლობას ითვალისწინებენ, ასეთად სახავენ პიროვნებას და საკუთრებას). როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ ამისაგან გარჩეული უნდა იქნეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაული ალტერნატიულად ხელყოფს რამდენიმე ობიექტს. ამის მაგალითად იგივე საამშობლოს ღალატის შემადგენლობა გამოდგება, სადაც ერთ—ერთი ობიექტის (სახელმწიფოს სუვერენიტეტის ან მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან უშიშროების ან თავდაცვისუნარიანობის) ხელყოფა უკვე დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას ქმნის.

დანაშაულის შემადგენლობაში ასევე აღწერილია დანაშაულის ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელშიც იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრ. ვი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს განეკუთვნება აგრეთვე დანაშაულებრივი მოქმედების საშუალება, ხერხი, დრო

1 Макашвили В. Г. Понятие умысла в уголовном праве. „მაცნე“, 1966, №6, გვ. 77

ადგილი და ვითარება. დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას, კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ობიექტური მხარის ისეთ შემადგენელ ნაწილს უთმობს როგორც მოქმედებაა.

მოქმედების ჩადენის განსაკუთრებული ხერხი აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობისათვის (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სპეციალურად მიუთითებს ამ დანაშაულის ჩადენის ხერხზე, კერძოდ თვითმკვლელობამდე იმ პირის მიყვანა, რაც ჩადენილია მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ ან დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით).

ასეთივე სავალდებულო მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის საშუალებას სსკ-ის 135-ე მუხლით (იძულება) გათვალისწინებული შემადგენლობისათვის. დანაშაულის ჩადენის დროს — სსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისათვის (ომიანობის დროს ბეგარისაგან ან გადასახადისაგან თავის არიდება) და ა.შ. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის როგორც საშუალება, ისე დრო, ადგილი და ვითარება შემადგენლობის აუცილებელი ნიშნის სახით არ წარმოგვიდგება, მაგრამ იგი ამძიძებს დანაშაულს. მაგალითად, სსკ-ის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით ჩადენილი განზრახვი მკვლელობა ითვლება დამამძიმებელ გარემოებად.

ზოგად დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული კანონმდებლის მიერ დანაშაულის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, საზოგადოებრივი უბედურების გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით და ა.შ. (სსკ-ის 39-ე მუხლის მე-8, მე-9, მე-10 პუნქტები).

იგივე ითქმის დანაშაულის ჩადენის პირობების შესახებაც, დანაშაულის შემადგენლობა, იმისდა მიხედვით არის თუ არა მასში განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგი, იყოფა შედეგიან და შედეგგარეშე შემადგენლობებად. მიზეზობრივი კავშირის

დადგენა აუცილებელია შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობისათვის.

დანაშაულის სუბიექტის ნიშნებზე მითითება მოცემულია სსკ—ის ზოგად ნაწილში (მუხ. 12—ე, 13—ე), და როგორც წესი განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში მასზე არაფერია ნათქვამი, გარდა იმ ზოგიერთი გამონაკლისისა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული ნიშან-თვისებით აღჭურვილი სუბიექტის მიერ, ასეთია, მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაული, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, სამხედრო დანაშაული, რომლის სუბიექტიც მხოლოდ სამხედრო მსახურია, სამშობლოს ღალატის სუბიექტი—მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, გაუპატიურებისა—მამაკაცი და ა.შ. ეს, რაც შეეხება აღნიშნულ დანაშაულთა ამსრულებელს, ხოლო ყოველი ამგვარი დანაშაულის თანამონაწილე შეიძლება იყოს ის, ვისაც სუბიექტისათვის დამახასიათებელი აღნიშნული სპეციალური ნიშან-თვისება არ გააჩნია.

დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს უპირველესად განეკუთვნება ის ნიშნები, რაც ახასიათებს ბრალს და მის ფორმებს—განზრახვას და გაუფრთხილებლობას. მაგრამ გარდა ამისა, დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა დანაშაულებრივი ქმედების მიზანი და მოტივი. მაგალითად, ტერორისტული აქტის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება (მუხ. 67), ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ კი, მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას (მუხ. 68—ე) და ა.შ. მიზანმა ასევე შეიძლება ითამაშოს დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების როლი, მაგალითად 104—ე მუხლის მე—7 პუნქტის თანახმად, მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ითვლება ამ დანაშაულის

1 ეს ნიშნები დანაშაულის შემადგენლობის ფაქულტატიურ ნიშნებად იწოდებიან, რადგანაც ისინი ყველა დანაშაულის შემადგენლობას არ ახასიათებენ.

მაკვალიფიცირებელ გარემოებად. ზოგიერთი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს დანაშაულის ჩადენის მოტივი წარმოადგენს, მაგალითად, სსკ-ის 211-ე მუხლში, ლაპარკია დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, განსაკუთრებული ბლანკის, ანგარიშების მოსპობასა, დაზიანებასა და დამალვაზე, რაც ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. მოტივი ისევე როგორც მიზანი, შეიძლება იყოს მხოლოდ მაკვალიფიცირებელი გარემოება, მაგალითად, სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით მკვლელობა, ჩადენილი ანგარებითი მოტივით განიხილება, როგორც ამ დანაშაულის ერთერთი დამამძიმებელი გარემოებათაგანი. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად მოგვევლინოს, თუ მას ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობა.

დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს მასში გადმოცემული ერთი და იგივე ქმედების საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამ ნიშნით კლასიფიკაციისას განარჩევენ დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგიურებულ შემადგენლობას. დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად შემადგენლობაში არ არის გადმოცემული ამ დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები. ამის მაგალითს წარმოადგენს მკვლელობა, ჩადენილი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე (სსკ-ის 105-ე მუხლი). კვალიფიციურ შემადგენლობაში გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, სსკ-ის 104-ე მუხლი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს), ხოლო პრივილეგიური შემადგენლობა აღწერს იმ ნიშანს, რომლიც ამსუბუქებს შესაბამის დანაშაულს (მაგალითად, სსკ-ის 106-ე მუხლი, სადაც ლაპარკია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობაზე; სსკ-ის 107-ე მუხლი ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეცებით ჩადენილ მკვლელობას).

ზოგჯერ ნანარმოები შემადგენლობა მისი დიდი მნიშვნელობის გამო, აღარ ექვემდებარება ზემოაღნიშნულ

სამწევროვან დაყოფას და დამოუკიდებლობის დიდ ხარისხს იძენს. ასეთი შემთხვევა სისხლის სამართლის ლიტერატურაში „სპეციალობის პრინციპის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ეს პრინციპი იმის ამსახველია, რომ ორი სისხლისსამართლებრივი ნორმა ერთმანეთთან ზოგადი და სპეციალური ნორმების დამოკიდებულებაშია, სადაც სპეციალური ნორმას ზოგადთან შედარებით უპირატესობა ენიჭება (*lex specialis derogat legi generali*). ამ შემთხვევაში სპეციალური ნორმა ითვალისწინებს ქმედების სპეციფიკურ თავისებურებას, მაგალითად, დანაშაულის დაფარვა (სსკ—ის 205—ე მუხლი) და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (სსკ—ის 197—ე მუხლი). შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა, დანაშაულის დაფარვის ერთერთი საშუალებაა და ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 205—ე მუხლით, არამედ დაფარვის სპეციალური სახის ამსახველი 197—ე მუხლით.

დანაშაულის შემადგენლობის კლასიფიკაცია შეიძლება მისი სტრუქტურის მიხედვითაც. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განასხვავებენ მარტივ და რთულ შემადგენლობებს. მარტივ შემადგენლობაში პირველად არის აღიარებული ცალკეული საშიში ქმედება დანაშაულად. რთული შემადგენლობის სახესხვაობაა შენადგენი დანაშაული, როდესაც მასში შემავალი რამდენიმე დანაშაული დამოუკიდებელია, მაგრამ შენადგენ დანაშაულში ისინი ისე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ ერთიანი დამოუკიდებელი დანაშაული წარმოქმნეს. ასეთი დანაშაულის მაგალითს წარმოადგენს ყაჩაღობა, სადაც ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებია გაერთიანებული: ა) პიროვნების და ბ) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა.

რთული დანაშაულის სახეს განეკუთვნება აგრეთვე ალტერნატიული შემადგენლობა. ალტერნატიული შემადგენლობის დროს შემადგენლობით გათვალისწინებული რამდენიმე ნიშნთაგან ერთერთის არსებობა საკმარისია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის. ეს შეეხება როგორც ობიექტს (მაგალითად, სსკ—ის 70—ე მუხლი, რომელიც მავნებლობის შემადგენლობას ითვალისწინებს, ჩამოთვლის სხვადასხვა

ობიექტებს და თვითოეული მათგანის ხელყოფა მანებლობის დამთავრებულ შემადგენლობას ქმნის), ისე მოქმედებას (მაგალითად, სსკ-ის 69-ე მუხლი დივერსიის ცნების განსაზღვრისას ასახელებს სხვადასხვა მოქმედებებს და ყოველი მათგანის განხორციელება დივერსიის შემადგენლობისათვის საკმარისია).

რთული შემადგენლობის ნაირსახეობაა კუმულაციური შემადგენლობა. მართალია, აქაც ალტერნატიულის მსგავსად ორ მოქმედებაზე, ობიექტზე და ბრალის ორ ფორმაზეა ლაპარაკი, მაგრამ განსხვავებით ალტერნატიული შემადგენლობისაგან, აქ ასახული შემადგენლობის ცალკეული ელემენტისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი ერთდროულად უნდა არსებობდეს. მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობისათვის დამახასიათებელია ორი ობიექტი—ქონება და პიროვნება, ბრალის ორ ფორმას—გაზრასვას და გაუფრთხილებლობას—ითხოვს სსკ-ის 110-ის მუხლის მე-2 ნაწილი—განზრასვას სხეულის დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობას—სიკვდილისადმი. ორი მოქმედების მაგალითს წარმოადგენდა სპეკულაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქონლის ყიდვა—გაყიდვას გამორჩენის მიღების მიზნით.¹

საინტერესოა, თუ რა დამოკიდებულებაშია დანაშაულის ცნება დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. მათ შორის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედებას როგორც რეალურ, ცხოვრებისეულ მოვლენას, რეალურ პროცესს, ხოლო შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერს იმას, რაც რეალურად ცხოვრებაში ხდება.

ამრიგად, შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონია, მაგრამ მოქმედება, რომელიც შემადგენლობას შეესაბამება, ეს უკვე რეალური პროცესია თავისი მიზეზებით და შედეგებით. ამდენად, მნიშვნელოვანია დადგენილი იქნას ერთი და იგივეა თუ არა შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ცნება დანაშაულებრივი ქმედების ცნებისა.

¹ დღეს ეს მუხლი (165-ე) გაუქმებულია.

პროფ. თ. ნერთელს მიაჩნია, რომ ეს ცნებები იგივეობრივი არ არიან. მისი აზრით, მართალია, საზოგადოებრივი საშიშროება შემადგენლობის შექმნის საფუძველია, მაგრამ შემადგენლობა ვერ იქნება გაიგივებული საზოგადოებრივ საშიშროებასთან. აქედან, ქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი — დანაშაულის ფორმალური ნიშანია, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის მატერიალური ნიშანია. ესე იგი დანაშაული ფორმალური და მატერიალური ნიშნების ერთობლიობაა. აქედან, დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულის ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც საზოგადოებრივი საშიშროება. კანონში მითითება იმაზე, რომ დანაშაული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედებაა — იმაზე მიმანიშნებელია, რომ შემადგენლობა დანაშაულის აუცილებელი ელემენტია.¹

დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების ურთიერთობის საკითხზე ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი. მაგალითად, გამოითქვა შეხედულება, რომლის თანახმად ეს ცნებები ისეთ მიმართებაში არიან როგორც გვარეობითი და სახეობითი ცნებები. კერძოდ, დანაშაულის ცნება არის ყოველი დანაშაულის ზოგადი ცნება, რომელიც მატერიალურად განისაზღვრება მისი სოციალურ — პოლიტიკური შინაარსის მიხედვით, ხოლო შემადგენლობის ცნება კი არის — ცალკეული დანაშაულის ცნება, რომელიც ცალკეული დანაშაულის იურიდიულ დახასიათებას წარმოადგენს.² ეს შეხედულება გაკრიტიკებულია. მიუთითებენ, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ შეიძლება იყოს დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობითი ცნება. დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობითი ცნება შეიძლება იყოს მხოლოდ ცალკეული დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობა, ყაჩაღობა და ა.შ.) ცნება, ხოლო ცალკეულ შემადგენლობათა (მაგალითად, მკვლელობის, ყაჩაღობის და ა.შ.) გვარეობითი ცნება იქნება დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი ცნება და კიდევ,

1 თ. ნერთელი, გ. ტყეშელაძე, დასახ. ნაშრ გვ. III-112.

2 Курс советского уголовного права. т. 2, М.: 1970, стр. 95-96.

დანაშაულის ზოგადი ცნება ხასიათდება არა მხოლოდ საციალურ — პოლიტიკური მახასიათებლით, ე.ი. საზოგადოებრივი საშიშროებით ანუ მატერიალური ნიშნით, არამედ როგორც თვით სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლშია მითითებული, ფორმალური ნიშნითაც: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა“. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შემადგენლობა თავისი ბუნებით იურიდიული, ფორმალური ცნებაა — მასში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებაც იგულისხმება, რამდენადაც საზოგადოებრივი საშიშროება კანონმდებლობისათვის შემადგენლობის შექმნის საფუძველია.¹

დანაშაულის შემადგენლობის ცნება საზღვარგარეთის ლიტერატურაში თანამედროვე გაგებით პირველად ბელინგმა ჩამოაყალიბა. ბელინგის მიხედვით შემადგენლობა მხოლოდ ობიექტური ნიშნების აღწერაა. მაშინაც კი, როცა კანონის დისპოზიციაში პირდაპირ არის მითითებული ქმედების მიზანზე (მაგალითად, ქურდობის დროს), იგი (მიზანი) ბელინგის მიხედვით, მაინც არ არის შემადგენლობის ელემენტი, არამედ იგი შედის ბრალის ცნებაში განზრახვასა და გაუფროთხილებლობასთან ერთად, ხოლო თვით ბრალი შემადგენლობაში არ მოიაზრება, იგი არის ფსიქიკური დამოკიდებულება შემადგენლობის ნიშნებისადმი. შემადგენლობიდან გამორიცხულია აგრეთვე შეფასებითი ხასიათის ნიშნებიც, (მაგალითად, ნიშანი „სხვისი“), ამრიგად, შემადგენლობაში მხოლოდ ფაქტიური ხასიათის გარემოებებია გადმოცემული და ამდენად, შემადგენლობას აქვს მხოლოდ აღწერილობითი ხასიათი, იგი მკვეთრად არის გამიჯნული მართლწინააღმდეგობისაგან, როგორც შეფასებითი მსჯელობისაგან. მაგალითად, თუ ვინმემ მოკლა კაცი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი მართლწინააღმდეგოდ მოქმედებდა; მკვლელობა შეიძლება ომის დროს, აუცილებელი მოგერიების

¹ თ. ნურთელი, გ. ტყეშელაძე დასახ. ნაშრ., გვ. 109-110. А. Н. Трайнин. Состав преступления по советскому уголовному праву.. М., 1951, стр. 135-136. И. Я. Цурманов. Понятие преступления. М., 1948, стр. 7

ვითარებაში და ა.შ. ამიტომ საკმარისი როდია ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობის დადგენა, არამედ საჭიროა ამის შემდეგ გადაწყდეს საკითხი ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ, რაც მოსამართლის შეფასებითი მსჯელობის საგანია, ხოლო მოსამართლის მსჯელობა ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ ეფუძნება სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებული ნორმების ერთობლიობას.ე.ი. მართლწესრიგი მთლიანად არის ის საფუძველი, რაც ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე მიუთითებს. დანაშაულის შემადგენლობის როლი ამ საკითხის გადაჭრაში ძლიერ მცირეა. იგი მხოლოდ მიუთითებს მოსამართლეს იმაზე, რომ საჭიროა შესწავლილი იქნეს მართლწინააღმდეგობის საკითხი.¹

ბელინგის შეხედულებასთან ახლოსაა მაიერის თეორია, რომლის მიხედვით შემადგენლობა მხოლოდ სამხილია მართლწინააღმდეგობის, მისი შეცნობის საფუძველია (*ratio cognoscendi*) და არა მისი არსებობის საფუძველი (*ratio essendi*). დანაშაულის შემადგენლობა ისეთსავე დამოკიდებულებაშია მართლწინააღმდეგობასთან, როგორც კვამლი ხანძართან. ისევე როგორც კვამლის არსებობა მიგვანიშნებს ხანძარზე, ასევე შემადგენლობაც მიგვითითებს, რომ საჭიროა შევისწავლოთ მართლწინააღმდეგობის საკითხი, მაგრამ ისევე როგორც კვამლი არ ამტკიცებს ხანძრის არსებობას, შემადგენლობაც, თავისთავად, არ აფუძნებს მართლწინააღმდეგობას. მისი აზრით მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ „კულტურის ნორმების“ საფუძველზე უნდა გადაიჭრას.²

ბელინგისა და მისი მიმდევრების შეხედულება შემადგენლობის შესახებ კრიტიკულ შენიშვნებს იწვევს. უპირველეს ყოვლისა, არ არის სწორი დანაშაულის შემადგენლობის ცნებიდან ყოველგვარი

1 E. Beling. Die Lehre vom verbrechen. Göttingen. 1906. s. 147.

(ნასარგებლებია თ. ნერეოელი, გ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 126-127).

2 M. F. Mayer. Strafrecht Allgemein Teil. 1915. S. S. 10. 182 (ნასარგებლებია თ. ნერეოელი, გ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 127).

სუბიექტური ელემენტის განდევნა. რიგ შემთხვევაში განსაზღვრულ შემადგენლობას სწორედ მოქმედების მიზანი აუფუნებს (მაგალითად, ქურდობა). გარდა ამისა, შემადგენლობა თავისთავად, როდია მოკლებული ყოველგვარ შეფასებით ელემენტს. როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ მოქმედებას დანაშაულის შემადგენლობის სახით აღწერს, ამით კიდევაც აუფასებს მას, როგორც საზიანოს საზოგადოებისა და მართლწესრიგისათვის.³

საზღვრგარეთის მეცნიერ—იურისტთა ნაწილი, აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ, მოითხოვდა მართლწინააღმდეგობისა და შემადგენლობის სრულ ერთმანეთში აღრევას. ამ შეხედულებას ავითარებდნენ „შემადგენლობის ნეგატიური თეორიის“ წარმომადგენლები: მირუიჩკა, ბაუმგარტენი, კაუფმანი და სხვა. ამ ავტორთა აზრით შემადგენლობაში მოცემულია არა მხოლოდ პოზიტიური ნიშნები, რომლებიც პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კანონში, არამედ ნეგატიური ნიშნები, რომლებიც კანონში პირდაპირ არ არიან მითითებულნი, მაგრამ მასში მდუმარედ იგულისხმებიან. ასეთი ნიშნებია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დაზარალებულის თანხმობა, სავალდებულო ბრძანების შესრულება და ა.შ.). ეს ნიშნები შემადგენლობაში ნეგატიურად იგულისხმებიან, ე.ი. როგორც არარსებულნი. მაშასადამე, შემადგენლობა მაშინ არის, როდესაც არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება, წინააღმდეგ შემთხვევაში შემადგენლობა არ არის. ამრიგად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ყველა გარემოების კომპლექსის არარსებობა დანაშაულის შემადგენლობის პოზიტიური ნიშანია, ხოლო მათი არსებობა შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანს წარმოადგენს. ამ გარემოებათა არსებობა

3 თ. ნერუოლი, გ. ტყეშელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 127-128

გამორიცხავს არა მხოლოდ მართლწინააღმდეგობას, არამედ შემადგენლობასაც, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი გარემოებები შემადგენლობის ისეთივე ნიშანია, როგორიც არის ქონების გატაცების შემადგენლობისათვის „სხვისი ქონება“ ან „მითვისების მიზანი“. კანონმდებელს არ შეაქვს ეს გარემოებები თითოეული დანაშაულის კანონისმიერ განსაზღვრებაში მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებების გამო.

ამ თეორიის მიხედვით გამოდის, რომ მართლწინააღმდეგობა შემადგენლობის ერთერთი ელემენტია, რომელიც თავისი მნიშვნელობით სხვა ელემენტებს უთანაბრდება, მაგრამ ეს ასე არ არის. მართლწინააღმდეგობა ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშანს ერთად აღებულს, იგი მთლიანად ახასიათებს შემადგენლობას. გარდა ამისა, ეს თეორია ერთ სიბრტყეში ათავსებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც მართლწინააღმდეგობას ასაბუთებენ (მაგალითად, 1. სხვისი, 2. ამოღება 3. მისაკუთრების მიზნით) და გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას (აუცილებელ მოგერიებას, უკიდურეს აუცილებლობას და ა.შ.), მაშინ, როდესაც ისინი საპირისპირო ცნებები არიან, ისინი კი არ აფუძნებენ, არამედ გამორიცხავენ, აბათილებენ მართლწინააღმდეგობას. გარდა ამისა, ამ თეორიის თანახმად, მოსამართლემ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნების დამტკიცების შემდეგ, უნდა დაამტკიცოს შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების არარსებობაც.¹

მომდევნო პერიოდში, საზღვარგარეთის იურიდიული აზრი იმ მიმართულებით წავიდა, რომ დანაშაულის შემადგენლობაში თანდათან შეიტანეს სუბიექტური ნიშნები, რომლებიც ობიექტურ ნიშნებთან ერთად მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საფუძვლად სცნეს. შტამლერმა, ბაუერმა და მეცგერმა სუბიექტური ელემენტები, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამოკლებით, შეიტანეს შემადგენლობაში, ხოლო ეს უკანასკნელი კი, ბრალს მიაკუთვნეს, რომელიც შემადგენლობის გარეთ დატოვებს. შემადგენლობაში, ამგვარად დარჩა სურვილი, მიზანი და მოტივი.

¹ თ. ნერეთელი, გ. ტყემელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 131-133.

დაბოლოს, ფინალურმა თეორიამ, რომლის მამამთავარი იყო ველცელი, შემადგენლობაში განზრახვაც შეიტანა, რომელიც გამოძევებული იქნა ბრალის ცნებიდან და შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთად მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგანი გახდა. და, რაკი ამ თეორიამ შემადგენლობის შინაარსში სუბიექტური მომენტები, თვით განზრახვაც კი შეიტანა და რამდენადაც შემადგენლობა შეფასებითი მსჯელობის საგანია, მართლწინააღმდეგობის შესახებ, ამდენად მართლწინააღმდეგობა უკვე აღარ წარმოადგენს ობიექტური შინაარსის შემცველ ცნებას, მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრის მთელი სიმძიმე მოქმედების სუბიექტურ მხარეზეა გადატანილი.²

² იქვე, გვ. 134-135.

თავი V დანაშაულის ობიექტი

§ 1. დანაშაულის ზოგადი ობიექტი

ყოველ დანაშაულს ვნება მოაქვს ამა თუ იმ სიკეთისათვის. ის, რაც ვნებას განიცდის დანაშაულისაგან, ან რასაც ვნების მიყენების საფრთხე ემუქრება, დანაშაულის ობიექტის სახელწოდებით არის ცნობილი. ამგვარად, უობიექტო დანაშაული არ არსებობს.

სისხლის სამართალში განარჩევენ დანაშაულის სამი სახის ობიექტს: ზოგად ობიექტს, გვარეობით ობიექტს და უშუალო ობიექტს.

დანაშაულის ზოგად ობიექტში იგულისხმება ის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები მათ მთლიანობაში, რომელიც ზიანს განიცდის დანაშაულისაგან და რომელსაც იცავს სისხლის სამართლის კანონი. მაგრამ არა ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობაა დაცული სისხლის სამართლის კანონით, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც გამოირჩევა თავისი მნიშვნელობით და ხასიათით. საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმრავლესობას იცავს სამართლის სხვა დარგის და ზნეობის ნორმები.

თავის მხრივ, საზოგადოებრივი ურთიერთობა რთული მოვლენაა, რომელიც მოიცავს ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. იგი ათამიანთა ერთად ცხოვრებისა და შეთანხმებული მოქმედების აუცილებელი ფორმაა, იქნება ეს წარმოება, სახელმწიფო, ოჯახი, სკოლა, სპორტი, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფერო. საზოგადოებრივ ურთიერთობათა საშუალებით მისი მონაწილენი თავიანთ ინტერესს ახორციელებენ. ინდივიდუალური ურთიერთობები ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთერთი შემადგენელი ნაწილთაგანია.¹

სისხლისსამართლებრივი კანონის დაცვის ობიექტი, დანაშაულის ობიექტის იგივეობრივია; იმ უმნიშვნელოვანეს საზოგადო-

¹ ი. ნერეთელი, გ. ტყეშელაძე, „მოძღვრება დანაშაულზე“, თბილისი, 1968 წ., გვ. 138-139.

ებრივ ურთიერთობათა ჩამონათვალი, რომელსაც იცავს სისხლის სამართლის კანონი, აძევებს რა მისი ხელყოფა დანაშაულის რანგში, მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ და მერვე მუხლებში. სსკ-ის პირველი მუხლის თანახმად, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სისხლის სამართლის კოდექსის დაცვის ობიექტებია საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა უფლებანი და თავისუფლებანი და მართლწესრიგი. სსკ-ის მერვე მუხლის მიხედვით დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლებები, მართლწესრიგი.

იმ საკითხის თაობაზე, სახელდობრ როგორ საზოგადოებრივ ურთიერთობას იცავს სისხლის სამართალი, ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი. ავტორთა ნაწილს მიჩნია, რომ დანაშაულის ობიექტს თავისი სპეციფიკა არ გააჩნია და ამდენად, არც მათი დაცვა წარმოადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებულ პრეროგატივას.¹ ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია, მიუთითებდნენ, რომ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა დაცვაც მხოლოდ სისხლის სამართლებრივი საშუალებებით შეიძლება განხორციელდეს (ადამიანის სიცოცხლე, სახელმწიფოს არსებობის საფუძვლები), ე.ი. ისეთი ურთიერთობები, რომელთა დაცვა არღვევენ საზოგადოების არსებობის პირობებს. მსგავსი ურთიერთობების დაცვა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი წესით არის შესაძლებელი.²

თავისთავად ცხადია, რომ ქმედებათა ძირითადი მასა, რომელიც დანაშაულად არის გამოცხადებული, უშუალოდ არ არის მიმართული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების

1 Брайнши Я. М. Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве. М., 1963, стр. 153.

2 Самощенко И. С. Понятие правонарушения по советскому законодательству. М., 1963, стр. 59: თ. ნიჭიკელა, მ. ტყეშელაძე მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1966, გვ.142.

წინააღმდეგ და მათი დანაშაულად გამოცხადება სხვადასხვა გარემოებებით არის პირობადებული, მაგრამ არაპირდაპირ, გაშუალებული გზით, ისინი ერთობლივად ზიანს აყენებენ მთლიანად სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

დანაშაულის ზოგად ობიექტად საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდა ასახელებენ იმ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც იცავს ამ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაგრამ არც ეს საკითხი წყდება ერთგვროვნად სისხლის სამართლის თეორიაში და იგი დავის საგანია მაგალითად, პროფ. ტრაინინის აზრით, ხელყოფის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც ენება განიცდის ხელყოფისაგან ან რასაც ასეთი ენების მიყენების საფრთხე ეუჭრება, ხოლო სისხლის სამართლის კანონმა არ შეიძლება ენება განიცადოს; ის რომ მჯავრდება ხდება ნორმის შესატყვისად, ეს მხოლოდ ნორმის მნიშვნელობას ადასტურებს.¹ მიახლოებით იგივე აზრისაა აღნიშნულ საკითხზე სამოჭრეკოც. მასაც მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა დანაშაულის შედეგად ზიანს არ განიცდის. იგი ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიცდის, როდესაც მართლწესრიგის დამრღვევის მიმართ წინასწარი შეცნობით ხელისუფლების წარმომადგენელი იჩენენ მიმნებებლობას, სხვა შემთხვევაში ილახება არა სამართლებრივი ნორმის, არამედ იმ პირთა ავტორიტეტი, რომლებიც მონოდებულნი არიან ებრძოლონ სამართალდამრღვევებს.²

ეს შეხედულებაც გაკრიტიკებულია ლიტერატურაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის ნორმას ორი ადრესატი ჰყავს. /რაც ზემოხსენებული ავტორების მიერ ყურადღების გარეშე დატოვებული/. ერთის მხრივ, მოქალაქეები, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სათანადო რეაგირების მოხდენა ევალებათ. ამიტომ, როდესაც მოქალაქეები არ ასრულებენ ნორმის მოთხოვნას, ამით კიდევაც ხელყოფენ მას, არღვევენ მის ავტორიტეტს და სწორედ „ასეთი არამატერიალური და მორალური ზიანის თვალსაზრისით სისხლის სამართლის კანონი განიხილება დანაშაულის ობიექტად“³.

1 Траинин А. Н. Общее учение о составе преступления. М., 1957, стр. 124.

2 მ. სამოჭრეკო, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

3 ა. ნერუთელი, მ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 144-145.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობები, ასევე ის სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც იცავენ ამ ურთიერთობებს. ამაზე მეტყველებს სსკ—ის მე—8 მუხლი, სადაც დანაშაულის ცნება წარმოდგენილია, როგორც საზოგადოებრივად საშიში (მატერიალური) და მართლსაწინააღმდეგო (ფორმალური) ნიშნების მიხედვით. ობიექტის ცნების განსაზღვრის დროსაც, ანალოგიურად ამისა, საზოგადოებრივი ურთიერთობები (მატერიალური) და სისხლის სამართლის კანონი (ფორმალური) ამ ცნების ორი შემადგენელი ნაწილია.

პროფ. პიონტოვსკის აზრით, დანაშაულის ობიექტია არა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობები და ამ ურთიერთობების დასაცავად დადგენილი სისხლის სამართლის ნორმები, არამედ აგრეთვე, შესაბამისი სისხლის სამართლებრივი ურთიერთობებიც; სამართალი წარმოადგენს სამართლებრივი ნორმებისა და სამართალურთიერთობების ერთიანობას. სამართლებრივი ნორმის მოთხოვნის რეალიზაცია სამართლებრივი ურთიერთობების ფორმით ხორციელდება. სამართლის ასეთი გაგება შეუძლებელს ხდის სისხლის სამართლის ნორმის ისეთ დარღვევას, რომელიც სამართალურთიერთობის დარღვევას არ იწვევდეს. ამდენად, დანაშაულის ობიექტს, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სისხლისსამართლებრივი ნორმის გვერდით, სისხლის-სამართლებრივი სამართალურთიერთობებიც წარმოადგენს.¹

ამ შეხედულებამ არ კპოვა მხარდაჭერა სისხლის სამართლის თეორიაში. აღინიშნა, რომ ჯერ ერთი, სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ—ერთი შემადგენელი ნაწილია და ამდენად ის, რასაც სამართალი აწესრიგებს, არ შეიძლება მისი შემადგენელი ნაწილი იყოს. მეორეც, სისხლის სამართლის ნორმათა ნაწილი იცავს ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მოწესრიგებულია სამართლის რომელიმე სხვა დარგით (ენ. „შერეული მართლწინააღმდეგობა“),

1 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 121-122.

კონსტიტუციურ დაბულებებსა და პრინციპებს, მორალურ ნორმებს და ა.შ. ამდენად დანაშაულის ობიექტის ცნების განსაზღვრისას ამ ნიშანზე მითითება არ არის მართებული.¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის ზოგადი ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სისხლის სამართლის კანონი.

§ 2. დანაშაულის გვარობითი ობიექტი

სისხლის სამართალი იცნობს დანაშაულის გვარობით, ანუ ჯგუფური ობიექტის ცნებას, რომელშიც იგულისხმება ის ერთგვაროვანი ან იგივეობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სისხლის სამართლის კანონი.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაულთა შემადგენლობები გარკვეული სისტემით არიან განლაგებულნი და ეს სისტემა დანაშაულის გვარობითი ობიექტის მიხედვით არის აგებული, ე.ი. მას საფუძვლად უძევს ისეთი ნიშანი, რომელიც აღნიშნულ დანაშაულთა არსს, მათ სპეციფიკურ თავისებურებებს გამოხატავს. როგორც სავსებით სწორად არის მითითებული ლიტერატურაში სისტემის ასაგებად და დანაშაულთა კლასიფიკაციისათვის არ გამოდგება ისეთი ნიშანი, რომელიც დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ან დანაშაულის სუბიექტს, ან სასჯელს ახასიათებს. ეს გამოიწვევდა ერთ ჯგუფში ისეთ დანაშაულთა გაერთიანებას, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ხასიათითა და სიმძიმის ხარისხით. დანაშაულის სოციალური არსი უპირველეს ყოვლისა კანონით დაცული ობიექტების ხელყოფაში გამოიხატება და ამიტომაა, რომ ამ ნიშნით ერთიანდებიან ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცალკეული დანაშაულობანი.²

¹ თ. წერეთელი, მ. ტყეშელიაძე დასახ. ნაშრ., გვ.149.

² თ. წერეთელი, მ. ტყეშელიაძე მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 150-151.

აღნიშნულის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ცალკეულ კარებად და თავებად დაყოფილია დანაშაულის გვარობითი ობიექტის ნიშნით. მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, ცილისწამება, შეურაცხყოფა და ა.შ. გაერთიანებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში; განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა თავი გვარობითი ობიექტის მიხედვით აერთიანებს სამშობლოს ღალატს, ტერორისტულ აქტს, დივერსიას, მანებლობას და ა.შ.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის თავში გაერთიანებული გვარობითი ობიექტი შეიძლება დანაწილდეს კიდევ მცირერიცხოვან ჯგუფად, ე.წ. ქვეგვარობით ობიექტად. მაგალითად, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ქვეგვარობითი ობიექტის სახით შეიძლება გამოიყოს დანაშაულთა ის ჯგუფი, რომელიც ადამიანის ა) სიცოცხლის, ბ) ჯანმრთელობის, გ) პატივისა და ღირსების და ა.შ. წინააღმდეგ არის მიმართული; სახელმწიფო დანაშაულთა თავში — დანაშაული მიმართული ა) საქართველოს სუვერენიტეტის, ბ) მისი ტერიტორიალური ხელშეუხებლობის და

გ) თავდაცვისუნარიანობის წინააღმდეგ და ა.შ. იგივეობითი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ქვეგვარობით ობიექტად უკვე აღარ დაიყოფა, მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

დანაშაულის გვარობითი და ქვეგვარობითი ობიექტი, ზოგჯერ იგივეა, რაც სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი თავის დასახელება.

დანაშაულის გვარობითი ობიექტის მნიშვნელობა მეტად დიდია დანაშაულთა კლასიფიკაციისათვის.

§ 3. დანაშაულის უშუალო ობიექტი

დანაშაულის ობიექტის ყველაზე კონკრეტულ სახეს უშუალო ობიექტი წარმოადგენს. თითოეული დანაშაულის სპეციფიკური თავისებურება უპირველეს ყოვლისა ამ დანაშაულის უშუალო ობიექტის ხასიათით და თავისებურებით განისაზღვრება. აქედან, დანაშაულის უშუალო ობიექტია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ხელყოფს დანაშაული და რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით. მაგალითად, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული თავისთავში აერთიანებს ისეთ სიკეთეზე ხელყოფას, როგორიცაა სი. ცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი თავისუფლება, პატივი, ღირსება. ხელყოფის ეს უშუალო ობიექტები განსაზღვრავენ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის—მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების—სპეციფიკურ თავისებურებებს. ამრიგად, დანაშაულის უშუალო ობიექტის საშუალებით დგინდება თუ სახელდობრ კონკრეტულად რომელი დანაშაულია ჩადენილი: მკვლელობა, ქონების გატაცება თუ მავნებლობა და ა.შ.

რადგან უობიექტო დანაშაული არ არსებობს, თითოეული დანაშაულის შემადგენლობაში ასახული უნდა იყოს დანაშაულის ობიექტი. უფრო ხშირად დანაშაულის უშუალო ობიექტი პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად ხულიგნობის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი). მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ობიექტზე პირდაპირ მითითებას ვერ ვხვდებით სისხლის სამართლის კანონში. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ სისხლის სამართლის ნორმის ახსნა—განმარტებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას უფრო ზოგადი ნორმის შინაარსი, ნორმის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში, მთელი ჯგუფისათვის საერთო გვარეობითი ობიექტი და ა.შ.

ზოგიერთი დანაშაული ხელყოფს არა ერთს, არამედ ორ ობიექტს. ეს იმით არის პირობადებული, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ერთის ხელყოფა ზიანის მეორისათვის

მიყენებასაც იწვევს. ამის გამო, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განარჩევენ ობიექტს, რომლის წინააღმდეგ უშუალოდ არის მიმართული დანაშაული და აქედან გამომდინარე, რომელსაც პირველყოვლისა იცავს სისხლის სამართლის კანონი და მას მთავარ უშუალო ობიექტს უწოდებენ, ხოლო ყველა დანარჩენი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ასეთ უშუალო ზიანს არ განიცდის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, მეორეხარისხოვან უშუალო ობიექტად იწოდება. მთავარ უშუალო ობიექტს მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, ხოლო არაუშუალო, მეორეხარისხოვანი ობიექტი მნიშვნელობას იძენს სასჯელის დანიშვნის დროს.

დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობა ითვალისწინებს ორ ან მეტ უშუალო ობიექტს, მაგალითად, ყაჩაღობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მაგრამ ამავე დროს იგი ხელყოფს პიროვნებასაც. ასევე, ცრუ დასმენის შემადგენლობაც ორ უშუალო ობიექტს ითვალისწინებს, იგი ხელყოფს საგამოძიებო—სასამართლო აპარატის მუშაობას და ამავე დროს ცალკეული პიროვნების ინტერესებს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც ხელყოფილია ორი ან მეტი უშუალო ობიექტი, ერთ—ერთი მათგანი მაინც უფრო მნიშვნელოვანია, მაგალითად ყაჩაღობის დროს ასეთს წარმოადგენს სხვისი საკუთრება და სწორედ ამიტომ ეს დანაშაული მოთავსებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ხოლო ცრუ დასმენა კი—მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ თავშია გათვალისწინებული.

§ 4. დანაშაულის საგანი

დანაშაულის საგანი არის ის მატერიალური ნივთი, რომელზედაც მიმართულია დანაშაულის მოქმედება, ე.ი. რაზედაც უშუალოდ ზემოქმედებს დანაშაულებრივი (ქონება, ადამიანის სხეული და ა.შ.) ეს დებულება აღიარებულია კრიმინალისტიკა უმრავლესობის მიერ. მათი აზრით, საგანი ობიექტისაგან იმით განსხვავდება, რომ არ

ნარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას. იმ შრომებში, რომლებიც სპეციალურად მიძღვნილია დანაშაულის ობიექტისადმი ის აზრია გატარებული, რომ დანაშაულის ობიექტის და საგნის ერთმანეთისაგან გამიჯვნას აქვს როგორც დიდი თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. პროფ. პიონტკოვსკის მიჩნია, რომ დანაშაულის უშუალო ობიექტია ის, რაზედაც ზემოქმედებს დამნაშავე, რომელიც ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ აღვიქვათ (სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონება, ჯანმრთელობა, სხეულებრივი ხელშეუხებლობა, მოქალაქეთა თავისუფლება და ღირსება, ხელისუფლების ნარმომადგენელი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დანესებულება და ა.შ.), რაც შეეხება დანაშაულის საგანს, მასზე, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება და აუცილებელია ლაპარაკი, როდესაც დანაშაულის ობიექტისაგან განსხვავებით, მისი ხელყოფა არ ხდება, ე.ი. როდესაც იგი ზიანს არ განიცდის. მაგალითად, მექრთამეობის ობიექტი არის სახელმწიფო აპარატის ნორმალური მუშაობა, ხოლო მექრთამეობის საგანი კი — განსაზღვრული მატერიალური ფასეულობა (სსკ-ის 190-ე მუხ.), კონტრაბანდის ობიექტი არის საგარეო ვაჭრობის მინოპოლია, ხოლო კონტრაბანდის საგანი — ის მატერიალური ფასეულობა, რომელიც უკანონოდ გადააქვთ სახელმწიფოს საზღვარზე (სსკ-ის 79-ე მუხ.) და ა.შ.¹ ამრიგად, დანაშაულის უშუალო ობიექტი ზოგად ობიექტთან „ზოგადისა“ და „კერძოს“ მიმართებაშია, მისთვის დამახასიათებელია ის ძირითადი თვისებები, რაც ზოგადისათვის არის თანაარსი, ე.ი. ისიც საზოგადოებრივ ურთიერთობას ნარმოადგენს, ხოლო საგანი, არ არის საზოგადოებრივი ურთიერთობა.

დანაშაულის საგანი ახასიათებს დანაშაულის ისეთ კატეგორიას, რომელიც მატერიალურ საგანზე ზემოქმედებაში პოვებს გამოსხატულებას (მაგალითად, ადამიანის სხეული მკვლელობის დროს), საგანი შეიძლება იყოს განსაზღვრული მდგომარეობის გამოსხატვის ან განმტკიცების ფორმაც (მაგ. დაკუმენტი).

დანაშაულის საგანი არ არის დანაშაულის ყოველი

¹ Курс советского уголовного права. т. 2. М., 1970. стр. 119.

შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი; ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა კი მას სპეციალურად ითვალისწინებს (მაგალითად, ჯაშუშობა, დივერსია და სხვ.) დანაშაულის საგანი არ ახასიათებს ფორმალურ დანაშაულს.

ხშირად, დანაშაულის საგნის დადგენა აუცილებელია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. მაგალითად, იმის დასადგენად სახელმწიფო საკუთრების გატაცებასთან გვაქვს საქმე, თუ ტყის უკანონო გაჩეხვასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დანაშაულთა საგნის დადგენას. გატაცების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაზედაც ადამიანის შრომაა დახარჯული. თუ ტყის გაშენებაზე ადამიანს შრომა არ დაუხარჯავს, იგი ვერ იქნება გატაცების საგანი და დამნაშავემ ტყის გაჩეხვაში პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით (ტყის უკანონო გაჩეხვა).

ზოგჯერ დანაშაულის საგანი ზეგავლენას ახდენს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე.

დანაშაულის საგნისაგან გამსხვავებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის საშუალება, ანუ დანაშაულის ჩადენის იარაღი. ეს ის საგანია, რომლის მეშვეობით დამნაშავე ჩადის დანაშაულს.

ერთი და იგივე საგანი შეიძლება იყოს, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი, ასევე დანაშაულის ჩადენის საგანიც. მაგალითად, დოკუმენტი შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის საშუალება (ყალბი დაკუმენტის გამოყენება—სსკ-ის 214-ე მუხ.) და დანაშაულის საგანიც (ყალბი დოკუმენტის გაკეთება — სსკ-ის 213-ე მუხ.) ფული ქრთამის მიცემისას დანაშაულის ჩადენის საშუალებაა, ხოლო გატაცების შემთხვევაში დანაშაულის საგანი; იარაღი მკვლელობის ან სხეულის დაზიანების დროს—დანაშაულის ჩადენის საშუალებაა, ხოლო უნებართვოდ ტარების დროს — დანაშაულის საგანია. დანაშაულის საშუალება აუცილებლად ექვემდებარება კონფისკაციას. დანაშაულის საგნის კონფისკაცია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამაზე სპეციალურად მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქცია

თავი VI დანაშაულის ობიექტური მხარე

§ 1 დანაშაულგრივი ძვირფასობა

დანაშაულის ობიექტური მხარე არის დანაშაულის გარეგანი ნიშნების დახასიათება სისხლის სამართლის კანონის მიერ. აქ, პირველ რიგში იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის. გარდა ამ ნიშნებისა, დანაშაულის ობიექტურ მხარეში შედის დანაშაულის ჩადენის საშუალება, დრო, ადგილი და ვითარება.

დანაშაულის ძირითად ნიშანს წარმოადგენს კონკრეტული ქმედება, რის გარშემოც თავს იყრის დანაშაულის ყველა დანარჩენი ნიშანი.

ქმედებაზე, როგორც დანაშაულის ძირითად მახასიათებელ ნიშანზე, უკვე ითქვა დანაშაულის ცნების შესახებ თავში. აქ, მხოლოდ იმას დაუშვავთ, რაც დაეას ინვესტა საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში, კერძოდ, იგულისხმება თუ არა დანაშაულებრივი ქმედების საშუალება დანაშაულებრივი ქმედების ცნებაში. გარდა ამისა, განვიხილავთ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კონცეფციებს მოქმედების არსის თაობაზე.

იურისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დანაშაულებრივი ქმედების ცნება არ ამოინურება ადამიანის მხოლოდ სხეულებრივი მოქრაობით, არამედ მასში იგულისხმება ის ძალებიც, რომლებსაც იგი იყენებს და ის კანონზომიერებები, რომლითაც იგი სარგებლობს; რომ სხეულებრივი მოქრაობა თავისთავად აღებული, იმ კონკრეტული პირობების გარეშე, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა, იმ საშუალებებისაგან მონყვევით, რომელიც პიროვნებამ გამოიყენა, და იმ ცვლილებების მხედველობაში მიუღებლად, რაც მას მოჰყვა, ლიტონ აბსტრაქციას წარმოადგენს. ამიტომაც მოქმედების ცნება სისხლის სამართალში მოიცავს იმ ძალებსა

და ობიექტურ კანონზომიერებებს, რომელსაც პირი იყენებს დროისა და ადგილის განსაზღვრულ პირობებში თავისი ქმედების განსახორციელებლად.¹

ამ შეხედულებას თავისი მონინალმდეგენიც ჰყავს. მიუთითებენ, რომ მართალია, ადამიანი ობიექტურ გარესამყაროზე ზემოქმედების პროცესში იყენებს გარეგან კანონზომიერებებს, ბუნების კანონებს, მაგრამ თვით ამ კანონზომიერების და მოქმედების საშუალებათა შეტანა მოქმედების ცნებაში არ არის გამართლებული, ვინაიდან გარეშე სამყაროს კანონზომიერებანი არ არიან დამოკიდებული ადამიანის ნებისა და შეგნებისაგან, განსხვავებით მოქმედებისა, რომელიც მის ნებაზეა დამოკიდებული; დანაშაულებრივი ქმედების საშუალებანი, თუმცა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მთელი პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად მოქმედების ცნებაში არ შედიან. მოქმედება და მოქმედების მთელი პროცესი განსხვავებული უნდა იქნეს ერთმანეთისაგან. მოქმედების პროცესს განეკუთვნება თვით სუბიექტი, მოქმედება, როგორც ადამიანის მიზანწარმართული ზემოქმედება გარესამყაროზე, მოქმედების საშუალებანი და ობიექტი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება და რომელშიც უნდა მოხდეს სასურველი ცვლილება, ე.ი. ის შედეგი, რისთვისაც ადამიანი იღწვის.²

უნდა ითქვას, რომ მოქმედების შესახებ მოძღვრებამ ხანგრძლივი განვითარების გზა გაიარა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში. მე—40 საუკუნის დასაწყისისათვის გაბატონებული იყო შეხედულება, რომელიც ცნობილია მოქმედებაზე „ბუნებრივი“ ანუ „კაუზალური“ სწავლების სახელწოდებით. იგი თავდაპირველად ცივილისტმა ციტელმანმა ჩამოაყალიბა, ხოლო შემდეგ კრიმინალისტებმაც, კერძოდ, ლისტმა

1 Дурманов Н. Д. Понятие преступления. М., 1948 стр. 54; Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 146.

2 Кузнецова. Н. Ф. Значение преступных последствий. М., 1958. стр. 11; თ. ნურთელი, გ. ტყეშელაძე. მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ.172

და ბელინგმა გადმოიღეს და განავითარეს.

ციტელმანის აზრით, მოქმედება ეს არის სხეულებრივი მოძრაობა, რომელსაც გარედან ნება წარმართავს. ამ უკანასკნელის შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ იგი სხეულებრივი სამყაროს მოვლენა არ არის, თუქცა სხეულებრივ მოძრაობას კი ინვეეს. ამრიგად, ციტელმანის მიხედვით, ნება და სხეულებრივი მოძრაობა ერთიან მთლიანს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთმანეთისაგან მოწყვეტილად არსებობენ და ერთმანეთთან მიზეზ — შედეგობრივ დამოკიდებულებაში არიან. ნებისყოფის აქტი — ფსიქიკური პროცესია, რომელიც გარედან წარმართავს მოქმედებას, ხოლო სხეულებრივი მოძრაობა კი, — ფიზიკური, რომელიც ნებისყოფის აქტის მეშვეობით წარმოიქმნება და შემდეგ უკვე თვით არის გარესამყაროში მომხდარი ცვლილების მიზეზი. მსგავსი შეხედულებას გამოთქვამს აღნიშნულ საკითხზე ლისტიც!

ამრიგად, მოქმედების „კაუზალურმა“ ანუ „ბუნებრივმა“ თეორიამ ნებისყოფის აქტი მთლიანად გარეგანი, მექანიკური მიზეზობრიობის კანონს დაუმორჩილა და მოქმედების ცნებიდან ფსიქოლოგიური პროცესები გააძევა, რითაც მოქმედება წმინდა ფიზიკურ მოვლენად დარჩა. მაგრამ ნებისყოფა არ შეიძლება იყოს მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობის მიზეზი; არსებობენ ასეთი შინაგანი ნებელობითი პროცესები, რომლებიც არ ვლინდებიან მოქმედებაში. შინაგან ნებელობით აქტს, რომელიც გარეგნულად არ გამოვლინებულა „შინაგანი“ მოქმედება ეწოდება. ამის მაგალითია რაიმე ამბის მოგონება.²

აღნიშნული თეორიის მიხედვით გაჭიდის, რომ უმოქმედობის დროს ნებელობითი აქტი არ არსებობს, ვინაიდან არ არის სხეულებრივი მოძრაობა. ეს შეხედულება გაკრიტიკებულია იქნა „ნორმატივისტული“ თეორიის წარმომადგენლების მიერ, რომელთა აზრით „ბუნებრივი“ სწავლება მოქმედების თაობაზე გამოუსადეგარია სისხლის სამართლისათვის და ამიტომ მათ იკისრეს

ი. ნერეთელი დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი. თბილისი, 1964, გვ. 30.
2 იქვე.

შექმნათ სპეციფიკური მოძღვრება მოქმედების შესახებ, რომელსაც გამოიყენებდნენ სისხლის სამართალში. კერძოდ, „ნორმატივისტების“ მიხედვით მოქმედებად სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობით ითვლება მხოლოდ ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

მოქმედების წმინდა იურიდიული, ნორმატივისტული გაგება, მოქმედებას განიხილავს არა როგორც ობიექტურ სამყაროში მიმდინარე რეალურ პროცესს, ადამიანის შეგნებულ და მიზანდასახულ ზემოქმედებას გარე სამყაროზე, არამედ როგორც შეფასებით მსჯელობას, ე.ი. მოქმედების ცნებამ დაკარგა ობიექტური ხასიათი და სუბიექტურ ცნებად იქცა.

ქმედების სუბიექტური გაგება განსაკუთრებით დამახასიათებელია „ფინალური თეორიისათვის“, რომლის მამამთავარი იყო გერმანელი კრიმინალისტი ველცელი.

ამ თეორიას საფუძვლად დაედო ფილოსოფოს ნიკოლაი ჰარტმანის მოძღვრება ქმედების ფინალური ბუნების შესახებ.

ფინალური თეორია შეეცადა მოქმედების ისეთი ცნების შექმნას, რომელიც საერთო იქნებოდა დანაშაულის გამოვლენების ყველა ფორმისათვის ე.ი. მისი *genus proximum*, რომელიც მიუთავსებოდა დანაშაულის ყველა სახეობას და ამ გაგებით იქნებოდა მისი ემ *differentia specifica*

ფინალურ თეორიას ქმედების ძირითად ელემენტად მიაჩნია მისი მიზანდასახულობა და არა მისი კაუზალობა. ქმედების ფინალურობა ემყარება ადამიანის ცოდნას კაუზალობის შესახებ, რის საფუძველზე მას შეუძლია გაითვალისწინოს თავისი საქმიანობის შესაძლებელი შედეგები, დასახოს მიზნები და გეგმავს მიზნობრივად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მისაღწევად. ფინალური თეორია ერთმანეთისაგან გამოყოფს ქმედების კაუზალობას მისი ფინალურობისაგან, ფინალური საქმიანობა მიზნისაკენ შეგნებული მოქმედებაა, ხოლო კაუზალური — მიზნით კი არ არის წარმართული, არამედ მიზნობრივი კომპონენტების შემთხვევითი შედეგია. ამიტომ ფინალურობა თვალსიჩქარულია, ხოლო კაუზალობა კი, — ბრმა.

ფინალური მოქმედების ძირითადი ელემენტი ნებაა, რომელიც

წარმართავს მოქმედებას. ნება რომ არა, მოქმედება მართლაც, რომ ბრმა პროცესი იქნებოდა. ფინალურად განხორციელებული მხოლოდ ის შედეგია, რომელიც წინასწარ იყო გათვალისწინებული სუბიექტის მიერ როგორც მიზანი და ამდენად მასზე იყო მიმართული ფინალური ნებისყოფა. ამ თეორიის ნაკლი იმაშია, რომ იგი აიგივებს ქმედების ფინალურობას და განზრახულობას და განზრახვა შეაქვს მოქმედების ცნებაში. ამ თეორიის მიხედვით განზრახვა არის არა ბრალის ელემენტი, არამედ იგი მოქმედების ძირითადი შემადგენელი ელემენტია. ფინალური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენლის — მაურახის აზრით — თანმიმდევარი ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს როგორც ისეთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედების შემადგენლობას ეკუთვნის. ამრიგად, ფინალისტები გამოდიან სისხლის სამართალში აღიარებული იმ დებულების წინააღმდეგ, რომ განზრახვა არის ბრალის ერთ-ერთი ფორმა **dolus malus** „ზღუდა“ - „ბოროტი“ განზრახვა და არა რაიმე მოვლენის გათვალისწინება და სურვილი ან დაშვება. განზრახვის, როგორც უმართლობის სუბიექტური ელემენტის, მოქმედების ცნებაში შეტანით, განზრახვა მართლწინააღმდეგობის აუცილებელი საფუძველი ხდება. ამრიგად, ფინალისტებმა მართლწინააღმდეგობას გამოაცალეს ობიექტური ნიშანი და იგი სუბიექტურ ცნებად აქციეს. გარდა ამისა, მათ ბრალის ცნებიდან ამოიღეს რა, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, იქ მხოლოდ შეფასებითი მომენტი — მხოლოდ გასაკიცხაობა დასტოვეს, რომლის საგანი მოქმედება და მისი ჩადენის ნებისყოფაა.

უნდა ითქვას, რომ ბრალის შესახებ ამ თეორიას უფრო შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული, ფინალისტებმა მხოლოდ განავითარეს იგი. ეს შეხედულება პირველად ნორმატივისტებმა — ფრანკმა, მაიერმა და სხვებმა წამოაყენეს. ისინი ბრალს განიხილავდნენ, როგორც შეფასებით კატეგორიას, როგორც მსჯელობას გასაკიცხაობის შესახებ, მაგრამ ფინალისტებისაგან განსხვავებით, განზრახვას და გაუფრთხილებლობას სრულიად კი არ აძევებდნენ ბრალის ცნებიდან, არამედ მის აუცილებელ პირობებად ან ელემენტებად ტოვებდნენ. ბრალის

ცნების გათავისუფლება განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან სცადა ა. დონამ, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა დანაშაულის შეფასებითი და ფაქტობრივი მხარეები, კერძოდ, მართლწინააღმდეგობა და ბრალი აქ უპირისპირდება დანაშაულის შემადგენლობას, როგორც მხოლოდ ფაქტობრიობას, მაგრამ ა. დონამ არ მიუჩინა ადგილი განზრახვას, რომელიც ბრალს მონყვიტა. ველცელი ფინალისტების დიდ დამსახურებად სწორედ იმას მიიჩნევდა, რომ განზრახვას მოქმედებაში ჯეროვანი ადგილი მოუნახეს.

ფინალურმა თეორიამ ვერ დაასაბუთა გაუფრთხილებელი ქმედების ფინალური ხასიათი, ვინაიდან ფინალისტების მიხედვით მხოლოდ ის შედეგია ფინალური, რომელიც მიზნით არის წარმართული, ყველა დანარჩენი კი—წმინდა კაუზალურია. ფინალისტები სხვა გზით შეეცადნენ გაუფრთხილებელი ქმედების ფინალურობის დასაბუთებას. ამისათვის ისინი განზრახი დანაშაულისაგან განსხვავებით, რომელიც აქტიურ ფინალურობას გულისხმობს, გაუფრთხილებელ დანაშაულს პოტენციური ფინალურობით ახასიათებენ და მსჯელობენ ასე: ფინალური მოქმედება სამართალში ორი ასპექტით ვლინდება—როგორც მოქმედება გასაკიცხი ფინალობით—განზრახი ქმედება და როგორც მოქმედება სოციალურად ინდიფერენტული ფინალობით, მაგრამ არასასურველი არაფინალური შედეგებით, — გაუფრთხილებელი ქმედება. ე.ი. გამოდის, რომ ფინალისტებმა გაუფრთხილებლობის ფინალური ხასიათის დასაბუთების ნაცვლად, მისი არაფინალურობა დაასაბუთეს. ამიტომ იგრძნეს რა ეს, ფინალისტებმა სხვა ხერხს მიმართეს. მათი მტკიცებით, მართალია, განზრახ ქმედებაში ფინალურობა უფრო აშკარა და გამოკვეთილია, მაგრამ გაუფრთხილებლობაც როდია მოკლებული ფინალურობას. ფინალურობა შეიძლება ვრცელდებოდეს ზოგიერთ შედეგზე, მაგრამ არ ვრცელდებოდეს დანარჩენზე, რომლებიც მართალია კაუზალურად დაკავშირებულნი არიან მოქმედებასთან, მაგრამ შეგნებით და ნებით არ არიან მოცულნი. ამის ზაილუსტრაციოდ მათ მოიპყრეს მაგალითი: ექთანი, რომელმაც უადმიყოფს მორფიუმის სასიკვდილო დოზა გაუკეთა, ფინალურად

მოქმედებს ინექციის მიმართ და არა ადამიანის სიკვდილის მიმართ. ამრიგად, განზრახვი ქმედების დროს ფინალურობა მიმართულია შემაღლებლობის შესაბამის შედეგზე, ხოლო გაუფრთხილებელი დელიქტის დროს კი, ფინალურობა მიმართულია არა შემაღლებლობის შესაბამის შედეგზე, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტულ შედეგზე. ხსენებული მაგალითის მიხედვით, მკვლელობა არაა, ვინაიდან ფინალურობა შეეხებოდა მხოლოდ ინექციას, ხოლო დანარჩენი, რაც განხორციელდა კაუზალურია. მაგრამ გაუფრთხილებლობის ფინალურობის დასაბუთება მაინც ვერ მოხერხდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, გაუფრთხილებელი მოქმედების დროს ნებისყოფის შინაარსი და ფაქტიური კაუზალური პროცესი არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ, ეს თეორია იძულებული გახდა გაუფრთხილებელი დელიქტების დროს მოქმედების ცნება ისევე დაახასიათოს, როგორც ბრალის შესასებ ტრადიციული მოძღვრება ახასიათებს მას.

ფინალური თეორიის ნაკლი იმაშიცაა, რომ შეიტანა რა მოქმედების ცნებაში განზრახვა და აღიარა რა იგი მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად, ამით მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გადააქცია, რითაც წაიშალა ყოველგვარი ზღვარი მართლწინააღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნებასა და ბრალის ცნებას შორის.

მართლწინააღმდეგობა არის ქმედების ობიექტური წინააღმდეგობა სამართლებრივი ნორმისადმი. მართლწერივი უარყოფითად ახასიათებს მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს ამ ურთიერთობებისათვის, ესე იგი საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალური შინაარსია. ხოლო ფინალურმა თეორიამ მთელი სამძიმის ცენტრი მართლწინააღმდეგობის საკითხის განხილვისას მოქმედების სუბიექტურ მხარეზე გადაიტანა, რამდენადაც მოქმედების ცნების ცენტრი მისი ფინალურობაა, ამდენად მართლწინააღმდეგობის ცნების საფუძველი მოქმედების სუბიექტური შინაარსით არის განსაზღვრული. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ

მოქმედება თვით არ შეიცავს რაიმე საშიშროებას სამართლით დაცული ინტერესისათვის, მაგრამ თუ იგი გასაკიცხია ფინალური თვალსაზრისით, იგი მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება. ამრიგად, ამ თეორიის თანახმად, პასუხისმგებლობისათვის მთავარი ის კი არ არის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოქმედებას ობიექტურ სინამდვილეში, არამედ იმას, თუ როგორია სუბიექტის მოქმედების მიზანი, მისი ფინალურობა. შესაბამისად ამისა, კანონით ზუსტად გათვალისწინებული და დასჯადი ქმედების ადგილს იკავებს პასუხისმგებლობა პირის განწყობისათვის.

ასევე მიუღებელია ფინალისტების მიდგომა ბრალის საკითხისადმი. მათ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად კი არ დასახეს, არამედ მართლსაწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საგნად აქციეს.¹

§ 2. დანაშაულებრივი შედეგი

დანაშაულებრივი შედეგი არის ადამიანის დანაშაულებრივი მოქმედებით გამოწვეული ცვლილება გარესამყაროში. მოქმედება და შედეგი ისე უნდა იქნან განხილულნი, როგორც მიზეზი და შედეგი.

ზოგიერთი კრიმინალისტი ერთმანეთში ურევს შედეგისა და მოქმედების ცნებებს. მაგალითად, გამოითქვა შეხედულება, რომლის თანახმად, შედეგი ერთსა და იმავე დროს მოქმედებასაც მიეკუთვნება და ობიექტსაც². ეს შეხედულება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. მართალია, როგორც აღინიშნა ლიტერატურაში, მოქმედება და შედეგი ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ შედეგი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს მოქმედებას. მოქმედება გარკვეული პროცესია, რომლის შინაარსი ობიექტზე

¹ აღნიშნული თეორიები და მათი კრიტიკა მოტანილია ნაშრომიდან: თ. ნერეთელი. დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი. თბილისი, 1966, გვ. 29-42.

² Б. С. Никифоров. Объект преступления. М., 1960. стр.141-142.

ზემოქმედებაა, ხოლო შედეგი კი, — ამ მოქმედების რეზულტატია, რომელიც ობიექტში ძევს.

პროფ. დურმანოვის აზრით ყოველგვარი ზემოქმედება ობიექტზე, რომელიც მასში არაარსებით ცვლილებას ინვესს მოქმედებას განეკუთვნება, ხოლო არსებითი ცვლილება ობიექტში (რაც კანონის დისპოზიციაშია აღწერილი) — შედეგს.¹ როგორც სამართლიანად მიუთითებენ ლიტერატურაში „...ის, რომ ადამიანის მოქმედებამ ნაკლებმნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია, არ ართმევს ამ შედეგებს გარესამყაროში ცვლილების ხასიათს და არ გადააქცევს ცვლილებებს თვით მოქმედების ნაწილად.“²

უნდა აღინიშნოს, რომ შედეგისა და მოქმედების აღრევის ცდები უფრო გამოკვეთილად წარმოდგენლია ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. მაგალითად, ჯერ კიდევ ფ. ლისტის აზრით, შედეგი თვით მოქმედების განუყოფელი ნაწილია³. ამ შეხედულებას იზიარებდა მეცვერიც. იგი შედეგის ცნებას ადამიანის სხეულებრივ მოძრაობასაც კი აკუთვნებდა. მაგალითად, მკვლელობის დროს შედეგია არა მხოლოდ ადამიანის სიკვდილის ფაქტი, არამედ თოფის დამიზნება, ჩახმანის გამოკვრა, ე.ი. ადამიანის სხეულებრივი მოძრაობაც.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დავაა იმ საკითხის თაობაზეც გულისხმობს თუ არა ყოველი დანაშაული შედეგს, თუ არის უშედეგო დანაშაულიც.

ნაწილი კრიმინალისტებისა გამოთქვამს აზრს, რომ ყოველი დანაშაულისათვის შედეგი არ არის თანაარსი და საკმარისია მხოლოდ მოქმედება ან უმოქმედობა. არიან შემადგენლობანი, მიუთითებენ ისინი, რომლებიც დამთავრებულად ითვლებიან თვით მოქმედების მომენტში, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა მანვე შედეგი. ამის საილუსტრაციოდ მოაქვთ ცრუ დასმენის, ალიმენტის გადაუხდელობის და დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გატაცების განუცხადებლობის შემადგენლობები, სადაც

1 Дурманов Н. Д. Понятие преступления. М., 1948, стр. 52.

2 თ. ნერუთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი. თბილისი, 1966, გვ. 47.

3 Учебник уголовного права. Общая часть. М., 1903.

მანვე შედეგი შეიძლება არც განხორციელდეს. ცრუ დასმენამ ენება არ მიაყენოს არც დასმენილის და არც მართლმსაჯულების ინტერესებს, არც იმ ბავშვის ინტერესები დაზიანდეს, ვისაც ალიმენტს არ უხდიან, დატაცების საქმე მაინც გაიხსნას და ა.შ.

ამ შეხედულების წინააღმდეგ პირველად გამოვიდა პროფ. ა. ტრაინინი, რომელიც მიუთითებდა, რომ რამდენადაც ყოველი დანაშაული ხელყოფს რაიმე ობიექტს, ამდენად ყოველი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება აუცილებლად გულისხმობს ამ ობიექტისათვის ზიანის მიყენებას. აქედან, ისევე როგორც არ არსებობს უობიექტო დანაშაული, არ არსებობს არც უშედეგო დანაშაული. შედეგი ყოველი დანაშაულის აუცილებელი ელემენტია.

პროფ. ა. ტრაინინს მიაჩნია, რომ მსგავსი შეხედულებანი შედეგის არარსებობის შესახებ თვით შედეგზე მცარიე წარმოდგენით არის განპირობებული. ხსენებული თვალსაზრისის მომხრეებს შედეგი ესმით როგორც მხოლოდ ობიექტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება, რაც შედარებით ადვილი დასადგენია, მაგრამ პოლიტიკური, ფსიქიკური, მორალური ზიანიც შედეგია, თუმცა ძნელად დასადგენი და ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი არ ითვალისწინებს შედეგს, როგორც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.¹

პროფ. თ. წერეთელი ამ დავის წარმოშობის მიზეზს იმით ხსნის, რომ სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შედეგის ცნებას ორი მნიშვნელობით ხმარობს: ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით შედეგი ყოველი დანაშაულის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით შედეგი არ არის დამახასიათებელი ყოველი დანაშაულისათვის, იგი დამახასიათებელია მხოლოდ მატერიალური ანუ შედეგიანი დანაშაულისათვის.

შედეგი ფართო მნიშვნელობით ობიექტურ გარესაყაროში განსაზღვრული ცვლილებაა. იგი არსებობს იმისგან დამოუკი-

¹ А. Н. Трайнин. Общие учение о составе преступления. М., 1957. стр. 138-144.

დებლად, არის თუ არა იგი ჯათვლისწინებული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, აქედან ცხადია, რომ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ყველა ნიშნის შესრულება ყოველთვის გულისხმობს შედეგს ფართო გაგებით.

სასამართლოს არ მოეთხოვება შედეგის ფართო გაგებით დადგენა, დანაშაული დამთავრებულია ოუ შემადგენლობის ყველა ნიშანია განხორციელებული. ამიტომ თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირმა შეგნებულად ცოუ ჩვენება მისცა (197-ე მუხ.), ანდა არ გადაიხადა ალიმენტი (124-ე მუხ.) ამით უკვე დამტკიცებულია შედეგის არსებობაც, ვინაიდან ადგილი ჰქონდა კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობის დარღვევას, ე.ი. შედეგს ფართო მნიშვნელობით და სრულადაც აღარაა საჭირო სხვა რაიმე დამატებითი შედეგების მტკიცება.¹

ამრიგად, კანონი შედეგად ფართო მნიშვნელობით თვლის ობიექტის ყოველგვარ ხელყოფას, თუნდაც იგი დანაშაულის საგნისათვის მატერიალური ზიანის მიყენებაში არ გამოიხატებოდეს.

ფართო მნიშვნელობით შედეგის დადგენა შეიძლება საჭირო გახდეს ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება ხელყოფს რამდენიმე ობიექტს და საჭიროა სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობით, ან როდესაც ხელყოფის ობიექტის მიხედვით საჭიროა ერთი დანაშაულის მეორისაგან გამიჯვნა.

ვიწრო მნიშვნელობით შედეგი არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღნიშნული, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. მაგალითად კაცის სიკვდილი, მკვლელობის დროს (104—108 მუხ.), ადამიანის სხეულის დაზიანება (110—115 მუხ.), ქონების განადგურება ან დაზიანება (მუხ. 157) და სხვა.

როდესაც დანაშაულის შედეგი შეტანილია სსკ-ის მუხლის

¹ თ. ნურთოღლი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი თბილისი, 1965, გვ. 51-52.

დისპოზიციაში როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, დანაშაული დმთავრებულად მხოლოდ ამ შედეგის განხორციელების შემთხვევაში ითვლება. თუ ეს შედეგი არ განხორციელდა, იქნება დანაშაულის მომზადება ან მცდელობა. ამრიგად, შედეგი ვინრო მნიშვნელობით სწორედ ის ცვლილებაა, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღწერილი და არა ყოველი, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც შეიძლება მოყვეს დანაშაულს. ამ დებულებით ხაზი აქვს გასმული შედეგის ცნების შეფარდებით ხასიათს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელყოფის ობიექტის ამა თუ იმ ცვლილების აღიარება დანაშაულის შედეგად დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე არის დამოკიდებული. მაგალითად, ყველა იმ უთვალავი შედეგებიდან, რომელიც თან ერთვის მკვლელობას (ტყვიის გასროლა შედეგია ჩახმახის დაცემისა, გულის ქსოვილის გარღვევა—გულში ტყვიის მოხვედრისა, მსხვერპლის სიკვდილი—გულის ქსოვილის დარღვევისა და ა.შ.)¹ სისხლის სამართალი შედეგად მიიჩნევს მხოლოდ იმ ცვლილებას გარესამყაროში, რომელიც კაცის სიკვდილში გამოიხატა, რადგან სწორედ ეს შედეგია აღნიშნული სისხლის სამართლის კანონში, როგორც მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. შედეგის ასეთი შეფარდებითი ხასიათის გამოა, რომ სხეულის დაზიანება მკვლელობისაკენ მიმართული მოქმედებით—მკვლელობის მცდელობაა და არა სხეულის დაზიანების დამთავრებული შემადგენლობა. ესე იგი, გადამწყვეტი აქ ის არის, თუ როგორ ცვლილებას მიაკუთვნებს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილშია გათვალისწინებული.

იმის შესაბამისად არის თუ არა შედეგი ვინრო მნიშვნელობით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაში, დანაშაული იყოფა შედეგიან და შედეგგარეშე დანაშაულად, ანუ სისხლის სამართალში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით „ფორმალურ“

¹ ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

და „მატერიალურ“ დანაშაულად.

შედეგგარეშე დანაშაულის დროს კანონში აღწერილი ქმედება თავისთავად დამთავრებული დანაშაულის სახით არის წარმოდგენილი და არ არის მითითებული როგორც ამ შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი შემდგომი შედეგები. ასეთი დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულდა აკრძალული მოქმედება.

თვით შედეგგარეშე დანაშაული ორ სახედ იყოფა: შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაული და შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაული. შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაული სრულდება კანონში მითებული პოზიტიური მოქმედებით, ხოლო შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაული კი, განსაზღვრული სავალდებულო მოქმედებისაგან თავის შეკავებით.

შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაულია სსკ-ის 196-ე (შეგნებულად ცრუ დასმენა), 197-ე (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა), 201-ე, (მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება), 88-ე (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება) და ა.შ. მუხლებით გადმოცემული დანაშაული.

შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაულია 83-ე (ომიანობის დროს ბეარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება), 124-ე (ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება), 206-ე (დანაშაულის განუცხადებლობა) და ა. შ. მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

კანონმდებელი შედეგგარეშე დანაშაულს აყალიბებს იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც შედეგი განსაზღვრულ მოქმედებას გარდუვალად მოსდევს და ამდენად მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეუძლებელია (დებურტირობა);

ბ) როდესაც ქმედებამ შეიძლება სხვადასხვა შედეგები გამოიწვიოს და ამიტომ კანონმდებელი მათი კონკრეტიზაციისაგან თავს იკავებს;

გ) როდესაც დასაცავი საზოგადოებრივი ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი აღარ ელოდება

ზიანის დადგომას და დასჯადად აცხადებს ამ ზიანის განსახორციელებლად მიმართულ მოქმედებას, თუნდაც ეს მოქმედება ზიანის განხორციელების ნაკლები ალბათობით ხასიათდებოდეს. მაგალითად, 71-ე (საჯარო მონოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ), 71-ე (მონოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ), 72-ე (მონოდება ომის გაჩაღებისაკენ), 73-ე (ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლები და ა. შ.

შედეგგარეშე შემადგენლობაში, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადად იგულისხმება ქმედების აბსტრაქტული საფრთხე და მოსამართლეს აღარ ევალება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ საფრთხის რეალურად არსებობის დამტკიცება. ამიტომაც, შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულია თვით ქმედების ჩადენის მომენტშივე. შეიძლება შედეგგარეშე დანაშაულს ფაქტიურად რაიმე შედეგი მოჰყვეს. ამ შედეგის არსებობას არა აქვს მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს (საქ. სსკ—ის 39—ე მუხლის მე—5 პუნქტი).

შედეგიანი დანაშაულის დროს მუხლის დისპოზიციაში შედეგის განხორციელება საგულდაგულოდ არის მითითებული. შედეგიანი დანაშაული უმთავრესად მაშინ ყალიბდება, როდესაც ზიანის მიყენება უკავშირდება დანაშაულის საგანზე ზემოქმედებას და იგი შეიძლება აღქმული იქნეს ჩვენი გრძნობის ორგანოების მეშვეობით (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების გატაცება და ა.შ.). შედეგიანი დანაშაულის დამთავრებისათვის აუცილებელია გარე სამყაროში იმ ცვლილების განხორციელება, რომელიც შედეგის სახით გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში.

ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი იმ საკითხის შესახებ, თუ რომელ დანაშაულს, შედეგიანს თუ შედეგგარეშეს უნდა მიეკუთვნოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონის დისპოზიცია ითვალისწინებს დაზიანების კონკრეტული საფრთხის შექმნას

ობიექტისათვის. ასეთ შემადგენლობებს საფრთხის კემქსული დანაშაული ანუ დელიქტი ეწოდება.

კრიმინლისტთა ერთი ნაწილი ასეთ შემთხვევას შედეგგარეშე შემადგენლობას მიაკუთვნებს, ვინაიდან მისი დამთავრებისათვის კანონი არ მოითხოვს მავნე შედეგის რეალურად დადგომას, არამედ — მხოლოდ მისი განხორციელების შესაძლებლობას.¹

თ. ნერეთლის აზრით, ასეთი შემადგენლობები შედეგიან დანაშაულს განეკუთვნებიან, ვინაიდან შედეგის საფრთხეც, გარკვეული მნიშვნელობით შედეგს წარმოადგენს, იგი არის მავნე შედეგის განხორციელების რეალური საშიშროება; ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც განვითარების საერთო კანონზომიერების მიხედვით მავნე შედეგი შეიძლება განხორციელდეს, რამდენადაც მავნე შედეგის გამომწვევი პირობები შექმნილია, ე.ი. გარკვეული ცვლილებები ობიექტურ გარესმყაროში უკვე მოხდა, ამდენად საფრთხე დანაშაულებრივი შედეგის სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს.²

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თუ მითითება მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე კანონის დისპოზიციაშია მოცემული, დანაშაულის ასეთი შემადგენლობა შედეგიან დანაშაულს განეკუთვნება. ამიტომ მოსამართლემ უნდა დაადგინოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნამდვილად არსებობდა მავნე შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა და დაამტკიცოს მიზნობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შექმნილი საფრთხის მდგომარეობას შორის.

შედეგიანი დანაშაული, ისევე როგორც შედეგგარეშე, შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით (*delicta commissiva*), ისე უმოქმედობითაც (*delicta commissiva per omissionem*). ორივე შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზნობრივი

1 Н. Д. Дурманов. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву. М., 1955, стр. 40.

2 თ. ნერეთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი თბილისი, 1966, გვ. 60; Н. Ф. Кузнецова. Значение преступных последствий. М., 1958, стр. 25; В. Н. Кудряшнев. Объективная сторона преступления. М., 1960, стр. 156.

კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ საშიშ შედეგს შორის.

შედეგიან დანაშაულში შეიძლება წარმოიშვას შემდეგი შედეგი, რომელიც კანონის დისპოზიციით არ არის გათვალისწინებული. ამ შედეგს არა აქვს მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშნისას.

განსხვავებით ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემადგენლობებს, სადაც მძიმე შედეგის განხორციელება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. თუ აღნიშნული შედეგი არ განხორციელდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, მაგალითად, 44 — ე (ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა), 44-ე (სამშენებლო სამუშაოების წარმოების წესების დარღვევა), 45-ე (სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევა) მუხლები და სხვა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა.

იზადება კითხვა, იმისათვის, რომ პირს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დამდგარი მძიმე შედეგისათვის, უნდა აქონდეს თუ არა მას ბრალი ამ მძიმე შედეგის მიმართ?

ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ბრალს ასეთი შედეგისათვის არ მოითხოვს. შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება. თვით შედეგს, ისინი დანაშაულის შემადგენლობას ამ შემთხვევაში არ აკუთვნებენ და უწოდებენ მას „დასჯადობის ობიექტურ პირობას“. თუმცა ნაწილი ბურჟუაზიული იურისტებისა ცდილობს დაასაბუთოს, რომ „დასჯადობის ობიექტური პირობების“ არსებობა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას არ ნიშნავს, რადგან ასეთი შემადგენლობებით გათვალისწინებული შედეგები ჩვეულებრივი ანუ ტიპური რისკის სფეროშია; ამ სარისკო მოქმედებით წარმოქმნილი შედეგების მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ გულისხმობს განზრახვას ან გაუფრთხილებლობას, არამედ არის კიდევ ბრალის მესამე ფორმა რომელიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან განსხვავდება. მისი არსი იმაშია, რომ

მოსამართლეს შეუძლია გასაკიცხად ჩათვალოს მანვე შედეგის ისეთი მოქმედებით განხორციელება, რომლის აბსტრაქტული საშიშროებაც პირს ჰქონდა შეგნებული. ეს დოქტრინა იმაზე იყო აგებული, რომ ვინც უკანონო მიზანს ისახავს და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის, ამით თავის თავზე იღებს რისკს შემდგომი შედეგებისათვის, ვინაიდან ამ შედეგების გათვალისწინება დასაწყისში ყოველთვის არ შეიძლება. ეს დოქტრინა თავის ფესვებს შუა საუკუნეებიდან იღებს, როდესაც ბრალს იმაში ხედავდნენ, რომ პირმა განახორციელა ისეთი შედეგი, რომელიც სასჯელს იმსახურებს!

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ამაზე ნათლად მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი. პასუხისმგებლობა შედეგისათვის მხოლოდ მაშინ დგება, თუ პირს შეეძლო მაინც გაეთვალისწინებინა თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მძიმე შედეგი. ეს შედეგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია და იგი აუცილებლად მოცული უნდა იყოს სუბიექტის ბრალით. როდესაც მძიმე შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში შეტანილია როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, ასეთ შემადგენლობას მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტი ეწოდება. კანონმდებელი ამ შემადგენლობებს სხვადასხვაგვარად აგებს; ზოგჯერ კანონში მითითებულია კონკრეტულად განსაზღვრულ შედეგზე (მაგალითად, ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით — 158-ე მუხლი), ზოგჯერ კი მძიმე შედეგზე მითითებულია ზოგადი ფორმით (მაგალითად, ფთქებად ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა — 248-ე მუხლის 1-ე ნაწილი, — ან მითითებულია განსაკუთრებით მძიმე შედეგზე (მაგალითად, გაუპატიურება — 117-ე მუხლის მე-4 ნაწილი), კანონში განსაზღვრულ კონკრეტულ შედეგთან ერთად აღნიშნულია სხვა მძიმე შედეგიც (მაგალითად, აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უსაფრთხოების წესების დარღვევა — 247-ე

მუხლის II ნაწილი).

მძიმე შედეგით კვალიფიციურ დელიქტებში ძირითად შედეგზე უფრო მძიმე შედეგი, კანონის მიხედვით უფრო მძიმე სასჯელსაც იწვევს.

ბურჟუაზიული იურისტების წარმომადგენელთა უმრავლესობის მიხედვით, დამოკიდებულება ამ მძიმე შედეგის მიმართ არ არის აუცილებელი, რომ ბრალეული იყოს, სასჯელის გადიდება განპირობებულია მხოლოდ მაგნე შედეგის განხორციელების თვით ფაქტით. ამგვარად ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ობიექტურ შერაცხვას! მძიმე შედეგით კვალიფიციურ დელიქტებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძლიერი გაფართოების შესაზღუდად ბურჟუაზიული კრიმინალისტების ერთი ნაწილი მოითხოვდა სისხლის სამართალში მიზეზობრიობის ექვივალენტური თეორიის ნაცვლად, მიზეზობრიობის ადეკვატური თეორიის შემოღებას, ვინაიდან მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორიის მიხედვით კანონმდებელს მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტების შექმნისას მხედველობაში აქვს მიზეზის უფრო ვიწრო და შეზღუდული ცნება, ვიდრე *causatio sine qua non* არის. აქედან გამომდინარე, მძიმე შედეგი მხოლოდ მაშინ შერაცხება პირს, როდესაც მის მიერ ჩადენილ ქმედებას საზოგადოდ შეუძლია ასეთი შედეგი გამოიწვიოს, რომ იგი ისეთი აუცილებელი პირობაა, რომელიც საერთოდ, ტიპურად, ცხოვრების გამოცლილების თანახმად, იწვევს ამ ხასიათის შედეგს.

მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტური თეორიის მომხრეები სხვა გზით ცდილობდნენ შეეზღუდათ პასუხისმგებლობა მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტებისათვის. კერძოდ, ამ თეორიის მომხრეთა ერთი ნაწილი მხოლოდ ამ სახის დანაშაულისათვის მოითხოვდა მიზეზობრივი კავშირის ადეკვატურ თეორიას, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, შემოღებული უნდა ყოფილიყო ბრალის ორი ფორმის — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარდა, ბრალის მესამე, ახალი ფორმა მსგავსი სამოქალაქო სამართლის *culpa lewissima*-სი h. სხვები ექვივალენტური თეორიის

1 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 67

მომხრეებად რჩებოდნენ და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მძიმე შედეგი მიზეზობრივი კავშირის არაჩვეულებრივი განვითარების გამო განხორციელდა და მისი გათვალისწინება შეუძლებელი იყო, იგი მოქმედს მაინც უნდა შერაცხოდა.

მე—20 საუკუნის დასაწყისში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წინააღმდეგ მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერი ილაშქრებდა, რაც ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც აისახა.

ყოფილ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ წყდებოდა. არსებობდა შეხედულება, რომლის თანახმად, მძიმე შედეგი პასუხისმგებლობის ობიექტურ პირობად იყო ცნობილი და ბრალი მის მიმართ არ მრიითხოვებოდა (პროფ. მ. გროდზინსკი, პროფ.ა. ტრაინინი, პროფ. ნემიროვსკი, ფრანკი). ამ შეხედულებას არ იზიარებდნენ პროფ. ა. ჟიჟილენკო, პროფ.ა. პიონტკოვსკი, მათი აზრით პირს უნდა პქონოდა ბრალეული დამოკიდებულება სწორედ ამ მძიმე შედეგისადმი.

დღეს მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ მძიმე შედეგი შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ მას, ვისაც სწორედ ამ შედეგის მიმართ მიუძღვის ბრალი. სისხლის სამართლის კოდექსის მე—3 მუხლში ნათლად აისახა ბრალეული პასუხისმგებლობის ეს პრინციპი: სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მან შეიძლება აგოს პასუხი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში, სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება. ბრალეული პასუხისმგებლობის ამ პრინციპზე განვითარება საქართველოს სსკ—ის მე—11 მუხლში კპოვა, რომელიც ასე არის ჩამოყალიბებული: სასჯელის გადიდება იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დაენაშავის განზრახვა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა.

ამრიგად, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს ცალცალკე უნდა იქნას დადგენილი ბრალის საკითხი ძირითადი შედეგისა და მძიმე შედეგის მიმართ და მძიმე შედეგი

პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მძიმე შედეგის მიმართ ჰქონდა ბრალეული დამოკიდებულება გაუფრთხილებლობის ფორმით მაინც.

როგორც წესი, ძირითადი შედეგის მიმართ დანაშაულის შემადგენლობა განზრახ ბრალს ითვალისწინებს (მაგალითად, 110—ე მუხლის 11 ნაწილი, 131—ე მუხლის 11 ნაწილი, 143—ე მუხლის 11 ნაწილი, 117—ე მუხლის 11 ნაწილი და ა.შ.). მაკვალიფიცირებული მძიმე შედეგის მიმართ ბრალეული დამოკიდებულება უმთავრესად გაუფრთხილებლობით ხასიათდება. თუ დამნაშავეს მძიმე შედეგის მიმართ განზრახი ბრალი აქვს, მაშინ მოქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც მძიმე შედეგით კვალიფიცირირი დელიქტი, არამედ როგორც ის განზრახი დანაშაული, რომელიც მძიმე შედეგს წარმოადგენს. მაგალითად, ასეთი შემთხვევა დაკვალიფიცირდება არა 110—ე მუხლის 11 ნაწილით, არამე 105—ე ან 104—ე მუხლებით, მაგრამ ზოგჯერ არც განზრახვას გამოირიცხული მძიმე შედეგის მიმართ; ამის მაგალითია 117—ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას, თუ გაუპატიურებას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. თუ საერთოდ უარყოფთ განზრახი ბრალის არსებობის შესაძლებლობას მძიმე შედეგის მიმართ, და მოქმედებას დავაკვალიფიცირებთ როგორც გაუპატიურების (117—ე მუხლის 1 ნაწილი) და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების (110—ე მუხლის 1 ნაწილი) ერთობლიობით, მაშინ გამოვა, რომ გაუპატიურება, დაკავშირებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასთან ისევე დაისჯება, როგორც მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანება. კანონი 117—ე მუხლის 1 ნაწილისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის კი ერთიდან რვა წლამდე. ე.ი. სასამართლო ვერ შესძლებს დაუნიშნოს პირს სასჯელად რვა წელზე ზევით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო 117—ე მუხლის მე-4 ნაწილი კი, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან ხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან სიკვდილით დასჯას. ამრიგად, კანონში შეიძლება პირდაპირ არ იყოს მითითება მძიმე შედეგის მიმართ, განზრახ

ბრალზე, მაგრამ იგი იგულისხმებოდა კანონის განმარტების საფუძველზე.

შეიძლება დანაშაულის ჩადენას მოჰყვეს ისეთი მძიმე შედეგი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობით არც როგორც მისი აუცილებელი ელემენტი და არც როგორც კვალიფიციური ნიშანი, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა მძიმდება, არ იყოს გათვალისწინებული. ასეთი შედეგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც სასჯელის დამამძიმებელი ზოგადი გარემოება. ეს დებულება პირდაპირ არის ასახული სსკ-ის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში, სადაც მითითებულია, რომ სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევა. აქაც, აუცილებელია, რომ პირს დანაშაულის ჩადენისას გათვალისწინებული ჰქონდეს ან შეეძლოს მისი მოქმედების შედეგების გათვალისწინება.

§ 3. მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივი კავშირი ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია. მის შესახებ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა განსხვავებული აზრისაა.

დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, ყოველი საგანი და მოვლენა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. მიზეზობრიობის კანონის აღმოჩენით დადგინდა, რომ საგნები და მოვლენები მექანიკურად და დაუკავშირებლად კი არ მისდევნენ ერთმანეთს, არამედ ერთი მოვლენა აუცილებლობით იწვევს მეორე მოვლენას, ე.ი. მიზეზს მოსდევს შედეგი. მიზეზისა და შედეგის დადგენის დროს მოვლენათა უნივერსალური ჯაჭვიდან განსაზღვრულ მოვლენებს ხელოვნურად ანცალკევებენ ერთიანი სამყაროდან და იკვლევენ მხოლოდ ურთიერთ მიმართებაში, ამიტომ როდესაც დგინდება მიზეზობრივი კავშირი ორ მოვლენას შორის, მარტივდება სამყაროს ყველა მოვლენას

შორის არსებული კავშირი, რომელიც სინამდვილეში გაცილებით ღრმა და უნივერსალურია. თუკი ამ ორი მოვლენის განხილვა მოხდება არა იზოლირებულად, არამედ მათს საერთო კავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში, მაშინ სურათი შეიცვლება, ის, რაც გარკვეული მოვლენის მიმართ მიზეზს წარმოადგენდა, თვით იქნება სხვა მიზეზის შედეგი, და პირიქით,—ასე იქნება უსასრულოდ. ეს გარემოება მხედველობაში მიიღება ყოველი მოვლენის მიზეზობრივი კავშირის კვლევის დროს— მაშინაც, როდესაც საქმე სისხლის სამართალს, კერძოდ, დანაშაულს ეხება.

იმის გარკვევა იყო თუ არა გარკვეული თანმიმდევრობა ერთიდან მეორე მოვლენის აღმოცენებისას და წარმოადგენდა თუ არა პირველი მეორის მიზეზს, საკმაოდ რთულია, ვინაიდან თვით მიზეზი არის რთული მოვლენა. იგი გარკვეულ პირობებში მოქმედი რამდენიმე ფაქტორისაგან შედგება, ხოლო შედეგი კი, ამ ფაქტორების ურთობლივი მოქმედების რეზულტატია. ამ ფაქტორებს აუცილებელი ფაქტორები ეწოდებათ, ვინაიდან მათ გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა.

აქედან, თუკი მიზეზი შედეგის გამომწვევია, თუკი თავის მხრივ შედეგი მიზეზის გამოვლენაა, რაც უფრო ქმედითი იქნება მიზეზი, მით უფრო ძლიერია მის მიერ ნაშობი შედეგი. ამიტომ, თუ შედეგის წარმოშობაში მონაწილეობს რამდენიმე ფაქტორი, თითოეულის როლი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად აქტიური იყო იგი შედეგის წარმოშობაში; ყოველი ფაქტორი—მიზეზი მიზეზობრიობის საერთო ჯაჭვში ინდივიდუალურ როლს ასრულებს და ორი აბსოლუტურად ერთნაირი და ტოლფასოვანი მიზეზი არ არსებობს. ეს დებულება თავის ძალას ინარჩუნებს სისხლის სამართალშიც.

შედეგობრივ მიზეზობრივ კავშირში შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ქვევა, რომელიც მისი აუცილებელი პირობაა, მისი *conditio sine qua non* არის. მიზეზობრივი კავშირის, როგორც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის შეზღუდვის მიზნით, ზოგიერთი კრიმინალისტი წინადადებას აქვს: „მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ აუცილებელი“ და არა „შემთხვევითი“ მიზეზობრივი

კავშირი. უს თეორია

ნამოაყენა.¹ ამ თეორიას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამართლის სხვა დარგის წარმომადგენელთა შორის.²

აღნიშნული თეორიის თანახმად არა ყოველი მოქმედება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან ასაბუთებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ადამიანის ისეთ ქცევას, რომელიც „აუცილებელ მიზეზობრძვ კავშირშია“ დამდგარ შედეგთან, როდესაც შედეგი ადამიანის მოქმედების აუცილებელი კანონზომიერი შედეგი იყო და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს ადამიანის მოქმედების შემთხვევით შედეგს. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქცევა „აუცილებელ მიზეზობრივ კავშირშია“ დამდგარ შედეგთან, დადგება ბრალის ე.ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტური წინამძღვრის საკითხი.

მიზეზობრივი კავშირის საკითხის ისეთი გადანყვეტა, რომელიც ქმედების შედეგებს „მიზეზობრივად აუცილებელ“ და „მიზეზობრივად შემთხვევით“ შედეგებად „ყოფს, როგორც სამართლიანად არის მითითებული ლიტერატურაში, საეჭვოა. სახელდობრ, ეს თეორია მკვეთრად თიშავს ერთმანეთისაგან აუცილებლობას და შემთხვევითობას, მხედველობიდან უშვებს რა, მათ დიალექტიკურ ერთიანობას. ბუნებასა და საზოგადოებაში არ არსებობენ მხოლოდ შემთხვევითი და მხოლოდ აუცილებელი მოვლენები, ისინი ამ მოვლენების ორ მხარეს წარმოადგენენ. აუცილებლობა ეს არის მოვლენის განვითარებაში მიმართულების განმსაზღვრელი, მისი არსებითი მხარე, შემთხვევითობა კი არის მოვლენის არამთავარი, არაარსებითი, ინდივიდუალური მხარე. აუცილებლობა მოვლენის შინაგანი კანონზომიერების გამოვლენაა, შემთხვევითობა კი, მოვლენის ზედაპირზე ძევს. იგი აუცილებლობის გამოვლენის გარეგან ფორმასა და მის დამატებას წარმოადგენს. აუცილებლობას ასევე ახასიათებს გარდაუვალობის

1 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 184-190.

2 მ. წარგოროდსკი, ნ. დურმანოვი, შ. სერგეევა, მ. იაკუბოვიჩი, ვ. კირიჩენკო, ცივილისტებიდან ბ. ანტიმოხოვი, ი. ნოვიცკო, ლ. ლუნცო, ე. ფლემბოცი და სხვა.

კეთილი აღაიანის და მოქმედებას (სროლას) და დამდგარ შედეგს

მომენტიც. შესაბამისი პირობების არსებობისას იგი აუცილებლად განხორციელდება. შემთხვევითობა კი, შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არც განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებლობა და შემთხვევითობა ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, ისინი არ ენიანაღმდეგებიან ერთმანეთს და დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან. რაში გამოიხატება ეს ერთიანობა? ისევე, როგორც ზოგადი შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულის მეშვეობით, აუცილებლობაც შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ შემთხვევითის მეშვეობით. მაგალითად, კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა შემთხვევითია, მაგრამ ეს შემთხვევითობა ჩვენს სინამდვილეში დანაშაულის არსებობის აუცილებლობის გამოხატულებაა!

„აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორიის მიმდევრებს თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად ასეთი მაგალითი მოაქვთ პრაქტიკიდან: ს-მ უსისტემო სროლა ატეხა ორ მატარებელს შორის ვინრო გასასველში, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა, რის შედეგადაც ორი კაცი გარდაიცვალა. აღნიშნული თეორიის თანახმად, შორის (ორი კაცის სიკვდილი) აუცილებელი, კანონზომიერია, ვინაიდან ადამიანი მოკვდავია².

როგორც პროფ. თ. წერეთელი მიუთითებს საკითხის ამდაგვარი გადანყვება არ შეესაბამება „აუცილებლობისა“ და „შემთხვევითობის“ დიალექტიკურ გაგებას. სახელდობრ, ის რომ ადამიანი იბადება, ვითარდება და კვდება ბუნებრივი აუცილებლობაა, რადგან განპირობებულია ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი თვისებებით და ამდენად, ამ ორი ადამიანის სიკვდილში ადამიანის ორგანიზმის განვითარების კანონი გამოვლინდა, მაშასადამე, მათი სიკვდილი აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგრამ ის, რომ ისინი ტყვიით დაიხოცნენ, შემთხვევითობაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის შინაგანი თვისებებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ იგი მაინცადამაინც ტყვიით მოკვდეს, მოცემულ კონკრეტულ პირობებში და მოცემულ დროს; გასროლით შეიძლება

1 თ. წერეთელი, გ. ტყეშელაშვილი, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 239.
2 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970. стр. 194.

სხვა პირები მომკვდარიყვნენ, ან ეს პირები, მიუხედავად იმისა, რომ ტყვია მოხვდათ, არ მომკვდარიყვნენ და ა.შ. მეორეს მხრივ, თუკი ტყვიის მოხვედრის შედეგად მოკვდა ეს ორი ადამიანი, მათი სიკვდილი ადამიანის სხეულზე ტყვიის მოხვედრის ფაქტით აუცილებლობით იყო განპირობებული. აქაც, საქმე გვაქვს აუცილებლობასთან, მაგრამ არა შინაგან აუცილებლობასთან, რომელიც მოვლენის შინაგან კანონზომიერებას გამოხატავს, არამედ გარეგან აუცილებლობასთან, რომელიც მიზეზობრიობის ელემენტია და იმას ადასტურებს, რომ უმიზეზოდ არცერთი მოვლენა არ წარმოიშობა. ამიტომ „აუცილებელი მიზეზობრიობის“ მომხრეები აღნიშნული მაგალითის განხილვისას თუმცა „აუცილებელი მიზეზობრიობის“ დამტკიცებას ცდილობენ, სინამდვილეში ამტკიცებენ საერთოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობას, ე.ი. მიზეზისა და შედეგის კავშირის აუცილებლობას. ამრიგად, გასროლის შედეგად კაცის სიკვდილი აუცილებლობას, როგორც დიალექტიკურ კატეგორიას, არ ასაბუთებს: ის, რომ ადამიანი სწორედ ტყვიის სხეულზე ზემოქმედების შედეგად გარდაიცვალა შემთხვევითია იმ აუცილებლობის მიმართ, რომლის თანახმადაც ადამიანი საერთოდ მოკვდავია!

თუმცა აუცილებელი მიზეზობრიობის მომხრეები იშველიებენ აუცილებლობისა და შემთხვევითობის შეფარდებით ხასიათს, მაგრამ ეს საკითხი მათ მიერ სწორად არ არის გაშუქებული. ამის საილუსტრაციოდ პროფ. პიონტკოვსკის მიერ მოტანილი მაგალითიც გამოდგება: ერთი მოქალაქე მსუბუქად აშავებს მეორეს. როდესაც ეს უკანასკნელი სააჯადმყოფოში მიჰყავდათ გზაში მანქანა დაეჯახა და ამის გამო გარდაიცვალა. პროფ. პიონტკოვსკი მსჯელობს ასე: ადამიანის სიკვდილი შემთხვევითიც არის და აუცილებელიც. იგი შემთხვევითია იმ მოქალაქის მიმართ, ვისც მსუბუქად დააშავა დაზარალებული, ხოლო აუცილებელია ავტომანქანის მძღოლის მოქმედების მიმართ, რომელმაც ავტომანქანის მართვის წესები დაარღვია! მაგრამ ამ შემთხვევაში პირის სიკვდილი (შედეგი) შემთხვევითია როგორც დაჭრის, ისე

მანქანის დაჯახების მიმართ, ვინაიდან ეს მიზეზები არ არიან შინაგანი მიზეზები, ისინი არ გამომდინარეობენ ადამიანის ორგანიზმის შინაგანი თვისებიდან. ამგვარად, დანაშაულებრივი შედეგი არასდროს არ შეიძლება იყოს „შინაგანად აუცილებელი“, რადგან არასოდეს არ არის გამონკვეთილი შინაგანი აუცილებლობით, არამედ - ყოველთვის გარეგანი ზემოქმედებით.²

გარდა ამისა, აუცილებელი მიზეზობრიობის მომხრენი, მაგალითად, პროფ. პიონტოვსკი, წინადადებას იძლევიან ნამდვილად არსებული მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა შეიცვალოს შესაძლებელი მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევით.

მართალია, რეალური შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ასეთად, როდესაც სინამდვილედ გარდაქმნის ტენდენციას ამჟღავნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც შესაძლებლობაა და არა სინამდვილე. როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს პროფ. თ. ნერეთელი, რეალური შესაძლებლობა გულისხმობს იმას, რომ რეალურ სინამდვილეში არსებობენ ძალები, რომელთა შეუფერხებელ განვითარებას გარკვეული მოვლენის გამოწვევა შეუძლიათ, მაგრამ რეალურ სინამდვილეში არსებობენ სხვა ძალებიც, რომელთაც შესწევთ განვითარების პროცესის სულ სხვა მიმართულებით წარმართვის უნარი. გარდა ამისა, რეალურ სინამდვილეში არსებული პირობები რამდენიმე შესაძლებლობას ქმნიან და ამდენად განსაზღვრული შესაძლებლობა შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არც განხორციელდეს, არ გარდაიქმნეს სინამდვილედ, ხოლო ადამიანის მოქმედებასა და საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის დროს, საქმე ყოველთვის უკვე განხორციელებულ შესაძლებლობას, ანუ სინამდვილეს ეხება. ამიტომ გაუგებარია თუ რატომ უნდა შეიცვალოს ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი, შესაძლებელი მიზეზობრივი კავშირით. ამ კითხვაზე პასუხს ეს ავტორები არ იძლევიან.

აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის არსს ამ თეორიის წარმომადგენლები მიახლოებით ასე ხსნიან: თავდაპირველად

² Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. М., 1963. с. 138.

არსებობს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის შესაძლებლობა, რომელიც შექმნილია ან დამნაშავის ან სხვა ძალების მიერ, შემდეგ კი, დამნაშავე ამ შესაძლებლობას გადააქცევს სინამდვილედ.¹

დებულება, რომ ადამიანის მოქმედება მხოლოდ მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში საშიშ შედეგთან, როდესაც იგი სინამდვილედ გადააქცევს ამ შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას, ასევე სწორად არ ასახავს მიზეზობრივი კავშირის ბუნებას. ამის დასამტკიცებლად მშვენიერი მაგალითები მოაქვს პროფ. თ. წერეთელს: ბიროტმოქმედმა ხელი ჰკრა სადგურის ბაქანზე მდგომ კაცს და იგი მატარებლის ბორბლებში ჩააგდო. სად არის აქ ადამიანის დალუპვის შესაძლებლობა, რომელიც შემდეგ გადაიქცა სინამდვილედ? სანამ კაცი ბაქანზე დგას, მისი სიკვდილის არავითარი შესაძლებლობა სინამდვილეში არ არსებობს, ხოლო როცა მას ხელი ჰკრეს და ბორბლებში ჩააგდეს, აქ უკვე ნამდვილად განხორციელებულ შედეგთან გვაქვს საქმე. ერთი დანაშაულებრივი აქტის ასეთი გათიშვა და იმ მომენტის ცალკე გამოყოფა, როცა დამნაშავემ ან სხვა ძალამ შექმნა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც შედეგის განხორციელების შესაძლებლობის შექმნის მომენტი დროის მიხედვით დაცილებულია შედეგის ნამდვილად განხორციელების მომენტისაგან, რაც როგორც პროფ. წერეთელი მიუთითებს სინამდვილეში იშვიათია. გარდა ამისა, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას დამნაშავე ქმნის, მაგრამ სინამდვილედ ამ შესაძლებლობას დაზარალებულის მოქმედება, ან სხვა ძალა გადააქცევს, მაგალითად, ვინმე სანამლავს ჩაუყრის სასმელში ავადმყოფს და დაუდგამს მაგიდაზე. ავადმყოფი თავისი ხელით იღებს სასმელს და სვამს, ან შემთხვევით შემოსული მომვლელი ქალი მიანვდის მას სასმელს და ავადმყოფი კვდება. დამნაშავეს აქ არ გადაუქცევია შესაძლებლობა სინამდვილედ და აღნიშნულ

¹ Т. В. Сергеева. Вопросы виновности и вины в практике Верховного Суда СССР по Уголовным делам. М., - Л., 1950, стр. 90.

ავტორთა მიხედვით დამნაშავეის მოქმედება ვერ განიხილება „აუცილებელ მიზეზობრივ კავშირში“ დამდგარ შედეგთან. ამდენად დამნაშავემ არ უნდა აგოს პასუხი. დაბოლოს, ეს ფორმულა შეუძლებელს გახდიდა თანამონანილეთა პასუხისმგებლობასაც, ვინაიდან თანამონანილენი არავითარ მონანილეობას არ იღებენ შედეგის შესაძლებლობის სინამდევლედ გარდაქმნაში.¹

ზოგიერთი კრიმინალისტი მხოლოდ ისეთ ქმედებას თვლის მანე შედეგის მიზეზად, რომელიც საზოგადოდ ინვეეს ასეთ შედეგს და არა მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამ შეზღუდვებას ძირითადად ცივილურ ლიტერატურაში ვხვდებით.² მაგრამ ეს თეორია ვერ დაასაბუთებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად ისეთ მოქმედებას მიმართავს, რომელიც საზოგადოდ მანე შედეგს არ ინვეეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას ძალუძს ასეთი შედეგის გამოწვევა. გამოვა, რომ ყველაზე ეშმაკი და მოხერხებული დამნაშავე ხელიდან დაუძვრება მართლმსაჯულებას.

პროფ. პიონტკოვსკის აზრით, ეს მომენტი, რომ თავიდან იქნეს აცილებული, საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაიჭრას: თუ დამნაშავე ითვალისწინებს მიზეზობრივი კავშირის ატიპიურ განვითარებას, მაშინ მიზეზობრივი კავშირის მთელი ჯაჭვი აუცილებლობის ხასიათს იძენს, ადამიანის მოქმედება ამ შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს, როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა.³ მაგრამ მიზეზობრივი კავშირი ხომ ობიექტურ სფეროს განეკუთვნება, ხოლო პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგისადმი ბრალის სფეროს, რასაც არც აღნიშნული თეორიის

1 Т. В. Церетели. Причинная связь и уголовном праве. М. 1963. с. 156.

2 Н. Б. Новицкий. Л. А. Лунц. Общее учение об обязательстве. М., 1950. с. 308; Е. А. Флейшниц. Обязательства из причинения вреда и неосновательного обогащения. М., 1951, с. 57.

3 А. А. Пионтковский. Учение о преступлении. М. 1961. стр. 240.

მომხრენი არ უარყოფენ. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მიზეზობრივი კავშირის ყოფნა - არყოფნის საკითხი არ შეიძლება პირის მიერ მიზეზობრივი კავშირის ყველა რგოლის გათვალისწინებაზე იყოს დამოკიდებული, გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის მომენტმა არ შეიძლება რაიმე შესცვალოს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ობიექტურ კატეგორიებში, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი ადამიანის შეგნებასა და ნებაზე.¹

ამ თეორიის ნაკლი ისიცაა, რომ ვერ შესძლო მიეცა სასამართლოსათვის აუცილებელ და შემთხვევით მიზეზობრივ კავშირთა გასამიჯნად ზუსტი კრიტერიუმი, რომელიც აგრერიგად ესაჭიროება სასამართლოს კონკრეტული საქმის განხილვისათვის.²

მართალია, ეს თეორია გაბატონებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ მან ასახვა ვერ პოვა სასამართლო პრაქტიკაში. მოსამართლეს, რომელიც ამ თეორიას გაიზიარებს, ადვილად შეიძლება შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საშიშ შედეგს შორის მხოლოდ მაშინაა, როდესაც მოქმედებას აუცილებლად უნდა გამოენვია ეს შედეგი, როდესაც შედეგის აცილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. აქედან ისეთი დასკვნაც კი შეიძლება გაკეთდეს, რომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის დაჭრასა და მის სიკვდილს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც ჭრილობა უცილობლად სასიკვდილო იყო.³

მიზეზობრივი კავშირის საკითხის გამოკვლევა სამართალში გულისხმობს, რომ ვიდრე დადგება საკითხი მიზეზობრივი კავშირის თობაზე, კრიმინალისტმა კარგად უნდა ნარმოიდგინოს მოვლენის ის საწყისი და საბოლოოდ მომენტები, რომლის მიზეზობრიობაც მას აინტერესებს. ამ მომენტების დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს მიზეზისა და შედეგის ხელოვნური

1 М. И. Ковалев. Н. Т. Васьков. Причинная связь в уголовном праве. М., 1958, стр. 43

2 В. Н. Кудрявцев. К вопросу о причинной связи в праве. "Советское государство и право", 1950, 1, стр. 43.

3 თ. ნერეთელი, გ. ტყეშელაძე დასახ. ნაშრ., გვ 253.

იზოლირება მიზნუ-შედეგობრივი დამოკიდებულების საერთო ჯაჭვიდან. ასეთ მომენტებს კრიმინალისტიკისათვის წარმოადგენს ადამიანის მოქმედება და საზოგადოებრივად საშიში შედეგი. ასეთი იზოლირების მეთოდი სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ მეცნიერების ერთი დარგისათვის განსაზღვრული მოვლენის მიზნები ერთი გარემოება იქნება, ხოლო სხვა დარგისათვის კი - სხვა, როგორც თავის დროზე ასე ესმოდა ეს პროფ.ა. ტრაინინს და ამის ნათელსაყოფად მაგალითიც მოჰყავდა. მისი გაგებით, თუ ა-ს მიერ გასროლილი ტყვიის შედეგად მოკვდა ბ,მედიცინის დარგის მუშაკისათვის ა-ს სიკვლილის მიზნები გულის ქსოვილის დარღვევა იქნება, მექანიკოსისათვის-ტყვიის მოძრაობის ტრაექტორია, ხოლო კრიმინალისტიკისათვის ასეთ მიზნებს მხოლოდ ადამიანის მოქმედება წარმოადგენს¹.

საკითხის ამგვარად წარმოჩენა, როგორც აღინიშნა კიდევაც ლიტერატურაში, არ უნდა იყოს მართებული. გამოკვლევის ამოცანების მიხედვით არ შეიძლება, რომ შედეგის გამომწვევი მიზნებიც იცვლებოდეს. მიზნობრივი ჯაჭვის გამოკვლევისას ცალკეული მეცნიერებანი ამ ჯაჭვის სხვადასხვა პუნქტებამდე მიდიან და სწორედ იმ რგოლთან ჩერდებიან, რომელიც აღნიშნულ მეცნიერებას აინტერესებს; ასევე ხდება სისხლის სამართალშიც. როგორც გერმანელი კრიმინალისტი ლექსასი მიუთითებს, მოსამართლე იყენებს სპეციალისტ-ექსპერტების დასკვნებს, ხოლო თვით განაგრძობს გამოკვლევას იმ პუნქტამდე, რომელიც მისთვის არის საინტერესო, კერძოდ, დანაშაულებრივ ქმედებამდე².

არის კიდევ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთი მომენტი, რომელიც არასწორადაა გადაჭრილი, კერძოდ, ხელოვნური იზოლირების პრინციპის გამოყენების დროს ადამიანის მოქმედება და ამ მოქმედებით გამოწვეული საშიში შედეგი განიხილება იმ პირობებისაგან მონყვევით, რომელშიც ქცევას

1 А. Н. Траинин. Общее учение о составе преступления. М., 1957, стр. 164-165.

2 ნაარგებლებია თ. ნერეთელი, გ. ტყეშელიაძე მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ.262).

ქონდა ადგილი, რაც მცდარი დასკვნების გამოტანის საშიშროებას შეიცავს. მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევისას არცერთი მოვლენა არ არის იზოლირებულად მხოლოდ ერთი რომელიმე მოვლენის შედეგი, არამედ სხვადასხვა მოვლენების ურთიერთ-ზემოქმედების შედეგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული აზრი, რომელიც თელის, რომ „მიზეზი ყოველთვის თავისი თავის სწორია“!

ფილოსოფოსებს (როგორც უკვე აღინიშნა, სამართალი არ ქმნის მიზეზობრიობის საკუთარ კონცეფციას, არამედ ეს კატეგორია ფილოსოფიურია და სამართალი იყენებს მას თავის საჭიროებისათვის) მიაჩნიათ, რომ მიზეზი ეს არის ერთობლიობა ყველა აუცილებელი პირობისა, რომელთა გარეშე აღნიშნულ დროსა და აღნიშნულ ადგილას შედეგი არ წარმოიშობოდა. ყოველი ცალკეული პირობათაგანი აუცილებელია შედეგისათვის და თუ რომელიმე მათგანი გამოაკლდა, შედეგიც არ განხორციელდება. ეს დებულება ვრცელდება სისხლის სამართალზედაც ადამიანის მოქმედება არასდროს არ წარმოადგენს განხორციელებული მავნე შედეგის ერთადერთ მიზეზს. ამიტომ, თუ ადამიანის მოქმედება მავნე შედეგის წარმოშობისათვის ერთერთი მიზეზთაგანი იყო, ეს უკვე საკმარისია იმიტაციის, რათა ვალიაროთ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და დაზარალებულ მავნე შედეგს შორის.

ეს შეხედულება მიზეზობრივი კავშირის თაობაზე გაზიარებულია მრავალი მეცნიერის მიერ.

აღნიშნული დებულება მოკლედ არის გადმოცემული თეზისში *conditio sine qua non*, რომელიც ადრე ჩამოყალიბებული იყო ეკვივალენტური თეორიის მიმდევრების მიერ.

მაგრამ საკითხავია თუ როგორ უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა-მიზეზი? ქცევა მაშინ ჩაითვლება მავნე შედეგის

1 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении. ч. 1. Свердловск, 1960. стр. 192.

აუცილებელ პირობად-მიზეზად, როდესაც ამ ქცევის გარეშე მავნე შედეგი არ დადგებოდა. იმის დასამტკიცებლად იყო თუ არა ქცევა ამ შედეგის გამომწვევი აუცილებელი პირობა-მიზეზი, უნდა მივმართოთ აზრობრივი გამორიცხვის მეთოდს, კერძოდ, ჩვენს ნარმოდგენაში უნდა დაეუშვათ, რომ ქმედება არ ყოფილა ჩადენილი. თუ აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც განხორციელდებოდა სწორედ იმ დროსა და იმ სახით. როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმის მომასწავებელია, რომ ქმედება არ ყოფილა მავნე შედეგის აუცილებელი მიზეზი და რომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქცევასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის არ არსებობს. და პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ ადამიანის მოქმედების გარეშე მავნე შედეგი ან სრულიად არ დადგებოდა ან განხორციელდებოდა სულ სხვა დროს და სხვა სახით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანის მოქმედება ამ შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non*-ი იყო.¹ ეს მეთოდი ლიტერატურაში ჰიპოთეტიური ელემინაციის სახელწოდებით არის ცნობილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც აზრობრივი მეთოდის გამოყენება სიძნელეებს ქმნის, მოსამართლე მიმართავს სათანადო ექსპერტს, რომელსაც თავისი სპეციალობისა და გამოცდილების შედეგად უნარი შეესწავს თავი გაართვას ნარმოქმნილ სიძნელეს და პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, მაგრამ როგორც ლიტერატურაში აღინიშნა, მოსამართლე ჩვეულებრივ იშვიათად მიმართავს ექსპერტს მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, ვინაიდან საქმის გარემოებანი იმდენად მარტივია, რომ მას ექსპერტის გარეშეუც ძალუძს თავი გაართვას შექმნილ სიტუაციას აზრობრივი გამორიცხვის მეთოდის მეშვეობით.²

ზოგიერთი იურისტი გამოდის *conditio sine qua non*-ის წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ სისხლის სამართალში ამ

1 Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. М., 1963, с. 179.

2 В. Н. Кудрявцев. Ответственность за причинение вредных последствий по советскому уголовному праву. М., 1963, стр. 37.

ტერმინმა შეიძლება განუსაზღვრელ მიზეზობრიობამდე მიგვიყვანოს, ვინაიდან რაიმე მოვლენის აუცილებელი პირობა თვით არის სხვა მოვლენის შედეგი და ასე უსასრულოდ. თუ თვისის - *conditio sine qua non*-ს გავიზიარებთ, ადამიანის ტყვიით სიკვდილის შემთხვევაში უნდა ვალიაროთ მიზეზობრივი კავშირი არა. მხოლოდ თოფის გასროლასთან, არამედ მკვლელის დაბადებასთანაც და თუ უფრო შორს წავალთ თოფის წამლის გამოგონებასთანაც კი, ვინაიდან ეს წამალი, რომ არ გამოეგონებინათ კაცი მისგან არც მოკვდებოდა. მაგრამ, როგორც უკვე ამის შესახებ აღინიშნა, მიზეზობრივი კავშირის დადგენა მიზეზ-შედეგის ხელოვნურ იზოლირებას გულისხმობს და არ არის საჭირო სისხლის სამართალში ვიკელით ადამიანის დაბადების ან მით უფრო თოფის წამლის გამოგონების მომენტები, როგორც მკვლელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. მათ სისხლის სამართალთან არაფერი არ აკავშირებთ და ამდენად, სისხლის სამართალს ეს საკითხები არც აინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში შეჭრის საკითხი წინასწარ არის განსაზღვრული დასახული ამოცანით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირის რგოლი წყდება იქ, სადაც ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალეულობა აღარ შეიძლება ივარაუდებოდეს.

conditio sine qua non-ის მოწინააღმდეგენი თავიანთი პოზიციის დასაბამებლად შემთხვევათა ორ კატეგორიას განიხილავენ: 1. დამნაშავე განზრახ ჩადის მოქმედებას საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოწვევის მიზნით. შედეგი ხორციელდება, მაგრამ სულ განსხვავებულად, ვიდრე ამას დამნაშავე ითვალისწინებდა. მაგალითად, დამნაშავემ თავისი მტერი ფეხში მსუბუქად დაჭრა. დაჭრილი ცუდი მოვლის შედეგად გარდაიცვალა. მიუთითებენ, რომ როდესაც დაზარალებულის სიკვდილის უშუალო მიზეზი თვით დაზარალებულის ან შესამე პირთა ან ბუნების ძალთა მოქმედებაა, ანდა დაზარალებულის განსაკუთრებული ფსიქო-ფიზიკური თავისებურებაა, არასწორი იქნება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დამთავრებული მკვლელობისათვის, რაც გარდუვალად გამომდინარეობს

აუცილებელი პირობის თეორიიდან.

ამაზე საკვებით დასაბუთებულ პასუხს იძლევა პროფ.თ. ნერეთელი. იგი საკითხთან დაკავშირებით იხილავს სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებას ი-ს საქმეზე. საქმის გარემოება ასეთია: ი-მ განზრახვით დანით დაჭრა შ. ჭრილობა გულის ახლოს იყო მიყენებული და სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებად იქნა ცნობილი. დაჭრილი ოპერაციის გაკეთების დროს ასფიქსიით გარდაიცვალა, რომელიც ნარკოზის მიცემის შედეგად იყო გამოწვეული. პლენუმმა ი. დამნაშავედ სცნო მკვლელობის მცდელობაში იმის გამო, რომ ი-ს მოქმედება არ იყო პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში შ-ს სიკვდილთან. აღნიშნულთან დაკავშირებით თ.ნერეთელი მიუთითებს, რომ პლენუმის დასკვნა დაუმთავრებელი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ თავისთავად სწორია, მაგრამ ეს არ უნდა გაკეთებულიყო მიზეზობრივი კავშირის შეზღუდვის ხარჯზე. ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი ხელოვნურად არის შეზღუდული, რასაც ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უსაფუძვლო უარყოფა შეუძლია გამოიწვიოს.

1. ი-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შ-ს სიკვდილთან, რადგან ამ მოქმედების გარეშე შედეგი არ დადგებოდა; 2. ეს მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოცაა; 3. ი-ს მოქმედება ბრალეულია, რადგან იგი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგს და სურდა ეს შედეგი. მიუხედავად ამისა, ი. მაინც არ აგებს პასუხს დამთავრებული მკვლელობისათვის, მაგრამ არა იმის გამო, რომ მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირში არ იყო შ-ს სიკვდილთან, არამედ იმიტომ, რომ ი-ს განზრხვა არ მოიცავდა კონკრეტულ შედეგს, კერძოდ შ-ს სიკვდილს - ნარკოზის მიღებით გამოწვეული ასფიქსიაგან... ეს სულ სხვა კონკრეტული შედეგია, ვიდრე ის, რომელსაც ი. ითვალისწინებდა და სურდა. ცნობილია, რომ განზრახვისათვის საჭიროა, რომ პირი ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითად რგოლებს, ხოლო რამდენადაც ი. არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ი-ს ასფიქსიით დაღუპვა, ამდენად, იგი პასუხს ვერ აგებს დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ

მხოლოდ- მკვლელობის მცდელობისათვის!

შემთხვევათა მეორე კატეგორიას, რომელთა გადანყვეტა „აუცილებელ პირობათა“ თეორიის მოწინააღმდეგეთა აზრით ამ თეორიას არ შეუძლია ისაა, როდესაც პირს სურს, რომ დანაშაულებრივი შედეგი უჩვეულოდ განხორციელდეს და შემთხვევათა სააოცარი დამთხვევის გამო, შედეგი იმ გზით ხორციელდება, როგორც ეს პირს სურდა. მაგალითად, მამინაცვალი ჭექა-ქუბილის დროს გაგზავნის გერს ტყეში იმ იმედით, რომ ტყეში მუხი გერს დაეცემა და მოკლავს მას. მოკლენათა უჩვეულო განვითარების გამო გერი მუხისაგან ჯართლაც დაიღუპება. ანდა სიძე ზღვის კურორტზე დასასვენებლად უშვებს სიდედრს, რათა ეს უკანასკნელი ზღვაში დაიხრჩოს. სიდედრი მართლაც დაიხრჩო ზღვაში.

ამ მაგალითების განხილვისას აუცილებელ პირობათა „თეორიის“ მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ პასუხისმგებლობა გერისა და სიდედრის მკვლელობისათვის ამ თეორიის მიხედვით დასაბუთებულია, ვინაიდან მამინაცვალს, რომ გერი ტყეში არ გაეგზვნა ან სიძეს სიდედრი-ზღვის კურორტზე, ისინი არ დაიღუპებოდნენ. განზრახვაც არის, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი სწორედ ისე განხორციელდა, როგორც ეს დამნაშავეს ჰქონდა ჩაფიქრებული და სურდა, მაგრამ ასეთი საყვედური აღნიშნული თეორიის მიმართ უმართებულოა. როგორც პროფ. თ. ნერეთელი მიუთითებს და საყოველთაოდ ცნობილია, პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობით როდი წყდება. პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ყველანაირი ნინამძღვრის არსებობის შემთხვევაში დასტურდება. ზემოთ მოტანილ მაგალითებში არ არის არც მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და არც ბრალი.

სისხლის სამართალი საზოგადოებრივად საშიშად არ სცნობს ისეთ მოქმედებას, რომელმაც ძლიერ უმნიშვნელო როლი შეასრულა შედეგის განხორციელებაში და მხოლოდ მოკლენათა

1 თ. ნერეთელი, გ. ტყეშელაძე დასახ. ნაშრ, გვ. 271.

არაჩვეულებრივი დამთხვევის წყალობით ჩაბმულია როგორც აუცილებელი პირობა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში. ამიტომ ადამიანის მოქმედება არ შეიძლება ყოველთვის საშიშად იქნეს ცნობილი, როდესაც იგი მანვე შედეგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იმისათვის, რომ ეს მოქმედება ასეთად ვცნოთ აუცილებელია იგი ამასთანავე შედეგისათვის ხელშეწყობის განსაზღვრულ ხარისხსაც აღწევდეს; ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მოქმედება მისი ჩადენის მომენტში არ ქმნიდა მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენის რეალურ შესაძლებლობას. როდესაც მამინაცვალი ტყეში გზავნის გერს, რათა ჭექა-ქუხილის დროს გერი დაიღუპოს, ან სიძე ზღვაზე დასასვენებლად უშვებს სიდედრს, რათა იგი ზღვაში დაიხრჩოს და მოვლენათა არაჩვეულებრივი დამთხვევის გამო, მართლაც, ჩანაფიქრი ხორციელდება, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული მოქმედებანი მათი ჩადენის მომენტში სიკვდილის რეალურ შესაძლებლობას შეიცავდნენ! რეალური შესაძლებლობის თვალსაზრისით ასეთი მოქმედება შედეგის წარმოშობაში არ არის ანგარიშგასაწიევი და სისხლის სამართალი არც უნებს ანგარშს ისეთ ფორმალურ შესაძლებლობას, რომლის თანახმად შესაძლებელია ყოველივე რაც არ შეიცავს ლოგიკურ ნინააღმდეგობას, მაგალითად როგორიცაა ხის რკინა ან მაგარი სითხე სხვა საქმა, როდესაც დამნაშავის მოქმედება მისი ჩადენის მომენტშივე შეიცავდა მოვლენათა მსვლელობაზე მისთვის სასურველი მიმართულებით ზემოქმედების რეალურ შესაძლებლობას. თუ პირველ მაგალითს შევცვლით და ვიტყვი, რომ მამინაცვალი, რომელსაც სურს გერის თავიდან მოშორება ჭექა-ქუხილის დროს მიაბაშს ამ უკანასკნელს მაღალი მთის მწვერვალზე მდგომი შენობის შეხამრიდზე-გერის სიკვდილისათვის ხელშეწყობა გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, სადაც იყო სასურველის რეალობასთან ფანტასტიკური დამთხვევა

1 თ. ნერუოელი დასაჯ. ნაშრ. გვ 205-206.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების უკიდურესი ზღვარი მოვლენების ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობაა, ხოლო თუ მოქმედება, რა გზითაც იგი ფაქტიურად განხორციელდა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ქმნის შედეგის ამ გზით წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას, იგი საზოგადოებრივად საშიშად მაინც არ ჩაითვლება, თუნდაც შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდეს.

განსახილველ შემთხვევაში არც განზრახვა არსებობს. განზრახვა მხოლოდ მაშინაა, როდესაც პირს შეუძლია ივარაუდოს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება, ვინაიდან აქვს მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების რეალური შესაძლებლობა. მაგრამ, თუ პირი მხოლოდ ოცნებობს, მაგნე შედეგზე და ეს შედეგი მოვლენათა არაჩვეულებრივი განვითარების გამო მაინც განხორციელდა, განზრახვა გამორიცხულია. ამგვარად, განზრახვა იქნება მაშინ, როდესაც პირს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ მას თავისი მოქმედებით შესაძლებლობა აქვს ზემოქმედება მოახდინოს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. ეს სავსებით მისაღები დებულებაა, რამდენადაც განზრახვის ასეთი ცნება შეესაბამება ფსიქოლოგიის მოძღვრებას ნდობის შესახებ. ეს მოძღვრება ერთმანეთისაგან განასხვავებს ნდობას უბრალო სურვილისაგან ანუ ნადილისაგან. სურვილი ანუ ნადილი უბრალო სწრაფვაა საგნისაკენ, ამ დროს სუბიექტი არ ფიქრობს საგნის დასაუფლებელ საშუალებებზე, ხოლო ნდობის დროს სუბიექტი დარწმუნებულია, რომ დასახული მიზნის რეალიზაცია შესაძლებელია. ამ დროს მოქმედება წარმართება შესაბამისი საშუალებების დასაუფლებლად. არ შეიძლება ნდობაზე ლაპარაკი, როდესაც სურვილს დაუძლეველი დაბრკოლება ელოდება. ამის შესახებ ცნობილი ქართული ფსიქოლოგი დ. უზნაძე მიუთითებდა: „თუ ჩვენთვის რაიმე ძალიან ძნელად შესასრულებელია ანდა სრულიად შეუსრულებელი, მაშინ ჩვენ კი არ გვნებავს ეს, არამედ გვსურს ან გვწაიდა. ნებელობა მხოლოდ მას ეხება, რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, ხოლო რაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ის

ნებელობის საგანს არასდროს არ შეადგენს!

ამდენად, ზემოთ ხსენებულ მაგალითებში განზრახვის ელემენტები არ მოიძებნება. თუმც აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აქ ბრალის საკითხი საერთოდ არ დგას, ვინაიდან თვით საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი გადანყდა უარყოფითად, ხოლო ბრალის საკითხი მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების საკითხია გადაჭრილი დადებითად.

მიზეზობრივი კავშირის დადგენა გართულებულია იმ შემთხვევებში, როდესაც მიზეზობრიობის ჯაჭვში დაზარალებულის ან მესამე პირთა და ბუნების ძალთა მოქმედებაა ჩართული. ამ დროს არსებითად იცლება მიზეზობრივი კავშირის განვითარება.

ეს შემთხვევები სისხლის სამართლის ლიტერატურაში ცნობილია „მიზეზობრივი კავშირის განყვეტის“ სახელწოდებით და განსხვავებულად არის გაგებული სხვადასხვა კრიმინალისტიკის მიერ. ზოგიერთს მიაჩნია, რომ მიზეზობრივი კავშირი წყდება მაშინ, როდესაც პირის მიერ ჩადენილი მოქმედებიდან ნასურვები შედეგის დადგომამდე ჩაერთვება სხვა ძალა და შედეგი განზორცილდება სხვა, ახალი, პირის მოქმედებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. მაგალითად, თუ ა-მ სასიკვდილოდ დაჭრა ბ. მაგრამ ვიდრე ბ. მოკვდებოდა, მას ა-ს მოქმედებისაგან დამოუკიდებლად ესროლა ბ-მ და მოკლა, ასეთ შემთხვევაში ერთი შედეგის მიზეზობრიობა თუმც დაიწყო, მაგრამ იგი განყდა სხვა მიზეზის ჩართვის გამო, რომელმაც იგივე შედეგი გამოიწვია.²

ამ თვალსაზრისს არ იზიარებს პროფ. თ.წერეთელი, რომელიც თვლის, რომ ასეთი მსჯელობის დროს ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი შეცვლილია შესაძლო მიზეზობრივი კავშირით. ეს ავტორები მსჯელობენ ასე: შეუძლო თუ არა პირველ მოქმედებას თავისთავად გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი და ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემდეგ, წარმოდგენილ მიზეზობრივ კავშირს აიგივებენ ნამდვილ მიზეზობრივ კავშირთან, ბოლოს, შემოერთებულ პირობას განიხილავენ, როგორც იმ ძალას,

1 დ. უზნაძე ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ 147-148

2 С. В. Познышев. Основные начала науки уголовного права, М., 1912, стр. 335.

რომელმაც განყვიტა უკვე არსებული მიზეზობრივი კავშირი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ არის სწორი, მიზეზობრივი კავშირი არსებობს არა სინამდვილეში, არამედ მხოლოდ წარმოდგენაში, მის განყვეტაზე ლაპარაკი ზედმეტია.¹

„მიზეზობრივი კავშირის განყვეტის“ თეორიის სხვა წარმომადგენლთა აზრით, ეს კავშირი წყდება მაშინ, როდესაც თავდაპირველი მოქმედება წარმომადგენდა ფაქტიურად განხორციელებული შედეგის ერთერთ აუცილებელ პირობათაგანს, მაგრამ სხვა ძალების ჩარევის გამო მიზეზობრივი კავშირი სხვა გზით განვითარდა, ვიდრე ეს თავიდან იყო წარმართული. შემოერთებული მიზეზი მიზეზობრიობის ახალ ჯაჭვს იწვევს. იგი წყვეტს მიზეზობრივ კავშირს პირველ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ამდენად, პირველი მოქმედება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში; ადამიანის ყოველი ნებელობითი მოქმედება წყვეტს მანამდე არსებულ მიზეზობრივ კავშირს და დასაბამს აძლევს ახალ მიზეზობრივ ჯაჭვს.²

ბურჟუაზიული სისხლის სამართლისათვის ცნობილია აგრეთვე „მიზეზობრივი კავშირის განყვეტის“ დასაბამუთებლად „რეგრესის აკრძალვის“ თეორია. ეს თეორია, მართალია არ უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირველ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და არ ამტკიცებს, რომ შემოერთებული მოქმედება მიზეზობრიობის ახალ ჯაჭვს იწვევს, მაგრამ მოითხოვს რეგრესის აკრძალვას, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს პირობა, რომელიც წინ უსწრებდა შედეგის წარმოშობაზე ბრალეულად მიმართულ პირობებს.³

ამ თეორიების საფუძვლიანი კრიტიკა მოცემულია პროფ.

1 თ. ნერუთელი, გ. ტყემელიაძე მოძღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გ. 277

2 Ф. Лист. Учение уголовного права. Общая часть, М., 1903, стр. 133.

3 ამ თეორიას ავითარებდა გერმანელი მეცნიერი რ. ფრანკი, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მას იცაენდენ ა. თიეილენკო, ა. პიონტკოვსკი, ა. ტრაინინი.

თ.წერეთლის მიერ. მისი აზრით ამ თეორიებს არ ძალუძთ დასაბუთონ პირის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი შედეგის მისაღწევად იყენებს სხვა შერაცხადი პირის მოქმედებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ასევე ვერ დასაბუთდება ნაძქმებლის ან დამხმარის პასუხისმგებლობა თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს, ვინაიდან ორივე ამ შემთხვევაში მოქმედი განწყვეტს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს წინა მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამიტომ სავსებით სწორია პროფ. მ.შარგოროდსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ერთხელ წარმოშობილი მიზეზის მოქმედება“, რომელიც დიალექტიკურად ვითარდება, არ შეიძლება შეწყდეს“¹ ამ დებულებას იზიარებს პროფ. თ.წერეთელიც. იგი მიუთითებს, რომ „მიზეზობრივი კავშირის განწყვეტის“ ცნება არ შეიძლება არსებობდეს, რადგან შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. მიზეზი მხოლოდ მაშინ არის მიზეზი, როდესაც არსებობს ამ მიზეზით გამოწვეული შედეგი. ადამიანის მოქმედება ან არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან-და მაშინ არავითარ ძალას არ ძალუძს მისი განწყვეტა, ან თავიდანვე არ არის და ამ დროს მიზეზობრივი კავშირის განწყვეტაც შეუძლებელია. თუ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ბუნების ძალთა მოქმედებაა ჩართული და დამნაშავე თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს ბუნების კანონზომიერებებს, რომლებიც სწორედ იმ მიმართულებით მოქმედებდნენ, რაც მათ დამნაშავეს მოქმედებამ განზრახ მისცა, მაშინ მიზეზობრივი კავშირის „განწყვეტაზე“ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თუ აღნიშნული ძალების განვითარება არ წავიდა იმ მიმართულებით, რომელიც დამნაშავეს ეჭონდა: თავიდანვე გათვალისწინებული ან შეუძლო გათვალისწინებინა, შეიძლება მითითებული იქნას ასეთ „განწყვეტაზე“.

ზოგჯერ მიზეზობრივი კავშირი გარკვეული მიმართულებით

მოქმედების განწყვეტის მიხედვით

¹ М. Ш. Шаргородский. Причинная связь в уголовном праве. "Ученые труды ВШОН". X, 1947. стр. 199.

ვითარდება, ასეთი შემთხვევები ცნობილია დაზარალებულის ბრალის სახელწოდებით და პასუხისმგებლობის საკითხი გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ პირის მოქმედება არ იყო საზოგადოებრივად საშიში ან ბრალეული, ხოლო სანინალმდეგო ვითარების დროს დაზარალებულის ბრალი არ გამოირიცხავს პირის პასუხისმგებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის გაუფრთხილებლობა ამსუბუქებს ბრალს და შესაბამისად სასჯელსაც.

ასევე გადანაცვლება პასუხისმგებლობის საკითხი მაშინაც, როდესაც მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობაში ჩართულია მესამე პირთა მოქმედება, რომელიც ბრალდებულის ქმედებასაც არ იყო დაკავშირებული.

ამრიგად, მიზეზობრივი კავშირის "განყვეტის" ცნება საფუძველს მოკლებული ცნებაა. თუ მიზეზობრივი კავშირი უკვე არსებობდა, იგი ვეღარ ჩაითვლება არასებულად, ხოლო თუკი იგი არ არსებობდა, არც შეიძლება რომ განყვედეს და ის შემთხვევები, რომელთაც მიზეზობრივი კავშირის განყვეტის მეშვეობით ცდილობენ დაასაბუთონ, სინამდვილეში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის პრინციპის მოშველიების საფუძველზე უნდა გადაიჭრას: პირი პასუხს აგებს მაწინა შედეგისათვის, თუ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და ბრალეული იყო.

§4 მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობის დროს

უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი, ერთ-ერთი ურთულესი საკითხთაგანია სისხლის სამართალში. ეს საკითხი ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში პირველად ლიუდენმა დააყენა. შემდეგ ამ საკითხის გადაჭრას მრავალგზის შეუცადნენ. კრიმინალისტიკის უმრავლესობას მიზეზობრივი კავშირი წმინდა მექანიკურ კავშირად ესმოდა. მათი გაგებით, რადგან უმოქმედობა

აბსოლუტური არარაობაა, მას არც რაიმეს წარმოშობა შეუძლია, ამიტომ უმოქმედობის მიზეზობრიობას თვით უმოქმედობაში კი არ ეძებდნენ, არამედ უმოქმედობასთან დაკავშირებულ დადებით მოქმედებაში, ან იმ პირის ფსიქიკის შინაგან პროცესებში, რომელმაც არ შეუშალა ხელი დანაშაულებრივი შედეგის დადგომას.

ასეთი შეხედულება უმოქმედობის მიზეზობრიობის შესახებ გაკრიტიკებულია თვით ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ. თუ აღნიშნულ თეზას გავყვებით, მაშინ დედის მიერ შვილისათვის ძუძუს არ მიცემის შემთხვევაში, რასაც შვილის სიკვდილი მოჰყვა, სიკვდილის მიზეზად დედის მიერ წინდის ქსოვა უნდა ჩაგვეთვალოს, თუ იგი დროის იმ მონაკვეთში ამ საქმით იყო დაკავებული.¹

ბურჟუაზიული იურისტების მეორე ნაწილი მიზეზობრიობას იმ დადებით მოქმედებაში ხედავდა, რომელიც უმოქმედობას უსწრებდა წინ, მაგრამ ეს შეხედულებაც უსუსური აღმოჩნდა უმოქმედობის მიზეზობრიობის დასაბუთებლად. როგორც ლიტერატურაში მიუთითებდნენ, წინა მოქმედებაზე სიმძიმის ცენტრის გადატანა ვერ მოხსნის აღნიშნულ სირთულეს და ამის საილუსტრაციოდ მოაქვთ ისეთი შემთხვევა, როდესაც წინა დადებითი მოქმედება ბრალის გარეშე იქნა ჩადენილი, ხოლო ბრალეული ფსიქიკური განწყობილება უმოქმედობის დროს აღმოცენდა. აღნიშნული თეორიის მომხრენი ამ სიძნელისაგან თავის დაღწევას იმით ცდილობენ. რომ მოითხოვენ უმოქმედობის დროს წარმოშობილ განზრახვას მიეცეს უკუშალა და იგი გავრცელდეს წინარე მოქმედებაზე, რაც წინა მოქმედებასა და შემდგომი უმოქმედობის ერთიან მთლიანობაში განხილვის შესაძლებლობას მოგვცემდა.² ამ თეორიის მომხრეებმა დაივიწყეს ის ძველმარტება, რომ არ შეიძლება ერთიანობაში იქნეს განხილული ორი სრულიად დამოუკიდებელი აქტი, რომლებიც

1 Н. Д. Сергеевский. О значении причинной связи в уголовном праве. Ярославль, 1880, т. 2, с. 87.

2 И. Фойницкий. Мошеничество по русскому праву. ч. 2, СПб. с. 214-219.

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ობიექტური ნიშნით, ისე პირის სუბიექტური დამოკიდებულებით თავისი ქცევისადმი. გარდა ამისა, შედგომ წარმოშობილი განზრახვის წინა, დადებით მოქმედებაზე გადატანა ქმნის ბრალის დაუსაბუთებელ პრეზუმციას.

უმოქმედობის მიზეზობრიობის დასაბუთებას შეეცადა აგრეთვე ინტერფერენციის თეორია. ამ თეორიის ძირითადი წარმომადგენელი იყო ბური. მისი აზრით, უმოქმედობა მხოლოდ გარეგნულად გვეჩვენება უარყოფითად, სინამდვილეში კი, იგი რალაც დადებითს შეიცავს. ხოლო ამ დადებით მომენტს იგი ადამიანის ფსიქიკურ სფეროში ეძებდა. კერძოდ, უმოქმედობა გამოიხატება შედეგის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ნებელობითი იმპულსის ჩახშობაში და ამ თვალსაზრისით იგი მიზეზობრივია შედეგისათვის. ნებამ უბრძანა კუნთებს შეეჩერებინათ შედეგის თავიდან აცილებისაკენ მიმართული მოქმედების თავდაპირველად წარმოშობილი სტიმული, ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ პირველი ნებელობითი იმპულსი შედეგს აღკვეთდა.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ამ თეორიას მეტად პრიმიტიულად აქვს წარმოდგენილი ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესები გარდა ამისა, ამ თეორიის თანახმად, პასუხისმგებლობა მთლიანად პიროვნების ფსიქიკურ მდომარეობაზეა გადატანილი და არა მის გარეგან გამოვლენაზე.

კარლ ბინდინგი შეეცადა ამ ჩიხიდან გამოეყვანა ინტერფერენციის თეორია და ინტერფერენციის იდეა ადამიანის ფსიქიკის სფეროდან გარეგან სფეროში გადაეტანა. ბინდინგის მიხედვით დანაშაულებრივი უმოქმედობის დროს ადამიანის ქცევა ორ აქტად იყოფა. პირველი აქტი ეს არის ადამიანის აქტიური მოქმედება, რომელიც გულისხმობს როგორც დადებით (შედეგის ხელშემწყობ), ისე უარყოფით (შედეგის ხელშემშლელ) პირობებს. ეს უკანასკნელი გარეგნულად უარყოფითი აქტის სახით ვლინდება, სინამდვილეში კი იგი შეიცავს აქტიურ მიზეზობრივ მომენტს, რომელიც გამოიხატება ხელშემშლელი პირობების მოსპობაში. აღნიშნული შეხედულების ნათელსაყოფად ბინდინგს ასეთი მაგალითი მოაქვს: თუ კარგი მცურავი დაიყოლიებს ცუდ მცურავს,

რათა მასთან ერთად გასცუროს ზღვაში, მისი მოქმედება დადებითი, ანუ მავნე შედეგისათვის ხელშემწყობი პირობაა, ვინაიდან ამით ცუდ მცურავს დახრჩობის საფრთხე შეექმნა. ამავე დროს, იგი უარყოფითი პირობაც არის, რადგან კარგ მცურავს გადანყვეტილი აქვს დაეხმაროს ცუდ მცურავს ზღვაში, არ დაუშვას მისი დაღუპვა. მეორე აქტს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგისათვის ხელისშემშლის გადანყვეტილების მოსპობა, რომელიც გარეგნულად უმოქმედობის ფორმით ვლინდება, სინამდვილეში კი იგი აქტიურ მიზეზობრივ მომენტს შეიცავს, რაც ხელშემშლელი პირობის მოსპობაში მდგომარეობს.

ბინდინგის თეორია არსებითად არ განსხვავდება ინტერფერენციის თეორიისაგან, ვინაიდან მიუთითებს არა იმ მომენტებზე, რომელიც გარესამყაროში მიმდინარეობენ, არამედ იმ პროცესებზე, რომელიც ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარეობს.¹

ბინდინგის თეორიის ამ ნაკლის გამოსწორება სცადა ნ. სერგეევსკიმ. მისი აზრით, კარგი მცურავი დასაწყისში ნამდვილად უნდა ეხმარებოდეს ცუდ მცურავს და არა მხოლოდ თავის გულში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ უმოქმედობა სპობს მავნე შედეგის ხელშემშლელ პირობას და მოქმედებაში შვწყავს მავნე შედეგის ხელშემწყობი ძალები. ხოლო თუ პირი თავიდანვე არ უნევედა ცუდ მცურავს დახმარებას და ეს უკანასკნელი დაიღუპა, აქ შედეგი გამოწვეულია არა უმოქმედობით, არამედ მოქმედებით. თუმც სერგეევსკი შეეცადა თვით უმოქმედობაში გამოენახა აქტიური მიზეზობრივი მომენტი, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ემყარებოდა მექანიკურ მიზეზობრიობას, რომლის დროსაც უმოქმედობას არ ძალუძს მოსპოს გარემოში არსებული პირობები, არ შეუძლია შეცვალოს ძალთა მექანიკური თანაფარდობა;²

ამრიგად, ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში გაბატონებულია თეორია, რომელიც უარყოფს მიზეზობრივი კავშირს სისხლის სამართალში უმოქმედობის დროს. ამ შეხედულების ყველაზე თანმიმდევარი წარმომადგენლების აზრით, დანაშაულებრივი

1 თ. ნერეთელი, გ. ტყეშელაძე დასახ. ნაშრ., გვ. 291-292.

2 იქვე

უმოქმედობის სფეროდან გაძევებული უნდა იქნეს ტერმინი „მიზნობრივი კავშირი“ და იგი უნდა შეიცვალოს „უმოქმედობის რელევანტობის“ ტერმინით. ამ თეორიას უმოქმედობის პასუხისმგებლობის საფუძვლად მიაჩნია არა უმოქმედობის მიზნობრიობა, არამედ მისი მართლწინააღმდეგობა: კანონი დანაშაულებრივი შედეგისათვის ხელის არშეშლას მის გამონკვევას უთანაბრებს იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰქონდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება, მაგრამ თუ რატომ არის უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობა გათანაბრებული შედეგის გამონკვევასთან, ამ კითხვაზე ეს თეორია პასუხს არ იძლევა.

უმოქმედობის მიზნობრიობის შესახებ მსგავსი შეხედულება ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაშიდაც გამოითქვა.¹ ზოგიერთი იურისტი კატეგორიულად უარყოფდა უმოქმედობის კაუზალობას. მათი აზრით უმოქმედობას არ შეუძლია რაიმე გამოინვიოს. პასუხისმგებლობის საფუძველი უმოქმედობის დროს უმოქმედობის მიზნობრივი ხასიათი კი არ არის, არამედ პირის მიერ თავისი იმ მოვალეობის შეუსრულებლობაა, რომლის მეშვეობითაც მან შედეგი იქნებოდა თავიდან აცილებული. მართალია, უმოქმედობა მოძრაობის განსაზღვრული ფორმაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განვიხილავთ მოვლენათა საერთო ურთიერთშემოქმედებაში და არა იზოლირებულად. იზოლირებულად განხილული უმოქმედობა სიცარიელეა, ნულია, რომელსაც არ შეუძლია რაიმე წარმოშვას. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობა ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც დადებითი მოქმედება, რადგან ამ შემთხვევაში არ სრულდება მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა. ეს ავტორები ვერ ხსნიან თუ რატომ არის რომ ზოგჯერ უმოქმედობა ისევე ისჯება, როგორც საზოგადოებრივი საშიში შედეგის წარმოშობის მიზეზი, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, - როგორც გარკვეული მოვალეობის შეუსრულებლობა (მაგალითად, დანაშაულის გაუცხადებლობა, გასაცდელში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობა).

უმოქმედობის კაუზალობის უარყოფა, თანმიმდევრულად

¹ მ. შარგოროდსკი, ბ. ტიმეიკო, ბ. ანტიმონოვი, ე. ფლეშიცტი.

გამოიწვეს მიზეზობრივ კავშირის უარყოფას ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვინმე დადებითი მოქმედებით ხელს უშლის იმ ძალას, რომელსაც მანვე შედეგი თავიდან უნდა აეცდინა. აღნიშნული მოსაზრების ნათელსაყოფად პროფ. თ. წერეთელს ასეთი მაგალითი მოაქვს: ბოროტმოქმედები ხელ-ფეხს შეუკრავენ რკინიგზის დარაჯს, რომელიც ველარ ახერხებს მემანქანის გაფრთხილებას საფრთხის შესახებ, რასაც შედეგად მატარებლის მარცხი მოჰყვება. ანდა გაძარცვის ერთ-ერთი თანამონაწილე გაიტყუებს მალაზიის დარაჯს, რითაც სარგებლობენ დანარჩენი თანამონაწილენი და მალაზიას ძარცვავენ. თუ უარყოფთ უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს-მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი, მაშინ შეუძლებელი იქნება უმოქმედობის ჩართვის გამო მიზეზობრივად დავაკავშიროთ იმ პირის აქტიური მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა სხვა პირს თავისი მოვალეობა შეესრულებინა და დანაშაულებრივი შედეგი თავიდან აეცდინა, ვინაიდან უმოქმედობა „სიცარიელეს“ წარმოადგენს და მიზეზობრივ ჯაჭვს წყვეტს. აქედან გამომდინარე, დაუსჯელი უნდა დარჩეს ყველა, ვინც დანაშაულებრივი შედეგის სანინააღმდეგო ძალა აქტიური. მოქმედებით შეაფერხა, რაც მიუღებელია, მაგრამ ასეთ დასკვნებს იწვევს უმოქმედობის მიზეზობრიობის უარყოფა.¹

ჩვენს სისხლის სამართალში აღიარებული და გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად უმოქმედობის დროს არსებობს მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ეს შეხედულება ემყარება იმას, რომ უმოქმედობა არ არის გაგებული როგორც სიცარიელე, რომელსაც არ შეუძლია რაიმეს წარმოშობა. უმოქმედობა განსაზღვრული უცევაა, ამიტომ მას უნდა გაენიოს ანგარიში და მიღებული იქნეს მხედველობაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც პირი არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც აუცილებელი იყო გარკვეულ სიტუაციაში და ამიტომ კონკრეტულ პირობებში მოსალოდნელიც იყო მისგან.

უმოქმედობას ისიც შეუძლია, რომ ფსიქიკური ზეგავლენა მოახდინოს სხვა პირზე, წარმოქმნას მისი მოქმედების მოტივი

¹ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 298-299.

და სწორედ ამ გზით გახდეს დანაშაულის ჩადენის ხერხი. მაგალითად, გამყოლი არ აფრთხილებს უსინათლოს უფსკრულთან მიახლოვების შესახებ, თუმცა ეს უკანასკნელი ასეთ გაფრთხილებას ელოდა და იგი ამის გამო უფსკრულში გადაიჩეხება; ასევე, რკინიგზის დარაჯი არ აძლევს მემანქანეს ნიშანს საფრთხის შესახებ, რასაც მემანქანე მისგან ელოდა და ამის შედეგად მატარებელი რელსებიდან გადადის და ა.შ.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ უმოქმედობა არ არის ნული, სიცარიელე, არარაობა, არამედ იგი ქმნის სხვა პირის განსაზღვრული ქცევის მოტივს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადყოფილია უმოქმედობის კაუზალობა, იგი მოტანილ მაგალითებში ფსიქიკურად მოქმედი მიზეზია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმოქმედობა არა მხოლოდ მოტივაციურ ზეგავლენას ახდენს სხვა ადამიანის მოქმედებაზე, არამედ იგი შეიძლება მიზეზობრიობის იმ საერთო ფაქტში ჩაერთოს, რომელიც ობიექტურ გარესაყაროში მიმდინარეობს. მაგალითად, შინამოსამსახურე უთანხმდება მძარცველებს და განზრახ ტოვებს კარს ღიად, რის შედეგადაც მძარცველები ბინაში შეაღწევენ და ბინას გაძარცვავენ. მიზეზობრიობის თავალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არის იმ შემთხვევასა და მოტანილ მაგალითს შორის, როდესაც შინამოსამსახურე ამავე განზრახვით განგებ გაუღებს კარს მძარცველებს¹

პასუხი უნდა გაცეს იმ კითხვას, თუ რა გზით მყარდება კავშირი უმოქმედობასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის.

ამ კავშირის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს იყო თუ არა პირი ჩაბმული თავის წინა მოქმედებით განსაზღვრულ ურთიერთობათა კანონზომიერებაში. ინდივიდის კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში მან განსაზღვრულ ფუნქციებს აკისრებს, რის გამოც საზოგადოება შექმნილ სიტუაციაში მოელის მისგან სწორედ ამ მოლოდინის შესაბამის მოქმედებას და იმ შემთხვევაში, როდესაც ეს

თ. ნერუელი, გ. ტყეშელაძე დასახ. ნაშრ., გვ. 300.

დასაბუთებული მოლოდინი არ მართლდება, როდესაც პირი გამოთიშავს თავის მოქმედებას კონკრეტული სიტუაციიდან და გზას უხსნის საშიში შედეგის გამომწვევ მავნე ძალებს, ამით მისი უმოქმედობა საშიში შედეგის აუცილებელ პირობად იქცევა.

მოქმედების მოვალეობის სამართლებრივი საფუძველი სხვადასხვაა, რის შესახებაც ზემოდ იყო ლაპარაკი.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა პირს სხვადასხვა იურიდიული საფუძველით მოქმედების სპეციალური მოვალეობა ეკისრება, მიზეზობრივი კავშირი პირის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს. თუ პირს ასეთი სპეციალური მოვალეობა არ გააჩნია, არც მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს პირის უმოქმედობასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის.

სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ შემთხვევას, როდესაც პასუხისმგებლობა დგება თავისთავად, დამდგარი შედეგისაგან დამოუკიდებლად, თვით უმოქმედობისათვის (მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა). ეს წმინდა უმოქმედობის შედეგარეშე დანაშაულია. ასეთი შემთხვევები უნდა განვასხვავოთ უმოქმედობით გამოწვეული მავნე შედეგის შემთხვევებისაგან. პირი ამ შემთხვევაში თავისი უმოქმედობით არ იწვევს მავნე შედეგს. იგი შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც იმ საფრთხის უვნებელყოფა, რომელიც მის გარეშე წარმოიშვა, შეუძლია და რომლის წარმოშობაში იგი ჩაბმული არ ყოფილა. პირიქით, თუ პირს სპეციალური მოვალეობა ეკისრებოდა ხელი შეეშალა დანაშაულის განხორციელებისათვის და იგი უმოქმედობს, მისი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია განხორციელებულ მავნე შედეგთან.

იმისათვის, რომ პირს გარკვეულ სიტუაციაში მოეთხოვოთ გარკვეული მოქმედების შესრულება, აუცილებელია, რომ მას ასეთი მოქმედების არა მხოლოდ ვალდებულება, არამედ მისი შესრულების შესაძლებლობაც ჰქონდეს. მაგრამ თუ პირი თავისი წინა ბრალეული მოქმედებით შეუძლებელს ხდის სავალდებულო მოქმედების შესრულებას, იგი არ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

გარდა აღნიშნულისა, იმისათვის, რათა პირის უმოქმედობასა

და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი დასაბუთდეს აუცილებელია, პირის სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედების წყალობით შედეგის თავიდან აცილება. თუ ასეთი შედეგი პირის მოქმედების მიუხედავად, მაინც განხორციელდება, მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამდგარ მანვე შედეგს შორის გამორიცხულია.

§ 5. მიზეზობრივი კავშირი ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში

მიზეზობრივ კავშირს ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში. შეიქმნა მრავალი თეორია მიზეზობრიობის შესახებ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენენ ადეკვატური და ექვივალენტური ანუ პირობათა თანასწორფასოვნების თეორიები.

ექვივალენტურ თეორიას ფესვები ინგლისის პოზიტიურ ფილოსოფიაში ანუ აგნოსტიციზმში აქვს გადგმული. ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ინგლისელი ფილოსოფოსები ჰიუმი და ჯონ სტიურტ მილი. მილის აზრით, ყოველი მოვლენა შეიძლება წარმოიშვას არა ერთი, არამედ რამდენიმე წინამორბედ მოვლენათა ერთობლიობის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიური თვალსაზრისით მიზეზი არის დადებითი და უარყოფითი მოვლენის სრული ჯამი, რომელთა არსებობაც უცვლელად ინვევს შედეგს. ყველა წინამორბედი მოვლენა ერთნაირად აუცილებელია შედეგისათვის და ამ მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის.

აღნიშნული შეხედულება მიზეზობრივ კავშირზე საფუძვლად დაედვა ეკვივალენტურ ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორიას სისხლის სამართალში, რომლის მამამთავარი იყო გერმანელი კრიმინალისტი ბური. ბურმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი თეორია: მოვლენის მიზეზს ყოველთვის აუცილებელ პირობათა ჯამია. ყოველი პირობა აუცილებელია მოვლენის წარმოშობისათვის, მის გარეშე შედეგი არ წარმოიშობოდა. ეს პირობები განუწყვეტლივ კავშირში არიან ერთმანეთთან.

საკმარისია ამ პირობათა ერთობლიობას თუნდაც ერთი გამოაკლდეს, რომ დანარჩენი პირობები ინერტულ მასად გადაიქცნენ, რომელთაც შედეგის წარმოშობა არ შეუძლიათ. აღნიშნულის შესაბამისად, ეკვივალენტური თეორია სცნობს მიზეზობრივ კავშირს ადამიანის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოქმედება მანერ შედეგის ერთერთი აუცილებელი პირობაა, მისი *conditio sine qua non* არის, ხოლო იმის დასამტკიცებლად არის თუ არა ქმედება დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, ექვივალენტური თეორია შემდეგ ხერხს მიმართავდა: ყველა იმ პირობათა ჯამიდან, რომელიც წინ უსწრებდა შედეგს აზრობრივად თიშავდა მოქმედებას. თუ შედეგი ამ მოქმედების გარეშე არ განხორციელდებოდა, ეს იმის დამადასტურებელი იყო, რომ ქმედება დამდგარი შედეგის აუცილებელი მიზეზი იყო და, პირიქით.

ექვივალენტური თეორიის ნაკლი, აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნად აღიარებაშია. ამ თეორიის თანახმად, ყველა აუცილებელ პირობას ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება შედეგის განხორციელებაში, რასაც თეორიის მომხრენი შედეგის განუყოფადობით ასაბუთებდნენ: მათი აზრით რამდენადაც არ შეიძლება შედეგის გაყოფა, ამდენადვე არ შეიძლება მისი გამომწვევი ძალების დაყოფა, მათ არავითარი ხარისხი რ გააჩნიათ.

ამ თეორიის მიხედვით შეუძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა რაიმე ობიექტური ნიშნით. ამიტომ ამ თეორიის მიმდევრები მომზადებისა და მცდელობის განმასხვავებელი ნიშნების მოძიებას სუბიექტურ, ფსიქიკურ სფეროში შეეცადნენ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მცდელობის სუბიექტური თეორიები დაედვა საფუძვლად ამ ცნების სრული გაუქმების მოთხოვნას.

ობიექტური ნიშნის მიხედვით ასევე ვერ იქნება, ერთმანეთისაგან გამიჯნული თანამონაწილეთა საქმიანობაც. აქაც, აღნიშნული თეორიის წარმომადგენელნი თანამონაწილეთა გამიჯვნას სუბიექტური ნიშნით ცდილობენ: ამსრულებელია ის, ვინც საკუთარი ინტერესის გამო მოქმედებს, თანამონაწილე კი ის, ვინც მოქმედებს სხვისი ინტერესისათვის. მაგრამ ვინაიდან ამ

ნიშნით თანამონანილეთა გამიჯვნა ვერ ხერხდება, ამ თეორიის წარმომადგენლები თანამონანილეობის ცნების სრული გაუქმების დასკვნამდე მივიდნენ.

და ბოლოს, ეს თეორია იძულებულია აღიაროს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობის ერთადერთ საფუძლად მხოლოდ სუბიექტური მომენტი, ე.ი. ბრალი, და ამ პასუხისმგებლობისათვის ობიექტურ მომენტს, დანაშაულებრივი ნებისა და მისი ინტენსივობის დადგენის ძირითადი და აუცილებელი საშუალების მნიშვნელობა ენიჭება. რამდენადაც დანაშაულებრივი ნება შინაგანი ფსიქიკური პროცესია, მიუთითებენ ისინი-ამდენად იგი გარეგნულად მხოლოდ შედეგისა და მიზეზობრივი კავშირის მეშვეობით ვლინდება. ამრიგად, ამ თეორიის წარმომადგენლები მიზეზობრივ კავშირსა და შედეგს მხოლოდ ბრალის დამადასტურებელ საშუალებად, სიმპტომად განიხილავენ და თანმიმდევრულად დანაშაულის სიმპტომატურ გაგებამდე მიდიან, რასაც თავის მხრივ-სასჯელის საფუძვლად „პიროვნების საშიში მდგომარეობის“ აღიარებამდე მივყავართ.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის თეორია. მისი მამამთავარი იყო გერმანელი მეცნიერი ი.კრისი, რომელმაც 1888 წელს ამ საკითხს მიუძღვნა მონოგრაფია. ამ თეორიამ სულ მალე მრავალი მიმდევარი შეიძინა და კონსურენცია გაუწია კიდევ ექვივალენტურ თეორიას, რომელიც სრულიად გამოაძევა კიდევ სამოქალაქო სამართლის სფეროდან.

აღნიშნული თეორიის თანახმად, მიზეზობრივ კავშირს ორგვარი მნიშვნელობა გააჩნია: ფილოსოფიური და პრაქტიკული. ფილოსოფიური მნიშვნელობით, ერთადერთ სწორ თეორიას ექვივალენტური თეორია წარმოადგენს, მაგრამ სამართლის მეცნიერებაში, რომელსაც საქმე ეჭვგარეშულ მიზეზობრიობასთან აქვს, არ შეიძლება ისარგებლობს მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიური გაგებით. სამართალმა უნდა გამოიყენოს აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირი, რომელიც სამართლის პრაქტიკულ მოთხოვნებს შეესაბამება და რომლის თანახმად აუცილებელი პირობები სრულიადაც არ არიან თანასწორ-

ფასოვანი და ისინი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. აბსტრაქტული მიზეზობრიობის ცნება ეფუძნება „ობიექტური შესაძლებლობის“ კატეგორიას, რომელიც შეუთავსებელია კონკრეტულ კაუზალობასთან; კონკრეტულ სინამდვილეს საქმე აქვს ან მოვლენის წარმოშობის აუცილებლობასთან ან მისი წარმოშობის შეუძლებლობასთან. თუ რაიმე მოვლენა განხორციელდა, ეს იმის მომასწავებელია, რომ უკლებლივ ყველა აუცილებელი პირობის ერთობლიობით მისი განხორციელების შესაძლებლობა წინასწარ იყო განსაზღვრული და პირიქით, თუ მოვლენა არ განხორციელდა, წინასწარი პირობებით განსაზღვრული იყო მისი განხორციელების შეუძლებლობა. მესამე რამ არ არსებობს და შესაძლებლობის კატეგორია შეუთავსებელია კონკრეტულ მიზეზობრიობასთან. შესაძლებლობის ცნება აბსტრაქტული კატეგორიაა, იგი გულისხმობს აბსტრაგირებას-განყენებას ცალკეულისაგან, კონკრეტულისაგან. ამიტომ ის კი არ უნდა გაირკვეს შეეძლოს თუ არა განსაზღვრულ პირობას მოცემულ კონკრეტულ გარემოებაში გამოენჯია ზუსტად განსაზღვრული შედეგი, არამედ შეუძლია თუ არა საზოგადოდ ამგვარ პირობას, ჩვენი გამოცდილების თანახმად, გამოინვიოს ასეთი შედეგი.

ამგვარად გამოდის, რომ საკმარისი არ არის იმის დამტკიცება, რომ მოქმედება იყო მანვე შედეგის ერთერთი აუცილებელი პირობა, არამედ ამასთან ერთად უნდა ისიც დადასტურდეს, რომ ამგვარი მოქმედება საზოგადოდ, ჩვეულებრივ ინვევს ასეთი ხასიათის შედეგს.

ასეთ ადეკვატურ მიზეზობრივ კავშირს კრისი უპირისპირებს შემთხვევით მიზეზობრივ კავშირს, როდესაც მოქმედება კონკრეტულ შემთხვევაში თუმცა გვევლინება განსაზღვრული შედეგის ერთერთ აუცილებელ პირობად, მაგრამ საზოგადოდ, ჩვეულებრივ იგი არ წარმოადგენს ასეთი შედეგის წარმოშობის მიზეზს.

ასეთია ადეკვატური თეორიის ძირითადი მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად უდევს ამ თეორიის სხვადასხვა ნაირ-სახეობას.

ამ თეორიის უსუსურობა თვალნათლივ გვიჩვენა პროფ.თ. ნერთელმა თავის ნაშრომში. კერძოდ, დამნაშავე თავისი ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად იყენებს მხოლოდ მისთვის ცნობილ განსაკუთრებულ ინდივიდუალურ გარემოებებს და ისეთ საშუალებას მიმართავს, რომელიც საზოგადოდ, ჩვეულებრივ არ გამოდგება ასეთი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, დამნაშავე იცის, რომ დაზარალებულს თავის ქალის ოპერაცია აქვს გაკეთებული, რის შედეგადაც თავის ქალა ძლიერ გათხლებულია და თავის არეში მსუბუქი დარტყმაც კი მის სიკვდილს გამოიწვევს. დამნაშავე მსუბუქად ჩაარტყამს თავში ჩიბუხს დაზარალებულს და ამით კლავს მას. ადეკვატური თეორიის თანახმად, ამ შემთხვევაში არ შეიძლება დასაბუთდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩიბუხის ჩარტყმასა და კაცის სიკვდილს შორის, ვინაიდან საზოგადოდ, ჩვეულებრივ ჩიბუხის თავში ჩარტყმა არ იწვევს სიკვდილს.

ამ თეორიის მეორე ნაკლი იმაშია, რომ მან ვერ დაადგინა „ობიექტური შესაძლებლობის“, „შედეგისათვის ხელშეწყობის“ ის ხარისხი, რომელმაც ადეკვატური კაუზალობა უნდა დაასაბუთოს და ამიტომ ამ ხარისხის დადგენას იგი აკისრებს მოსამართლეს, მისი სუბიექტური გამოცდილების, ცოდნის, წარმოდგენების მეშვეობით გადანევიტოს ეს საკითხი, რაც თავის მხრივ ძირს უთხრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზუსტ საფუძველს!

§ 6. დანაშაულის ობიექტური მხარის ფაქულტატური ნიშნები და მათი მნიშვნელობა

დანაშაულის ობიექტურ მხარეს ძირითადი ნიშნების გარდა (ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი), განეკუთვნება აგრეთვე ფაქულტატური ნიშნები: დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება და ვითარება, რომელშიდაც იგია ჩადენილი.

1 ეს თეორემები და მათი კრიტიკა გადმოტანილია ნაშრომებიდან:

T. B. Церетели. Прямая связь в уголовном праве. М., 1963, стр. 238-250.

დანაშაულის ჩადენის დრო უპირველეს ყოვლისა ხასიათდება ხანგრძლივობით, განგრძობადობით და განისაზღვრება ნამებით, წუთებით, საათებით, დღე-ღამეობითა და წლებით. კონკრეტული დანაშაულის ნიშნების დახასიათებისას გამომძიებელი ან მოსამართლე ყოველთვის მიუთითებს თუ როდის იყო ჩადენილი კონკრეტული დანაშაული, რამდენ ხანს გრძელდებდა (განსაკუთრებით თუ ეს დანაშაული დროში დენადია, მაგალითად დებერტირობა), მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. კანონში იშვიათად არის მითითებული დანაშაულის ჩადენის დროზე, როგორც დანაშაულის აუცილებელ ნიშანზე, მაგალითად, სსკ-ის მკ-ე მუხლში ლაპარაკია ომიანობის დროს გადსახადის გადაუხდელობაზე ან ბეგარის შეუსრულებლობაზე. ასევე, იმ მუხლებში, რომლებიც სამხედრო დანაშაულს შეეხება, მითითებულია ომიანობის დროზე. დანაშაულის დროზე მითითებას ვხვდებით სსკ-ე 177-ე მუხლში, რომლის თანახმად იკრძალება ნადირობა განსაზღვრულ ვადებში.

დანაშაულის ჩადენის ადგილი, უპირველესად ეს არის ის სივრცე, რომელიც შეიძლება დაკავებული იქნეს ვინმეს ან რაიმეს მიერ, რომელზედაც რაღაც ხდება, ან რომელზე განლაგებაც შესაძლებელია; ეს შეიძლება იყოს მიწის ზედაპირის მონაკვეთი ან ადგილსამყოფელი. სისხლის სამართალში დანაშაულის ჩადენის ადგილი უპირველესად განისაზღვრება გეოგრაფიული ცნებით. მაგალითად ზღვა ან წყალსაველი გზა-(მუხ.132), ზღვა-(მუხ.226), წსსკ-ის. 653 მუხ.) შიდა ზღვა, მდინარეები, ტბები (მუხ. 175,176,176¹,176²), ტყე-(მუხ. 178). ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის ადგილი შეიძლება იყოს ის სივრცე, სადაც ადამიანი ცხოვრობს (მუხ.141), შრომა-გასწორების კოლონიები, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს-(მუხ.78), განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ადგილი - (მუხ.247), ის რეგიონი, სადაც განსაზღვრული მოქმედება მიმდინარეობს. კერძოდ, ომი (მუხ.281), ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი ამ მიზნით ისეთ ცნებას იყენებს, როგორიცაა აკრძალული ადგილი (მუხ.177), დანაშაულის ჩადენის ადგილს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს საბაჟო საზღვარი (მუხ.79).

დანაშაულის ჩადენის ხერხზე საკმაოდ ხშირად არის

მითითებული კანონში; მაგალითად, ქონების გატაცება განირჩევა მისი ჩადენის ხერხით (91-96, 150-155 მუხლები). დანაშაულის ჩადენის ხერხი თანამდებობრივ დანაშაულთა ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს (186,187,189,191, მუხლები). მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნას განსაკუთრებული სისასტიკით ანდა მრავალ პირთათვის საშიში ხერხით (მუხ.104). სსკ-ის 177-ე მუხლი ითვალისწინებს უკანონო ნადირობას აკრძალული იარაღებით და ხერხით.

განსხვავებული შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის იარაღიც. დანაშაულის ობიექტური მხარის ფაქულტატურ ნიშნებს სამნაირი მნიშვნელობა გააჩნიათ. პირველი-ისინი სავალდებულონი არიან, თუ მათზე მითითებულია მუხლის დისპოზიციაში, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის ნიშნები. მაგალითად, გემის კაპიტნის მიერ იმ ადამიანებისათვის დახმარების აღმოუჩენლობა, რომლებიც განსაცდელში არიან, მხოლოდ იმ შემთხვევაშია დანაშაული თუ ეს მოხდა ღია ზღვაში ან სხვა წყალსაველ გზაზე (სსკ-ის 132-ე მუხლი). ობიექტური მხარის ფაქულტატური ნიშნების მეორე მნიშვნელობა იმაშია, რომ მათ შეუძლიათ ძირითადი შემადგენლობა გადააქციონ კვალიფიციურ დანაშაულად. ეს მაშინ ხდება, როდესაც ფაქულტატური ნიშნები მითითებულია მოცემული მუხლის 2,3 და ა.შ. ნაწილში. ასეთ შემთხვევაში ფაქულტატური ნიშნები წარმადგენენ შემადგენლობის მაკვლიფიცირებელ ნიშნებს. (81-ე მუხ. ნაწ. II). საომარი დრო, ან სამხედრო მდგომარეობა სამხედრო დანაშაულობის მაკვალიფიცირებელი ნიშნებია.

მოქმედ კანონმდებლობაში გვხვდება ნორმები, როდესაც კანონმდებელი ფაქულტატურ ნიშნებს იყენებს როგორც ძირითად, ისე კვალიფიციურ შემადგენლობაში, მაგალითად, სსკ-ის 177 მუხლში-(უკანონო ნადირობა). მითითებულია ისეთი ნიშნები, როგორიცაა-აკრძალული ადგილი, აკრძალული დრო, კერძოდ, ნადირობა აკრძალულ ვადებში, ნადირობის აკრძალული იარაღებით და საშუალებებით, ხოლო სსკ 177-ე მუხლის მე-ნაწილში უკვე ვხვდებით ისეთ კვალიფიციურ ნიშნებს, როგორიცაა სახელმწიფო ნაკრძალები და აღკვეთილება, ავტომოტო-

სატრანსპორტო საშუალებანი. ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა დადგინდეს ძირითადი შემადგენლობის ნიშანი (მაგალითად, ნადირობა აკრძალულ დროს) და მხოლოდ ამის შემდეგ მაკვალიფიცირებული ნიშანი (მაგალითად, ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება).

თუ დანაშაულის შემადგენლობის ფაქულტატური ნიშნები მოცემულნი არიან, როგორც აუცილებელი ან მაკვალიფიცირებული ნიშნები, მაშინ დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში ისინი ქმნიან ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის სამართლებრივ საფუძველს.

იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ობიექტური მხარის ფაქულტატური ნიშანი არ არის მითითებული კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ ნორმაში როგორც სავალდებულო ან მაკვალიფიცირებული ნიშანი, მაშინ იგი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას, როგორც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება.

სსკ-ის 38-ე მუხლი, რომელშიც მოცემულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების საწინააღმდეგო ჩამონათვალი, შეიცავს დანაშაულის ჩადენის ვითარების განმსაზღვრელ რამდენიმე ნიშანს: დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების გავლენით ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო; დანაშაულის ჩადენა პირველად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო.

სსკ-ის 39-ე მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს. მათ შორის ობიექტურ მხარეს განეკუთვნება: დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით ან დაზარალებულის აბუჩად აგდებით; დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ უბედურებათა გარემოებების გამოყენებით; დანაშაულის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

იმ შემთხვევაში თუ ეს ნიშნები მითითებულია სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლის დისპოზიციაში, მაშინ მოცემულ მუხლებზე (38-ე და 39-ე) მითითება საჭირო აღარ არის და პირიქით, თუ ამ ნიშნებს არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის

კოდექსის კონკრეტული მუხლის დისპოზიცია, სასამართლო იღებს მათ მხდველობაში სასჯელის სახისა და ზომის შერჩევის დროს.

ამრიგად, დანაშაულის ობიექტური მხარის ფაქულტატიური ნიშნების მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნებს, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, არ ახდენენ ზეგავლენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე, მაგრამ სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის დანიშნისას ამსუბუქებდნენ ან ამძიმებდნენ პასუხისმგებლობას.

თავი VII დანაშაულის სუბიექტი

§ 1. დანაშაულის სუბიექტი

დანაშაულის სუბიექტი არის ის, ვინც ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედება და უნარი შესწევს კანონის შესაბამისად პასუხი აგოს ამ ქმედებისთვის სისხლის სამართლის წესით.

აღნიშნულის თანახმად, დანაშაულის სუბიექტი, ჩვენი სისხლის სამართლის მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრულ ასაკს მიღწეული, შერაცხადი ფიზიკური პირი — ადამიანი.

დანაშაულის სუბიექტი ვერ იქნება იურიდიული პირი (ორგანიზაცია, სანარმო, დანესებულება და სხვა). მის მიერ რაიმე სამართლდარღვევის შემთხვევაში (მაგალითად, შრომის წესების დარღვევა სანარმოში); სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა სანარმოს, როგორც ასეთს, არამედ კონკრეტულად იმ თანამდებობის პირს, რომელსაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი სამართლდარღვევაში. მითუმეტეს ვერ განიხილება დანაშაულის სუბიექტად საგანი, ცხოველი, ფრინველი, ბუნების ძალა. თუ ვნება მათგან წარმოდგება პასუხს აგებს ის, ვინც ვალდებული იყო არ დაეშვა ასეთი ვნების განხორციელება.

მხოლოდ ფიზიკურ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს და ეფუძნება ბრალეული, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და არა პასუხისმგებლობას შიშველი მოქმედებისა ან შედეგისათვის, სხვისი ბრალისათვის ან კიდევ კოლექტიური ბრალისათვის. ეს დებულება ნათლად არის ასახული საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“, რაც თავისთავად გამორიცხავს ობიექტური შერაცხვის, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას.

ბრალეული მოქმედება კი, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შესწევს უნარი ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებას და უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას, ე.ი. შერაცხადს და გარკვეული ასაკს მიღწეულ პირს.

იმ ძირითადი, არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია დანაშაულის ყველა სუბიექტისათვის ქმნის დანაშაულის ზოგადი სუბიექტის ცნებას. ზოგადი სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები დანაშაულის ყველა შემადგენლობისათვის არის სავალდებულო და აუცილებელია ყოველი დანაშაულის კვალიფიკაციისას.

ზოგჯერ კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმებში ითვალისწინებს იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომელთაც გარდა ძირითადისა, გააჩნიათ ყველა დანარჩენი სუბიექტისათვის ატიპიური, განსხვავებული ნიშნები. მათ დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს უწოდებენ, ამრიგად, სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენს ის, ვინც გარდა ზემოაღნიშნული ნიშნებისა, ხასიათდება დამატებითი ნიშნებით. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის კონკრეტულ ნორმაში სუბიექტის დამატებით ნიშნებზე მითითებით კანონმდებლის მიერ ხაზგასმულია მოცემული დანაშაულის სპეციფიკა.

§. 2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი

სისხლის სამართლის კანონის ადრესატი, შეიძლება მხოლოდ ის პირი იყოს, რომელსაც უნარი შესწევს შეიგნოს სამართლის ნორმების მოთხოვნათა მნიშვნელობა და საკუთარი მოქმედების ამ მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვა. ასეთი უნარი ადამიანში შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს გაღვივებული განსაზღვრული ასაკის მიუღწევლობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ კანონმა a priori არ უნდა დაადგინოს ის ზღვრული ასაკი, საიდანაც

შეიძლება დაინყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაუტოვოს იგი სასამართლოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადასაწყვეტად. მაგრამ ისტორიულადაც და დღესდღეობითაც არც ერთმა სამართალმა არ მიიღო ეს სანყისი; ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის დადგენა, თავისთავად ცხადია, გადაიქცეოდა კამათისა და თვითნებობის უშრეტ წყაროდ. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე კანონით იმთავითვე განისაზღვრა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი.

სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს ეს საზღვრები რაიმე წინასწარ აღებული იდეის ან პრაქტიკის გამოცდილების საფუძველზე ირჩეოდა.

ცნობილია, მაგალითად, ენ. რთული, ანუ რომაული სისტემა, რომელთანაც საკმაოდ ახლოს იდგა რომის სამართალი თავისი განვითარების მოგვიანებულ პერიოდში და ამიტომაც მიიღო ამ სისტემამ ეს სახელწოდება.

ამ სისტემის ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური ძალები ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ განახლდებიან და რომ ადამიანის სიცოცხლის ეს შეიღწიანი ვადები სავსებით შეესაბამება მისი განვითარების ძირითად ეტაპებს. ამ თვალსაზრისით ეს სისტემა განარჩევედა ენ. *infantes* შვიდ წლამდე — ბავშვობის, ანუ უპირობო შეურაცხაობის პერიოდს; *impuberes* — ყრმობის პერიოდს შვიდიდან თოთხმეტ წლამდე და *minores* — ოცდაერთ, ხოლო ზოგჯერ ოცდახუთ წლამდე, რომელთაც სასჯელი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უმსუბუქდებოდათ. ეს სისტემა აისახა სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის სამართალშიც.

აღნიშნული სისტემის უსუსურობა პირველ რიგში ფიზიოლოგიის მონაცემებით მტკიცდება, რომელიც უარყოფს ასეთი დაყოფის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ეს სისტემა მხედველობიდან უშვებს ადამიანის განვითარების ყველა დანარჩენ ფაქტორს. მაგალითად, იგი ყურადღების გარეშე ტოვებს ამა თუ იმ ქვეყნის არსებობისა და განვითარების როგორც კლიმატურ, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს და იძლევა ისეთ

საზომს, რომელიც თითქოს გამოსადევი უნდა იყოს ყველა დროისა და ყველა ქვეყნისათვის.

საპირისპირო სისტემა მოითხოვდა, რომ დაყოფა მომხდარიყო გამოცდილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, რომ კანონმდებელს რაც შეიძლება ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შეერჩია ისეთი საშუალო ციფრი, რომელიც მოცემული ადგილისათვის, მოცემულ ეპოქაში განსაზღვრავდა ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის პერიოდს, ამის შემდეგ აელო უკიდურესად დაგვიანებული განვითარების ზღვრული ციფრი და ამ ორ ზღვრულ ციფრს შორის შეერჩია რომელიმე მესამე ციფრი, რაც გახდებოდა პასუხისმგებლობის საფუძველი. ამრიგად, თუ კანონმდებელი ჩათვლიდა, რომ საშუალო ასაკი, საიდანაც შეიძლებოდა დაწყებულიყო შერაცხვა — 10 წელია, ხოლო 14 წელი კი, დაგვიანებული განვითარების პერიოდია, 12 წელი შეიძლება შერჩეული ყოფილიყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სანყის ასაკად. უნდა ითქვას, რომ არც ეს სისტემა არ იყო უნაკლო. ეს თაველსაჩინოდ ჩანს იმ ვადების სხვადასხვაობაში, რაც კლიმატური პირობებისა და საზოგადოებრივი განვითარების მხრივ ორი იდენტურად ქვეყნის მაგალითზე დამტკიცდა. ერთში თუ შეურაცხაობის ვადა 14 წლის ასაკში მთავრდებოდა, მეორეში ასეთად 10 წელი იყო აღიარებული. ასე რომ ასეთი დაყოფა ყველგან შემთხვევით ხასიათს ატარებდა და იგი სავსებით დამოკიდებული იყო კანონმდებლის პირად გემოვნებასა და თვალსაზრისზე.

უფრო მოგვიანებით, შეეცადნენ აღნიშნული ვადები დაენუსებინათ ერთი მხრივ, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების საფუძველზე.¹

1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე პასუხისმგებლობის ზოგად ასაკად 16 წელი დაადგინა. გამონაკლისის სახით

1. ამ საკითხზე დანვრილებით იხილე ლ. სურგულაძე-მოზარდი და სისხლის სამართლის კანონი. თბილისი, 1989 წ.

კანონმა დაანება პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან (მუხ. 10). ეს დებულება უცვლელად აისახა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (საქართველოს სსრ სსკ—ის მე-12 მუხლი). ეს ისეთი დანაშაულებებია, რომელთა შეგნება ადამიანს შედარებით ადრე უვითარდება და რომელსაც უფრო ხშირად სწორედ ამ ასაკში ჩადიან. ეს დანაშაულებებია: მკვლელობა (104—108—ე მუხ.); სხეულის განზრახ დაზიანება, რამაც ჯანმრთელობის შერყევბ გამოიწვია (110—ე, 111—ე, 112—ის მუხ. I ნან., 113, 114 მუხ.); გაუპატიურება (117—ე მუხ.); ყაჩაღური თავდასხმა (96—ე, 152—ე მუხ.); გაძარცვა (91—ე, 151—ე მუხ.); ქურდობა (91—ე, 150—ე მუხ.). ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა (228—ის მუხ. II და III ნან.); სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა (100—ე მუხ. II და III ნან., 100¹—ე მუხ. II, III ნან., 157—ე მუხ. II ნან.); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეტქებად ნივთიერებათა გატაცება (240—ე მუხ.); სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება (243—ე მუხ.); ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენა, რასაც შეიძლება გამოეწვია მატარებლის მარცხი (87—ე მუხ.).

დანარჩენი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან იწყება, მაგრამ არის ისეთი დანაშაული, რომლის სუბიექტი არასრულწლოვანი ფაქტიურად არ შეიძლება იყოს. მაგალითად, სამხედრო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული, 236—ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

14—იდან 16 წლამდე არასრულწლოვანმა შეიძლება ისეთი მოქმედება ჩაიდინოს, რომელიც არაა გათვალისწინებული სსკ—ის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის ჩამონათვალში, არასრულწლოვანი შეიძლება იყოს ბანდიტური თავდასხმის (78—ე მუხ.), მასობრივი არეულობის (მე-80 მუხ.) მონაწილე. ძალადობრივი მოქმედებები ჩაიდინოს პოლიციის მუშაკის წინააღმდეგ (209—ე მუხ.) და ა.შ. მსგავსი ქმედებები არ შეიძლება, რომ დაუსჯელნი დარჩნენ, მაგრამ მათი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ—ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულის მიხედვით. მაგალითად,

ბანდიტურ თავდასხმებში მონაწილეობისათვის 14—იდან 16 წლამდე არასრულწლოვანი პასუხს აგებს სსკ—ის 92—ე, ან 96—ე, 151—ე, 104—114 მუხლებით; მასობრივი არეულობისათვის — 228—ე მუხლით; პოლიციის მუშაკის მიმართ ძალადობრივი მოქმედებისათვის — პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მუხლებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც სრულწლოვანი ნააქეზებს დანაშაულის ჩასადენად არასრულწლოვანს 14 წლამდე, რომელიც საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით, ან 14—იდან 16 წლამდე — ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა 16 წლიდან იწყება, ითვლება, რომ არასრულწლოვანი გამოყენებულია, როგორც „ცოცხალი იარაღი“ სრულწლოვანი დამნაშავეს მიერ. „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება თავისი ხასიათით უთანაბრდება უშუალო ასრულებას იმ პირის მიერ, ვინც ბოროტად იყენებს „ცოცხალ იარაღს“ და ამდენად ერთადერთი, ვინც პასუხი უნდა აგოს ასეთი დანაშაულისათვის, არის სრულწლოვანი ანუ დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.

მოქმედი კანონმდებლობით არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება სიკვდილით დასჯა (მუხ. 24), თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით (მუხ. 25), გადასახლება (მუხ. 26), გასახლება (მუხ. 27). 18 წლის ასაკამდე, ჩადენილი დანაშაულისათვის არ შეიძლება ისინი ცნობილი იქნენ განსაკუთრებით, საშიშ რეციდივისტებად (მუხ. 44), მათ მიერ დანაშაულის ჩადენა შემამსუბუქებელ გარემოებადაა ცნობილი (მუხ. 38, პ. 7), მათ არ დაენიშნებათ სასჯელი იმ დანაშაულისათვის, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, თვით არასრულწლოვანის ხელახლა აღზრდა და გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გარეშე იმ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც სსკ—ის 64—ე მუხლშია ჩამოთვლილი (მუხ. 12, მე—3 ნაწ.). ზემოხსენებული პირობების არსებობისას არასრულწლოვანი საერთოდ შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მისი საქმე განსახილველად გადაეცეს არასრულწლოვანთა

საქმეების კომისიას მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შესაფარდებლად.

მოზარდების ფსიქოფიზიკური განვითარების შედარებით ისეთ დაბალ დონეს, როგორცაა გონებრივი ჩამორჩენილობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებული არაა სულით დაავადებასთან, ზოგჯერ შეურაცხაობას უთანაბრებენ სიტყვის უფრო ფართო გაგებით, ვიდრე ჩვეულებრივადაა მიღებული. ¹

ამ ავტორების თანახმად გამოდის, რომ ისინი, ვინც საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებს 14—16 წლამდე ასაკში ჩადიან, სისხლის სამართლის წესით პასუხს იმიტომ არ აგებენ, რომ შეურაცხნი არიან.

ასეთი მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. აღნიშნული შეხედულება შლის შეურაცხაობის ტრადიციულად დადგენილ საზღვრებს, აკარგვინებს იმ სიცხადესა და გარკვეულობას, რასაც მას ობიექტური სამედიცინო კრიტერიუმი ანიჭებს. არასრულწლოვანთა შეურაცხაობის კრიტერიუმად არ გამოდგება ისეთი გონებრივი ჩამორჩენილობა, რომელიც დაკავშირებული არ არის სულიერ დაავადებასთან, რამდენადაც ასეთი მდგომარეობა თვისობრივად განსხვავდება იმისაგან, რასაც დღესდღეობით შეურაცხაობის ცნებას უკავშირებენ. გონებრივი განუვითარებლობა შეიძლება ავადმყოფური ხასიათის იყოს, მაგრამ შეიძლება მოკლებული იყოს ასეთ ხასიათს. პრაქტიკაში გვხვდება გონებრივი ჩამორჩენილობის სამი სახე: ოლიგოფრენია (ანუ ენ. თანდაყოლილი ქუუასუსტობა), ინფანტილიზმი — მთელი ორგანიზმის და მათ რიცხვში ფსიქიკური განუვითარებლობა, გონებრივი ჩამორჩენილობა, როგორც აღზრდისა და პედაგოგიური ზემოქმედების ხარვეზი:

1 З.А.Астемиров. Уголовная ответственность и наказание несовершеннолетних. ВШ МВД, М., 1970, стр.27; Г.М. Миньковский. Особенности расследования и судебного разбирательства дел о несовершеннолетних. М., 1950, с.81—82.

თუ ორი პირველი — ავადმყოფური, პათოლოგიური მდგომარეობაა, მესამეს რაიმე კავშირი ფსიქიატრიასთან არა აქვს, იგი იმ მოვლენათა სფეროს არ განეკუთვნება, რომელსაც მედიცინა, კერძოდ, ფსიქიატრია იკვლევს.

გონებრივი ჩამორჩენილობა, რომელიც არაა დაკავშირებული ფსიქიკური მოქმედების ავადმყოფურ მოშლილობასთან, ყოველთვის არ ემთხვევა ფიზიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების იმ დონეს (14—16 წელი), რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედების არასრულწლოვანისათვის შერაცხვისა და მისთვის სისხლის სამართლის სასჯელის შეფარების შესაძლებლებას იძლევა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხი და დაადგინოს — შეეძლო თუ არა არასრულწლოვანს მთლიანად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ამისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლო შეიძლება დაკმაყოფილდეს არასრულწლოვანისათვის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდებით, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი შეურაცხია, არამედ მისი უუნარობის გამო მთლიანად შეიცნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ანდა საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით მას შეიძლება შეუმსუბუქდეს ბრალი და ამის შესაბამისად სისხლის სამართლის სასჯელის სახე და ზომა.

უნიაიდან ასაკს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაში, ამდენად თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით უნდა იქნეს იგი დადგენილი. ძიების ორგანოებმა და სასამართლოებმა ზუსტად უნდა დაადგინონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემი არასრულწლოვანის დაბადების წელი, თვე, რიცხვი. თუ არასრულწლოვანის ასაკი ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე არაა ცნობილი, ასაკს ადგენს სასამართლო — სამედიცინო ექსპერტიზა. დაბადების წელი განისაზღვრება წელთა მინიმალური და მაქსიმალური ოდენობით და სასამართლო ეყრდნობა ექსპერტიზის მიერ ნაუარაოდვე მინიმალურ ასაკს, ხოლო დაბადების დღედ ითვლება

დაბადების წლის უკანასკნელი დღე. არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმიღწეულად ითვლება არა დაბადების დღეს, არამედ მომდევნო დღეს.

არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები ძირითადად იგივეა, რაც სრულწლოვანი დამნაშავესა, სახელდობრ, მისი დანაშაულიც უნდა წარმოადგენდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ, საზოგადოებრივად საშიშ, ბრალეულ ქმედებას. მაგრამ ამავე დროს, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი განვითარების პროცესში მყოფი ადამიანია და ეს მომენტი მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე გარკვეულ გავლენას ახდენს. მაგალითად, არასრულწლოვანთა დანაშაული უმთავრესად მიმართულია სისხლის სამართლის კანონით დაცულ ობიექტთა შედარებით ვიწრო წრისაკენ. ამიტომ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია ან თვით კანონის პირდაპირი მითითებით (საქ. სსკ—ის მე—12 მუხლის II ნაწილი), ან გამომდინარეობს კანონის აზრიდან.¹

14—იდან 16 წლამდე ჩადენილ დანაშაულთა ობიექტური მხარე ძირითადად მოქმედებით გამოიხატება. უმოქმედებით მხოლოდ ზოგიერთი დანაშაული შეიძლება იქნეს ჩადენილი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, უმოქმედობა უმეტესწილად გულისხმობს თანამდებობრივი, პროფესიული და საერთოდ სამსახურებრივი ფუნქციების შეუსრულებლობას, ხოლო მათი შესრულება, როგორც წესი, არასრულწლოვნებს არც ევალებათ. ამდენად არასრულწლოვნები იშვიათად აღმოჩნდებიან ისეთ სიტუაციაში, როდესაც უმოქმედობა აფუძნებს პასუხისმგებლობას. .

დანაშაულის ჩადენის მათ მიერ გამოყენებული ხერხი ყოველთვის არაა რაციონალური და არ შეესაბამება დანაშაულებრივ მიზნებს. მაგალითად, ჩატარებული გამოკვლევა

1. Е. В. Болдырев. Меры предупреждения правонарушений несовершеннолетних в СССР, М., 1964, стр. 48.

ბით დადასტურდა, რომ ყველაზე მეტად საშიში ხერხით — ბინაში შეღწევით ქურდობის 56% იაფფასიანი პროდუქტებისა და საგნების დაუფლების მიზნით იყო ჩადენილი. ხშირად არასრულწლოვნები დანაშაულის ჩასადენად ისეთ ხერხს ირჩევენ, რომელიც არ უზრუნველყოფს დანაშაულის განხორციელებას და „ატიპურია“.¹

არასრულწლოვნები დანაშაულს უმთავრესად ჯგუფურად ჩადიან. ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქალაქად ჩადენილი ჯგუფური დანაშაულის ხვედრითი წონა სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით უფრო მაღალია. მოზარდთა დანაშაულებრივი ჯგუფები უმთავრესად ორი—სამი კაცისაგან შედგება. ამასთან, მყარ ჯგუფების არსებობა იშვიათად აღინიშნება. ეს ჯგუფები 71%—ის შემთხვევაში მხოლოდ შექმნილი სიტუაციის კვალობაზე ყალიბდებიან და ასევე სწრაფად იშლებიან.²

არასრულწლოვანთა დანაშაული მათი საცხოვრებელი, სწავლის ან მუშაობის ადგილის ადმინისტრაციული რაიონის ჩარჩოებით არის შემოსაზღვრული.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი მატულობს გაზაფხულსა და ზაფხულში, რაც შეიძლება აიხსნას უფრო მეტი თავისუფალი დროით, დღის გახანგრძლივებითა და დასვენების ცუდი ორგანიზაციით. დანაშაულთა მნიშვნელოვანი წილი არასამუშაო და წინასააღმსახურლო დღეებზე მოდის, ხოლო დღე—ღამის მიხედვით — საღამოსა და ღამეზე, რაც ასევე უზედამხედველობის, უმეთვალყურეობის შედეგია.³

არასრულწლოვანის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი არსებითი თავისებურებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და

1. А.И.Чернышев. Преступность несовершеннолетних и меры борьбы с ней в СССР, Томск, 1981, стр.41.

2. Ю.И.Ткешелашвили. Преступность несовершеннолетних в Грузинской ССР и вопросы ее профилактики. Тбилиси, 1984, стр.34.

3. Г.М.Миньковский. Некоторые причины преступности несовершеннолетних в СССР и меры ее предупреждения. СГП, 1966, 5, стр.86.

ხარისხის შეგნებას. არასრულწლოვნებს, ჩვეულებრივ, არასაკმარის ცხადით აქვთ ეს მომენტი გაცნობიერებული, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია როგორც ინტელექტუალური განვითარების შედარებით დაბალ დონესთან, ასევე თავისებურად მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებთან. ყველაფერი ეს კი, ერთად მოქმედებს არასრულწლოვანის ბრალის ხასიათსა და ხარისხზე.

დიდია ემოციებისა და გრძობების როლი არასრულწლოვანთა დანაშაულში. ისინი აქტიურად ზემოქმედებენ ინტელექტუალურ — ნებლობით პროცესებზე, ხელს უშლიან სიტუაციის სწორ შეფასებას, აქვეითებენ საკუთარი ქცევის წარმართვის უნარს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება ემოციების გადაჭარბებული შეფასება არასრულწლოვანთა დანაშაულში. დანაშაული შეგნებისა და ნების აქტის შედეგია. იქ, სადაც საზოგადოებრივად საშიში ქმედება მხოლოდ ემოციებით წარმართება და შეგნების კონტროლის სფეროდან გამოსულია — იქნება ფსიქიკის პათოლოგია, რომლის დროსაც გამოირიცხულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულის თანახმად, არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ იგი განვითარების პროცესში მყოფი ადამიანია და ცალკეული უმნიშვნელო სამართალდარღვევისათვის, რასაც ზოგჯერ ბავშვური ცელქობის ხასიათი აქვს, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებანი არ უნდა იქნეს გამოყენებული. დაუშვებელია არასრულწლოვანთა მსჯავრდება მშობლების ან ოჯახის სხვა, მათთან ერთად მცხოვრები წევრების გაქურდვისათვის, თუ თვით დაზარალებულნი არ მოსთხოვენ სათანადო ორგანოებს არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძრვას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მოზარდის ზოგიერთი მოქმედება, რომელიც გარეგნულად

1 Сборник постановлений Пленума ВС СССР 1924 — 1977, ч. II, М., 1978, стр. 305.

2 Биометень ВС СССР, 1982, №4, стр. 13.

ნაგავს დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, როგორიც ქურდობა და გაძარცვაა, სუბიექტური მხრით ამ დანაშაულთა შემადგენლობებს არ შეიცავს.¹ ამასთან, სასამართლოები ვალდებული არიან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამოავლინონ და ღრმად შეისწავლონ ის მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყვეს არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენაში.²

არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონის მოთხოვნით და იმით, რომ ასეთი დამნაშავეს მიმართ სასჯელის ძირითად მიზანს მასი გამოსწორება, ხელახლა აღზრდა და ახალი დანაშაულის ჩადენის აცილება წარმოადგენს. ამის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უფრო ფართო შესაძლებლობები; შეზღუდულია ან საერთოდ გამორიცხულია მათ მიმართ სასჯელის სხვადასხვა სახეების გამოყენება; დადგენილია პირობით — ვადაძმდე გათავისუფლების უფრო შეღავათიანი პირობები და ა.შ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ რაც შეიძლება იშვიათად იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ თავისუფლების აღკვეთა. აქ მხედველობაში მიიღება ის უარყოფითი მომენტები, რაც თავის გამომხატულებას სასჯელის ამ სახეში პოუვებს. ასეთია სახელდობრ: მოზარდთა მონყვეტა ძველი დადებითი კავშირებისაგან, სწავლის, შრომისა და ყოფის შეჩვეული პირობებისაგან, სამართალდამრღვევთა წრეში მოხვედრა და ა.შ. ამდენად, თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვნებს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში უნდა შეეფარდოს. მაგრამ, როცა მათ სასჯელის ეს ღონისძიება ეფარდებათ, ისინი მას მოზრდილი დამნაშავეებისაგან განცალკევებით და მხოლოდ შრომა — აღმზრდელობით კოლონიებში იხდიან. არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის არსებობს ამ კოლონიის ორი სახე — საერთო, რეჟიმისა და

გაძლიერებული რეჟიმის შრომა — აღმზრდელობითი კოლონია. საერთო რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან არასრულწლოვანი ვაჟები, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების

აღკვეთა. გაძლიერებული რეჟიმის შრომა—აღმზრდელობითი კოლონიაში სასაჯელს იხდიან არასრულწლოვანი ვაჟები, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასაჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. არასრულწლოვანი ქალები თავისუფლების აღკვეთას ყველა შემთხვევაში საერთო რეჟიმის შრომა—აღმზრდელობით კოლონიაში იხდიან.

კოლონიის სახეხ, სადაც მსჯავრდებულმა თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს საზღვრავს ის სასამართლო, რომელსაც განაჩენი გამოაქვს.

ეს ორი სახის კოლონია — რეჟიმის სიმძიმით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ იქ რეჟიმი, მოზრდილი დამნაშავეებისათვის განკუთვნილ შრომა—გასწორების კოლონიებთან შედარებით უფრო მსუბუქია. თავისუფლების აღკვეთის მოხდა დასახელებულ კოლონიებში გრძელდება 18 წლის ასაკამდე. ამის შემდეგ არასრულწლოვნები გადაყვანილ უნდა იქნენ მოზრდილ დამნაშავეთათვის განკუთვნილ შრომა—გასწორების კოლონიაში. თანაც არასრულწლოვანი, რომელიც სასაჯელს საერთო რეჟიმის შრომა—აღმზრდელობით კოლონიაში იხდიდა, გადაიყვანება საერთო რეჟიმის შრომა—გასწორების კოლონიაში, ხოლო ის, ვინც სასაჯელს გაძლიერებული რეჟიმის შრომა—აღმზრდელობით კოლონიაში იხდიდა — საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა—გასწორების კოლონიაში. საკითხს იმის თაობაზე, თუ რომელი სახის შრომა—გასწორების კოლონიაში უნდა იქნეს გადაყვანილი არასრულწლოვანი, წყვეტს იმ ადგილის სასამართლო, სადაც მსჯავრდებული სასაჯელს იხდის. კოლონიის სახეობის შერჩევისას სასამართლო მხედველობაში ღებულობს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, დამნაშავის პიროვნებას, მის ყოფაქცევას შრომა—აღმზრდელობით კოლონიაში. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებული მტკიცედ დაადგა გამოსწორების გზას, მას შეუძლია აღზრდა—გამოსწორების შედეგების განსამტკიცებლად, 18 წელს მიღწეული არასრულწლოვანი დატოვოს შრომა—აღმზრდელობით კოლონიაში ვიდრე მას 20 წელი არ შესრულდება.

თავისებურებით ხასიათდება მოზარდისადმი სასჯელის სხვა სახეების შეფარდების პირობებიც. მაგალითად, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, როგორც წესი, ეფარდებათ იმ არასრულწლოვნებს, რომლებიც უკვე მუშაობენ. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის ამ სახის შეფარდებისას მსჯავრდებულის ცხოვრების მატერიალური პირობები.

დღესდღეობით გაფართოვდა იმ დანაშაულთა წრე, რომლის დროსაც შესაძლებელია ჯარიმის გამოყენება. არასრულწლოვნებს ჯარიმა მხოლოდ მაშინ შეეფარდებათ, როდესაც მათ აქვთ შემოსავალი, მათი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ინდივიდუალურიზაციის საკითხს არასრულწლოვანთა მიმართ.

სასჯელის ინდივიდუალურიზაციის აუცილებელ პირობას, როგორც ცნობილია, კანონით დადგენილი გარემოებების მხედველობაში მიღება წარმოადგენს. ასეთ გარემოებებს პირველ რიგში შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38—ე და 39—ე მუხლებშია გადმოცემული. სავსებით სწორია მბაბაევი, როდესაც წერს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის შეფასებისას — ყოველი შემამსუბუქებელი გარემოება მეტად ამცირებს დამნაშავეს პასუხისმგებლობას, ხოლო ყოველი დამამძიმებელი გარემოება ნაკლებ ადიდებს პასუხისმგებლობას, ვიდრე ეს ხდება მოზარდილი პირების მიმართ.¹

არასრულწლოვანება უკვე თვით წარმოადგენს ერთერთ შემამსუბუქებელ გარემოებას (საქართველოს სსკ—ის 38—ე მუხ. მე—7 პუნქტი). ეს იმითაა პირობადებული, რომ არასრულწლოვანება გულისხმობს პიროვნების განვითარების დაუსრულებლობას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკულად ზღუდავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების მნიშვნელობის ღრმა და სრული შეშეცნების შესაძლებლობას.

¹ М. М. Бабаев. Индивидуализация наказаний несовершеннолетних. М., 1968, стр. 42.

იმ გარემოებების შეფასებისას, რომლებიც გადმოცემულია საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში (დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით და დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს, თუნდაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეღებით) დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის მომენტში მოზარდის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევას. ამასთან, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ არასრულწლოვანის ფსიქო-ფიზიკური თავისებურებები არსებითად ამცირებენ სიტუაციის ადეკვატური ასახვის შესაძლებლობას; სიტუაცია, რომელიც ამ ვითარებაში წარმოიქმნება დანაშაულისათვის საფრთხილს მოულოდნელია. ამიტომ უფრო მართებული იქნება, თუ ასეთ გარემოებაში ჩადენილი ქმედებისათვის 14-იდან 16 წლამდე არასრულწლოვნებს სასჯელის ნაცვლად შეეფარდება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

როგორც ცნობილია, პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ხშირად ისეთი გარემოებაც იწვევს, რომელიც საერთოდ არაა გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლში. მაგალითად, შემამსუბუქებელ გარემოებად, მიიჩნევა მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა ისეთი გონებრივი ჩამორჩენილობისას, რაც დაკავშირებული არ არის სულიერ დაავადებასთან, დანაშაულის ჩადენა მისატყვევებელი თავქარიანობის, გამოუცდელობის და სხვათა გამო, რაც ამ ასაკისათვისაა დამახასიათებელი.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას. აქვე მიზანშეწონილია შევეხოთ საკითხს, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ საქართველოს სსკ-ის

39-ე მუხლის მე-7 პუნქტის (არასრულწლოვანთა ნაქვზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის) გამოყენებას შეეხება. ლიტერატურაში ამ საკითხის თაობაზე დავაა. მაგალითად, მბაბაევს მიზანშეწონილად

მიაჩნია არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ამ გარემოებით დამძიმება¹, ხოლო აჩერნიშოვი საპირისპირო თვალსაზრისზე დგას². არ იქნებოდა გამართლებული დაგვემძიმებინა სასჯელი 14 წლის მოზარდისათვის, რომელმაც დანაშაულის ჩადენაში 17 წლის არასრულწლოვანი დაიყოლია, ან კიდევ 16 წლისამ, თუ დანაშაულში 14 წლის მოზარდი წააქეზა.

პასუხისმგებლობის ერთ—ერთ დამამძიმებელ გარემოებას სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს (საქართველოს სსკ—ის 39—ე მუხლის მე—12 პუნქტი). განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ალკოჰოლი ჯერ კიდევ მოუმძლავრებელ ნერვულ სისტემაზე. არასრულწლოვნების მიერ სპირტიანი სასმელების ხმარება ხშირად დიდების მიმბაძველობაა და შემთხვევითი ხასიათისაა, განპირობებულია ცუდი გარემოცვით. ამიტომ, თუმცა სიმთვრალე ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობას, მაგრამ შეიძლება არ მივანიჭოთ მას სასჯელის დანიშვნის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველა შემთხვევაში აუცილებელია სიმთვრალის ხელშემწყობი პირობების გულდასმით გამოვლენა. ამას მნიშვნელობა აქვს როგორც სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის, ისე იძულებითი მკურნალობის დანიშვნისა (თუ ეს აუცილებელია) და არასრულწლოვანთა ლოთობაში ჩათრევისათვის მოზრდილთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაჭრელად.

სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, სახელდობრ კი, მის დამოკიდებულებას შრომისადმი. მაგრამ, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება, აქ გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, კერძოდ, უარყოფითი შრომითი დახასიათება ყოველთვის როდი მიუთითებს არასრულწლოვანის სოციალურ და ზნეობრივ დეგრადაციაზე. შეიძლება შრომისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შრომის ცუდი ორგანიზაციის, შრომითი

1 მ. ბაბაევი, დასახ. ნაშრ., გვ.23.

2. აჩერნიშოვი, დასახ. ნაშრ., გვ.11

მანიპულაციების შეუთვისებლობის, ახალი პირობებისადმი ძნელად ადაპტაციის და ა.შ. შედეგიც იყოს. ასევე, სწავლაში მოსწრებადობაც ვერ გახდება ერთადერთი ორიენტირი მოსწავლე ახალგაზრდის პიროვნების შესაფასებლად; ნიჭის ნყალობით კარგი ნიშნები შეიძლება პქონდეს არაკეთილსინდისიერ და პედაგოგიური თვალსაზრისით ხელმიშვებულ მოზარდს, და პირიქით.

თავისთავად ცხადია, რომ სწავლასა და შრომისადმი დაუდევარი დამოკიდებულება არ გაათავისუფლებს მოზარდს საყვედურისა და გაკიცხვისაგან და თანაბარ პირობებში უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს ის არასრულწლოვანი, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე შრომისა და სწავლისადმი თავის არიდების ვითარებაში ჩადის დანაშაულს.

სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, იმათ მიმართ, ვინც დანაშაული 18 წლის ასაკამდე ჩადინა, გამოიყენება სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ყველა ფორმა და სახე, გარდა მჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობითი გათავისუფლებისა (საქართველოს სსკ-ის 54²-ე მუხლი).

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს განაჩენის აღსრულების გადადების ინსტიტუტს, რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის 47'-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად, დამნაშავე თავისუფლდება სასჯელისაგან, მაგრამ არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მისი საქციელი სასამართლოს მიერ უარყოფითად არის შეფასებული.

განაჩენის აღსრულების გადადების გამოყენება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა დანაშაული დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მართალია, არ წარმოადგენს, მაგრამ არც იმის საფუძველი არაა, რომ არასრულწლოვანი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს.

განსაზღვრული სპეციფიკით ხასიათდება 18 წლის ასაკამდე დანაშაულის ჩამდენთა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება. თუ არასრულწლოვანმა სანიმუშო ყოფაქცევით,

შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ გამოსწორდა, მას ღანიშნული სასჯელის ერთი მესამედის (და არა ნახევრისა, როგორც ესაა გათვალისწინებული მოზრდილი დამნაშავეებისათვის) მოხდის შედეგ ან პირობით განთავისუფლებენ დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან, ანდა დარჩენილი სასჯელი შეეცვლება უფრო მსუბუქი სასჯელით (სსკ-ის 55-ე მუხლი).

სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია იმ პირს, ვინც დანაშაული 16 წლის ასაკამდე ჩაიდინა, შეუფარდოს აღმზრდელობითი ხასიათის იუსტიციის ღონისძიება, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელის არ წარმოადგეს, მაგრამ იმ პირობით, თუ ჩადენილი დანაშაული არაა დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი და თვით დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გამოსწორდეს სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად. აღნიშნული ღონისძიებები სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლშია გადმოკეწული.

სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ისეთი დანაშაულის ჩადენაა, რაც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. ამა თუ იმ დანაშაულის იმ კატეგორიისადმი მიკუთვნება, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს საქმის კონკრეტული გარემოებებისაგან არის დამოკიდებული. ამ დროს მხედველობაში მიიღება ხელყოფის ობიექტის მნიშვნელობა და ღირებულება, დანაშაულის განხორციელების საფეხური, დანაშაულის ჩადენის ხერხი, დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, დამდგარი შედეგის ხასიათი და ა.შ.

მეორე პირობა, რაც სსკ-ის მე-12 მუხლის III ნაწილის შეფარდების საფუძველს იძლევა სასჯელის გამოყენების გარეშე არასრულწლოვანის გამოსწორების შესაძლებლობაა. ეს საკითხი უმთავრესად დამნაშავეს პიროვნული თვისებებისა და ხასიათის ერთობლივი შეფასების ნიადაგზე უნდა გადაწყდეს. მხედველობაში მიიღება დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის ასაკი, რადგან რაც უფრო დიდია ეს ასაკი, მით უფრო მაღალია არასრულწლოვანის პედაგოგიური ხელმიშვებულობის

კოეფიციენტი და ძნელი ხდება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების მუშევრებით მოზარდის ხელახლა აღზრდა, მისი გამოსწორება. მნიშვნელოვანია წარსულში არასრულწლოვანის სოციალური ურთიერთკავშირების, სწავლისა და შრომისადმი დამოკიდებულების დადგენა, მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, გამოყენებული დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებისადმი რეაგირების უნარი და ა.შ. ხსენებული ნორმის შეფარდებისათვის აუცილებელი არაა დანაშაულის გულწრფელი მონანიება და ბრალის აღიარება. მოზარდმა ეს შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო არ გააკეთოს (შიში, მცდარად გაგებული ამხანაგობის გრძობა და ა.შ.). სიფრთხილეთ საჭირო ამ ღონისძიებების იმ არასრულწლოვანისადმი შეფარდებისას, რომლის მიმართ აღნიშნული ზომები ერთხელ უკვე იყო გამოყენებული, აგრეთვე იმ მოზარდისადმი, რომელიც არაერთჯერ აღმოჩნდა ბავშვთა ოთახში და მის მიმართ საზოგადოებრივი და დისციპლინური ხასიათის ზომების გატარებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო.

კანონში მითითებული პირობების არსებობისას (სსკ—ის მე—12 მუხლის III ნაწ.), სასამართლო ათავისუფლებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სასჯელისაგან და იყენებს მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 64—ე მუხლით გადმოცემული აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, როგორც თვით დასახელებიდან ჩანს, იძულებითი ღონისძიებებია.

ეს ღონისძიებებია:

1. დაზარალებულის წინაშე საჯაროდ ან სხვა ფორმით, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, ბოდიშის მოხდა. საჯაროობა გულისხმობს სასამართლო სხდომაზე, საზოგადოებრიობის კრებაზე და ა.შ. ბოდიშის მოხდის ამასთან, გამორიცხული არ არის ბოდიშის მოხდის წერილობითი ფორმა, როგორცაა, მაგალითად, კედლის გაზეთში გამოქვეყნება. ბოდიშის მოხდის საჯარო ფორმა, კანონის მიხედვით, არ არის სავალდებულო, ასეთი ფორმის არჩევა მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც

არასრულწლოვანი დემონსტრაციულად უგულბელყოფს საზოგადოებრივ აზრს და აშკარად გამოხატავს უპატივცემულო დამოკიდებულებას ზნეობისა და სამართლის ნორმებისადმი. მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც კი, ანგარიში უნდა გაენიოს დაზარალებულის ინტერესებს, სურვილს, სააშკარაოზე არ გამოიტანოს მის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების ზოგიერთი ნიუანსი. თუკი სამართალდარღვევა პირველადაა ჩადენილი, მოზარდი მას ძლიერ განიცდის და დაზარალებულიც არაა დაინტერესებული მომხდარი ფაქტის გახმაურებით, უმჯობესია ბოდიშის მოხდის სხვა, არასაჯარო ფორმების შერჩევა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დასწრების გარეშე.

აღნიშნული ღონისძიება უმთავრესად არასრულწლოვანზე მორალური ზემოქმედების მოსახდენადაა გამიზნული. მისი გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია უმნიშვნელო სამართალდარღვევა და არასრულწლოვანმა შეიგნო რა, თავისი საქციელი, გურნრთელად ინანიებს მას.

2. საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადება მორალური ხასიათის ზემოქმედების ღონისძიებათა შორის ყველაზე მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენს. იგი მაშინ გამოიყენება, როდესაც შედარებით სერიოზული დარღვევაა ჩადენილი. საყვედური და სასტიკი საყვედურიც დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს შეიძლება გამოეცხადოს სასამართლოს სხდომაზე, საზოგადოებრიობის — კრებაზე არასრულწლოვანის სწავლის, სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საყვედურის და სასტიკი საყვედურის გამოცხადება შესაძლებელია აგრეთვე კედლის გაზეთის მეშვეობით. ეს უკანასკნელი მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც არასრულწლოვანის მოქმედებამ ხელყო კოლექტივის ინტერესები და როდესაც ასეთი ღონისძიების გამოყენება ხელს შეუწყობს მის სწრაფ გამოსწორებას. საყვედურის და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ დადგენილება მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. საყვედური მოხსნილად ითვლება, თუ არასრულწლოვანი ამ ხნის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ სამართალდარღვევას. ამ ღონისძიების შექმნადებელ ორგანოს შეუძლია თავისი დადგენილებით

გააუქმოს იგი ერთნლიანი ვადის გასვლამდე, თუკი არასრულწლოვანი სანიშნოდ იქცევა.

3. სასამართლოს მიერ სამათალდამრღვევი არასრულწლოვანისათვის გაფრთხილების გამოცხადება მორალური ზემოქმედების მოსახდენადაა გამიზნული, რათა შეაკავოს მოზარდი მომავალი სამართალდარღვევისაგან. ამ ღონისძიების გამოყენება მაშინაა გამართლებული, როდესაც ჩადენილია მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევა, მოზარდი ადრე კარგად იქცეოდა, შეიგნო თავისი საქციელის უარყოფითი ხასიათი და ინანიებს მას. არცსრულწლოვანს გაფრთხილება შეიძლება გამოეცხადოს სასამართლოს სხდომაზე, საზოგადოებრიობის კრებაზე, არასრულწლოვანის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში გაფრთხილების გამოცხადება შესაძლებელია აგრეთვე კედლის გაზეთის მეშვეობითაც. მოზარდს უნდა განემარტოს, თუ რაში გამოიხატება მისი საქციელის არამართლზომიერება და თუ რა შედეგი მოყვება მის მიერ ახალი ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენას. ამავე დროს, მოზარდს უნდა მიეთითოს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის გამოსწორებას (მუშაობის დაწყება, სკოლაში დაბრუნება, სპორტში ჩაბმა და ა.შ.).

4. მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან საკუთარი შრომით მისი გამოსწორების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს იმ არასრულწლოვანს, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა. მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს იმ არასრულწლოვანს, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი აქვს. დამოუკიდებელ შემოსავალში იგულისხმება არა მხოლოდ ხელფასი, არამედ სტიპენდია, პენსია. თუ ზიანის თანხა 50 ლარს აღემატება, იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყდება. სახელდობრ, ზიანის სათანადო ნაწილი უნდა აანაზღაურონ მშობლებმა, მშვილებლებმა, მზრუნველმა, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით. ასევე გადაწყდება იმ არასრულწლოვანთა მიერ ზიანის ანაზღაურების ან გამოსწორების საკითხი, რომელთაც 15 წელი არ შესრულდებიან. მაგრამ თუ

არასრულწლოვანი სასწავლო ან სამკურნალო დაწესებულების ზედამხედველობაშია — ეს დაწესებულება აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის. ანაზღაურება დასაშვებია როგორც ფულადად, ისე ნატურით (მაგალითად, დაზიანებული ან განადგურებული ნივთის ახლით შეცვლა). მიყენებული ზიანის საკუთარი შრომით გამოსწორება შეიძლება გამოიხატოს დაზიანებული ან განადგურებული ნივთის შეკეთებასა ან სანაცვლოდ ისეთივე ან მსგავსი ნივთის საკუთარი ხელით დამზადებაში. ცხადია, რომ ასეთი მოვალეობის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება მოზარდის შესაძლებლობა. თუ მოზარდი ნებაყოფლობით, დროულად არ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს ან საკუთარი შრომით არ გამოასწორებს მას, სასამართლო დადგენილება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სისრულეში იქნება მოყვანილი იძულების წესით.

5. არასრულწლოვანთა გადაცემა მშობლების ან მათი შემცველი პირების მკაცრ ზედამხედველობაში მაშინაა გამართლებული, როდესაც სასამართლო დარწმუნდება, რომ ცხოვრების პირობებით, მომზადების დონით, ის პირები შესაძლებელ მოზარდზე ზედამხედველობის განევას.

6. მშრომელთა კოლექტივების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საზოგადოებრივი აღმზრდელის მეთვალყურეობაში არასრულწლოვანის გადაცემისათვის აუცილებელია ამ უკანასკნელთა ნერილობითი თანხმობა, ხოლო ცალკეული მოქალაქისათვის სამეთვალყუროდ გადაცემისას, მისი თხოვნა. ეს აძლიერებს იმის პასუხისმგებლობას, ვინც არასრულწლოვანზე მეთვალყურეობის ვალდებულება იკისრა. საერთოდ კი, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა შერჩევისას უნდა დადგინდეს მათი დამოკიდებულება მოზარდისადმი. უფრო მიზანშეწონილია იმ კოლექტივის შერჩევა, რომელთანაც არასრულწლოვანი დაკავშირებულია სწავლით, სამუშაოთი, საცხოვრებელი ადგილით, ანდა რომლის წევრებიც მისი მშობლები არიან.

7. სპეციალურ სასწავლო — აღმზრდელით დაწესებულებაში მოთავსება ზემოქმედების სერიოზული ღონისძიებაა. იგი გამოიყენება არასრულწლოვანის მიერ სისტემატური სამართალ-

დარღვევის შემთხვევაში, როცა სხვა ზომებმა სათანადო შედეგი არ გამოიღეს. ამ დანესებულებაში ყოფნის წესი და პირობები განსაზღვრულია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დებულებით. აღნიშნულ დანესებულებაში ყოფნის ვადები დებულებით განსაზღვრული არაა, მაგრამ პერიოდულად, ერთხელ მაინც წელიწადში, განხილული უნდა იქნეს არასრულწლოვანის ამ დანესებულებაში დატოვების საკითხი. მშობლებისა და მათი შემცველი პირების საპირისპირო აზრი აღნიშნულ დანესებულებაში მოზარდის მოთავსების შესახებ, მხედველობაში არ მიიღება, მაგრამ მშობლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შესაბამისი დადგენილება სასამართლო ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა ეფექტურობა და როდესაც იმ დასკვნამდე მივა, რომ არასრულწლოვანი გამოსწორდა და მის მიმართ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება უკვე აღარ არის საჭირო, გამოიტანს სპეციალურ დადგენილებას არასრულწლოვანის მთვალყურეობისა და მზრუნველობისაგან გათავისუფლების შესახებ.

§ 3. შეურაცხაობა

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ასაკს მიღწეული ყოველი ფიზიკური პირი, არამედ ასევე შეურაცხადი; პირის ბრალეულობის და დასჯადობის საფუძველი მისი შეურაცხადობაა, ე.ი. მისი ფსიქიკის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც არ უკარგავს მას უნარს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიგნოს თავისი ქცევის საშიში ხასიათი და წარმართოს იგი. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, იგი კანონმდებლის მიერ შეურაცხად არის აღიარებული.

შეურაცხაობის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლში. „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება

იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხ მდგომარეობაში, ესე იგი არ შეეძლო ანგარიში გაენია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის ან უხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო".

ამ განსაზღვრების მიხედვით შეურაცხაობა ხასიათდება ორი კრიტერიუმით: სამედიცინო (ბიოლოგიური) და იურიდიული (ფსიქოლოგიური) კრიტერიუმებით. იურიდიულ კრიტერიუმს განსაზღვრავს სასამართლო, როდესაც იგი აფასებს საშიში ქმედების ჩამდენი პირის ფსიქიკურ მდგომარეობას, როგორც ისეთს, რომლის დროსაც პირს არ შესწევს უნარი შეიგნოს თავისი მოქმედების ხასიათი ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას.

სამედიცინო კრიტერიუმში კი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ სახელდობრ, რომელი ფსიქიკური დაავადება უკარგავს პირს თავისი მოქმედების შეგნების ან მისი ხელმძღვანელობის უნარს. კანონმდებელი ასეთად მიიჩნევს შემდეგი ფორმის ფსიქიკურ დაავადებებს: ქრონიკულ სულიერ დაავადებას, სულიერი მდგომარეობის დროებით მოშლილობას, ჭკუასუსტობას ან სხვა ავადმყოფურ მდგომარეობას.

ქრონიკულ სულიერ დაავადებაში იგულისხმება განუკურნავი ან ძნელად განკურნებადი დაავადება, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარეობს და პროგრესირების ტენდენციას ამჟღავნებს. ასეთს განეკუთვნება: შიზოფრენია, მანიაკალურ — დეპრესიული ფსიქოზი, პარანოია, პროგრესული დამბლა, როგორც ტვინის სიფილისის შედეგი, მოხუცებულობის პროგრესირებადი ჭკუასუსტობა და სხვადასხვა ხასიათის ფსიქოზები (მოხუცებულობის, ენცეფალური, ინფექციური, გაჭიანურებული მიმდინარეობით). ამ დაავადებების დროს შესაძლებელია მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება, რომელსაც რემისია ეწოდება, რაც არ ნიშნავს გამოჯანსაღებას.

სულიერი მოქმედების დროებითი მოშლილობისას დაავადება ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს და ავადმყოფის გამოჯანსაღებით ბოლოვდება. ამ დაავადებას მიეკუთვნება თითქმის ყველა ე.წ. განსაკუთრებული მდგომარეობები,

როგორცაა მწვავე რეაქტიული ფსიქოზი, სიმპტომატური მდგომარეობები (პათოლოგიური აფექტი) ალკოჰოლური ფსიქოზები (თეთრი ციებ-ცხელება, მწვავე ალკოჰოლური გალუცინაციები, ალკოჰოლური მელანქოლია), პათოლოგიური სიმრთვალე და გონების დაბნელების ზოგიერთი სხვა ფორმები.

ჭკუასუსტობა (ოლიგოფრენია) არ წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადებას სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს არის გონებრივი უნარის თანდაყოლილი ან შენაძენი (სიცოცხლის პირველ წლებში გადატანილი მძიმე ნევროლოგიური ხასიათის დაავადებების შედეგად, როგორცაა მენინგიტი, ენცეფალიტი, ტვინის შერყევა) მნიშვნელოვანი ჩამოქვეითება, რომელიც მუდმივი ხასიათისაა. ჭკუასუსტობა ხასიათდება სამი ძირითადი ფორმით: იდიოტია (ფსიქიკური ჩამორჩენილობის ყველაზე ღრმა ფორმა), იმბეცილობა (ფსიქიკური ჩამორჩენილობის საშუალო ფორმა) და დებილობა (ფსიქიკური ჩამორჩენილობის მსუბუქი ფორმა).

„სხვა ავადმყოფური მდგომარეობა“ არ წარმოადგენს სულიერი მოქმედების დროებით ან მუდმივ ავადმყოფურ მოშლილობას (ამ ცნების ვიწრო გაგებით), თუმცა ფსიქიკის სხვადასხვა ხარისხის დარღვევით უახლოვდება მას. ასეთია ფსიქოფატიისა და ფსიქოსტენიის მძიმე ფორმები, მწვავე ჰალუცინაციური ბოდვითი მდგომარეობა, მთვარეულობა და ა.შ.

სამედიცინო კრიტერიუმში ჯერ კიდევ არ იძლევა პირის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველს. აუცილებელია შეურაცხაობის მეორე იურიდიული კრიტერიუმის არსებობა, კერძოდ: ავადმყოფურმა მდგომარეობამ, რომელიც სამედიცინო კრიტერიუმით არის წარმოდგენილი, უნდა გამოიწვიოს პირის მიერ საკუთარი მოქმედების შეფასებისა ან მოქმედების წარმართვის უნარის დაკარგვა.

შეურაცხაობის იურიდიული (ფსიქოლოგიური) კრიტერიუმი გულისხმობს ან ინტელექტუალური სფეროს (არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის), ან ნებელობითი სფეროს მოშლას (არ შეეძლო ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის) — ან ორივესა ერთად.

ინტელექტუალური უნარის მოშლა შეიძლება გამოიხატოს

მოქმედების ფაქტობრივი მხარის გაუთვითცნობიერებაში (მაგალითად, ავადმყოფი ახრჩობს შვილს და ფიქრობს, რომ ეფერება მას). არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სულით ავადმყოფს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ფაქტობრივი მხარე, მაგრამ არ ესმის მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა (ავადმყოფი ახრჩობს შვილს, მაგრამ ჰგონია, რომ ამას იგი სჩადის საერთო კეთილდღეობისათვის). თუ პირს დაკარგული აქვს თავის მოქმედების ფაქტობრივი ხასიათის გათვითცნობიერების უნარი, მას, თავისთავად ცხადია, მოშლილი ექნება ამ მოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასების უნარიც.

შეურაცხაობის ფსიქოლოგიური კრიტერიუმი, როგორც აღინიშნა, გამოიხატება არა მხოლოდ ინტელექტუალური უნარის, არამედ ნებელობითი სფეროს მოშლაში, თუ სულით ავადმყოფს დარღვეული აქვს ინტელექტუალური სფერო, მას დარღვეული ექნება ნებელობითი სფეროც, მაგრამ არა პირიქით. ნებელობითი სფეროს დაზიანების დროს მას შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს ინტელექტუალური უნარი. ასეთი ფსიქიკური ანომალიის მაგალითს წარმოადგენს პირომანია — დაუძლეველი მისწრაფება ცეცხლის წაკიდებისაკენ, კლეპტომანია — ასეთივე დაუძლეველი სწრაფვა ქურდობისაკენ, აბსტინენციის მდგომარეობა (ნარკოტიკული შიმშილი) და ა.შ.

შეურაცხად ცნობისათვის არ არის აუცილებელი ორივე ფუნქციის ინტელექტუალურის და ნებელობითის მოშლა, არამედ საკმარისია, თუ არ ფუნქციონირებს მხოლოდ ნებელობითი სფერო. ამაზე მიუთითებს თვით კანონი, სადაც ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტები ერთმანეთისაგან გამაცალკავებელი კა: შირი „ან“ — ით არიან გამიჯნულნი: — არ შექლო ანგარიში ვაენია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის ან ებელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის“.

ამრიგად, პირის შეურაცხად ცნობისათვის აუცილებელია დაღგენილი იქნეს სამედციკინო კრიტერიუმის ნიშანთაგან ერთ — ერთი მაინც და იურიდიული კრიტერიუმის ან ორივე ნიშანი, ან ერთერთი მათგანი.

შეურაცხაობის საკანონმდებლო ფორმულა არ მოიყვას

ემოციურ კრიტიკრიუმს, თუმც ხშირად სულიერი დაავადება ემოციური ფუნქციის დეფექტსაც იწვევს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ემოციის მოშლა, ყოველთვის თან სდევს ინტელექტის ან ნების მოშლას და მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომ როდესაც ემოციური ფუნქცია მნიშვნელოვნად არის მოშლილი, ჩვეულებრივ მოშლილია ინტელექტუალური და ნებელობითი სფეროც.

სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შეურაცხაობის განსაკუთრებულ კრიტერიუმს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ მოთხოვნა რომელიც წარედგინება არასრულწლოვანს 14—დან 16 წლამდე არ შეიძლება გაუთანაბრდეს მოზრდილთათვის წარდგენილ მოთხოვნებს და კანონშივე უნდა განისაზღვროს შემცირებულ შეურაცხადობის ცნება.

ყოველთვის, როცა გამოძიებული, პროკურორი, მოსამართლე ეჭვს შეიტანს პირის ფსიქიკურ მდგომარეობაში, ვალდებულია დანიშნოს სამედიცინო—ფსიქიატრული ექსპერტიზა, რომელმაც ორ კითხვას უნდა გასცეს პასუხი:

ა) აქვს თუ არა პირს კანონში აღნიშნული ერთ—ერთი ფსიქიკური დაავადება და ბ) აქვს თუ არა ამ დაავადებას ისეთი ხასიათი, რომ დაუკარგოს პირს საკუთარი მოქმედების შეფასებისა და ამ მოქმედების წარმართვის უნარი. ექსპერტის დასკვნა აღნიშნულ საკითხზე არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, მას სხვა მტკიცებულების თანაბარ მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, თუ სასამართლო არ გაიზიარებს ექსპერტის დასკვნას, მან უნდა გამოიტანოს მოტივირებულ დადგენილება, სადაც სპეციალურად აღინიშნება დასკვნის მიუღებლობის საფუძველი.

თუ საშიში ქმედება შეურაცხ მდგომარეობაშია ჩადენილი სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს. მაგრამ შეიძლება დანაშაული შეურაცხად მდგომარეობაშია ჩადენილი, ხოლო ფსიქიკურად პირი განაჩენის გამოტანამდე დაავადდეს აასამართლოს შეუძლია ასეთ პირს შეუფარდოს სამედიცინო აასიათის იძულებითი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებული

სსკ-ის 58—59-ე მუხლებში. აქ ერთმანეთისაგან უნდა იქნას გარჩეული ორი შემთხვევა: თუ დაავადება განუკურნავია — სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს, ვინაიდან ასეთი პირის დასჯა შეუძლებელია. სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ხოლო, თუ დაავადება დროებითი ხასიათისაა, სისხლის სამართლის საქმე უნდა შეჩერდეს, სასამართლო დანიშნავს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ პირი შეიძლება დაისაჯოს. სასჯელის ვადაში ჩაითვლება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის დრო (სსკ-ის 61-ე მუხლი).

სპეციალური ყურადღების ღირსია სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის საკითხი. ადამიანის ალკოპოლით მონამვლას თან სდევს შერაცხადობის დაქვეითება, მაგრამ სიმთვრალე არ ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ჩადენილი დანაშაულისათვის. საქართველოს სსკ-ის მე-14 მუხლში ნათქვამია: „ის პირი, რომელმაც სიმთვრალეში ჩაიდინა დანაშაული, არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან“. ამრიგად, როგორც ნესი, კანონი ასეთ პირებს შეურაცხად არ მიიჩნევს, მაგრამ აქვს ერთმანეთისაგან უნდა იქნეს გარჩეული ფიზიოლოგიური (ჩვეულებრივი) და პათოლოგიური სიმთვრალე, რომელიც ალკოპოლით მწკავე მონამვლის შედეგია, ვინც ამ მდგომარეობაში დანაშაულს ჩადის იგი შეურაცხად ითვლება.

კანონში აღნიშნული ნორმის გათვალისწინებას აქვს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა იმათთვის, ვინც ბოროტად იყენებს ალკოპოლურ სასმელებს. ფიზიოლოგიური სიმთვრალის მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენა არა თუ ათავისუფლებს პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, არამედ, პირიქით, ამძიმებს მის მდგომარეობას. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“, ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებად.

სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან წარმატებული ბრძოლა არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის მეშვეობით, არამედ აუცილებელია იძულებითი ხასიათის მკურნალობის ღონისძიებების გამოყენებაც. თუ დანაშაულის ჩამდენი პირი ალკოპოლიკია. საქართველოს სსკ-ის ნპ-ე მუხლის თანახმად, სასჯელთან ერთად რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არის დაკავშირებული, სასამართლო იყენებს იძულებითი მკურნალობის ღონისძიებებს და ამ მკურნალობას დამნაშავე გაივლის სასჯელის მოხდის დროს. ხოლო თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მკურნალობის გაგრძელება კელავაც საჭირო იქნა, იგი გაგრძელდება სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში. როდესაც სასჯელი არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, მსჯავრებული იძულებითი მკურნალობისათვის იგზავნება სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში. მკურნალობა შეწყდება აღნიშნული დაწესებულების კომისიის დასკვნის საფუძველზე.

§ 4. სპეციალური სუბიექტი

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი ნაწილი დანაშაულის სპეციალური სუბიექტის განსაზღვრებას არ იძლევა. სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჩვეულებრივ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში.

ზოგჯერ კანონმდებელი სპეციალური სუბიექტის შესახებ ნორმებს ცალკე თავს უქმნის (თანამდებობრივი დანაშაული, სამსჯავრო დანაშაული).

იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების კლასიფიკაციის ახვედრული მოდელები

დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ნიშნების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ნიშნებს, ჩვეულებრივ, დანაშაულის შემადგენლობის ფაკულტატიურ ნიშნებს მიაკუთვნებენ, ვინაიდან ამ ნიშნების არსებობა ყველა კონკრეტული შემადგენლობისათვის არ არის აუცილებელი და იგი დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე, ამისდა მიხედვით დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ნიშნებს შეიძლება ქჟონდეთ კონსტრუქციული მნიშვნელობა, ესე იგი გათვალისწინებული იყოს კანონში და ის ვინც არ პასუხობს ამ ნიშანს ვერ იქნება მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუნდაც მან ჩაიდინოს მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედება (მაგალითად თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული და სხვა).

დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ნიშნის მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ ხშირად იგი აფუძნებს დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას. როდესაც დანაშაულის სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები კანონმდებლის მიერ შემადგენლობის გარეთაა გატანილი, ამ ნიშნებს მნიშვნელობა აქვთ დამნაშავეის პიროვნების დახასიათებისათვის და შეიძლება დამამძიმებელი გარემოების როლი ითამაშონ სასჯელის დანიშვნის დროს.

თავი VIII დანაშაულის სუბიექტური მხარე

§ 1. დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნობა და მნიშვნელობა

დანაშაულის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება პირის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესი, რაც უშუალო კავშირშია მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან. იგი დანაშაულის ფსიქოლოგიური ანუ სუბიექტური შინაარსია და წარმოადგენს დანაშაულის შინაგან (ობიექტურთან შედარებით) მხარეს. დანაშაულის სუბიექტური მხარე მოიცავს ისეთ იურიდიულ ნიშნებს, როგორცაა ბრალი, მოტივი, მიზანი. ეს ნიშნები წარმოადგენენ ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა ფორმებს და ორგანულად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამასთან, აღნიშნული კატეგორიების ბუნების თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული აზრია გამოთქმული. კერძოდ, პროფ. ა.რაროგს მიაჩნია, რომ ბრალი, მოტივი და მიზანი დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური მოვლენებია, რომელთაც დამოუკიდებელი შინაარსი გააჩნიათ და არცერთი მათგანი შემადგენელი ნაწილის სახით არ მოიცავს მეორეს.¹ განსხვავებული შეხედულება აქვთ იმავე საკითხზე გამოთქმული პ.დაჯელს, დ.კოტოვს და გ.კრიგერს. ისინი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს აიგივებენ ბრალთან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მოტივს და მიზანს.²

ბრალი, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების განსაზღვრული ფორმა, წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტური მხარის ქვაკუთხედს, თუმც ბრალით არ ამოიწურება მთლიანად დანაშაულის სუბიექტური მხარის შინაარსი. ბრალი თუმც ყოველი დანაშაულის

1 Уголовное право. Учебник. М., 1994, стр. 158.

2 Н.С. Дагель, Д.П. Котов. Субъективная сторона преступления и ее установление. Воронеж, 1974, с. 41, 42, 59 и др. Г.А. Кригер. Понятие и содержание вины в советском уголовном праве. Вестник Московского университета. Серия "Право" 1983. №5.

აუცილებელი ნიშანია, მაგრამ იგი არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ სახელდობრ, რატომ ჩაიდინა პირმა დანაშაული, ამ კითხვაზე პასუხს დანაშაულის მოტივი და მიზანი იძლევიან, რომლებიც ბარლისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ დანაშაულის ფაქულტატურ და არა სავალდებულო ნიშნებს.

დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანია ასევე ემოცია, ანუ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული განცდა (კმაყოფილების, სიწინაულის, სასჯელის შიშის). ამასთან, ემოცია, რომელიც უკვე ჩადენილ დანაშაულთან დამოკიდებულებით გამოიხატება არ წარმოადგენს ფსიქიკური პროცესის ელემენტს და ამიტომაც არ ჩაითვლება დანაშაულის სუბიექტურ ნიშნად. მაგრამ ემოცია, რომელიც თან ახლავს დანაშაულის მომზადებას, მკდულობას და მისი ჩადენის პროცესს ზოგიერთ შემთხვევაში მჭიდროდ უკავშირდება დანაშაულის ჩადენის მოტივს და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანს (სსკ—ის 33—ე მუხლის მე-5 პუნქტი, მუხ. 106, 113).

დანაშაულის სუბიექტურ მხარეს აქვს დიდი იურიდიული დატვირთვა. იგი როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველთაგანი ერთმანეთისგან მიჯნავს დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქცევას. არ წარმოადგენს დანაშაულს საზოგადოებრივად საშიში შედეგის ბრალის გარეშე გამოწვევა, დანაშაულად არ განიხილება ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა, რომელიც მხოლოდ განზრახ ჩადენის შემთხვევაში ისჯება. ასევე ნყდება ეს საკითხი იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებულია დანაშაულის მიზანი, ხოლო ეს ქმედება ამ ნიშნის გარეშეა ჩადენილი, იგივე შეეხება ჩადენილი დანაშაულის მოტივსაც. გარდა აღნიშნულისა, დანაშაულის სუბიექტური მხარე შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ობიექტური მხარით მსგავსი დანაშაული. მაგალითად, სსკ—ის 105—108 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული—ერთმანეთისაგან მხოლოდ ბრალის ფორმით განსახვავდება. სუბიექტური მხარის შინაარსით განისაზღვრება როგორც დანაშაულის, ისე მისი ჩამდენის

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის ხასიათი და სასჯელის ზომა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების, ისე დანაშაულის კვალიფიკაციის და სასჯელის განსაზღვრისათვის.

§ 2. ბრალის ცნება

სისხლის სამართლის თეორიაში ბრალის ცნების შესახებ მრავალი წლის განმავლობაში ფართო დისკუსია იყო გაშლილი. ეს დავა უმთავრესად მიმდინარეობდა ბრალის „ფსიქოლოგიური“ და „ნორმატიული“ ანუ „შეფასებითი“ თეორიის მომხრეთა შორის.

ამ დავას ფესვები ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში პქონდა გადგმული. ადრეულ პერიოდში ბურჟუაზიული კრიმინალისტიები, მანამ კაპიტალიზმში განვითარების უფრო მაღალ სტადიაში — იმპერიალიზმში გადავიდოდა, ბრალს ჩვეულებრივ განსაზღვრავდნენ როგორც ქმედებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ფსიქიკურ დამოკიდებულებას. მაგრამ შემდეგ იმპერიალიზმის პერიოდში, ფართო გავრცელება მიიღო ბრალის ენ. „ნორმატიულმა“ ანუ „შეფასებითმა“ თეორიამ.

ბრალის ცნების „შეფასებით“ გაგებას საფუძველი დაუდვა გერმანელი კრიმინალისტიკის რაიგანდ ფრანკის 1907 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „ბრალის ცნების აგებისათვის“ ამ შრომაში ავტორი აშკარად გამოდის ბრალის ცნების ფსიქოლოგიური გაგების წინააღმდეგ. ბრალის ცნების შეფასებით თეორიას განსაკუთრებით იცავდნენ ნეოკანტიანელები და მათი მამამთავარი ჰანს კელზენი, რომელმაც ბრალს მთლიანად გამოაცალა ფსიქოლოგიური შინაარსი და მხოლოდ შეფასებით კატეგორიად დასახა იგი.

მეცნიერები, რომელთაც დაგმეს ბრალის შეფასებითი კონცეფტია და გამოდევნეს ბრალის ცნებიდან ყოველგვარი ფსიქოლოგიური შინაარსი, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბრალი არ არსებობს რეალურ სინამდვილეში, არამედ მხოლოდ შეფასებითი მსჯელობაა, ანუ მოსამართლის მსჯელობაა დანაშაულის სუბიექტის ქცევის შესახებ. რა თქმა უნდა, ბრალის დადგენა ყოველთვის დაკავშირებულია უარყოფით შეფასებასთან, მაგრამ ყოველგვარი შეფასება ყოველთვის გულისხმობს რაღაც რეალურს და ნამდვილს, ანუ შეფასების საგანს. ნორმატივისტების შეცდომა ისაა, რომ ისინი შეფასებითი მსჯელობისას თავიდან იცილებენ შეფასების ამ საგანს. ე.ი. იმ განსაზღვრულ ფაქტს, რომელიც დანაშაულის ჩამდენის ფსიქიკაში არსებობს. სწორედ ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამ რეალურ ფაქტებში უძვეს საფუძველი ბრალს და არა შიშველ შეფასებით მსჯელობაში. ეს უკანასკნელი არის მხოლოდ რეზულტატი, მხოლოდ ჩვენი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის ფსიქიკური მდგომარეობა იმსახურებს მორალურ-პოლიტიკურ მსჯავრს და ვაკიცხვას, და ამიტომ პირი სასჯელის ღირსია!

ამ იურიისტთა აზრით განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარდა შეფასების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს პიროვნების დანაშაულებრივი განწყობა. პიროვნების ზოგადი მახასიათებლები, საქმის ობიექტური და სუბიექტური გარემოებები, დამნაშავის ქცევა და ა. შ.

ბრალის შეფასებითი თეორია დანაშაულებრივ ქმედებაზე ფინალური მოძღვრების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. ფინალური თეორიის მამამთავრის პ. ველცელის აზრით, განზრახვა არ არის ბრალის ნიშანი. ბრალი არის პირის განზრახვის მხოლოდ

1 В.Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность М., 1937, стр. 55-57.

შეფასება. ბრალი არის განზრახვის გასაკიცხაობა.

გერმანელი კრიმინალისტიკის ფინალისტიკის ე. მუცგერის შეხედულების თანახმად, ბრალი უპირველეს ყოვლისა არის შეფასებითი მსჯელობა ადამიანის შინაგანი ქცევის განსაზღვრულ ხასიათზე და, რომ ბრალის ნორმატიული გაგება; მისი გაგება როგორც ქცევის გასაკიცხაობისა, დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია და გამეფებულია. იგივე აზრისაა ბრალის ბუნებაზე გერმანელი კრიმინალისტიკის რიპარდ ლანგე, რომლის სიტყვებითაც „ბრალი თავისი არსით არ არის ქცევის განსაზღვრული ფსიქიკური მხარე, რომელიც შეიძლება კონსტანტირებული იქნეს, არამედ ნარმოადგენს სოციალურ-ეთიკური სწრაფვის უქონლობის გასაკიცხაობას.

სხვა კრიმინალისტები გამოდიან ბრალის შეფასებითი გაგების წინააღმდეგ. გერმანელი კრიმინალისტიკის ი. ლექშასის თანახმად, ბრალმა ამრიგად, დამნაშავეის თავიდან გადაინაცვლა მოსამართლის თავში, და ბრალი ამიერიდან არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსამართლემ გააკიცხა იგი. ამით კი, ფართო გასაქანი ეძლევა მოსამართლის თვითნებობას¹.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის თეორიაში იყო ბრალის შეფასებითი კონცეფციის გადმონერგვის ცდები. მაგალითად, ნ. დურმანოვი 1945 წელს წერდა, რომ „ბრალეულობა არის შეფასებითი კატეგორია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ სრულიად ობიექტური ფაქტის დადგენასთან, ნარმოადგენს თუ არა მოცემული პირი მოცემული რეზულტატის მიზეზს, მოცემული რეზულტატის ავტორს². უფრო გამოკვეთილად ეს შეხედულება განვითარებულია ბ. უტევსკის მიერ. ბ. უტევსკის თეორიის მიხედვით, განზრახვის და გაუფრთხილებლობის დადგენა ჯერ კიდევ არ ნყვეტს დანაშაულის ჩადენაში პიბრის ბრალეულობის საკითხს. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ნარმოადგენს სუბიექტურ გარემოებას,

1 მოჭანილაჲ Курс советского уголовного права. М., 1970, с. 279-280.

2 Н. Г. Дурманов. Общие основания учения о причинной связи в уголовном праве. "Вопросы уголовного права" сб. 1. 1945, с. 52.

რომელიც მრავალ სხვა სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებასთან ერთად მიიღება მხედველობაში სასამართლოს მიერ დამნაშავეისადმი მორალურ-პოლიტიკური მსჯავრის გამოტანისას:

რამდენადმე მკრთალად ბრალზე ასეთივე შეხედულება გამოიკვეთა ა. ტრაინინის², ხოლო უფრო მკვეთრად ტ. სერგეევას შრომებში³. მაგრამ ის, რომ ბრალი გულისხმობს ჩადენილი ქმედების როგორც დანაშაულის შეფასებას კანონის მიერ, და რომ ბრალის არსებობა ყოველთვის დაკავშირებულია დამნაშავეის მსჯავრდებასთან, სრულიადაც არ ნიშნავს რომ ბრალი არის მხოლოდ შეფასებითი კატეგორია⁴.

ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრალის ცნება ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება. პირველი ეს არის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი, ხოლო მეორეა — ბრალის შეფასებითი მომენტი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან და მიგვანიშნებს მის გასაკიცხ ხასიათზე⁵.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში, სადაც ვკითხულობთ, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“ ეს კი, იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, რომ ბრალი სისხლის სამართლის

1 Б.С.Утевский. Вина в советском уголовном праве. М., 1950, стр. 88.

2 А.Н. Трайнин. Состав преступления по советскому уголовному праву. М., 1957, стр. 125-126.

3 Т.Л.Сергеева. Вопросы виновности и вины в практике Верховного Суда СССР по уголовным делам. М., 1950.

4 Курс советского уголовного права. т. 2. М., 1970. стр. 283.

5 В.Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность М., 1957. стр. 11.

პასუხისმგებლობისა და სასჯელის აუცილებელი სუბიექტური წინამძღვარია. ამ პრინციპის საკანონმდებლო აღიარებას დიდი პოლიტიკური, ზნეობრივი და იურიდიული მნიშვნელობა აქვს. იგი განუყრელადაა დაკავშირებული კანონიერების პრინციპთან და გამორიცხავს ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთხმად არის აღიარებული დებულება, რომლის თანახმად, პირმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აგოს პასუხი, თუ მას ქმედების ჩადენისას გააჩნდა ნების გამოხატვის სრული თავისუფლება, რომელიც მოიაზრება როგორც გადაწყვეტილების საქმის ცოდნით მიღების უნარი. ეს უნარი წარმოადგენს შერაცხადობის სისხლის-სამართლებრივ პირობას; ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი, ანუ ის, ვისაც უნარი აქვს ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას და უხელმძღვანელოს მას.

ბრალის, როგორც ფსიქიკური პროცესის ელემენტებს წარმოადგენენ შეგნება და ნება, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ბრალის შინაარსს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალი შედგება ორი მომენტისაგან — ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტებისაგან. ამ მომენტების კანონით გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი შერწყმა ქმნის ბრალის ორ ფორმას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას. აღნიშნული სახეობითი ცნებების მიმართ ბრალი წარმოგვიდგება გვარეობით ცნებად. პირის ბრალეულად ცნობა იმის დადგენას ნიშნავს, რომ მან განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული.

რამდენადაც დანაშაული მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა, ამდენად პირი, რომელიც დანაშაულს ჩადის ბრალეულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ბრალის ეს ნიშანი წარმოადგენს მის სოციალურ არსს.

ბრალეულ სოციალური კატეგორიაა, რადგან მასში აისახება დანაშაულის ჩამდენის დამოკიდებულება სოციალური ფასეულობებისადმი. ბრალის სოციალური არსი ისაა, რომ კონკრეტულ დანაშაულში ელინდება დამახინჯებული დამოკიდებულება საზოგადოების ძირითადი ფასეულობებისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალი შეიძლება განისაზღვროს როგორც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი, რაც ინვესტს გაკაცხვას.

§ 3. ბრალის ფორმები

შეგნება და ნება წარმოადგენენ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ბრალს შინაარსს. ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესები მჭიდრო ურთიერთზემოქმედებაში იმყოფებიან და არ შეიძლება მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირება. ყოველი ინტელექტუალური პროცესი შეიცავს ნებელობით ელემენტებს, ხოლო ნებელობითი — ინტელექტუალურს. ამასთან, შეგნება და ნება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თითოეული მათგანის საგნობრივი შინაარსი კონკრეტული დანაშაულის შენადგენლობის კონსტრუქციით განისაზღვრება.

ბრალის ინტელექტუალური ელემენტი გულისხმობს ობიექტის ჩადენილი ქმედების, ასევე თუ მათ კანონმდებელი ითვალისწინებს ობიექტური ფაქულტატური ნიშნების (ადგილი, დრო, ვითარება და ა.შ.) ხასიათის შეგნებას, საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებას ან ასეთი გათვალისწინების შესაძლებლობას.

ნებელობითი პროცესის არსი განზრახი დანაშაულის დროს დასახული მიზნის მისაღწევად მოქმედების შეგნებულ წარმართვაშია, ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს კი — წინდაუხედაობაში, რომელიც წინ უსწრებს მავნე შედეგის განხორციელებას. ნებელობითი პროცესის თავისებურებებზე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს იმაშია, რომ პირი არ ძაბავს ფსიქიკურ ძალებს, რათა თავიდან აიცილოს თავისი ქცევის საზოგადოებრივად საშიში შედეგი, თუმცა კი აქვს ამის შესაძლებლობა.

სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების ინტენსივობა და განსაზღვრულობა საფუძვლად უძევს ბრალის ფორმებად, ხოლო ერთი და იმავე ფორმის ფარგლებში — მის სახეებად დაყოფას. ამრიგად, ბრალის ფორმები განისაზღვრება ფსიქიკური ელემენტების (შეგნებისა და ნების) ურთიერთშეფარდებით. ე.ი. ბრალის ფორმა არის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი დანაშაულის სუბიექტის შეგნებისა და ნების განსაზღვრული თანაფარდობა, რაც ქმედებისადმი მის დამოკიდებულებას ახასიათებს.

სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს ბრალის ორ ფორმას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ბრალის ფორმები იყოფა სახეებად, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა კანონმდებლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განზრახვას ყოფს პირდაპირ და არაპირდაპირ (ევენტუალურ) განზრახვად (მუხ. 9), ხოლო გაუფრთხილებლობას — თვითიმედოვნებად და დაუდევრობად (მუხ. 10).

ბრალის ფორმა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის კონკრეტული მუხლის დისპოზიციაში ან პირდაპირ არის მითითებული ან იგულისხმება.

ხშირად თვით ქმედების ხასიათი, ანდა დანაშაულის მიზანზე კანონის მითითება ნათელყოფს, რომ დანაშაული მხოლოდ განზრახ შეიძლება იქნეს ჩადენილი და ამდენად, მუხლის დისპოზიციაში ბრალის ფორმაზე მითითება აღარც არის საჭირო. ასეთ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება მაგალითად, ბანდიტიზმი (მუხ. 78), ქურდობა (მუხ. 91, 150), ყაჩაღობა (მუხ. 96, 752) და სხვა. ასევე არ არის აუცილებელი ბრალის ფორმაზე მითითება მაშინაც, როდესაც მუხლის დისპოზიციაში ნახმარია სიტყვები „მოტივი“, „წინასწარი შეცნობით“, „სიბოროტე“ და ა.შ. აქაც მხოლოდ განზრახ ბრალი იგულისხმება. ბრალის ფორმები არ არის მითითებული არც მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით!

ბრალის ფორმების იურიდიული მნიშვნელობა მრავალმხრივია: უპირველესად; ბრალის ფორმა წარმოადგენს იმ სუბიექტურ ზღვარს, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს დანაშაულებრივს,

არადასაშაულეებრივი ქცევისაგან

მეორეც, ბრალის ფორმის მიხედვით ხდება ორი, ობიექტური ნიშნებით ერთნაირი საზოგადოებრივად საშიში ქმედების გაშიჯვნა, ე.ი. დანაშაულის კვალიფიკაცია. მაგალითად, მკვლელობის კვალიფიკაციისათვის ბრალის ფორმა ნარშიადგენს გამიჯნავ კრიტერიუმს. ასევე არის სხულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში, სხვისი ქონების განადგურების ან დაზიანებისა და ა.შ.

მესამეც, იმ დანაშაულისათვის, რომელიც შერტდება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, ბრალის ფორმა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის ერთერთი კრიტერიუმთაგანი. განზრახვა, განიხილება როგორც ბრალის უფრო მძიმე ფორმა, ვიდრე გაუფრთხილებლობა.

მეოთხეც, ბრალის ფორმა, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან ერთად, არის დანაშაულის საკანონმდებლო კლასიფიკაციის კრიტერიუმი. განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულად შეიძლება ცნობილი იქნეს მხოლოდ განზრახი დანაშაული, ხოლო ნაკლებად მძიმედ ან ისეთად, რომელიც არ წარმოადგენს დიდი საზოგადოებრივ საშიშროებას — როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაული.

მეხუთეც, ბრალის ფორმა თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პირობების განმსაზღვრელია. განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი სასჯელს იხდიან საერთო, გაძლიერებული, მკაცრი, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია ან საპყრობილეში, ან განზრახი დანაშაულის ჩამდენათვის გაკუთვნილ კოლონია-დასახლებაში. ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენათვის გაკუთვნილ კოლონია-დასახლებებში.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის

1 В.Г. Макашвили. Уголовная ответственность за тяжкое преступление. М., 1957 стр. 199-201

ნასამართლობას აქვს.

იმათთვის, ვინც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე განზრახი დანაშაული ჩაიდინა, ვადამდე—პირობით გათავისუფლების ან დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლის შედარებით დიდი ვადებია დადგენილი.

§ 4. განზრახვი ბრალი და მისი სახეები

განზრახვა—ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. სისხლის სამართლის კოდექსის მე—9 მუხლი განზრახვას ყოფს ორ სახედ: პირდაპირ და არაპირდაპირ, ევენტუალურ განზრახვად.

განზრახვის სახის დადგენას აქვს იურიდიული მნიშვნელობა.

დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები

ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება და მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება მოიცავს იმ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს შეგნების სფეროში და წარმოადენს პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს, ხოლო აღნიშნული შედეგების დადგომის სურვილი მიეკუთვნება ფსიქიკური პროცესის ნებელობით სფეროს და წარმოადგენს პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტს. ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტები წარმოადგენენ მთავარ ფსიქოლოგიურ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ პირის ფსიქიკასა და საზოგადოებრივად საშიში ქმედებას შორის არსებულ კავშირს!

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება გულისხმობს როგორც მისი ფაქტობრივი, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებას. იგი მოიცავს იმ სიკეთეთა შესახებ წარმოდგენას, რომელიც ხელყოფილია, ანუ წარმოდგენას დანაშაულის ობიექტზე

ასევე ქმედების ფაქტიურ გარემოებებზე (დრო, ადგილი, საშუალება, ვითარება). დამნაშავის შეგნებაში ყველა ამ კომპონენტის ასახვა შესაძლებლობას აძლევს მას შეიცნოს ქმედების ობიექტური მნიშვნელობა, მისი საზიანო ხასიათი არსებული ურთიერთობების სისტემისათვის, ანუ მისი საზოგადოებრივი საშიშროება. საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება ყოველ კონკრეტულ საქმეზე არ მოითხოვს სპეციალურ მტკიცებას, რადგანაც თავისი ქცევის სოციალური მნიშვნელობის შეგნების უნარი ცხოვრებისეული გამოცდილების და შეძენილი ცოდნის წყალობით გააჩნია ყოველ შერაცხად, გარკვეულ ასაკს მიღწეულ ადამიანს. პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი უკავშირდება მისი გაკიცხვა და მსჯავრდება².

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს მართლწინააღმდეგობის, ანუ ქმედების სისხლის სამართლის კანონით აკრძალვის შეგნებასთან. უმრავლეს შემთხვევაში განზრახი დანაშაულის ჩამდენს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგო ხასიათი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ განზრახი დანაშაული ჩადენილი იქნეს მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშეც. ზოგჯერ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს ჩადენილი ქმედების უკანონობის წინასწარი შეცნობის მომენტზე, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობაზე. ასეთ შემთხვევაში ქმედება განზრახ ჩადენილად მხოლოდ მისი მართლწინააღმდეგობის შეგნების პირობით ჩაითვლება. განზრახვისათვის მართლწინააღმდეგობის შეგნება, მაშინაც აუცილებელია, როდესაც ქმედება კანონმდებლის მიერ ხასიათდება როგორც სპეციალური ნებსების დარღვევა, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ღონისძიების შეფარდების შემდეგ დგება (მაგალითად, უკანონო ნადირობა - მუხ. 177 ნაწ. 2).

1 В. С. Мазанилов. Уголовная ответственность за вредительство. М., 1957, стр. 8.

2 იქვე გვ. II.

გაოვალისწინება წარმოადგენს შეგნებაში იმ მოვლენების ასახვას, რომლებიც განხორციელდებიან, ან შეიძლება განხორციელდნენ შემავალში, ამიტომ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებაში იგულისხმება დამნაშავეის წარმოდგენა იმ ვნების შესახებ. რასაც მიაყენებს სიხსლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მისი მოქმედება. პირდაპირი განზრახვის დროს პირი ითვალისწინებს ხელყოფის ობიექტის ფაქტიურ ცვლილებებს, ესმის ამ ცვლილებების შესაძლებლობა, ე.ი. რომ მიყენა საზოგადოებისათვის, შეგნებული აქვს მიზნები — შედეგობრივი კავშირი საკუთარ ქმედებასა და საშიშ შედეგს შორის.

პირდაპირი განზრახვა ხასიათდება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დანაშაულებით განხორციელების გათვალისწინებით. პირი, რომელსაც განზრახული აქვს განსაზღვრული შედეგის გამოწვევა, დარწმუნებულია თავისი ზრახვის რეალურ განხორციელებაში. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება გათვალისწინებულია როგორც რეალურად შესაძლებელი. ასეთი სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც დამნაშავეს მიერ დანაშაულის ჩადენის არჩეულმა ხერხმა შეიძლება გამოიწვიოს ობიექტურად დაახლოებით ერთნაირი ხარისხით სხვადასხვაგვარი შედეგი, მაგალითად, როდესაც დამნაშავე მსხვერპლს ხრამში გადააგდებს, მან იცის, რომ ამას მსხვერპლის ან სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვება. ამ შემთხვევაში ნასურვები შედეგი (სიკვდილი) კანონზომიერია, მაგრამ ჩადენილი მოქმედების არა ერთადერთი შესაძლებელი რეზულტატია, ამიტომ იგი გათვალისწინებულია არა როგორც აუცდენელი, არამედ როგორც დანაშაულის რეალურად შესაძლებელი შედეგი.

პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტის ნების მიმართულებას, კანონში გადმოცემულია როგორც საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის სურვილი.

სურვილი იგივე ნებაა, რომელიც მობილიზებულია მიზნის მიაღწევად, ესაა სწრაფვა განსაზღვრული რეზულტატისაკენ.

მას შეიძლება სხვადასხვაგვარი ფსიქიკური შეფერილობა ჰქონდეს. ნასურვებია არა მხოლოდ ის შედეგი, რომელიც დამნაშავეს შინაგან სიამოვნებას ანიჭებს, არამედ ისიც, რომლის მიმართაც მას შინაგანი უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება აქვს, მაგრამ იგი წარმოდგენილი აქვს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად როგორც საჭირო და აუცილებელი. შედეგი, რომლისკენაც ისწრაფვის დამნაშავე შეიძლება მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, ან იყოს მიზნის მიღწევის შუალედი ეტაპი, მიზნის მიღწევის საშუალება, ანდა ქმედების აუცილებელი თანამდევნი ელემენტი. ამიტომაც განზრახვის კვლევის დროს საჭირო ხდება პირის მომავლისკენ მიმართული ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი!

პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება ორიენტირებულია დანაშაულის მატერიალურ შემაღენლობაზე, ამიტომ სურვილი აქ უკავშირდება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, რომელშიც ასახულია ობიექტისათვის მიყენებული ზიანი. ფორმალურ დანაშაულში სურვილის საგანს შეადგენს თვით საზოგადოებრივად საშიში ქმედება. მაგალითად, ცილისნამების დანაშაულის სუბიექტს შეგნებული აქვს მის მიერ გავრცელებული მონაჭორის ცრუ ხასიათი და სურს სწორედ ასეთი ცნობების გავრცელება (მუხ. 137).

არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს პირს კანონის შესაბამისად შეგნებული აქვს მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს მის საზოგადოებრივად საშიში შედეგს, და თუმცა არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვისას ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არსებითად არ განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ელემენტისაგან. მაგრამ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინების მხრით განზრახვის ეს ორი სახე განსხვავდება ერთმანეთისაგან. შედეგის აუცილებელი განხორციელების გათვალისწინება დამახასიათებელია მხოლოდ

1 ვ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

პირდაპირი განზრახვისათვის. არაპირდაპირი განზრახვის დროს კი სუბიექტს მიაჩნია, რომ არსებობს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, ანუ მიაჩნია აღნიშნული შედეგები მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის განვითარების კანონზომიერ რეზულტატად. განზრახვა არაა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მოცემულ კონკრეტულ პირობებში გამორიცხავს მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუნდაც შეგნებული ჰქონდეს ასეთი შედეგის დადგომის კანონზომიერება სხვა ანალოგიურ შემთხვევაში.

ამრიგად, არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი ხასიათდება საკუთარი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით და საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის ნებელობითი ელემენტი კანონში დახასიათებულია როგორც შედეგის განხორციელების შეგნებულად დაშვება. არაპირდაპირი განზრახვის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგი ესაა დამნაშავეს იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედების შედეგი, რომელიც მიმართულია მოცემული შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არსებული მიზნისაკენ. დამნაშავე არ იღწვის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოსანვევად, მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, რომ თითქოს ევენტუალური განზრახვით მოქმედი ასეთი შედეგის მიმართ უარყოფითად იყოს განწყობილი, ახსნაფხვიდეს მის თავიდან აცილებას (აქტიური უსურველობა). ხრწნდგეღეღი შეგნებული დაშვება ნიშნავს, რომ დამნაშავე თავისი მოქმედებით იწვევს მოვლენათა შთელ ჯაჭვს და გააზრებულად განგებ უშეგებს მიზეზ — შედეგობრივი ჯაჭვის ისეთ განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს. აქტიური ნებელობითი პრინციპის — უსურველობისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი უარყოფითი დამოკიდებულებაა, შეგნებული დაშვება ასევე ეუფრო განუდაა. რომელიც გულისხმობს დადებით დამოკიდებუ-

ლებას საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. ნების შინაარსი, რომელიც გამოვლინდება შეგნებული დაშვებისას თავისი ფსიქოლოგიური არსით საკმაოდ ახლოსაა რისამეს სურვილთან, სწორედ ეს მომენტი აერთიანებს ბრალის ამ ორ სახეს ბრალის ერთ ფორმად.

არაპირდაპირი განზრახვა უფრო იშვიათად გვხვდება როგორც კანონმდებლობაში, ისე რეალურ ცხოვრებაში, ვიდრე პირდაპირი განზრახვა.

ევენტუალური განზრახვა გამოირიცხება ფორმალური დანაშაულის დროს, იმ დანაშაულში, რომლის შემადგენლობა ქმედების სპეციალურ მიზანს ითვალისწინებს, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შემადგენლობებში, ასევე თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში.

პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა ბრალის ერთიდაიმავე ფორმის სახესხვაობას წარმოადგენენ და მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: განზრახვის ორივე სახის ინტელექტუალური ელემენტი ხასიათდება ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით და საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებით. მათი ნებელობითი ელემენტისათვის საერთოა დადებითი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ განზრახვის განსხვავებულ სახეებს, რომელთაგან თითოეულს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურება.

განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის, როგორც უკვე აღინიშნა, ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით შედეგის გათვალისწინების სხვადასხვაგვარ ხასიათშია. თუ პირდაპირი განზრახვა როგორც წესი, შედეგის გათვალისწინების აუცილებლობით, ხოლო ზოგჯერ რეალური შესაძლებლობით ხასიათდება, არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია შედეგის გათვალისწინების რეალური შესაძლებლობა. მაგრამ ძირითადი განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის შედეგის მიმართ სუბიექტის ნებელობით დამოკიდებულებაშია, რაც განსხვავებული ფორმით ვლინდება. დადებითი დამოკიდებულება შედეგისადმი პირდაპირი განზრახვის დროს

გამოიხატება ამ შედეგის სურვილში, ხოლო ევენტუალური განზრახვისას — შეგნებულ დაშვებაში.

განზრახვის დაყოფას პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად, რაც მათ განსხვავებულ ფსიქოლოგიურ შინაარსს ეფუძნება, წმინდა თეორიულის გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი ინტიტუტების სწორი გაგებისათვის (დანაშაულის მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა დანაშაულში და სხვა), ბრალის, ქმედებისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

ფსიქოლოგიური შინაარსის მიხედვით სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის ცნობილია განზრახვის სახეების სხვაგვარი კლასიფიკაციაც, მაგალითად, დანაშაულებრივი ზრახვის წარმოშობის მომენტის მიხედვით განზრახვა განიყოფება წინასწარ მოფიქრებულ და უეცრად წარმოშობილ განზრახვად.

წინასწარ მოფიქრებული განზრახვა ხორციელდება მისი წარმოშობიდან დროის გარკვეული შუალედის გავლის შემდეგ. ხშირად ასეთი განზრახვა დამნაშავის შეუდრეკელობაზე მიმანიშნებელია და ამდენად, მნიშვნელოვნად ზრდის როგორც დანაშაულის, ისე დამნაშავის საშიშროების ხარისხს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. გაცილებით მნიშვნელოვანია ის მიზეზები, რომელთა გამოც დამნაშავემ თავისი ზრახვა ერთბაშად არ მოიყვანა სისრულეში. თუ ეს მისი მერყეობით, დანაშაულისადმი უარყოფითი ემოციური დამოკიდებულებით აიხსნება, მაშინ წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არ არის უფრო საშიში, ვიდრე უეცრად წარმოშობილი.

უეცრად წარმოშობილია განზრახვა, როდესაც იგი წარმოშობისთანავე ან მისი წარმოშობიდან უმნიშველო დროის განმავლობაში რეალიზდება. უეცრად წარმოშობილი განზრახვა შეიძლება იყოს უბრალო და აფექტური. უბრალოა უეცრად წარმოშობილი განზრახვა, როდესაც დანაშაულის ჩადენის ზრახვა დამნაშავეს წარმოეშვა ნორმალურ ფსიქიკურ მდგომარეობაში და სისრულეში მოიყვანა მაშინვე ან მისი წარმოშობიდან ხანმოკლე

დროის განმავლობაში. აფექტური განზრახვისათვის დამახასიათებელია როგორც განზრახვის წარმოშობის უცარი ხასიათი, ისე მისი წარმოშობის ფსიქოლოგიური მექანიზმის თავისებურება. აფექტური განზრახვის წარმოშობის საბაზს წარმოადგენს დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედება დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ. ეს მოქმედება სუბიექტში იწვევს ძლიერ ემოციურ განცდას, რაც მნიშვნელოვნად აძწელებს ნებელობით პროცესებზე შეგნებულ კონტროლს. აფექტურ დანაშაულში ნაკლებ ვლინდება პიროვნების ანტისოციალური განწყობა და უფრო მეტად სიტუაციის, როგორც გარეგანი საბაზის გავლენა. ამით არის პირობადებული კანონით დაშვებული სასჯელის სავალდებულო შემსუბუქება აფექტური განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის.

ქმედების ფაქტიური და სოციალური ხასიათის გათვალისწინების მიხედვით განზრახვა შეიძლება იყოს განსაზღვრული (კონკრეტიზირებული) და განუსაზღვრელი (არაკონკრეტიზირებული).

განსაზღვრული (კონკრეტიზირებული) განზრახვისას დამნაშავეს აქვს კონკრეტული წარმოდგენა ქმედებით გამოწვეული ვნების რაოდენობრივ და თვისობრივ მჩვენებელზე. თუ სუბიექტს აქვს მკაფიო წარმოდგენა რომელიმე ერთ ინდივიდუალურად განსაზღვრულ რეზულტატზე, განზრახვა არის განსაზღვრული, ე.ი. ამ შემთხვევაში პირს სურს ან იგი უშვებს საზოგადოებრივად საშიში შედეგს, რომელსაც ნათლად და საკმაოდ მკაფიოდ ითვალისწინებს.

არაკონკრეტიზირებული განზრახვის დროს, დამნაშავე ზუსტად არ ითვალისწინებს შედეგის ხასიათს ან მის სიმძიმეს. ასეთი განზრახვა ხშირია სხეულის დაზიანების დროს, როდესაც დამნაშავეს არა აქვს ზუსტად წარმოდგენილი, თუ რა ხარისხის დაზიანებას მიაყენებს იგი დაზარალებულს-მძიმეს, ნაკლებად მძიმეს თუ მსუბუქს.

ალტერნატიული განზრახვის ისეთი სახესხვაობაა, როდესაც დროსაც დამნაშავე ითვალისწინებს ერთ-ერთ, ზუსტად განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას.

ალტერნატიული განზრახვით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიცირება ფაქტიურად დამგარი შედეგის მიხედვით ხდება. მაგალითად, პირი, რომელიც ხრამში გადააგდებს თავის მტერს, მკათიოდ ითვალისწინებს, რომ უკანასკნელი ან მოკვდება ან სხეულის მძიმე დაზიანებას მიიღებს. მისი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით.

განზრახვის ყველა ჩამოთვლილი სახე ყოველთვის როდი გამოირიცხავს ერთმანეთს. ზოგჯერ შეიძლება განზრახვის განსხვავებული სახეების კომბინაცია. მაგალითად, პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს როგორც განსაზღვრული, ასევე განუსაზღვრელი და ა.შ. შემადგენლობის ერთი ნიშნის მიმართ პირს შეიძლება ჰქონდეს განზრახვის ერთი სახე, ხოლო სხვა ნიშნის მიმართ — განსხვავებული.

§ 5. გაუფრთხილებელი ბრალი და მისი სახეები

გაუფრთხილებლობა, განზრახვასთან შედარებით ბრალის უფრო მსუბუქი ფორმაა, მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ სათანადოდ არ შეფასდეს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის საშიშროება. მნიშვნელოვნად იზრდება გაუფრთხილებელ დანაშაულთა რიცხვი გარემოს დაცვის, ყველა სახის ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისა და ექსპლოატაციის, ენერჯის ახალი მძლავრი წყაროების გამოყენების სფეროში და ა.შ. ამდენად, გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რის შესახებაც არაერთგზის აღინიშნა იურიდიულ ლიტერატურაში.¹

გაუფრთხილებელ დანაშაულს უმთავრესად განაპირობებს დამნაშავის უდისციპლინო, უზრუნველი, უყურადღებო დამოკიდებულება სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი, თავისი პროფესიული თუ სხვა მოვალეობისადმი. დამნაშავე თავისთავზე იღებს ისეთ ფუნქციას, რომლის განხორციელების უნარი კვალიფიკაციის, გამოცდილების,

განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვათა გამო
ჩას არ ძალუძს.

გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან
გამომდინარე პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი
დანაშაულისათვის ჩვეულებრივ დგება საზოგადოებრივად საშიში
შედეგის განხორციელებისას. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში
კანონმდებელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შედეგის გარეშე
გაუფრთხილებელი ქმედობისათვის. (მაგალითად, სახელმწიფო
საიდუმლოების გახმაურება), ანდა ისეთი მოქმედებისათვის,
რომელიც წინასწარი შეცნობით ქმნიდა მძიმე შედეგის გამონკვევის
საშიშროებას (მაგალითად, აფეთქებად საშიშ სანარმოებში
უსაფრთხოების წესების დარღვევა).

სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თეორია და პრაქტიკა
განარჩევს ბრალის ამ ფორმის ორ სახეს, რომლებიც
ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფსიქოლოგიური შენაარსით.
გაუფრთხილებელი ბრალის ეს სახეებია დანაშაულებრივი
თვითიმედოვნება და დანაშაულებრივი დაუდევრობა.

დანაშაული ჩაითვლება თვითიმედოვნებით ჩადენილად, თუ
მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან
უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის
შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ
თავიდან აცილებას (სსკ—ის მე—10 მუხლი).

საზოგადოებრივად საშიში მოქმედების, უმოქმედობის
გათვალისწინება წარმოადგენს დანაშაულებრივი თვითიმედოვ-
ნების ინტელექტუალურ ელემენტს, ხოლო მათი თავიდან აცილების
ქარაფშუტული ვარაუდი მისი ნებელობითი ელემენტია.

კანონმდებელი თვითიმედოვნების ინტელექტუალური ელემენტის
დაბასიათებისას მიუთითებს მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში
შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობაზე მაგრამ არაფერს ამბობს
მოქმედების ან უმოქმედობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების

1 В.Е. Квашиш. Преступная неосторожность. Владивосток 1986; В.А. Нерсесиян. Неосторожные преступления. Красноярск, 1991. Миндия Угрехелидяу. Проблема неосторожной вины в уголовном праве. Тбилиси, 1976.

თაობაზე ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მოქმედებას, საზოგადოებრივად საშიში შედეგისაგან მოწყვეტით, არ აქვს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. ამასთანავე, რადგან თვითიმედოვნება, როგორც ნუსი, დაკავშირებულია ვნების თავიდან ასაცილებელი განსაზღვრული გამაფრთხილებელი ნუსების შეგნებულ დარღვევასთან, დამნაშავეს ყოველთვის გაცნობიერებული აქვს შესაძლებელი უარყოფითი შედეგების ხასიათი და ამიტომ ისწრაფვის მათ თავიდან აცილებას. ამრიგად, თვითიმედოვნების დროს, დამნაშავეს ერთის მხრივ შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის პოტენციური საშიშროება, ხოლო მეორეს მხრივ, იგი მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხავს არასასურველი შედეგების დადგომის შესაძლებლობას!

ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით თვითიმედოვნება ემსგავსება არაპირდაპირ განზრახვას. მაგრამ თუ არაპირდაპირი განზრახვისას დამნაშავე ითვალისწინებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის რეალურ შესაძლებლობას, თვითიმედოვნების დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობა, გათვალისწინებულია აბსტრაქტულად. როგორც ჯერ კიდევ ნ. ტაგანცევი მიუთითებდა „მოქმედს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეგნებული აქვს დანაშაულებრივი ქმედება in abstracto, მაგრამ არა აქვს შეგნებული მისი შესაძლებლობა in concreto“². სუბიექტი უშვებს, რომ მსგავს მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივად საშიში შედეგები, მაგრამ ფიქრობს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არ განხორციელდება.

საზოგადოებრივად საშიში შედეგის შესაძლებელი განხორციელების აბსტრაქტული, ანუ მოცემული კონკრეტული სიტუაციიდან განყენებული გათვალისწინება ხასიათდება იმით, რომ დამნაშავეს არა აქვს შეგნებული მიზეზობრივი კავშირის განვითარების ნამდვილი ხასიათი, თუმცა ფსიქიკური ძალების სათანადო დაძაბვის შემთხვევაში, მას შეეძლო მისი გათვალისწინება³. მან ქარაფშუ-

1 ვ. შაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

2 Н. С. Таганцев. Русское уголовное право. Лекции. т. 1, С-Петербург. М., 1902. стр. 608

ტულად, არასერიოზულად, შეაფასა ის გარემოებები, რომელთაც მისი აზრით შეეძლოთ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება, მაგრამ ეს გარემოებები უძლურნი აღმოჩნდნენ წინ აღდგომოდნენ მავნე შედეგს. ასეთ გარემოებებს შეიძლება წარმოადგენეს პირადი თვისებები (გამოცდილება, მოხერხებულობა, ოსტატობა და ა.შ.), სხვა პირთა, მექანიზმების, ბუნების ძალთა მოქმედება და ა.შ.

მთავარი გამასხვავებელი მომენტი თვითიმედოვნებასა და არაპირდაპირ განზრახვას შორის ნებელობით სფეროშია. არაპირდაპირი განზრახვის დროს, დამნაშავე შეგნებულად უშვებს საზოგადოებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, დადებითად ეკიდება მას, ხოლო თვითიმედოვნებისას დამნაშავე არა თუ შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ ისწრაფვის მის თავიდან აცილებას, უარყოფითად ეკიდება მას. შედეგების თავიდან აცილების ვარაუდი თუმცა ქარაფშუტულია, მაგრამ სწორედ ეს ვარაუდია თვითიმედოვნების არაპირდაპირი განზრახვისაგან არსებითი გამასხვავებელი მომენტი, რომლის დროსაც ასეთი ვარაუდი გამორიცხებულია, თუმც, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მავნე შედეგის არდადგომის გაუმართლებელი იმედი.

დანაშაული ჩაითვლება დაუდევრობით ჩადენილად თუ დამნაშავე არ ითვალისწინებდა თავის მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა

3. როგორც მიუთითებს მ. უგრეხელიძე „ფსიქიკური მიზეზი“, რამაც საზოგადოებრივად საშიში შედეგი გამოიწვია, უნდა მოიძიოს არაანორ ნარმოდგენასა და მცდარ დარწმუნებულობაში, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებს ნებელობით გადანყვეტილებას და მონაწილეობას ლებულობენ მის ჩამოყალიბებაში, და თუ, რეზულტატის მიხედვით, ნება არ იყო ის ძალა, რომელმაც წარმართა ქმედება საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, მაშინ ისლა დაგვრჩენია ვალიაროთ, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც ამის უნარი შესწევს — ეს აქტუალური მოთხოვნის იმპულსია, რომელიც თავის ფსიქოლოგიურ გამოხატულებას განწყობიდან ლებულობს. (მ. უგრეხელიძე დასახ. ნაშრ., 49-50)

ისინი (სსკ—ის მე—10 მუხლი).

დაუდევრობა არის ბრალის ერთადერთი სახე, რომლის დროსაც სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, არც როგორც აუცდენელს და არც როგორც რეალურად (კონკრეტულად) ან აბსტრაქტულად შესაძლებელს. შედეგების ასეთი გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს შედეგებისადმი ყოველგვარი ფსიქიკური დამოკიდებულების არარსებობას, არამედ წარმოადგენს ფსიქიკური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას. შედეგების გაუთვალისწინებლობა დაუდევრობის დროს მიუთითებს კანონის მოთხოვნათა, საყოფაცხოვრებო წესების, სხვა ადამიათა ინტერესების უგულვებელყოფაზე.

დაუდევრობის არსი ისაა, რომ დამნაშავეს რეალური შესაძლებლობა აქვს გაითვალისწინოს თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მაგრამ არ ძაბავს ფსიქიკურ ძალებს, რათა გაითვალისწინოს და თავიდან აიცილინოს იგი.

დაუდევრობა ხასიათდება დადებითი და უარყოფითი ნიშნებით. დაუდევრობის უარყოფითი ნიშანი ისაა, რომ პირი არ ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას. დადებითი ნიშანი ისაა, რომ დამნაშავეს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ფაქტიურად განხორციელებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი. სწორედ ეს ნიშანი ხდის დაუდევრობას ბრალის ფორმად. იგი დგინდება ორი კრიტერიუმის—ობიექტურის და სუბიექტურის მეშვეობით.

დაუდევრობის ობიექტური კრიტერიუმი ნორმატიული ხასიათისაა და გამოიხატება სიტყვებით „უნდა გაეთვალისწინებინა“, რაც ნიშნავს პირის ვალდებულებას გაითვალისწინოს საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობა ვალდებულება შეიძლება წარმოდგებოდეს კანონიდან, დამნაშავეს თანამდებობრივი მდგომარეობიდან, მისი პროფესიიდან, ყოველდღიური ცხოვრების წესებიდან და ა.შ. ასეთი ვალდებულების არარსებობა გამორიცხავს ბრალს შედეგის ფაქტიურად განხორციელების შემთხვევაში. გათვალისწინების ვალდებულების არსებობა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირის ბრალეულად ცნობისათვის. ამასთან

აუცილებელია დადგენილი იქნეს, რომ პირს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინების რეალური შესაძლებლობა, (დაუდევრობის სუბიექტური კრიტერიუმში). ეს მოთხოვნა ასახულია კანონის სიტყვებში „შეეძლო გაეთვალისწინებინა“. სუბიექტური კრიტერიუმით ნიშნავს დამნაშავეს ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე მის პერსონალურ შესაძლებლობას კონკრეტულ სიტუაციაში გაითვალისწინოს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა. შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა განისაზღვრება, როგორც იმ სიტუაციის თავისებურებით, რომელშიც ქმედება ხორციელდება, ასევე დამნაშავეს ინდივიდუალური თვისებებით (მისი ფიზიკური მონაცემებით, განვითარების და განათლების დონით, პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილებით და ა.შ.).

დაუდევრობას შუალედი ადგილი უკავია თვითიმედოვნებასა და შემთხვევას (casus) შორის. თვითიმედოვნებასთან მას საერთო ის აქვს, რომ ორივე შემთხვევაში დამნაშავე არ ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, არ იცავს განსაზღვრულ გამაფრთხილებელ ნორმებს. ეს ნორმები დიფერენცირებულია მოქმედების დროისა და ადგილის, პირის პროფესიული, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის და ა.შ. მიხედვით. ამრიგად, გაუფრთხილებელი ბრალის ორივე ფორმის დროს პასუხისმგებლობა უკავშირდება წინდახედულებისა და მზრუნველობის ნორმების დარღვევას.

განსხვავება გაუფრთხილებლობის ამ ორ სახეს შორის იმაშია, რომ თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს მანვე შედეგის განხორციელების აბსტრაქტულ შესაძლებლობას და ამიტომ შეგნებული აქვს თავისი მოქმედების პოტენციური საშიშროება მაშინ, როცა დაუდევრობისას დამნაშავე საერთოდ არ ითვალისწინებს მანვე შედეგის დადგომის შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, არც აქვს თავის მოქმედების პოტენციური საშიშროება შეგნებული. რაც შეეხება ნებელობით მოქმედებს, თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს რა მანვე შედეგის განხორციელების აბსტრაქტულ

შესაძლებლობას, შეგნებულად ჩადის პოტენციალურად საშიშ ნებელობით ქმედებას, ცდილობს გამოიყენოს განსაზღვრული ფაქტორები ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად, ხოლო დაუდევრობის დროს კი, ვინაიდან არ არის მკვე შედეგის გათვალისწინება, ამდენად, არც შეიძლება იყოს ამ შედეგისადმი რაიმე სახით რეალური ნებელობითი დამოკიდებულება.

საზოგადოებრივად საშიში შედეგის გაუთვალისწინებლობა დაუდევრობას აახლოებს შემთხვევასთან, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების დამოუკიდებელ სახეს. დაუდევრობისაგან განსხვავებით შემთხვევა (casus) ხასიათდება იმ ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების არარსებობით, რომლებიც დაუდევრობას ბრალის ფორმად ხდიან.

განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სახეების ფსიქოლოგიური შინაარსი თვალნათლივ ჩანს მოცემული სქემიდან:

ბრალის ფორმები და სახეები	ინტელექტუალური ელემენტი	ნებულობითი ელემენტი
პირდაპირი განზრახვა	ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება, მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის ან რეალური შესაძლებლობის გათვალისწინება.	შედეგის დადგომის სურვილი
არაპირდაპირი განზრახვა	ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება, საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინება.	შედეგის დადგომის უსურველობა, მაგრამ მისი შეგნებული დაშვება
თვითმედოვნება	შედეგის დადგომის აბსტრაქტული შესაძლებლობის გათვალისწინება.	შედეგის თავიდან აცილების ქარაფშუტული იმედი
დაუდევრობა	შედეგის გაუთვალისწინებლობა	შედეგის გათვალისწინებისა და მისი თავიდან აცილებისათვის ნების დაუძაბულობა

დაუდევრობის კრიტერიუმები: ობიექტური (ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინების და მათი თავიდან აცილების ვალდებულება) და სუბიექტური (ამ შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა)!

ბასიათდება როგორც ქმედების (მიზეზის) გენეტიკური გადასვლა საზოგადოებრივად საშიშ რეზულტატში (შედეგში). ამიტომ ბრალის ფორმა მის მიმართ განისაზღვრება იმის მიხედვით შეგნებული ჰქონდა და სურდა (უშვებდა) მთლიანად მიზეზობრიობის განვითარებას სუბიექტი, თუ არა. თუ მას შეგნებული ჰქონდა და სურდა (უშვებდა) მიზეზობრივი კავშირის ასეთ განვითარებას, უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანად დანაშაული განზრახ არის ჩადენილი (პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა). თუ, პირიქით, არ ჰქონდა შეგნებული და არც სურდა (უშვებდა) მიზეზობრივი კავშირის ასეთ განვითარებას, ცხადია, რომ მაშინ დანაშაული გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი. მაშინაც კი, როდესაც თუმც ქმედება შეგნებული იყო, მაგრამ ეს შეგნება არასაკმარისი აღმოჩნდა შედეგის გასათვალისწინებლად, ფსიქიკური დამოკიდებულება მთლიანად პროცესისადმი მაინც უნდა დახასიათდეს, როგორც გაუფრთხილებელი¹.

სხვაგვარად ნყდება საკითხი ეგრეთ ნოდებული შედეგით კვალიფიციურ დელიქტებში, რომელიც წარმოადგენს მატერი-ალური შემადგენლობის კერძო შემთხვევას. ამ დელიქტებში ორმაგი ბრალის სქემა სავსებით მისაღებია².

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ნორმას, სადაც არაპირდაპირ მითითებულია ორმაგ ბრალზე (მუხ. 11). ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პასუხისმგებლობა იმ შედეგისათვის, რომელიც კანონით გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება და რომელსაც არ მოიცავს დამნაშავეს განზრახვა, შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებელი ბრალი მაინც ჰქონდა. მაგალითად, საქართველოს სსკ—ის 110—ე მუხლის მე—2 ნაწილი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, თუ მან სიკვდილი გამოიწვია. ამ შემთხვევაში დამნაშავეს სიკვდილის მიმართ მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალი შეიძლება ჰქონდეს.

საკანონმდებლო კონსტრუქციის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში

¹ Милудя Угрюхладзе. Проблема исторической вины в уголовном праве. Тбилиси, 1976, стр. 88-89.

ერთ შემადგენლობაში გაერთიანებულია ორი დამოუკიდებელი დანაშაული, რომელთაგან ერთია განზრახი, ხოლო მეორე — გაუფრთხილებელი. ამასთან, შესაძლებელია ორივეს დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ შერწყმული სახით ხარისხობრივი თვალსაზრისით ახალ დანაშაულს წარმოშობენ. ასეთ დანაშაულთა შემადგენელი ნაწილები ჩვეულებრივ სხვადასხვა უშუალო ობიექტს ხელყოფენ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბრალის ორი ფორმით ჩადენილი დანაშაული არც თუ ხშირია, ისინი საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით ორ ტიპად შეიძლება დაიყოს: პირველ ტიპს განეკუთვნება დანაშაული, რომელსაც გააჩნია კანონში მითითებული არაერთგვაროვანი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ორი შედეგი, ე.ი. კვალიფიციური დანაშაული, რომლის ძირითადი შემადგენლობა მატერიალური დელიქტია, ხოლო კვალიფიციური ნიშნის სახით გვევლინება უფრო მძიმე შედეგი, ვიდრე ის შედეგი, რომელიც ძირითადი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ დროს, როგორც წესი, ვნებას განიცდის სხვა, და არა ძირითადი შემოდგენლობის უშუალო ობიექტი. ასეთებია: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და ა.შ.

ბრალის ორმაგი ფორმით ჩადენილი დანაშაულთა მეორე კატეგორია ხასიათდება არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულებით მოქმედებისა ან უმოქმედობისადმი, რომელიც შედეგისაგან დამოუკიდებლად თვით წარმოადგენს დანაშაულს. მაკვალიფიცირებელი შედეგი გამოიხატება ვნების დამატებითი და არა იმ ობიექტისათვის მიყენებაში, რომელსაც იცავს მოცემული დანაშაულის ძირითადი შემადგენლობით გადმოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმა. დანაშაულთა აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება იმ დანაშაულთა კვალიფიციური სახეები, რომელთა ძირითადი შემადგენლობა ფორმალურია, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობა მოიცავს განსაზღვრულ მძიმე შედეგს. ეს შედეგი შეიძლება მითითებული

იქნეს მუხლის დისპოზიციაში კონკრეტული ფორმით: მაგალითად, უკანონო აბორტის დროს დაზარალებულის სიკვდილი ან სხვაგვარი მძიმე შედეგი (123—ე მუხლი), ანდა შეფასებული სიმძიმის თვალსაზრისით, მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე შედეგი გაუპატიურების დროს (117—ე მუხლი). მსაგავსი ტიპის შემადგენლობებში დანაშაულებრივი ქმედების განზრახ ჩადენა ერწყმის კვალიფიციური შედეგისადმი გაუფრთხილებელ დამოკიდებულებას.

§ 7. დანაშაულის მოტივი და მიზანი

ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანის მოქმედება განპირობებულია განსაზღვრული მოტივით და წარმართულია გარკვეული მიზნისაკენ. ქცევის შეფასება მისი მოტივისა და მიზნის მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია. ეს დებულება მთლიანად ვრცელდება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქცევაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის სხვა გარემოებებთან ერთად დანაშაულის მოტივისა და მიზნის დადგენას.

დანაშაულის მოტივი არის განსაზღვრული მოთხოვნილებით და ინტერესით განპირობებული შინაგანი მამოძრავებელი მიზნი, რომელიც წარმოშობს სუბიექტში დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას და რომლითაც იგი ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის დროს.

დანაშაულის მიზანი კი არის მომავალი რეზულტატის აზრობრივი მოდელი, რომლისაკენაც მიისწრაფვის სუბიექტი დანაშაულის ჩადენის დროს.

მოტივი და მიზანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. განსაზღვრული მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ადამიანი განიცდის ჯერ შეუცნობელ, ხოლო შემდეგ კი — გაცნობიერებულ სწრაფვას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამ საფუძველზე ყალიბდება დანაშაულის მიზანი.

ამრიგად, დანაშაულის მიზანი წარმოიშობა დანაშაულებრივი მოტივის საფუძველზე, ხოლო ორივენი ერთად ქმნიან იმ ბაზას, რომელზედაც წარმოიშობა ბრალი. მოტივი და მიზანი დამახასიათებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს გამოირიცხულია დანაშაულის მოტივი და მიზანი—და შესაბამისად კანონმდებელი არ ითვალისწინებს ამ ნიშნებს აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობაში.

დანაშაულის მოტივი და მიზანი ყოველთვის კონკრეტულია და როგორც წესი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმის დისპოზიციაში: ანგარებითი, ხულიგნური, შურისძიების, სიძხვალის, ეგოიზმის და ა.შ. მოტივი. სხვა დანაშაულის დაფარვის, ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების და ა.შ. მიზანი. ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი იძლევა მოტივის განზოგადებულ დახასიათებას.

მნიშვნელობა აქვს მოტივისა და მიზნის კლასიფიკაციას. ამ საკითხს სისხლის სამართლის თეორიაში განსაზღვრული ყურადღება ეთმობა.

პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილია მოტივისა და მიზნის ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც მათ ზნეობრივ და სამართლებრივ შეფასებას ეფუძნება. ამ თვალსაზრისით დანაშაულის სუბიექტური მხარის ეს ნიშნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ქვენაგრძობითი ხასიათისა¹ და ასეთ ხასიათს მოკლებულად.

ქვენაგრძობით მოტივს და მიზანს განეკუთვნება ისეთი, რომელსაც კანონი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ფარგლებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას უკავშირებს, აღიარებს რა მას პასუხისმგებლობის დაზარალებელ გარემოებად (სსკ—ის 39—ე მუხლის მე—4 პუნქტი);

¹ ქვენაგრძობა გულისხმობს ისეთ მამოძრავებელ მოტივს, რომელიც უკავშირდება ზნეობასთან. ასეთს წარმოადგენს ანგარება, შურისძიება, სიძხვა, ეგოიზმი, ხულიგნური მოტივი და სხვა.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ფარგლებში კანონმდებელი მათ ითვალისწინებს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად (მაგალითად, სსკ-ის 75,96,125,152,211 და სხვა მუხლები), ან აღიარებს მათ ცალკეულ დანაშაულთა მაკვალიფიცირებელ გარემოებად (მაგალითად, სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-7, მე-8 პუნქტები და სხვა მუხლები).

მაშინაც კი, როდესაც მოტივი და მიზანი არ არის გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არც როგორც ძირითადი და არც როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, მისი დადგენა მაინც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი ზეგავლენას ახდენს სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე, მისი სახისა და ზომის განსაზღვრაზე.

დანაშაულის მოტივი ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებად და დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა ანდა გახდეს დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. (მაგალითად, შიში).

დანაშაულის მოტივის უფრო დანერვილებითი განხილვა მოცემული უნდა იქნეს სასჯელის შესახებ მოძღვრებაში იმ გარემოებების გვერდით, რომლებიც სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე ახდენენ ზეგავლენას.

§ 8 შაცდომა და მისი მნიშვნელობა

სუბიექტური შერაცხვის პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეცდომის საკითხთან. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმას, რომელიც მოანუსრიგებდა სისხლის სამართლის პასუხისმგების საკითხს შეცდომის დროს, ანუ შეცდომის ბრალის ფორმაზე გავლენის საკითხს. ეს საკითხი დამუშავებულია სისხლის სამართლის

თეორიის მიერ.

შეცდომა არის არასწორი წარმოდგენა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის გამსაზღვრელი ფაქტიური გარემოებების ან ქმედების იურიდიული ხასიათის შესახებ. ამრიგად, განარჩევენ შეცდომის ორ სახეს: იურიდიულ (error juris) და ფაქტიურ (error facti) შეცდომას.

იურიდიული შეცდომა არის ჩადენილი ქმედების იურიდიული არსის ან ამ ქმედებით გამოწვეული იურიდიული შედეგის არასწორი შეფასება.

განასხვავებენ იურიდიული შეცდომის შემდეგ სახეებს:

ა) ქმედების შეფასება დანაშაულებრივად, მაშინ როდესაც კანონი მას ასეთად არ აღიარებს („მოჩვენებითი დანაშაული“). ამ შემთხვევაში ქმედება არ არღვევს სისხლის სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ანუ დანაშაული არსებობს მხოლოდ პირის წარმოდგენაში და ამდენად გამორიცხულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ბ) ქმედების შეფასება არადანაშაულებრივია, მაშინ, როცა სინამდვილეში ქმედება დანაშაულს წარმოადგენს. ასეთი შეცდომა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რადგან კანონის არცოდნა არ უთანაბრდება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების არარსებობას და არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მის ჩამდენს. ეს საკითხი ნამოიჭრება მხოლოდ განზრახ დანაშაულთან დაკავშირებით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც პირს არ ჰქონდა შეგნებული მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი და არც შესაძლებლობა მისი შეგნებისა, გამორიცხულია ბრალი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. იმ პირის მოქმედებაში, რომელსაც არ ჰქონდა შეგნებული თავისი ქცევის აკრძალული ხასიათი, თუმც საქმის გარემოებების მიხედვით შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს მომენტი-განზრახვა გამორიცხულია.

გ) შეცდომა ქმედების იურიდიული შედეგის, მისი კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის შეფასებაში ზეგავლენას არ ახდენს ბრალის ფორმაზე და არ გამორიცხავს

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ფაქტიური შეცდომა ენოდება იმ ფაქტიური გარემოების შესახებ პირის არასწორ წარმოდგენას, რომელიც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტს და ობიექტური მხარის ნიშნებს ახასიათებს და დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს განსაზღვრავს.

შინაარსის მიხედვით განარჩევენ ფაქტიური შეცდომის შემდეგ სახეებს: შეცდომა ხელყოფის ობიექტში, ქმედებისა და შედეგის ხასიათსა და სიმძიმის ხარისხში, მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში.

ლიტერატურაში შეცდომის დასახელებულ სახეებს უმატებენ შეცდომას დანაშაულის საგანში, დაზარალებულის პიროვნებაში, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებებში.¹ ამის საპირისპიროდ აღინიშნა, რომ შეცდომის აღნიშნული სახეების ცალკე გამოყოფა მიზანშეუწონელია, რამდენადაც ისინი ფაქტიურად წარმოადგენენ ან შეცდომას ობიექტში, ან დანაშაულის ობიექტურ მხარეში, ან საერთოდ არა აქვთ მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.²

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ არსებითი ხასიათის ფაქტიურ შეცდომას, ანუ ისეთ შეცდომას, რომელიც შეეხება მოცემული დანაშაულის შემადგენლობის იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებებს და გავლენას ახდენს ბრალისა და მისი ფორმების შინაარსზე, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების საზღვრებზე. არარსებითი შეცდომა (მაგალითად, შეცდომა გატაცებული ავტომანქანის მოდელსა და მის ზუსტ ღირებულებაში) არ განიხილება ფაქტიურ შეცდომად.

ობიექტში შეცდომისას (error in objecto) პირი ცდება ობიექტის სოციალური და იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში. ამგვარი შეცდომა ორი სახით ვლინდება:

პირველი, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ ხელყოფს განსაზღვრულ ობიექტს, სინამდვილეში კი, ვნებას განიცდის სულ

1 В.А.Якушкин. Ошибка и ее уголовно-правовое значение. Казань, 1988. стр. 54.

2 Уголовное право. Общая часть. Учебник. М., 1994. стр. 190.

სხვა ობიექტი. მაგალითად, პირი ფიქრობს, რომ აფთიაქიდან იტაცებს ნარკოტიკულ საშუალებებს, სინამდვილეში კი გატაცებულია ნამალი, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს არ შეიცავს. ასეთი შეცდომა უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახვის მიმართების მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაენიოს იმასაც, რომ ობიექტი, რომელიც მოცული იყო პირის განზრახვით, სინამდვილეში არ დაზიანებულა. რათა ეს ორი გარემოება მოყვანილი იქნეს შესატყვისობაში, აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაციისას მიმართავენ იურიდიულ ფიქციას: მოქმედება ფასდება როგორც ნასურვებ ობიექტზე მცდელობა. მოცემულ მაგალითში პირმა პასუხი უნდა აგოს ნარკოტიკული საშუალებების გატაცების მცდელობისათვის. ობიექტში შეცდომის განხილული ნესი გამოიყენება მხოლოდ კონკრეტიზირებული განზრახვის დროს.

ობიექტში შეცდომის მეორე სახესხვაობაა იმ გარემოების არ ცოდნა, რომელიც ცვლის ობიექტის კანონისმიერ სოციალურ და იურიდიულ შეფასებას (მაგალითად, ორსულობა მკვლელობის დროს, არასრულწლოვნება გაუპტიურებისას). აღნიშნული გარემოებები ზრდიან დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას და ნარმოადგენენ ამ დანაშაულთა კვალიფიციურ ნიშნებს. თუ დამნაშავემ არ იცის ამ გარემოებების შესახებ, მაშინ დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. თუ დამნაშავეს ჰგონია, რომ ასეთი გარემოებები არსებობენ, ხოლო ისინი ფაქტიურად არ არსებობენ, მაშინ ქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც დამამძიმებელი გარემოებებში დანაშაულის მცდელობა. თუ დამნაშავეს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ასეთი გარემოების არსებობა, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით შესაძლებელია, ხოლო თუ გაუფრთხილებლობით ასეთი დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია, მაშინ იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

ობიექტში შეცდომისაგან უნდა გაიმიჯნოს შეცდომა

ხელყოფის საგანსა და დაზარალებულის პიროვნებაში.

ხელყოფის საგანში შეცდომის დროს, ვნებას განიცდის სწორედ ნაგულისხმევი ობიექტი, თუმც უშუალო ზემოქმედება ხდება სხვა და არა დაქნაშავის მიერ შერჩეულ საგანზე. ასეთი შეცდომა ზეგავლენას არ ახდენს არც ბრალის ფორმასა და არც კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე. მაგრამ ზოგჯერ არასწორი წარმოდგენა დანაშულის საგანზე დაკავშირებულია არა მხოლოდ საგნის, არამედ ამავე დროს ხელყოფის ობიექტის მცდარ შეფასებასთან.

დაზარალებულის პიროვნებაში შეცდომისას დაქნაშავე ვნებას აყენებს არა ნაგულისხმევ, არამედ სხვა პიროვნებას. აქაც, ისევე როგორც ხელყოფის საგანში შეცდომის დროს, შეცდომა არ ეხება იმ გარემოებებს, რომელთაც ითვლისწინებს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა. ორივე შემთხვევაში ვნებას განიცდის ნაგულისხმევი ობიექტი და ამდენად, შეცდომა არაერთად ზეგავლენას არ ახდენს არც დანაშაულის კვალიფიკაციასა და არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის პიროვნების შეცვლით არ იცვლება ხელყოფის ობიექტიც. მაგალითად, კერძო პირის მკვლელობა, ნაცვლად უცხოელი დიპლომატისა, რომლის მკვლელობაც ჩაფიქრებული იყო საერთაშორისო გართულების გამოსაწვევად, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ტერორისტული აქტის მცდელობა.

ობიექტის შეცდომას გარეგნულად წააგავს ეგრეთ წოდებული გადახრა მოქმედებისაგან (*aberratio ictus*), როდესაც დაქნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვნებას განიცდის არა ის სიკეთე, რაზედაც ხელყოფა იყო მიმართული, არამედ სხვა სიკეთე. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ესურის ბ-ს, მაგრამ ააცდენს მას და კლავს გ-ს. ა-ს მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც ბ-ს მკვლელობის მცდელობა და თუ მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა კიდევაც გ-ს სიკვდილი, გ-ს როცა გ-ს გაუფრთხილებელი მკვლელობა. ამრიგად, *aberratio ictus*-ს გააჩნია ობიექტში შეცდომისაგან (*error in objecto*) განსხვავებული იურიდიული მნიშვნელობა. აქ, სხვა

სიკეთე დამნაშავეის შეცდომის გამო კი არა, არამედ რაიმე სხვა მიზეზით ზიანდება.

ქმედებაში შეცდომა ორგვარია:

პირველი, როცა პირი ფიქრობს, რომ ქმედება საზოგადოებრივად საშიშია, სინამდვილეში კი იგი მოკლებულია ასეთ ხასიათს. ასეთი შეცდომა არ მოქმედებს ბრალის ფორმაზე და ქმედება განზრახად რჩება, მაგრამ პასუხისმგებლობა დგება არა დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულის მცდელობისათვის, რამდენადაც. დანაშაულებრივი ზრახვა არ ყოფილა რეალიზებული, მაგალითად, გაფუჭებული პისტოლეტის შექენა, რომელიც დამნაშავეს შეცდომით გამართული ჰგონია—იქნება იარაღის შექენის მცდელობა. მეორე, როცა პირს შეცდომით ჰგონია, რომ მისი მოქმედება

ასეთი შეცდომა გამოირიცხავს განზრახვას, ხოლო თუ ქმედება შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც. მაგრამ თუ ქმედება შეიძლება გაუფრთხილებელი ბრალის ფორმითაც იქნეს ჩადენილი, მისი საზოგადოებრივი საშიშროების არცოდნა არ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის იმ პირობით, თუ პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, სანინალმდეგო შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საერთოდ გამოირიცხება.

თუ დანაშაულის ობიექტური მხარე კანონში დახასიათებულია ისეთი ნიშნებით, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის ხერხი, დრო, ადგილი ან ვითარება, მაშინ შეცდომა დანაშაულის შემადგენლობის ამ ნიშნებში, ნარმოადგენს ჩადენილ ქმედების ხასიათში შეცდომის სახესხვაობას. ამასთან, დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დამნაშავეის განზრახვის შინაარსისა და მიმართების შესაბამისად. მაგალითად, თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ ქონებას იტაცებს ფარულად და არ იცის, რომ მას უთვალთვალებენ, მან პასუხი უნდა აგოს ქურდობისა და არა ძარცვისათვის და პირიქით.

შეცდომა საზოგადოებრივად საშიშ შედეგში შეიძლება

საზოგადოებრივი ზიანი
1910. 107. 11

დაშვებული იყოს ამ ობიექტური ნიშნის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლის მიმართ.

შეცდომა საზოგადოებრივად საშიში შედეგის ხასიათში შეიძლება გამოიხატოს ისეთი შედეგების გათვალისწინებაში, რომელიც ფაქტიურად არ დამდგარა, ანდა ისეთი შედეგის გათვალისწინებლობაში, რომელიც სინამდვილეში განხორციელდა. ასეთი შეცდომა გამორიცხავს პასუხისმგებლობას ფაქტიურად დამდგარი შედეგის განზრახ განხორციელებისათვის, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა შედეგის გაუფრთხილობით განხორციელებისათვის, თუ ასეთს კანონი ითვალისწინებს. ქმდება, რომელმაც გამოიწვია სხვა შედეგი, ვიდრე ის, რომელიც პირის განზრახვით იყო მოცემული, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც პირის მიერ ნასურვები დანაშაულის მცდელობა და ფაქტიურად განხორციელებული გაუფრთხილებელი დანაშაული. მაგალითად, სხვისი სახლის გადანვის განხორციელებელი ცდა, თუ ამ დროს შემთხვევით სახლში მყოფმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, დაკვალიფიცირდება, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში სხვისი ქონების განდგურების მცდელობა (სსკ-ის 157-ე მუხლის II ნაწ.) და სხეულის გაუფრთხილებლობით მძიმე დაზიანება (სსკ-ის 114-ე მუხლი).

როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შედეგის სიმძიმეზეა დამოკიდებული, პირი, რომელიც ცდება შედეგში პასუხს აგებს განზრახვის მიმართულების მიხედვით: სუბიექტის მიერ გათვალისწინებულზე უფრო მძიმე შედეგის დადგომა (მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანება, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი), თუ ამ უკანასკნელის მიმართ მას განზრახვა არ ჰქონდა, ვერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას განზრახვი მკვლელობისათვის. თუ უფრო მძიმე შედეგი გამოწვეული იყო გაუფრთხილებელი ბრალის ფორმით, მაშინ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ძირითადი შედეგის განზრახ განხორციელებისათვის, ან განხორციელების მცდელობისათვის (სხეულის მძიმე დაზიანება) და უფრო მძიმე შედეგის გაუფრთხილებლობით განხორციელებისათვის (დაზარალებულის სიკვდილი).

მიზნობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის დროს დამნაშავეს არასწორად აქვს წარმოდგენილი საკუთარ მოქმედებისა და დამდგარი საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. ასეთი შეცდომა საზოგადოდ არ გამორიცხავს ჩადენილი ქმედების განზრახ ხასიათს, რამდენადაც ამ შემთხვევაში სუბიექტი ითვალისწინებს როგორც იმ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც დანაშაულის ობიექტურ მხარეს განეკუთვნებიან, ასევე დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას მიზნობრივი კავშირის განსაზღვრული მიმართულებით განვითარების კვალობაზე. მაგრამ იგი გამორიცხავს დანაშაულებრივი რეზულტატის შერაცხვას დამთავრებული განზრახვი დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში სხვაობა მიზნობრივი კავშირის ნამდვილ და ნაგულისხმევ განვითარებას შორის იმდენად დიდია, რომ იგი სცილდება მიზნობრივი კავშირის განვითარების გათვალისწინების შესაძლებლობის ფარგლებს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება დანაშაულის მცდელობისათვის. მაგალითად, ვინმე მოკვლის განზრახვით ესვრის თავის მტერს და ფეხში მსუბუქად დაჭრის, ეს უკანასკნელი კი ოპერაციის დროს ასფიქსიით გარდაიცვლება. მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც მკვლელობის დამთავრებული დანაშაული, არამედ როგორც მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან დამნაშავის განზრახვა უნდა მოიცავდეს მოქმედებასა და ნასურვებ შედეგს შორის მიზნობრივი კავშირის განვითარების ძირითად რგოლებს და, რამდენედც იგი არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ასფიქსიის ჩართვას და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი, ამდენად მან პასუხი უნდა აგოს არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მკვლელობის მცდელობისათვის.

მიზნობრიობაში შეცდომის ერთ-ერთი სახესხვაობაა ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე მოქმედებს განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ ეს შედეგი დგება არა როგორც ამ მოქმედების რეზულტატი, არამედ სხვა მოქმედების გამო, რომელსაც სუბიექტი განსხვავებული ზრახვით

ჩადის. მაგალითად, ა — ს სურს ბ — ს მოკვლა და ამ განზრახვით თავში მძიმე საგანს ჩაარტყამს. ამის შემდეგ მიიჩნევს რა, რომ ბ. მკედარია, ა. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, მას წყალში გადააგდებს. სინამდვილეში ბ. კედება არა თავში ჩარტყმისაგან, რომლის გამო მან დროებით გონება დაკარგა, არამედ იგი წყალში დაიხრჩო!

ზოგიერთ კრიმინალისტს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა თითქოსდა პირის პირველი მოქმედების ფარგლებს იქით გრძელდება და ამდენად დამნაშავის ყველა მოქმედებაში არის ერთი საერთო განზრახვა — (*dolus generalis*), მოცემულ შემთხვევაში — მკვლელობის განზრახვა. პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, მართებულია თუ მსგავსი შემთხვევები განიხილება, მიზეზობრიობაში შეცდომის წესისაგან. დამნაშავე ზოგად ხაზებშიც კი ვერ ითვალისწინებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებას. მიზეზობრივი კავშირის შესაძლებელი განვითარების გათვალისწინება სრულიად არ ემთხვევა ასეთ შემთხვევაში მის ნამდვილ განვითარებას. ამიტომ პირველად ჩადენილი დანაშაული განხილული უნდა იქნეს როგორც შესაბამისი განზრახვი დანაშაულის მცდელობა, ხოლო მომდევნო მოქმედებები, კონკრეტული გარემოებების მიხედვით — როგორც რეზულტატის გაუფრთხილებლობით ან შემთხვევით გამოწვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს სრული რწმენა არა აქვს, რომ დანაშაულებრივი რეზულტატი უკვე განხორციელდა და მიუხედავად ამისა, დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადის მეორე მოქმედებას — არ იქნება შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და მთლიანად მოქმედება განიხილება როგორც ერთი განზრახვი დანაშაული!

ზოგჯერ შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში გამორიცხავს განზრახვას, მაგრამ ასაბუთებს პასუხისმგებლობას შედეგის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის, თუ სუბიექტი ვალდებული იყო და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა მიზეზობრივი კავშირის ნამდვილი განვითარება. მაგალითად, მძლოლი გზის მოსახვევში მძაფრად ამუხრუჭებს მანქანას,

1 Курс советского уголовного права. т. 2. М., 1970, стр. 341.

დატრიალების შედეგად მანქანა გადაბრუნდა და მგზავრებმა სხეულის დაზიანება მიიღეს. მოცემულ მაგალითში დამნაშავემ არ გაითვალისწინა მისი მოქმედების შედეგი, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა მიზეზობრივი კავშირის განვითარების ხასიათი.¹

შეცდომა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში გულისხმობს მცდარ წარმოდგენას ამ გარემოებების არარსებობის ან პირიქით, არსებობის შესახებ. პასუხისმგებობა ამ შემთხვევაში განისზღვრება განზრახვის შინაარსის მიხედვით: თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ ქმედება ჩადენილია დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, მაშინ პასუხისმგებლობა დადგება მოცემული დანაშაულის მარტივი შემადგენლობის მიხედვით. მაგალითად, თუ პირმა დანამდვილებით არ იცის თავისი მსხვერპლის ორსულობის შესახებ, იგი პასუხს ვერ აგებს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით. და პირიქით, თუ დამნაშავე დარწმუნებულია დამამძიმებელი გარემოების არსებობაში, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნას, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულის მცდელობა.

¹ Уголовное право. Общая часть. Учебник. М., 1994, стр. 195.

თავი IX საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებაი

საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებთან სისხლის სამართალს მხოლოდ ისეთი აინტერესებს, რომელიც გარეგნული ნიშნებით ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ემთხვევა და კანონმდებლის მიერ მისი მართლზომიერად გამოცხადება რომ არა, იგი შეიძლება დასჯადი გამხდარიყო.

საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ სამს ითვალისწინებს: აუცილებელ მოგერიებას (მუხ.15), უკიდურეს აუცილებლობას (მუხ.16), ბრძანების ან სხვა მოვალეობის შესრულებას (მუხ.16').

სისხლის სამართლის თეორია ამ გარემოებათა ჯგუფს უფრო ფართოდ სახავს. იგი ამ გარემოებებს, გარდა აღნიშნულისა, აკუთვნებს დამნაშავეის შეპყრობას, დაზარალებულის თანხმობას. პროფესიული ფუნქციების შესრულებას, კანონის აღსრულებას, მართლზომიერ რისკს, საკუთარი უფლების განსორციელებას.

ამ გარემოებათა წრის განსაზღვრაში კრიმინალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. მაგალითად, პროფ. ა. ტრაინინი წინააღმდეგი იყო აღნიშნულ გარემოებათა რიცხვს მიკუთვნებოდა „კანონის აღსრულება“. მისი აზრით, მაშინ როდესაც სინამდვილეში შეიძლება დასჯადი კანონის შეუსრულებლობაა, კანონის აღსრულების დაუსჯელობის აღიარება თეორიულად უსწორო და პოლიტიკურად მავნეა; კანონით აღიარებული სასარგებლო და აუცილებელი მოქმედების შესრულებამ არ შეიძლება წამოჭრას საკითხი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ¹.

არსებითად ამავე აზრის იყო ი. სლუცკი².

ა. ტრაინინი წინააღმდეგი იყო აგრეთვე აღნიშნულ

1 А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления. М., 1957, с. 332.

2 И. И. Слуцкий. Обстоятельства исключяющие уголовную ответственность, Л., 1956, с. 81.

გარემოებებში ბრძანების შესრულების შეტანისაც. სადაც ლაპარაკია კანონიერი ბრძანების შესრულებაზე, წერდა იგი, მისი შესრულება წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლოს, ამიტომ იგი არავითარ კავშირში არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებთან. ა. ტრაინინს არ შეაქვს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა რიცხვში პროფესიული ფუნქციის შესრულებაც, ვინაიდან ზოგადად პროფესიული ფუნქციის შესრულების აღიარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად უმართებულოა და ამისი საფუძველი თვით პროფესიული ფუნქციის შესრულებაში ძევს. არ შეიძლება აკრძალული იყოს ის, რაც ნებადართულია სახელმწიფოს მიერ!

არსებითად ასეთივე შეხედულებისა იყო ნ. დურმანოვიც².

აუცილებელი მოგერიება. საქართველოს სსკ მე-15 მუხლის თანახმად, დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც, თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი საქართველოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით.

ამრიგად, აუცილებელი მოგერიების არსებით მხარედ გვევლინება მომგერიებლის უფლება დაიცვას კანონში მითითებული სამართლებრივი ინტერესები თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების გზით.

ზიანის მიყენება, რომელიც სხვა შემთხვევაში დანაშაულს წარმოადგენს, აუცილებელი მოგერიების ვითარებაში გამორიცხავს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და დასჯადობას.

ეს ინსტიტუტი ემსახურება მართლწესრიგის განმტკიცებას, რადგან დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს.

¹ ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ, გვ. 335.

² Н. Д. Дурманов Непонятие преступления. М., 1947, стр. 205.

საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა სახელმწიფოს ფუნქციაა. მაგრამ, რაც უნდა კარგად მუშაობდნენ სახელმწიფო ორგანოები, მათ არ შეუძლიათ დანაშაულთან ბრძოლის ამოცანა წარმატებით გადაჭრან თუ მოქალაქეს საშუალება არ ექნება გამოიჩინოს თავისობა ამ საქმეში.

კანონი აძლევს მოქალაქეს ასეთი თავისობის უფლებას. ამ უფლების გარეშე მოქალაქეთა ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ ქმედითი ხასიათი დაეკარგებოდა, დამნაშავეს გაუადვილებოდა დანაშაულის ჩადენა, მოქალაქე კი დამნაშავეს წინაშე განიარაღებული აღმოჩნდებოდა.

აუცილებელი მოგერიების უფლებას აქვს ზოგადპრევენციული მნიშვნელობაც. იმის აღიარება კანონმდებლობის მიერ, რომ მოქალაქეს მოგერიების პირობებში უფლება აქვს თავდაშეხმელს ზიანი მიაყენოს, მოტივაციურ ზემოქმედებას ახდენს დამნაშავეზე, ანიშნებს მას უშუალო წინააღმდეგობის რიდით ძალადობისაგან თავი შეიკავოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების დაუსჯელობის საფუძველი დანაშაულის მატერიალური ნიშნის საზოგადოებრივი საშიშროების უქონლობაშია, რაც თავის მხრივ აუცილებელი მოგერიების საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათით არის განპირობებული.

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტს სარგებლობა მოაქვს მართლწესრიგისათვისაც.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ აუცილებელი მოგერიება მოქალაქის უფლებაა და არა სამართლებრივი მოვალეობა. ამავე დროს, აუცილებელი მოგერიება მოქალაქეს ზნეობრივ ვალად ერიცხება და მისი განუხორციელებლობა ზნეობრივ გაკიცხვას იმსახურებს.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც აუცილებელი მოგერიების უფლებას იყენებს ის, ვისაც ამა თუ იმ ობიექტის დაცვის სამართლებრივი მოვალეობა სამსახურებრივი მდგომარეობით აწევს (მაგ. პოლიციელი, გუშაგი და ა.შ.).

სპეციალურ სუბიექტებს აწევთ სამართლებრივი მოვალეობა, დაიცვან ესა თუ ის ინტერესი და ამისათვის საუწყებო წესდებით

მათ, გარკვეულ ვითარებაში უფლება ეძლევათ თავდამსხმელს ზიანიც კი მიაყენონ. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის!

ამავე დროს, სპეციალურ სუბიექტს სამსახურგარეშე მდგომარეობაში ყველა სხვა მოქალაქესავე შეუძლია დაიცვას თავისი თავი, ანდა სხვა სამართლებრივი სიკეთე აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებით.

აუცილებელი მოგერიება გვევლინება საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებად, თუკი დაცულია აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები. როგორც წესი, ამ პირობებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ადგენს. ზოგიერთი ასეთი პირობა პირდაპირაა კანონშივე მითითებული, ზოგი კი გამომდინარეობს კანონიდან და მას თეორია და სასამართლო პრაქტიკა აზუსტებს. ეს პირობებია: 1) აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნისა და შეწყვეტის პირობები და 2) თავდასხმისაგან სამართლებრივი ინტერესის დაცვის მართლზომიერების პირობები?

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების უფლებას სამართლით დაცული ობიექტის ყოველგვარი ხელყოფა არ წარმოშობს. ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა თავდასხმა საზოგადოებრივად საშიშია. მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას აუცილებელ მოგერიებად მიაჩნია სამართლებრივი უფლების დაცვა მხოლოდ „საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან“ (მუხ.15).

საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. საკითხავია, შეიძლება თუ არა აუცილებელი მოგერიების ვითარება წარმოიშვას მაშინ, როცა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა სამართლით დაცულ ობიექტს უმოქმედობით ეშუქრება? იურისტების დიდი უმრავლესობა ამ

1 Н. Н. Паше-Озерский. *Обстоятельства, исключаящие ответственность по советскому уголовному праву*. М., 1961, с. 13.

2 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ. 46.

საკითხზე უარყოფით პასუხს იძლევა!

ამ დებულების მომხრეები თავიანთ შეხედულებას სხვადასხვაგვარად ასაბუთებენ. ერთ-ერთ არგუმენტად მათ სასამართლო პრაქტიკის არარსებობა მიაჩნიათ².

მწვლია ვამტკიცოთ, ვითომ სასამართლო პრაქტიკა პირნმინდად უარყოფდეს უმოქმედობის დროს აუცილებელი მოგერიების შესაძლებლობას. ამ დებულების დასამტკიცებლად საჭიროა მთელი სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, როგორც გამოქვეყნებულისა, ასევე გამოუქვეყნებელისაც. კიდევ, რომ შევძლოთ იმის მტკიცება, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ ვხვდებით უმოქმედობის დროს აუცილებელი მოგერიების შემთხვევებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამგვარი შემთხვევები სინამდვილეში არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.³

ამრიგად, სამართლის იმ თეორეტიკოსების არგუმენტები, რომლებიც საზოგადოებრივად საშიში უმოქმედობის ვითარებაში აუცილებელ მოგერიებას უარყოფენ, ნაკლებად დამაჯერებელია.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უმოქმედობა შეიძლება საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიზეზი იყოს, მაშინ ამ მიზეზის აცილებით, შეიძლება საზოგადოებრივად საშიში შედეგიც აღიკვეთოს, ხოლო თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა ჰქონდეს მოქალაქეს უფლება დაიცვას საზოგადოების ინტერესები აუცილებელი მოგერიების ნესით ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც

! В. Ф. Кириченко. Основные вопросы учения о необходимой обороне в советском уголовном праве. М.-Л., 1948, стр. 18; М. И. Шаргородский. Вопросы общей части уголовного права. ЛГУ 1955, с. 37; Э. Немировекный. Основные начала уголовного права. Одесса. 1917, с. 465 და სხვა.

2 Б. პაპუოზერსკი, დასახ. ნაშრ., გვ 34; И. С. Тишкевич. Условия и пределы необходимой обороны. М., 1969, с. 11-12.

3 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ 49. უმოქმედობით განხორციელებული თავდასხმის შესაძლებლობას აღიარებენ სხვა კრიმინალისტებიც: И. И. Слуцкий. Необходимая оборона и крайняя необходимость в советском уголовном праве. "Ученые записки ЛГУ". 1951. №129, с. 192; Э. И. Вышинская. Некоторые вопросы необходимой обороны по советскому законодательству. Ученые записки ВЮИОН. М., 1963. Вып. 16, с. 81; გერმანელი კრიმინალისტი Walter Orshekowsky. Die Rechtfertigungsgründe im Strafrecht der Demokratischen Republik. Berlin. 1951. s. 17; Советское уголовное право. Общая часть. М., 1981, с. 209.

უმოქმედობით წარმოიშვა. აუცილებელი მოგერიების აკრძალვა ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად გაუმართლებელია და სრულიად არ გამომდინარეობს ამ ინსტიტუტის ბუნებიდან.

გარკვეული აქტიური მოქმედების საგანგებო სამართლებრივი მოვალეობის გარეშე უმოქმედობა აუცილებელი მოგერიების ვითარებას არ ქმნის, თუნდაც უმოქმედოდ მყოფის იძულებას შეეძლო ეს სამართლებრივი სიკეთე გადაერჩინა¹.

აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნის პირობაა ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროება.

მაგრამ საკმარისია თუ არა ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროების ნებისმიერი ხარისხი, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარება წარმოიქმნას?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, თითქოს აუცილებელი მოგერიების ვითარება ადმინისტრაციული გადაცდომითაც წარმოიქმნებოდეს². ამას ვერ გავიზიარებთ. ყოველგვარი, აშკარად უმნიშვნელო ხელყოფა აუცილებელი მოგერიების საკმაო საფუძვლად რომ ჩაითვალოს, ეს თვითნებობისა და მრავალი სხვა დანაშაულის გამართლებამდე მიგვიყვანდა³.

აუცილებელი მოგერიების უფლებას არც ისეთი მოქმედება ქმნის, რომელიც თუმცაღა ხელჰყოფს სხვის ინტერესებს, მაგრამ ჩადენილია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებში. აუცილებელი მოგერიების უფლება არ შეიძლება წარმოიშვას აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების, დაზღაურების შეპყრობის დროს და ა. შ. ეს დებულება სისხლის სამართლის თეორიაში არავითარ დავას არ იწვევს და მას სასამარ-

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

2 Н. Д. Дурманов *Обстоятельства, исключаящие общественную опасность и противоправность деяния*. М., 1961, стр. 12.

3 Советское уголовное право. Ч. общая, М., 1981, с. 208; Советское уголовное право. Ч. общая, М., 1982, стр. 176; თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

თლო პრაქტიკაც იზიარებს. მაგრამ თუ იმან, ვინც ამგვარ ვითარებაში მოქმედებს, დაარღვია ქმედების მართლზომიერების პირობები, მაშინ ხელყოფა საზოგადოებრივად საშიშია და შეიძლება აუცილებელი მოგერიების ვითარებაც წარმოიშვას, თუ მართლზომიერების პირობებს არღვევს თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი ფუნქციის შესრულების დროს.

სისხლის სამართლის თეორია თუმცა ერთგვარი შეზღუდვით, მაგრამ მაინც აღიარებს აუცილებელი მოგერიების უფლებას თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ¹. ა. ტრაინინს მიაჩნია, რომ კანონი ვერ მისცემს მოქალაქეს უფლებას არსებითად შეაფასოს ხელისუფლების წარმომადგენლის განკარგულება; ერთადერთი პირობა ხელისუფლების განკარგულების აუცილებელი შესრულებისა მისი ფორმალური კანონიერებაა². ნ. პაშე-ოზერსკი ცდილობს თავისებურად გადაჭრას ეს საკითხი. მისი თქმით, აუცილებელი მოგერიების დაშვება თანამდებობის პირის აშკარად დანაშაულებრივი და აგრეთვე ფორმალურად უკანონო მოქმედების მიმართ აუცილებელი მოგერიების თვით არსიდან გამომდინარეობს; მაგრამ, როდესაც თანამდებობის პირი, არსებითად უკანონოდ, მაგრამ ფორმალურად კანონიერად მოქმედებს, აუცილებელი მოგერიება დაუშვებელია.³

თ. შავგულიძეს მიაჩნია, რომ შეზღუდვა სპეციალური პირობებით აუცილებელი მოგერიებისა თანამდებობის პირის მოქმედების მიმართ, არ გამომდინარეობს თვით აუცილებელი მოგერიების ბუნებიდანაც, რადგან, როგორც ნესი, როცა გადასაწყვეტია

1 И. И. Слущкий. Обстоятельства, исключают уголовную ответственность. Л. 1966. с. 252: ვ. კორიჭენკო, დასახ. ნაშრ, გვ. 1 და სხვა.

2 А. Н. Трайнин. Уголовное право. Ч. общая, М., 1929, 672; В. Долопчиев. О праве необходимой обороны. Юридический Вестник. 1974, №11-13, с.19; Кистяковский. Элементарный учебник уголовного права. 1882, с. 416.

3 ნ. პაშე-ოზერსკი, დასახ. ნაშრ, გვ. 43.

აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების საკითხი, განმსაზღვრელია საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და არა ხელყოფის სუბიექტის თავისებურება¹. ამავე აზრის არიან სხვა ავტორებიც.²

არსებითად ეს სწორი შეხედულება, მცირე დაზუსტებას მოითხოვს. თუ კანონი საგანგებოდ ადგენს წესებს თანამდებობის პირის არამართლზომიერი მოქმედებით შეღავათი-ინტერესების აღსადგენად, მაშინ, რა თქმა უნდა, აუცილებელი მოგერიების ვითარება არ წარმოიშობა, რადგან კანონიერი ინტერესების დასაცავად არ არის აუცილებელი თანამდებობის პირისათვის ზიანის მიყენება.

კანონმდებელს მიაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარების შექმნისათვის საკმარისია ხელყოფა საზოგადოებრივად საშიში იყოს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარება შეიძლება არააბრალეულშნ, მაგრამ საზოგადოებრივად საშიშმა მოქმედებამაც გამოიწვიოს³.

ამ შეხედულებას არ იზიარებს ი. სლუცკი. მისი აზრით მოგერიება დასაშვებია მხოლოდ დანაშაულებრივი ხელყოფის მიმართ.

მაგრამ ი. სლუცკის მიხედვით შეურაცხის თავდასხმის მოგერიება აუცილებელ მოგერიებად მხოლოდ მაშინ განიხილება, თუ მომგერიებელმა თავდამსხმელის შეურაცხაობა არ იცოდა⁴.

საკითხის ამგვარი დაყენება არ გამომდინარეობს აუცილებელი მოგერიების არსიდან.

თავდამსხმელის მოქმედების ხასიათი არ იცვლება იმისდა მიხედვით, მას მომგერიებელი ჯანმრთელად მიაჩნია თუ სულით ავადმყოფად. მომგერიებლის შეცდომამ თავდამსხმელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არ შეიძლება არამართლზომიერი მოქმედება მართლზომიერად აქციოს⁵.

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ., გვ. 61

2 ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 13. Курс советского уголовного права. ч. общая. Л., 1968. стр. 169.

3 Курс Советского уголовного права Часть общая, т. II 1970. стр. 356.

4 ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

სადავოა ი. სლუცკის მიერ შემოთავაზებული კვალიფიკაციაც, როცა მომგერიებელმა იცოდა თავდამსხმელის შეურაცხაობა, მაგრამ მაინც ზიანი მიაყენა მას. ი. სლუცკის აზრით, ასეთი შემთხვევები უკიდურეს აუცილებლობად უნდა განვიხილოთ. ან-ალოგიური აზრისაა ი. ტიშკევიჩიც!

ეს მოსაზრება სამართლიანად გააკრიტიკეს სისხლის სამართლის თეორეტიკოსებმა.

გამოდის, თუკი მოქალაქემ იცის, რომ თავდამსხმელი დაავადებულია, იგი ვერ დაიცავს თავის სიცოცხლეს, რადგან უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების სავალდებულო პირობას ის წარმოადგენს, რომ გადარჩენილი სიკეთე უფრო ღირებული უნდა იყოს, ვიდრე დაზიანებული². ამ შეხედულების სასარგებლოდ ნ. დურმანოვი კიდევ ერთ მოსაზრებას დასძენს. შეურაცხისათვის ზიანის მიყენება არ შეიძლება უკიდურეს აუცილებლობად განვიხილოთ, ვინაიდან აქ უკიდურესი აუცილებლობის კიდევ ერთი სავალდებულო პირობა გვაკლია: ზიანის მიყენება მესამე პირისათვის და არა საფრთხის უშუალო წყაროსათვის.³

აუცილებელი მოგერიება სასჯელი, ანდა თვითგანწორება როდია. იგი მხოლოდ სამართლებრივი ინტერესების დაცვის საშუალებაა. ამიტომ ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების მართლზომიერება ხელყოფის ობიექტური საშიშროებით განისაზღვრება და არა ხელმყოფის სუბიექტური მდგომარეობით⁴.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გარკვეული ადგილი ეთმობა საკითხს, შეიძლება თუ არა აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება ცხოველის თავდასხმის ვიზარებაში. ამ საკითხის გამო, როგორც წესი, ორ შემთხვევას განასხვავებენ: 1) ცხოველი თავს ესხმის სამართლით დაცულ ობიექტს ადამიანის

1 И. С. Тишечвич. - Условья и пределы необходимой обороны. Минск 1968 с 18.

2 - რეკლამის ა. ტიშკევიჩის მიხედვით, სადავოა.

3 ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ, გვ. 13.

4 თ. შავჭულაძე, ლ. სერგულაძე, დასახ. ნაშრ, გვ. 70.

ჩარევის გარეშე და 2) ადამიანი იყენებს ცხოველს თავდასხმის იარაღად.

პირველი შემთხვევა საზოგადოდ უკადურესი აუცილებლობის ვითარებად განიხილება, ვინაიდან ცხოველისათვის ვნების მიყენებით ფაქტობრივად ქონებრივ ზიანს იმას ვაყენებთ, ვინც საფრთხის უშუალო წყარო არ არის. ხოლო თუ ცხოველი გამოყენებულია იარაღად ადამიანის მიერ, მაშინ საფრთხე იქმნება ადამიანის მხრიდან, ვინაიდან თავდამსხმელი ცხოველი კი არ არის, არამედ ის, ვინც მას იარაღად იყენებს. ამის კვალობაზე, როდესაც ადამიანი იყენებს იარაღად სხვის ცხოველს, თავდაცვა მოგერიების აქტად უნდა განვიხილოთ, თანაც თუ სხვისი ქონება (ცხოველი) დაზიანდა და საქმე ზარალის ანაზღაურებაზე მიდგა, სამოქალაქო სამართლის წესით პასუხი უნდა აგოს არა იმან, ვინც აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ცხოველი მოკლა ან დააშავა, არამედ იმან, ვინც სხვისი ქონება დანაშაულის ჩადენის იარაღად გამოიყენა¹.

აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის იმნუთიერობაა. კანონში ამ მომენტზე პირდაპირ მითითებას ვერ ვხვდებით, მაგრამ იგი აუცილებელი მოგერიების ცნებიდან გამომდინარეობს. იმნუთიერობა, საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის დაწყებისა და დამთავრების მომენტით განისაზღვრება.

ხელყოფის სანყისი დროის ზუსტი დადგენის სირთულე აიძულებს სისხლის სამართლის თეორეტიკოსებს ისეთი კრიტერიუმი მონახონ, რომ მას აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოქმნა უკავშირდებოდეს. სისხლის სამართლის თეორიაში ცდილობენ საამისოდ დანაშაულის განვითარების სტადიები გამოიყენონ². და ეს სიკეთა არ იხეყს დაჯ. საკანონო და მხოლოდ

თ. შავგულიძის აზრით, დანაშაულის სტადიების შესახებ მოძღვრების გამოყენება ხელყოფის სანყისი მომენტის დასადგენად, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ., გვ. 73.

2 ვ. კორიჩენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

3 ი. სლუცკი, გ. ი. შ. ნაშრ., გვ. 54.

დანაშაულის სტადიებზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ხელყოფა დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა კი შეიძლება არადანაშაულებრივმა ხელყოფამაც წარმოშვას. ამასთანავე, აუცილებელი როდია ყველა დანაშაულებრივ ქმედებას სტადიები უქონდეს. მომზადება და მცდელობა გამორიცხულია გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს, მომზადება და მცდელობა არ შეიძლება არც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის დროს.

საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის დასაწყისი მომენტის საწყისის გადანყვეტისას მთავარია რეალური საფრთხე, რომელიც ხელყოფამ შექმნა, ამიტომაც იმწუთიერად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც ხელყოფით რეალური საფრთხე შეიქმნა და აუცილებელია დაუყოვნებელი მოქმედება ამ ხელყოფის მოსაგერიებლად!

აუცილებელი მოგერიების ვითარება ისპობა ხელყოფის შეწყვეტისთანავე. ხელყოფა შეიძლება შეწყდეს მომგერიებლის წინააღმდეგობის ან გარეშე პირთა ჩარევის შედეგად, ან კიდევ იმის გამო, რომ თავდამსხმელმა უარი თქვა ხელყოფაზე. თავდასხმა შეწყვეტილად ითვლება მაშინაც, როდესაც თავდამსხმელმა თავის მიზანს მიაღწია, ობიექტი უკვე განადგურებული ან დაზიანებულია, ხოლო ახალი საფრთხე მას აღარ მოეღოს.

თავდასხმის შეწყვეტის დროს, იგი იმწუთიერად აღარ ითვლება და ამით აუცილებელი მოგერიების უფლებაც ისპობა, რაკი ზიანის მიყენება ხელყოფელისათვის კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად არაფრის მაქნისია.

იმის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც თავდამსხმელს ზიანი ხელყოფის შეწყვეტის შემდეგ მიყენა, იმისდამიხედვით უნდა განიხილებოდეს, თუ რა ბრალი ედება მას ხელყოფის დამთავრების მომენტის შეუმჩნევლობაში. თუ მან არ იცოდა და არც

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80-82.

შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ხელყოფა უკვე დამთავრებულია, მაშინ მომგერიებელს ბრალი არ მიუძღვის და, მაშასადამე, არც არსებობს საფუძველი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის, ხოლო თუ მომგერიებელი ვერ ამჩნევს, რომ ხელყოფა დამთავრდა, მაგრამ მას შეეძლო და ვალდებულიც იყო შეცდომა არ მოსვლოდა, იგი პასუხს აგებს ზიანის გაუფრთხილებელი მიყენებისათვის. თუ სუბიექტმა იცის, რომ ხელყოფა შეწყდა და თავდაშსხმელს მაინც ვნებას აყენებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ზიანის განზრახ მიყენებისათვის.

სასამართლო პრაქტიკით, ზიანის მიყენება თავდაშსხმელისათვის ამკარად შეწყვეტილი ხელყოფის შემდეგ საქმის ფაქტობრივი მხარისდამიხედვით ითვლება განზრახ ზიანის მიყენებად შემამსუბუქებელ გარემოებებში ანდა უამისოდ.

ის, რომ თავდაშსხმელისათვის ზიანის მიყენებას წინ დამთავრებული საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა უძღვოდა, თავისთავად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენს!

სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა არ უკავშირებენ ხელყოფის დამთავრების მომენტს დანაშაულის იურიდიულ დამთავრებას. აუცილებელი მოგერიების დროს ხელყოფის დამთავრებულად ცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იურიდიულ წიშანს, არამედ ხელყოფის ფაქტობრივად დამთავრებას².

საკითხის სხვაგვარი გადანყვეტა აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის მიზნის საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან სამართლით დაცული ობიექტისადმი მიმართული საფრთხის შეწყვეტა ყოველთვის როდი ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობის შესრულებას.

ამრიგად, აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნა და შეწყვეტა მთლიანად დაკავშირებულია საზოგადოებრივად

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

2 ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

საშიში ხელყოფის დაწყებასა და დამთავრებასთან, ხელყოფისა, რომლის არსებობა, თავის მხრივ, განპირობებულია რეალური საფრთხის არსებობით სისხლის სამართლით დაცული ობიექტისათვის.

აუცილებელი მოგერიების ვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ხელყოფის ნამდვილობაა.

ზოგჯერ „თავდასხმა“, რომელსაც პირი „იგერიებს“ მხოლოდ მის ნარმოდგენაშია.

ასეთ „მოგერიებას“ სისხლის სამართალი მოჩვენებით მოგერიებას უწოდებს.

საკითხი მოჩვენებითი მოგერიების თაობაზე მხოლოდ მაშინ, ნამოიჭრება, თუ ასეთი მოგერიების შედეგად ვითომდა ხელყოფელს ზიანს აყენებენ.

ამრიგად, მოჩვენებითი მოგერიება მაშინ გვაქვს, როცა კაცი კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დასაცავად ვნებას აყენებს ადამიანს, რომელიც შეცდომით თავდამსხმელად ეჩვენება, თუმცა საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას ობიექტურად ადგილი არ ჰქონია. თუ სუბიექტის მოქმედებაში არ არის დადგენილი კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი, ასეთი ქმედება სასამართლომ მოჩვენებით მოგერიებად არ უნდა ჩათვალოს.

კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანმა, რომელიც მოჩვენებით მოგერიებას ახლავს, არ შეიძლება თავისდათავად მისი სარგებლობა დაასაბუთოს. მოჩვენებითი მოგერიება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნამდვილ დაცვას არ ემსახურება, ამიტომ ზიანის მიყენება მოჩვენებითი მოგერიების ვითარებაში საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა! მ. ს. ს. ს. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების უქონლობა მოჩვენებითი მოგერიების დროს განპირობებულია ფაქტიური შეცდომით. ამიტომ, მოჩვენებითი მოგერიების პასუხისმგებლობის საკითხი იმისდამიხედვით

! Уголовное право. Общая часть. Учебник. М., 1994. стр. 236-237.

წყდება მიუძღვის მას თუ არა ბრალი შექმნილი ვითარების მკდარ შეფასებაში.

შეცდომის მისატყუებელი ხასიათი მოჩვენებითი მოგერიების დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს, მაგრამ იგი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას როდი გამოორიცხავს. არაბრალეული მოჩვენებითი მოგერიება საზოგადოებრივად მაინც საშიშია.

მოჩვენებით მოგერიებას არ მიეკუთვნება შემთხვევა, როცა კაცი რეალურ საზოგადოებრივად საშიშ თავდასხმას იგერიებს, მაგრამ ის სცდება ხელყოფელის პიროვნებაში.

არ შეიძლება მოჩვენებით მოგერიებად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როცა მომგერიებელი თავს იცავს რეალური ხელყოფისაგან, ოღონდ სცდება თავდასხმის, ინტენსიობაში.

მოჩვენებითი მოგერიების ვითარებაში ზიანის მიყენების კვალიფიკაციის საკითხი იმ წესების მიხედვით უნდა გადაწყდეს, რაც ფაქტობრივი შეცდომის ბრალის ფორმაზე გავლენის გამო არსებობს.

აუცილებელი მოგერიების უფლება იმასაც აქვს, ვინც არ შეიძლება დანაშაულის სუბიექტი იყოს, სახელდობრ, არასრულწლოვანს 14 წლამდე და სულით ავადმყოფს ამათი ქმედება დანაშაულად აუცილებელი მოგერიების ვითარების გარეშეც არ განიხილება და მაინც ასეთი პირების გამოკლება აუცილებელი მოგერიების სუბიექტთა წრიდან სწორი არ იქნებოდა.

აუცილებელი მოგერიების ვითარება გამოორიცხავს არა მხოლოდ ქმედების დასჯადობას, არამედ მის საზოგადოებრივ საშიშროებასაც. ამიტომ, იმ პირის განთავისუფლება სასჯელისაგან, ვინც აუცილებელი მოგერიების უფლებას ახორციელებდა, არ უთანაბრდება სასჯელისაგან განთავისუფლებას შეურაცხაობის გამო, ვინაიდან შეურაცხის მიმართ, თუ მან საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა, შეიძლება განსაზღვრული იძულებითი ზემოქმედების გამოყენება.

თუ შეურაცხს აუცილებელი მოგერიების სუბიექტად არ ვიგულებთ, მაშინ სამართლებრივი ობიექტის დასაცავად მოქმედი

შურაცხის მიმართ დასაშვებია აუცილებელი მოგერიება, რადგან მისი თავდაცვითი მოქმედება მოკლებული იქნება მხოლოდ ბრალულობას და არა საზოგადოებრივ საშიშროებას. ასეთი დასკვნა კი გონიერებას არ ეთანხმება და სამართლიანობასაც ეწინააღმდეგება.

დასაცავი სიკეთის მიმართ სხვადასხვა პირს სხვადასხვა მოვალეობა აქვს, ზოგს ზნეობრივი, ზოგს სამართლებრივიც, რომელიც შესაბამისი პირის სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს (მაგ. პოლიციის მუშაკი, გუშაგი და ა. შ.). სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულებით ითვლება, რომ ერთნიც და მეორენიც აუცილებელი მოგერიების უფლებას ახორციელებენ, თუ თავდამსხმელს სამართლებრივი სიკეთის დაცვით ავნებენ. მაგრამ პოლიციის მუშაკის მიერ ზიანის მიყენება თავდამსხმელისათვის და სსკ-ს მე-15 მუხლში ჩამოყალიბებული აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები ერთმანეთს არ ემთხვევა. მოქალაქის აუცილებელი მოგერიების უფლებასთან შედარებით, პოლიციის მუშაკის უფლება შეზღუდულია.

ზიანის მიყენება თავდამსხმელისათვის იმ ობიექტის გადასარჩენად, რომლის დაცვაც მოქმედს სამსახურებრივ მოვალეობად ურაცხება, აუცილებელი მოგერიების აქტი კი არ არის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაა და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებას სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება წარმოადგენს, რაც სისხლის სამართლის ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოებაა, და მისი მართლზომიერების პირობები განსხვავებულია და განსხვავების წყარო სხვადასხვა სამართლებრივი აქტებია.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობები მოწინააღმდეგებულია საუწყებო წესდებებითა და ინსტრუქციებით, ხოლო აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს. პოლიციის მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის და მისიანათა მოქმედება აუცილებელი

მოგერიების აქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, როდესაც ისინი ზიანს აყენებენ ხელმყოფელს ისეთი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად, რომლის დაცვაც საერთოდ, ანდა ამგერად მათს სამსახურებრივ მოვალეობას არ შეადგენდა.

სუბიექტური მხრივ აუცილებელი მოგერიება იმით ხასიათდება, რომ მომგერიებელს აქვს კონკრეტული სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი.

ზოგიერთი კრიმინალისტი აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარის შემდეგ დამატებით მახასიათებელს — მოტივს მოითხოვს.¹

თ. შავგულიძეს ეს მოთხოვნა სადავოდ მიაჩნია. მისი აზრით აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის სრულიად საჭარისია სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზანი, და რაიმე, სხვა დამატებითი მოთხოვნის წამოყენება ზედმეტია.²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აუცილებელი მოგერიების ობიექტთა წრე მკაფიოდ არის განსაზღვრული. სსკ—ის მე—15 მუხლი აუცილებელ მოგერიებად სახავს ზიანის მიყენებას სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნების თუ უფლებების დაცვისას.³

1 ნ. პაჩე-ოზერსკი, დასახ. ნაშრ, გვ 58

2 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ, გვ 105.

3 ნასარგებლებია თ. შავგულიძის, ლ. სურგულაძის, დასახ. ნაშრ, გვ. 108

სტგანაირად ისახება აუცილებელი მოგერიების ობიექტების საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნების თანამედროვე სისხლის სამართალში. მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტის პ. იემსეის აზრით, აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც თავს ესხმომ ინდივიდუალურ უფლებებს. არ შეიძლება აუცილებელი მოგერიების გამოყენება საზოგადოებრივი ნესრიგის ან მართლნესრიგის დასაცავად. უახლეს გერმანულ ლიტერატურაში ეს აზრი ფართოდაა გავრცელებული. ი. ევზელი პირდაპირ აცხადებს, რომ აუცილებელი მოგერიების უფლებას საჭიროებს ის, ვისაც ესხმომ, ანდა სხვა პირის მატერიალური სიკეთე და სამართლით დაცული კოდედი ინტერესი. საზოგადოებრივი ნესრიგისა და მართლნესრიგის ხელყოფის მოგერიება სახელმწიფო საქმეა და ცალკეულ მოქალაქეს არ ეხება ამგერადვე ნუდობა ეს საკითხი აქტრიის სისხლის სამართალში.

საქართველოს სსკ მე-15 მუხლის თანახმად, აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებაზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სამართლებრივი ინტერესების დაცვა ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენების გზით ხდება. ამასთანავე, აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების საკითხი ყოველთვის არ შეიძლება წამოიჭრას, როცა კი დაცვა თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებით მოხდა, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავდამსხმელს ისეთი ზიანი მიაყენეს, რომელიც სხვა გარემოებაში დასჯადი იქნებოდა.

აუცილებელი მოგერიების დროს დაცვა, როგორც წესი, აქტიურია ხოლმე და გამოიხატება ძალადობით, თავდამსხმელის დაჭრით, ცემით, მისთვის თავისუფლების აღკვეთით, საერთოდ ისეთი მოქმედებით, რომელიც ერთი შეხედვით დანაშაულად მოგვეჩვენება. შეიძლება ამ ძალადობას თავდამსხმელის სიკვდილიც მოჰყვეს.

აუცილებელი მოგერიების დროს დაცვა, როგორც წესი, მოქმედებით გამოიხატება. მაგრამ გამორიცხული არ არის აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელება უმოქმედობით. ამის საილუსტრაციოდ თ. შავგულიძეს ასეთი მაგალითი მოყავს: ან—ს თავს დაესხნენ ხულიგნები და ცემა დაუწყეს, მაგრამ ან—ს მისი განვრთნილი ძალღი წამოეშველა. ან—ს შეეძლო ძალღი არ მიეშვა, მაგრამ ასე არ მოიქცა, ვინაიდან იცოდა, რომ ძალღი მას დაიცავდა. ძალღმა პატრონი კი გადაარჩინა, მაგრამ ერთერთ ხულიგანს სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა.

ძალღი რომ სხვა, უდანაშაულო ვინმეს სძგერებოდა და პაჭრონს იმ კაცის გადასარჩენად ზომები განზრახ არ მიეღო, მაშინ იგი პასუხს აგებდა ზიანის განზრახ მიყენებისათვის. მოტანილ მაგალითში კი ან—ის უმოქმედობა საზოგადოებრივად საშიში არ იყო, რამდენადაც მიზნად მას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის აცილება ჰქონდა და, მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერ აქტს წარმოადგენდა!

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115-114.

აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი საფრთხის უშუალო წყაროს ადგება და არა მესამე პირს. საქართველოს სსკ მე-15 მუხლის თანახმად, აუცილებელი მოგერიების დროს დაცვა ხორციელდება „ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენების გზით“ რა თქმა უნდა, მოხდება, რომ სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მომგერიებელი ზიანს ისეთ პირს მიაყენებს, რომელიც საფრთხის უშუალო წყარო არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შეიძლება უკიდურესი აუცილებლობის საკითხი წამოიჭრას, ანდა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი იმის მიხედვით გადანყდეს, თუ რა ბრალი მიუძღვის მომგერიებელს იმ მესამე პირისათვის ვნების მიყენებაში.

აუცილებელი მოგერიების განხორციელება მხოლოდ ადამიანის ქმედებით შეიძლება, რომელიც უშუალოდ იმნ უთიერი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის წინაღმდეგაა მიმართული. ამიტომ აუცილებელი მოგერიება არ იქნება თუკი ზიანი მიყენებულია წინასწარ მოწყობილი ავტომატური მოწყობილობით, ანდა რაიმე ფარული წინააღმდეგობით /მაგ., მავთული, რომელშიც ელექტროდენია გატარებული, თვითმსროლელი, ხაფანგი, ორმო და მისთ./.

ნ.პაშე—ოზერსკი ამგვარი დაცვითი მექანიზმებისა და დანადგარების მოწყობას დასაშვებად თვლის, თუკი დაცული იქნება გარკვეული პირობები, სახელდობრ, თუ დაცვითი მოწყობილობა ისე იქნება გაშართული, რომ ის პირი დაზიანდება, ვინც დასაცავ ობიექტს ნამდვილად ხელყოფს, სხვას კი, ვისაც დანაშაულებრივი ზრახვა არ ექნება, საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა არ ჩაუდენია—არ აწენებს. ნ.პაშე—ოზერსკი ამგვარი დანადგარების მოქმედებას აუცილებელი მოგერიების აქტად თვლის, ვინაიდან „ისინი სწორედ მაშინ მოქმედებენ, როცა ხელყოფა ხდება, ე.ი. როცა ხელყოფა უკვე დაწყებულია“ ამ შეხედულებას იზიარებს იტიშკევიჩი და სისხლის სამართლის

1981 წლის სახელმძღვანელო¹.

ამ შეხედულებას არ იზიარებენ თ.შავგულიძე და ი.სლუცკი; დაცვითი დანადგარებისა და მექანიზმების დაყენება, როგორც ეს სისხლის სამართლის თეორიაშია აღნიშნული, უკვე თავისთავადაც საზოგადოებრივად საშიშია, რადგან საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. რაც შეეხება მოთხოვნას, რომ ასეთი დანადგარები ზიანს მხოლოდ დამნაშავეს აყენებდნენ, ეს ფიქციაა. ადამიანს ჯერ არ გააჩნია ისეთი მექანიზმები ადამიანის სუბიექტური გუნება—განწყობის შეტყობა—ჩანვდომა რომ შეეძლოს, ანდა უნარი ჰქონდეს ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი გამსაზღვროს.²

აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ხელმყოფელი უპირისპირდება მოქალაქეს, რომელიც კანონისმიერ ინტერესს იცავს. თავდაშსხმელის მოქმედება მიმართულია საზოგადოებრივად საშიში შედეგის მისაღწევად, მომგერიებლისა კი პირიქით,—ამ შედეგის ასაცილებლად. ხელმყოფელი თვითონ იქმნის მდგომარეობას, რომელშიაც მისი უფლებები მომგერიებლისას უპირისპირდება.

მაგრამ უმართებულო იქნებოდა ხელმყოფელი სრულიად უუფლებოდ დაგვეტოვებინა და სამართალს მისი ბედი არაფრად მიიჩნია.

ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენების უფლება იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი აუცილებელია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის ასაცილებლად. სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენებას კანონმდებელი მართლზომიერად აცხადებს, ოღონდ, თუ არ იქნა გადაცილებული აუცილებელი მოგერიების ფარგლები.

კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ მომგერიებელს უფლება არა აქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილოს. მაშასადამე მომგერიებლის მოქმედება ერთგვარ ჩარჩოვებშია მოქცეული—არ უნდა მიაყენოს ხელმყოფელს ისეთი ზიანი,

1 ნ. პაშკოვიჩი, დასახ. ნაშრ, გვ 85; ი. ტიჩევიჩი, დასახ. ნაშრ, გვ 54; Советские уголовные право. Часть общая. М., 1981. с. 214.

2 თ. შავგულიძე, ლ. სურგულიძე, დასახ. ნაშრ, გვ 116; ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ. გვ 85.

რომელიც თავდასხმის აცილებისათვის აუცილებელი არ არის.

საქართველოს სსკ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ითვლება: „დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“.

დაცვა ხელყოფის ხასიათის და საშიშროების აშკარად შეუსაბამო მაშინ არის, როდესაც აუცილებელი მოგერიების ესა თუ ის პირობა დარღვეული, მაგრამ დაცვის თუნდაც აშკარა შეუსაბამო ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებისადმი აუცილებელი მოგერიების ფარგლების დარღვევად ყოველთვის როდი განიხილება.

კრიმინალისტიების უმრავლესობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების ერთერთ სახეობად არადროულ მოგერიება მიაჩნია.¹ მაგრამ ისეთი შეხედულებაც არის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ შეიძლება არადროულობას დაუკავშიროთ. ამ აზრს სისხლის სამართლი ბევრი თეორეტიკოსი იზიარებს.²

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ვითარებაში არადროული მოგერიების დროს არა გვაქვს თვით აუცილებელ მოგერიების ვითარება—არ არსებობს ხელყოფა. მაშასადამე არც ფარგლების გადაცილებაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

თუკი არადროულ მოგერიებას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად არა ვცნობთ, მაშინ ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს არადროულ მოგერიების შემთხვევებს?

ამ საკითხზე სისხლის სამართლის თეორიაში ერთმანეთი სანინაალმდებო შეხედულებებია გამოთქმული.

თ. შავგულიძის აზრით, არადროული მოგერიება არსებითად მოჩვენებითი მოგერიების სახესხვაობაა. ამ დროს მოგერიებელ ფაქტობრივი შეცდომა მოსდის. იგი ფიქრობს, ვითომ აუცილებელ

¹ Курс советского уголовного права. т. 2. М., 1970, с. 374; И. Тишкевич Условно и пределы необходимой обороны, М., 1969, с. 78 და სვ.ა.

² თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120. Советское уголовное право. Часть общая. Учебник. М., 1994, стр. 234.

მოგერიების კითარებაში იმყოფება, ნამდვილად კი ასეთი მდგომარეობა არ არსებობს, ან იმიტომ, რომ ხელყოფა ჯერ არ დაწყებულა /„ნაადრევი მოგერიება“/, ანდა იმიტომ, რომ უკვე დამთავრებულია /„დაგვიანებული მოგერიება“/.

საქართველოს სსკ მე-15 მუხლს, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ცნებას განმარტავს როგორც „დაცვის აშკარა შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“, მხედველობაში აქვს ის შემთხვევები, როდესაც დარღვეულია თანაფარდობა დაცვასა და ხელყოფას შორის /ენ. „არათანაზომიერი მოგერიება“/.

სისხლის სამართლის თეორიაში არათანაზომიერ მოგერიებად ითვლება არა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც თანაფარდობა ხელყოფასა და დაცვას შორის დარღვეულია ინტენსივობის მხრივ, არამედ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელმოყოფელისათვის მიყენებული ზიანი აშკარად არ შეესაბამება იმ ზიანს, რომელიც ხელყოფით იყო მოსალოდნელი, ე.ი. როდესაც დარღვეულია „ინტერესთა თანაფარდობა“

მოსალოდნელი და მიყენებული ზიანის შეუსაბამობის მაგალითად ჩვეულებრივ სახავენ ბავშვის მოკვლას, რომელიც ცდილობდა ბაღში ვაშლი მოეწყვიტა, თუ ამის აღსაკვეთად შესაკუთრეს სხვა გზა არა გააჩნდა რა.

ეს მაგალითი აღძრულ კითხვაზე პასუხს ვერ იძლევა, ვინაიდან მასში აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება კი არა არის, არამედ ხელყოფის აშკარად უმნიშვნელო საზოგადოებრივი საშიშროების გამო, თვით აუცილებელი მოგერიების უფლება არ არსებობს.

ამრიგად, ისინი, ვინც „ინტერესთა თანაფარდობის“ კრიტერიუმს აყენებენ, წამოჭრილ კითხვაზე პირდაპირ პასუხს ვერ იძლევიან. ამ შეხედულების ლოგიკურ განვითარებას შეუსაბამო დასკვნებამდე მივყავართ. საკითხავია, რა უნდა ქნას კაცმა, თუ მას, ვთქვათ, ოქროს საათს ართმევენ ან თავისუფლებას ხელყოფენ და, ამ სიკეთეთა დასაცავად სხვა გზა არ არის თავდამსხმელი მძიმედ უნდა დააშავოს? გამოდის პასუხი ერთია: უნდა დაემორჩილოს დამნაშავეს, თორემ მსჯავრდებულის სკამზე

დაჯდომა თვითონ მოუწევს!

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აუცილებელი მოგერიების თვით ბუნებას ენიანააღმდეგება. აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებისას თავდამსხმელს შეიძლება მეტი ზიანი მიადგეს, ვიდრე ის, რასაც მისი ხელყოფა მოასწავებს.

ალსანიშნავია, რომ კანონმდებელს /სსკ მე—15 მუხლი/ „ინტერესთა თანაფარდობის“ მოთხოვნა აუცილებელი მოგერიების ცნების განსაზღვრებაში არ შეაქვს. ამას კანონის ხარვეზად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან კანონმდებელი „ინტერესთა თანაფარდობის“ მოთხოვნას უკიდურესი აუცილებლობის ცნებაში ითვალისწინებს /სსკ მე—16 მუხ./

სისხლის სამართალი არ მოითხოვს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობად, რომ ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენება ერთადერთი საშუალება იყოს სამართლებრივი ინტერესების გადასარჩენად. სისხლის სამართალი არ უარყოფს აუცილებელი მოგერიების განხორციელებას, როდესაც თავის გადარჩენა სხვა გზითაც შეიძლებოდა.

სსკ მე—15 მუხლში, სადაც განსაზღვრულია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, მითითებულია, დაცვის აშკარა შეუსაბამობაზე ხელყოფის ხასიათისა და საშიშროებისადმი.

სისხლის სამართლის თეორიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, იყო თუ არა დაცვა აშკარა შეუსაბამო ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებისადმი, დაცვისა და ხელყოფის ინტენსივობის შეუსაბამობის კრიტერიუმს იყენებენ.

ხელყოფისა და მოგერიების ინტენსივობის თანაფარდობის საკითხი უნდა წყდებოდეს, ერთი მხრივ, რეალური საშიშროების მიხედვით, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი ინტერესისათვის შეიქმნა. ხოლო მეორე მხრივ, იმ ზიანის ხარისხის მიხედვით, რომლის მიყენებაც აუცილებელია სამართლებრივი ინტერესის გადასარჩენად. როდის გვაქვს კონკრეტულად აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ინტენსივობასა და მოგერიებას შორის, ეს ფაქტის

1 თ. შავჭელიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126-127. И.С. Тишкевич. *Уголовные преступления в борьбе с необходимой обороной по советскому законодательству* № 953. 54.

საკითხია და იგი წყდება ყოველ კერძო შემთხვევაში ვითარების შესატყვისად. ეს საკითხი რომ სწორად გადაიჭრას, საჭიროა იმ კონკრეტული ვითარების ზუსტი ანალიზი, რომელშიც მოგერიება ხდებოდა. მსედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ის, რაც ხელყოფასა და მოგერიებას უშუალოდ ახასიათებს, არამედ ყველა ის გარემოება, რასაც შეუძლია, პირდაპირ და არაპირდაპირ, ზემოქმედება მოახდინოს ხელმყოფელისა და მომგერიებლის ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ამ საკითხის გადანყეტისას გასათვალისწინებელია ხელყოფის ადგილი, დრო და სხვა ვითარება, მოქმედთა ასაკი, სქესი, ჯანმრთელობა, მათი ძალ-ღონე, რიცხვი, ვის რა იარაღი თუ სხვა მისთანა ქონდა და ა.შ.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მოგერიების ინტენსივობა თავდასხმის ინტენსივობის შესაბამისად მაშინ ჩაითვლება, როცა მომგერიებელი თავდამსხმელს უმცირეს შესაძლებელ ზიანს მიაყენებს, ე.ი. ისეთს, რომლის გარეშე ამ შემთხვევაში თავდასხმის მოგერიება არ შეიძლებოდა, არადა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება გვექნება.¹ მაგრამ მომგერიებელს, რომელიც ჩვეულებრივ შიშით და აღლეებით არის შეპყრობილი, ვერ მოეთხოვება ზედმინეწნილობა მოგერიების საშუალებათა არჩევაში.

სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებს კანონმდებელი, როდესაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას განსაზღვრავს დაცვის არა უბრალო, არამედ აშკარა შეუსაბამობად ხელყოფის ხასიათისა და საშიშროებისადმი. ამიტომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების საკითხი სასამართლოებმა უნდა ნამოჭრან სწორედ მაშინ, როდესაც მოგერიება ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას აშკარად არ შეესაბამება.

კაცი პასუხს აგებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების

¹ Г Мендельсон, Ю. Гкаченский. О пределах необходимой обороны. "Социалистическая законность", 1956, 7, стр.20.

გადამეტებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის ასეთი ქმედების ჩადენაში.

ამ საკითხის გამო სისხლის სამართლის თეორიაში ერთნაირი შეხედულება არ არის. ნაწილი იურისტებისა გამოთქვამს აზრს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება დანაშაულია მხოლოდ განზრახვის დროს¹. სხვების აზრით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება მხოლოდ გაუფრთხილებლობით შეიძლება.²

ზოგიერთი ავტორის აზრით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება შეიძლება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით³.

თ. შავგულიძე თვლის, რომ ის, ვინც პირდაპირი განზრახვით აჭარბებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, უნდა ითვალისწინებდეს, და კიდევ სურდეს მიაღწიოს ისეთ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვას არ ემსახურება, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, რადგან აუცილებელი მოგერიება და მისი ფარგლების გადამეტებაც მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მოქმედს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი აქვს.⁴

ამრიგად, თუ ხელმყოფელს პირდაპირი განზრახვით ისეთი ზიანი მიაყენეს, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი ობიექტის დასაცავად საჭირო არ იყო, მაშინ არც აუცილებელი მოგერიების ფარგლები იქნება გადამეტებული, რადგან თვითონ აუცილებელი მოგერიების უფლებაც აღარ არის.

სხვა ვითარებაა ევენტუალური განზრახვის დროს. მომგერიებელი, თუმცა ფიქრობს, რომ ხელმყოფელმა შეიძლება მეტი

1 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 377; В. Ткаченко. Ответственность за причинение тяжкого вреда при обороне от менее опасного посягательства. "Советская юстиция", 1970, 18, стр. 22.

2 М. Якубович. Вопросы теории и практики необходимой обороны. М., 1961, стр. 151.

3 Советское уголовное права. Ч. общая. М., 1981, стр. 216; Курс советского уголовного права. т. 1, Л., 1968, стр. 496.

4 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

ზიანი განიცადოს, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვს, მაგრამ ასეთი შედეგი არ სურს, მისი მიზანი დაცვაა, ხოლო მოგერიების შედეგს იგი ურიგდება როგორც ფაქტს, რომელიც შეიძლება მის მოქმედებას მოჰყვეს. ჩვეულებრივ ასეთ ვითარებაში მომგერიებელი ურიგდება ხელმყოფელისათვის მძიმე ზიანის მიყენებას, ოღონდაც სამართლებრივი სიკეთის დაცვა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტება ევენტუალური განზრახვით სასეებით შესაძლებელია.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტება გაუფრთხილებლობითაც შეიძლება, როცა მომგერიებელი, თუმცაღა ითვალისწინებს, რომ დაცვითმა მოქმედებამ შეიძლება ისეთი შედეგი გამოიწვიოს, რომელიც ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას აშკარად არ შეესაბამება, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს, რომ მის მოქმედებას ასეთი შედეგი არ მოჰყვება, ანდა ასეთ შედეგს სულაც არ ითვალისწინებს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა იგი.

თუ მომგერიებელი არ ითვალისწინებდა, და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ შესაძლოა მისმა მოქმედებამ ისეთი შედეგი გამოიწვიოს, რომელიც თავდასხმის მოსაგერიებლად აუცილებელი არ არის, მაშინ ბრალის არ არსებობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც არ დადგება.

საქართველოს სსკ-ის 107-ე და 114-ე მუხლები სპეციალურად ითვალისწინებენ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტების დასჯადობას, თუ მას სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა. მაგრამ აუცილებელი მოგერიების გადაცილებას შეიძლება სხვა შედეგებიც მოჰყვეს. ამიტომ სსკ-ის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი, შემამსუბუქებელ გარემოებად აღიარებს დანაშაულის ჩადენას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებით. ეს პუნქტი, სწორედ იმ შემთხვევებს შეეხება, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში¹. ყველა

¹ 6 პარაგრაფი, დასაბ. ნაშრ, გვ 121-122.

ამ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია მოხდება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ამ დანაშაულს ითვალისწინებს, ხოლო ის, რომ დანაშაული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით არის ჩადენილი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება.

სისხლის სამართლის თეორიაში სხვადასხვანაირად წყდება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მცდელობის საკითხი.

ვ.კირიჩეკოს აზრით, მომზადება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისათვის შეუძლებელია, ხოლო მცდელობა კი სრულიად შესაძლებელი.¹ ნ.პაშე-ოზერსკი ამ აზრს არ იზიარებს, იგი უარყოფს როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მომზადებას, ასევე მცდელობას.²

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისას სუბიექტი გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით მოქმედებს, ხოლო დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებელია პირდაპირი განზრახვის არსებობა. ამიტომ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მცდელობა შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.³

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლებელია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება თანამონანილეობით. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს თანამონანილეობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ნაქვებით, ასევე დახმარებითაც.⁴

თანამონანილეობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში გამონაკლისად თუ შეიძლება. თანამონანილეობა შეუძლებელია გაუფრთხილებლობით აუცილებელი მოგერიების

1 ვ. კირიჩეკო დასახ. ნაშრ., გვ. 79.

2 ნ. პაშე-ოზერსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 113-114.

3 თ. შავეგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151. В. Ткаченко. Необходимая оборона по уголовному праву М., 1979, стр. 71.

4 ვ. კირიჩეკო დასახ. ნაშრ., გვ. 80-82; ნ. პაშე-ოზერსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

ფარგლების გადამეტების დროს. ხოლო, როცა ვინმე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს განზრახ აძეტებს, ეი. პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, მაშინ მას არა აქვს დაცვის მიზანი. ამიტომ ამ დროს თანამონაწილეობა უნდა განიხილებოდეს არა თანამონაწილეობად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში, არამედ თანამონაწილეობად განზრახვი დანაშაულის ჩადენაში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება უშუალოდ მოგერიების პროცესში ხდება. ამიტომ თანამონაწილეობა წინასწარი შეთანხმებით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებაში შეუძლებელია.

ამრიგად, ნაქვებისა თუ დახმარების სახით შესაძლოა მხოლოდ წინასწარი შეთანხმების გარეშე თანამონაწილეობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში და ისიც ევენტუალური განზრახვის ვითარებაში. გასაგებია, რომ ამგვარი შემთხვევები პრაქტიკაში იშვიათად თუ შეგვხვდება.²

უკიდურესი აუცილებლობა. უკიდურესი აუცილებლობა, სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება საქართველოს ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებს, აზპირის თუ სხვა მოქალაქეთა პიროვნებას ან უფლებებს, თუ ეს საფრთხე მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცილებული ზიანი.

უკიდურესი აუცილებლობის საზოგადოებრივ საშიშროებას

2 თ. შაგულაძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

ის გამოორიცხავს, რომ მეტად ღირებული სიკეთე ნაკლებ ღირებულის ხარჯზე გადარჩა, რაკი სხვა გზით მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

აუცილებელ მოგერიებასთან შედარებით უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობა, მისი საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათის თვალსაზრისით, რამდენადმე შეზღუდულია, რადგან საფრთხის აცილება სამართლით დაცული იტერესისათვის სხვა, ასევე მართლზომიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების გზით ხდება. ამიტომაც ერთერთი იმ პირობის უქონლობა, რაც საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლით უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერებისათვის არის დადგენილი, გამოორიცხავს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას და შესაბამის ქმედებას არამართლზომიერად გადააქცევს. ეს პირობებია: მოსალოდნელი საფრთხის სხვა საშუალებებით აცილების შეუძლებლობა და შედარებით ნაკლები ზიანის მიყენება, ვიდრე ის, რაც გადარჩენილ ინტერესს აუცილებლად მოელოდა.

უშუალოდ კანონში მითითებული პირობების გარდა სისხლის სამართლის თეორია ასეთადვე მიიჩნევს: საფრთხის წყაროს ნამდვილობას და ზიანის მიყენებას მესამე პირთა ინტერესებისათვის.

სისხლის სამართალში ტრადიციულად მიღებულია ყველა ამ პირობების დაყოფა ორ ჯგუფად: უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების იმ პირობებად, რომლებიც მოსალოდნელ საფრთხეს ახასიათებენ და მართლზომიერების პირობებად, რომლებიც დაცვას ეჭებიან. ამრიგად უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების ზოგადი პირობები ასე წარმოგვიდგება: „საფრთხე“ და „საფრთხის აცილება“!

ის პირობები, რომლებიც საფრთხეს ახასიათებენ, ცალკეული გამონაკლისის გარდა, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედი პირის ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან და საფრთხის ასაცილებლად მიმართულ მის ქცევას განაპირობებენ.

1 Курс советского уголовного права. Часть общая. т. 1. М. 1966, стр. 507. Курс советского уголовного права. Часть общая. т. 2. М., 1970, стр. 382.

დასადგენია თუ როგორი უნდა იყოს საფრთხე, რომელიც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას წარმოქმნის და ქმედება, რომელიც ამ საფრთხის ასაცილებლადაა ჩადენილი.

საფრთხის წყაროს, რომელიც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას წარმოშობს, შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის მოქმედება, ბუნების სტიქიურ ძალთა მოქმედება /წყალდიდობა, მიწისძვარა, მენყერი, გრიგალი, ქარიშხალი, ზვავი, ხანძარი და ა.შ./, შინაური თუ გარეული ცხოველების თავდასხმა, საშიში მწერები და მიკროორგანიზმები, რომელთაც ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების გამონვევა შეუძლიათ, ქიმიური და ფიზიკური პროცესები, მომეტებული საფრთხის შემცველი მექანიზმები, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესები (შიმშილი, ავადმყოფობა) და სხვა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის გამომწვევი საფრთხის წყაროთა ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება ადამიანის მოქმედებამ წარმოშვას. საკითხავია, საზოგადოებრივად საშიში უნდა იყოს ეს მოქმედება თუ აუცილებელი არ არის, რომ ასეთი იყოს?

იურიდიული ლიტერატურაში ეს საკითხი ერთნაირად არ წყდება. ზოგი მას დანაშაულებრივ ქცევად ახასიათებს.¹ ზოგი კიდევ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად,² მართლსაწინააღმდეგო ქცევად.³ დაბოლოს, ზოგიც უკიდურესი აუცილებლობის ვითარების წარმოშობს საფრთხის წყაროდ ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას აღიარებს.⁴

უცხო

1 И.И. Слуцкий. Обстоятельства, исключаящие ответственность. Л., 1956, стр. 97.

2 С.А. Домакин. Крайняя необходимость по советскому уголовному праву. М., 1955, стр. 22-23.

3 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 383.

4 Н.Н. Паше-Озерский. Необходимая оборона и крайняя необходимость по советскому уголовному праву. М., 1962. с. 150-152.

სწორი არ უნდა იყოს შეხედულება, რომლის თანახმად უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხის წყაროდ ადამიანის მხოლოდ დანაშაულებრივი ქცევა მიიჩნევა. შეურაცხადის, მცირეწლოვანისა და იმ პირის საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც ფაქტობრივი შეცდომის გავლენით მოქმედებს, აგრეთვე განსახილველია საფრთხის ისეთ წყაროდ, რომელიც არსებით საშიშროებას უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ ინტერესთა დაცვა კი ამ შემთხვევაშიც, თუნდაც საამისო მოქმედება სხვის, მესამე პირთა ინტერესებს არლევდეს, დასაშვები და სასარგებლოა. ამის საილუსტრაციოდ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთი მაგალითია მოტანილი: სულით ავადმყოფმა გასართობად ტყეს ცეცხლი წაუკიდა, ტრაქტორისტმა კოლმეურნეობის ყანის გადასარჩენად უკვე დათესილი მინდორი გადახნა!

როგორც ამ შემთხვევიდან ჩანს, ადამიანის მოქმედება საფრთხის წყაროა, თუმცა იგი დანაშაულს არ წარმოადგენს.

ასევე არ არის გასაზიარებელი შეხედულება, რომელიც იმისათვის, რომ ადამიანის მოქმედება საფრთხის წყაროდ ვიცნოთ, ქმედების მართლწინააღმდეგობას მოითხოვს. საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობაზე ფართო ცნებაა, მას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს, და იგი მართლწინააღმდეგობის გარეშეც არსებობს. მართლწინააღმდეგობად საზოგადოებრივად საშიში ქმედებათა მხოლოდ ნაწილია აღიარებული, დანარჩენი ნაწილი კი სამართლებრივ მონესრიგებას არ ექვემდებარება.

გადასაჭრელი რჩება საკითხი, ადამიანის ყოველმა მოქმედებამ თუკი იგი საფრთხის წყაროა, შეიძლება უკიდურესი აუცილებლობის ვითარება წარმოქმნას, თუ საამისოდ იგი აუცილებლად საზოგადოებრივად საშიში უნდა იყოს.

უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მოქმედი პირის უფლება საზოგადოებრივი საშიშროების მომენტით არ უნდა იზღუდებოდეს; იგი მართლზომიერადვე უნდა დარჩეს იმ

1. И. А. Овсянов. К вопросу об обстоятельствах, исключаящих общественную опасность деяния в советском уголовном праве. Ашхабад, 1972, стр. 73..

შემთხვევაშიც, თუ საფრთხის წყაროს ადამიანის მოქმედება წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში არ არის. ლიტერატურაში ასეთ თვალსაზრისს იზიარებენ ნ.პაშე—ოზერსკი, ი.ფილანოვსკი, ვ.კოზაკი.¹ ამის დასტურად ასეთი მაგალითი გამოდგება: ექთანი ექიმის დანიშნულ წამალს უკეთებს ავადმყოფს ბინაზე; ავადმყოფი ამ წამლის მიმართ ალერგიული აღმოჩნდა და კომატიოზურ მდგომარეობაში ჩავარდა, სავსებით მართლზომიერი იქნება იმ პირის მოქმედება, ვინც ავადმყოფის სავადმყოფოში მისაყვანად დაუკითხავად სხვისი ავტომანქანით ისარგებლებს.²

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება თანამდებობის პირის მხოლოდ უკანონო მოქმედებამ წარმოშვას. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს თანამდებობის პირის არა მხოლოდ ამკარა დანაშაულებრივმა, არამედ ყოველმა უკანონო მოქმედებამ, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი მოქმედების მართლზომიერების ერთერთ საფუძველს საფრთხის სხვა საშუალებით თავიდან აცილების შეუძლებლობა წარმოადგენს. ამდენად, თანამდებობის პირის ყოველმა უკანონო, მათ შორის დანაშაულებრივმა მოქმედებამ არ შეიძლება წარმოქმნას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, არამედ მხოლოდ ისეთმა, რომლისაგანაც, წარმოშობილი საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო.³

აღნიშნულის ნათელსაყოფად ლიტერატურაში მოტანილია ასეთი მაგალითი: მთავარი ბუღალტერი დათხოვნის მუქარით აიძულებს მოლარეს სიყალბე ჩაიდინოს. მოლარე, თუ სიყალბეს ჩაიდენს, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებით თავს ვერ

¹ ნ. პაშე-ოზერსკი, დასახ. ნაშრ, გვ. 141-142; И.Г. Филиновский. Влияние поведения потерпевшего на ответственность субъекта преступления. "Советская юстиция", 1972. 14 стр. 14.

² თ. შაგულაძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ, გვ. 202.

³ В. Н. Козак. Вопросы теории и практики крайней необходимости. М. 1981 г. 81.

იმართლებს. თუმცა მთავარი ბუღალტრის მოქმედება ფორმითაც და არსებითადაც უკანონოა, მაგრამ მოლარის მიერ სიყალბის ჩადენა საფრთხის თავიდან აცილების უკიდურესი საშუალება არ იყო!

ადამიანის მოქმედება, როგორც საფრთხის წყარო, შეიძლება ფსიქიური ან ფიზიკური იძულებით გამოიხატოს.

ფიზიკური იძულება (*vis absoluta*), რომელიც ადამიანს გადააქცევს ბრმა იარაღად სხვის ხელში, ანდა, რომელიც საშუალებას ართმევს მას აღასრულოს თავისი სამართლებრივი მოვალეობა, განხილული უნდა იქნეს დაუძლეველი ძალის წესისამებრ, რამდენადაც ამ შემთხვევაში პირი საფრთხით კარგავს შესაძლებლობას იმოქმედოს საკუთარი შეხედულების მიხედვით.

რაც შეეხება ფსიქიკურ იძულებას /*vis compulsiva*/, ავტორთა დიდი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეს შემთხვევა უკიდურესი აუცილებლობის წესისამებრ უნდა გადაიჭრას, ე.ი. ადამიანი, რომელიც ფსიქიკური იძულების ზეგავლენით დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მისი მოქმედება უკიდურესი აუცილებლობისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს შეიცავს, სახელდობრ, თუ საფრთხეში მყოფი სიკეთის გადარჩენის სხვა საშუალება არ არსებობდა და გადარჩენილი სიკეთე დაღუპულ სიკეთეზე მეტი ღირებულებისა იყო. ამასთან, საფრთხის მექარა ნამდვილი უნდა იყოს, ე.ი. მისი დაუყოვნებლივ აღსრულების რეალური საშიშროება უნდა არსებობდეს.

თავის დროზე ამ შეხედულებას მხოლოდ ა. ტრაინინი არ ეთანხმებოდა. მისი აზრით, თუ პირი ბანდიტებს გადასცემს მისთვის ჩაბარებულ ქონებას სიკვდილის მუქარის გავლენით, იგი თავდამსხმელის ნების ბრმა შემსრულებელია, როგორც იარაღი მის ხელში და სწორედ ამიტომ შეიძლება დადგეს საკითხი მის მიმართ სასჯელის გამოუყენებლობის თაობაზე¹. ამრიგად,

1 ს. დოშჩინი. დასახ. დასახ., ნაშრ., გვ. 261

2 ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 98 ნ. პაპუ-ოზურსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

ა. ტრანიზმა ფსიქიური იძულება დაუძლეველი ფიზიკური იძულების შემთხვევას გაუთანაბრა და ამ უკანასკნელის წესისამებრ გადაჭრა იგი. ეს კი სწორი არ არის. ფსიქიური იძულების დროს საერთოდ ადამიანის ნება თავისუფალია, კაცი არ არის მოკლებული არჩევანის შესაძლებლობას, და თუ ასეთ ვითარებაში მან მეტად ღირებული სიკეთის დაღუპვა არჩია, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. რაც შეეხება ა. ტრანიზმის მაგალითს, იგი სავესებით აკმაყოფილებს უკიდურესი აუცილებლობის მოთხოვნას, ვინაიდან მეტად ღირებული სიკეთე (სიცოცხლე) გადარჩა ნაკლებღირებულების ხარჯზე (ქონება)!

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება წარმოშვას აქტიურმა ქცევამაც—მოქმედებამ და იმის უმოქმედობამაც, ვინც ვალდებული იყო და შეეძლო კიდევაც სათანადოდ მოქმედენა.

ასევე უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს იმის წინარე მოქმედებამ, ვინც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ დროს პასუხისმგებლობის საკითხი მისი ბრალის ხასიათის კვალობაზე უნდა გადაწყდეს. კერძოდ თუ იგი თავისი მოქმედებით განზრახ უქმნის საფრთხეს რაიმე სიკეთეს, რათა შემდეგ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის მომიზეზებით, მესამე პირის ინტერესები დააზიანოს, მისი მოქმედება უკიდურესი აუცილებლობის პროვოკაციად განიხილება და იგი საერთო საფუძვლით პასუხს აგებს განზრახვი დანაშაულისათვის.

ზოგჯერ საფრთხის წყაროს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური მდგომარეობა ან პროცესები (შოშხილი, ავადმყოფობა თუ სხვ.) წარმოადგენს და ხშირად ამ გზით წარმომდგარი საფრთხის თავიდან აცილება მხოლოდ სხვა, სამართლით დაცული ინტერესის დარღვევის ფასად არის შესაძლებელი. მაგალითად, უმაღლესი სასამართლოს განჩინებაში იინ—ისა და ან—ის საქმის გამო აღინიშნა, რომ სურსათის

ქურდობა გეოლოგიური პარტიის სანჯობიდან ჩადენილი იყო მათ მიერ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ვინაიდან ტუნდრაში უსუსრათოდ დარჩენილებს, მათ შიმშილით სიკვდილი ელოდათ.¹

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება ცხოველთა თავდასხმამაც შექმნას. იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში ეს დებულება ეჭვს არ ბადებს. მიაკუთოვიჩს მოაქვს ასეთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. კოლმეურნეობის სანაშენო ბუღამ აინყვიტა და გზაზე მიმავალი ქალისაკენ გაექანა. ქალის ყვირილზე გამოეშურა მჭედელი, რომელმაც ბუღას კეტიტ ორივე წინა ფეხი გადაუმტვრია და ამით კოლმეურნეობას ზარალი მიაყენა. სასამართლომ მჭედლის მოქმედება უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში ჩადენილად მიიჩნია და გაამართლა იგი.²

ბუნების სტიქიური ძალები — წყალდიდობა, ხანძარი, გრიგალი, მინისძვრა და სხვ. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის წარმომშობ საფრთხის წყაროდ მხოლოდ მაშინ განიხილება, როდესაც ადამიანს აქვს გარკვეული მოქმედების შესაძლებლობა. ამის გარეშე მისი მოქმედება მოკლებულია მნიშვნელობას სისხლის სამართლის თვალსაზრისით და მხოლოდღა დაუძლეველი ძალა გვაქვს.

უკიდურესი აუცილებლობის აქტის მართლზომიერების ერთერთი აუცილებელი პირობა, რომელიც საფრთხეს უნდა ახასიათებდეს, ის არის, რომ იგი, არსებული და რეალური უნდა იყოს.

იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმება არსებული და რეალური საფრთხის ცნებაში, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ამ საკითხთანაა დაკავშირებული ისიც, თუ რა დროიდან წარმოშობა უფლება

1 Судебная практика Верховного суда СССР, 1945; М., 1947, вып.8 с 10-11.

2 М.И.Якубович. Учение о необходимой обороне в советском уголовном праве. М., 1957. стр. 80.

ადამიანმა საფრთხის ასაცილებლად იმოქმედოს და როდის წყდება იგი.

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ აღნიშნული უფლება წარმოიშობა მაშინ, როდესაც იქმნება უშუალო მუქარა სამართლით დაცული სიკეთის დარღვევისა. საფრთხე არსებულია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უკვე წარმოშობილია და რადროსაც სამართლით დაცულ სიკეთეს გარდაუვალი დაზიანება ან განადგურება ემუქრება, ანდა, როცა ასეთი შედეგის მოსალოდნელობა უალრესად რეალურია.¹

როგორც ცნობილია, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება ადამიანის საზოგადოებრივად საშიშმა მოქმედებამაც გამოიწვიოს. ამდენად საკითხავია ემთხვევა თუ არა საფრთხის სანყისი მომენტი დანაშაულის განვითარების სანყისს სტადიას. დანაშაულის მომზადების დროს საქმის გარემოებების მიხედვით შეიძლება ზიანის მიყენების რეალური საფრთხე წარმოიშვას.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა გაუთავებლად არ გრძელდება. განვლილი საფრთხე, ისევე როგორც მომავალი, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას ვერ გამოიწვევს. მაშასადამე, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას ვერ შექმნის საფრთხე, რომელმაც სამართლით დაცული სიკეთე უკვე დააზიანა.

რამდენადაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეიძლება ადამიანის საზოგადოებრივად საშიშმა ქცევამ გამოიწვიოს, საკითხავი გახდა დანაშაულებრივი საქმიანობის რომელ სტადიაზე შეიძლება ეს ვითარება შეწყდეს. უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც მისი დასაწყისი დანაშაულის დასაწყისს აუცილებლად არ ემთხვევა, არც შეწყვეტაა მის დასასრულთან ყოველთვის დამთხვეული.

ცნობილია, რომ დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა მარტო მაშინ, როდესაც ხელყოფის ობიექტი დაზიანებულია, არამედ ზოგჯერ მაშინაც, როდესაც ხელყოფის ობიექტს

¹ ი. სლუკო, დასახ. ნაშრ., გვ. 100. ს. დომანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33-34.

კ. ნ. ოქულოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

დაზიანების საშიშროება ემუქრება. ასეთ ვითარებაში, თუმცა დანაშაული უკვე დამთავრებულია, მაგრამ, რაკი ხელყოფილი ობიექტის გადარჩენა კვლავაც შესაძლებელია, უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაც გრძელდება. „თუ ქურდმა ხელი იგდო ქონება, მაგრამ ნივთის მფლობელს შესაძლებლობა აქვს მესამე პირთა საშარტლით დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გზით დაიბრუნოს იგი, — უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა კვლავ სახეზეა“!

მეორე პირობა, რომელიც უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხეს უნდა ახლდეს, მისი ნამდვილობა, რეალობა, საფრთხე უნდა იყოს ნამდვილი და არა მოჩვენებითი, არსებობდეს სინამდვილეში და არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. თუ საფრთხე მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაშია, საქმე მოჩვენებითს უკიდურეს აუცილებლობასთან გვექნება და მის ასაცილებლად მოქმედებაც მართლსაწინააღმდეგო იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში სუბიექტის მოქმედების შეფასება არ შეიძლება მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმს დაემყაროს. საჭიროა გაითვალისწინოთ აგრეთვე მოქმედი პირის სუბიექტური დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი. ობიექტურმა კრიტერიუმმა კი არ უნდა გამოირიცხოს მოვლენებისადმი სუბიექტური დამოკიდებულების შეფასება, არამედ პირიქით, მოიცვას იგი. საწინააღმდეგო თვალსაზრისი ობიექტურ შერაცხვამდე მიგვიყვანდა. აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი იმ ზოგადი წესის მიხედვით გადაწყდება, რომლითაც ბრალისათვის ფაქტობრივი შეცდომის მნიშვნელობა განისაზღვრება სახელდობრ, თუ პირი კეთილსინდვირად ცდებოდა საფრთხის ნამდვილობაში, ე.ი. საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ შეიტყობდა, რომ საფრთხე ნამდვილი კი არ არის, არამედ მხოლოდ მის წარმოდგენაშია, მისი შეცდომა საპატიოდ მიიჩნევა და იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ამჯერად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაქარწყლების

1 ს. ლომჯინი. დ. ა. ბ. ნ. მ. რ. გ. კ. 33.

საფუძველს, როგორც უკვე ითქვა, მისატყვებელი შეცდომა წარმოადგენს და არა უკიდურესი აუცილებლობა. ამ დროს პირის მოქმედება, სანინალმდევოდ უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში ჩადენილისა, საზოგადოებრივად სასარგებლო არ არის. ხოლო, თუ სუბიექტს შეეძლო და კიდევაც უნდა სცოდნოდა თავისი ვარაუდის მცდარობა, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, რა თქმა უნდა, თუ ამ შემთხვევაში ვნების მიყენება გაუფრთხილებლობითაც შეიძლებოდა.

კანონმდებლობა არ ზღუდავს იმათ წრეს, ვინც უფლებამოსილია საფრთხის ასაცილებლად იმოქმედოს. მაგრამ განსაზღვრულ შემთხვევაში განსაზღვრულ პირთა მოქმედება არ შეიძლება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად მივიჩნიოთ. ეს ის პირებია, რომელთაც თავისი პროფესიის, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო ევალებათ, რომ საფრთხე გადაიტანონ. ისინი, თუკი საფრთხეს გაერიდნენ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით თავს ვერ იმართლებენ—მათ მიერ საფრთხისათვის თავის არიდება თვით წარმოადგენს დანაშაულს. მაგალითად, სამხედრო მსახური ბრძოლის ველიდან გაქცევისას თავს ვერ გაიმართლებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით, ასევე მეხანძრეც, რომელსაც ხანძრის ჩაქრობა ევალება, ექიმს ეპიდემიის დროს უარს ვერ იტყვის ავადმყოფთა მკურნალობაზე იმ მოტივით, რომ მას ამით დაავადების გადადების რეალური საფრთხე ექმნება; პოლიციის მუშაკი—დამნაშავის შეპყრობისას იმ საფუძველით, რომ ამით საფრთხეს შეუქმნის თავის სიცოცხლეს. საპაერო ხომალდის მეთაური და ეკიპაჟის სხვა წევრები, როდესაც ხომალდს საფრთხე ემუქრება, უპირველეს ყოვლისა, ვალდებული არიან ყოველი ზომები მიიღონ განსაცდელში მყოფთა გადასარჩენად, საზღვაო ხომალდს კაპიტანი უკანასკნელი ტოვებს.¹ არის შემთხვევა, როცა ვინმე ნებაყოფლობით კისრულობს ვალდებულებას განსაცდელს შეებრძოლოს. მაგალითად, ვინმე

1 ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ, გვ: 34.

კისრულობს ჯგუფი უღელტეხილზე გადაატაროს, ან მდინარეზე გადაიყვინოს. ასეთი მოვალეობა კაცს შეიძლება დაეკისროს კიდევ რაიმე საზოგადოებრივი უბედურების — მიწისძვრის, წყალდიდობის, დიდი თოვლიანობის, ზეავის და მისთანათა დროს. ასეთი კაცი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით თავს ვერ იმართლებს, თუ პირადი ინტერესებისათვის ნაკისრ მოვალეობას უგულვებელყოფს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, უკიდურესი აუცილებლობის ერთერთი პირობა, რომელიც დაცვას, ე.ი. საფრთხის აცილებას ეხება, ის არის, რომ კერძოდ ამ ვითარებაში საფრთხის აცილება სხვა გზით არ შეიძლებოდა. კანონის ასეთი მოთხოვნა იმითაა განპირობებული, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე სამართლით დაცული ერთი ინტერესიდან მეორეზე, ასევე სამართლით დაცულ ინტერესზე ინაცვლებს. ამიტომ, თუ სამართლით დაცული სიკეთის გადარჩენა შესაძლებელია ისე, რომ სამართლით დაცული სხვა ინტერესი არ დაზიანდეს, მაშინ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა არ წარმოიქმნება და ჩადენილი მოქმედება განიხილება როგორც საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო.

თუ საფრთხის ასაცილებლად რამდენიმე საშუალებაა, პირს შეუძლია ისეთს დაადგეს, რომელსაც თვითონ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს. ვ. კირიჩენკოს აზრით, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, როდესაც პირი სხვადასხვა შესაძლებლობათაგან ისეთს დაადგება, რომელიც ყველაზე ნაკლებ ვნებას გამოიწვევს¹. ვ.კირიჩენკოს შეხედულების მიყოლა პრაქტიკაში უკიდურესი აუცილებლობის გაუმართლებელ შემლუდვას გამოიწვევდა. რა თქმა უნდა, თუ პირი შესაძლებელთაგან ისეთ საშუალებას შეარჩევს, რომელიც ნაკლებ ზიანს გამოიწვევს, მისი მოქმედება საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო იქნება, და პირიქით, მაგრამ უკიდურესი

¹ В.Ф. Кирриченко. Значение охищии по советскому уголовному праву. М. 1952 стр 87

აუცილებლობის ვითარებაში ჩადენილი ქმედების სამართლებრივი ბუნება ამით არ შეიცვლება, იგი ორივე შემთხვევაში საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებად დარჩება. ე.ი. აუცილებელი არაა მიყენებული ზიანი ყველაზე ნაკლები იყოს.საკმარისია თუ იგი აცილებულ ზიანზე ნაკლებმნიშვნელოვანი იქნება.ამრიგად, ასაცილებელი და მიყენებული ზიანის თანაფარდობის საკითხი გადარჩენილ და დაზიანებულ სიკეთეთა ღირებულების თანაფარდობის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

უკიდურესი აუცილებლობის საკანონმდებლო ფორმულის მიხედვით ამ მდგომარეობაში საფრთხის ასაცილებლად ჩადენილი ქმედების მართლზომიერების მეორე პირობას სწორედ გადარჩენილ და დაზიანებულ ინტერესთა თანაფარდობა განსაზღვრავს. გადარჩენილი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ის, რომელმაც ზიანი განიცადა. ეს მოთხოვნა უკიდურესი აუცილებლობის აქტის მართლზომიერების რთული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია. იგი საქმის ყველა გარემოების (გადარჩენილი და დაზიანებული ობიექტის მნიშვნელობა, მათი მოცულობა, ღირებულება, აცილებული საფრთხის ხასიათი, ინტენსივობა, მიყენებული ზიანის ხასიათი და ხარისხი, დრო, ადგილი და ა.შ.), გათვალისწინებისა და ანონ-დანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

რადგან საკითხი გადარჩენილ ინტერესს, სიკეთეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ ვისი ან რომელი ინტერესის დაცვაა ნებადართული უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში.

უკიდურესი აუცილებლობის აქტით დასაცავ ინტერესთა ნრე მეტად ფართოა. მოქმედი კანონმდებლობით ასეთია, როგორც საკუთარი, ისე სხვისი, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ინტერესები, კერძოდ კი სახელმწიფოს ინტერესები და საზოგადოებრივი ინტერესები, თვით სუბიექტის პიროვნება და სამართლებრივი სიკეთე, აგრეთვე სხვა ადამიანის პიროვნება თუ უფლებები. ამრიგად, იმ ინტერესთა სფეროში, რომელთა დაცვაც შესაძლებელია უკიდურესი აუცილებლობის აქტით, იგულისხმება მოქალაქეთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი

და ღირსება, მათი თავისუფლება, ქონებრივი უფლებები, სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოება, საგარეო უსაფრთხოება, სახელმწიფო აპარატის ნორმალური საქმიანობა, საკუთრება, საზოგადოებრივი წესრიგი, და ა.შ.

ინტერესთა თანაფარდობის შეფასებისას იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა უპირატესობას ობიექტურ კრიტერიუმს ანიჭებს, რადგან, მოქმედი პირი ყოველთვის ეცდება საკუთრივ მისთვის უფრო ღირებული სიკეთე გადაარჩინოს, თანაც თავს იმით გაიმართლებს, რომ ეს სიკეთე მისთვის გაცილებით ძვირფასია, ვიდრე სხვათა სიკეთე. მაგრამ ეს სუბიექტური კრიტერიუმის სრულ უგულებელყოფას როდი ნიშნავს. სასამართლო მასაც აუცილებლად მხედველობაში მიიღებს.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ დაუშვებელია საკუთარი სიკეთის გადარჩენა ამავე ღირებულების სხვისი სიკეთის ხარჯზე, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე, თუნდაც ეს სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყოს. თავისი სხეულის სიმრთელის გადარჩენა სხვათა სხეულებრივი სიმრთელის ხარჯზე, საკუთარი ქონების გადარჩენა სხვისი ტოლფასოვანი ქონების ხარჯზე და ა.შ.

საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვათა სიცოცხლის ხარჯზე შემოსულია იურიდიულ ლიტერატურაში „ტრაგიკული კოლიზიის“ სახელწოდებით. მართალია, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისაკენ მისწრაფება ადამიანის ქცევის უაღრესად ქმედითი სტიმულია, მაგრამ იგი გადამწყვეტსა და ყოველისმომცველ სტიმულად აღიარებული ვერ იქნება. სწორედ ამიტომ არის, რომ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას სხვისი სიცოცხლის ხარჯზე სამართალი და მორალი კიცხავს. „ტრაგიკული კოლიზია“ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

ტრაგიკული კოლიზიისაგან განასხვავებენ ისეთ შემთხვევას, როდესაც ორივეს სიცოცხლზე განსაცდელშია. მ. შარგოროდსკი წერდა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ უნდა დაისაჯოს მთამსვლელი თოქის გადაჭრისათვის, რომელზედაც მისი მთას მონყვეტილი ამხანაგი ჰკიდია და მასაც უფსკრულისაკენ ეწევა, შეკავების

შესაძლებლობა კი არ არის. და, აი, მის წინაშე წამოიჭრება დილემა—ან ორივენი უნდა დაიღუპონ, ან მხოლოდ თვითონ უნდა გადარჩეს! აქ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა კი არ ხდება სხვისი სიცოცხლის ფასად, არამედ ობიექტურად მოცემულია უღონობა გადაარჩინო სხვისი სიცოცხლე თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად. სწორედ ამის გამო ადამიანი განერიდება საფრთხის წყაროს უკვე დაზიანებული ინტერესის განირვით.²

ლიტერატურაში უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობად განიხილება ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთს ორი აუცილებელი მოვალეობა უპირისპირდება, ე.ი. როდესაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას ორი ვალდებულების კოლიზია წარმოშობს. სამართლით დაცული ინტერესების კოლიზიის ამ სახესხვაობას ჩვეულებრივ ექიმის მაგალითზე იხილავენ, როდესაც იგი ერთდროულად გამოძახებულია სასამართლოში მოწმედ ან ექსპერტად და მძიმე ავადმყოფთან გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად; ექიმში მიდის ავადმყოფთან, საზოგადოებისათვის უფრო მეტად ღირებული სიკეთის გადასარჩენად.

ამ შემთხვევებისაგან განსხვავებით, სწორი არ იქნება შეხედულება, რომლის თანახმადაც ექიმს თავის გამართლება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით მაშინაც შეუძლია, როცა ორივე ვალდებულება ერთნაირი მნიშვნელობისაა და მას ერთი ვალდებულება მხოლოდ მეორე ვალდებულების ფასად შეუძლია შეასრულოს. ეს აზრი გაბატონებულია სისხლის სამართლის თეორიაში. საკითხის ასეთ გადანყვეტას თვით შემთხვევის განსაკუთრებულობით ასაბუთებენ. მიუთითებენ, რომ წინააღმდეგ-შემთხვევაში ორივე სიკეთე დაიღუპებოდა, რითაც საზოგადოება არ არის დაინტერესებული. ეს მოხაზრება ეჭვს იწვევს. ინტერესისა და ვალდებულების კოლიზია პრაქტიკაში სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს, მაგრამ ყველა

1 М.Д. Шаргородский. Преступления против жизни и здоровья. М. 1948. стр. 243.

2 გ. ოვეზოვი, დასახ. ნაშრ, გვ. 96.

შემთხვევაში ურყევად უნდა იქნეს დაცული პრინციპი —
გადარჩენილი სიკეთის უმკეტესობისა დაზიანებულ სიკეთესთან
შედარებით. რაც გამომდინარეობს უკიდურესი აუცილებლობის
ინსტიტუტის საკანონმდებლო ფორმულიდან.

რაკი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი
ქმედების მართლზომიერების ერთ-ერთ ძირითად პირობას
გადარჩენილი სიკეთის მეტი ღირებულება წარმოადგენს,
ბუნებრივია, კითხვა, როგორ უნდა შეფასდეს იმის მოქმედება,
ვისაც სიკეთეთა შეფასებაში შეცდომა მოსდის, ე.ი. როდესაც
იგი შეცდომით ფიქრობს, რომ მის მიერ გადარჩენილი სიკეთე
დაზიანებულზე მეტი მნიშვნელობისაა?

მიყენებული და აცილებული ზიანის ზუსტი შეფასება ხშირად
ძნელია და კაცი ადვილად შეცდება. უეჭველია, რომ მცდარი
შეფასების შედეგად ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგო
იქნება, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
საკითხი ბრალის პრინციპის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა. დამნაშა-
ვის შეპყრობა ხელისუფლების სათანადო ორგანოების ფუნქციას
შეადგენს, მაგრამ ამ ორგანოების საქმიანობა სათანადო ეფექტს
ერ გამოიღებს, თუ ამ საქმეში მათ საზოგადოების წევრები არ
დაეხმარებიან.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება
შეიპყროს დამნაშავე? ადამიანის შეპყრობა მისთვის
თავისუფლების თუნდაც ხანმოკლე აღკვეთას გულისხმობს. უფრო
მეტიც, აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება დამნაშავე დააშავოს
შეპყრობის დროს? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ამგვარ უფლებას მოქალაქეს არ აძლევს.

კანონმდებლის ასეთმა პოზიციამ, ბუნებრივია, წარმოშვა
შეხედულება თითქოს აუცილებელი მოგერიება მოიცავს
მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობას. ამ აზრს გამოთქვამდა
ა. ტრაინინი. იგი სთვლიდა, რომ აუცილებელი მოგერიება მოიცავს
აგრეთვე ხელმყოფელის შესაპყრობად გამოდევნებას, სროლას,
მის გათოკვას, თავისუფლების აღკვეთას, თუმცა სპეციალურ
ლიტერატურაში მას ზოგჯერ „მართლზომიერ თვითნებობას“

უნოდებენ! იგივე აზრი აქვს გამოთქმული მიაკუბოვიჩს, რომელიც მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობას აუცილებელ მოგერიებასთან იმ საფუძველით ათანაბრებს რომ დამნაშავე, მართალია, არ ესხმის დამკავებელს, მაინც ფაქტობრივად ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობებს.²

იხსენებოდა თვის, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოებაა. თუმცა მას აუცილებელი მოგერიებისაგან იმ ნიშნით მიჯნავს, რომ დამნაშავისათვის მძიმე ზიანის მიყენება შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, თუ სახეზეა უკიდურესი აუცილებლობის პირობები.³ ამრიგად, იხსენებოდა დამნაშავის შეპყრობას ფაქტიურად უკიდურეს აუცილებლობას უთანაბრებს.

ბო — იან წლებში სისხლის სამართლის თეორიაში სულ უფრო მკვეთრად დადგა საკითხი, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოებაა და იგი ცალკე საკანონმდებლო ნორმით უნდა იყოს მოწესრიგებული.⁴

დღეს სამართლის თეორიაში გაბატონებულია აზრი, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც ცალკე უნდა

1 А. Н. Трайнин. Уголовное право. Общая часть. м., 1929, стр. 473

2 М. И. Якубович. Вопросы теории и практики необходимой обороны. м., 1961, стр. 190.

3 И. И. Слуцкий. Обстоятельства, исключают уголовную ответственность. Л. 1956, стр. 60.

4 Н. Н. Паше-Озерский. Необходимая оборона и крайняя необходимость, М., 1962; Т. Г. Шавгулидзе. Право гражданина на задержание преступника следует регламентировать законом. "Советская юстиция", 1966, 2; И. С. Тичкевич. Условия и пределы необходимой обороны. М., 1959.

მონესრიგდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობით¹.

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერებას თავისი პირობები გააჩნია და საზოგადოებრივი მნიშვნელობით აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას უთანაბრდება.

დამნაშავის შეპყრობა ვნების მიყენებით, რომელიც სხვა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა, თუ დაცულია მართლზომიერების პირობები, არა მარტო გამორიცხავს ყოველგვარ პასუხისმგებლობას, არამედ გამორიცხავს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასაც. ამ ინსტიტუტის მიზანია დაცვას მართლშაჯულების და საზოგადოებრივი ინტერესები. იგი გარკვეულნილად ხელს უწყობს მართლესრიგს და საერთოდ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებაა.

დამნაშავის შეპყრობის უფლების აღიარებას ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს. კანონმდებლის მიერ იმის გამოცხადება, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დააკავოს დამნაშავე მისთვის ზიანის მიყენებით, დამნაშავეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, უძლიერებს მას რწმენას სასჯელის გარდუვალობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შემაკავებელ მძლავრ ფაქტორად იქცევა.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დამნაშავის შეპყრობა მოქალაქის არა მხოლოდ უფლება, არამედ მორალური მოვალეობაც არის. სწორედ მორალი ავალდებულებს მოქალაქეს მიიღოს ზომები დამნაშავის შესაპყრობად, თუკი მას ამის რეალური საშუალება აქვს, მაგრამ მოქალაქეს არა აქვს ამგვარი მოქმედების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება. აქტივობა, თუ მოქალაქე დამნაშავეს არ შეიპყრობს, ამისათვის არ დგება არც სისხლისსამართლებრივი და არც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ასეთ ვითარებაში მოქალაქე შეიძლება გაიკიცხოს მორალურად და ისიც მაშინ,

¹ ეს აზრი გაიზიარა რუსეთის ფედერაციის კანონმდებელმა და კაპიტალისკერა ვითვალისწინა დამნაშავის შეპყრობა საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთ დამოუკიდებელ გარემოებად (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი).

როცა დამნაშავის შეპყრობა დიდ საფრთხესთან არ იყო დაკავშირებული. მოქალაქეს ვერ გავკიცხავთ, როცა დამნაშავის შეპყრობა საფრთხეს უქმნიდა მას.

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები შეიძლება ორ ფაქტად დავყოთ: 1. დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენებისა და შეწყვეტის პირობები, და 2. დამნაშავის შეპყრობის დროს ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობები.

იმისათვის, რომ მოქალაქე სათანადო ვითარებაში განახორციელოს ეს უფლება, საჭიროა შეიქმნას გარკვეული მდგომარეობა. ეს ვითარება წარმოიშობა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს; მოქალაქეს შეუძლია შეიპყროს მხოლოდ დამნაშავე და მას არა აქვს უფლება დააკავოს კაცი, რომელმაც დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სხვა სამართალდარღვევა, ან ამორალური საქციელი ჩაიდინა. მოქალაქეს უფლება არა აქვს დააკავოს კაცი, რომელმაც ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომელიც, მართალია, ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ არის საზოგადოებრივად საშიში და მაშასადამე, დანაშაულებრივი /სსკ მე-8 მუხ.11 ნაწ/.

შეიძლება თუ არა, რომ მოქალაქემ დააკავოს მხოლოდ დამნაშავე და უფლება არა აქვს დააკავოს შეურაცხადი ან მცირეწლოვანი, რომელმაც მძიმე ზიანი მიაყენა სხვას?

თ. შავგულიძეს მიაჩნია, რომ მოქალაქეს შეურაცხადის დაკავების უფლება უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასეთი უფლება მას არ ექნება 14 წელს მიუღწეველი პირის მიმართ, რადგან მისი მოქმედება საერთოდ არ არის სასამართლოს განსჯადი.¹ ეტკაჩენკო თვლის, რომ დამნაშავის შეპყრობისა და აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ აუცილებელი მოგერიება შეიძლება საზოგადოებრივად საშიში ქმედების წინააღმდეგ, დამნაშავის შეპყრობის უფლება კი ვერცელდება მხოლოდ დამნაშავეზე, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული. მაშასადამე, დაკავების

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162

უფლება არ ვრცელდება შეურაცხადზე¹

ეს აზრი უფრო ნათლად არის გამოხატული სისხლის სამართლის 1982 წლის სახელმძღვანელოში, რომელშიც წერია, რომ მოქალაქეს არა აქვს უფლება შეიპყროს საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი შეურაცხადი, 14 წელს მიუღწეველი და ის პირი, ვინც არაბრალულად მოქმედებდა.²

იბადება კითხვა, ყოველგვარი დანაშაულის ჩადენა წარმოშობს დამნაშაის შეპყრობის უფლებას, თუ კანონი რაიმე შეზღუდვას ადგენს?

მეცნიერთა უმრავლესობის აზრით მოქალაქეს შეუძლია შეიპყროს დამნაშავე, რომლის დანაშაული ეჭვს არ იწვევს და არავითარი შეზღუდვა არაა დაწესებული დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც დანაშაულის ზოგადმა სუბიექტმა (მოქალაქემ), ისე სპეციალურმა სუბიექტმა (თანამდებობის პირმა, სამხედრო მოსამსახურემ, პოლიციის მუშაკმა და სხვ.). იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა მოქალაქეს დააკავოს თანამდებობის პირი, სამხედრო მოსამსახურე, ან პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. სისხლის სამართლის თეორია და კანონმდებლობა არაფერს ამბობს.

თანამდებობის პირს, რასაკვირველია, რაიმე უპირატესობა კანონის დარღვევაში არა აქვს და არც შეძლება პქონდეს. ამიტომ კანონმა არ შეიძლება დანაშაულის სუბიექტით შეზღუდოს დამნაშაის შეპყრობის უფლება. თუმცა, თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს იშვიათად იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც მოქალაქეს უფლებას ანიჭებენ დააკავოს თანამდებობის პირი. ეს იმიტომ, რომ თანამდებობის პირის ვინაობა, მისი სამსახური და საცხოვრებელი ადგილი ყველასათვის

1 В. Ткаченко. Теоритические основы необходимой обороны и квалификация преступлений при превышении ее пределов. М., 1984, стр. 27

3 Советское Уголовное право. Общая часть. М., 1982, стр. 190.

ცნობილია და მისი შეპყრობის საჭიროება არც კი წამოიჭრება. თანამდებობის პირის დაკავების უფლება არ წარმოიშობა მაშინ, როდესაც იგი მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ ამეტებს თავის უფლებამოსილებას, ანდა ისე მოქმედებს, რომ მისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი არ არის აშკარა და მისი გამოვლინებისათვის საგანგებო საგამოძიებო მოქმედებაა საჭირო (გაფლანგვა, მითვისება და სხვ.).

თუკი თანამდებობის პირი ან სხვა სპეციალური სუბიექტი (სამხედრო მოსამსახურე, პოლიციის თანამშრომელი და სხვა) ისე მოქმედებს, რომ ეს საქციელი საერთოდ არ შედის მის სამსახურებრივ კომპეტენციაში (მაგალითად, სამხედრო მოსამსახურე აუტაბიურებს ქალს, პოლიციის თანამშრომელი მონინილებს ძარცვაში, თანამდებობის პირი წვეულების დროს პკლავს ერთ—ერთ სტუმარს და ა.შ.), მაშინ მოქალაქეს უფლება აქვს დააკავოს თანამდებობის პირი; სამხედრო მოსამსახურე ან პოლიციის თანამშრომელი.¹

დამნაშავის შეპყრობის უფლების წარმოშობისათვის არა აქვს მნიშვნელობა მოქმედებითაა ჩადენილი დანაშაული, თუ უმოქმედობით, ორივე შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას დამნაშავის შეპყრობის უფლება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არა გვხვდება მითითება არც იმის თაობაზე, თუ დანაშაულის ჩადენის რა მომენტიდან აღმოცენდება დამნაშავის შეპყრობის უფლება.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა დანაშაულის მომზადების სტადიიდან.² ამ შეხედულებას არ იზიარებს თ. შაკგულიძე, რომელიც თვლის, რომ დანაშაულის მომზადების, განსაკუთრებით კი მცდელობის სტადიაზე, სამართლით დაცულ ობიექტს ხშირად უშუალო და რეალური საფრთხე ემუქება.

1 თ. შაკგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164-165.

2 Ю. Н. Браунин. Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству. М. 1982, стр. 10.

ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად აუცილებელი მოგერიების ვითარება წარმოიშობა!

სისხლის სამართლის თეორიაში აუცილებელ მოგერიებასა და დამნაშავეს შეპყრობას სწორედ იმ ნიშნით მიჯნავენ, რომ რეალური საფრთხის არსებობის დროს წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების ვითარება, ხოლო დამნაშავეს შეპყრობის უფლება კი აღმოცენდება ასეთი საფრთხის შეწყვეტის შემდეგ. კი, როდესაც სამართლით დაცულ ობიექტს საფრთხე აღარ ემუქრება და დამნაშავე მიმალვას ცდილობს. მნიშვნელობა არა აქვს ხელყოფის ობიექტი უკვე განადგურდა თუ დამნაშავემ ხელი აიღო ხელყოფაზე (დაზარალებულის წინააღმდეგობის, მესამე პირის ჩარევის თუ სხვა მოსაზრების გამო). თუ დაკავებისას დამნაშავე პასიურ წინააღმდეგობას უწევს მოქალაქეს (მაგალითად, ცდილობს დაუსხლტეს, არ მიჰყვება მას, ებლაუჭება საგნებს და სხვ.), მისთვის ზიანის მიყენება დამნაშავეს შეპყრობის ნესებით განიხილება. თუ დამნაშავე მღევარისაგან თავის დაღწევის მიზნით თავს დაესხმის მას, მაშინ კვლავ აღმოცენდება აუცილებელი მოგერიების ვითარება. ასეთ ვითარებაში კი დამნაშავესათვის ზიანის მიყენება აუცილებელი მოგერიების უფლებად განიხილება, თუმცა არ არის გამოორიციხული, რომ მოგერიებასთან ერთად ფაქტობრივად დამნაშავეს შეპყრობის მიზანიც არსებობდეს.⁴ ეს ღონისძიება მიმართულია არა ფაქტობრივად არსებული ხელყოფის მოსაგერიებლოად, არამედ აღუკვეთოს დამნაშავეს მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. თუმცა არსებობს კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და დამნაშავეს დაკავებასთან, მაგრამ იგი ისე აშკარად არ არის გამოხატული, როგორც აუცილებელი მოგერიების დროს. აუცილებელი მოგერიებისას დამნაშავე აქტიურ მხარედ გვევლინება; დაკავებისას იგი პასიურია.⁵

მას შემდეგ, რაც დამნაშავესათვის ზიანის მიყენება აღარ

1. Т. Шашулидзе. Необходимая оборона. Тбилиси. 1966, стр. 138.

2. შაკველიძე ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ, გვ.

3. Краткое советского уголовного права: Часть общая т. 1, Л., 1968, стр. 504.

გამოდგება კონკრეტული სამართლებრივი ობიექტის (პიროვნება, ქონება) დასაცავად, შეიძლება ნარმოიშვას დამნაშავის შეპყრობის უფლება. მოქალაქეს უფლება აქვს შეიპყროს დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ. სისხლის სამართლის თეორეტიკოსების ერთი ნაწილი მხარს უჭერს საკითხის ასეთ გადწყვეტას. ძნელია გავამართლოთ მოქალაქის დასჯა იმისათვის, რომ მან შეიპყრო დამნაშავე არა დანაშაულის ჩადენისთანავე, არამედ რამდენიმე დღის შემდეგ. ასეთი სასჯელი მოკლებული იქნება ყოველგვარ სამართლიანობას, რადგან ობიექტურად მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა ერთნაირად სასარგებლოა მართლწესრიგისათვის იმისდა მიუხედავად დანაშაულის ჩადენისთანავე ხორციელდება იგი, თუ დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.¹

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, თითქოს დამნაშავის შეპყრობის უფლება წყდება სისხლის-სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის, გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ. ეს მოსაზრება სწორი და ლოგიკურია. დამნაშავის შეპყრობის მიზანია დამნაშავეზე მართლმსაჯულების განხორციელება. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავის გასამართლება ან გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულება არ შეიძლება. ასეთ ვითარებაში კი მოქალაქეს არ შეიძლება უფლება ჰქონდეს შეიპყროს დამნაშავე. ხოლო ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის გამოყენების საკითხს სასამართლო წყვეტს ან ხანდაზმულობის გამოყენება საერთოდ არ ხდება, მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს დააკავოს დამნაშავე.²

თავისთავად ცხადია, დამნაშავის შეპყრობის უფლება ისპობა, თუკი დამნაშავეს ამნისტია შეეფარდა.

1 თ. შაფულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

2 И. С. Тичкевич. Права граждан на задержание преступника. Минск,

1974, стр. 61; С. В. Бородин. Квалификация убийства по действующему законодательству. М. 1966.

დამნაშავის შეპყრობის მიმართ სხვადასხვა კაცს სხვადასხვა-გვარი ვალდებულება ანევს — ზოგს მორალური, ზოგსაც სამართლებრივი. მოქალაქეს მორალური ვალდებულება აქვს შეიპყროს დამნაშავე. პოლიციელს, სამხედრო მოსამსახურეს, გუშაგს და სხვა საგანგებო სუბიექტებს კი ასეთი მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება აკისრიათ. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი შეიძლება დაედოთ. და თუ დამნაშავეს საგანგებო სუბიექტი იპყრობს, მაშინ საქმე გვაქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, რომლის მართლზომიერების პირობებს უწყებრივი დებულებები, ინსტრუქციები ან სხვა საკანონმდებლო აქტები ადგენენ.

სპეციალური სუბიექტის მიერ დამნაშავის შეპყრობის სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობამ ან დამნაშავის დაკავების დადგენილი წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა თანამდებობრივი დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (საქ. სსკ 186—ე მუხ.), ან ხელისუფლების, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (საქსსკ 187—ე მუხ.), ან დაუდევრობა (საქ. სსკ 188—ე მუხ.), ან როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (საქსსკ 104—105 მუხ.) და სხვ. საგანგებო სუბიექტების მიერ დამნაშავის შეპყრობის მოვალეობის შეუსრულებლობამ ან არაჯეროვნად შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე დისციპლინური ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა.

თუ თანამდებლობის პირი დამნაშავეს იპყრობს, მაგრამ ეს მის სამსახურებრივ კომპეტენციაში არ შედის (მაგალითად, პოლიციის მუშაკი, რომელიც შეებულებაში იმყოფება ქურდს იპყრობს), მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ როგორც მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა.¹

სისხლის სამართალი არ ზღუდავს დამნაშავის შეპყრობის

¹ თ. შავჯულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171-172.

სუბიექტების წრეს მხოლოდ დაზარალებულით. დამნაშავე შეიძლება შეიპყროს ნებისმიერმა მოქალაქემ.

დამნაშავის შეპყრობა მართლზომიერია იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის მიზანია წარუდგინოს დამნაშავე მართლმსაჯულების სათანადო ორგანოებს. თუ მოქალაქე დამნაშავეს იპყრობს თვითგასწორების მიზნით, მაშინ დამნაშავის დაკავება არამართლზომიერი მოქმედებაა. ეს საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა.

დამნაშავის შეპყრობისას დაცვის ობიექტი არ ემთხვევა დანაშაულის ობიექტს, ვინაიდან დამნაშავის შეპყრობა მას შემდეგ ხდება, როცა ხელყოფის ობიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებულია, ან დამნაშავე აღარ ესხმის თავს ამ ობიექტს და ცდილობს დაუძვრეს მართლმსაჯულებას. დაცვის ობიექტად დამნაშავის შეპყრობის დროს გვევლინება მართლმსაჯულების ინტერესები და საზოგადოებრივი უშიშროება.

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა, როგორც ნესი, აქტიური მოქმედებით შეიძლება განხორციელდეს (შეოჭვა, ოთახში ან სხვა სათავსოში დამწყვდევა, სატრანსპორტო ან სხვა საშუალებების წართმევა და ა.შ.). თუმცა არ არის გამორიცხული დამნაშავის შეპყრობა უმოქმედობითაც. მაგალითად, დამნაშავე, რომელიც დაუსხლტა მართლმსაჯულებას, შემთხვევით მოხვდა უღრან ტყეში მხეცებისათვის დადგმულ ხაფანგში. მეტყვევებ ნახა ხაფანგში მომწყვდეული კაცი, შეიცნო მასში დამნაშავე და არ გაათავისუფლა იგი, რათა საშუალება მიეცა პოლიციის ორგანოებისათვის საშიში დამნაშავე შეეპყროთ!

არ ეთანხმება ამ შეხედულებას იტიშკევიჩი. იგი თვლის, რომ დამნაშავის შეპყრობა უმოქმედობით არ შეიძლება მოტანილ მაგალითში, მისი თქმით, მაინც იგულისხმება რაღაც აქტიური მოქმედება.²

ზემოთ მოტანილ მაგალითში, მართალია, მეტყვევებ „რაღაც აქტიურ მოქმედებას“ ახორციელებს (დადის, სუნთქავს, ელაპარკება დამნაშავეს), მაგრამ გასათვალისწინებელია არა „რაღაც აქტიური

1 თ. შავგულიძე ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ., გვ. 174.

2 ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

მოქმედება“, არამედ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც დამნაშავეს შესაპყრობად არის მიმართული და რომელმაც სხვა შემთხვევაში შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. მეტყვევს დამნაშავეს შესაპყრობად არავითარი აქტიური მოქმედება არ ჩაუდენია.

თუ შეპყრობისას დამნაშავე წინააღმდეგობას უწევს ან მიმალვას ცდილობს, მისი დაშავებაც არ არის გამორიცხული. დამნაშავე უპირისპირდება მართლწესრიგის დამცველ მოქალაქეს. ის თავისი მოქმედებით აყენებს თავის თავს ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი უფლებები მის შემპყრობთან შედარებით შეზღუდულია. მას აუცილებელი მოგერიების უფლება მისი შემპყრობის მიმართ არა აქვს. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, დამნაშავე არ არის უუფლებო და სამართალი გულგრილი ვერ იქნება მის მიმართ. კანონმდებელი მოქალაქეს არ აძლევს უფლებას თუგინდ შეპყრობის მიზნით მიაყენოს დამნაშავეს ნებისმიერი ზიანი. კანონმდებელი დასაშვები ზიანის მიყენების ფარგლებს ადგენს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ მოქალაქის მიერ დამნაშავეს შესაპყრობა მართლზომიერია, თუ თავისუფლების აღკვეთა მოკლე ვადით ხდება. მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთაში.¹

დამნაშავეს დაკავებისათვის დასაშვები ფარგლების გადამეტება მამინაა: 1. როდესაც მოქალაქე დამნაშავეს ისეთ ზიანს აყენებს, რომელიც არ იყო აუცილებელი მისი დაკავებისათვის (დამნაშავეს დაკავება შეიძლებოდა გაცილებით ნაკლები ზიანის მიყენებით ან ამის გარეშე) და 2. როდესაც დამნაშავესათვის მიყენებული ზიანი, მართალია, აუცილებელი იყო მისი დაკავებისათვის, მაგრამ იგი აშკარად არ შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავეს საშიშროებას.²

1 ი. ბრაუნინი, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

2 ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 88 советское уголовное право. Общая часть. М., 1981, стр. 277.

დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტების საკითხი ისმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე ზიანს აყენებს დამნაშავეს. თუ მოქალაქე ზიანს აყენებს შესაბამე პირს, ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესებს, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქის მიერ დამნაშავის დაკავების მართლზომიერ აქტად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოქალაქე ობიექტურად აღწევს დამნაშავის შეპყრობის მიზანს. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში არ დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მოქალაქის მოქმედებაში გამორიცხულია ბრალი, ანდა ეს მოქმედება ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.¹

ზოგჯერ ისეთი ვითარება იქმნება, რომ მოქალაქეს ჰგონია, ვითომ დამნაშავე შეიპყრო, სინამდვილეში კი უდანაშაულო კაცი დააკავა. ასეთ ვითარებაში დამნაშავის დაკავების დასაშვები ფარგლების დარღვევაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან რეალურად ამ კონკრეტული პირის მიმართ შეპყრობის უფლება არ აღმოცენებულა.

მოქალაქის მოქმედება „მოჩვენებითი დამნაშავის“ შეპყრობის დროს უნდა განვიხილოთ ბრალისდა მიხედვით ამ შეცდომის დაშვებაში.

თ. შავგულიძე თვლის, რომ დამნაშავის მოკვლა შეპყრობის დროს დაუშვებელია. ამგვარ მოქმედებას ვერ განვიხილავთ დამნაშავის დაკავების მართლზომიერ აქტად, ვინაიდან იგი არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. ამავე აზრისაა აღნიშნულ საკითხზე ვ. ტკაჩენკო.²

საპირისპირო შეხედულებისაა ი. ტიშკევიჩი და ი. ბაულინი, მათ დასაშვებად, მიაჩნიათ დამნაშავის მოკვლა მისი შეპყრობის დროს, ვინაიდან შეპყრობის მიზანი მხოლოდ დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა როდი არის. მათი თქმით, დამნაშავის დაკავება ემსახურება იმასაც, რომ აღუკვეთონ მას

1 თ. შავგულიძე ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ., გვ. 177.

2 თ. შავგულიძე ლ. სურგულაძე დასახ. ნაშრ., გვ. 179. ვ. ტკაჩენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

შემდგომში ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა!

დამნაშავის მოკვლა მისი შეპყრობის დროს დასაშვებია: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მდევრისაგან თავის დახსნის მიზნით. დამნაშავე თავს ესხმის მაქალაქეს და ამით აშკარა საშიშროებას უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ანდა, მართალია, დამნაშავე თავს არ ესხმის, მაგრამ მისი თავისუფლად ყოფნა უშუალო და რეალურ საფრთხეს უქმნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მოკვლის მართლზომიერების საფუძვლად გვევლინება არა დამნაშავის დაკავების უფლება, არამედ აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელება¹

ის გარემოება, რომ დამნაშავის მოკვლა მის შეპყრობასთან დაკავშირებით მოხდა, სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება განვიხილოთ.

აუცილებელი იყო თუ არა შეპყრობის დროს ვნების მიყენება დამნაშავისათვის, ეს ფაქტის საკითხია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებელი მსჯელობის საგანს წარმოადგენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის დაკავების ვითარებას, დროს, დამნაშავისა და მოქალაქის ძალთა თანაფარდობობას, იმას, თუ სად ხდება დამნაშავის შეპყრობა, უკაცრიელ, თუ ხალხმრავალ ადგილას და სხვა. ზოგჯერ მძიმე ვნების მიყენება აუცილებელია დამნაშავის შესაპყრობად, მაგრამ მიყენებული ვნება აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და თვით დამნაშავის საშიშროებას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უარგლების გადამეტებას მიყენებული ზიანის, არათანაზომიერების გამო. როდის არის ზიანი არათანაზომიერი დამოუკიდებელია მიყენებული ზიანის და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის თანაფარდობაზე. ამ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს თვით დამნაშავის პიროვნების საშიშროებასაც.²

1 ი. ტიშკოვიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 187. ი. ბრაუტონი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

2 ი. შაგვულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

ი. შაგვულიძე, სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 182-183.

დამნაშავეის მსუბუქად დაზიანება არ შეიძლება მივიჩნიოთ დამნაშავეის შეპყრობისათვის არათანაზომიერ ღონისძიებად, რადგან იგი არ შეიძლება ჩავთვალოთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან აშკარად შეუსაბამოდ, თუკი დამნაშავეის დაკავების უფლება აღმოცენდა და არ დარღვეულა ამ ინსტიტუტის მართლზომიერების სხვა პირობები.¹

დამნაშავეისათვის დაკავების მიზნით სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება დასაშვებია თუ მან განსაკუთრებით საშიში დანაშაული ჩაიდინა (ბანდიტიზმი, მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა და სხვა), დამნაშავეის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, მისი შეპყრობის მიზნით დასაშვებია, თუ ჩადენილია ისეთი მძიმე დანაშაული, რისთვისაც შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და მეტი ვადით.²

თ. შავგულიძის აზრით დამნაშავეის შეპყრობის ფარგლების გადაცილების პირველ შემთხვევაში მოქალაქე ითვალისწინებს, რომ დამნაშავეის შესაპყრობად არ არის საჭირო მისი დაშავება, მაგრამ მაინც განზრახ მძიმედ უზიანებს სხეულს. მაშინ იგი მოქმედებს თვითგასწორების მიზნით და ასეთ შემთხვევაში დამნაშავეის შეპყრობაზე ლაპარაკი საერთოდ არ ხდება. თუ მოქალაქე სწორად ვერ აფასებს შექმნილ ვითარებას, თუმცა მას შეეძლო და სწორად უნდა შეეფასებინა იგი და აზიანებს დამნაშავეს, რაც არ იყო საჭირო მისი შეპყრობისათვის, მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით დამნაშავეის შეპყრობის ფარგლების გადამეტებისათვის. გადამეტების მეორე შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ ბრალს. მოქალაქემ, ვთქვათ, იცის, რომ სხეულის მძიმე დაზიანება თავისი სიმძიმით ჩადენილ დანაშაულს არ შეესაბამება, მაგრამ დამნაშავეის შეპყრობის დროს მძიმედ აშავებს მას, ანდა ცდილობს ფეხში დაჭრას დამნაშავე, მაგრამ ვერ მოზომა, სასიკვდილოდ დაჭრა იგი.³

1 ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

2 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

3 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს ხელქვეითის მიერ მისთვის სავალდებულო ბრძანების ან სხვა განკარგულების, აგრეთვე დამნაშავეს ნებისმიერი სახის მისთვის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა გადაწყდეს საერთო წესით, ე.ი. როგორც განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. დამნაშავეს შეპყრობისას დადგენილი ფარგლების გადამეტება უნდა განიხილებოდეს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად¹.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ხარვეზია ის, რომ მასში არ არის გათვალისწინებული მოქალაქის მიერ დამნაშავეს შეპყრობის ნორმა, ასევე საკანონმდებლო ხარვეზია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში არ არის ნორმა, რომელიც დაანებს დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების გადამეტებისათვის შემსუბუქებულ სასჯელს.²

სავალდებულო ბრძანების შესრულება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს ხელქვეითის მიერ მისთვის სავალდებულო ბრძანების ან სხვა განკარგულების, აგრეთვე თანამდებობით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების დროს კანონით დაცული ინტერესისათვის ზიანის მიყენება. ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს. ამაზე მითითებას შეიცავს საქართველოს სსკ-ის მე-16¹ მუხლის პირველი ნაწილი.

ხელქვეითისათვის შესასრულებლად სავალდებულოა უფროსის მხოლოდ მართლზომიერი ბრძანება ან სხვა განკარგულება, აგრეთვე მოვალეობა.

1 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 186. ვ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.1

2 იქვე

ისმის კითხვა, თუ რა შემთხვევაშია ბრძანება, განკარგულება ან მოვალეობის შესრულება კანონიერი. ლიტერატურაში მიღებულია კანონიერად ვცნოთ, თუ ბრძანება ა) გაცემულია შესაბამისი უფროსის მიერ თავისი ხელქვეითისადმი; ბ) არ სცილდება ბრძანების გამცემის კომპეტენციის ფარგლებს; გ) არ შეიცავს ამკარად დანაშაულებრივ მოთხოვნას; დ) გაცემულია კანონით დადგენილი ფორმის შესატყვისად, იგივე ითქმის სხვა განკარგულების ან მოვალეობის შესრულებაზეც. ეს პირობები წარმოადგენს ბრძანების ან სხვა განკარგულების თუ მოვალეობის შესრულების კანონიერების პრეზუმპციას¹.

ამრიგად, ჩამოთვლილი პირობების არარსებობა ბრძანებას აკარგვინებს მართლზომიერ ხასიათს. როგორც წესი, არ არის ხელქვეითისათვის სავალდებულო დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ბრძანების შესრულება არ გამოორიცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და ხელქვეითი ბრძანების გამცემი უფროსის თანაბრად აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს სსკ-ის მე-16¹ მუხლის მეორე ნაწილი. ლიტერატურაშიც ერთხმად არის აღიარებული, რომ დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისათვის ხელქვეითი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან არ იცოდა ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამართლება აზრი, რომ გამორიცხული არ არის დანაშაულებრივი ბრძანების გაუფრთხილებლობით შესრულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა². ე.ი. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, როდესაც დანაშაულებრივი ბრძანების შემსრულებელ ხელქვეითს შეგნებული არა აქვს ამ ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი,

¹ И. И. Слюцкий. Ответственность за исполнение незаконного приказа. "Ученые записки ИГУ" 1963. № 134: Курс Советского уголовного права. т. II 1970. с. 397-398.

² Курс советского уголовного права. т. 2. М 1970. стр. 398.

მაგრამ საქმის გარემოებების მიხედვით, შეეძლო და უნდა სცოდნოდა, რომ ბრძანება დანაშაულებრივია. ეს დებულება ენინალმდეგება სისხლის სამართალში გაბატონებულ აზრს — გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესახებ. სახელდობრ, მოცემულ შემთხვევაში ხელქვეითი დანაშაულის თანამონაწილეა, ხოლო ჩვენი დოქტრინა თანამონაწილეობის შესახებ უარყოფს გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას.

ხელქვეითმა შეიძლება დანაშაულებრივი ბრძანება ფსიქიკური იძულების ზეგავლენის გამო ჩაიდინოს. როგორც ცნობილია, ასეთი იძულება არ გამოორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ არ შეიქმნა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, მაგრამ იგი მიიღება მხედველობაში როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

დანაშაულებრივი ბრძანების ან სხვა განკარგულების შესრულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად აუცილებელია დამტკიცდეს არა მხოლოდ ბრძანების ან სხვა განკარგულების დანაშაულებრივი ხასიათი, არამედ ისიც, რომ ამ ბრძანების შემსრულებელს შეგნებული ჰქონდა ბრძანების ან სხვა განკარგულების დანაშაულებრივი ხასიათი და მიუხედავად ამისა, მაინც შეასრულა იგი.

ხელქვეითი, რომელიც შეასრულებს ისეთ ბრძანებას ან სხვა განკარგულებას, რომლის დანაშაულებრივი შინაარსი შესრულების შემდეგ გამოვლინდება, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დანაშაულებრივი ბრძანების ან სხვა განკარგულების შემსრულებელი ხელქვეითის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ უფროსის ბრძანების ან სხვა განკარგულების შესრულება მისთვის სავალდებულოა და ამ ვალდებულების დარღვევა თვით წარმოადგენს დანაშაულს? მაგალითად, შეიარაღებულ ძალებში ბრძანების ან სხვა განკარგულების შესრულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იქ მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად უფროსის ბრძანება — კანონია ხელქვეითისათვის. ბრძანება ან სხვა განკარგულება უნდა შესრულდეს უსიტყვიოდ, ზუსტად და დროზე. საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსი ბრძანების შეუსრულებლობას განიხილავს მძიმე სამხედრო დანაშაულად (მუხ. 256, 257).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელქვეითი ვალდებულია შეასრულოს უფროსის ბრძანება თუნდაც ეჭვობდეს, რომ ბრძანება დანაშაულებრივია. ასეთი ბრძანების შესრულებისას პასუხისმგებლობა ბრძანების გამცემ უფროსს ეკისრება, ხოლო ხელქვეითი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ამ მომენტით განსხვავდება ბრძანების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები შეიარაღებულ ძალებსა და სამოქალაქო პირობებში. მაგრამ უსიტყვო მორჩილების პრინციპი, რომელიც აღიარებულია შეიარაღებულ ძალებში, არ გამოორიცხავს ხელქვეითის გონიერ ინიციატივას და არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ბრძანების შესრულება ეწინააღმდეგება სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო ფიცის მოთხოვნებს, სისხლის სამართლის ნორმებს და იგი აშკარად დანაშაულებრივია. ასეთი ბრძანების შესრულება არ გამოორიცხავს ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს და ხელქვეითი მოცემული დანაშაულის თანამონაწილეა, თუ არ შეიქმნა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა; ხელქვეითი დანაშაულებრივი ბრძანების მიღების პირობებში კონფლიქტურ სიტუაციაში ვარდება: ერთის მხრივ, მას მოცემული უწყების დისციპლინური წესდება ავალდებულებს ბრძანების შესრულებას, ზოგჯერ უსიტყვო მორჩილებასაც კი, ხოლო მეორეს მხრივ მის კონსტიტუციურ მოვალეობას კანონის დაცვა წარმოადგენს, რომელიც ზოგად, ერთიან ზღვარს უქმნის უფროსისადმი მორჩილების მართლზომიერების ფარგლებს. ჯერ კიდევ ტაგანცევი მიუთითებდა, რომ „ამ შემთხვევაში დაქვემდებარების საწყისები პარალიზებულია კანონის მოთხოვნით, რომელიც კრძალავს ამ დანაშაულებრივი ქმედების შესრულებას“.

ამრიგად, აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შეუსრულებლობისათვის ხელქვეითის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს კანონი წარმოადგენს.

1 Н. С. Таганцев. Курс Русского уголовного права. Часть общая. Книга 1-ая. Учебник о преступлении. С-Петербург. 1874, стр. 192.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ამჟამად დანაშაულებრივი განხილვის ბრძანების შეარსების პრობლემა ყოველთვის იწვევდა იურიდიულ დიდ ინტერესს საერთაშორისო სისხლის სამართლის პრაქტიკაზე იქვე იხრებოდა, რომ სამხედრო მსახურის მიერ თუნდაც უფროსთა განკარგულებით ჩადენილი დანაშაული იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ლაიპციგის ტრიბუნალმა 1921 წელს განიხილა საქმე გერმანიის წყალქვეშა ნაღვის მიერ ინგლისის მოსპობილური გემის ჩაძირვის შესახებ, და სცნო, რომ „თუმცა დაშინაშევა მოქმედება მათი უფროსის ბრძანებით თუ არაპირდაპირი განკარგულების შედეგი იყო, ეს არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან, რადგან ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ დაშინაშევებს შეგნებული პირობათ მეთაურის ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი.“

ამ პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამამულო ომის პერიოდში, ფაშისტთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით თითქმის ყველა დანაშაულზე თავს იმართლებდა, რომ უფროსის ბრძანების შესაბამისად მოქმედებდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-8 მუხლში ამ საკითხის თაობაზე ნათქვამია: „ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული მოქმედებდა მთავრობის ან უფროსის განკარგულების შესაბამისად, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სასჯელის შემსუბუქების საბაზი იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი სცნობს, რომ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“.

დღეს-დღეობით ამ პრობლემამ აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.

მართლმსაჯულების საფარგლო რისკი. რისკის პრობლემამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. ყველა დიდი მიღწევა მეცნიერების დარგში, ამ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვა განსაზღვრულ რისკთან არის დაკავშირებული. დანაშაული კოსმოსის ათვისებიდან, დამთავრებული შედარებით უმნიშვნელო ნარმოებით პროცესამდე, ჭეშმარიტების შეცნობის გზა მხოლოდ ერთია — ეს არის გარკვეული რისკი. იქ, სადაც საქმე შემოქმედებას ეხება, არ

შეიძლება წინასწარ დანამდვილებით განჭვრიტო და დააპროექტო შედევრი, დანამდვილებით უზრუნველყო წარმატება. შემოქმედება ძიებაა, იგი მოითხოვს გამბედაობას, ინიციატივას, ექსპერიმენტს. არ შეიძლება მეცნიერ-მკვლევარის და კონსტრუქტორის შემოქმედებითი ძიების შეზღუდვა იმის გამო, რომ ამას შეუძლია დიდი მატერიალური დანახარჯის, შესაძლებელი აუნაზღაურებელი დანაკარგის გამოწვევა. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ უარყოფითი შედეგების სიმძიმე, არამედ ჩადენილი ქმედების სასარგებლო ხასიათი როგორც მოცემული დროისა და ადგილის მიხედვით, ისე სამომავლოდ და ყველა ეს გარემოება მათს ერთობლიობაში უნდა შეფასდეს, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე უნდა დადგინდეს განეული რისკის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი მართლზომიერი ხასიათი. საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა ძირშივე ჩაკლავდა ყოველგვარ შემოქმედებით საქმიანობას და აქცევდა მას არამართლზომიერად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო მონოღებული და დაინტერესებულია დაიცვას სანარმოო რისკი, გამოაცხადოს ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედება საზოგადოებრივად სასარგებლოდ, თუნდაც ამ ქმედებით გარკვეული ზიანი განიცადოს კანონით დაცულმა ინტერესმა.

მაგრამ რისკი-რისკისაგან განსხვავდება და ამ მომენტის უგულვებლყოფა არ შეიძლება, ამ თვალსაზრისით საჭიროა რისკის ნორმირება, რისკის მართლზომიერების პირობების დადგენა.

სისხლის სამართლის თეორიისათვის ცნობილია რისკის მართლზომიერების ოთხი პირობა:

1. რისკი უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზანს, რომლის განსახორციელებლად იგი ჩადენილია. ამ მოთხოვნის არსი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: რაც უფრო მნიშვნელოვანია მიზანი, მით უფრო დიდი რისკია გამართლებული და პირიქით. გარდა მიზნისა, რისკის მართლზომიერებისათვის მნიშვნელოვანია იმ ობიექტის ღირებულება და მოცულობა, რომელიც ენებას განიცდის. ეს სახეებით სამართლიანი მოთხოვნაა; არ შეიძლება ვალიაროთ

უზნეო წესი, რომლის თანახმად — მიზანი ამართლებს საშუალებას. ამიტომ მართლზომიერად ვერ ვცნობთ იმ მეცნიერის მოქმედებას, რომელიც მის მიერ გამოგონებულ ახალ საშუალებას ადამიანზე გამოცდის და ამით საფრთხეში ჩააგდებს მის სიცოცხლეს. „გამართლებული და მართლზომიერი რისკის დროს საქმე გვაქვს ისეთ საქციელთან, რომლის სოციალური სარგებლიანობა შექმნილ საფრთხეზე უფრო მაღალია“¹.

2. მართლზომიერი რისკის დროს მიზანი არ შეიძლება მიღწეული იქნეს ჩვეულებრივი, რისკის გარეშე საშუალებით. რისკი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც იგი წარმოადგენს მნიშვნელოვანი სანარმოო ამოცანების განხორციელების ერთადერთ საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში რისკი კარგავს მართლზომიერ ხასიათს და იქცევა საზოგადოებრივად საშიშ და სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად. თუ სანარმოო რისკის სუბიექტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მოქმედების ისეთი ხერხი, რომელიც ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული, თავისთავად ცხადია, რომ მან უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

3. რისკი არ უნდა გადაიზარდოს ზიანის შეგნებულად აუცილებელ მიყენებაში, ე.ი. მავნე შედეგის განხორციელება, რისკის დროს, ყოველთვის მხოლოდ საეარაუდო უნდა იყოს. ზიანის შეგნებულად აუცილებელი მიყენება — გამორიცხავს მართლზომიერ რისკს. ეს პირობა ყოველგვარი რისკის კონსტიტუციური ნიშანია;

4. რისკის ობიექტი, როგორც წესი მატერიალური, ნივთიერი სიკეთე უნდა იყოს. თუ საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, აუცილებელია ვისაც ეს საფრთხე ემუქრება იცოდეს ამის შესახებ და ნებაყოფლობით დათანხმდეს მას. აუცილებელია, რომ რისკის გამწევა მიიღოს სათანადო ზომები ზიანის ასაცილებლად კანონით დაცული ინტერესისათვის.

რისკის მართლზომიერებისათვის აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი ნიშნის ერთობლივი არსებობა. ერთ-ერთი ამ პირობათაგანის დარღვევა გამორიცხავს რისკის მართლზომი-

¹ М. С. Гринберг. Проблема производственного риска в уголовном праве. 1963.

ერებას და მას მართლწინააღმდეგოს გადააქცევს.

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა სწარმოო რისკის ცნების განსაზღვრებას არ იძლევა¹. ასეთ განსაზღვრებას შეიცავს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მოქმედებას იწყებს 1997 წლის პირველი იანვრიდან. ამ კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესისათვის ზიანის მიყენება ჩადენილი, დასაბუთებული რისკის დროს(ნაწილი პირველი). ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია რისკის დასაბუთებულობის პირობების, კერძოდ დასახული მიზნის სხვა, რისკისაგან დამოუკიდებელი მოქმედებით (უმოქმედობით) მიღწევის შეუძლებლობა და თუ იმ პირმა, ვინც რისკი გასწია საკმარისი ზომები მიიღოს სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესისათვის ზიანის ასაცილებლად. მუხლის მესამე ნაწილში რისკის უმართლობის პირობებია გადმოცემული: რისკი ვერ იქნება ცნობილი დასაბუთებულად, თუ რისკის გამწვევ შეგნებული ჰგონდა, რომ რისკს თან ერთვოდა მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის, ეკოლოგიური კატასტროფის ან საზოგადოებრივი უბედურების საფრთხე.

დაზარალების თანხმობა. დაზარალების თანხმობის საკითხი კანონმდებლობით მონესრიგებული არ არის. თეორიის და პრაქტიკის მიერ იგი განიხილება ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად. იმისათვის, რომ დაზარალების თანხმობამ გამორიცხოს მისივე უფლებებისა და ინტერესების ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, საჭიროა იმ პირობების არსებობა, რომლებიც ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას დააფუძნებენ.

ეს პირობებია:

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობის გამორიცხავ გარემოებებს შორის მართლწინააღმდეგობის რისკს

1. დაზიანებული სიკეთე დაზარალებულის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. ასეთ სიკეთეთა სფეროს უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება ქონებრივი და პირადი ინტერესები. მაგალითად, ნივთის მესაკუთრის თანხმობით — ამ ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან ამოღება — არ იქნება ქურდობა.

2. თანხმობა არ უნდა გაცდეს განკარგვის უფლების ფარგლებს. პირადი ხასიათის სიკეთეთაგან სიცოცხლის ხელყოფა, თუნდაც დაზარალებულის თანხმობით, ვერ განიხილება ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ და სოციალურად ინდიფერენტულ გარემოებად. ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედება წინააღმდეგობაშია მთელი საზოგადოების ინტერესებთან და იგი ძირს უთხრის სხვისი სიცოცხლის ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავისხენოთ რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის შენიშვნა, რომლის თანახმად, მკვლელობა, ჩადენილი დაზარალებულის დაჭინებული თხოვნით და მისდამი სიბრალულის გრძობის გამო, დანაშაულად არ ითვლებოდა. პრაქტიკა უმაღლე უარყო ასეთი ნორმის არსებობის მიზანშეწონილობა და იგი რამდენიმე თვეში იქნა გაუქმებული.

3. თანხმობა არ უნდა ისახავდეს საზოგადოებრივად საშიშ მიზნებს. ჩადენილი ქმედების ხასიათის მიხედვით დაზარალებულის თანხმობით მისი სხეულის დაზიანება გამორიცხავს ასეთი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, თუ იგი ხორციელდება, მაგალითად, მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით, და არ გამორიცხავს თუ მოქმედება იმიტომ არის ჩადენილი, რათა გაუადვილოს დაზარალებულს ინვალიდობის გამო პენსიის მიღება, ან როდესაც დაზარალებულის თანხმობა არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას სისხლის სამართლის კანონის სპეციალური დადგენილების გამო, მაგალითად უკანონო აბორტი (მუხ. 123) შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით დაზარალებულის თანხმობა მისი სხეულის დაზიანებაზე (სსკ-ის 81-ე, 263-ე მუხლები).

ქონებრივი სიკეთის ხელყოფისას, დაზარალებულის თანხმობას მნიშვნელობა არა აქვს, თუ მოქმედება თავისთავად სოციალურად საშიშია.

4. აუცილებელია თანხმობის ნამდვილობა ანუ იგი მიცემული უნდა იქნეს შერაცხადი და ქმედუნარიანი პირის მიერ ნებაყოფლობით, და არა ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის შედეგად. გარდა ამისა, თანხმობას მნიშვნელობა აქვს, თუ იგი მიცემულია ქმედების ჩადენამდე ან მისი ჩადენის პროცესში და არა ქმედების ჩადენის შემდეგ. ქმედების შემდეგ მიცემული თანხმობა არ გამოორიცხავს ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. (მაგალითად, დაზარალებულის მიერ ქურდობის პატიება არ გამოორიცხავს ქურდის ნამოქმედარის დანაშაულებრივ ხასიათს).

5. თანხმობის არსებობა უნდა დამტკიცდეს. მაგრამ ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო თანხმობის წერილობითი ფორმა. საკმარისია ნაგულისხმევი, მდუმარე, ან კონკლუდენტური მოქმედებით გამოხატული თანხმობა, თუკი ასეთი თანხმობის არსებობა იმ ურთიერთობიდან გამომდინარე რომელშიც დაზარალებული იმყოფებოდა ქმედების ჩამდენთან, შეიძლება დამტკიცდეს საქმის გარემოებების მიხედვით. მაგალითად, თუ ვინმე მივიდა თავის მეგობართან ნიგნის ან სხვა რაიმე ნივთის წამოსაღებად, მეგობარი სახლში არ დაუხვდა და მან თვითნებურად წამოიღო ეს ნივთი, იგი ვერ დაისჯება ქურდობისათვის თუ დამტკიცდება, რომ მას სრული საფუძველი ჰქონდა ევარაუდა ნივთის მფლობელის თანხმობა აღნიშნული მოქმედებაზე. ზუსტად ასევეა გაუპატიურების დროსაც. აუცილებელი როდია დაზარალებულის პირდაპირი თანხმობის არარსებობა, არამედ საჭიროა დამტკიცდეს, რომ იგი წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეს და ამ ძალადობას ჰქონდა ნაწდვილი და არა მოჩვენებითი ხასიათი; მოჩვენებითი ძალადობა ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ნაგულისხმევი თანხმობა ამ კავშირს ნებაყოფლობით კავშირად გადააქცევს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც კანონი მოითხოვს თანხმობის წერილობით ფორმას, მას ასეთი ფორმა უნდა მიეცეს.

ინტერესს არ არის მოკლებული, თუ სახელდობრ, რა მომენტიდან ითვლება თანხმობა მართლზომიერად. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც თანხმობის მიმცემის ნება ცნობილი ხდება თანხმობის მიმღებისათვის. აქვე ისიც უნდა

დაითქვას, რომ თუ თანხმობის მიმცემი შემდეგ უარს განაცხადებს საკუთარი სიკეთის დაზიანებაზე, ყოველგვარი მოქმედება, ჩადენილი თანხმობაზე უარის განცხადების შემდეგ განიხილება, როგორც თანხმობის მიმცემის ნების წინააღმდეგ მიმართულად, და აქედან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო.

პროფესიული ფუნქციების შესრულების შესახებ. პროფესიული ფუნქციების შესრულება მხოლოდ მაშინ გამოორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, თუ იგი დაშვებულია კანონით, ხორციელდება კანონით დადგენილ ფარგლებში და კანონითვე განსაზღვრულ პირობებში. ხშირად ეს საქმიანობა თავისი გარეგნული ფორმით რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას ემთხვევა (მაგალითად, ქირურგის მიერ ავადმყოფობისათვის ფეხის ამუჭირება, სტომატოლოგის მიერ ავადმყოფისათვის კბილის ამოღება და ა.შ.). მაგრამ იგივე ქირურგიული ჩარევა, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს პაციენტს თავი აარიდოს სამხედრო სამსახურის ვალდებულებას, განიხილება როგორც საზოგადოებრივად საშიში მოქმედება.

პროფესიული საქმიანობის პრობლემას, როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებას, უმთავრესად საექიმო საქმიანობის ქრილში განიხილავენ, თუმცა ეს საქმიანობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება და გაცილებით ფართე სფეროს მოიცავს. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი, რომელიც მოითხოვდა ექიმის პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ვნებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გათანაბრებას ინჟინრების, არქიტექტორების და სხვა სპეციალისტების პასუხისმგებლობასთან. წმინდა პროფესიული თვალსაზრისით თუ მიუდგებით საკითხს შეიძლება მისი ასეთი გადაწყვეტა ლოგიკურად სწორი იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია სხვა მომენტებიც. კერძოდ, საინჟინრო და სხვა მსგავსი პროფესიული საქმიანობა. საექიმოსაგან განსხვავებით მონესრიგებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტებით. საექიმო საქმიანობა გაცილებით ძნელად ექვემდებარება ოფიციალურ და დანერვილებით რეგლამენტაციას. მიუხედავად

იმისა, რომ ამ საქმიანობის მომწესრიგებელი წესები საკმაოდ ბევრია, მათ არ ძალუძთ მთლიანად მოიცვან სამედიცინო საქმიანობის მრავალფეროვნება. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკურნალობის არასასურველი შედეგი, ავადმყოფის სიკვდილი, თავისთავად არ იძლევა იმის საბაბს, რომ თვით საქმიანობა ვცნოთ არამართლზომიერად. ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი ისე მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომ მკურნალობის შედეგის თავიდან განჭვრეტა ყოველთვის როდია შესაძლებელი. მაშინ, როდესაც სხვა სპეციალობაში (მშენებლის, მძღოლის და ა.შ.) არასასურველი შედეგი სამართლებრივი ნორმის დარღვევის, სპეციალისტის არაკომპეტენტურობის ან დაუდევრობის შედეგია. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მრავალ დაავადებათა მკურნალობა, არ არის გათვალისწინებული რაიმე ინსტრუქციით ან დებულებით, ხოლო მკურნალობის შედეგი აქაც შეიძლება მეტად სავალალო აღმოჩნდეს. ამიტომ სამედიცინო საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმს თვით სამედიცინო მეცნიერების მონაცემები და დებულებები იძლევიან. ნათქვამი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სამედიცინო საქმიანობა თუ ვნებას აყენებს პაციენტს ყველა შემთხვევაში მართლზომიერია და შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. ამიტომ კრიმინალისტებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, რაც სამედიცინო დარგის მუშაკთა მართლზომიერ და არამართლზომიერ საქმიანობას ერთმანეთისაგან განარჩევს. საექიმო საქმიანობა მოიცავს პროფილაქტიკურ, სამკურნალო, ქირურგიულ და ა.შ. საქმიანობის სფეროებს. ყველა მათგანისათვის საერთოა პაციენტის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება. ისმის კითხვა, როდის არის ეს ზემოქმედება მართლზომიერი და როდის იძენს იგი მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. სანამ ამ კითხვას უშუალოდ გავცემდეთ პასუხს, საჭიროა შევეხოთ რამდენიმე საგულისხმო მომენტს.

ჩვენი კონსტიტუციით აღიარებულია პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპი. ეს პრინციპი უზრუნველყოფილია თვით კონსტიტუციით და სამართლის სხვადასხვა დარგით. სისხლის სამართლის ნორმები იცავენ პიროვნების ხელშეუხებლობას და

კრძალავენ მისთვის არა მხოლოდ სხეულის დაზიანებას, არამედ ყოველგვარი ხასიათის ზიანის მიყენებას. სამედიცინო საქმიანობა, რომელიც პაციენტის ნების სანინაალმდეგოდ ხორციელდება, თუნდაც ამ უკანასკნელის ინტერესებიდან გამომდინარე, მართლზომიერია მხოლოდ გამონაკლის, კანონით ზუსტად რეგლამენტირებულ შემთხვევაში. ამის შესახებ პირდაპირ იყო მითითებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების 34-ე მუხლში. ამავე საფუძვლების 35-ე მუხლში კი ჩანერილი იყო, რომ ქირურგიული ოპერაციები ტარდება და დიაგნოსტიკის რთული მეთოდები გამოიყენება ავადმყოფის თანხმობით, ხოლო იმათ მიმართ, ვისაც არ შესრულება თექვსმეტი წელი ან დააკადებულია ფსიქიკურად მათი მშობლების, მეურვეობის და მზრუნველების თანხმობით. სხვა ხასიათის სამედიცინო ჩარევის მართლზომიერების შესახებ (როგორცაა თერაპიული, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და ა.შ.) კანონში არაფერია ნათქვამი. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მართლზომიერების იურიდიულ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ავადმყოფის თანხმობის პრეზუმპცია.

ქირურგიული ოპერაციის მართლზომიერების აღნიშნული პირობიდან კანონმდებელი უშვებს ერთ გამონაკლისს. კერძოდ, ხსენებული საფუძვლების იმავე 35-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები ტარდება და დიაგნოსტიკის რთული მეთოდები ექიმების მიერ გამოიყენება ავადმყოფის ან მისი მშობლების, მეურვის ან მზრუნველის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიაგნოზის დადგენის ან ოპერაციის ჩატარების შეფერხება საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო ხსენებულ პირთაგან თანხმობის მიღება შეუძლებელია.

ამ საერთო წესიდან, რომელიც პროფესიული საქმიანობის მართლზომიერებას აფუძნებს, დაშვებულია გამონაკლისი, რომლის თანახმად, თუმცა თანხმობის მიღება შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელი არ არის ასეთი თანხმობის მიღება. აქ იგულისხმება გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით იძულებითი მკურნალობის შემთხვევები. ამ შემთხვევაში პაციენტის ნების

სანიანალმდეგო მკურნალობა დანაშაულებრივ ხასიათს კარგავს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის გამო.

საექიმო პროფესიული საქმიანობის მართლზომიერად ცნობისათვის პაციენტის თანხმობის საკითხი დაზარალებულის თანხმობის, როგორც ქმედების მართლნიანალმდეგობის გამომრიცხავი გარემოების პირობებისა და წესისამებრ უნდა გადაწყდეს.

საექიმო პროფესიული საქმიანობა ორგანულად უკავშირდება ტრანსპლანტაციის ურთულეს პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსპლანტაცია პრინციპულად განსხვავდება მკურნალობის ყველა დანარჩენი მეთოდისაგან და ამდენად საჭიროა მისი დამოუკიდებელი და ზუსტი სამართლებრივი რეგულირება. სახელდობრ, განსაზღვრული უნდა იქნეს: ვის, სად და რა პირობებში შეუძლია ასეთი ოპერაციის გაკეთება; უნდა განისაზღვროს ცოცხალი დონორისაგან ტრანსპლანტანტის მიღების მართლზომიერების პირობები; (ვინ შეიძლება იყოს დონორი, მისი თანხმობის მნიშვნელობის ფარგლები და ა.შ.; გვამიდან ორგანოსა და ქსოვილის ამოღების მართლზომიერების პირობები, ახდენს თუ არა ქსოვილის ან ორგანოს ამოღებაზე გავლენას სიკვდილის მიზეზი, ნათესაეთა თანხმობა, სიცოცხლეში მიცემული თანხმობის მნიშვნელობა და სხვა; ვის და რა პირობებში შეიძლება გადაენერგოს ორგანო ან ქსოვილი; რომელი ორგანოსა და ქსოვილის გადანერგვა დასაშვებია; რეციპიენტის თანხმობის მნიშვნელობა ორგანოსა და ქსოვილის გადანერგვაზე; სამედიცინო გადანყვეტილების მიღებისა და მიღებული გადანყვეტილების გაფორმების წესები; დონორისათვის გასამრჯელოს მიცემის წესები და ა.შ.

ამრიგად, მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით საკითხთა მეტად ფართო წრე საჭიროებს სამართლებრივ მონესრიგებას და მათი გადაჭრის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ნორმატიული აქტი, რომელიც დაარეგულირებს ამ ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ ეს უკვე ცალკე კვლევის საკითხია.

საკუთარი უფლებების განხორციელება. კანონით განსაზღვრულ ფარგლებში საკუთარი უფლების განხორციელება

გამორიცხავს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, თუნდაც ეს ქმედება თავისი გარეგანი ნიშნებით ფორმალურად ემთხვეოდეს კიდევაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილ რომელიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ასეთ შემთხვევაში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამორიცხვის საფუძველი ის უბრალო მიზეზია, რომ სამართლის ცალკეული დარგები ერთ მთლიან სამართლებრივ სისტემას წარმოადგენს და ის, რაც დაშვებულია სამართლის ერთი დარგით, შეუძლებელია აიკრძალოს სხვა დარგით.

პიროვნება აღჭურვილია სხვადასხვა უფლებებით. ეს უფლებები შეიძლება იყოს პიროვნული, პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა. ყველა ამ უფლების განხორციელება გარანტირებულია კანონით და პიროვნება სწორედ კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს და, როგორც წესი, არ ხელყოფს სხვის ინტერესებს. სისხლის სამართალს აინტერესებს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც საკუთარი უფლების განხორციელებით დარღვეულია სხვათა კანონიერი ინტერესები. ბუნებრივია ისმის კითხვა, თუ რა მოცულობით და რა ფარგლებშია შესაძლებელი სხვისი ინტერესების ისე დარღვევა, რომ ამით ქმედება საზოგადოებრივად საშიშად არ იქცეს.

დარღვეული უფლების შინაარსის მიხედვით შეიძლება ძირითადად გამოიყოს საკუთარი უფლების განხორციელების რამდენიმე სახე. მაგალითად, საკუთარი უფლების განხორციელება სხვათა ქონებრივი უფლების საზიანოდ შესაძლებელია ისეთ შემთხვევაში, როდესაც თვით უფლების შინაარსი ერთსა და იმავე ობიექტს გულისხმობს და როდესაც ერთი უფლება იურიდიულად პირველადობს მეორეზე. აღნიშნულის შესაბამისად დანაშაულად არ ჩაითვლება მესაკუთრის მიერ საკუთარი ნივთის ამოღება სხვისი სარგებლობიდან. სხვისი კუთვნილი ქონების ფლობა და ამ ქონებით სარგებლობაც არ იქნება დანაშაული, თუკი დამტკიცდება, რომ აღნიშნული მოქმედება ეფუძნება სპეციალურ ხელშეკრულებას, რომელიც მას ასეთ უფლებას ანიჭებს.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც საკუთარი

უფლების განხორციელების დროს ირღვევა სხვათა პიროვნული ხასიათის უფლება. როგორც ცნობილია, ყოველგვარი ძალადობა პიროვნების მიმართ არსებითად მართლსაწინააღმდეგო და დასჯადია, ამიტომაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი უფლება პირს მაშინ წარმოეშობა, როდესაც იგი აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაშია, როდესაც იგი დამნაშავეს აკავებს, როდესაც ასრულებს საზოგადოებრივად სასარგებლო პროფესიულ ფუნქციებს, როდესაც სახეზეა მართლზომიერი რისკის პირობები, დაბოლოს, როდესაც საკუთარი უფლების განხორციელების საფუძველი დაზარალებულის თანხმობაა. მაგრამ ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სხვა სამართლებრივი საფუძველია. ხოლო მთავარი ამ შემთხვევისათვის ისაა, რომ ყველა შექმნილ ვითარებაში პირი ახორციელებს საკუთარ უფლებას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დისციპლინური ხელისუფლების განხორციელების საკითხი. ამ უფლების განხორციელება ისე მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, რომ ყველა შემთხვევის განხილვა და მათი ზოგადი რეგლამენტაცია თითქმის შეუძლებელია. სანიმუშოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება: სასამართლოს თავმჯდომარე პასუხს არ აგებს მხარეებისათვის მიცემული შენიშვნისა ან სხდომის დარბაზიდან ვინმეს გაძევებისათვის; ასევე პასუხს არ აგებს ლექტორი ლექციიდან უდისციპლინო სტუდენტის გაძევებისათვის. ჩვენთან საყოველთაოდ აკრძალულია სკოლებში სხეულებრივი სასჯელების გამოყენება, მაგრამ იგი გამოიყენება გერმანიაში. გერმანიის სასამართლოები ამას დისციპლინური ხელისუფლების გამოვლინებად მეჩიზნევენ. მათი აზრით, ასეთი მოქმედება მასწავლებლის მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალადობამ მძიმე შედეგი გამოიწვია, მასწავლებელს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისგება, მისთვის მინიჭებული უფლების გადაჭარბებისათვის!

ინტერესს იწვევს მშობლის უფლების განხორციელების ფარგლების საკითხი. მშობლის უფლების განხორციელებას თან სდევს ბავშვის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, როგორცაა გადაადგილების უფლების შეზღუდვა, სხეულებრივი დასჯა და ა.შ. ეს მოქმედებები თავისთავად არ წარმოადგენენ საზოგადოებრივად საშიშს, მაგრამ სისტემატური ცემა და ნაშება სცილდება მშობლის უფლების განხორციელების ფარგლებს, იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა და მშობელმა პასუხი უნდა აგოს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. ამავე დროს, მას შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის დასადგენად იყო თუ არა საკუთარი უფლების განხორციელება მართლზომიერი, საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლების განხორციელების დადგენილი ფარგლების და ფორმების შესწავლა. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი უფლების განხორციელება, თუ იგი სცილდება კანონით დადგენილ ფარგლებს, გადაიქცევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად და განსაზღვრული პირობების არსებობისას განიხილება როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივად საშიში (მართლსაწინააღმდეგო) ქცევა. ასევე გადანიშნება საკითხი, როდესაც საკუთარი უფლების განხორციელება არ შეესაბამება მისი განხორციელების კანონით დადგენილ ფორმას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ თვითნებობის დანაშაულის შემადგენლობა (სსკ-ის 220 მუხ.). ნათქვამიდან გამომდინარე და პრაქტიკაში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, არ იქნება საფუძველს მოკლებული თუ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბდება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებს. შორის ნორმა, რომელიც განსაზღვრავს საკუთარი უფლების განხორციელების მართლზომიერების პირობებს.

კანონის აღსრულება. საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ცალკეულ მოქალაქეს ხშირად უხდება უარის თქმა საკუთარ უფლებებზე ანდა ამ უფლებების ფარგლების შეზღუდვა. ხშირად, უფლების მფლობელი პირი ნებაყოფლობით ამბობს უარს ამ უფლებაზე ან ზღუდავს მას,

ხოლო ზოგჯერ საზოგადოების კეთილდღეობისათვის უფლებას ზღუდავს სახელმწიფო უფლების მფლობელის ნების სანიხააღმდეგოდ. თავისთავად ცხადია, რომ როდესაც ვინმეს უფლების შეზღუდვა ან მოსპობა კანონის თანახმად აუცილებელია, ამ აუცილებლობის განხორციელება არ შეიძლება მართლსაინააღმდეგოდ იქნეს ცნობილი. იგი არ შეიცავს საზოგადოებრივი საშიშროების მომენტს და პირიქით, სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ასეთი ქმედება შეიძლება გარეგნულად კიდევაც დაემთხვეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, იგი კერ განიხილება დანაშაულად. მაგალითად, ვინმესათვის თავისუფლების აღკვეთა დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ სასამართლო განაჩენის აღსასრულებლად თავისუფლების აღკვეთა როდია დანაშაული, ასევე ვისამე მფლობელობიდან ქონების ამოღება შეიცავს ქონების გატაცების ამა თუ იმ შემადგენლობას, მაგრამ სასამართლო განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებულის ქონების კონფისკაცია დანაშაულს არ წარმოადგენს.

ძირითადად, კანონის აღსრულება პირთა განსაზღვრულ კატეგორიას — სახელმწიფო სამსახურში მყოფთ ევალებათ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი მოქმედება კერძო პირმაც ჩაიდინოს. იმის მიერ კანონის აღუსრულებლობა, ვისაც მისი აღსრულება ევალება, კანონით დადგენილ ფარგლებში იწვევს პასუხისმგებლობას მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. საკუთარი უფლების განხორციელებისაგან განსხვავებით, სადაც პასუხისმგებლობა უფლების განხორციელებლობისათვის არ დგება იმისათვის, რომ კანონის აღსრულებამ გამორიცხოს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, საჭიროა განსაზღვრული პირობების არსებობა, სახელდობრ: იმის კომპეტენტურიბა, ვინც ამ ქმედებას ახორციელებს; ფაქტიური გარემოების არსებობა, რაც ასეთი მოქმედების საფუძველს ქმნის; ამ ქმედების ჩადენისას კანონით დადგენილ ფორმების დაცვა. ეს პირობები მაშინაც უნდა იქნას დაცული, როდესაც კანონს კერძო პირი აღასრულებს, ამასთან კომპეტენტურობა აქ შეიძლება ნაბადართულობით

შეიცვალოს (მაგალითად, დამნაშავეის შეპყრობა).

მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობამ შეიძლება დააფუძნოს კანონის აღსრულების მართლზომიერება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კანონის აღსასრულებლად ჩადენილი ქმედება განიხილება დანაშაულად იმისაგან დამოუკიდებლად თუ რა ხასიათის საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი, თუ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა კანონის აღსრულებელი.

ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ კანონის აღსრულების შემთხვევაში იმდენად ნათელია საზოგადოებრივი საშიშროების მომენტის არარსებობა, რომ ეს საკითხი სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალურ მოხსენიებას არ საჭიროებდეს (იხ. 1 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 401).

თავი X დანაშაულის განვითარების სტადიები

დანაშაულის განვითარების სტადიის ზოგადი ცნება

განზრახვი დანაშაულის ჩადენის დროს, ადამიანს ჯერ დანაშაულებრივი განზრახვა წარმოეშობა. ეს განზრახვა ზოგჯერ დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში, მაგალითად, შეურაცხყოფის დროს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც წარმოშობილ დანაშაულებრივ განზრახვასა და მის განხორციელებას შორის გარკვეული დრო გაივლის, რომლის განმავლობაში სუბიექტი ეზადება დანაშაულის ჩასადენად, იწყებს

მის ჩადენას და ამთავრებს მას. ე.ი. დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე ისეთ მოქმედებებს ჩადის, რამაც მას უნდა გაუადვილოს დასახული დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა. ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი დანაშაულებრივი დანაშაულებრივი საქმიანობა ყოველთვის როდი იწვევს დანაშაულებრივ შედეგს, დანაშაული შეიძლება ამა თუ იმ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო არ დასრულდეს. ამ დროს, დანაშაულის სუბიექტური მხარე ჭარბობს მის ობიექტურ მხარეს, ე.ი. სუბიექტის განზრახვა უფრო მეტია, ვიდრე ის რაც განხორციელდა. ამ შემთხვევაში შეიძლება ორგვარი ვითარება წარმოიშვას: ან სუბიექტის მიერ დასახული დანაშაულებრივი მიზანი სრულიად არ განხორციელდეს, ან განხორციელდეს მხოლოდ ნაწილობრივ. ასეთ შემთხვევებს დაუმთავრებელ დანაშაულს უწოდებენ.

დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე ანუ სტადიაზე შეჩერდეს. კრიმინალისტთა ნაწილი განზრახვი დანაშაულის განვითარების ოთხ სტადიას აღიარებს: 1. განზრახვის გამომჟღავნებას მესამე პირისათვის, მისანვდომი ფორმით, 2. დანაშაულის ჩასადენად პირობების მომზადებას, რასაც მოსამზადებელი მოქმედება ეწოდება, 3. დანაშაულის განხორციელების დასაწყისს, ანუ მცდელობას და 4. დამთავრებულ დანაშაულს.

განზრახი დანაშაულის მომზადებისა და მისი უშუალოდ ჩადენის ეტაპებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩადენილი ქმედების ხასიათით და დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის მომენტით დანაშაულის განვითარების სტადიები ეწოდებათ.

რაც შეეხება, დანაშაულებრივი განზრახვის წარმოშობას ანუ აღმოცენებას, იგი არ შეიძლება აღიარებული იქნეს დანაშაულის განვითარების ერთერთ სტადიად, ვინაიდან ადამიანის შინაგანი ცხოვრება, როგორც რუსი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ტაგანცევი მიუთითებდა, მეტად რთული პროცესია და ადამიანის იუსტიციის ფარგლებს სცილდება, იგი სხვებისთვის მიუწვდომელია¹.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არის იმის თაობაზე ჩაითვლება თუ არა განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულის განვითარების ერთერთ სტადიად. განზრახვის გამომჟღავნება ორი მომენტისაგან შედგება: სუბიექტურისა და ობიექტური მომენტისაგან. სუბიექტური მომენტი გულისხმობს სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის განზრახვას, ხოლო ობიექტური მომენტი იმით გამოიხატება, რომ სუბიექტის დანაშაულებრივი განზრახვა ცნობილი ხდება სხვა პირისათვის, რამდენადაც იგი გამოვლინდება ამ პირისათვის მისანვდომი ფორმით (წერილობით, სიტყვიერად, ან რაიმე კონკლუდენტური მოქმედებით, ექსტით).

კრიმინალისტთა უმრავლესობა არ მიიჩნევს განზრახვის გამომჟღავნებას დანაშაულის განვითარების დამოუკიდებელ სტადიად, დანაშაულის ჩადენის „ლიტონი განზრახვა“ არ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი, ვინაიდან იგი არ უქმნის რაიმე საფრთხეს სახელმწიფოს საფუძველებს, მართლწესრიგს მთლიანად და მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. იგი ჯერ კიდევ არ მეტყველებს პიროვნების ისეთ საშიშროებაზე, რაც მოითხოვს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას. გარდა ამისა, განზრახვის

1 Н.С. Таганцев. Русское уголовное право. Лекции. Часть Общая, т.1. С. II., 1902, стр. 680.

გამომჟღავნებასა და მის განხორციელებას შორის დროის დიდი შუალედი, რომლის განმავლობაში სუბიექტმა შეიძლება იგი გადაიფიქროს კიდევ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომლის თანახმად, მართალია, განზრახვის გამომჟღავნება არ ისჯება როგორც დანაშაულის განვითარების სტადია, მაგრამ იგი შეიძლება დაისაჯოს თუ თავისთავად შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს და ამის საილუსტრაციოდ მოაქვთ დასჯადი მუქარის სხვადასხვა შემადგენლობები.¹

პროფ. თ. ნერეთელი არ იზიარებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი დამთავრებული შემადგენლობების დასჯადობას, რომლებიც არსებითად განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენენ. მისი აზრით, მუქარა, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნება, ვინაიდან ინვეს იმ პირში, ვისაც ემუქრებიან შიშს, არღვევს მის სიმშვიდეს. გარდა ამისა, მუქარა რომ განზრახვის გამომჟღავნების სახე იყოს, მაშინ მისი ობიექტი ის უნდა ყოფილიყო, რასაც დაზიანებით ემუქრებიან. სინამდვილეში კი, მუქარის ობიექტი ვისაც ემუქრებიან იმ პიროვნების სიმშვიდე და უსაფრთხოების გრძნობაა. ამგვარად, მუქარა არ შეიძლება ჩაითვალოს განზრახვის გამომჟღავნების სახედ.²

ასევე ვერ ჩაითვლება განზრახვის გამომჟღავნებად საჯარო მონოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ნყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ (სსკ—ის 71—ე მუხ.), მონოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ (სსკ—ის 71'—ე მუხ.), მონოდება ომის გაჩაღებისაკენ

1 Советское Уголовное право. Общая часть. М., 1952, стр. 277-278; А.А. Герцензон. Уголовное право. Часть Общая, 1948, М., стр. 349; В.Д. Меньшагин. Э.А. Вышинская. Советское Уголовное право. М., 1950, стр. 135; Н.В. Лясс. Понятие и основание наказуемости приготовления и покушения. Ученые записки Ленинградского государственного университета. Л., 1956, стр. 50.

2 თ. ნერეთელი დანაშაულის მოზადება და მჯდლობა თბილისი, 1961, გვ. 39.

(სსკ — ის 72 — ე მუხ.). ეს დანაშაულობები სცილდება განზრახვის გამომჟღავნების ფარგლებს, ვინაიდან მიმართულია იქეთკენ, რომ შეუქმნას მოსახლეობას აღნიშნული შემაღდგენლობებით გათვალისწინებული განწყობილება და ამდენად, იგი უფრო მეტად დანაშაულის მომზადებაა, ვიდრე განზრახვის გამომჟღავნება.

ამგვარად, განზრახვის გამომჟღავნება არ ისჯება არც როგორც დანაშაულის განვითარების სტადია და არც როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

დანაშაულის განვითარების პირველ დასჯად სტადიას დანაშაულის მომზადება ნარმოადგენს, მეორეს — დანაშაულის მცდელობა, ხოლო მესამეს კი, — დამთავრებული დანაშაული¹.

დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიები სისხლის სამართლის თეორიაში გაერთიანებულია წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ცნებაში².

¹ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის განვითარების სტადიების სხვაგვარ დასახელებასაც ეხედებით. მაგალითად, დანაშაულის მცდელობის ნაცვლად — დანაშაულის შემადგენლობის შესრულებას, ხოლო დამთავრებული დანაშაულის სანაცვლოდ — დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას (იხ. Советское Уголовное право. Общая часть. М., 1988, стр. 163-164). ამ მოსაზრების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ დანაშაულის მცდელობის ცნება არ ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობის შესრულების ცნებას. რომ არაფერი ვთქვათ თვით ტერმინის უვარგისობაზე, იგი არსებითადაც არასწორია, ვინაიდან სისხლის სამართლის თეორიაში „შესრულება“ ჩვეულებრივ ნიშნავს არა პროცესს, არამედ დამთავრებულ ქმედებას გარდა ამისა, არაზუსტია მესამე სტადიად დანაშაულებრივი შედეგის გამოყოფაც. როგორც ცნობილია, დანაშაულის შემადგენლობა, მისი საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით იყოფა მატერიალურ და ფორმალურ შემადგენლობებად. თუ დამთავრებული დანაშაულის სტადიად მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას ვაღიარებთ, მაშინ ამ სტადიის გარეთ დარჩება ფორმალური შემადგენლობის ყველა დანაშაული, სადაც დანაშაული დამთავრებულად ითვლება კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთანავე. (იხ. Советское Уголовное право. Общая часть. Учебник, М., 1974, стр. 254).

² ლიტერატურაში გამოითქვა სანინალმდგომო მოსაზრება, რომლის თანახმად მომზადება და მცდელობა არ შეიძლება განიხილებოდეს წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებად, ვინაიდან მათ სისხლის სამართლის კანონი განიხილავს დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებად (იხ. В. Д. Иванов.

ღამთავრავული დანაშაულის ცნება. იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ რომელი სტადიით უნდა დაიწყოს დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვა. ავტორთა ნაწილს მიაჩნია, რომ განხილვა უნდა დაიწყოს დამთავრებული დანაშაულის სტადიით¹. ამის საპირისპირო შეხედულება კი, უფრო მართებულად თელის განხილვის დანებებას უმდაბლესი საფეხურიდან — მოსამზადებელი მოქმედებიდან, თანდათანობით უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლით², ხოლო ზოგიერთს კი, საერთოდ ზედმეტად მიაჩნია დამთავრებული დანაშაულის განხილვა დანაშაულის მომზადებასა და მცდელობასთან დაკავშირებით.³

უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულება, რომლის თანახმად, პირველ ყოვლისა, მოცემული უნდა იქნეს იმ მოვლენის ანალიზი, რომელშიდაც განსაზღვრული თვისებები ყველაზე სრულად არის მოცემული, ასეთს კი, ამ შემთხვევაში, დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მომზადება და მცდელობა მისგან არიან ნაწარმოებნი.

დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როდესაც განხორციელდება სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. აქედან, დამთავრებული დანაშაულისათვის აუცილებელია

Ответственность за покушение на преступление. Караганда, 1974, стр.13). მართალია, დანაშაულის მომზადება და მცდელობა დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებს წარმოადგენენ, მაგრამ ეს მოქმედებები წინ უსწრებენ დანაშაულს და ამ დანაშაულის განსახორციელებლად ჩაიდინებიან; ის, ვინც განზრახ ჩადის დანაშაულს, არასოდეს მიზნად არ ისახავს შემოთარგვლის შიშოდ დანაშაულის მომზადებით ან დანაშაულის მცდელობით, არამედ ისწრაფვის დაასრულოს ეს დანაშაული, სწორედ ამისათვის უმზადება იგი, ან ცდილობს დანაშაულის დასრულებას (იხ. Уголовное право. Общая часть. М., 1994, стр. 258).

1 Уголовное право. Общая часть. М., 1959, стр.212; Н.Д. Дърманов. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву. 1954, стр. 22; თ. ნურეთელი. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

2 М.Д. Шаргородский. "Советское государство и право". 1953, 8.

3 Н.Ф. Кузнецова. Ответственность за приготовление и покушение на преступление по советскому уголовному праву. М., 1958, стр. 30.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის და სწორედ იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შესრულება, რომლისკენაც მიმართული იყო პირის განზრახვა. მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა ადამიანს და მხოლოდ დაჭრა იგო, გვექნება არა სხეულის დაზიანება, არამედ მკვლელობის მცდელობა.

დანაშაულის დამთავრების მომენტი დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე არის დამოკიდებული. საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ დამთავრებული დანაშაულის ორ სახეს: 1. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაზიანდა სამართლით დაცული ობიექტი (მაგ., მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება, ქონების გადასვლა ერთი პირის მფლობელობიდან — მეორესთან და სხვა) ანუ ე.წ. შედეგიანი დანაშაული, და 2. როდესაც დანაშაულის დამთავრებისათვის არ არის საჭირო ზიანის მიყენება ობიექტისათვის, არამედ საკმარისია ასეთი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა (მაგ., ბანდიტიზმი) ანუ ე.წ. საფრთხის შექმნელი დელიქტები, რომელთაც ასევე „შეკვეცილ“ შემადგენლობებსაც უწოდებენ.

საფრთხის შექმნელი დელიქტების თაობაზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. პროფ. პიონტკოვსკის მიაჩნია, რომ „შეკვეცილი“ შემადგენლობების შექმნას არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ესაა საკანონმდებლო—ტექნიკური ხერხი იმ კოდექსების ხარვეზის შესაავსებლად, რომელთა მიხედვით მომზადება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებაა გათვალისწინებული. „შეკვეცილი“ შემადგენლობისას კი — მცდელობა განიხილება როგორც დამთავრებული დანაშაული, ხოლო მომზადება, როგორც მცდელობა. უფრო მეტიც, „შეკვეცილი“ შემადგენლობის დროს მოსამზადებელი მოქმედებაც შეიძლება განხილული იქნეს დამთავრებულად, მაგრამ პროფ. პიონტკოვსკის აზრით, ჩვენი კანონმდებლობისათვის „შეკვეცილი“ შემადგენლობის შექმნას ასეთი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ჩვენი სისხლის

სამართლის კანონით სავალდებულო არ არის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შემცირება და აუცილებლობის შემთხვევაში მომზადებაც კი შეიძლება დაისაჯოს როგორც დამთავრებული დანაშაული!

პროფ. ნერეთელი არ იზიარებს აზრს, თითქოს საფრთხის შემქმნელი დელიქტების შექმნას არაეითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

საფრთხის შემქმნელი დელიქტების შექმნით უპირველესად სახელმწიფო ცდილობს დაიცვას განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები; კანონმდებელი დასჯადად აცხადებს ასეთი ობიექტების დაზიანების თვით შორეულ და უმნიშვნელო საფრთხის შექმნასაც კი. გარდა ამისა, ასეთი დელიქტების გათვალისწინება იმითაც არის პირობადებული, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ხოლო კანონმდებელს არ სურს დაუსჯელი დატოვოს ასეთი შემთხვევები².

საფრთხის შემქმნელი დელიქტების შექმნა ხშირად საკანონმდებლო პოლიტიკის მოსაზრებებითაც არის ნაკარნახები: კანონმდებელს სურს დამთავრების მომენტის უფრო ადრეულ სტადიაზე გადატანით უფრო მკაცრად დასაჯოს ესა თუ ის ქმედება (მაგ., ყაჩაღობა — სსკ-ის 96-ე, 152-ე მუხლები)³.

ლიტერატურაში, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში განსაზღვრული საკითხის თაობაზე გამოთქმული იყო აზრი, რომლის თანახმად, დანაშაულის ისეთ შემადგენლობას, რომლის დამთავრებისათვის საჭირო იყო ზიანის განხორციელება უნოდებდნენ სრულ შემადგენლობას, ხოლო საფრთხის შემქმნელ დელიქტს — „შეკვეცილ“ შემადგენლობას. ეს აზრი ეკუთვნის გერმანელ კრიმინალისტს კარლ ბინდინგს. შემდეგ იგი განავითარეს რუსმა რევოლუციამდელმა კრიმინალისტებმა კრუგლევსკიმ და მოკრინსკიმ.

ბინდინგის თეორია „შეკვეცილი“ შემადგენლობების შესახებ მჭიდროდ უკავშირდება და გამომდინარეობს მისი ნორმების

1 Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970. стр. 414-415. .

2 თ. ნერეთელი. დასახ. ნაშრ., გვ 51

3 იქვე გვ 53.

თეორიიდან. ბინდინგის მიხედვით დანაშაული მატერიალურად დამთავრებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე განახორციელებს ნორმით აკრძალული ქმედების ყველა ნიშანს. ასეთ ქმედებათა გარდა, არსებობენ ისეთი დელიქტები, რომლებიც ფორმალურად — კანონის თანახმად — დამთავრებულად ითვლებიან, მაგრამ ბუნებრივად არ არიან დამთავრებულნი. კანონმდებელი თითქოს ჰქვეყნებს ნათ და დამთავრების მომენტი გადააქვს წინა სტადიაზე რომელიც ჩვეულებრივად მცდელობის სტადიას შეესაბამება¹.

კრუგლევსკის აზრით, დელიქტი სრულია, როდესაც იგი მოიცავს ნორმით აკრძალული ქმედების ყველა ნიშანს (მატერიალური შემადგენლობის მქონე დელიქტი) და „შეკვეცილია“, როდესაც იგი მოიცავს ნორმით აკრძალული ქმედების მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს (ფორმალური დელიქტი)². მოკრიმსკის მიაჩნია, რომ „შეკვეცილ“ დელიქტთა შემადგენლობაში განზრახ არიან შეკვეცილნი ობიექტური მხრით, სუბიექტური მხარე კი, მთლიანი შენარჩუნებულია³.

„შეკვეცილი“ შემადგენლობების თეორიას იზიარებდა საბჭოთა პერიოდის ზოგიერთი კრიმინალისტიკა⁴.

„შეკვეცილ“ შემადგენლობათა აღიარება გაუგებრობაზეა დაფუძნებული. შემადგენლობა ყოველთვის ერთიანია და ყოველთვის „სავსეა“ იმ კონკრეტული ელემენტებით, რომელთაგან იგი კანონის თანახმად შედგება. თუ რომელიმე ელემენტი აკლია — არც შემადგენლობა არ არის. თუ ყველა ელემენტი არის — არის „სრული“ შემადგენლობა. ნახევარი, ნაწილობრივი შემადგენლობა არ შეიძლება არსებობდეს⁵.

დანაშაულის მომზადება. დანაშაულებრივი საქმიანობის პირველ დასჯად სტადიას მოსამზადებელი ქმედება წარმოადგენს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად „დანაშაულისათვის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება ან სხვაგვარი პირობების

1 სასარგებლებია თ. ნურეთელის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 54-55.

2 А. Н. Круглевский. Имущественные преступления. 1913, стр. 45.

3 С. П. Мокрицкий. Покушение и приготовление в советском праве. „Советское право“, 1927, 1, стр. 67-69.

4 Советское уголовное право. Общая часть, М., 1959, с. 213;

5 А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления. М., 1958, с. 99-100.

განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“.

დანაშაულის მომზადება უნდა გაიმჯინოს როგორც განზრახვის გამოძელებებისაგან, ისე დანაშაულის მცდელობისაგან. განზრახვის გამოძელებება არ წარმოადგენს ხელის შეწყობას დანაშაულის რეალურად განხორციელებისათვის, მაშინ, როცა მომზადება შესაძლებლად ხდის ან აადვილებს დანაშაულის განხორციელებას. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მომზადება და განზრახვის გამოძელებება.

ამგვარად, მოსამზადებელი მოქმედება ქმნის პირობებს მოძევაში დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს მოქმედება ყოველთვის აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად. ზოგჯერ შეიძლება მოსამზადებელი მოქმედების გარეშე მართლაც შეუძლებელი იყოს დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, ყალბი ფულის დასამზადებლად ხელსაწყოს გაკეთება), მაგრამ სხვა შემთხვევაში მოსამზადებელი მოქმედება მხოლოდ ხელს უწყობს ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას, რომელიც მის გარეშეც შეიძლება იქნეს ჩადენილი.

ვერ ვაღიარებთ მოსამზადებელ მოქმედებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც თუმცა მოქმედება მიმართულია იქეთკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ სინამდვილეში არ ქმნის პირობებს. მაგალითად, მკვლელობის მიზნით თოფის საყიდლად წასვლა, თუ თოფის ყიდვის ცდა მთავრდება უშედეგოდ. ასეთი მოქმედება ვერ ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად, რადგან იგი მეტად დიდი მანძილით არის დაშორებული მკვლელობისაგან და მეტად გრძელია იმ მოქმედებათა ჯაჭვი, რომლებიც არ შესრულებულა ეს მოქმედება ჯერ კიდევ არ ქმნის რეალურ შესაძლებლობას მკვლელობის ჩასადენად. ასეთი ხასიათის მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადების მომზადებად. იგი უფრო განზრახვის გამოძელებებას წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულის მომზადებას“.

დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა სხვადასხვა

1 ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

მოქმედებით შეიძლება გამოიხატოს. ასეთია დანაშაულის ჩასადენად საშუალების ან იარაღის გამოძენა თუ მომარჯვება. იარაღად ან საშუალებად ითვლება ყოველი საგანი, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად (მაგ., დანა, თოფი, სანამლაკი მკვლელობის ჩასადენად, გასაღები — ქურდობის, ჩასადენად და სხვა). ამასთან, დანაშაულის საშუალებად ითვლება ყოველი საგანი, რომელიც შეიძლება მომარჯვებული იქნეს დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად (მაგ., კიბე ქურდობის დროს, დასაძინებელი წამალი მსხვერპლის დასაძინებლად და ა.შ.).

გამოძენად ითვლება იარაღის ან საშუალების დამზადება საკუთარი ხელით, მათი ყიდვა, გაცვლა ან სხვაგვარად შეძენა. • საშუალების ან იარაღის მომარჯვებაში იგულისხმება მათი ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ გაადვილდეს მომავალში დანაშაულის ჩადენა (მაგ., კიბის მიდგმა კედელზე — ფანჯარაში გადასაძრომად — ქურდობის დროს, თოფში ტყვიის ჩადება, საჭმელში სანამლაკის ჩაყრა — მკვლელობის დროს და ა.შ.).

კანონში მითითებულია აგრეთვე დანაშაულის ჩასადენად სხვაგვარი პირობების შექმნა, რაშიც იგულისხმება დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვება, დანაშაულის ობიექტის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომ გაადვილდეს მის მიმართ დანაშაულის ჩადენა (მაგ., მსხვერპლის უკაცრიელ ადგილას გატყუება; საკუთარი თავის. ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება, მაგ., ჩასაფრება), დანაშაულის ხელშემშლელი პირობების უწინდელყოფა (მაგ., დარაჯის დათრობა და ა.შ.).

მოსამზადებელ მოქმედებას წარმოადგენს აგრეთვე თანამონაწილეთა გამონახვა დანაშაულის ჩასადენად, დანაშაულის ჩასადენად უშედეგო ნაქეზება ან დახმარება. დანაშაულისათვის მზადებად განიხილება ასევე პირის შეკვრა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. (მაგალითად, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა სახელმწიფო ან პირადი ქონების გატაცებისათვის). ზოგიერთი დანაშაულის ჩასადენად პირის შეკვრა დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს (მაგალითად, ანტისახელ-

მნიფორივი ორგანიზაციის შექმნა — მუხ. 73—ე, ბანდიტიზმი — მუხ. 78—ე და სხვა).

ამგვარად, მოსამზადებელი მოქმედების დროს მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი — განზრახვა, ხოლო ობიექტური ჭფეროში — მოქმედება, რომელიც არ არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი¹.

ამ თავსაზრისს არ ეთანხმება პროფ. დურმანოვი, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსამზადებელი მოქმედება თვით შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების შევსება ზოგადი ნაწილის ნორმების მეშვეობით ხდება, ხოლო, როგორც ცნობილია, ნორმა მოსამზადებელი მოქმედების შესახებ მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში².

პროფ. დურმანოვის ეს მოსაზრება წინააღმდეგობაში არ არის პროფ. ტრაინინის ზემოთ გადმოცემულ შეხედულებასთან. მოსამზადებელ მოქმედებაში, რა თქმა უნდა, არის დანაშაულის მომზადების შემადგენლობა, მაგრამ ეს მოქმედება არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეულ მუხლში. საფუძვით სამართლიანად მიუთითებს ნ.ლიასი, რომ მოქმედება როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი და როგორც შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანი პირდაპირ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, იგი ზუსტად არის განსაზღვრული კანონმდებლის მიერ, მაგალითად — გატაცება, მკვლელობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და ა.შ. მომზადება არ წარმოადგენს ასეთ მოქმედებას, იგი მხოლოდ პირობებს ქმნის ამ მოქმედების შესასრულებლად, მაგალითად, იარაღის შექმნა ქურდობისათვის და სხვა.

მოსამზადებელი მოქმედება მხოლოდ განზრახ ბრალს გულისხმობს. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული

1 ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 300-302.

2 ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 64-65.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლში. განზრახვა ამ დროს მიმართულია არა მოსამზადებელ მოქმედებაზე როგორც ასეთზე, არამედ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე და იგი უნდა მოიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომელიც შედის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობაში. განზრახვა უნდა არსებობდეს მოსამზადებელი მოქმედების ჩადენის მომენტში. მაგალითად, თუ ვინმემ იყიდა დანა ან თოკი — და შემდეგ დაებადა მათი რაიმე დანაშაულის ჩასადენად გამოყენების განზრახვა, ასეთი მოქმედება ვერ ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად.

მოსამზადებელი მოქმედება დაისჯება იმ კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დამთავრებული დანაშაულისათვის. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილში (მაგ. განზრახვი მკვლელობის მომზადება დაისჯება საქ.სსკ-ის მე-17—105 მუხლებით):

კანონში არაფერია ნათქვამი, რომ მომზადება ისჯება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში მომზადების დასჯადობა მეტად იშვიათია.

მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის თაობაზე ერთიანი აზრი არ არის იურიდიულ ლიტერატურაში.

კრიმინალისტების ერთი ნაწილი მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯადობის მომხრე იყო¹, ხოლო მეორე ნაწილი მოითხოვდა მოსამზადებელი მოქმედების საერთო წესით დაუსჯელობას და მის დასჯას ან დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის სახით² ან კანონით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში.²

¹ ნ. ლასი, დასახ. ნაშრ., გვ. 51-52.

² А. Н. Трапкин. Уголовная ответственность за приготовительные к преступлению действия. "Социалистическая законность", 1953, 12, стр. 28-33; ნ. კუზნეცოვა დასახ. ნაშრ., გვ. 71-78 და სხვებ.

მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დაუსჯელობის მომხრეებს შემდეგი არგუმენტები მოაქვთ თავიანთი შეხედულების სასარგებლოდ: მოსამზადებელი მოქმედება, როგორც წესი, არ შეიცავს რაიმე სერიოზულ საფრთხეს სამართლით დაცული ობიექტისათვის; იგი ჩვეულებრივ არ შეიცავს საზოგადოებრივ საშიშროებას; არც ამ მოქმედების ჩამდენს ახასიათებს ისეთი საშიშროება, რომ საჭირო იყოს მის მიმართ სასჯელის გამოყენება; მომზადება საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული დანაშაულის დამთავრებიდან და შეიძლება ნარმოიშვან გარემოებანი, რომლებიც ხელს შეუშლიან დანაშაულის განხორციელებას, საშიში შედეგის განხორციელების ხარისხი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია აქ ვიგულისხმოთ რეალური და უშუალო საფრთხის არსებობა სამართლით დაცული სიკეთისათვის; მოსამზადებელი მოქმედების დროს განზრახვა შეიძლება არც იყოს კონკრეტიზირებული, ასეთი მოქმედება მეტად გაურკვეველ ხასიათისაა და მისი გამიჯვნა ნებადართული ქმედებისაგან ძნელია; დაბოლოს, მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა შეუძლებელს ხდის დანაშაულზე ხელის აღებისათვის დადგენილი დაუსჯელობის შეღავათის გამოყენებას, რომელიც სუბიექტს ეძლევა ნინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის მთელს მანძილზე.

აღნიშნული მოსაზრებების სანინააღმდეგოდ, მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯის მომხრეთა აზრით, ყველა შესაძლებელი მოსამზადებელი მოქმედებისათვის საერთოა ის, რომ ეს მოქმედებანი შეიცავენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას; მტკიცება — მოსამზადებელი მოქმედების გაურკვეველი ხასიათის შესახებ,

1 М.А. Чельцов. Спорные вопросы учения о преступлении. "Социалистическая законность", 1947. 4, с. 8-9.

М.Копален. Ответственность за приготовления к преступлению действия. "Социалистическая законность". 1954. 8, с. 20-23; Т. Церетели. Принципная связь в уголовном праве. 1957. М., с. 236-242; თ. წერეთელი, ე. მაყაშვილი. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი საკითხი „საბჭოთა სამართალი“ 1957, 1, გვ. 47-48; 1 Курс советского уголовного права. М., 1970. с. 423 და სხვები.

არ შეესაბამება სინამდვილეს და ადასტურებს, რომ ამ ავტორებს არ ესმით სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედების — დანაშაულის მომზადების ბუნება. იმასაც აღნიშნავენ, რომ მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობის შემთხვევაში გაჭირდებოდა მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თუმც ამ ორი სტადიის საკანონმდებლო განსაზღვრის პირობებში ასეთი შიში არ უნდა იყოს გამართლებული.

ავტორები, რომლებიც მოითხოვდნენ დანაშაულის მომზადების საერთო წესით დაუსჯელობას, საჭიროდ მიიჩნევდნენ ამ საერთო წესიდან გარკვეული გამოთქმის დაშვებას. სახელდობრ, ამ საკითხის გადაჭრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ხელყოფის ობიექტის ღირებულება და ის, თუ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რა შესაძლებლობას ქმნიდა მოსამზადებელი მოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაც უფრო დიდი ღირებულების შემცველია ობიექტი, მით უფრო მისი დაზიანების შორეული სტადია შეიცავს საზოგადოებრივი საშიშროების გაზრდილ ხარისხს, და, პირიქით (მაგალითად, განზრახი მკვლელობა, სახელმწიფო დანაშაული და სხვა მისთ.). ამის შესატყვისად, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მუხლი, რომლის თანახმად მოსამზადებელი მოქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა მხოლოდ კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მითითებულ შემთხვევაში, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში ჩამოთვლილი იქნებოდა დანაშაულის ის შემადგენლობები, რომელთა მომზადებაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.

ამ მოსაზრების მიმართ გამოითქვა ეჭვი, რომლის თანახმად მომზადების პრინციპული დაუსჯელობა და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოსამზადებელი მოქმედების კონკრეტული შემადგენლობების ზუსტი ჩამოთვლა გამოიწვევდა მოსამზადებელი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის არა თუ შეზღუდვას, არამედ გაფართოებას, ვინაიდან უკვე ყოველი ასეთი შემთხვევა აუცილებლად დაისჯებოდა და სასამართლო არ გამოიყენებდა საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილს.

მაგრამ ასეთი ეჭვი არ არის გამართლებული. როგორც მიუთითებს პრიფ. თ.წერეთელი, თუ კი მომზადებისა და მცდელობის პრინციპული დასჯადობის აღიარება ხელს არ უშლის მოსამართლეს სსკ-ის მე-8 მუხლის § ნაწილის შეფარდების დროს, რატომ უნდა გაჩნდეს ასეთი ეჭვი მომზადების პრინციპული დაუსჯელობის აღიარების შემთხვევაში. მე-8 მუხლის § ნაწილით გადმოცემული დებულება ერთნაირად მოქმედებს როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი დანაშაულის დროს.

დანაშაულის მცდელობა. დანაშაულის მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც ქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს. იგი არის მოქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად. სწორედ ამ მომენტით იგი განსხვავდება როგორც დანაშაულის მომზადებისაგან, ისე დამთავრებული დანაშაულისაგან: მოსამზადებელი მოქმედების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს, ხოლო დამთავრებული დანაშაულის დროს ობიექტი უკვე დაზიანებულია.

საფრთხის ცნება, რომელიც იხმარება მცდელობის დასახასიათებლად დიდ დავას ინვეს იურიდიულ ლიტერატურაში.

სისხლის სამართლის თვალსაზრისით საფრთხე არის მანვ შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, მაშასადამე იგი შესაძლებლობის კატეგორიას განეკუთვნება.

საფრთხის არსის გაგებისათვის აუცილებელია შესაძლებლობის ცნების შინაარსის გარკვევა. შესაძლებლობა სინამდვილის განვითარების პროცესია; იგი განსხვავებული უნდა იქნეს სინამდვილისაგან. შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე, მაგრამ იგი სინამდვილის გარკვეული მხარეა, რამდენადაც შესაძლებელი მხოლოდ ის არის, რასაც სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია გააჩნია. ამ თვალსაზრისით რეალური შესაძლებლობა განსხვავდება ფორმალურისაგან ანუ ლოგიკური შესაძლებლობისაგან. ფორმალური შესაძლებლობის დროს ყველაფერი შესაძლებელია, მაგალითად, ხის რკინა, შესაძლებელია მთვარე ამ ღამით დაეცეს დედამიწას¹, ხოლო რეალური შესაძლებლობის

¹ Гейль, соч. т. 1. Лекции. 1930. с. 241.

დროს შესაძლებელია მხოლოდ ის, რაც ობიექტური პირობებით არის შესაძლებელი. თუმცა შესაძლებლობას საფუძველი სინამდვილეში აქვს, მაგრამ რადგან ყოველი საფუძველი წინააღმდეგობრივია და შეიძლება განვითარდეს საანინააღმდეგო მიმართულებითაც, ამდენად შესაძლებლობა შეიძლება არც იქცეს სინამდვილედ. ე.ი. შესაძლებლობა, როგორც პოტენციური სინამდვილე ყოველთვის პრობლემატურია, ხოლო მოვლენის განხორციელება ამ პრობლემის გადაჭრად გვევლინება. მოვლენის განხორციელების დროს მოვლენის ქმედითი პირობები სძლევენ მოვლენის ხელშემშლელ პირობებს, ამდენად სხვადასხვა შესაძლებლობათა წრე იზღუდება, საანინააღმდეგო პირობები ისპობიან და განსაზღვრული შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცევა. ამ პროცესში წარმოიშობა შესაძლებლობის ხარისხის საკითხი, სახელდობრ, რაც უფრო მძლავრია ქმედითი პირობები და სუსტია ხელშემშლელი, მით უფრო დიდია რაიმე მოვლენის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი და, პირიქით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საფრთხე, ანუ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა არის მაშინ, როდესაც კონკრეტულ სინამდვილეში მოიპოვება მისი განვითარების ქმედითი პირობები, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონზომიერად მოსალოდნელია მავნე შედეგის განხორციელება.

სწორედ ეს რეალური საფრთხე, მავნე შედეგის განხორციელების ეს რეალური და უშუალო შესაძლებლობა არსებობს დანაშაულის მცდელობის დროს და ამიტომაც იგი დანაშაულის მომზადებასთან შედარებით უფრო დიდი საშიშროების შემცველი!

იურიდიულ ლიტერატურაში იმ მოსაზრების საანინააღმდეგოდ, რომ მცდელობა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უშუალო და რეალურ საფრთხეს ქმნის, გამოითქვა საპირისპირო მოსაზრება. კერძოდ, პროფ. კუზნეცოვას აზრით, მცდელობა მავნე შედეგის განხორციელების არა მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას ქმნის, არამედ მის აუცილებლობასაც და რომ შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა უკვე დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებაშია მოცემული².

1 თ. წერეთელი, დაახ. ნაშრ., გვ 102-114.

2 ნ. კუზნეცოვა, დაახ. ნაშრ., გვ 81-82.

ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება პროფ. ნერეთელი, რომელიც თვლის, რომ მოსამზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ ქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ და უშუალო საშიშროებას, თუმც, რა თქმა უნდა, გარკვეული საშიშროება აქაც ექმნება სამართლით დაცულ სიკეთეს. გარდა ამისა, პროფ. ნერეთელს მიაჩნია, რომ პროფ. კუზნეცოვა ერთმანეთში ურევს შესაძლებლობისა და აუცილებლობის ცნებებს: შესაძლებლობა შეიცავს სინამდვილედ გადაქცევის მხოლოდ ტენდენციას, რაც დამახასიათებელია მცდელობისათვის. ხოლო თუ მცდელობის დროს ვალიარებთ შედეგის განხორციელების აუცილებლობას - ეს იქნება უკვე დამთავრებული დანაშაული და არა მცდელობა!

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად - დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრებას უკავშირებდნენ დანაშაულის შემადგენლობის ცნებას. კერძოდ, მცდელობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, გარდა ერთისა - შედეგისა¹. ეს განსაზღვრება მეტად ვინროა და არ მოიცავს დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევებსაც. თუ ბოროტმოქმედა თოფი დაუმინა მსხვერპლს და ხელი აუჯრეს ეს მკვლელობის მცდელობაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მკვლელობის ობიექტური მხარე აქ მთლიანად არის განხორციელებული².

დანაშაულის მცდელობის ამ განსაზღვრების გვერდით ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, მცდელობა არის მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის

1 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

2 ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 297; 5. კუზნეცოვა დასახ. ნაშრ., გვ. 82-83.

3 ნ. დურძანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

განსახორციელებლად! ეს განსაზღვრება, როგორც უფრო სრულყოფილი, აისახა კიდევაც მცდელობის საკანონმდებლო ფორმულაში და მართლაც, მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, ქმნის დანაშაულებრივი შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს. ასეთ მოქმედებას კანონზომიერად შეიძლება მოყვეს დანაშაულებრივი შედეგი, თუ მას რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი. ზოგიერთ კრიმინალისტს მიაჩნია, რომ მოცემული ფორმულა გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ, ეს განმარტება კონკრეტიზირებული უნდა იყოს იმაზე მითითებით, რომ მცდელობის დროს დამნაშავე უკვე ხელყოფს ობიექტს. აღნიშნულის შესაბამისად მცდელობა უნდა განისაზღვროს - როგორც მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად, დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად, როდესაც დამნაშავემ უკვე ხელყო ობიექტი. მომზადების დროს კი მცდელობისაგან განსხვავებით, ობიექტი ჯერ კიდევ არ არის ხელყოფილი?.

პროფ. ნერეთლისა და ვ.მაყაშვილის აზრით ასეთი განსაზღვრება ხელს კი არ უწყობს მცდელობის არსის ზუსტ დადგენას, არამედ გაუგებარს ხდის მას, ვინაიდან თავის მხრივ დასადგენია, თუ როდის ხელყო პირმა ობიექტი. თუ დანაშაულის ობიექტს გავიგებთ ფართო მნიშვნელობით მიუთითებენ ხსენებული ავტორები - როგორც მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაშინ ხელყოფა მოიცავს მოსამზადებლ მოქმედებასაც, რამდენადაც ყოველი დანაშაული აუცილებლად მიმართულია რაიმე საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, ხოლო თუ ობიექტის ცნებას გავიგებთ უფრო ვიწროდ, როგორც რაიმე საგანს, რომელიც განიცდის უშუალო ზემოქმედებას, მაშინ აღნიშნული ფორმულა უფრო ვიწროა, რადგანაც გამოდის, რომ ხელყოფის ობიექტის დაზიანება აუცილებელია მცდელობისათვის,

1 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 126; М. И. Якубовичи, В.Ф. Кириченко. Советское уголовное право. Часть, общая. М., 1968, стр. 116.

2 ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 108

რაც სრულებით არ ახასიათებს დაუმთავრებელ მცდელობას და მცდელობას ადგილზე არმყოფ ობიექტზე.

ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით მოქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე - გააზრებული უნდა იყოს არა როგორც მოქმედება, რომლითაც იწყება დანაშაულის აღსრულება, ე.ი. ობიექტური თავლსაზრისით, არამედ სუბიექტურად, როგორც დამნაშავის ნების სუბიექტური წარმართვა დანაშაულის შესასრულებლად: თუ სუბიექტი ფიქრობს, რომ მისი მოქმედება მიმართულია დანაშაულის შესასრულებლად, ეს უკვე მცდელობაა, თუნდაც სინამდვილეში დანაშაული არც შესრულდეს². ეს სუბიექტური, არასწორი შეხედულება მცდელობის ბუნების შესახებ არ გაიზიარა არც სისხლის სამართლის თეორიამ, არც პრაქტიკამ და მითუმეტეს, არც კანონმდებლობამ.

შეხედულება მცდელობის სუბიექტური არსის თაობაზე, ჯერ კიდევ 1871 წ. გამოთქმული იყო გერმანელი კრიმინალისტიკის ბირლინგის მიერ გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 42 პარაგრაფის ფორმულასთან დაკავშირებით, სადაც მცდელობა სუბიექტურად იყო გაგებული. ეს შეხედულება გაკრიტიკებული იქნა ასევე გერმანელი კრიმინალისტიკის მაიურის მიერ. იგი მიუთითებდა, რომ განზრახვის განხორციელების დასაწყისი და მოქმედების განხორციელების დასაწყისი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი მნიშვნელობით. ამის საილუსტრაციოდ მას ასეთი მაგალითი მოყავდა თუ ვინმე მიანვება დიდი სიმძიმის ქვას მისი ადგილიდან დაძრვის მიზნით, რაც განუხორციელებელია - ეს შეიძლება ჩაითვალოს განზრახვის განხორციელების დასაწყისად, მაგრამ სასაცილო იქნებოდა პიროვნების ფიზიკური ძაბვა ქვის ადგილიდან დაძრვის დასაწყისად მიგვეჩნია.³

1 მ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი. რევენზია პროფ. ნ. დურმანოვის დასახ. ნაშრომზე ჟურნალ "Советское государство и право"-ზე, 1957, №6 გვ. 131; იგივე მოსაზრებას იზიარებს ნ. კუზნეცოვა (დასახ. ნაშრ. გვ. 83-85) და И.С. Тишкевич. Приготовление и покушение по уголовному праву. М., 1958, стр.

2 М.А. Шаргородский. Преступления против жизни и здоровья. М., 1948, стр. 256.

3 ნასაარგებელია თ. წერეთელის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 128-129.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლში გადმოცემული დებულება ობიექტურად უნდა იქნეს გაგებული, ე.ი. აქ, იგულისხმება ისეთი მოქმედება, რომელიც არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში, არამედ რეალურად იწყებს დანაშაულის განხორციელებას, რომელსაც კანონზომიერად დანაშაულებრივი შედეგი უნდა მოყვეს, თუ რაიმე შემთხვევითი გარემოება არ შეუშლის ხელს.

მოქმედების აღიარება მომზადებად, მცდელობად, თუ დამთავრებულ დანაშაულად დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე. ამიტომ ეს საკითხი გადანყდება კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის თავისებურების მიხედვით. მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთი სახელმძღვანელო დებულების... ჩამოყალიბება:

1. დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტის შესრულება იქნება დამთავრებული დანაშაული და არა მცდელობა;

2. მცდელობა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილ მოქმედებას რაიმე ახალი მოქმედების გარეშე უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

3. მცდელობაა მაშინაც, როდესაც პირი დაესხმის ხელყოფის ობიექტს, მაგრამ მოქმედებას ვერ ამთავრებს. მაგალითად, ნივთის გატაცების მიზნით, დამნაშავე ხელს დააკლებს მას, მაგრამ იქვე დააგდებინებენ;

4. მცდელობაა იმ შემთხვევაშიდაც, როდესაც დამნაშავემ მოამზადა ყველა პირობა და უშუალოდ გადავიდა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაზე, მაგალითად, პირმა დაუმიზნა თოფი თავის მტერს, ქურდი შევიდა სადგომში.

მცდელობა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მან არ გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი სუბიექტის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაიშლება ყოველგვარი ზღვარი მცდელობასა და ხერაყოფლობით მიტოვებულ დანაშაულს შორის, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელისათვის არის დამახასიათებელი დანაშაულებრივი შედეგის არ განხორციელება

სუბიექტის ნებისაგან დამოკიდებული მიზეზების გამო.

დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვ. ამაზე სპეციალურად არის მითითებული საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლში. განზრახვა მცდელობის დროს ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რაც მას ახასიათებს დამთავრებული დანაშაულის დროს; სუბიექტს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, მიზეზობრივი კავშირი მის მიერ ჩადენილ მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნების გარდა, ასევე აუცილებელია მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება.

ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ არსებობს ობიექტური და სუბიექტური თეორიები.

ობიექტური მიმართულების თანახმად, დაუმთავრებელი დანაშაული შეიძლება იმ შემთხვევაში დაისაჯოს, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა გამოვლინდა მოქმედებით, რომელიც დანაშაულის აღსრულების დასაწყისს წარმოადგენს. ამ თეორიის წარმომადგენლები უარყოფენ როგორც ლიტონი განზრახვის, ისე მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობასაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა სპეციალურად არის აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, ან მომზადება ისჯება როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული - *Sui generis*.

მომდევნო პერიოდში ობიექტური თეორიები სუბიექტურმა შესცვალა.

სუბიექტური თეორიის წარმომადგენელთა მიხედვით, ისჯება არა ქმედება, არამედ მხოლოდ დანაშაულებრივი განზრახვა, ხოლო გარეგან მოქმედებას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ადასტურებს დანაშაულებრივი ნების არსებობას, იგი მხოლოდ სუბიექტის ანტისოციალური ფსიქიკური განწყობის დამამტკიცებელი ფაქტია. ამრიგად, მცდელობის სუბიექტური თეორიები ასაბუთებენ სიმპტომატურ შეხედულებას დანაშაულზე, როთაც გარკვეული ნიადაგი მოამზადეს სოციოლოგიური სკოლის

ნარმოშობისათვის სისხლის სამართალში.

მცდელობის სუბიექტური თეორიები უძლურნი აღმოჩნდნენ მოქმედნათ განმასხვავებელი ნიშანი მომზადებასა და მცდელობას შორის, ვინაიდან დანაშაულებრივი ნების სიმტკიცე შეიძლება საკვებით ერთნაირი იყოს დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების ყველა სტადიაზე - სუბიექტური თეორიები აფართოებენ დასჯადობის სფეროს, ვინაიდან ამ თეორიის მიხედვით დასაშვებია არა მხოლოდ მცდელობის ადრინდელი სტადიის, არამედ განზრახვის გამოძეგლავების დასჯაც¹.

მცდელობა შეიძლება გამოვლინდეს ისეთ მოქმედებაში, რომელიც მეტ-ნაკლებად არის დაშორებული დანაშაულებრივი შედეგისაგან. აღნიშნულის შესაბამისად, სისხლის სამართლის ლიტერატურაში და კანონმდებლობაში მოცემულია მცდელობის სახეთა კლასიფიკაცია დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. მაგრამ კრიმინალისტთა შორის ამ საკითხზე არ არის ერთიანი აზრი, კერძოდ, აღნიშნული დაყოფის წინააღმდეგ გამოვიდნენ პროფესორი ატრაინინი, ნ.კუზნეცოვა და სხვები.

პროფ. ნ.კუზნეცოვას აზრით ასეთი დაყოფა არ გამომდინარეობს მცდელობის ბუნებიდან, ვინაიდან მცდელობა ნარმოადგენს დანაშაულის აღმასრულებელ ერთიან და განუყოფელ მოქმედებას, რომლის ყოველი ნაწილი ერთნაირად აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად; თანაც მცდელობის მოქმედება იმდენად სწრაფად მიმდინარე აქტია, რომ დასაწყისისა და დაბოლოების ერთმანეთისაგან გაყოფა ბითქმის შეუძლებელია. დაყოფას არა აქვს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან დანაშაული ბოლომდე არ ხორციელდება დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო².

ამ შეხედულების საპირისპიროდ, ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მცდელობის სახეების სხვადასხვაგვარ დასჯა-

1. აღნიშნული თეორიები და მათი კრიტიკა დანკრილებით იხ. თ. ნერეთელის ღაბა. ნაშროში, გვ. 140-141.

2. ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

დობას, მაგრამ ამავე კანონმდებლობით არც მოსამზადებელი
ქოქმედებისა და მცდელობის განსხვავებული დასჯადობაა
წირდაპირ მითითებული, მაგრამ საქართველოს სსკ-ის მე-17
მუხლის მე-4 ნაწილის სიტყვებში: „სასჯელის დანიშვნის დროს
სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშავეის მიერ
დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს...“,
ანორედ ეს მომენტიცაა გათვალისწინებული: სასამართლომ
სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიიღოს შეასრულა
აუ არა მცდელობის სუბიექტმა თავისი მოქმედება ბოლომდე,
შაგალითად, დაუმიზნა თოფი, მაგრამ ჯერ არ გაუსროლია
(დაუშთავრებელი მცდელობა), დაუმიზნა თოფი და გაისროლა
(დამთავრებული მცდელობა). დაუშთავრებელი მცდელობის დროს
თვით სუბიექტიც არ არის იმდენად საშიში საზოგადოებისათვის,
როგორც დამთავრებულ მცდელობის დროს. როგორც რუსი
კრიმინალისტი კოლოკოლოვი აღნიშნავდა - სწორედ უკანასკნელი
აქტი, თოფის გასროლა მოითხოვს ამ შემთხვევაში დანაშაუ-
ლებრივი ნების სრულ დაძაბვას!

მცდელობის დაყოფას ორ სახედ დიდი მნიშვნელობა აქვს
ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის საკითხის გადაჭრი-
სთვისაც, რადგან დაუშთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე
ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ფორმით ვლინდება, ხოლო
დამთავრებული მცდელობისას კი, - აქტიური ფორმით.

ვერც ის მოსაზრება იქნება გაზიარებული თითქოს მცდელობა
ყოველთვის სწრაფად განხორციელებული აქტია. შეიძლება, რა
თქმა უნდა, ასეც მოხდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება
არა მხოლოდ დაუშთავრებელი მცდელობის, არამედ საერთოდ
დამთავრებული მცდელობის შესაძლებლობაც. ამიტომ ეს აზრი
არ შეიძლება განვაზოგადოთ და ამის საფუძველზე უარყოთ
მცდელობის ორ სახედ დაყოფის აუცილებლობა².

კრიმინალისტიების უმრავლესობა სავსებით სამართლიანად

1 Уголовное уложение. Проект редакционной комиссии и объяснения
к нему. Т. 1. С. II. 1897. стр. 427.

2 ი. ტიშკერი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

მიიჩნევს მცდელობის ორ სახედ დაყოფის საჭიროებას¹, მაგრამ დავაა იმ კრიტერიუმების თაობაზე, რომელთა საშუალებითაც მცდელობის ეს ორი სახე ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს.

კრიმინალისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მცდელობის სახეები ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სუბიექტური კრიტერიუმის მიხედვით, ე. თვით დანაშაულის წარმოდგენის მიხედვით იმის თაობაზე, შეასრულა თუ არა მან ყველაფერი, რაც დანაშაულებრივი შედეგის დადგომისათვის იყო აუცილებელი. აღნიშნულის შესაბამისად, დაუმთავრებელია მცდელობა, როდესაც პირს არ გაუყუთებია ყველაფერი, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში წინსაყვანად, ხოლო დამთავრებულია მცდელობა როდესაც იგი ფიქრობს, რომ ყველაფერი გააკეთა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ შედეგი რაღაც მიზეზების გამო არ განხორციელდა².

სუბიექტური შეხედულება დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის შესახებ გაკრიტიკებულია. ჯერ ერთი, რამდენადაც დანაშაულის მცდელობა და დანაშაულის მომზადება ობიექტური ნიშნების მიხედვით: არის განსაზღვრული და ერთმანეთისაგან განსხვავებული, ამდენად ლოგიკური თანმიმდევრობა მოითხოვს, რომ მცდელობის სახეებიც ამ ნიშნებით განისაზღვროს. გარდა ამისა, სუბიექტურმა კრიტერიუმმა შეიძლება დიდი სხვადასხვაობა გამოიწვიოს აღნიშნული საკითხის გადაჭრისას. სუბიექტური შეხედულების თანახმად, მცდელობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, როდესაც სუბიექტმა ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად, მაგრამ იგი თვლიდა რომ კიდევ რაღაც დარჩა გასაკეთებელი, და პირიქით, მცდელობა დამთავრებულია, თუ სუბიექტს არ გაუყუთებია ყველაფერი, რაც საჭირო იყო შედეგის მისაღწევად, თუ იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ მან ყველაფერი გააკეთა შედეგის დასადგომად. მხედველობაშია მისაღები პროცესუალური ხასიათის მოსაზრებებიც. ძალიან ძნელია, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც

¹ В.Ф. Кирпиченко. Значение ошибки по советскому уголовному праву М., 1952. стр. 91; Б. ღურბანოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 142-147; თ. ნურეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 148-149 და სხვა.

² Курс советского уголовного права. т. 1. Л., 1968, стр. 562; Уголовное право. Общая часть. Учебник М., 1994, с. 268.

კი, - დამტკიცება იმისა, თუ რას ფიქრობდა დამნაშავე!

პროფ. თ. ნერეთლის აზრით, მცდელობის დაყოფას საფუძვლად უნდა დაედვას ობიექტური კრიტერიუმი. მაგრამ ამ ობიექტურ ნიშნში არ იგულისხმება პირის მიერ ყოველივე იმის გაკეთება, რაც აუცილებელია შედეგის მისაღწევად. თუ სუბიექტმა ყველაფერი გააკეთა შედეგის განსახორციელებლად, იგი უნდა განხორციელდეს კიდევ. ამიტომაც დამთავრებულია მცდელობა, როცა პირმა გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრით საჭირო იყო შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ესროლა და ვერ მოახვდარა), ხოლო დაუმთავრებელი მცდელობის დროს, პირმა არ გააკეთა ყოველივე ის, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად (დაუმიზნა თოფი და ხელი აუკრეს, მოუღერა დანა, მაგრამ გააგდებინეს)?

ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება მცდელობის სახეობად დაყოფის დროს შერეული კრიტერიუმის — ობიექტური და სუბიექტური ნიშნების შერწყმის თაობაზე, რაც ნიშნავს დანაშაულის ფაქტიური დამთავრების ხარისხის დამთხვევას დამნაშავის მიერ მის შეფასებასთან. მაგრამ სინამდვილეში პირს ხშირად არ შეუძლია სწორად შეაფასოს საკმარისია თუ არა მოქმედება დანაშაულის დამთავრებისათვის (მაგალითად, მკვლელობის მიზნით აძლევს დაზარალებულს სანამლავის ისეთ დოზას, რომელიც მისი აზრით საკმარისია სიკვდილის გამოსანჯვევად, მაგრამ ფაქტიურად ეს დოზა არასაკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული შედეგის გამოსანჯვევად).

მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ე.წ. მატერიალური დანაშაულის დროს; რაც შეეხება ფორმალურ დანაშაულს — აქ, მხოლოდ დაუმთავრებელ მცდელობაზე შეიძლება ლაპარაკი,

1 ი. ტიშკევიჩი. დასახ. ნაშრ., გვ. 159.

2 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 152-153; Советское Уголовное право. Общая часть. М., 1988. стр. 170.

3 ე. ივანოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 76-81

ვინაიდან, თუ მოქმედება უკვე შესრულებულია, იქნება დამთავრებული დანაშაული და არა დამთავრებული მცდელობა.

მცდელობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს უვარგისი მცდელობა. ამ დროს დანაშაულებრივი შედეგის განუხორციელებლობის მიზეზი სუბიექტის ფაქტიური შეცდომაა ხელყოფის საშუალებებსა და ობიექტში.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა უვარგისი მცდელობის საკითხს სპეციალურად არ ანესრიგებს.

ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის ცნებაში არსებითად განსხვავებულ მოვლენებს აერთიანებენ, რომლებიც სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად უნდა შეფასდეს მაგალითად, უვარგისი საშუალებებით მცდელობაში გულისხმობენ ისეთ შემთხვევას, როდესაც სუბიექტის მიერ არჩეული საშუალება გამოსადეგია დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა რაიმე გარემოების გამო, და ისეთ შემთხვევასაც, როცა არჩეული საშუალება გამოუსადეგია დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად. იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც გამოყენებულია აბსოლუტურად უვარგისი საშუალებები, როდესაც ეს საშუალებები ამორჩეულია მხოლოდ უკიდურესი უვიცობისა და ცრუმორწმუნეობის გამო და მათ არავითარ შემთხვევაში არ ძალუძთ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი (მაგალითად, ვინმე ცდილობს მკვლელობის ჩადენას შელოცვის გზით). ამ საშუალებებს არ შეუძლიათ საფრთხეში ჩააგდონ ადამიანის სიცოცხლე, ისინი შეიძლება ცნობილნი იქნენ მხოლოდ განზრახვის გამოძევადად რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც გამოყენებულ საშუალებას საზოგადოდ შეუძლია გამოიწვიოს განზრახული შედეგის განხორციელება, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში უვარგისი აღმოჩნდა (მაგალითად, თუ პირმა გაისროლა რევოლვერიდან, რომელშიდაც წინასწარ ჩადო ტყვი მაგრამ აღმოჩნდა, რომ გასროლის წინ მესამე პირს იგი რევოლვერიდან ამოუღია). ასეთ მოქმედებას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების ობიექტური ტენდენციაც გააჩნია და

არა მხოლოდ სუბიექტური მიზანდასახულობა, ამიტომ ჩადენილია საესებით ვარგისი მცდელობა, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია და სასჯელს იმსახურებს.

რაც შეეხება უვარგის ობიექტზე მცდელობის საკითხს, იგი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ინვედა დავას საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში. მოითხოვდნენ, რომ ეს ტერმინი შეცვლილიყო „მცდელობად არარეალურ ობიექტზე“, რადგან სისხლის სამართალში არ არსებობს უვარგისი ობიექტი, ანდა უვარგის ობიექტზე მცდელობა შეცვლილიყო ტერმინით — „მცდელობა უვარგის საგანზე“. უვარგისია არა ობიექტი, არამედ საგანი, მიუთითებდნენ, რომ სისხლის სამართალში ობიექტად ითვლება არა საგანი, რომელიც ზიანს განიცდის დანაშაულებრივი ხელყოფის დროს, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობები და მოქმედებას სწორედ თავდასხმის საგნის უვარგისობის გამო არ შეუძლია ზიანი მიაყენოს ამ ურთიერთობებს¹. „უვარგის ობიექტზე“ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ხელყოფილია ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც არ იცავს სამართალი.

თ. წერეთლის აზრით ობიექტის საგნით შეცვლის მოთხოვნა დაცვის ობიექტისა და ხელყოფის ობიექტის ერთმანეთში არეკით არის გამოწვეული. მკვლელობის ამკრძალავი ნორმა იცავს ადამიანის სიცოცხლეს, ქურდობის ამკრძალავი ნორმა კი, — საკუთრებას. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის ობიექტი პირველ შემთხვევაში არის ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ქურდობის დროს საკუთრების უფლება. ამავე დროს, ხელყოფის ობიექტი მკვლელობის დროს არის ცოცხალი ადამიანი, ქურდობისას — ის ნივთი, რომელსაც იტაცებენ.

თუ თავდასხმის უშუალო ობიექტი თავისი ბუნებით ისეთი თვისებისაა, რომ საერთოდ გამოსადეგია აღნიშნული დანაშაულის ჩასადგენად

1 ნ. დურმინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

2 ვ. კორჩინკო დასახ. ნაშრ., გვ. 47; ნ. კუზნეცოვა დასახ. ნაშრ., გვ. 98-99; ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 170-171

იქნება მცდელობა ჩვეულებრივი მნიშვნელობით და ეს შემთხვევა დაისჯება როგორც ყოველი სხვა მცდელობა (მაგალითად, ქაროლეს ადამიანს, რომელსაც ტყვიავაუმტარი ჯავშანი აცვია). სხვაგვარად გადანყდება საკითხი, როდესაც თავდასხმის ობიექტი თავისი თვისებით არ არის გამოსადეგი დანაშაულის ჩასადენად. ასეთი შემთხვევები განიხილება როგორც მოსამზადებელი მოქმედება და არა როგორც მცდელობა (გვამისათვის სროლა, საკუთარი ნივთის გატაცება).

უვარგის მცდელობას აკუთვნებენ აგრეთვე მცდელობას ადგილზე არ მყოფ ობიექტზე (მაგალითად, პირი ისვრის სანოლისაქვს, პგონია, რომ იქ მისი მტერი წევს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ დროს ოთახში არ იმყოფება; ქურდი ჯიბეში ხელს ჩაუყოფს გამვლელს, მაგრამ იქ არაფერი არ აღმოჩნდება), რაც არ არის სწორი. ამ დროს პირის მოქმედებით რეალური საფრთხე ექმნება ობიექტს. დანაშაულებრივი შედეგი მხოლოდ შემთხვევითი გარემოების გამო არ განხორციელდა. ასეთი შემთხვევა არ შეიძლება მიეკუთვნოს მცდელობას უვარგის ობიექტზე, მას არავითარი სპეციფიკურობა არ ახასიათებს და განიხილება როგორც დასჯადი მცდელობა¹.

სისხლის საშართლის დასავლურ ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი დიდ დავას იწვევს და მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემას მრავალი შრომა მიეძღვნა, იგი დღემდე გადაუჭრელია.

პირველად ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ამახელ ფოიერბახმა მიაქცია, რომელიც მის გადაჭრას მცდელობის ობიექტური თეორიის სანყისებიდან შეეცადა. ფოიერბახის მიხედვით, ასეთი მოქმედება უნდა დაისჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ობიექტური თვისებების მიხედვით მიზნობრივ კავშირშია განზრახულ შედეგთან, ე.ი. ობიექტურად საშიშია. წინააღმდეგ შემთხვევაში „... მკვლელობაში დამნაშავედ უნდა ჩაგვეთვალოს ის ბავარიელი, რომელიც სალოცავში წავიდა, რათა ლოცვის საშუალებით მოეკლა თავისი მეზობელი“.

მომდევნო პერიოდში უვარგის მცდელობას ორ სახედ ყოფენ:

¹ თ. ნეროელი. დასახ. ნაშრ. გვ. 162

აბსოლუტურად უვარგის და შეფარდებით უვარგის მცდელობად, ხოლო თითოეული მათგანი იყოფოდა მცდელობად უვარგის ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საშუალებით. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს მოქმედებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია განზრახული დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა (მაგალითად, კაცის მოკვლა შელოცვით, უკვე მკვდარი კაცის მოკვლა და ა.შ.) შეფარდებით უვარგისის მცდელობის დროს კი, — არჩეული. საშუალება ან ობიექტი თავისთავად ვარგისია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ კონკრეტული დანაშაულის განხორციელება შეუძლებელია შემთხვევითი გარემოებების გამო (მაგალითად, კაცი არ მოკვდა, რადგან ჯავშანი ეცვა, თოფი არ გავარდა, ვინაიდან ტყვია ამოიღეს და ა.შ.). პირველი სახის მცდელობა, ამ თეორიის მიხედვით დაუსჯადია, ხოლო მეორე — დასჯადი. ამრიგად, ობიექტური თეორიის წარმომადგენლები გარკვეულად შეეცადნენ შეეზღუდათ მცდელობის დასჯადობა. ამის საპირისპიროდ, მცდელობის სუბიექტური თეორიების წარმომადგენლები მეტად აფართოვებდნენ დასჯადი მცდელობის სფეროს. მათი აზრით, თუ მცდელობა იმიტომ ისჯება, რომ იგი დანაშაულებრივ ნებას შეიცავს, მაშინ ჩვეულებრივ მცდელობასთან ერთად სასჯელს იმსახურებს უვარგისი მცდელობაც¹.

რევოლუციამდელ ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის მომხრედ გამოდიოდა პროფ. კოლოკოლოვი, რომელიც მიუთითებდა, რომ უვარგისი საშუალებებით და უვარგის ობიექტზე მცდელობის დროს სუბიექტი მიდრეკილია აღნიშნული დანაშაულის ჩადენისაკენ და ამდენად მისი საშიშროება საზოგადოებისათვის ისევე ნათელია, როგორც ეს არის მცდელობის (contumacia) ჩვეულებრივი შემთხვევების დროს. ქკუის ნაკლებობა, ინტელექტუალური დეფექტი აქ სავსებით იფარება მორალური დეფექტით.²

აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე დასჯად მცდელობად უნდა გველიარებინა ის შემთხვევაც, როდესაც სუბიექტი ცრუმორწმუნეობისა და უვიცობის გამო აბსოლუტურად უვარგის

1 ნასარგებლებია თ. ნერუელის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 166.

2 Колоколов. К учению о покушении, М., 1884, стр. 231.

საშუალებებს იყენებს თავისი განზრახვის განსახორციელებლად (მაგ. შელოცვა). მაგრამ სუბიექტივისტები ასე შორს არ მიდიან და ცდილობენ თავიდან აირიდონ ასეთი ხასიათის დასკვნები. მაგალითად, მიუთითებენ, რომ აღნიშნული საშუალებების ხმარებისას უნდა დავუშვათ სუბიექტის შერაცხვაუუნარობის პრეზუმპცია. მაგრამ ცრუმორწმუნეობა სრულიადაც არ არის პიროვნების შერაცხვაუუნარობის დამამტკიცებელი საბუთი, და როგორც მოსწრებულად მიუთითებდა თვით სუბიექტივისტური მიმართულების ნამომადგენელი ო. გერმანი — მაშინ წარსული საუკუნეების მოსახლეობის ნახევარი შერაცხვაუუნაროდ უნდა გველიარებინა.

სუბიექტივისტების მეორე ჯგუფი სხვა გზით ნავიდა და შეეცადა ხსენებული შემთხვევების დასჯადი მცდელობის სფეროდან გამოდევნის მიზნით არ ეცნო აქ დამნაშავეის ნამდვილი ნება, არამედ მხოლოდ სურვილი, რაც თავისთავად საკმარისი არ არის განზრახვის არსებობის დასამტკიცებლად. ამის სანინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სუბიექტს აკლია არა ნება, არამედ ცოდნა. მას, ვინც უვარგის საშუალებებს მიმართავს შეიძლება ისეთივე ინტენსივობით სურდეს დანაშაულის ჩადენა, როგორც ყოველ სხვა დამნაშავეს.¹

სუბიექტივისტების მესამე ჯგუფი აღნიშნული შემთხვევების დაუსჯელობის საფუძველს პიროვნების ნების უვნებლობაში ეძებს. მათ მიაჩნიათ, რომ ამ დროს არსებობს უვნებელი ნების პრეზუმპცია, ხოლო მცდელობის სხვა შემთხვევაში — პრეზუმპცია საშიში და მაშასადამე დასასჯელი ნებისა. მაგრამ არც ეს მოსაზრება არის სწორი. იმის გამო, რომ პიროვნების განზრახვა არ განხორციელდა, სრულიადაც არ გამომდინარეობს დასკვნა, მისი ნების უვნებლობის შესახებ — და ამდენად, თუ სუბიექტის სოციალური საშიშროება მხოლოდ ამით განიზომება, მაშინ, ის, ვინც სავსებით უვარგის საშუალებებს მიმართავს, არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, ვინც გამოსადეგ საშუალებებს ხმარობს. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პიროვნება, რომელიც

¹ Н. С. Таганцев. Курс русского уголовного права, часть общая, т.1. с. 223-224.

უეცობისა თუ ცრუმორწმუნეობის გამო თავისი მტრის მოშორებას ზებუნებრივი ძალების მეშვეობით ცდილობს არ გაიმეორებს ამ ცდას უფრო ეფექტური და საკლებით გამოსადეგი საშუალებებით, როდესაც დარწმუნდება ადრე ხმარებული საშუალებების უეარგისობაში?

სუბიექტური თეორიის თანმიმდევრობით განხორციელება პუტატიური დელიქტების (*delictum putativum*) დასჯამდისაც მიგვიყვანდეს. დელიქტებში¹ — ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, დანაშაული აქ მხოლოდ მოქმედი პირის ფსიქიკაშია.

სუბიექტივისტები თავს იკავებენ ამგვარი დასკვნის გამოტანისაგან და მიუთითებენ, რომ პუტატიური დელიქტების დაუსჯელობა პირობადებულია იმით, რომ განზრახვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ, სასჯელით დამუქრებულ დანაშაულბრივ ქმედებას, ხოლო ამ შემთხვევაში იმის გამო, რომ არა გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა, ნებაც საშიშად ვერ ჩაითვლება და, ბუნებრივია, ასეთი შემთხვევები არც უნდა დაისაჯოს!

აღნიშნული მოსაზრების გაზიარება ძნელია: თუკი პიროვნების ნება მიმართულია ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც იგი დანაშაულად თვლიდა, ხოლო სინამდვილეში ეს მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, აქედან ვერ დავასკვნით რომ ნება უვნებელია, არ არის საშიში, ვინაიდან მოქმედების დასჯადობამ (თუნდაც მის წარმოდგენაში), ვერ შეაჩერა იგი ამ მოქმედების ჩადენისაგან. ამიტომ, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ დამნაშაულის პირად თვისებებში ძვეს, გვერდს ვერ ავუვლით სრულიად უეარგისი საშუალებებით ჩადენილი და სრულიად უეარგის ობიექტზე მიმართული მცდელობისა და პუტატიური დელიქტების დასჯადობას.

ბოლო პერიოდის დასავლურ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ფართო გავრცელება პოვა ე.წ. შემადგენლობის ნაკლულობის თეორიამ. იგი საკითხის გადაჭრას ცდილობს დოგმა-

¹ Набоков. Психическая оценка виновности и объективная мера наказуемости покушения. С.П., 1904, стр. 80.

ტიკური თვალთახედვით. კერძოდ, ამ თეორიის თანახმად, მცდელობა არის მაშინ, როდესაც შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი და არ არის მხოლოდ ამ შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი. მაგრამ თუ არის შედეგი და აკლია შემადგენლობის სხვა ნიშანი, მაშინ იქნება შემადგენლობის ნაკლულობა და არა მცდელობა. მაგალითად, შეცდომით საკუთარი ნივთის გატაცებისას არ არის შემადგენლობის ნიშანი — „სხვისი“, გვამისათვის თოფის სროლის დროს, არ არის შემადგენლობის ნიშანი „ცოცხალი“ ადამიანი. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანი, არ არის არც დანაშაულებრივი ქმედება, არამედ მხოლოდ მოჩვენებითი (პუტატიური) დელიქტია. მცდელობის დროს მოქმედება არ არის დამთავრებული, არ არსებობს შედეგი, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ხოლო „შემადგენლობის ნაკლულობის“ დროს ქმედება დამთავრებულია (პირმა ესროლა გვამს, კაცმა მოიპარა საკუთარი ნივთი), ამიტომ იგი არ შეიძლება მცდელობად განვიხილოთ!

აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, როგორც მითითებული იყო ლიტერატურაში, საკითხის დოგმატიკური თვალთახედვით განხილვისაც კი, — შემადგენლობის ნაკლულობად უნდა ვცნოთ შედეგის არ არსებობაც, შედეგი ისევე აუცილებელია სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორც ყველა სხვა ნიშანი და, ამდენად შედეგის ცალკე გამოყოფისა და მისი არარსებობის შემთხვევაში მოქმედების დასჯადად, ხოლო შემადგენლობის სხვა რომელიმე ნიშნის არარსებობისას კი — დაუსჯადად გამოცხადების არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. „შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორია ისეთი შემთხვევების დაუსჯელობის შესახებ აკეთებს დასკვნას, რომელშიც ტრადიციულად უვარგისობიექტზე მცდელობა იგულისხმება. მაგრამ ამასთანავე ასეთი მცდელობა ამ თეორიის თანახმად ყოველთვის დაუსჯელი რჩება, განურჩევლად იმისა, ხასიათდება თუ არა შემადგენლობით

1 ამ შეხედულებას ავითარებდნენ რ. ფრანკი და გრაფ ცუ დონა (იხ. თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 171).

გათვალისწინებული ობიექტი საზოგადოდ ისეთი ნიშნებით, რომელიც უვარგისს ხდის მას განზრახული დანაშაულის განახორციელებლად (მაგალითად, მცედომით საკუთარი ნივთის მოპარვა, გვამისათვის სროლა მკვლელობის მიზნით), თუ დანაშაულებრივი ხელყოფისათვის აუცილებელი თვისებები ობიექტს შემთხვევით არ აღმოაჩნდა (მაგალითად, ტყვიის სროლა სანოლის მიმართულებით, სადაც ადამიანი შემთხვევით არ აღმოჩნდა, ქურდობის მიზნით ხელის ჩაყოფა ცარიელ ჯიბეში). ამ თეორიის თანახმად, მცდელობა უნდა დაისაჯოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნახმარია უვარგისი საშუალება, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის საშუალებაზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შემადგენლობაში არაფერია ნათქვამი. ასევე, არასწორია „შემადგენლობის ნაკლულობის“ გაიგივება პუტატიურ დელიქტებთან, პუტატიური დელიქტის დროს პირს სწორად აქვს წარმოდგენილი ქმედების ფაქტიური მხარის ნიშნები, მაგრამ ცდება მის იურიდიულ შეფასებაში, ხოლო „შემადგენლობის ნაკლულობისას“, პირი სწორად აფასებს ქმედებას იურიდიული თვალსაზრისით, მაგრამ ცდება ქმედების ფაქტობრივი მხარის შეფასებაში. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიმანიშნებელია, რომ „შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორია უარყოფილი უნდა იქნეს როგორც იურიდიული თვალსაზრისით უსაფუძვლო და ყალბი დასკვნების გამომწვევი!

დანაშაულის მომზადება და მცდელობა მხოლოდ განზრახვას გულისხმობს. გაუფრთხილებელი მომზადება და მცდელობა უცნობია კანონმდებლობისათვის. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული ეს მომენტი; მიუხედავად ამისა იყო გამოთქმული აზრი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა გაუფრთხილებელ მცდელობას.

გაუფრთხილებელ მცდელობას ცნობდა გერმანელი კრიმინალისტი კარლ ბინდინგი. იგი საერთოდ ორი სახის გაუფრთხილებლობას აღიარებდა: ერთი, როდესაც დამნაშავე არ ითვისებს თავისი მოქმედების შედეგს. ამ შემთხვევაში

1 თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

მცდელობა გამორიცხულია, ხოლო მეორე სახის გაუფრთხილებლობის დროს, დანაშაუე ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგს და სურს კიდევაც ეს შედეგი, მაგრამ არ ითვალისწინებს მის პართლსანინაალმდეგო ხასიათს (ეგ. ნ. სამართლებრივი გაუფრთხილებლობა), ბინდინგი დასაშვებად თვლიდა ამ უკანასკნელ შემთხვევაში მცდელობას, მაგრამ გამორიცხავდა მის დასჯადობას, ისევე როგორც ამ შეხედულების მიმდევარი სხვა კრიმინალისტები.

საბჭოური პერიოდის იურისტებიდან გაუფრთხილებელი მცდელობა დასაშვებად მიაჩნდა პროფ. შარგოროდსკის ისეთი დანაშაულის დროს, როდესაც მოქმედება განზრახ არის ჩადენილი, ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით დადგა. ეს შეხედულება ეფუძნებოდა ავტორის მიერ ბრალის ცნების გაგებას. შარგოროდსკი განზრახვას უწოდებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს შეგნებული აქვს მოქმედება, მაგრამ მოქმედების შეგნება დამახასიათებელია არა მხოლოდ განზრახვის, არამედ გაუფრთხილებლობისა და თვით შემთხვევისთვისაც კი. მაგალითად, თუ მონადირემ ტყეში გაისროლა თოფი და შემთხვევით მოახვედრა ვინმეს ისე, რომ არ შეეძლო შედეგის გათვალისწინება აქ, შარგოროდსკის მიხედვით იქნება განზრახვა თოფის გასროლის მიმართ და შემთხვევა შედეგის მიმართ, რაც არ არის სწორი. ადამიანის ნებისმიერ შეგნებულ მოქმედებას არ შეუძლება ყოველთვის რაიმე კავშირი პქონდეს ბრალთან. ბრალის ცნება გულისხმობს ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან და მათ შორის შედეგთან. ამიტომ თავისთავად მხოლოდ მოქმედების შეგნება არ გადააქცევს ამ მოქმედებას ბრალეულად² გარდა ამისა, მცდელობა და გაუფრთხილებლობის ცნებანი შეუსაბამო ცნებებია იურიდიული თვალსაზრისითაც. მცდელობის ძირითადი ნიშანი ისაა, რომ დანაშაულებრივი ნება მიმართულია დანაშაულის გამხორციელებაზე და არა მხოლოდ ის, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა ობიექტურად დაწყებულია. გაუფრთხილებელი მცდელობის დასჯადობას არ ითვალისწინებს არცერთი საკანონმდებლო სისტემა.

1 М.Д. Шаргородский. Рецензия на книгу А.Н. Трайнина. "Учение о составе преступления", "Советская книга". 1947, 5. стр. 72.

2 ი ტიმცევი, დასახ. ნაშრ, გვ 196; თ. ნურეთელი, დასახ. ნაშრ, გვ 175-176.

ასევე სადაოდ ითვლება ევენტუალური განზრახვით მცდელობის საკითხიც. კრიმინალისტთა უმრავლესობა გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას¹. მაგრამ ნაწილი კრიმინალისტებისა უშვებს ასეთ შესაძლებლობას². კრიმინალისტთა მესამე ჯგუფი, მართალია პრინციპულად დასაშვებად მიიჩნევს ევენტუალური განზრახვით მცდელობას, მაგრამ პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებების გამო უარყოფს ასეთი მცდელობის დასჯადობას³.

ევენტუალური განზრახვის ბუნებიდან გამომდინარე მცდელობა ლოგიკურად შეუძლებელია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენისას, პირს არ სურს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება, და ამდენად იგი არც შეიძლება, რომ მოემზადოს ასეთი დანაშაულის ჩასადენად ან მოახდინოს მისი განხორციელების მცდელობა ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია ხდება განხორციელებული შედეგის მიხედვით. მაგრამ ეს დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სისხლის სამართლის კანონი დაუსჯელად ტოვებდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი ითვალისწინებს სამართლით დაცული რაიმე ობიექტისათვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობას და ქმნის ამ საფრთხეს. სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი შემადგენლობები, რომლებიც დამთავრებულად ითვლებიან საფრთხის შექმნის მომენტიდანვე აღნიშნულ შემთხვევებში, თუ ქმდება

1. ნ. ტაგანცევი, დასახ. ნაშრ., გვ. 702-703; ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 122-126; ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 319-320; თ. ნურთული, დასახ. ნაშრ., გვ. 180-181 და სხვა.

2. Н. Д. Сергеевский. Русское уголовное право. Пособие к лекциям, 1915, стр. 305; А. Н. Круглевский. Учение о покушении на преступление. т. 2. 1918. стр. 187-189; Немировский. Советское уголовное право. Одесса. 1926. стр. 84; В. Липшиц. К вопросу о понятии эвентуального умысла. "Советское государство и право". 1947. №7. стр. 43.

3. М. М. Исаев. Вопросы уголовного права и судебной практики Верховного суда РСФСР. М., 1947, стр. 38-39; Уголовное право. Часть общая. 1943. стр. 186; Н. В. Лясс. Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву.

ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. და მას ზიანი არ მოაყვება გვეჩვენება სათანადო ზიანის მომტანი დანაშაულის მცდელობა, მაგრამ თუ იგივე მოქმედება ჩადენილია. ევენტუალური განზრახვით, ზიანის არგანხორციელების შემთხვევაში იგი დაკვალიფიცირდება საფრთხის შემქმნელი დელიქტის მიხედვით.

არ არის ერთიანი აზრი, არც ალტერნატიული განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობის თაობაზე. როგორც ცნობილია, ალტერნატიული განზრახვის დროს სუბიექტი ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოყვეს ერთერთი დანაშაულებრივი შედეგი. იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ერთერთი შედეგის რეალიზაციით სხვა შედეგები კარგავენ მნიშვნელობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ამ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. თ. წერეთელი. მისი აზრით, თუ სუბიექტი ითვალისწინებს უფრო მძიმე შედეგს და სურს ეს შედეგი (მაგალითად, სიკვდილი) და თუ ამასთანავე, მის მიერ ჩადენილი მოქმედება უშუალოდ იყო მიმართული ამ შედეგზე, ყველა საფუძველია იმისათვის, რათა ეცნოთ მის მოქმედებაში უფრო მძიმე დანაშაულის მცდელობა².

ლიტერატურაში გამოითქვა აზრი მომზადებისა და მცდელობის შეუძლებლობაზე აფექტური განზრახვის დროს. აღნიშნული შეხედულება ეჭვს იწვევს. იგი სწორია მომზადების მიმართ, რომელიც დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთით არის დაშორებული დანაშაულის განხორციელებისაგან, რასაც ვერ ვიტყვოდით აფექტური განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობაზე. ამის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითიც გამოადგება პრაქტიკიდან: გ-მ ძლიერი სულიერი აღელვების გამო, რაც გამოწვეული იყო ქმრის მიერ მიყენებული მძიმე შეურაცხყოფით, ესროლა ამ უკანასკნელს რევოლვერიდან და დაჭრა იგი. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მის მოქმედებაში სცნო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობა.

¹ Н.С. Таганцев. Лекции, стр. 703; Б.С. Утевский. Вина в советском уголовном праве. М., 1950. стр. 208.

² თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

იმის თაობაზე შესაძლებელია თუ არა მომზადება და მცდელობა ე.ი. დაუშთავრებელი დანაშაული წმინდა უმოქმედობის დროს (ისეთი დანაშაულის დროს, როდესაც კანონი სჯის მოქმედებისაგან თავის შეკავებას, იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა ამ მოქმედებას მანვე შედეგი) კრიმინალისტებს შორის განსხვავებული შეხედულებაა. ზოგიერთი იურისტი უშვებს ასეთ შესაძლებლობას¹, სხვები ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ დამთავრებული მცდელობისათვის აღიარებენ.

კრიმინალისტების სხვა წარმომადგენლები შეუძლებლად მიიჩნევენ მომზადებას და მცდელობას წმინდა უმოქმედობის დროს².

ზემოდ მოტანილ არცერთ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. თ. წერეთელი. იგი თვლის, რომ წმინდა უმოქმედობის დროს მოსამზადებელი მოქმედებისა და მცდელობის საკითხი არ შეიძლება ერთგვაროვნად გადაწყდეს. კერძოდ, ამ შემთხვევებში სავსებით დასაშვებია მოსამზადებელი მოქმედება, ხოლო მცდელობა ე.ი. — შეუძლებელია. ამ აზრის საილუსტრაციოდ პროფ. წერეთელს მოაქვს ასეთი მაგალითი: მონუმენტალურ სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდების მიზნით მიემგზავრება ისეთ ადგილას, საიდანაც იგი დანიშნულ დღეს ვერ შესძლებს გამოცხადებას სასამართლოში³. ასევე ვერ გადაწყდება საკითხი მცდელობის მიმართ, სანამ ის დღე არ დამდგარა, როდესაც

1 ნ. კუზნეცოვა დასახ. ნაშრ., გვ. 124.

2 ნ. ტაგანცევი დასახ. ნაშრ., გვ. 704; გ. კოლოლოვი დასახ. ნაშრ., გვ. 221; С. В. Пономашев. Основные начала науки уголовного права. М., 1912. стр. 360. საბჭოური პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში ამ შეხედულებას იზიარებდნენ პროფ. ა. პოდტოკისკი, პროფ. ნ. დუმანოვი, ი. ტიშკოვი.

3 ამ თვალსაზრისით სწორი არ არის პროფ. ბ. ზღარაშისძისოვი, რომელიც აკრიტიკებს სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორებს (იხ. Советское Уголовное право. Общая часть. М., 1988, стр. 165) და მიუთითებს, რომ თითქოს ნაკლებად უმოქმედობის დროს მოსამზადებელი მოქმედების შესაძლებლობის თაობაზე უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყოს (იხ. Уголовное право. Общая часть. М., 1994, стр. 260).

მონმე ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში — მანამ არც დანაშაულია, როგორც კი, ეს დღე დადგა და მონმე არ გამოცხადდა სასამართლოში, დანაშაული მაშინვე უკვე დამთავრებულია. ე.ი. ამ მაგალითიდან გამომდინარეობს ზოგადი ხასიათის დასკვნა: იმ მომენტამდე, ვიდრე მოვალეობის შესრულების პირობები არ დამდგარა, სუბიექტის უმოქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს ქმედებად, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე ხოლო თუ ეს პირობები განხორციელდა და პირი არ მოქმედებს, დანაშაული იმავე მომენტიდან დამთავრებულია.

განსხვავებულად ნყდება საკითხი შერეული უმოქმედობის დროს, ე.ი. ისეთი შედეგიანი დელიქტის დროს, რომელიც შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც (*delictum commissum per omissionem*). ზოგიერთი იურისტი ამ შემთხვევაშიც უარყოფს მცდელობას¹.

რამდენადაც უმოქმედობის დროს შეიძლება არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ შედეგთან, ამდენად ლოგიკურად სავსებით დასაშვებია ისეთი სიტუაცია, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ უმოქმედობით უკვე შექმნილია მისი განხორციელების რეალური საფრთხე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბიექტის უმოქმედობა უშუალოდ მიმართულია მისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე. ამ შეხედულებას იზიარებს კრიმინალისტთა უმრავლესობა და სასამართლო პრაქტიკა.

სისხლეს სამართლის ლიტერატურაში დავას იწვევს მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობის საკითხი მოქმედებით შესრულებული „ფორმალური დანაშაულის“ დროს.

ეს საკითხი არ შეიძლება ერთნაირად გადანყდეს ყველა ფორმალური დანაშაულის მიმართ; დანაშაულის შემადგენლობის ისეთი კონსტრუქციის დროს, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა მოქმედების პირველივე აქტით ხორციელდება — მომზადებას და მცდელობას არ შეიძლება ექნეს ადგილი (მაგალითად, შეურაცხყოფის დროს. ვიდრე შეურაცხმყოფელი

¹ В. Спасович. Учебник уголовного права. т.1, С.П., 1863, стр. 134.

სიტყვა წარმოთქმული არ არის, არც დანაშაულია, მაგრამ როგორც კი ეს სიტყვა წარმოითქმება — დანაშაული უკვე დამთავრებულია).

არ შეიძლება მომზადება და მცდელობა ისეთი შემადგენლობების დროს, რომლებშიც დასჯადობის აუცილებელ პირობას ზიანის განხორციელება წარმოადგენს (მაგალითად, 245-ე მუხლის I ნაწილი და სხვა), ვინაიდან საწამ ეს ზიანი არ განხორციელებულა, ჩადენილ მოქმედებას არავითარი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თუ ზიანი განხორციელდა დანაშაულიც დამთავრებულია.

ასევე არ შეიძლება მომზადება და მცდელობა მძიმე შედეგით კვალიფიციური დელიქტების დროს. მაგალითად, სხეულის დაზიანება, რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა (მუხ. 110-ე). ამ შემთხვევაში მძიმე შედეგი სუბიექტის განზრახვით არ არის მოცული, ხოლო გაუფრთხილებელი მომზადება და მცდელობა არ შეიძლება. ამიტომ, თუ დამამძიმებელი გარემოება განხორციელდა, იქნება დამთავრებული ძირითადი დელიქტი და არა კვალიფიციური დელიქტის მცდელობა.

გამორიცხულია მომზადება და მცდელობა ისეთი შემადგენლობის დროს, რომლისთვისაც კანონი აუცილებელ პირობად მოითხოვს ან მძიმე შედეგის განხორციელებას ან შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. თუ მოქმედება ასეთ შესაძლებლობას შეიცავს იქნება დამთავრებული დანაშაული და არა მცდელობა, ხოლო თუ ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა საერთოდ არ არსებობს, არც დანაშაულის შემადგენლობა არ არის¹.

საფრთხის შემქმნელი დელიქტების უმრავლესობის მიმართ მომზადებისა და მცდელობის საკითხს პროფ. ნერეთელი დადებითად წყვეტს. ასეთი შემადგენლობების შექმნით კანონმდებელს შესაძლებლობა ეძლევა დასაჯოს კიდევ უფრო ადრინდელი სტადია (მცდელობის მცდელობა), ხოლო ზოგჯერ თვით მისამზადებელი მოქმედებაც, მაგალითად, ბანდიტიზში, ყაჩაღობა².

1 ნ. დურმანოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 131

2 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

საქართველოს სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში აღწერილია დანაშაულის შემადგენლობის მთავარი, ძირითადი ფორმა — დამთავრებული დანაშაული. დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ კი — იქ არაფერია ნათქვამი. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, არის თუ არა მომზადებასა და მცდელობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები და რა დამოკიდებულებაშია მომზადება და მცდელობა დანაშაულის შემადგენლობასთან. დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი შეიძლება პირდაპირ არ იქნეს მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, მაგრამ შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი განზოგადებული სახით მოცემულია ყველა დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. ამგვარად, დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, შეივსება ზოგად ნაწილში გათვალისწინებული ნორმებით. კანონმდებელს, რა თქმა უნდა, შეეძლო დანაშაულის თითოეული დამთავრებული შემადგენლობის გვერდით გაეთვალისწინებინა მომზადებისა და მცდელობის შემადგენლობა, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებების გამო, რადგან ეს მნიშვნელოვნად დაამძიმებდა და გაზრდიდა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს.

რადგანაც მცდელობა და მომზადება მთავარი, ძირითადი ტიპის დანაშაულის შემადგენლობისაგან ნაწარმოები შემადგენლობებია, ამდენად ისინი კვალიფიცირებულნი უნდა იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ამ დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას. მაგრამ იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ დანაშაული ბოლომდე არ იყო მოყვანილი და უფრო ადრეულ სტადიაზე შეჩერდა, აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლზე მითითება, რომელიც

1 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

ითვალისწინებს მომზადებას ან მცდელობას (მაგალითად, განზრახვი მკვლელობის მცდელობა დაკვალიფირდება მე-17-105 მუხლებით).

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო შემცირებას არ ითვალისწინებს. შემცირებული პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის არ იქნებოდა გამართლებული ზოგადი და კერძო პრევენციის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ზოგჯერ მცდელობის დროს პირმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედება, გამოავლინოს ისეთი მძიმე ბრალი, რომ მისი მოქმედება ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს იმსახურებდეს. მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ჩვენი კანონმდებლობა არ იძლეოდეს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას. როგორც თვით სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის ტექსტიდან ჩანს, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს სამი გარემოება: ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი და მიზეზები, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და ხასიათი დამოკიდებულია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, ქმედების სიანბლოვეზე დამთავრებულ დანაშაულთან, მოსალოდნელი ზიანის მოცულობაზე, დანაშაულის ჩადენის დროზე, ადგილზე, ვითარებაზე და ა.შ.

იმ გარემოებათა შორის, რომლებიც მხედველობაში მიიღება საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაული, ანუ დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს. ფაქტიურად ეს მოქმედება ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განმსაზღვრელი ერთერთი პირობაა, მას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის

პასუხისგების დროს, რომ კანონმდებელმა იგი სპეციალურად ცალკე გამოყო. აქ მხედველობაში მიიღება, თუ სად შეჩერდა დანაშაულის განხორციელება, მომზადების თუ მცდელობის სტადიაზე, დამთავრებული იყო მცდელობა, თუ დაუმთავრებელი.

კანონის თანახმად, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მიზეზები, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ეს მიზეზები სულ სხვადასხვაგვარია: დამნაშაის გამოუცდელობა, დაზარალებულის ან მესამე პირთა წინააღმდეგობა, ობიექტის დაცულობა, ბუნების ძალთა მოქმედება, დანაშაულებრივი გეგმის შედგენისას დაშვებული შეცდომა, დამნაშაის ნების არასაკმარისი სიმტკიცე და სხვა. გარდა აღნიშნულისა, მიიღება მხედველობაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებსაც ითვალისწინებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლები.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დანიშნოს იმაზე მსუბუქი სასჯელი, რაც დამთავრებული დანაშაულისათვის არის დადგენილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლით, ან გადავიდეს სხვა უფრო მსუბუქ სასჯელზე და მიუთითოს სასჯელის შემსუბუქების მოტივზე (საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლი).

როგორც წესი, დამთავრებული დანაშაული ისჯება უფრო მკაცრად, ვიდრე დაუმთავრებელი დანაშაული, მცდელობა ისჯება მეტად, ვიდრე მომზადება. სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ პირიზე მიმართ, ვინც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახი მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა. სიკვდილით დასჯა გამონაკლისის წესით დაიშვება ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება დანაშაულისა და დამნაშაის განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი საშიშროება.

ლიტერატურაში გამოითქვა აზრი კანონმდებლობაში ისეთი სპეციალური ნორმის გათვალისწინების შესახებ, რომელშიც მითითებული იქნებოდა სასამართლოს მიერ დაუმთავრებელი

დანაშაულისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებაზე. ეს შეხედულება არ იქნა გაზიარებული. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის ზოგადი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის ან კონკრეტული მუხლით გათვალისწინებულ სასჯელთან შედარებით უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლის შესაძლებლობას, ამდენად ასეთი სპეციალური მუხლის შემოღება ზედმეტი იქნებოდა.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ლიტერატურაში მცდელობის დასჯადობის შესახებ მე-19 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული.

ობიექტური თეორიის წარმომადგენლები ძირითად მნიშვნელობას ობიექტურ მომენტს ანიჭებენ — და აქედან გამომდინარე, დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით მცდელობის უფრო მსუბუქად დასჯის მომხრენი არიან. მაგალითად, ფრანგი კრიმინალისტი რუ, აკრიტიკებდა საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, რომლის მიხედვით დამთავრებული დანაშაული და მცდელობა ერთნაირად ისჯებოდა და მიუთითებდა, რომ „მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას შორის არის ერთი განსხვავება — ესაა მსხვერპლის სიცოცხლე, რომელიც პირველ შემთხვევაში შენარჩუნებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა. ამიტომ ვერასოდეს ვერ ვაიძულებთ ნაფიც მსაჯულებს და თვით მოსამართლეებსაც კი, რომ მათ ზაფიანთი ვერდიქტით უნაფოტი აღმართონ იმ პირისათვის, ვინც მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა. მაგრამ თუკი ისინი ამას არ გააკეთებენ, მამ რატომ უნდა იყოს ეს კანონში ჩანერილი?“

ამ თვალსაზრის არ იზიარებენ სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი დანაშაულებრივი ნებაა და მიუთითებენ; რომ „დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება თავისთავად არ შეიძლება აღიარებული იქნეს სასჯელის ვადიდების, ხოლო, პირიქით, დანაშაულებრივი შედეგის განუხორციელებლობა

16. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

თავისთავად — სასჯელის შემცირების საფუძველი”.

აზრთა ეს სხვადასხვაობა აისახა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობებში: ზოგიერთი ამ ქვეყნის კოდექსი მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას ითვალისწინებს, სხვები — მცდელობას ისევე სჯიან, როგორც დამთავრებულ დანაშაულს, ნაწილი კოდექსებისა მცდელობისათვის სასჯელის ფაქულტატიური შემცირების მომზრედ გამოდიან, ე.ი. მოსამართლეს აძლევენ შესაძლებლობას უფრო მსუბუქად დასაჯოს მცდელობა, ვიდრე დამთავრებული დანაშაული, მაგრამ არ ავალდებულებენ მას ამის გაკეთებას.

ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს მას, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ჩადენაზე. ეს ნორმა ასახულია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლში, სადაც სწერია: „იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას”. ამრიგად, პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მომზადებისა და მცდელობისათვის და ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. სწორედ ამ მომენტით, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ ხორციელდება პირის ნებაზე დამოკიდებული მიზეზის გამო, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე გამსხვავდება მომზადებისა და მცდელობისაგან, რომლის დროსაც შედეგი არ ხორციელდება დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო?.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელო-

ს. ვერ გავიზარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინიციატივა სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკიდან მოდის (იხ. К. А. Напка. Добровольный отказ от преступления *отказ от преступления по праву*. Воронеж, 1985, стр. 23).

ბისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: 1. აცდენილი უნდა იქნას დანაშაულებრივი შედეგი და 2. დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი თვით იმ პირის ნებასურვილით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა.

ამ საკითხის თაობაზე ლიტერატურაში განსხვავებული აზრიც არსებობს. კერძოდ, ვ. ივანოვს მიაჩნია, რომ ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულისათვის დამახასიათებელია სამი ნიშანი, ნებაყოფლობა, საბოლოობა და დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობაში დარწმუნება¹. მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რას უნდა ნიშნავდეს ნიშანი „საბოლოობა“ ამ კონტექსტში.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების სუბიექტურ მხარეს², მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველი მხოლოდ ეს არ არის. დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის ძირითადი საფუძველი ისაა, რომ ასეთი ხელის აღება სპობს სუბიექტის ქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც საერთოდ ახასიათებს დაუმთავრებელ დანაშაულს და რომელიც დანაშაულის განხორციელების ობიექტურ შესაძლებლობაში მდგომარეობს და ეს საშიშროება ისპობა იმ პირის მიერ, ვინც ეს საშიშროება

1 ვ. ივანოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 94.

2 სუბიექტური თეორიების წარმომადგენლების მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მტკიცე დანაშაულებრივი ნების არარსებობაზე მიუთითებს და ადასტურებს, რომ პირს არ ახასიათებს ისეთი თვისება, რომელიც მის მიმართ სასჯელის გამოყენების აუცილებლობას დაასაბუთებდა (იხ. Колоколов. К учению о покушении. М., 1884, стр. 139-145; С.П. Мокринский. Наказание его цели и предположения. Томск, 1902, стр. 247-264 და სხვა). პროფ თ. წერეთელი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ვერ გავათავისუფლებდით პასუხისმგებლობისაგან მას, ვინც დანაშაულზე ნებაყოფლობით იღებს ხელს არა კეთილშობილი, არამედ არაზნობრივი მოტივის გამო ამასთან, ამ თეორიის მიხედვით აუხსნელი რჩება, თუ რატომ არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან პირი, თუკი მის მიერ ჩადენილი ქმედება დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავს დაუსჯელობის საფუძველი, რომ მხოლოდ პირის სოციალური საშიშროების მოსპობა იყოს, მაშინ აშკარად უმართებულო იქნებოდა დასჯა იმ დამთავრებული დანაშაულისათვის, რომელიც ერთობლიობაშია მცდელობასთან (თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 218-219).

წარმოშვა.

ლიტერატურაში გამოითქვა რამდენადმე განსხვავებული, საკმაოდ არაზუსტი შეხედულება ნებაყოფლობით ხელის აღების იურიდიულ ბუნებაზე. ამ შეხედულების თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ისპობა ქმედებისა და პირის საზოგადოებრივი-საშიშროება, თუმცა დანაშაულის შემადგენლობა ისევ რჩება! მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობა, თავისთავად ცხადია რომ გამოიწვევს დანაშაულის შემადგენლობის მოსპობასაც.

გარდა აღნიშნულისა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის მოსაზრებებით არის ნაკარნახები, კერძოდ, სახელმწიფო ისწრაფვის დაიცვას საზოგადოებრივი ურთიერთობები იმაზე მოტივაციური ზეგავლენით, ვინც დანაშაულის ჩადენა გადაწყვიტა, შეუქმნას მას უკან გამობრუნების სტიმული. ცნობილი კრიმინალისტიკის ამსელ ფოიერბახის სიტყვებით სახელმწიფო ამით დამნაშავისათვის „ოქროს ხიდს“ აგებს, ჰპირდება რა მას დაუსჯელობას, თუ იგი გადაიფიქრებს დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. მომზადების დროს დამნაშავე აღარ განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას. მცდელობის დროს ერთმანეთისაგან უნდა იქნეს გარჩეული დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევები. დაუმთავრებელი მცდელობის დროს ხელის აღება დანაშაულზე გამოიხატება სუბიექტის პასიურობით, პირი აღარ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ეს შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე იგი გააკეთებდეს ყველაფერს, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად (მაგ. აღმართა დანა დასარტყმელად, მაგრამ გადაიფიქრა და არ დაარტყა).

დამთავრებული მცდელობის დროს ხელის აღება მხოლოდ აქტიური მოქმედებით გამოიხატება. პირმა მოქმედებაში მოიყვანა მანე ძალები, რომელთაც დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა უკვე მისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ. ამიტომ პირი აქტიურად

1 А.А. Тер-акопов. Добровольный отказ от совершения преступления. М., 1982. стр. 42-45.

უნდა ჩაერიოს მოვლენათა მსვლელობაში, რათა თავიდან აიცილოს ეს შედეგი (მაგალითად, ამოიყვანოს კაცი ზღვიდან, რომელიც მან იქ დასახრჩობად გადაადგო, ჩააქროს ხანძარი, რომელიც მან სახლს გაუჩინა და ა.შ.). პირმა ამ წაქმინაობაში შეიძლება სხვებიც დაიხმაროს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სხვათა ჩარევა მისი ინიციატივით უნდა ხდებოდეს.

საერთოდ, დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ხელის ალების საკითხი სადაოა იურიდიულ ლიტერატურაში. კრიმინალისტთა ერთი ნაწილი შეუძლებლად თვლის დანაშაულზე ხელის ალებას დამთავრებული მცდელობის დროს. მათი აზრით, ხელის ალება დანაშაულზე შეუძლებელია მას შემდეგ, რაც დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად (მაგალითად, მკვლელობის მიზნით მისცა დაზარალებულს სანამლაევი და შემდეგ მისდამი სიბრაღულის გამო სანინალმდეგო წამლის მიცემით გადაარჩინა იგი). აქ შედეგის განხორციელება — არ განხორციელება პირის ნებისაგან უკვე აღარ არის დამოკიდებული, არამედ დამოკიდებულია გარეშე პირობებზე: მსხვერპლის ორგანიზმზე, დროულ სამედიცინო დახმარებაზე, სანამლაევის სანინალმდეგო საშუალებების ეფექტურობაზე და ა.შ. ამიტომ იმ პირის დასჯა, ვინც ბევრს ეცადა, მაგრამ მსხვერპლი ვერ გადაარჩინა და დაუსჯელობა იმისა, ვისაც გაუმართლა და შედეგი თავიდან აიცილა, არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან საკითხი ამ შემთხვევაში ნყდება არა დამნაშავის ბრალის მიხედვით, არამედ შემთხვევითი ობიექტური გარემოებების მიხედვით, რომელიც არ იყო დამოკიდებული სუბიექტის ნებისაგან. აღნიშნულის გამო, ამ ავტორთა აზრით დამთავრებული მცდელობის დროს ლაპარაკი შეიძლება ქმედით მონანიებაზე და არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალებაზე რაც ამსუბუქებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ არ ათავისუფლებს მისგან.

М.Д. Шаргородский. Преступления против жизни и здоровья. М., 1948 стр 260 ოტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 226; Н.В. Лясс. Стадии развитая преступной деятельности по советскому уголовному праву. Л., 1955. стр. 19 и др; ა ტერ-აკოპოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 23-31; С.И. Никулипи. Деятельное раскаяние и его значение для органов внутренних дел. М., 1985, стр. 21-22.

პროფ. თ. წერეთელი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ დადგენილებანი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირი დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებამდე შეუშლის ხელს მის განხორციელებას, რამდენადაც პირი ამ შემთხვევაში საკუთარი ნებით აბათილებს იმ საშიშროებას, რომელიც მისი მოქმედებით იყო შექმნილი. მაშასადამე აქ არის პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური საფუძველი. გარდა ამისა, მართლწესრიგი დაინტერესებულია თავიდან აიცილოს დანაშაულებრივი შედეგი დანაშაულის განვითარების ყველა სტადიაზე და გაუგებარია რატომ უნდა ვთქვათ უარი ისეთი ძლიერი სტიმულის გამოყენებაზე, როგორიცაა დაუსჯელობის დაპირება დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობის შემთხვევაში!

დანაშაულზე ხელის აღება მოითხოვს განსაზღვრულ პირობებს, სახელდობრ: შედეგის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ იგი დროში დაცილებულია მოქმედებისაგან; დანაშაულებრივი შედეგი აცილებული უნდა იქნეს თვით ამ პირის მეცადინეობით და თუ მიუხედავად მის მიერ ყოველგვარი ღონისძიების მიღებისა შედეგი მაინც განხორციელდა, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე აღარ იქნება, მაგრამ მისი მოქმედება, მიმართული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად განიხილება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, ანუ არ იქნება ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე, თუ შედეგი არ განხორციელდა პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ხელის აღება დანაშაულზე ნებაყოფლობითი უნდა იყოს, მაგრამ, თუ როდის უნდა ჩაითვალოს სუბიექტის მოქმედება ასეთად — საკმაოდ რთული და ძნელად გადასაჭრელი საკითხია. სისხლის სამართლის თეორიაში ეს საკითხი გაცხროველებული დავის საგანია. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხელის აღება დანაშაულზე ნებაყოფლობითია იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შეუძლია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ არ

1 თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 231

აკეთებს ამას, თუნდაც ფაქტიურად არც პქონდეს ასეთი შესაძლებლობა ზოლო თუ სუბიექტი ფიქრობს, რომ მას არ ძალუძს დანაშაულის ბოლომდე განხორციელება, ეი შემაფერხებელი გარემოება არსებობს მხოლოდ მის წარმოდგენაში და არა რეალურად, არ იქნება ნებაყოფლობით ხელის აღება, არამედ იქნება ხელშეშლილი მცდელობა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც სუბიექტმა სავსებით მიატოვა დანაშაულებრივი საქმიანობა და არა მაშინ, როდესაც დროებით შეწყვიტა იგი, რათა შემდგომ კვლავ გააგრძელოს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში არ ისპობა პირისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.

მოტივს, რამაც განაპირობა დანაშაულზე ხელის აღება მნიშვნელობა არა აქვს. მოტივი შეიძლება იყოს უზნეოც და ზნეობრივიც (მაგალითად, სიბრალულის, ზიზლის, შიშის და ა.შ.).

ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის თაობაზე საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს. ასეთ შესაძლებლობას უშეებდა პროფ. მოკრინსკი, რომლის აზრითაც საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობის შესრულება მას შემდეგაც ბუნებრივად გრძელდება, როცა იგი ფორმალურად უკვე დამთავრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის ბუნებრივ დამთავრებამდე, ე.ი. დანაშაულებრივი შედეგის ნამდვილად განხორციელებამდე¹.

ეს შეხედულება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დანაშაულის დამთავრების მომენტი განსაზღვრულია თვით კანონში; საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს კანონმდებელმა დანაშაული დამთავრებულად სცნო განსაზღვრული ობიექტისათვის საფრთხის შექმნის მომენტში, ამდენად, ასეთ შემთხვევაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქება,

¹ С. П. Мокринский. Покушение и приготовление в советском праве. "Советское право", 1927, №1, стр. 67.

ისიც მაშინ, თუ დამნაშავემ თავიდან აიციდინა ჩადენილი დანაშაულის მავნე შედეგი, ან ნებაყოფლობით აანაზღაურა მიყენებული ზიანი ან მოსპო მიყენებული ვნება. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მავნე შედეგის თავიდან ასაცილებლად სუბიექტის მიერ მიღებული ღონისძიებანი ე.წ. „ქმედითი მონანიება“, ვერ გაათავისუფლებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. „ქმედითი მონანიება“ შეიძლება გახდეს პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველი.

თავი XI თანამონაწილეობა დანაშაულში

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა პირმა, ისე რამდენიმემ ერთობლივად. ერთობლივად დანაშაულის ჩადენის დროს, კავშირი დამნაშავეთა შორის შეიძლება იყოს ზერელეც და მჭიდროც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაული განიხილება როგორც ყველა მონაწილის საერთო დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო თვით მონაწილენი — როგორც ერთი დანაშაულის თანამონაწილენი და ისინი პასუხს აგებენ ამ ერთიანი დანაშაულისათვის.

თანამონაწილეობა გამოისატება ორი ძირითადი ფორმით:

თანაბრალეულობით ანუ თანაამსრულებლობით, რომლის დროსაც ყველა თანამონაწილე უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ყველა თანამონაწილე დანაშაულის ამსრულებელია, ანუ თანამონაწილეა ფართო მნიშვნელობით. (მაგალითად, რამდენიმე პირი ერთდროულად ჰკლავს ერთ პირს) მისგან განსხვავდება თანამონაწილეობა ვინაშე მნიშვნელობით, რომლის დროსაც თანამონაწილეთა შორის როლები განიხილებულია. ამ თვალსაზრისით სისხლის სამართლის დოქტრინა განარჩევს დანაშაულის ამსრულებელს, ვინც უშუალოდ ასრულებს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას, დანაშაულის ორგანიზატორს, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მას, წამქეზებელს, ვინც შეაგულიანებს სხვას დანაშაულის ჩასადენად და დაიხმარებს, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას იარაღის მიწოდებით, რჩევა — დარიგებით, ნიშანსარი დაპირებით, რომ დაფარავს ღამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს.

ამრიგად, თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი).

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშა-

ულის ჩადენაში რამდენიმე პირის ერთიანობას. ეს ერთიანობა შეეხება დანაშაულის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მხარეს, ე.ი., როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან.

ობიექტური მხარის ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება არის დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, რომ შედეგი ამ მოქმედების გარეშე არ განხორციელდება.

მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ, ამსრულებლის მოქმედება უშუალო მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, ხოლო დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედება დანაშაულებრივ შედეგს ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით უკავშირდება.

თანამონაწილეთა მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ ქმნის სიძნელეს იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილის მოქმედება გამოიხატება დანაშაულის ჩადენაში ფიზიკური მონაწილეობით. მაგალითად, პირმა მკვლელს მიაწოდა დანა მკვლელობის ჩასადენად. უფრო რთულია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ფსიქიკური თანამონაწილეობის (ნამქვებელი, ფსიქიკური დამხმარე) დროს, ვინაიდან თანამონაწილე ფიზიკურად არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, იგი მხოლოდ ზემოქმედებს ამსრულებლის ნებაზე, ხდება მისი ნებელობითი მოქმედების მოტივი და ამგვარად ჩაერთვის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში.

ეს დებულება აღიარებულია კრიმინალისტთა უმრავლესობის მიერ და ამავე აზრს იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც.

განსხვავებულად უდგებოდა აღნიშნულ საკითხს ავიშინსკი, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის მიზეზობრივ კავშირს არ მიიჩნევდა აუცილებლად. მისი აზრით, თანამონაწილეობისათვის აუცილებელი იყო არა მიზეზობრივი კავშირი, არამედ რაიმე კავშირი ჩადენილ დანაშაულთან.¹ „რაიმე

1 А.Я. Вышинский. Вопросы теории государства и права. М., 1949. стр. 119.

„კავშირის“ ცნება მეტად ფართოა და ამიტომ თუ მიზეზობრივი კავშირი ამ ცნებით შეიცვლებოდა, ამაჲ მოჲყვებოდა უდანაშაულო პირთა მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, პასუხისმგებლობა სხვისი ბრალისათვის, როდესაც პირს არა თუ მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში, არამედ არც კი იცოდა მის შესახებ.

პ.მიშენინს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისად მიაჩნდა, თუ თანამონაწილენი ფიქრობდნენ, რომ ისინი თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ დანაშაულის განხორციელებას. ეს შეხედულება ფაქტიურად იმეორებს მე—19 საუკუნის გერმანელი იურისტის ბირლინგის შეხედულებას, რომელსაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველი მთლიანად სუბიექტურ სფეროში გადაჲქონდა და ობიექტური მიზეზობრივი კავშირის ნაცვლად პასუხისმგებლობისათვის ობიექტურ მინიმალურ კავშირს მოითხოვდა.

ამჲჲამად, ჩვენი სისხლის სამართლის როგორც თეორიასა, ისე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად თანამონაწილეობისათვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ მოქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის.

თანამონაწილეობა გულისხმობს გარკვეულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულთან, ანუ თანამონაწილეთა მოქმედება არა მარტო მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, არამედ აგრეთვე — ბრალეულ კავშირშიც არის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე—19 მუხლის თანახმად, თანამონაწილეობა მხოლოდ განზრახ ბრალს გულისხმობს, მაგრამ აღნიშნული საკითხი ყოველთვის და ყველგან ასეთნაირად არ წყდებოდა. თეორიაში დიდი დავა იყო ამასთან დაკავშირებით.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესახებლობას აღიარებდნენ პროფესორები: გ.კოლოკოლოვი, ნ.სერგეევსკი, პ.პუსტოროსლევი, ს.პოზნიშევი. ამ ავტორთა აზრით, თანამონაწილეობა დასაშვებია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილე განზრახ

მოქმედებს, არამედ მაშინაც, როდესაც მათი ბრალი განსხვავებულია.

საბჭოური პეროდის სისხლის სამართალში კრიმინლისტთა უმრავლესობა უარყოფდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას, მაგრამ ზოგიერთი იურისტი არ იზიარებდა ამ შეხედულებას. მაგალითად, პროფ. ა.ტრაინინს და პროფ. ბ.შარგოროდსკის დასაშვებად მიაჩნდათ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა. პროფ.ა. ტრაინინის აზრით თანამონაწილეობა არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირი ერთად იდენს ერთსა და იმავე გაუფრთხილებელ დანაშაულს.. ნინაალმდეგ შემთხვევაში დაუსჯელი დარჩებოდა მოქმედება, რომელიც მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან!

ამ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. თ.ნერეთელი და მიაჩნია, რომ მიზეზობრივი კავშირის საკითხი არასოდეს არ არის დამოკიდებული იმ წმინდა იურიდიულ საკითხზე ჰქონდა თუ არა ადგილი თანამონაწილეობას; მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამდგარ მანვე შედეგს შორის ან არსებობს ან არ არსებობს იმისაგან დამოუკიდებლად თანამონაწილეობით არის ეს დანაშაული ჩადენილი, თუ ერთი პირის მიერ — დამოუკიდებლად.²

არც ის არის სწორი, რომ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის უარყოფის შემთხვევაში ვერ იქნებოდა დასაბუთებული გაუფრთხილებლად მოქმედის პასუხისმგებლობა: თუ მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, პირი პასუხს აგებს ამ შედეგის გაუფრთხილებლობით გამონკვევისათვის და მასზე ნორმები თანამონაწილეობის შესახებ არ გავრცელდება.

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის დასაბუთებას სხვა არგუმენტების მოშველიებით შეეცადნენ პროფ. შარგოროდსკი

1 А.Н. Траинин. Учение о соучастии. М., 1941, стр. 111-118; М.Д. Шаргородский. Вопросы общей части уголовного права. Л., 1955, стр. 142-143.

2 თ. ნერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში. თბილისი, 1969, გვ 42.

და მ.ფილანოვსკი. მათი აზრით, ვინაიდან მატერიალური დანაშაული შედგება ორი ელემენტისაგან—ქმედებისა და შედეგისაგან, ამიტომ სუბიექტური მხარის ანალიზი ამ ელემენტების მიმართ ცალკ—ცალკე უნდა იქნეს მოცემული. აღნიშნულის შესატყვისად, თანამონანილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც რამდენიმე პირის თვით მოქმედება განზრახვითია, შედეგი კი გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული!

გაუფრთხილებელი თანამონანილეობის ასეთ დასაბუთებასაც არ იზიარებს პროფ. თ.ნერეთელი, რომელიც თვლის, რომ ეს დასაბუთება ემყარება განზრახვითი და გაუფრთხილებლობითი ბრალის არასწორ კონსტრუქციას, კერძოდ, მატერიალური დანაშაულის სუბიექტური მხარის ცალკ—ცალკე დასაბუთების მოთხოვნას მოქმედებისა და ამ მოქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ. სინამდვილეში როგორც კანონმდებლობა, ისე თეორია ბრალის ორ ფორმად დაყოფას საფუძვლად უდებს იმას, თუ როგორია პირის სუბიექტური დამოკიდებულება საშიში შედეგისადმი. ზემოთ ხსენებული შეხედულება ემყარება განზრახვის როგორც ბრალის ფორმისა და თვით ქმედების შეგნებული ხასიათის გაიგივებას. თვით ქმედება, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, იზოლირებულად აღებული ნებელობითი აქტია და ამდენად შეგნებულია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი განზრახვითიცაა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ე.ი. ამით ჯერ კიდევ არ შიძლება იმის მტკიცება განზრახვითია მოქმედება, თუ გაუფრთხილებლობითი. აქ, მთავარია დადგინდეს, თუ როგორია პირის დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი.

ამყამად იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული ის აზრი, რომ თანამონანილეობა განზრახვი მოქმედებაა. ამავე პოზიციას იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც. მაგრამ ისმის საკითხი შესაძლებელია თუ არა თანამონანილეობა როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვის დროს, თუ

1 მ. შარგოროდსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 142-143. Советское Уголовное право. Общая часть. Л., 1960, стр. 419-420.

თანამონანილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არის შესაძლებელი? მხოლოდ რამდენიმე ავტორი უარყოფს ევენტუალური განზრახვით თანამონანილეობის შესაძლებლობას და ამტკიცებს, რომ დანაშაულის გამოვლინების ეს ფორმა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი!

ო. გამყრელიძის აზრით, ევენტუალური განზრახვით თანამონანილეობის დაშვებამ შეიძლება თანამონანილეობის სტრუქტურული რღვევა გამოიწვიოს. ამის საილუსტრაციოდ იგი იხილავს მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან და ერთმნიშვნელად მიდის იმ დასკვნამდე, რომ თანამონანილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი².

პროფ. შარგოროდსკის აზრით კანონის სიტყვები, რომ თანამონანილეობა ეს არის განზრახი მონანილეობა დანაშაულის ჩადენაში — არ ეწინააღმდეგება მის მიერ წამოყენებულ დებულებას, უნაადან კანონში არ არის მითითებული, რომ თანამონანილეობა არის განზრახი მონანილეობა განზრახ დანაშაულში. „... დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლად“. რა თქმა უნდა, კანონში რომ ეს მომენტი სპეციალურად ყოფილიყო აღნიშნული ამით არაფერი დაშვებოდა, მაგრამ კანონმდებელმა უბრალოდ ზედმეტად ჩათვალა ამ მომენტის სპეციალურად აღნიშვნა; კანონის მითითება იმის შესახებ, რომ თანამონანილეობა არის განზრახი მონანილეობა, ეხება ამსრულებელსაც, როგორც თანამონანილეობის ერთ — ერთ სახეს, მაგრამ თუ ამსრულებელი განზრახ უნდა მოქმედებდეს, ეს თავისთავად გამორიცხავს თანამონანილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში.³ დანკრილებით იხილავს გაუფრთხილებელი თანამონანილეობის ყველა

1 М.И. Ковалев. Соучастие в преступлении, ч. 1, Свердловск, 1960. стр. 268; Ф.Г. Буряк. Учение о соучастии по советскому уголовному праву. Киев, 1969, стр. 120: ო გამყრელიძე დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974, გვ. 143-148

2 ო გამყრელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 116-120.

3 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

შესაძლებელ კომბინაციას ო. გამყრელიძე და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ამაოა ყოველგვარი ცდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დასაბუთებისა¹.

თანამონაწილეობა გარდა იმისა, რომ გულისხმობს თითოეული თანამონაწილის მოქმედების მიზნობრივ და ბრალულ კავშირს ჩადენილ დანაშაულთან, ამავე დროს მოითხოვს დამატებით კიდევ ერთ ნიშანს. სახელდობრ, საჭიროა თანამონაწილეთა ორგანული ერთიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილებმა უნდა იცოდნენ ამსრულებლის დანაშაულებრივი სქემიანობის შესახებ. ამაზე, პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში: „თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

რევოლუციამდელ რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი ერთგვაროვნად არ განიხილებოდა. პროფ. ნ.ტაგანცევი სოლიდარული პასუხისმგებლობის მომხრე იყო, ე.ი. ყველას პასუხისმგებლობისა თითოეულისათვის და თითოეულის ყველასათვის. ასეთი პასუხისმგებლობის საფუძვლად იგი ბრალის ერთიანობას მიიჩნევდა, რაც თავის შტრივ სხვისი ბრალის გაზიარებას გულისხმობდა. ასეთი გაზიარების გარეგან ნიშანს შეთანხმება წარმოადგენდა „შეთანხმება თანამონაწილეობის ძირითადი ნიშანია, ვიდრე იგი დამტკიცებული არ იქნება, მანამდე შეუძლებელია ვილაპარაკოთ თანამონაწილეობაზე“².

სოლიდარული პასუხისმგებლობა, ე.ი. პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი ბრალისათვის, ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს.

მეორე უკიდურესობაში ვარდებოდნენ ის კრიმინალისტები, რომლებიც აღიარებდნენ რა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად არა მოქმედებას, არამედ მოქმედს, იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ერთ მოქმედებაში არ შეიძლება მოთავსდეს რამდენიმე პირადი მდგომარეობა და, რომ ყოველი ქმედება არის მხოლოდ ერთი პირის პირადი მდგომარეობის

¹ ო. გამყრელიძე დასახ. ნაშრ., გვ. 116-120.

² Н.С. Таганцев. Русское уголовное право. Лекции, С-Петербург, 1902, стр. 739.

გამოვლინება. მაშასადამე, რამდენი დამნაშავეც არის, იმდენივე დანაშაულიც (quod delinquenti. tot delicti). თანამონანილეობის ცნება. გაძევებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის სფეროდან.¹

ი.ფოინიციკი ამ დასკვნამდე მიდის თანამონანილეობის დროს როგორც მიზეზობრივი კავშირის, ისე ერთიანი ბრალის შესაძლებლობის უარყოფის გზით. მას მიაჩნია, რომ მიზეზობრივი კავშირი არ შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, წინასწარ დაპირებულ დაფარვასა და ამსრულებლის მოქმედებას შორის ვინაიდან ასეთი კავშირი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ როდესაც განსაზღვრული შედეგის გამომწვევი მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, ხოლო დაფარვა კი, ხორციელდება დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ასევე არ არსებობს ერთიანი განზრახვა თანამონანილეობის დროს, ვინაიდან ყოველი პირი თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მოტივის გამო უერთდება დანაშაულს, ხოლო მოტივი ძლიერ დიდ გავლენას ახდენს განზრახვის ბუნებაზე და ამდენად, რამდენიმე პირის ერთიანი განზრახვა წრმოუდგენელია. პირიქით, თანამონანილეობა ლოგიკურად გულისხმობს იმდენ განზრახვას, რამდენი თანამონანილეცაა. მათ შორის შეიძლება იყოს მსგავსება და დამთხვევა, მაგრამ არა ერთიანობა; ერთიანობა იქნებოდა თითოეული თანამონანილის ნების შთანთქმა საერთო ნებით, ე.ი. ცალკეულ თანამონანილეთა არათავისუფლება.²

ფოინიციკის ეს შეხედულება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. ჯერ ერთი, წინასწარ შეპირებული დაფარვა მიზეზობრივი კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან, ვინაიდან დაფარვის დაპირება არის ფსიქიკური დახმარების განევა ამსრულებლისათვის, ამ უკანასკნელის დანაშაულებრივი განზრახვის განმტკიცება, მისთვის დანაშაულის ჩასადენად გამბედაობის შემატება. მეორეც, ფოინიციკის შეხედულება თანამონანილეთა მოქმედების სავსებით იზოლირებული და დამოუკიდებელი ბუნების თაობაზე, რომელსაც

! И.Я. Фойницкий. Уголовно-правовая доктрина о соучастии. "Юридический вестник". кн. 7. 1891, стр.8.

2 ი. ფოინიციკი, დასახ. ნაშრ., გვ. 8

მოქმედების განსხვავებული მოტივების არსებობა უძველეს საფუძვლად, ვერ ჩაითვლება დამარწმუნებლად. დანაშაულის მოტივი—სუბიექტური მხარის ისეთი მომენტიც, რომელიც უმთავრესად არც კი აღინიშნება დანაშაულის შემადგენლობაში და ამდენად მოტივთა განსხვავება თანამონანილეობის ცნების გასაბათილებლად ვერ გამოდგება.¹

თანამონანილეთა კავშირის შესახებ ერთიანი აზრი არც საბჭოური პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში იყო წარმოდგენილი. ის იურისტები, რომლებიც თანამონანილეობისათვის აუცილებლად არ მიიჩნევდნენ ყველა თანამონანილის განზრახ მოქმედებას, ბუნებრივია, თანამონანილეობას უშვებდნენ იქაც, სადაც მათი შინაგანი მოქმედება ერთობლიობას არ წარმოადგენდა.

იურისტთა მეორე ნაწილი თანამონანილეობისათვის აუცილებლად მოითხოვდა თანამონანილეთა შეთანხმებას.

შეთანხმების თეორიის მომხრეები იყვნენ პროფ. ა.უი.ილენკო, ალაბტევი, მ.შნიდერი, აპიონტკოვსკი. ამ ავტორთა აზრით, თითოეულმა თანამონანილემ უნდა იცოდეს სხვა თანამონანილის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ და სურდეს ერთობლივი მოქმედება, რაც შეთანხმებაში გამოიხატება. ეს შეთანხმება მ.შნიდერისა და აპიონტკოვსკის აზრით, არ გულისხმობს აუცილებლად წინასწარ შეთანხმებას, არამედ იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს დანაშაულის ჩადენის მომენტშიც თვით დანაშაულის ადგილას ისეთი მოქმედებით, რაც სიტყვიერი შეთანხმების მაგივრობას სწევს (კონკლუდენტური მოქმედებით, წერილობით). ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ თითოეულმა თანამონანილემ იცოდეს დანარჩენ თანამონანილეთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. მთავარია თითოეული მათგანის შეგნება, რომ იგი მოქმედებს სხვა პირებთან ერთად და არა განცალკევებულად.²

1 თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 55-56.

2 М. А. И. Шнейдер. Соучастие в преступлении по советскому уголовному праву. М., 1958, стр. 16-17. 27: Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 455.

ამ უკანასკნელ აზრს იზიარებს და კიდევ უფრო ავითარებს მ.კოვალიოვი, „...თუ ვინმემ არ იცის, რომ იგი აქეზებს ან ხელს უწყობს სხვას დანაშაულის ჩადენაში, ასეთი პირი ცხადია არ შეიძლება ვცნოდ ამსრულებლის მოქმედების თანამონაწილედ“!

თანამონაწილეობა ამ შემთხვევაში მეტად ფართოდაა გაგებული, რადგან ამსრულებლის მოქმედება ძირითადი შუალედი რგოლია თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, ამდენად ორგანიზატორმა, ნამქებებელმა და დამხმარემ აუცილებლად უნდა იცოდნენ ამსრულებლის მოქმედების შესახებ — მაგრამ ამსრულებელმა შეიძლება არც იცოდეს დამხმარის მოქმედების შესახებ.

ასევე, თუ დანაშაულში რამდენიმე პირი იღებს მონაწილეობას, აუცილებელი არ არის, რომ ყოველმა მათგანმა იცოდეს დანაშაულის ჩადენაში სხვა მონაწილეთა ვინაობა, საკმარისია, თუ თითოეულმა მათგანმა იცის, რომ სხვებთან ერთად მონაწილეობს განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში.

ო. გამყრელიძის აზრით, თანამონაწილეთა გამაერთიანებელი ნიშანს მათ მიერ ერთი უმართლობის (მართლსაწინააღმდეგო ქმედების) განხორციელება წარმოადგენს. მხოლოდ მიზეზობრიობაზე დაყრდნობით თანამონაწილეობის ცნება ვერ აიგება ამიტომ გამაერთიანებელი ნიშანი სუბიექტურ სფეროში უნდა მოიძებნოს. მაგრამ კლასიკური დოქტრინა სუბიექტურ მომენტებს მხოლოდ ბრალის სფეროს აკუთვნებდა, რომელიც თავის მხრივ პერსონალური კატეგორიაა და ამდენად ვერ იქნება რამდენიმე კაცის მოქმედების გამაერთიანებელი ნიშანი. ასეთ გამაერთიანებელ ნიშანს — ავტორის აზრით — წარმოადგენს სუბიექტურ სფეროში არსებული ობიექტური ნიშანი (მიზანი).²

თანამონაწილეობა და დანაშაულის შეზღუდვა
დებულება, რომ თანამონაწილენი დანაშაულის ერთსა და

1 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении, ч. 1, Свердловск, 1960, стр. 112.

² დანჯვრლებით ამ საკითხზე ო. გამყრელიძის დასახ. ნაშრომი.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას ინვევდა.

გამოითქვა შეხედულება, რომ დანაშაულის შემადგენლობა ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი და არა სხვა თანამონაწილენი; ამ ავტორების აზრით დანაშაულის შემადგენლობა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, რომ იგი მოიცავს ამ ნაწილის ცალკეული კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს და არ მოიცავს ზოგადი ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებსაც. მათი შეხედულებით მარტოოდენ ამსრულებელი ახორციელებს მთლიანად დანაშაულის შემადგენლობას. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე მხოლოდ ქმნიან აუცილებელ პირობებს იმისათვის, რათა ამსრულებელმა განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ თუ მაგალითად, ამსრულებელი უარს ამბობს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეებმა არ შეიძლება პასუხი აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან მათ მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის ერთობლიობა, რასაც კანონი მოითხოვს.¹

მართალია, დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაშია მოცემული, მაგრამ შემადგენლობა და დისპოზიცია არ ემთხვევა ერთმანეთს; შემადგენლობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიცია. საქმე ის არის, რომ კანონმდებელს წმინდა საკანონმდებლო ტექნიკური მოსაზრებებით, შემადგენლობის ისეთი ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, გამოტანილი აქვს ზოგადი ნაწილის მუხლებში, ეს ნიშნები განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში თავისთავად იგულისხმებიან. ეს შეეხება თანამონაწილეობასაც; განსაკუთრებული ნაწილის მუხლები, როდესაც ამსრულებელზე მიუთითებენ, გულისხმობენ იმ ნიშნებსაც, რომლებიც მოცემულია ზოგადი ნაწილის მუხლებში, კერძოდ, ორგანიზატორის, დამხმარისა და წამქეზებლის მოქმედებასაც. ამიტომ აქცენტი იმაზე კი არ უნდა გაკეთდეს, რომ თანამო-

¹ ამ შეხედულების წარმომადგენლები არიან ზ. ჟონსკაია, ა. კუზნეცოვი და სხვა.

ნანილენი საერთოდ არ ასრულებენ მოცემული, კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას, არამედ, რომ ორგანიზტორი, ნამქებელი და დამხმარე უშუალოდ არ ახორციელებენ დანაშაულის შემადგენლობას.¹

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი. სიტყვა აქცესორული (accessorius) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დამატებითს, მიერთებულს. თუ ამ ცნებას თანამონაწიელობის კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ ეს ნიშნავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ერთგვარ დამოკიდებულებას ამსრულებლის ქმედებისაგან. მაგრამ ამ დამოკიდებულების ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს; აქცესორულობა თანამონაწიელობის დროს არ ნიშნავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლისა და მათი დასჯადობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისა და დასჯადობისაგან. პასუხისმგებლობის ასეთი ჰიპერაქცესორული ფორმა წარსულში გადმოცემული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ლიტერატურაში, თანაც მას აღიარებდნენ თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის მომხრეები.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულობა გამოიხატება იმაში, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თვით თანამონაწიელობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა შეასრულა თანამონაწილეთა მიერ მოფიქრებული დანაშაულის შემადგენლობა; თანამონაწილეთა საერთო პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშულში მონაწილე ყველა პირის მოქმედებათა ერთიანობაა.²

საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობის წინააღმდეგი იყო. ამ შეხედულების თანახმად, თანამონაწიელობის აქცესორული ხასიათის აღიარება ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს და

1 ო. ნერუელი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

2 მ. კოვლიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 98-99; ამავე აზრს იზიარებს პროფ. ო. ნერუელი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

ამდენად იგი რეაქციულია! მაგრამ ამ შეხედულების ყველა წარმომადგენელი თანამონანილეობის აქცესორულობას მეტად ფართოდ განსაზღვრავს, სახელდობრ, როგორც თანამონანილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან.

თანამონანილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის წარმომადგენელთა აზრით, როცა ამსრულებლის მოქმედება მოსამზადებელ სტადიაზე შეჩერდა, ან მან არც არაფერი არ ჩაიდინა, ხოლო ნამქმნებელმა და დამხმარემ კი, ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მათ პასუხი უნდა აგონ, როგორც შესაბამისი კონკრეტული დამთავრებული დანაშაულის თანამონანილეობა.

ეს შეხედულება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები, ზოგადი ნაწილის მუხლების გარეშე, ცალკე აღებულნი გულისხმობენ დამთავრებულ დანაშაულს, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, ამ მომენტის აღსანიშნავად მითითებულია ზოგადი ნაწილის მუხლზე დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ (საქართველოს სსკ—ის მე—17 მუხლი). ამ მუხლზე მითითების გარეშე გამოვა, რომ თანამონანილემ დამთავრებელი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ არ არსებობს ნაქმნების და დამხმარების დამოუკიდებელი შემადგენლობა, თანამონანილენი პასუხს აგებენ იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, ვინაიდან მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში არიან ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან თანამონანილეობის აქცესორული ბუნების მიხედვით კი, თანამონანილენი პასუხს აგებენ დამთავრებული დანაშაულისათვის, თუ ამსრულებელმა დამთავრებული დანაშაული ჩაიდინა, ისინი პასუხს აგებენ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, თუ ამსრულებელმა დაუმთავრებელი დანაშაული ჩაიდინა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის

1 ამ აზრს იზიარებენ გ. ვოლკოვი, ა. ტრაინინი, პიონტკოვსკი, მ. მარგოროდსკი, მ. შნიდერი, ა. გრიშაევი, გ. კრიგერი, უ. კობიაშვილი.

გამსაკუთრებული ნაწილის მუხლს თანამონაწილეობის შესახებ დაემატება მუხლი დაუმთარგმნელი დანაშაულის შესახებ და ქრედება დაკლიფიცირდება მე-19 მე-17-150 მუხლებით: (მაქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცების მცდელობა ჩადენილი თანამონაწილეობით).

ზოგიერთი ავტორი აქცესორულობის წინააღმდეგ იმას იშველიებს, რომ პრაქტიკაში არის შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის სხვადასხვა მუხლით ხდება. ეს გარემოება სრულიადაც არ შეიძლება მოშველიებული იქნას თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის უკუსაგდებად; სხვადასხვა მუხლით თანამონაწილეთა მოქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თანამონაწილეს გაჩნია ისეთი ინდივიდუალური, პირადი თვისებები, რაც არ აქვთ სხვა თანამონაწილეს და რაც ამძიძებს ან, პირიქით ამსუბუქებს მის მდგომარეობას და თუ ამის შესატყვისად შექმნილია დანაშაულის პრივილეგირებული ან კვალიფიკაციური შემადგენლობა მაგრამ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა მაინც იგივე რჩება, თუ ადგილი არა აქვს ამსრულებლის ექსცესს.

აქცესორული მიმდინარეობის მოწინააღმდეგენი მიუთითებენ, რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორია ანგარიშს არ უნევს ამსრულებლის ექსცესის შესაძლებლობას, რასაც ფაქტიურად ობიექტურ შერაცხვამდე მიყვაროთ. ასეთი მოთხოვნა არ წამოუყენებია თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის არცერთ წარმომადგენელს, თვით პიპურაქცესორული თეორიის მომხრეებსაც კი.

თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგენი იმსაც საყვედურობენ, რომ ამ თეორიის თანახმად გამოირიცხება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, რაც თავის მხრივ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის საწინააღმდეგოა.

პროფ. თ. ნერეთლის აზრით, თუ დანაშაული არ არსებობს, ცხადია, რომ ვერც თანამონაწილეობა იარსებებს ამ დანაშაულში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდნენ ამ დანაშაულის ორგანიზატორები, ნამქებებ-

ლები და დამხმარენი.

მათი მოქმედება თავისთავად მოსაძალებელ

მოქმედებათა რიცხვს განეკუთვნება და ისინი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის. ეს დასკვნაც თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეა.¹

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მოწინააღმდეგეების აზრით, აქცესორულ თეორიას არ შეუძლია ასევე უშედეგო ნაქმეებისა და უშედეგო დახმარების დასჯადობის დასაბუთებაც. ამ შემთხვევაში არ არის ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედება და ამიტომ ვერც თანამონაწილენი დაისჯებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს თავიანთი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად და აღნიშნულის შესაბამისად მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ნაქმეების ან დახმარების მცდელობა² საკითხის ასეთ ჭრილში დაყენება არ არის გამართლებული. როგორც ცნობილია, არ არსებობს დანაშაულის ნაქმეებისა და დანაშაულის დახმარების დამოუკიდებელი შემადგენლობები და ამდენად არც მათი მცდელობა დასაშვები.

შუალობითი ამსრულებლობის საკითხთან დაკავშირებით თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის მომხრეებს საყვედურობენ, რომ მათ იმისათვის, რათა პასუხისმგებლობის გარეშე არ დაეტოვებინათ ნამქმეებელი და დამხმარე იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო ამსრულებელი მოკლებულია შერაცხვის უნარს, შუალობითი ბრალეულობის ხელოვნური ცნება შექმნეს, მაგრამ ამ შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი ფაქტიურად არ ჩნდის დანაშაულს, იგი მხოლოდ იარაღია სხვის ხელში, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ და ბრალულ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან და ამდენად იგი წარმოადგენს კიდევაც დანაშაულის შუალობით ამსრულებელს. ასეთი შემთხვევები არ განიხილება როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებლობა.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მოწინააღმდეგეთა აზრით შეუძლებელია აქცესორულობის მეშვეობით დასაბუთდეს ნაქმეება და დახმარება, როდესაც ამსრულებელი სპეციალური სუბიექტია.

¹ თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

² У. И. Кобяков. К вопросу о приготовлении к преступлению и покушению на преступление при соучастии. "Правоведение". 1963. № 148-149.

აღნიშნული დანაშაულის თავისებურება ისაა, რომ სპეციალურ სუბიექტს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობა (სამხედრო მსახური, თანამდებობის პირი და სხვა), რომლის დარღვევა უშუალოდ მხოლოდ მას შეუძლია. პირი, რომელსაც ეს სპეციალური თვისებები არ გააჩნია, არ შეილება იყოს ამ დანაშაულის სუბიექტი, თუნდაც შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც ამ დანაშაულის შემადგენლობას მიეკუთვნება, ამიტომ, თუ მაგალითად, არა თანამდებობის პირმა, თანამდებობის პირის ნაქმრებით თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინა (ქრთამი აიღო), ამ დანაშაულის ამსრულებლად ნამქმრებელი თანამდებობის პირი ჩაითვლება, ხოლო დანაშაულის ფაქტიური ამსრულებელი განიხილება როგორც მისი დამხმარე.

თანამონაწილეთა სახეები. თანამონაწილეთა მოქმედებას შეიძლება სულ სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. ამის მიხედვით, როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობა, ისე თეორია განარჩევს თანამონაწილეობის ოთხ სახეს: ამსრულებელს, ნამქმრებელს, დამხმარეს, ორგანიზატორს (საქართველოს სსკ—ის მე—19 მუხლი).

ამსრულებელი თანამონაწილეობაში ძირითადი ფიგურაა, თუ არ არის ამსრულებელი, არ არის დანაშაული.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში ამსრულებლის შესახებ ორი ძირითადი მიმართულებაა: ერთი, რომელიც გავრცობითად განსაზღვრავს ამსრულებლის ცნებას, ე.წ. ექსტენსიური მიმართულება, მეორე პირიქით, შეზღუდულად განსარტავს მას—რესტრიქციული მიმართულება.

ამსრულებლის ექსტენსიური ცნების მიხედვით, ყოველი პირი, ვისი მოქმედებაც კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ფართო მნიშვნელობით. ამ შეხედულების თანახმად, ნამქმრებელი და დამხმარეც ამსრულებლად გვევლინება, მაგრამ კანონი ცალკე გამოყოფს ამსრულებლის ზოგიერთ, განსაკუთრებულ სახეს (ნაქმრებას და დახმარებას) და მათთვის ცალკე ნუკებს ქმნის, ზღუდავს რა ამით ამსრულებლის ფართო ცნებას. იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა პრინციპით არის გამოყოფილი ამსრულებლის ზოგადი ცნებიდან ნაქმრება და დახმარება და ვინ რჩება ამსრულებლის ვიწრო ცნებაში, საჭიროა შევხვთ იმ საწყისებს, საიდანაც ეს შეხედულება იღებს საიჯეს.

ამსრულელის ექსტენსიური ცნების საფუძველი პირობათა თანასწორფასოვნების თეორიაა. ამ თეორიის მამამთავრის ბურის აზრით, მიზეზობრივი კავშირი რაიმე მოვლენის წარმოშობის პროცესია. თუ გვსურს რაიმე მოვლენის მიზეზობრივი კავშირის დადგენა, უნდა მხდველობაში მივიღოთ ყველა ის ძალა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოვლენის წარმოშობაში. ამ ძალთა ჯამი განიხილება მოვლენის წარმომშობ მიზეზად. ამასთან, თითოეული ამ ძალთაგანი ცალკე აღებული, განიხილება როგორც ამ მოვლენის მიზეზი, ვინაიდან ამ ძალის გარეშე მოვლენა არ განხორციელდებოდა. მაშასადამე, ცალკეული სახის თანამონაწილენი არ შეიძლება გამიჯნულ იქნენ ობიექტური ნიშნის მიხედვით. ამიტომაც ექვივალენტური თეორიის მომხრენი ცდილობენ თანამონაწილეთა სახეები გამიჯნონ მათი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების მიხედვით და ავითარებენ თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას. მისი წარმომადგენელი ბური აღნიშნავდა — ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს დანაშაულებრივი შედეგის წარმოსაგებად დამოუკიდებელი ნებით — „საკუთარი ინტერესიდან“ გამომდინარე, ხოლო დამხმარის საქმიანობა ამსრულელის ნებისაგან დამორჩილებული ნებით ხასიათდება. საერთოდ ბურის მიხედვით თანამონაწილეობა მხოლოდ ორი სახით წარმოგვიდგება — ამსრულელის და დამხმარის სახით.

თანაქონაწილეთა სახეების გამიჯვნას შეეცადნენ ის სუბიექტივისტები, რომელთაც „საკუთარი ინტერესის“ ნაცვლად იხმარეს ტერმინი — „სურდა მოქმედება როგორც საკუთარი“. ასეთი ცდა მოცემულია გერმანელი კრიმინალისტების ბაუმანის, კოლრაუშის და ლანგეს შრომებში. ამ მიმდინარეობის თანახმად, ამსრულებელია ის, ვისაც დანაშაული სურს როგორც საკუთარი, ვისი ნებაც მიმართულია იმისაკენ, რომ იყოს ქმედების ავტორი, უხელმძღვანელოს მას, ხოლო წამქმნელის და დამხმარის ნება მიმართულია იმაზე, რათა აღუძრას სხვას ქმედების ჩადენის სურვილი, ან მხარი დაუჭიროს ქმედების ჩადენას. ამდენად, თუ ვინმეს სურს გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი, როგორც საკუთარი, იგი უნდა ჩაითვალოს ამსრულებლად, თუნდაც მისი მოქმედება მხოლოდ რჩევა-დარიგებით ამოიწურებოდეს და

მოსამზადებელ მოქმედებას არ სცილდებოდეს. ამ მხრივ საგულისხმოა გერმანიის რაიხსგერიხტის (გერმანიის საიმპერიო სასამართლო) განჩინება ერთ-ერთ საქმეზე. საქმის გარემოება ასეთია: დამ სთხვა თავის დას მოეკლა მისი უკანონოდ ახალშობილი, რაც ამ უკანასკნელმა დის ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელა კიდევ. პირველი ინსტანციის სასამართლომ იგი სცნო მკვლელობის ამსრულებლად, ხოლო ახალშობილის დედა კი, მკვლელობის წამქეზებლად. რაიხსგერიხტმა გააუქმა აღნიშნული განაჩენი და მიუთითა, რომ რამდენადაც შედეგით დაინტერესებული იყო ბავშვის დედა, რაც დამახასიათებელია ამსრულებლის ნებისათვის, ამდენად, დედა არის ამსრულებელი (შუალობითი ამსრულებელი), ხოლო მისი და — დამხმარე.

თანამონანილეობის სუბიექტური თეორია გამოუსადეგარია თანამონანილეთა სახეების გასამიჯნად, თუნდაც იმიტომ, რომ მიზნისა და ინტერესების ცნებები არ შედიან დანაშაულის შემადგენლობაში და ამიტომ ამსრულებლის დამახასიათებელ კრიტერიუმებად ვერ გამოდგებიან. გარდა ამისა, როგორც პროფ. ნტაგანცევი მიუთითებდა, საკუთარი და სხვისი ინტერესის ცნება მეტად გაურკვეველი და პირობითი ხასიათისაა.

თანამონანილეობის სუბიექტური თეორიის თანახმად, წამქეზებელი საერთოდ ამოვარდა თანამონანილეთა სახეების რიცხვიდან, ვინაიდან მას, როგორც მთელი დანაშაულის ინიციატორს ყოველთვის სურს ეს დანაშაული, როგორც საკუთარი. ამ მხრივ საინტერესო მაგალითი აქვს მოტანილი პროფ. თ.ნერეთელს გერმანიის საიმპერიო სასამართლოს პრეტიკიდან, კერძოდ, ქალი, რომელმაც სხვა პირი დაიყოლია ქმრის მოსაკლავად, ცნობილი იქნა ამ დანაშაულის თანამსრულებლად.

სუბიექტურ თეორიას ასევე არ ძალუძს სწორად გადაწყვიტოს ის შემთხვევა, როდესაც ამსრულებელს განსაკუთრებული პირადი თვისებები უნდა ახასიათებდეს. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არათანამდებობის

პირი, თუ მას „ამსრულებლის ნება“ ჰქონდა. ფაქტიურად ამ თეორიიდან თანამონაწილეობის ცნების სრული გაუქმების მოთხოვნა გამომდინარეობს.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კიდევაც ექვივალენტური თეორიის წარმომადგენლები: გ.კოლოკოლოვი და ფ.ლისტი, რომელთა აზრით პრინციპული განსხვავება თანამონაწილეთა შორის—არც შეიძლება დასაბუთდეს და რომ ლოგიკური განსხვავება მათ შორის არ არსებობს!

იურისტთა მეორე ნაწილი ამსრულებლის რესტრიქციული ბუნების დასაბუთებას შეეცადა. ამ თელსაზრისის მომხრენი აღნიშნულ საკითხს დანაშაულის შემადგენლობის ცნებას უკავშირებენ. სახელდობრ, დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულია მხოლოდ ამსრულებლის დასჯადობა, მაგრამ კანონის სპეციალური მითითების საფუძველზე ეს დასჯადობა ვრცელდება იმათზედაც, ვინც შემადგენლობას არ ახორციელებს, თუმცა ამსრულებელს უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენაში. კანონის თანახმად ნაქმება და დახმარება არ ეკუთვნის დანაშაულის შემადგენლობას — მათთვის პასუხისმგებლობა შემადგენლობის გარეთაა და გაფართოებულია, მაგრამ საფუძველი მაინც შემადგენლობა არის.

ამსრულებლის რესტრიქციული ცნება საზღვარგარეთის ლიტერატურაში გადანყვეტილია ან ფორმალურ—ობიექტური ან მატერიალურ—ობიექტური თეორიების საფუძველზე.

ფორმალურ—ობიექტური თეორიების მიხედვით თანამონაწილეთა განმასხვავებელი ნიშანი უნდა მოიძებნოს სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში—დანაშაულის შემადგენლობის სფეროში. ფორმალურ—ობიექტური თეორიების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბელინგისა და მეცგერის მოსაზრებები. ბელინგი როგორც ექვივალენტური თეორიის წარმომადგენელი უარყოფს თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაციის შესაძლებლობას მათი მოქმედების განსხვავებული კაუზალობის მოშველიებით. მისი აზრით, გამიჯვნა უნდა მოხდეს დანაშაულის

1 აღნიშნული თეორიები და მათი კრიტიკა მოტანილია თ. ნერეთელი, ჟაქახ. ნაშრ., გვ 93-96.

შემადგენლობის ცნების საფუძველზე. ბელინგთან დანაშაულის შემადგენლობის ტრადიციული ცნება ორ ნაწილად არის გაყოფილი — დანაშაულის ვინრო და ფართო შემადგენლობებად. ვინრო შემადგენლობაში იგულისხმება აღმასრულებელი მოქმედება, ასეთად კი, — ითვლება მოქმედება, რომელიც შემადგენლობის ბირთვს წარმოადგენს (მკვლელობა, გატაცება და სხვა). მოსამზადებელი და დახმარებითი მოქმედებები კი, შედეგისათვის ისეთი პირობების შექმნას გულისხმობს, რომელიც შემადგენლობის გარეთ არის (მსხვერპლის დაჭერა მკვლელობისას, სადარაჯოზე დგომა ქურდობის დროს და ა.შ.). ვინც ვინრო შემადგენლობით გათვალისწინებულ მოქმედებას ასრულებს, ის ამსრულებელია, ხოლო სხვები კი, ასრულებენ მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს სააღსრულებო მოქმედებას.

ამ შეხედულების მიხედვით ამსრულებელთა და სხვა თანამონაწილეთა გამიჯვნა, ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით წდება ყოველგვარი მითითების გარეშე სუბიექტურ ნიშნებზე. მაგრამ თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნა მხოლოდ შემადგენლობის საფუძველზე და მიზეზობრივობის უარყოფით, შეუძლებელია. თვით შემადგენლობის დაყოფა ვინრო და ფართო მნიშვნელობით შემადგენლობებად საბოლოოდ კაუზალური ფაქტორების სხვადასხვაგვარ იურიდიულ შეფასებას გულისხმობს. ამგვარად, ბელინგმა ვერ შესძლო განთავისუფლებულიყო მიზეზობრივობის ცნებისაგან და მოეცა თანამონაწილეთა სახეების გასამიჯნი კრიტერიუმი.

ფორმალურ — ობიექტურმა შეხედულებამ შემდგომი განვითარება მეცგერის მოძღვრებაში ჰპოვა, რომლის აზრითაც მიზეზობრივობის თვალსაზრისით თანამონაწილეთა მოქმედებას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, მაგრამ მიზეზობრივი ჯაჭვის ყველა რგოლის კაუზალური თანასწორფასოვნება სრულიადაც არ გულისხმობს მათ ერთგვაროვან იურიდიულ შეფასებას. ასეთი იურიდიულ — ნორმატიული შეფასების კრიტერიუმი შეიძლება თვით სისხლის სამართლის კანონის განმარტებიდან მივიღოთ: ამსრულებლის ცნების განსაზღვრისას კოდექსის დადგენილებანი ისეთი მოქმედების შესრულებაზე

მიუთითებენ, რომელიც დანაშაულის შემადგენლობაში შედის. ამის შესაბამისად, ამსრულებლად ითვლება ის, ვინც თავისი მოქმედებით ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, დაშმარედ კი ის, — ვინც ამსრულებელს უწყობს ხელს მთავარი მოქმედების ჩადენაში.

მაგრამ თუ რა უდევს საფუძვლად თანამონაწილეთა სახეების იურიდიულ — ნორმატიულ შეფასებას, ამაზე მეცხერი არაფერს ამბობს.

თავისთავად ცხადია, როგორც თვით მეცხერი მიუთითებს, ეს საფუძველი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში უნდა მოიძიოს, კერძოდ, თანამონაწილეთა მიერ განხორციელებული მოქმედების ხასიათში, ხოლო ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა განსხვავებულ იურიდიულ შეფასებას მათი მოქმედების განსხვავებული ხასიათი განაპირობებს, რასაც თავის მხრივ ისევ თანამონაწილეთა მოქმედების კაუზალურ არა:ანას-ნორობამდე მივყევართ. ამდენად, მიზეზობრიობის მომენტის გაძევება თანამონაწილეობის შესახებ მოძღვრებიდან მეცხერთანაც წარუმატებლად დამთავრდა.

რუსეთის რევოლუციამდელ სისხლის სამართლის ლიტერატურაში პროფ. ნ.სერგეევსკი ძირითადად იზიარებდა რა, ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს, ამავე დროს მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებას არ ძალუძს დაადგინოს ის ზუსტი ნიშნები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამოიჯვნა, კერძოდ კი, მთავარ და მეორეხარისხოვან დამნაშავეებად. ამ საკითხს გადასაწყვეტად იგი მთლიანად მოსამართლის თავისუფალ მხედულებას უტოვებდა.

ზოგიერთი დასავლელი იურისტი, რომელმაც იგრძნო მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა თანამონაწილეთა სახეების გამოიჯვნისათვის, შეეცადა მისი დახმარებით მოეხდინა თანამონაწილეთა სახეების გამოიჯვნა. ამ იურისტთა რიცხვს ეკუთვნიან ბირკმაიერი და პერგტი. მათი აზრით, როგორც ამსრულებლის, ისე სხვა თანამონაწილეების მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და ამდენად,

თვითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს ამ შედეგისათვის. ექვივალენტური თეორიის მომხრეთა საპირისპიროდ, ამ ავტორებს მიჩნიათ, რომ ამსრულებლის მოქმედება უფრო ქმედითია დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედებასთან შედარებით და ამიტომ თანამონაწილეთა გამოიჯენა შესაძლებელია, მაგრამ ბირკმაიერის მიხედვით მიზეზი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავებული უნდა იქნეს მიზეზისაგან ფილოსოფიური თვალსაზრისით. ფილოსოფიური თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტური თეორია — ერთადერთი სწორი თეორიაა, მაგრამ სისხლის სამართალი შეზღუდულად განსაზღვრავს მიზეზის ფართო ფილოსოფიურ ცნებას და პირობათა ურიცხვი რაოდენობიდან გამოყოფს ყველაზე ქმედით პირობებს, რომლებთანაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკავშირება. სწორედ ამ პირობებს შეიძლება დაერქვათ მიზეზი სისხლისსამართლებრივი გაგებით. თუ რომელია ყველაზე ქმედითი პირობა ეს უნდა გადანივციტოს მოსამართლემ ამ საკითხის გადანივციტისას მოსამართლემ უნდა იხელმძღვანლოს ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებით. აღნიშნულის შესაბამისად, ამსრულებელია ის, ვინც იწვევს შედეგს ყოველდღიურ შეზღუდულებათა შესაბამისად, ხოლო დამხმარე და ნამქმეზებელი ქმნიან მხოლოდ პირობას შედეგისთვის.

ამგვარად, ვერც ბირკმაიერმა ვერ შესძლო გამოეძებნა რაიმე კრიტერიუმი შედეგის გამომწვევ პირობათა გასამიჯნავად. მანაც ეს საკითხი გადასაჭრელად მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას დაუტოვა.¹

ბოლო ხანს დასავლურ იურისპრუდენციაში ფართოდ გავრცელდა „მატერიალისტურ —ობიექტური თეორია“, რომელიც უარყოფს თანამონაწილეობის სუბიექტურ და ძველ ობიექტურ თეორიებს და თავის მხრივ ცდილობს ამ თეორიების შეთანხმებას „ობიექტური“ და „სუბიექტური“ კრიტერიუმების მოშველიებით. ამ ახალი თეორიის საფუძველია გარმანელი მეცნიერის —

¹ აღნიშნული თეორიები და მათი კრიტიკა მოტანილია თ: ნერუტლის, დასახ. ნაშრ., გვ. 99-101.

ველცელის მიერ შემუშავებული ფინალური შეხედულება მოქმედებაზე.

ფინალური თეორიის წარმომადგენლები ამ თვალსაზრისით უდგებიან თანამონანილეობისა და მისი სახეების საკითხს. ეს თეორია ფაქტიურად ძლიერ აფართოებს ამსრულებლის ცნებას, ვინაიდან ამსრულებლად ამ თეორიის მიხედვით განიხილება ყოველი თანამონანილე, რომელსაც თანამონანილის განზრახვა ჰქონდა, ე.ი. თუ იგი ფინალურად განაგებდა თავის მოქმედებას. ამგვარად, ფინალური თეორია იგივე სახეშეცვლილი სუბიექტური თეორიაა, რომელიც „ფინალური მოქმედების“ კატეგორიის შემსვეობით ცდილობს თავი „მატერიალურ — ობიექტურ“ თეორიად გაასაღოს.¹

თანამონანილეთა სახეების გამიჯვნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას თუ მოვლენის წარმომშობ ფაქტორთა შორის რომელია პირველმნიშვნელოვანი და მეორემნიშვნელოვანი; ყოველი თანამონანილის მოქმედების როლი დანაშაულში თავისებურია და მიზეზობრივად განსხვავდება სხვათა როლისაგან. ამსრულებლის მოქმედებას გადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. ამსრულებელი საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად არის ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს. ამგვარად, კოდექსში ამსრულებელი ობიექტური ნიშნებით ხასიათდება. სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს ობიექტურ თვალსაზრისს თანამონანილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნისას.

ამსრულებლისაგან განსხვავებული უნდა იქნეს შუალობითი ამსრულებელი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, არ წარმოადგენს თანამონანილეობის სახეს, თუმცა მისი მოქმედება ჩართულია მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც ეს პირი გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად როგორც ბრმა იარაღი. ვინც სხვა პირი ბრმა იარაღად გამოიყენა, იგი დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია, და არა ნამქმნებელი ან დამხმარე.

¹ აღნიშნული თეორიები და მათი კრიტიკა ნასარგებლებია თ. ნურეთლის დაახ. ნაშრომიდან, გვ. 106-107.

შუალობითი ამსრულებლობა უპირველეს ყოვლისა არის მაშინ, როდესაც მოქმედება, რომლითაც დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა ნებელივით აქტს არ წარმოადგენს. ასეთებია: ზიანის გამონკვევა ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით, პიპნოზის მეშვეობით, როდესაც „ცოცხალი იარაღი“ შეცდომაშია შეყვანილი; როდესაც ხელიწურად იქმნება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, რათა აიძულონ „ცოცხალი იარაღი“ ჩაიდინოს დანაშაული;

როდესაც დანაშაულის შემადგენლობა მოითხოვს უშუალო ამსრულებლად სპეციალურ სუბიექტს (თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული), მაშინ ასეთ დანაშაულთა უშუალო შემსრულებელი არასპეციალური სუბიექტი ბრალეულადაც რომ მოქმედებდეს, ვერ ჩაითვლება ამსრულებლად, ვინაიდან მას არ გააჩნია ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი — იგი არ არის სპეციალური სუბიექტი. ამიტომ ასეთი პირი ჩაითვლება დანაშაულის დამხმარედ, ხოლო სპეციალური სუბიექტი — დანაშაულის შუალობით ამსრულებლად.

შუალობითი ამსრულებლობა გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული პირმა უშუალოდ უნდა განახორციელოს — (მაგალითად პატიმრობიდან გაქცევა, მუხ. 203, მობილიზაციით განკვევისათვის თავის არიდება-მუხ. 82, დეზერტირობა-მუხ. 262) და სხვა.

ვინაიდან შუალობითი ამსრულებელი იგივე ამსრულებელია, იგი დაისჯება ისევე, როგორც ყოველი ამსრულებელი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლზე მითითების გარეშე, რადგან იგი ერთპიროვნულად მოქმედი დამნაშავეა.

შუალობითი ამსრულებლობისაგან უნდა განვასხვაოთ თანამსრულებლობა, რომელიც იგივე თანამონანიღობაა ფართო მნიშვნელობით. თანამსრულებლობის ცნებას ჩვენი სისხლის საპროცესუალის კანონმდებლობა არ განმარტავს, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მიერ მოცემული ამსრულებლის განსაზღვრებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თანამსრულებლად ცნობილი უნდა იქნეს ის, ვინც სხვასთან

ერთად უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში. დანაშაულში უშუალო მონაწილეობა კი, ნიშნავს მონაწილეობას ისეთ მოქმედებაში, რომლითაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა. ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ვერ ჩაითვლება თანაამსრულებლად, ვინც პირობებს ქმნის დანაშაულის ჩასადენად. ასევე ისიც, ვინც მართალია, დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს. ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ გამოითქვა განსხვავებული აზრი. მაგალითად, ბირკმაიერის მიხედვით დანაშაულის მომენტში ჩადენილი მოქმედება განხილული უნდა იქნეს როგორც თანამონაწილეობა, თუნდაც ამ მოქმედებით არ ხორციელდებოდეს დანაშაულის შემადგენლობა.¹ ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. ენემიროვსკი². ეს შეხედულება ავტორთა უმრავლესობისა და ასევე სასამართლო პრაქტიკის მიერ არ იქნა გაზიარებული.

თანამსრულებლობა შეიძლება იმაში, გამოიხატოს, რომ ყოველი თანაამსრულებელი თავისი მოქმედებით დანაშაულის მთელ შემადგენლობას ახორციელებდეს (მაგალითად, რამდენიმე კაცი ერთდროულად სცემს ერთ კაცს). აქ, ყველა დამნაშავე ერთგვაროვან მოქმედებას ასრულებს, თანაამსრულებლობა არც მაშინ არის გამორიცხული, როდესაც თანაამსრულებელი დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ნაწილს ახორციელებს. მაგალითად, მკვლელობის დროს ამსრულებლად ითვლება არა მხოლოდ ის, ვინც დაზარალებულს დანა ჩასცა, არამედ ისიც, ვინც ამ დროს დაზარალებული გააკავა და დანარჩენებს განზრახვის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა მისცა. აქ, თუმცა როლები ერთგვარად განაწილებულია, მაგრამ მაინც თითოეული თანამონაწილე მონაწილე შემადგენლობის (ან შემთხვევაში მკვლელობის) ნაწილს ახორციელებს და შედეგი მათი ერთობლივი მოქმედებით არის გამოწვეული. თუ თანაამსრულებელთა მოქმედებას განვიხილავთ იზოლირებულად და არა ერთობლივად, მაშინ ეს გამოიწვევს

¹ საარგებლებია თ. ნურთლის დასახ. ნაშრ., გვ. 133.

² Э.Я.Немировский. Советское уголовное право. Одесса. 1924, с. 127.

მათი მოქმედების არასწორ კვალიფიკაციას.

თანაამსრულებლობა აქტიური მოქმედების გარდა შეიძლება უმოქმედობითაც იქნეს ჩადენილი. აქ იგულისხმება როგორც წმინდა უმოქმედობა, ასევე შერეული უმოქმედობაც. ამ აზრს იზიარებენ პროფ. მ.კოვალიოვი და პროფ. თ.ნერეთელი.¹ ამ დებულებას უარყოფენ პ.გრიშაევი და გ.კრიგერი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თანამონაწილეობა ლოგიკურად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილე უმოქმედობს.²

შენადგენი დანაშაულის, რომელიც რამდენიმე იზოლირებულად აღებული, დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედებისაგან შედგება, მაგალითად, ყაჩაღობა გულისხმობს ქონების დაუფლების მიზნით სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას. ამ მოქმედებათა ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხილვა არ შეიძლება, მაგრამ თუ შენადგენი დანაშაულისას გარკვეულ მოქმედებას სხვებთან შეუთანხმებლად ასორციელებს ერთი, ხოლო მას შემდეგ შეუერთდება მეორე და პირველთან შეთანხმებით დაამთავრებს ამ დანაშაულს, მაშინ თითოეულმა პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რაც მან ობიექტურად განახორციელა და რისი განზრახვაც მას პქონდა.

ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება გერმანელი კრიმინალისტი ველცელი. იგი მიუთითებს, რომ თუ პირველმა ამსრულებელმა უკვე განახორციელა შენადგენი დანაშაულის განსაზღვრული ნაწილი, ხოლო მეორე დამნაშავე შემდგომ შეუერთდა მას და მონაწილეობა მიიღო დანაშაულის დამთავრებაში, ამ მეორემ პასუხი უნდა აგოს მთელი შენადგენი დანაშაულისათვის, ვინაიდან მან იცის დამამძიმებელი გარემოებების შესახებ და ინონებს მას. ეს მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული; დანაშაულში შემდგომი მონაწილეობა ვერ შეავსებს მიზეზობრივ კავშირს, რომელიც არ არსებობს მეორე დამნაშავეს ქმედებასა და ძალადობის აქტს შორის, ასევე ვერ შეავსებს ვერც ბრალს,

¹ მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39, თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 138

² П. И. Гришаев. Г. А. Кривер. Соучастие по уголовному праву. М., 1959,

ვინაიდან განზრახვა მიმართულია მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ¹.

სხვაგვარიად გადაწყდება საკიოხი, როდესაც თანაამსრულებლები წინასწარ არიან შეთანხმებულნი როლების განაწილების შესახებ. თითოეული ამსრულებელი შემადგენლობის ნაწილს ასრულებს იგი თუ მთლიან შემადგენლობას, მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ერთობლივ შედეგთან.

თანაამსრულებლობა მიზეზობრივი კავშირის გარდა მოითხოვს ერთობლივ ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგთან. ეს დამოკიდებულება განზრახ ბრალს გულისხმობს.

თანაამსრულებლობისათვის არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა. საკმარისია, რომ დამნაშავენი ევენტუალური განზრახვით მოქმედებდნენ. პროფ. თ.წერეთელს ამის საილუსტრაციოდ მოაქვს მაგალითი: ერთი სახლის თანამესაკუთრენი გადაწყვეტენ სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით გადასწვან სახლი, თუმც იციან, რომ ამის შედეგად შეიძლება დაინვას რომელიმე მდგმური, მაგრამ შეგნებულად უშვებენ ასეთ შედეგს. თუ სახლისათვის ცეცხლის ნაკიდების გამო მდგმური მართლაც დაიღუპა, დამნაშავენი განიხილებიან როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.²

ვინაიდან თანაამსრულებლობა თანამონაწილეობის ფორმაა, აქედან გამომდინარე, რამდენიმე პირის მიერ შედეგის გაუფრთხილებლობით გამოწვევა ვერ განიხილება თანაამსრულებლობად და თითოეულმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს როგორც დამოუკიდებელმა ამსრულებელმა.

თანაამსრულებლობისათვის აუცილებელია იმის შეგნებაც, რომ დანაშაულებრივი შედეგი მათი საერთო მოქმედებებით ხორციელდება, მაგრამ წინასწარი შეთანხმება მათ შორის არ არის სავალდებულო, მთავარია, რომ მათ იცოდნენ ერთმანეთის მოჭმედების შესახებ.

¹ აღნიშნული შეხედულება და მისი კრიტიკა მოჭანილია თ. წერეთლის დასახ. ნაშრ., გვ. 140.

² თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

თანამსრულებლობის დროს თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს როგორც მოცემული, კონკრეტული დანაშაულის ამსრულებელი, ამიტომ მითითება თანამონაწილეობის მუხლზე მისი მოქმედების კვალიფიკაციის დროს საჭირო აღარ არის.

ორგანიზატორი. თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს დანაშაულის ორგანიზატორი წარმოადგენს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების გამოცემამდე ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილის ერთერთ სახეს, სისხლის სამართლის კოდექსები ზოგად ნაწილში არ ითვალისწინებდნენ. მხოლოდ საფუძვლებმა თანამონაწილეთა ტრადიციულ სამ სახეს ორგანიზატორიც დაუმატა, მისი გამოყოფა თანამონაწილეობის ცალკე ფიგურად სასამართლო პრაქტიკის საჭიროებამ განაპირობა. ორგანიზატორის საფუძვლებზეული განსაზღვრება უცვლელად იქნა გადატანილი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, „ორგანიზატორად ჩაითვლება პირი, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“.

საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ ორგანიზატორის ცნება კანონმდებლის მიერ მეტად ვიწროდ არის განსაზღვრული, კერძოდ, არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ორგანიზატორი პირველყოველისა არის თვით დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემქმნელი და მისი საქმიანობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი. ამ ავტორთა აზრით, ორგანიზატორი არის ის „ვინც ქმნის დანაშაულებრივ გაერთიანებას“ ან „შაიკას“, ან ხელმძღვანელობს მის საქმიანობას, აგრეთვე ის პირი, რომელმაც ხელმძღვანელობს ცალკეულ დანაშაულთა მომზადებას და ჩადენას.¹

დღეს არსებული ორგანიზატორის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრების თანახმად ცალკეის ორგანიზატორი შეიძლება

¹ ი. გრძევი, გ. კრიკერი. დაახ. ნაშრ., გვ. 131

უშუალოდ არ მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ჩაატაროს დიდი ორგანიზაციული საქმიანობა მის ჩასადენად: შეიმუშაოს დანაშაულის გეგმა, გამოძებნოს თანამონაწილენი, მისცეს მათ დავალება. ორგანიზატორმა შეიძლება ისეთი მოქმედებებიც ჩაიდინოს, რომელიც ნამქვზებისა და დამხმარის ფუნქციებში შედის, მაგრამ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტია ის გარემოება, რომ პირი დანაშაულის ხელმძღვანელია, რომ იგი აერთიანებს სხვა თანამონაწილეთა ძალებს და წარმართავს მათ ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობას.¹ აქედან გამომდინარე, ორგანიზატორის საქმიანობა თავისი ინტენსივობით და აქტუალობით გაცილებით აჭარბებს სხვა თანამონაწილეთა საქმიანობას. ამდენად უფრო მართებული იქნებოდა, თუ კოდექსის მიერ მოცემული ორგანიზატორის განსაზღვრება შეივსებოდა ისე, რომ ამ ფიგურისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი სრულიად აისახოს, სახელდობრ, როგორც პროფ. თ. ნორუთელი მიუთითებს ორგანიზატორის ცნება ამდაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს: „დანაშაულის ორგანიზატორად ჩაითვლება ის პირი, ვინც შექმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციას ან ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას“².

ორგანიზატორი პასუხს აგებს იმ ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობისას, რაც ყველა თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის არის აუცილებელი. მიზეზობრივი კავშირის პრობლემა ლიტერატურაში რაიმე გაუგებრობს არ წარმოშობს. დავის საგანი ბრალის საკითხია.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ორგანიზატორის პასუხისმგებლობა მაშინაც შესაძლებელია, როდესაც ეს უკანასკნელი არა თუ არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, არამედ არც არაფერი იცის მის შესახებ.³

შეიძლება ორგანიზატორი არც იცნობდეს მის მიერ შექმნილი

1 ი. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 147

2 თ. ნორუთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

3 Уголовное право. Общая часть. М., 1948, стр. 424; Советское Уголовное право. Общая часть. М., 1952 стр. 307.

ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრს და არც არაფერი იცოდეს მისი საქმიანობის შესახებ, მაგრამ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი დაუშვებლად სცნობს ორგანიზატორის პასუხისმგებლობას ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. თუ ამ კონკრეტული დანაშაულის მიმართ მას არ გააჩნია ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვი ბრალის სახით. მართალია, ორგანიზატორი სახავს დანაშაულის განხორციელების გეგმას, მაგრამ გეგმის შესრულება ადგილზე ხდება, ამიტომ თუ ორგანიზატორი ითვალისწინებს, რომ დანაშაულის ადგილზე შეიძლება მოხდეს გეგმიდან გადახვევა და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, იგი პასუხს აგებს ამ დანაშაულისათვის, ვინაიდან იგი ითვალისწინებდა ასეთი დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობას.

ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვითაც. ამ აზრს არ ეთანხმება კუვალიოვი, რომელსაც მიაჩნია, რომ ორგანიზატორმა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით იმოქმედოს.¹ აღნიშნული მოსაზრების გასაბათილებლად პროფ. თ. ნურეთელის მოაქვს ასეთი მაგალითი: ვინმემ დაიქირავა მკვლელი კაცის მოსაკლავად და იმასაც ითვალისწინებს, რომ მკვლელმა შეიძლება დაზარალებული გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორს მკვლელობის მიმართ აქვს პირდაპირი განზრახვა, ხოლო ევენტუალური განზრახვა — გაძარცვის მიმართ. მაგრამ უშუალოდ იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც აწყობს ორგანიზატორი, მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა.²

ორგანიზატორის მოქმედების კვალიფიკაციის დროს საჭიროა თანამონანილეობის მუხლის (საქ. სსკ—ის მე—19 მუხ.) იმ ნაწილზე მითითება, რომელიც ორგანიზატორის ცნებას განსაზღვრავს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნას და მასში მონაწილეობას (იხ. სსკ—ის 73. 78—ე მუხ.)

¹ მ. კუვალიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

² თ. ნურეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

ამ შემთხვევაში ორგანიზატორული საქმიანობა თვით ქმნის დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას და ამიტომ, თავისთავად ცხადია, ქმედების კვალიფიკაცია მოხდება ამ მუხლებით, სსკ-ის მე-19 მუხლზე მითითების გარეშე.

დავაჯიზგავლი. ნამქეზებელი თანამონაწილეთა შორის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი ასე განსაზღვრავს ნამქეზებლის ცნებას „ნამქეზებლად ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს“. ნამქეზებელი, ამგვარად, მეორე პირს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის განზრახვას და ამ უკანასკნელის მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს; ნამქეზებლის მოქმედების მიზეზობრიობა ფსიქიკურად არის გაშუალებული ამსრულებლის ცნობიერებაზე ზემოქმედებით; ნამქეზებლის მოქმედებამ ამსრულებლის ცნობიერებაში უნდა გაიაროს და მისი მოქმედების მოტივი გახდეს. აქედან, ნამქეზებელი ამსრულებლისაგან იმით განსხვავდება, რომ ამსრულებელი უშუალოდ, საკუთარი ხელით ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო ნამქეზებელი—სხვა ადამიანის მეშვეობით.

შუალობითი ამსრულებლისაგან ნამქეზებელი იმით განსხვავდება, რომ ნამქეზებლის მიერ შეგულიანებული პირი შეგნებულად მოქმედებს, ხოლო შუალობითი ამსრულებლის მიერ ნამქეზებული—შეუგებლად, იგი „ცოცხალი იარაღია“ სხვის ხელში.

ნამქეზებლის ობიექტური მხარე ამსრულებელში დანაშაულებრივი გადანყვეტილების აღძვრაში გამოიხატება, მაგრამ თუ რა საშუალებებით არის შესაძლებელი ამის მიღწევა კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს. აქ იგულისხმება ყოველგვარი ფსიქიკური ზემოქმედება, რომელიც ამსრულებელს მიაღებინებს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას. ეს შეიძლება იყოს: საჩუქარი, დაპირება, მუქარა, თხოვნა, დარწმუნება, მონოღება, მზაკვრობა, შეგონება, თანამედრობის გამოყენება.

ისძის კითხვა, თუ როგორ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ნამქეზებლობა და ფსიქიკური დახმარება? ზოგიერთ კრიმინალისტს (მაგალითად, ბირკმაიერს) მიაჩნია, რომ განსხვავება უნდა ჰქონდეს ფსიქიკური დახმარების აღმოჩენის მომენტის

მიხედვით, კერძოდ, ნაქვება არის ზემოქმედება სხვის ნებაზე გადანყვეტილების მიღებაზე, ხოლო ინტელექტუალური დახმარება—ამ ნებაზე ზემოქმედება გადანყვეტილების მიღების შემდეგ.

მეორე შეხედულების თანახმად, (მაგალითად, ლიპმანი) ნამქვებლად მხოლოდ ის ჩაითვლება, ვინც გადამწყვეტ პირობას ქმნის ამსრულებლის მიერ გადანყვეტილების მისაღებად, ვინაიდან არა ყოველი ინტელექტუალური ზემოქმედება აღწევს ისეთ ინტენსივობას, რომელიც მიაღებინებს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას.

არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომელიც იმის გამო, რომ შეუძლებელია ნამქვებელსა და ფსიქიკურ დამხმარეს შორის რაიმე განმასხვებელი ნიშნების დადგენა, მოითხოვს მათ გაერთიანებას ინტელექტუალური თანამონაწილეობის სახედ. (მაგალითად, პერგტი).

პროფ. თ.ნერეთელი თვლის, რომ ნამქვებლისა და ფსიქიკური დამხმარის მოქმედება ერთმანეთისაგან ფსიქიკური ზემოქმედების სხვადასხვა ინტენსივობით განსხვავდება. კერძოდ, ნამქვებელი ქმნის გადამწყვეტ მოტივს დანაშაულებრივი გადანყვეტილების მისაღებად. ფსიქიკური დამხმარის როლი ამ მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვანია, ფსიქიკური დამხმარე განამტკიცებს ამსრულებლის გადანყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო ეს გადანყვეტილება ამსრულებელმა დამოუკიდებლად მიიღო.¹ აქ შეჯერებულია ორივე თვალსაზრისი, რომლებიც თავის მხრივ აქცენტს აკეთებდნენ ან ნაქვების მომენტზე ან ნაქვების ინტენსივობაზე.

ზემოდ აღინიშნა, რომ ნაქვების საშუალება შეიძლება იყოს მუქარაც, მაგრამ თუ მუქარა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას ქმნის, მაშინ ნაქვება გამოირიცხება. თუ მუქარა ნამქვებლის ნების თავისუფლებას გამოირიცხავს, მაშინ შეიძლება დაისვას ნაქვებულის „ბრმა იარაღად“ გამოყენების საკითხი.

¹ თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ასევე გამორიცხულია ნაქეზება ფიზიკური ძალადობის—/vis absoluta/ დროსაც.

ნაქეზების ფორმები სხვადასხვაა, იგი შეიძლება წერილობით, ზეპირად, კონკლუდენტური მოქმედებით, უესტიით, მიმიკით და ა.შ. გამოიხატოს.

ნაქეზება შეიძლება მხოლოდ განზრახ, როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვითაც.

ზოგიერთი კრიმინალისტი ევენტუალური განზრახვით ნაქეზების შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფს. მათი აზრით ეს იგივეა, რომ პირს, ვინც დაჟინებით და ჯიუტად აჩეჩებს მეორეს სანამლავის სასიკვდილოდობას და თანაც არნმუნებს, რომ ეს სასარგებლო ნამალია, არ სურდეს თავისი მსხვერპლის სიკვდილი, მაგრამ შეგნებულად უშეებდეს მას. ასევე არ შეიძლება შეგნებულად შეაგულიანო ვინმე დანაშაულის ჩასადენად და ამავე დროს არ გსურდეს, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს.¹

კრიმინალიტთა მეორე ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიუთითებს ისეთ ვითარებაზე, როდესაც პირი განსაზღვრული ამბის მოყოლისას უშეებს რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინოს და გულგრილად ეკიდება ამას. ასეთ შემთხვევაში საკვებით თავისუფლად შეიძლება შეერაცხოს მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნამქეზებლობა.²

თავისთავად ცხადია, თუ პირს არც სურს სხვისი ნაქეზება დანაშაულის ჩასადენად და არც უშეებს ასეთ შესაძლებლობას — იგი არ შეიძლება ცნობილი იქნეს ჩადენილი დანაშაულის ნამქეზებლად (მაგალითად, ვინმე უზიარებს სხვას ქურდობის გეგმას, მასში ქურდობის განზრახვის აღძვრის გარეშე).

გამორიცხულია ნაქეზება იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე ამორალურად ზემოქმედებს სხვებზე. შეიძლება ასეთმა ზემოქმედებამ დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა /sui generis/ მოგვეცეს, მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, სადაც პირი დაისჯება არა

1 - მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 89

2 - ნ. ტაგანცევი, დასახ. ნაშრ. გვ. 768

როგორც ნამქეზებელი, არამედ როგორც ამ დანაშაულის ამსრულებელი.

ნაქეზებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მოტივით და ვისი ინტერესისათვის მოქმედებს ნამქეზებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით ლიტერატურაში დავას ინვევდა იმ პირის ნამქეზებლად ცნობის საკითხი, რომელიც აგულიანებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად შემდგომ მისი მხილების მიზნით—ენ. აგენტ—პროვოკატორის ნამქეზებლად ცნობის საკითხი.

კრიმინალისტთა ერთ ნაწილს აგენტ—პროვოკატორი არ მიაჩნია დანაშაულის ნამქეზებლად. მათი აზრით, აგენტ — პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს როგორც ნამქეზებელი, ვინაიდან მას არა აქვს დანაშაულის ბოლომდე მიყვანის განზრახვა. იგი მხოლოდ დამნაშავის გამოვლენით არის დაინტერესებული და სურს, რომ ამსრულებელმა მცდელობის სტადიას მიაღწიოს, ხოლო მცდელობის არსის გამო ნაქეზება მცდელობისაკენ იურიდიულად შეუძლებელია. ეს არის—*Contradictio in obiecto*¹

ამ შეხედულების წინააღმდეგი იყო რევოლუციამდელი რუსეთის კრიმინალისტთა უმრავლესობა; ნტაგანცევი მიუთითებდა იმ მომენტებზე, რომელთა გამო აგენტ—პროვოკატორს პასუხი უნდა ეგო როგორც ნამქეზებელს, კერძოდ, იგი ითვალისწინებს, რომ აქეზებს სხვა პირს, შეგნებული აქვს, რომ აქეზებს დანაშაულის ჩასადენად და წარმოდგენილი აქვს, რომ მისი ნაქეზების შედეგი იქნება ან შეიძლება იქნეს ნაქეზებულის დანაშაულებრივი საქმიანობა. უფრო მეტიც მას არა თუ მარტო შეგნებული აქვს უკანასკნელი პირობა, არამედ სურს კიდევაც მისი შესრულება ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილად ეკიდება მას.² იგივე აზრის იყო აღნიშნულ საკითხზე პროფ. ლუბლინსკიც.³

¹ ამ შეხედულებას იზიარებდა რუსი რევოლუციონერი კრიმინალისტი ნაბაკოვი (იხ. Труды юридического общества при императорском С.-Петербургском университете. Т. 1. С.-П. 1910, стр. 242.) ასეთი შეხედულება გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში. (იხ. Современное зарубежное уголовное право. т. 2. М.. 1958. стр. 355.

² ნ. ტაგანცევი, დასახ. ნაშრ, გვ 770.

³ Труды юридического общества, т. 1. С.-П., 1910, стр. 272

ჩვენი სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით დანაშაულის პროვოკაცია ნაქეზების სახედ ითვლება. აგენტ-პროვოკატორის დასჯადობა პოლიტიკური მოსაზრებებითაც გამართლებულია. პროვოკატორი ხელოვნურად ქმნის დანაშაულს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს.

ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე აქეზებს მეორე პირს, რათა მან ნააქეზოს მესამე პირი დანაშაულის ჩასადენად ანუ ნაქეზება ნაქეზებისაკენ, გაბატონებული შეხედულების თანახმად ნაქეზებად განიხილება, ხოლო ნაქეზება დახმარებისაკენ კი განიხილება დახმარებად.

დამხმარე. დამხმარე არის თანამონაწილეობის მეოთხე სახე. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი ასე განსაზღვრავს მას: „დამხმარედ ჩაითვლება პირი, ვინც დანაშალის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა—დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე პირი, ვინც ნანასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშაეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს“. ამ განსაზღვრებაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის მოქმედებები, რომლებიც დახმარებაში გამოიხატება. ასეთ ამომწურავ ჩამოთვლას ერთგვარი ნაკლი გააჩნია. სახელდობრ, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს ყოველთვის, როდესაც ჩადენილია ამ ჩამონათვალში მითითებული რომელიმე მოქმედება, იქნება დანაშაულში დახმარება და, პირიქით, ამომწურავი სახით ჩამოთვლა დახმარების მოქმედებებისა ხელ—ფეხს შეუკრავს სასამართლოს დახმარებას მიაკუთვნოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც რეალურად ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში არიან დანაშაულებრივ შედეგთან, მაგრამ კანონის ჩამონათვალში არ აღინიშნებიან. ამიტომ სავსებით გასაზიარებელია პროფ. თ. ნერეთელის შეხედულება ამ საკითხზე, კანონმდებლობაში დახმარების საშუალებათა არა ამომწურავი, არაქედ სანიმუშო ჩამონათვალის გათვალისწინების შესახებ.

2 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ამავე დროს, დამხმარის მოქმედების უსასრულოდ გაფართოებაც დაუშვებელია. ამ მოქმედებათა შემოფარგვლა ორი მომენტით უნდა მოხდეს: 1. დანაშაულთან მიზეზობრივი კავშირით და 2. იგი ჩადენილი უნდა იყოს განზრახ.

დამხმარის მოქმედება არ არის უშუალო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულთან, იგი მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მოქმედების საშუალებით არის ჩართული, ამსრულებლის მოქმედებით არის გაშუალებული.

დამხმარე მოქმედებს დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის პროცესში.

დამხმარის მოქმედება, როგორც თვით კანონის ტექსტიდან ჩანს, სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, მაგრამ ყველა ეს ფორმა ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ფიზიკურ და ფსიქიკურ ანუ ინტელექტუალურ დახმარებად.

ფიზიკურ დახმარებას განეკუთვნება: დანაშაულის ჩასადენად საშუალებათა მიცემა (მაგალითად, მკვლელისათვის სანამლაკის მიცემა, ქურდისათვის მორგებული გასაღების გადაცემა და სხვა) და დაბრკოლებათა თავიდან აცილება (მაგალითად, საწყობის დარაჯის დათრობა, სახლის პატრონის ბინიდან გატყუება, დარაჯად დგომა დანაშაულის ჩადენის დროს, მესამე პირისათვის ხელის შეშლა, რათა მიეშველონ დაზარალებულს).

ფსიქიკური დახმარების ფორმებია: რჩევა—დარიგების ან მითითების მიცემა (მაგალითად, სად, როდის, რა საშუალებებით უფრო მოსახერხებელია დანაშაულის ჩადენა და სხვა), წინასწარი დაპირება, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს.

დახმარება შეიძლება როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც, მაგრამ უმოქმედობა, მიზეზობრივი ხასიათის გამო, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, როდესაც პირი თავისი წინამორბედი საქმიანობით ისე იყო ჩართული გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში, რომ საზოგადოება მისგან განსაზღვრული მოქმედების შესრულებას მოელოდა.

როგორ უნდა გადაწყდეს დახმარების საკითხი განგრძობად, მყოვარ და შენადგენ დანაშაულში?

განგრძობადი დანაშაულის დროს დახმარება შესაძლებელია როგორც მოსამზღებელი მოქმედების, ისე მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე გრძელდება ეს დანაშაული. დამხმარე ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ დანაშაულებრივი აქტებისათვის აგებს პასუხს, რომელთა განხორციელებაში იგი მონაწილეობას ღებულობდა.

მყოვარი დანაშალში დახმარება შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაული არ შეწყვეტილა.

შენადგენ დანაშაულში დამხმარედ ითვლება ის, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შენადგენ დანაშაულთან მთლიანად. როდესაც შენადგენი დანაშაულის ცალკეული ნაწილები დროის მიხედვით ერთმანეთს მისდევენ /მაგალითად, გაძარცვის დროს ჯერ ძალადობა იხმარეს, ხოლო შემდეგ ქონება გაიტაცეს/ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ რამდენიმე შემთხვევა: 1. დამხმარე მონაწილეობს მხოლოდ პირველ აქტში „ძალადობაში“, მაგრამ მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია მთელ შემადგენლობასთან — გაძარცვასთან, რადგან ძალადობა ქონების გატაცების აუცილებელი პირობაა, იგულისხმება, რომ სუბიექტის განზრახვა ვრცელდება ქონების გატაცებაზეც, ასეთ შემთხვევაში დამხმარე გაძარცვის თანამონაწილეა; 2. როდესაც დამხმარე მონაწილეობას იღებს მეორე სტადიაზე — მხოლოდ ქონების გატაცებაში, აქ, თავის მხრივ უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა: ა/ დამხმარე წინასწარ უთანხმდება ამსრულებელს ქონების გატაცებაში დახმარების განვეის თობაზე. მისი მოქმედება ამ შემთხვევაში მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია მთლიანად ჩადენილ დანაშაულთან. მართალია, ფიზიკურად დამხმარე მხოლოდ ქონების გატაცებაში ეხმარება ამსრულებელს, მაგრამ დახმარების წინასწარ დაპირებით იგი განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას პირველი აქტის ძალადობის მიმართაც; ბ/ როდესაც ყოველგვარი დაპირების გარეშე, დამხმარე შემთხვევით აღმოჩნდება დანაშაულის ადგილას, როდესაც ძალადობის აქტი უკვე დაძთავრებულია და დაეხმარება ამსრულებელს ქონების

გატაცებაში. აქ, დამხმარის მოქმედება არც ბრალეულ და არც მიზეზობრივ კავშირში არ არის ძალადობის აქტთან, ამიტომ მან შეიძლება საქმის გარემოებების მიხედვით პასუხი აგოს ან ქურდობისათვის ან ძალადობის გარეშე ჩადენილი ძარცვისათვის.

გვერდს ვერ აუწვლით თანამონაწილეობის, კერძოდ დახმარების საკითხს საჭრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებაში. ის ავტორები, რომლებიც მხარს უჭერენ „შეკვეცილ შემადგენლობათა“ კონსტრუქციას, თანმიმდევრულად თანამონაწილეობის ცნების გაფართოებას მოითხოვენ. სახელდობრ, მათი აზრით, თანამონაწილეობად ითვლება არა მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის შემადგენლობის შესრულებამდე, არამედ ისეთიც, რომელიც შეუერთდა მას დანაშაულის შემადგენლობის ფორმალურად დამთავრების შემდეგაც, მაგრამ მის მატერიალურ დამთავრებამდე მაგალითად, ქონების გატაცება მისაკუთრების მიზნით დამთავრებულა იმ მომენტიდან, როდესაც დანაშაუკე დაეუფლება ქონებას, მაგრამ მისი ბუნებრივი დამთავრება გულისხმობს ქონების ფაქტიურ გამოყენებას და რომ დანაშაულის შემადგენლობის დამთავრების მომენტი განისაზღვრება არა კანონმდებლის ნებით, არამედ დანაშაულის სპეციფიკით.¹

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ძლიერ აფართოებს თანამონაწილეობის ცნებას, ვინაიდან ყოველი მოქმედება, რომელიც ჩადენილი იქნება დანაშაულის შემადგენლობის შესრულების შემდეგ, თანამონაწილეობად უნდა იქნეს ცნობილი. საქმე ისაა, რომ დანაშაულის დამთავრების ცნება მთლიანად განისაზღვრება დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციით, იმით, თუ როგორ აღწერს დანაშაულის შემადგენლობას კანონმდებელი და არა ცალკეული დანაშაულის სპეციფიკით.²

დამხმარისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ იგი თავისი მოქმედებით ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. იგი უნდა ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს

¹ მ. კოვლიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

² თ. ნეროთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

საკუთარ მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, მაგრამ მისთვის არ არის აუცილებელი ზუსტად ჰქონდეს ნარმოდგენილი ამსრულებლის ფიგურა. ამისგან განსხვავებით, თვით დანაშაულებრივი ქმედება მისთვის ცნობილი უნდა იყოს, ე.ი. აუცილებელია იცოდეს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენას უწყობს იგი ხელს. დამხმარე შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვითაც. დამხმარის მიზანი და მოტივი შეიძლება არც ემთხვეოდეს ამსრულებლის მიზანს და მოტივს.

უხედავო ნაქეზება და უხედავო დახმარება. უშედეგო იქნება ნაქეზება და დახმარება თუ ამსრულებელმა, მიუხედავად მათი მცდელობისა არ ჩაიდინა დანაშაული.

ნაქეზება შეიძლება უშედეგო სხვადასხვა გარემოებათა გამო აღმოჩნდეს, შეიძლება ნამქეზებელმა ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა პირი დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიოს, მაგრამ მისი დაყოლიება ვერ მოახერხოს.

სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ასეთი მოქმედება არ ინვეს სისხლსამართლებრივ პასუხისმგებლობას თანამონანილეობისათვის, რადგან თანამონანილეობა ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას გულისხმობს. ამავე დროს, ვინმეს შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას ნარმოადგენს და ამდენად ნაქეზების მცდელობა დაისჯება როგორც დანაშაულის მომზადება.

თუ თანამონანილეებმა შესძლეს ამსრულებლის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ შემდეგ მან გადაიფიქრა და ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, იგი გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. რაც შეეხება დანარჩენ თანამონანილეებს (ორგანიზატორს, ნამქეზებელს, დამხმარეს), მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაკაშირებულია ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის იურიდიულ შედეგებთან. ამსრულებლის მიერ ხელის აღება განხილული უნდა იქნეს როგორც წმინდა ხასიათის პირადი გარეშობა, ხოლო თანამონანილენი, რომელთაც თვითონ არ აუღიათ ხელი დანაშაულის ჩადენაზე, დაისჯებიან დანაშაულის

მომზადებისათვის და არა როგორც თანამონაწილენი.

ამ შეხედულებას ჰყავს თავისი მონინაალმდეგეებიც, რომელთა აზრით, თუ ნამქებებელი ვერ აღწევს თავის მიზანს იმის გამო, რომ ამსრულებელი რაიმე მიზეზით არ ჩადის დანაშაულს — საქმე გვექნება დანაშაულის ნაქებების მცდელობასთან!

ამ შეხედულების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლისათვის ცნობილია მხოლოდ დანაშაულის მცდელობა და არა ნაქებების ან დახმარების მცდელობა და თუ არ არსებობს დანაშაულებრივი ქმედება, არ გვექნება არც თანამონაწილეობა ამ დანაშაულში.

ნაქებება შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს იმის გამო, რომ იმას, ვისაც აქებებდნენ დანაშაულის ჩასადენად უკვე თვით პქონდა გადანყვებილი ამ დანაშაულის ჩადენა. თუ ნამქებებელს არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია ამსრულებელზე, იგი შეიძლება დაისაჯოს დანაშაულის მომზადებისათვის, მაგრამ, თუ მან განუმტკიცა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, მაშინ მისი მოქმედება ფსიქიკურ დახმარებას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში და შესაბამისად მან პასუხი უნდა აგოს როგორც ფსიქიკურმა დახმარებამ.

უშედეგო დახმარების საკითხი — გადაწყდება უშედეგო ნაქებების ანალოგიურად და კვალიფიცირებული იქნება როგორც დანაშაულის მომზადება.

პასუხისმგებლობის შიშამსუბუქებალი, დაშაბ-ძიშაბალი და ბამომრიცხველი ბარამოიბაბის ბავლინა თანამონაწილეთა დასჯადობაზე. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი დამამძიმებელი და გამომრიცხველი გარემოებების ზეგავლენა თანამონაწილეთა დასჯადობაზე ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის რეგლამენტირებული. თეორიაში კი დაუაა მის გარშემო. როგორც ცნობილია, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ან ქმედებასთან, ან დამნაშაულის, პიროვნებასთან. როდესაც ეს

გარემოებები დაკავშირებულია ქმედებასთან (მაგალითად, დანაშაულის ჩადენა ანგარებით), ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ობიექტურ გარემოებასთან, ამიტომ როდესაც ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედება დამამძიმებელი გარემოებით ხასიათდება, ეს გარემოება შეერაცხება ყველა თანამონაწილეს, თუ იგი მათი ბრალით იყო მოცული. მაგრამ, თუ თანამონაწილემ ასეთი გარემოების შესახებ არაფერი იცის, იგი არ შეიძლება რომ მას შეერაცხოს, ასეთი შემთხვევა განხილული უნდა იქნეს როგორც ამსრულებლის ექსცესი.

გარემოება, რომელიც პიროვნებასთან არის დაკავშირებული, ვერაფრითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე (მაგალითად, ამსრულებელი სარგებლობს ექსტერიტორიულობის უფლებით, იგი არასრულწლოვანი ან ორსული ქალია ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია და ა.შ.).

აღნიშნული საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომის ინტერესიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაითვალისწინებდა შემდეგი ხასიათის ნორმას: „პირადი გარემოება, რომელიც გამორიცხავს, ამძიმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას ან სისხლისსამართლებრივ სასჯელს, მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ თანამონაწილის მიმართ, რომელსაც ეს გარემოება შეეხება“.

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნაგაყობლობით ხელის აღება. ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღების დროს გამოიყენება დებულებები ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის შესახებ. ე.ი. მისთვის დანაშაულის მომზადების ან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე დანაშაულის მიტოვებისათვის საკმარისია უმოქმედობა. მაგრამ, იგივეს ვერ ვიტყვით დანარჩენი თანამონაწილეების მიმართ. თანამონაწილენი მიზეზობრვად დაკავშირებული არიან დანაშაულებრივ შედეგთან ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით და მიზეზობრივი კავშირის პროცესი, რომელიც მათ დაინყეს, შემდგომ უკვე მათგან დამოუკიდებლად გრძელდება: აღნიშნულის გამო, მათი უმოქმედობა

დანაშაულებრივი შედეგის დადგომას ვერ შეაჩერებს; საჭიროა მათი აქტიური მოქმედება, რათა ამსრულებლის მიერ დანაშაული ბოლომდე არ იქნეს მიყვანილი. სახელდობრ, წამქეზებელმა ან დამხმარემ უნდა დაარწმუნონ ამსრულებელი, რომ მან ხელი აიღოს დანაშაულზე, ანდა სათანადო ორგანოებისათვის თუ დაზარალებულისათვის შეტყობინებით არ მისცენ მას დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის შესაძლებელი დამხმარის მიერ დანაშაულზე უმოქმედობით ხელის აღება, მაგალითად შინამოსამსახურე დაპირდა ქურდს, რომ შეუშვებდა ბინაში, მაგრამ შემდეგ კარი არ გაუღო და ქურდი ბინაში ვერ შევიდა.

მ.კოვალიოვის აზრით, ამ შემთხვევაში დამხმარის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან მის მიერ ნეიტრალიზებული არ ყოფილა ის ფსიქიკური ზემოქმედება, რომელიც მან ამსრულებლის შეგნებაზე მოახდინა დახმარების აღმოჩენის დაპირებით, ამიტომ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე დამხმარის მიერ ასეთ შემთხვევაშიც აქტიურ მოქმედებებში უნდა გამოიხატოს.¹

მ.კოვალიოვის ამ შეხედულებას, არ ეფანხმება პროფ. თ.ნერეთელი, რომელიც მიუთითებს, რომ დანაშაულზე ხელის აღების ინსტიტუტის ამოცანაა არ იქნეს ჩადენილი დანაშაული და, თუ დამხმარემ უმოქმედობით მიაღწია ამ მიზანს, გაუგებარია რა აქტიური მოქმედება უნდ მოეთხოვოთ კიდევ მას და რა უნდა იყოს ამ აქტიური მოქმედების ამოცანა? ამსრულებლის შეგნებაზე ზემოქმედება ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობის პირობას არ წარმოადგენს. მაგრამ იმისათვის, რომ თანამონაწილენი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აუცილებელია, რომ მათ მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნას აცილებული. თუ დანაშაულებრივი შედეგი მიღებული ღონისძიებების მიუხედავად მაინც გახზორციელდა, ეს გამოიწვევს თანამონაწილისათვის სასჯელის შემსუბუქებას, მაგრამ არა მათ

¹ მ.კოვალიოვი, ჟასახ. ნაშრ., ნაწ. 2, გვ. 189.

გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა. თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმავე დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინა ამსრულებელმა. მაგრამ ეს არ არის პასუხისმგებლობა სხვისი დანაშაულისათვის; ყოველი თანამონაწილე პასუხს აგებს იმიტომ, რომ მისი მოქმედება ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი რიგით გამორიცხავს მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, ე.ი., სასჯელის კონკრეტიზაციას მათი დანაშაულში მონაწილეობის, ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით..

ამსრულებელი შეიძლება გასცილდეს საერთო დანაშაულებრივ განზრახვას და უფრო მძიმე დანაშაული ჩადინოს (ამსრულებლის ექსცესი). თუ როგორ უნდა გადანყდეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევაში კანონმდებლობა პასუხს არ იძლევა, ხოლო სისხლის სამართლის თეორიაში ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს განასხვავებენ: რაოდენობრივ და თვისობრივ ექსცესს.

რაოდენობრივი ექსცესის დროს: ამსრულებელი იმავე გვარის დანაშაულს სჩადის, რაც თანამონაწილეთა განზრახვით იყო მოცემული, მაგრამ ეს დანაშაული უფრო მძიმეა (მაგალითად, ქურდობის სანაცვლოდ ამსრულებელმა ძარცვა ჩაიდინა);

თვისობრივი ექსცესი გულისხმობს ამსრულებლის მიერ სხვაგვარი დანაშაულის ჩადენას, ვიდრე ეს თანამონაწილეთ პქონდათ განზრახული (მაგალითად, ქურდობის ნაცვლად-მკვლელობის ჩადენა); ორივე შემთხვევაში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი ბრალეული პასუხისმგებლობის მიხედვით გადანყდება; თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რომელიც მისი ბრალით იყო მოცემული. არ წარმოადგენს ამსრულებლის ექსცესს ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელი ალტერნატიულად აქეზებდა მას ერთი ან მეორე დანაშაულის ჩასადენად, /მაგალითად, ან ქურდობა ან ყაჩაღობა/ ვერ განიხილება ამსრულებლის ექსცესად ვერც ისეთი შემთხვევა,

როდესაც ის, რაც ამსრულებელმა შეასრულა არსებითად ან განსხვავდება იმისაგან, რაზედაც თანამონაწილენი იყვნენ შეთანხმებულნი. მაგ, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი დანაშაულის ჩადენის საშუალება, თუ ეს საშუალება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი არ არის; შეცდომა ობიექტში, თუ დაზიანებულია თანასწორფასოვანი ობიექტი.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია თანამონაწილეობის დროს. დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი მიხედვით თანამონაწილეთა სახეების გამოიჯვრის პრაქტიკული მნიშვნელობა მათთვის სასჯელის დანიშვნაში გამოიხატება დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი ხაზგასმული. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის მე-7 ნაწილში, სადა აღნიშნულია: „სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენაში ყოველი თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი“. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნის საერთო საწყისებთან სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს, თუ ობიექტურად რა როლს ასრულებდა საერთო დანაშაულის ცალკეული მონაწილე.

რადგან ამსრულებელი დანაშაულის ძირითადი ღერძია და უფრო ქმედით პირობებს ქმნის მის განსაზოვრციელებლად, ვიდრე დანარჩენი თანამონაწილენი, რომლებიც ხელს უწყობენ მას დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ უშუალოდ არ მონაწილეობენ მასში, ამდენად, თუ დანარჩენი პირობები თანაბარია ამსრულებელი უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე სხვა თანამონაწილენი.

ნამქმნებელი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დამხმარე ვინაიდან ნამქმნებელი, უმეტეს შემთხვევაში არის დანაშაულის სულის ჩამდგმელი, მისი ნამომწყები. მართალია, ნამქმნებლის როლი დანაშაულის ჩადენაში სხვადასხვანაირია, სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება და სხვადასხვა ინტენსიურობით ხასიათდება, მაგრამ ზოგჯერ მისი აქტიურობა აჭარბებს კიდევ ამსრულებლის აქტიურობას. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნამქმნებელი

უფრო მკაცრად დაისაჯა, ვიდრე ამსრულებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ნამქეზბეული ყოველთვის არ ასრულებს ასეთ აქტიურ როლს, ამიტომ გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ ნამქეზბეული ყოველთვის დანაშაულის მთავარი ფიგურაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა დანაშაულის ორგანიზატორი: სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა მითითებული, რომ ორგანიზატორი სხვა თანამონაწილებთან შედარებით უფრო მკაცრად უნდა აგებდეს პასუხს.

ყველაზე ნაკლებ როლს დანაშაულის ჩადენაში დამხმარე ასრულებს, იგი მხოლოდ აადვილებს დანაშაულის ჩადენას. ამიტომ თანაბარ პირობებში, როგორც წესი, მას უფრო მსუბუქი სასჯელი ეფარდება. მაგრამ ეს დებულება არ შეიძლება დოგმად მივიჩნიოთ, ვინაიდან ზოგჯერ დამხმარის მოქმედება შეიძლება დიდი აქტიურობით ხასიათდებოდეს.

ამრიგად, სასამართლომ თანამონაწილეთათვის სასჯელის კონკრეტული ზომის არჩევის დროს უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება მათ ერთობლიობაში, როგორც ობიექტური მომენტი—დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი, ისე სუბიექტური მომენტიც—პიროვნების საშიშროების ხარისხი, მისი ბრალი დანაშაულის ჩადენაში, რაც უზრუნველყოფს სასჯელის სამართლიანი ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

თავი XII დანაშაულის შემხებლობა

დანაშაულის დაფარვა. სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, არამედ ისიც, ვინც თავისი მოქმედებით დაუკავშირდა დანაშაულს. ასეთი კავშირი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ დანაშაულში თანამონაწილეობას და დანაშაულის შემხებლობას. შემხებლობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულში მონაწილეობას, მაგრამ დაკავშირებულია მასთან და მის გარეშე არ წარმოიდგინება. ასეთია: დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვა, დანაშაულის წინასწარ შეუპირებული განუცხადებლობა და დანაშაულის მიმხებლობა.

ვინაიდან დანაშაულის წინასწარ შეუპირებულ დაფარვასა და იმ ძირითად დანაშაულს შორის, რომელსაც ჰფარავენ, მჭიდრო კავშირია, იგი დიდი ხნის მანძილზე თანამონაწილეობის სახედ განიხილებოდა, როგორც ბურჟუაზიულ, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და თეორიაში.

ამ დავას ჩვენს სისხლის სამართალში ბოლო მოუღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა, რომლის მიხედვით, დამნაშაის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნის საგნების დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევდა, რომლებიც სპეციალურად იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით.

აღნიშნული ნორმა უცვლელად იქნა გადმოტანილი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (საქსსკ—ის მე—20 მუხ.).

ამგვარად, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს წინასწარ შეპირებულ დაფარვას, როგორც თანამონაწილეობას დანაშაულში, წინასწარ შეუპი-

რებელი დაფარვისაგან, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისაგან.

ასეთი დაფარვა ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას, არ წარმოადგენს ამ დანაშაულის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ე.ი. არ არის მასთან მიზეზობრივ კავშირში, დამფარავი მას შემდეგ მოქმედებს, როდესაც დანაშაული უკვე ჩადენილია. ობიექტურად მისი მოქმედება ხელს უწყობს იმას, რომ დანაშაული არ იქნეს გახსნილი, ან დამნაშავემ თავი აარიდოს სასჯელს.

დამფარავი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს დამნაშავეს, რათა ამ უკანასკნელმა თავიდან აიცილინოს სასჯელი, სურს ეს გარემოება ან შეგნებულად უშეუბნებლად მას. ამ პოზიციას მისდევს სასამართლო პრაქტიკაც.

რამდენადაც მოქმედების კვალიფიკაცია თანამონაწილეობად ან დაფარვად დამოკიდებულია დაფარვის წინასწარ შეპირებაზე, ამდენად დადგენილი უნდა იქნეს თუ რა იგულისხმება დაფარვის წინასწარ შეპირებაში. დანაშაულის დაფარვა ჩაითვლება თანამონაწილეობად, თუ პირი დაპირდა დამნაშავეს ამ მოქმედების შესრულებას დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის დროს ან თუ რაიმე სხვა მიზეზით (მაგალითად, მისი სისტემატური ხასიათის გამო) დანაშაულის ამსრულებელს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ასეთ დახმარებას მას მომავალშიც აღმოუჩენენ. აქედან ჩანს, რომ დამფარავი ან პირდაპირ უნდა შეუთანხმდეს დამნაშავეს, რომ აღმოუჩენს მას დახმარებას, ანდა წინასწარ ისეთი ხასიათის მოქმედებები უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომლებიც არაპირდაპირ ადასტურებენ მის თანხმობას და დამნაშავეს იმის ფიქრის საფუძველს აძლევენ, რომ მას შემდეგაც აღმოუჩენენ დახმარებას დანაშაულის დასაფარავად.

საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უნდა ეკავოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, დავის საგანია. დავობენ როგორც იმის თაობაზე, სისხლის სამართლის ზოგად თუ განსაკუთრებულ ნაწილში უნდა იქნეს გათვალისწინებული წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, აგრეთვე იმაზედაც, თუ განსაკუთრებული ნაწილის რომელ კარშია მისი ადგილი. ზოგიერთ კრიმინალისტს მიაჩნია,,

რომ წინასწარ შეუპირებელი დაფარვის კავშირი ჩადენილ დანაშაულთან იმდენად მჭიდროა, რომ იგი როგორც თანამონაწილეობის მოწათსავე ცნება, თანამონაწილეობასთან ერთად, ისევე როგორც შემზებელთა სხვა სახეები, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამ შეხედულების დასასაბუთებლად მიუთითებენ, რომ წინასწარ შეუპირებელი დაფარვის ობიექტი იგივეა, რაც იმ დანაშაულისა, რომელსაც პფარავენ. მართალია, ასეთი დაფარვა ხელს უშლის მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალურ მუშაობასაც, მაგრამ სახელმწიფო რეპრესიის მეშვეობით ებრძვის არა დანაშაულის დაფარვას, განუცხადებლობას და მიმნებებლობას, როგორც ასეთს, არამედ ამა თუ იმ კონკრეტულ ობიექტზე საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას. ამიტომაც, დანაშაულის შემზებელ პირთა ხელყოფის ობიექტად ის ობიექტი უნდა ჩაითვალოს, რომელზედაც დაფარული დანაშაული იყო მიმართული. დანაშაულისა და ამ დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვის ობიექტთა იგივეობის გამო დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი პირველ რიგში დაფარული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათით და ხარისხით განისაზღვრება. აღნიშნულის შესაბამისად, სასჯელის ღონისძიება დანაშაულის დამფარავს იმ მუხლის სანქციის ფარგლებში უნდა განესაზღვროს, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს დაფარული დანაშაულისათვის, მაგრამ სასამართლომ საქმის გარემოებათა მიხედვით, უნდა შეუმციროს დამფარავს სასჯელი დაფარული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის უმცირესი ვადის ნახევრამდე!

კრიმინალისტთა უმრავლესობა ამ შეხედულებას არ იზიარებს. როგორც პროფ. თ. წერეთელი მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, არა თანმიმდევრია ავტორი, როდესაც არ აღიარებს რა დაფარვას თანამონაწილეობის ფორმად და დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევს მას, ადგილს მიუჩენს არა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ, არამედ ზოგად ნაწილში.

ხოლო, რაც შეეხება დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების

1 В. Г. Смирнов. Понятие прикосновенности по советскому уголовному праву. Л., 1957. стр. 26-27. 86-87

ხასიათისა და ხარისხის კავშირს წინასწარი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათთან და ხარისხთან, უნდა ითქვას, რომ დაფარული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი მართალია, მხედველობაში ჩიილება წინასწარ შეუპირებელია დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის დადგენისას, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გარემოება, რომელიც განსაზღვრავს დაფარვის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხსა და ხასიათს. დამფარავის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოტივის: შედარებით მსუბუქი დანაშაულის დაფარვა ანგარების მოტივით ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებდეს, ვიდრე გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვა დამნაშავეის ახლობელი პირის მიერ დამნაშავეის შებრალების მოტივით.

დაბოლოს, გასაზიარებელი არ არის ავტორის მოსაზრება დაფარვის ობიექტის შესახებაც.

საზოგადოდ, ობიექტი არის ის, რაზედაც მიმართულია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა, რაც ამ ხელყოფისაგან ზიანს განიცდის. ხოლო რას აზიანებს მაგალითად, მკვლელობის დამფარავი? ადამიანის სიცოცხლეს? რა თქმა უნდა არა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი უკვე დაზიანებულია. დაფარვა მიმართულია მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ, რათა მათ დროულად ვერ გახსნან დანაშაული და საკადრისი სასჯელი ვერ მიუზღონ დამნაშავეს.

არც ის არის სწორი, რომ თითქოს დანაშაულის დაფარვის დასჯადობით სახელმწიფო ებრძვის არა დაფარვას, არამედ იმ დანაშაულს, რასაც მფარავენ. დანაშაულის დაფარვის დასჯადობა ვერ შეაკავებს ძირითადი დანაშაულის ჩამდენს ამ დანაშაულის ჩადენისაგან, არამედ იგი დანაშაულის დაფარვის სანააღმდეგო მოტივაციას შეუქმნის მას¹.

ზოგიერთ კრიმინალისტს მიაჩნია, რომ თუმცა წინასწარ

¹ თ. ნერეთელი, დანაშაულის შემხებლობა. თბილისი, 1963, გვ. 35-37. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ფონდი 519.

შეუპირებელი დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში უნდა იქნეს მოთავსებული, მაგრამ არა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, არამედ იმ თავებში, სადაც ის დანაშაულია გათვალისწინებული, რომლის დაფარვაც დასჯადია. მათი აზრით, აშკარად ცალმხრივია დაფარვის ობიექტად მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესების აღიარება. დაფარვის მეორე ობიექტი იმ დანაშაულის ობიექტია, რომელსაც ძირითადი დანაშაული ხელყოფს.

ეს მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარ შეუპირებელი დაფარვა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავარი დანაშაულის ჩადენასთან. ასევე განსხვავებულია დამფარავის განზრახვის შინაარსიც წინასწარ შეპირებული დამფარავის განზრახვისაგან.

აღნიშნულის გამო, სწორია სისხლის სამართლის ლიტერატურაში ვაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმად, წინასწარ შეუპირებელი დაფარვის, ისევე როგორც შემხებლობის სხვა სახეების, ადგილი საკანონმდებლო სისტემაში სწორედ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია!

ეს საკვებით სწორი შეხედულება გარკვეულ შეუსაბამობაშია არსებულ საკანონმდებლო სისტემასთან, სახელდობრ სახელმწიფო დანაშაულის დაფარვას, ისევე როგორც ამ დანაშაულის განუცხადებლობას სახელმწიფო დანაშაულის თავში ითვალისწინებენ საქართველოს სსკ-ის 90-ე 90'-ე მუხლები, ხოლო ყველა სხვა დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა გათვალისწინებულია მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში (საქართველოს სსკ-ის 205-ე, 206-ე მუხლები), რაც

1 А. Н. Траинин. Учение о соучастии. М., 1941, стр. 131; Ш. С. Рашковская. Преступления против социалистического правосудия. М., 1950, стр. 6; М. И. Блум. Ответственность за укрывательство и недонесение по уголовным кодексам союзных республик. "Ученые записки Латвийского государственного университета. т. 44. Рига, 1962, стр. 81; И. Л. Бушув. Ответственность за укрывательство преступления и недонесительство. 1965 და სხვა

ამ საკითხში კანონმდებლობის არათანმიმდევრობაზე მიმანიშნებელია.

სსკ-ის 90¹-ე მუხლის თანახმად, ისჯება სამშობლოს ღალატის (მუხ.65), გენოციდის (მუხ.65¹), დაქირავებული პირის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის (მუხ.66¹), ტერორისტული აქტის (მუხ.67), უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის (მუხ.68), დივერსიის (მუხ.69), მავნებლობის (მუხ.70), ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნის ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის (მუხ.73); ბანდიტიზმის (მუხ.78), კონტრაბანდის (მუხ.79), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღების (მუხ.88) დაფარვა.

რაც შეეხება დანარჩენ დანაშაულთა დაფარვას, სსკ-ის 205-ე მუხლის თანახმად, იგი იმ შემთხვევაში ისჯება, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით.

სსკ-ის 90¹-ე და 205-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები გულისხმობენ, რომ დამფარავი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოქმედებს, ამიტომ თუ ვინმემ წინასწარ იხმარა ისეთი ზომები, რათა ამით ხელი შეეშალა დანაშაულის ან დამნაშავის გამომჟღავნებისათვის—იქნება თანამონაწილეობა დანაშაულში და არა დანაშაულის დაფარვა.

დამფარავს არ წარმოადგენს ის, ვინც რაიმე სახით მონაწილეობა მიიღო (აშსრულებელი, ორგანიზატორი, ნაძებელი, დამხმარე) დანაშაულის ჩადენაში და შემდეგ ფარავს ამ დანაშაულს. წინასწარი დანაშაული შთანთქავს იმ მოქმედებებს, რაც ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხორციელდება დანაშაულის მონაწილეთა მიერ.

მართალია, წინასწარ შეუპირებული დაფარვა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავარ დანაშაულთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩადენილ დანაშაულსა და ამ დანაშაულის დაფარვას შორის საერთოდ არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. რამდენადაც ამ დროს მოქმედება ჩადენილი დანაშაულის დაფარვისაკენ არის მიმართული, ამდენად იგი არ

წარმოადგინება წინასწარი დანაშაულის გარეშე ამ დებულებიდან ის დასკვნაც გამოდინარეობს, რომ თუ ვინმე ფიქრობს, რომ იგი დანაშაულს ფარავს, ხოლო სინამდვილეში დანაშაული არ არის ჩადენილი, დაფარვა არ იქნება. ასეთ შემთხვევაში მოჩვენებითი დანაშაულია (ე.ი. მხოლოდ პირის წარმოდგენაში და არა რეალურ სინამდვილეში არსებული დანაშაული), რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

რადგან კანონის თანახმად არა ყოველი დანაშაულის დაფარვა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ამდენად თუ ვინმეს ჰგონია, რომ მის მიერ დანაშაულის დაფარვა დასჯადია, მაგრამ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ასეთი შემთხვევებიც მოჩვენებით დანაშაულად ჩაითვლება.

არ დაიხვეება არც ისეთი ქმედების დაფარვა, რომელმაც საქმის განხილვის მომენტისათვის ვითარების შეცვლის გამო დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი (51-ე მუხლის I ნაწილი), მაგრამ როდესაც წინასწარი დანაშაულის ჩამდენი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმის გამო თავისუფლდება, რომ საქმის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის უმნიშვნელო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება და ამიტომ მისთვის სასჯელის შეუარდება მიზანშეუწონელია (51-ე მუხლის II ნაწ.), ეს ფაქტი თავისთავად ვერ გახდება დამფარავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

რამდენადმე გართულებულია დენადი და განგრძობადი დანაშაულის დაფარვისა და თანამონანილეობის გამიჯვნა.

ვინაიდან დენადი დანაშაულის დროს დანაშაულის შემადგენლობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში განუწყვეტლივ ხორციელდება, ამდენად ყოველგვარი დახმარება, რომელსაც ამ ხნის მანძილზე აღმოუჩენენ დამნაშავეს, ჩაითვლება თანამონანილეობად ამ დანაშაულში და არა დანაშაულის დაფარვად.

სხვაგვარად წყდება დაფარვის საკითხი განგრძობადი დანაშაულის დროს. სახელდობრ, თუ მოქმედება შეეხება ისეთ დანაშაულებრივ აქტს, რომელიც თავისთავად უკვე

დამთავრებულია, აქ იქნება დაფარვა, ხოლო თუ დახმარება ისეთ დანაშაულებრივ აქტს შეეხება, რომელიც თავისთავად ჯერ დამთავრებული არ არის, აქ იქნება თანამონაწილეობა და არა ჩადენილი დანაშაულის დაფარვა.

დანაშაულის დაფარვა სულ სხვადასხვა მოქმედებაში შეიძლება გამოიხატოს, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია სსკ-ის როგორც მე-20, ისე 205-ე მუხლებში. ამ მუხლების თანახმად დანაშაულის დაფარვა შეიძლება გამოიხატებოდეს დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ნივთების დაფარვაში;

ამ განსაზღვრების თანახმად, დანაშაულის დაფარვა აქტიური მოქმედებით ხასიათდება, რითაც იგი განსხვავდება დანაშაულის განუცხადებლობისაგან, რომელიც ყოველთვის პასიური ფორმით ანუ უმოქმედობით ვლინდება.

დაფარვა გამოიხატება ან დამნაშავის ან დანაშაულის დაფარვაში.

დამნაშავის დაფარვა სხვადასხვაგვარად შეიძლება განხორციელდეს. იგი შეიძლება გამოიხატოს დამნაშავისათვის თავშესაფარის მიცემაში, მისი გაქცევისათვის ხელის შეწყობაში, პასპორტის ან სხვა დაკუმენტის მიცემაში, მისი გარეგნობის შეცვლაში, დამნაშავის ბრალის თავის თავზე აღებაში და სხვა.

არ ჩაითვლება დაფარვად შეგნებულად ცრუ დასმენა ან შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა, რომელთა მიზანია ეჭვი ააცდინონ ნამდვილ დამნაშავეს, თავისთავად ეს მოქმედებები დამნაშავის დაფარვას წარმოადგენენ, მაგრამ რამდენადაც დაფარვის ასეთ სახეებს პირდაპირ მოიცავენ სპეციალური შეზღუდვები, რომლებიც გადმოცემულნი არიან სსკ-ის 196-ე და 197-ე მუხლებით, შესაბამისად მათი კვალიფიკაცია ამ მუხლებით მოხდება.

დანაშაულის დაფარვაც ასევე სხვადასხვა მოქმედებით გამოიხატება, სახელდობრ, დანაშაულის ჩადენის იარაღის და საშუალების გადამალვით ან მოსპობით, იმ ხელსაწყოთა განადგურებით, რომლითაც ყალბი ფულია მოჭრილი და ა.შ.

დანაშაულის დაფარვა შეიძლება დანაშაულის კვალის დაფარვით განხორციელდეს. მაგალითად, დამნაშავის ტანსაცმელზე

სისხლის ლაქების მოსპობით, დანაზე და სხვა საგნებზე თითის ანაბეჭდის ან ფეხის ნაკვალევის ნაშლით, დანაშაულის ჩადენის ადგილზე ნაპოვნი მამხილებელი საბუთების ან საგნების გადამალვით ან განადგურებით და ა.შ.

დანაშაულის დაფარვა ასევე შეიძლება დანაშაულის გზით მოპოვებული საგნების განადგურებით, მათი პირვანდელი სახის შეცვლით და სხვა.

არ ჩაითვლება დანაშაულის დაფარვად მოქმედება, რომელიც თუმცა დანაშაულის შემდეგ ხორციელდება და დაკავშირებულია ამ დანაშაულთან, მაგრამ კიმაართული არ არის დამნაშავის ან დანაშაულის დაფარვაზე. თუ, მაგალითად, ვინმემ დააბანინა კაცის მკვლელს ხელი და მისცა მას სუფთა პერანგი, მის მოქმედებაში არ იქნება დაფარვის შემადგენლობის ნიშნები, ვინაიდან არ იყო დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვის მიზანი. ¹

ასევე ვერ განიხილება დანაშაულის კვალის დაფარვად დანაშაულის ნაყოფით სარგებლობაც, თუ ეს სარგებლობა ისეთ მოქმედებაში გამოიხატა, რომელიც დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს. ამიტომ, სხვის მიერ გატაცებული ნივთების დროებით გამოყენება, თუ იგი არ ჰფარავს გატაცებულ ნივთებს, დანაშაულის ნიშნებს საერთოდ არ შეიცავს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სარგებლობს დანაშაულის ისეთი ნაყოფით, რომლის განუცხადებლობაც კანონით ისჯება, პირი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს დანაშაულის განუცხადებლობისათვის (სსკ—ის 206—ე მუხ).

დანაშაულის დაფარვისაგან განსხვავდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, რომელსაც ითვალისწინებს სსკ—ის 229—ე მუხლი. დამნაშავემ ამ დროს დანამდვილებით იცის, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი და მიუხედავად ამისა, მაინც იძენს მას ან მაინც მონაწილეობს ამ ქონების გასაღებაში. „თუ პირმა რაიმე ნივთის შეძენის დროს იცის, რომ ეს ნივთი დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი, იგი არა მარტო ეხმარება დამნაშავეს, რომ მან

¹ თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

დანაშაულებრივი გზით მიღებული ნივთი გამოორჩენისათვის გამოიყენოს, არამედ ამავე დროს ეხმარება მას დანაშაულის დაფარვაშიც, ვინაიდან ეს ნივთი არის დამნაშავეის მამხილებელი ერთერთი ნივთიერი მტკიცებულება“!

დანაშაულის დაფარვის სუბიექტური მხარე განზრახი ბრალით ხასიათდება, დამნაშავემ იცის, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება და რომ იგი თავისი მოქმედებით ფარავს დანაშაულს და მის ჩამდენს.

შეიძლება ქმედება ობიექტურად დამნაშავეის ან დანაშაულის დაფარვას წარმოადგენდეს, მაგრამ თვით ამ მოქმედების ჩამდენი მის. ასეთ ხასიათს არ ითვალისწინებდეს. ასეთი მოქმედება დანაშაულის დაფარვად ვერ განიხილება, ვინაიდან არ არის დაფარვის განზრახვა. დაფარვის არსებობისათვის არც ის არის საკმარისი, რომ პირმა ზოგადად იცოდეს დაფარვის შესახებ, საჭიროა მან კონკრეტულად იცოდეს, თუ სახელდობრ რა დანაშაულს და ვის ფარავს იგი.

განზრახვა ამ შემათხვევაში შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირიც. ე.ი. დამფარავს შეიძლება სურდეს დამნაშავეის ან დანაშაულის დაფარვა ან და შეიძლება შეგნებულად უშვებდეს, რომ ფარავს დამნაშავეს ან დანაშაულს. თუ ასეთი სურვილი პირს არა აქვს ან შეგნებულად არ უშვებს დანაშაულის დაფარვას, მაშინ არც დაფარვის შემადგენლობა იქნება.

დაფარვა დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც ჩადენილია მოქმედება მიმართული დამნაშავეის ან დანაშაულის დაფარვისაკენ. ამდენად მნიშვნელობა არა აქვს იმას, ნამდვილად მიაღწია თუ არა დამფარავმა მიზანს, ე.ი. შესძლო თუ არა მან ხელი შეეშელა მართლმსაჯულებისათვის და აეცდინა დამნაშავეისათვის დამსახურებული სასჯელი.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადაოდ ითვლება საკითხი შესაძლებელია თუ არა მცდელობა დაფარვის დროს. რამდენადაც დაფარვად ითვლება ისეთი მოქმედება, რომლის

† С. В. Псышнев. Очерк основных начал науки уголовного права. Особенная часть. М., 1923, стр. 216.

მიზანია ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების ორგანოებს გახსნან დანაშაული, ან თავიდან ააცილოს დამნაშავეს სასჯელი, ხოლო ამ მიზნის მიღწევა არ არის აუცილებელი, ამდენად დაფარვის დროს მცდელობა გამორიცხულია.¹

თანამონილეობა დაფარვის დროს შესაძლებელია. მაგალითად, ვინმემ დაიყოლია მეორე პირი თავშესაფარი მისცეს მკვლელს.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად წყდებოდა თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის დაფარვისა და თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნისა და გასაღების საკითხი. ზოგჯერ აღნიშნული ქმედებები კვალიფიცირდებოდა როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ზოგჯერ კი, — როგორც ქონების გატაცებაში თანამონაწილეობა, ხოლო იყო შემთხვევები, როდესაც ეს პირები საერთოდ თავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის დაფარვის, (სსკ—ის 205—ე), დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნისა და გასაღებისა (სსკ—ის 22⁹—ე) და ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (სსკ—ის 186—ე) მუხლების ერთობლიობით.²

წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, როგორც აღინიშნა, ითვალისწინებს სსკ—ის ორი მუხლი 90'—ე და 205—ე მუხლები. აღნიშნული მუხლებით სხვადასხვა სასჯელებია გათვალისწინებული წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის. კერძოდ, სსკ—ის 90'—ე მუხლის მიხედვით იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე. სსკ—ის 205—ე მუხლი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე ისეთი დანაშაულის დაფარვისათვის, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს

¹ თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

² Г Анашкин. Об ответственности за заранее не обещанное укрывательство преступлений, приобретение и сбыт заведомо похищенного имущества. "Социалистическая законность", 1962, 10, стр.12.

თავისუფლების აღკვეთა სამ ნელზე მეტი ვადით. მძველად ხელში ჩაგდების (მუხ.133¹), რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო-დანებულებებისა და ტვირთის ხელში ჩაგდების (მუხ.242²), რადიოტექნიკური მასალების უკანონოდ შექენის, შენახვის, გამოყენების, გადაცემის ან დაშლის (მუხ.251³), რადიოტექნიკური მასალების გატაცების (მუხ.251³), ნარკოტიკულ საშუალებათა, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შექენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღების (მუხ.252 — ე I და II ნაწილი), ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერ, მოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების (მუხ.252¹ — ე I, II და III ნაწილი) წინასწარ შეუპირებული დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე. იმ დანაშაულთა წინასწარ-შეუპირებული დაფარვა, რომელისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და მეტი ვადით, გარდა 90¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

გარდა დაფარული დანაშაულის სიმძიმისა, წინასწარ შეუპირებული დაფარვის საშიშროებაზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა გარემოებამ.

აღნიშნული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, პირველყოვლისა დასახელებული უნდა იქნეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დაფარვა. გარდა ამისა, დაფარვა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა. მაგალითად, დაფარვის გამო საშიში დამნაშავე გადაურჩა სასჯელს და მან კვლავ ჩაიდინა მძიმე დანაშაული. დაფარვის დანაშაულის დამამძიმებებელ გარემოებად უნდა იქნას ცნობილი დაფარვა, ჩადენილი ქვენა მოტივით, განსაკუთრებით — ანგარებითი მოტივით.

იმ გარემოებებს შორის, რომლებიც ამსუბუქებენ წინასწარ შეუპირებული დაფარვის დანაშაულს ხაზგასმით უნდა გამოიყოს დაფარვა ნათესაური კავშირის გამო. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა გამოჩენილი იურისტის — კონის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა მკვლელის დამფარავი დედის დასაცავად: „შვილის

დანაშაულის უნებლიე მონშე—იგი გახდა დამფრავი მისი მოქმედებისა, იმიტომ, რომ არ შესწევდა საკუთარი შვილის მხილების ძალა. დედის მთრთოლავი, უძლური ხელები იძულებულნი იყვნენ დაეფარათ შვილის დანაშაულის კვალი, დედის გული, ბუნებით მინიჭებული უფლების გამო, პფარავდა დამნაშავეს. ამიტომ თქვენ, ბ—ნო ნაფიცნო მსაჯულნო, გამოიჩინთ არა მარტო მონყალებას, არამედ სამართლიანობასაც, თუ იტყვიოთ, რომ იგი შეწყნარების ღირსია! მაგრამ უახლოესი ნათესავის დაფარვა, ჩადენილი ანგარებით, ვერ გახდება პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძველი.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება აგრეთვე დამფარავის მატერიალური ან სამსახურებრივი დამოკიდებულება ძირითადი დანაშაულის ჩამდენისაგან; ასევე შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება განიხილებოდეს ძალადობა დამფარავის მიმართ.

დანაშაულის განუცხადებლობა. დანაშაულის შემხებლობის მეორე სახეს დანაშაულის განუცხადებლობა წარმოადგენს.

დანაშაულის განუცხადებლობა, ისე როგორც დანაშაულის დაფარვა, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. საქართველოს სსკ—ის 21—ე მუხლში ნათქვამია: „დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“. აღნიშნულის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ნაწილში ითვალისწინებს ზოგიერთი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის განუცხადებლობას, ისევე როგორც წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, ორ თავში ითვალისწინებს: სახელმწიფო დანაშაულთა თავში (მუხ.90) და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (მუხ.206).

სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად ისჯება სამშობლოს ღალატის (მუხ.65), გენოციდის (მუხ. 65'), ჯაშუშობის (მუხ.66), შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში დაქირავებული პირის მონაწილეობის (მუხ.66'), ტერორისტული აქტის (მუხ.67), უცხოეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტის (მუხ.68), დივერსიის (მუხ.69), მავნებლობის (მუხ.70), ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნის ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის (მუხ.73), ბანდიტიზმის (მუხ.78), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღების (მუხ.88) განუცხადებლობა.

სსკ-ის 206 მუხლის მიხედვით ისჯება განზრახი მკვლელობის (მუხ. 104,105,258-ის „ბ“ პუნქტი), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების (მუხ. 117, II, III, IV ნან.). მძევლად, ხელში ჩაგდების (მუხ.133'), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობის (მუხ. მუხ.91-ის III,IV ნან., 150-ის III,IV ნან.), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაძარცვის (მუხ. მუხ. 92-ის III,IV ნან., 151-ის III,IV ნან.), ყაჩაღობის (მუხ.მუხ. 96,152), დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მუხ. 94-ის III ნან.), დამამძიმებელ გარემოებებში ქონების გატაცება თაღლითობით (მუხ.93-ის III ნან, 153-ის II,III ნან.), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების (მუხ.96'), დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღების, მიცემის და მექრთამეობაში შუამავლობის (მუხ. მუხ. 189-ის II ნან., 189'-ის, 190-ის II ნან.), პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფის (მუხ.209'), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცების (მუხ. 240-ის II,III ნან.), რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებების თუ ტვირთის ხელში ჩაგდების (მუხ.242'), რადიოაქტიური მასალების უკანონოდ შექმნის, შენახვის, გამოყენების ან დაშლის (მუხ.251'), რადიოაქტიური მასალების გატაცების (მუხ.251'), დამამძიმებელ გარემოებებში

ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან გასაღების მიზნით გადაგზავნის, აგრეთვე უკანონოდ გასაღების (მუხ.252 — ის II ნაწ.), განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ყაჩაღური თავდასხმით, ან დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების (მუხ.252¹ — ის III ნაწ.) განუცხადებლობა.

ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი, თუ როგორ უნდა განისაჯოს წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში, თუ როგორც განუცხადებლობის დამოუკიდებელი დანაშაული (*sui generis*). კრიმინალისტთა უმრავლესობა ამ საკითხს წინასწარ შეპირებული დაფარვის მსგავსად წყვეტს, მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში სანინალმდეგო მოსაზრებაც გამოითქვა. მაგალითად პგრიშაისა და გ.კრიგერის აზრით წინასწარ შეპირებული გაუცხადებლობა ვერასოდეს ვერ ჩაითვლება დანაშაულში თანამონაწილეობად, ვინაიდან იგი ვერ იქნება მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. განუცხადებლობა დანაშაულისადმი მხოლოდ ლოიალური დამოკიდებულების დაპირებაა და იგი ვერ ჩაითვლება დახმარებად დანაშაულში. განუცხადებლობის დროს პირი არ მონაწილეობს დანაშაულებრივ საქმიანობაში, არამედ მხოლოდ იმას პირდება ამსრულებელს, რომ ამა თუ იმ მოსაზრებით არ განუცხადებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს. აქ არ არის თანამონაწილეობის აუცილებელი ობიექტური ნიშნები, ამიტომ თანამონაწილეობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, რომლებიც მხოლოდ საერთო აზრით არიან გაერთიანებულნი. თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომელსაც სუბიექტურ ნიშნებთან ერთად ობიექტური ნიშნებიც ახასიათებს.¹

სანინალმდეგო შეხედულების თანახმად, საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება სწორად ვერ აფასებს წინასწარ შეპირებული

¹ П. И. Гришаев, Г. А. Кригер. Соучастие по уголовному праву. М., 1959, стр. 224.

განუცხადებლობის ობიექტურ მნიშვნელობას. დაპირება ობიექტური ფაქტია, რომელმაც შეიძლება განამტკიცოს ამსრულებლის დანაშაულებრივი ზრახვა. ამსრულებელი, რომელიც მერყეობს, ემინია გათქმისა, უფრო გაბედული ხდება. წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა მხოლოდ მაშინ განიხილება თანამონაწილეობად (დახმარება), როდესაც დამტკიცდება, რომ გაუთქმელობის დაპირება ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ — ერთი აუცილებელი პირობათაგანი იყო, რომ ასეთი დაპირების გარეშე ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე ხელს აიღებდა. განუცხადებლობის დაპირება, ისევე როგორც დაფარვის დაპირება, ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენს.¹

წინასწარ შეპირებული განუცხადებლობისაგან განსხვავებით, წინასწარ შეუპირებელი განუცხადებლობა არ შეიძლება მიზეზობრივ კავშირში იყოს მთავარ დანაშაულთან. თუმცა ამ საკითხის შესახებაც ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი. როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს უკვე ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობას და ისეთი დანაშაულის განუცხადებლობას, რომელიც მზადდება. უკვე ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობის საკითხი ეჭვს არ იწვევს. ცხადია, რომ იგი არ არის მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ მთავარ დანაშაულთან. რაც შეეხება ჩასადენად გამზადებული დანაშაულის განუცხადებლობას, გამოითქვა აზრი, რომ იგი მიზეზობრივ კავშირშია ძირითად დანაშაულთან, რომ იგი თავისი ხასიათის მიხედვით თანამონაწილეობას წარმოადგენს.²

აღნიშნული შეხედულება გაკრიტიკებულია. მიუთითებენ, რომ განუცხადებლობას, რომლის შესახებ ამსრულებელმა არაფერი იცის, არ შეუძლია რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მის ცნობიერებაზე. იგი მოქმედებს თავისი თავის იმედით, თავისი რისკით და არ მოელის ვინმესაგან დახმარებას.³ გარდა ამისა, დანაშაულის განუცხადებლობა არ შეიძლება თანამონაწილეობად

¹ თ. ხერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 70-71.

² ვ. სმირნოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

³ М. И. Ковалев. К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве. "Правоведение", 1959, 4. стр. 104; მ. ბლუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 78-79.

დასახოთ, უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის სპეციფიკურობის გამო. დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი განუცხადებლობის დროს, საშიშროება ჩნდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს გარეშე, რომელშიც თავისი მდგომარეობით ჩართულია პირი, იგი შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებლობა ეძლევა ხელი შეუშალოს დანაშაულის განხორციელებას, მისი საქციელი არ სპობს ვნების განხორციელებისათვის ხელშემშლელ პირობას, რაც მაშინ იქნებოდა, იგი, რომ განსაზღვრული შედეგის თავიდან აცილების გარანტი ყოფილიყო.¹ მაგრამ თუ უმოქმედობს ის, ვისაც გარკვეული მდგომარეობა უკავია საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროში და ამის გამო სპეციალური მოვალეობა აკისრია ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას, რის სრული შესაძლებლობაც მას აქვს, მან პასუხი უნდა აგოს როგორც თანამონაწილემ და არა როგორც არგანმცხადებელმა.²

რამდენადაც დანაშაულის განუცხადებლობა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავარ დანაშაულთან, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს (*sui generis*), ამდენად, მისი ადგილი მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია (მუხ.206) და ის, ვინც არ აცნობებს სათანადო ორგანოებს, რომ ჩადენილია ან ჩასადენად მზადდება დანაშაული, აფერხებს და ხელს უშლის დანაშაულის განხას და დამნაშავის გამოვლენას, ამით იგი „ხელყოფს მოკვლევის, ძიების და სასამართლო ორგანოების სწორ საქმიანობას“.³ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა, რომელიც სახელმწიფო დანაშაულთა თავშია გათვალისწინებული (მუხ.90).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომლის თანახმად, მიზანშეუწონელია განუცხადებლობის

1 თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 75-76.

2 Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. Тбилиси, 1957, стр. 186-205.

3 მ. ზღუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 81

დასჯადობის მეტისმეტად გაფართოება. მიუთითებენ განუცხადებლობასთან სისხლის სამართლის საშუალებებით ბრძოლის ნაკლებ ეფექტურობაზე და საზოგადოებრივი ღონისძიებების უფრო ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობაზე.¹ სავსებით სწორია მოსაზრება, რომლის თანახმად იმათ, ვინც აქტიურად არ ეხმარება მართლმსაჯულების ორგანოებს დანაშაულის გახსნაში, უნდა ვებრძოლოთ არა სისხლისსამართლებრივი სასჯელის, არამედ საზოგადოებრივი ღონისძიებების მეშვეობით.²

დანაშაულის განუცხადებლობა, როგორც აღინიშნა, დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს. იგი უმოქმედობით გამოიხატება, კერძოდ კი, პირი არ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობას შეატყობინოს სათანადო ორგანოებს დანაშაულის მზადების ან უკვე ჩადენილი დანაშაულის ფაქტი. განუცხადებლობის საკანონმდებლო ფორმულიდან გამომდინარე იგი შეიძლება ორ ნაწილად განვიხილოთ: 1. მომზადების პროცესში მყოფი დანაშაულის განუცხადებლობა და 2. უკვე ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობა. პირველი სახის განუცხადებლობა გულისხმობს სათანადო ორგანოებისათვის დანაშაულის მზადების შესახებ იმ მომენტამდე შეუტყობინებლობას, ვიდრე იგი ჩადენილი იქნებოდეს და შესაძლებელია მისი თავიდან აცილება. მეორე სახის განუცხადებლობის დროს, შეტყობინებას არ შეუძლია დანაშაულის თავიდან აცილება, მაგრამ შეტყობინება ეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის დროულ გახსნასა და დამნაშავისათვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნაში. განუცხადებლობის ობიექტური მხარე ორივე შემთხვევაში უმოქმედობით გამოიხატება.

განუცხადებლობის დროს, პირმა უნდა აცნობოს სათანადო

1 მ. ბლუმი, დასახ. ნაშრ., გვ 91; П. Мишунин. Институт прикосновенности к преступлению в советском уголовном праве. "Социалистическая законность", 1956. 11, стр. 14.

2 საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსმა გაიზიარა ეს თვალსაზრისი და არ გაითვალისწინა დანაშაულის განუცხადებლობა

ორგანებს ყოველივე, რაც მისთვის ცნობილია დანაშაულის შესახებ, მაგრამ ცნობები უნდა მიანოდოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელიც დანაშაულის შემადგენლობით არის გათვალისწინებული, რამდენადაც კანონში ლაპარაკია დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ. რაც შეეხება ისეთ დანაშაულს, რომელიც მომავალში იქნება ჩადენილი, აქ საჭიროა პირმა შეატყობინოს დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც დანაშაულის თავიდან აცილებას შეუწყობენ ხელს. ვერ გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან პირი, თუ მან მისთვის ცნობილი გარემოებებიდან მხოლოდ ნაწილი შეატყობინა სათანადო ორგანოებს. ასეთი ნაწილობრივი შეტყობინება შეიძლება მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების საფუძველი გახდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა აცნობოს მოქალაქემ დანაშაულის შესახებ. ასეთს, როგორც ლიტერატურაში აღინიშნა, პირველყოვლისა წარმოადგენენ ხელისუფლების ორგანოები: მერიები, გამგეობები, პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, სასამართლოები და სხვა. ეს სია შეიძლება შეივსოს. ამრიგად, შეტყობინება აუცილებელია იმათთვის, ვინც იმის გარანტია, რომ დანაშაული ცნობილი გახდება ხელისუფლების იმ ორგანოებისათვის, რომლებიც მონოდებულნი არიან დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი.¹

განუცხადებლობის სუბიექტური მხარე განზრახი ბრალით ხასიათდება. დამნაშავემ იცის, რომ მზადდება ჩასადენად დანაშაული ან, რომ იგი უკვე ჩადენილია—და მიუხედავად ამისა, განზრახ არ აცნობებს სათანადო ორგანოებს ამის შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლში, განუცხადებლობის სუბიექტური მხარე ასეა დახასიათებული: „დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული“. სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის 206-ე მუხლში ნიშანი „ნამდვილი“

¹ Курс советского уголовного права. т. 2, М., 1970, стр. 496.

გამოტოვებულია. აქ წერია: „განუცხადებლობა იმისა, რომ ცნობილია... დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ“, რაც სულ მთლად ზუსტი არ არის: თუ პირს მხოლოდ ეჭვი აქვს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, მაგრამ ეს ეჭვი არაერთგვაროვანი სარწმუნო წყაროებით არ დასტურდება, ასეთი პირი დანაშაულის განუცხადებლობისათვის ვერ იქნება მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშანი „ნამდვილი“ განუცხადებლობის აუცილებელი ნიშანია. ნამდვილად ცოდნა კი ნიშნავს იმას, რომ ეს ცოდნა სანდო მონაცემებს ეყრდნობა და პირიც სუბიექტურად დარწმუნებულია მისთვის ცნობილი ფაქტის ჭეშმარიტებაში. ასეთი ცოდნის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის მზადების ან მისი ჩადენის ფაქტის უშუალო შესწრება, დანაშაულის მონანიღებებისაგან ამ ფაქტის შესახებ ცნობების მიღება, წერილის ან რაიმე მტკიცებულების ხელში ჩაგდება და სხვა.

ზოგიერთი სახის დანაშაულის განუცხადებლობა ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი. თუ პირმა არაფერი იცის ამ დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, იგი არ შეიძლება დაისაჯოს აღნიშნული დანაშაულის განუცხადებლობისათვის.

თუ პირი ფიქრობს, რომ არ ატყობინებს სათანადო ორგანოებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლის განუცხადებლობაც არ არის დასჯადი, მან არ შეიძლება პასუხი აგოს დანაშაულის განუცხადებლობისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „მოჩვენებით დანაშაულთან“ (*delictum putativum*), რომელიც ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით არ ისჯება. ასევე გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ არის პასუხისმგებლობის ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომლის განუცხადებლობაც ისჯება, ხოლო სინამდვილეში კი, ეს ასე არ არის.

დანაშაულის მზადების ან უკვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეტყობინება უნდა იყოს დროული. კანონმდებელი არ განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება შეტყობინება დროულად. იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ შეტყობინება დროულია, თუ პირმა რეალურად შესაძლებელ

უმოკლეს ვადაში განუცხადა დანაშაულის შესახებ სათანადო ორგანოებს. დროულ შეტყობინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ აქვს, როდესაც დანაშაული მზადდება, ამიტომ ასეთი შემთხვევის არადროული განუცხადებლობისათვის პირი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მარტოდენ მაშინ, უკეთუ მან გაიგო რა დანაშაულის მზადების შესახებ—პირადად მიიღო ზომები მისი ჩადენის აღსაკვეთად.¹

ლიტერატურაში განარჩევენ ორ შემთხვევას, როდესაც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი არგანმცხადებლის აქტიური მოქმედებისგან დამოუკიდებლად. პირველი, როდესაც ამსრულებელმა თვით აიღო ნებაყოფლობით ხელი დანაშაულის ჩადენაზე რამდენადაც განუცხადებლობა გულისხმობს ძირითადი დანაშაულის არსებობას, ამდენად ძირითადი დანაშაულის არარსებობის შემთხვევაში, არც განუცხადებლობა იქნება. სხვაგვარად გადანყდება საკითხი, როდესაც არგანმცხადებელმა არ იცის დამნაშავის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ და მიაჩნია, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება დასჯადია. ეს საკითხი გადანყდება მოჩვენებითი დანაშაულის (*delictum putativum*) წესისამებრ. მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენას ხელს უშლის სხვადასხვა გარემოებები ე.ი. საქმე ეხება დანაშაულის დასჯად მომზადებას ან მცდელობას. ასეთი დაუშთავრებელი დანაშაულის განუცხადებლობა დასჯადია და საკითხი დაისმის სასჯელის ღონისძიების შემცირების ან სათანადო პირობების არსებობისას სსკ—ის მე—8 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების შესახებ.

რამდენადაც განუცხადებლობა უმოქმედობით გამოიხატება, ამდენად იგი გულისხმობს სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, ამიტომ, თუ პირი მოკლებული იყო უმოკლეს დროში დანაშაულის შეტყობინების შესაძლებლობას, იგი დანაშაულის განუცხადებლობისათვის ვერ იქნება მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

¹ ბ. ფურცხვანიძე პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. თბილისი, 1956, გვ. 31

ის, ვინც იცოდნა დანაშაულის შესახებ თუმც თავის დროზე არ განაცხდა ამის შესახებ, მაგრამ შემდეგ მოწმის სახით დაკითხვისას სწორ ჩვენებებს იძლევა, საქმის ობიექტური და სუბიექტური გარემოებების და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინების საფუძველზე, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.¹

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა განუცხადებლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე. ხოლო სსკ-ის 206-ე მუხლში გადმოცემულ დანაშაულთა განუცხადებლობა კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე.

დანაშაულის მიმნებებლობა. დანაშაულის მიმნებებლობა დანაშაულის შემხებლობის შესამე სახეა. მიმნებებელია ის, ვინც ხედავს, რომ დანაშაულს ჩადიან, ფაქტიური შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს მის ჩადენას, ამას არ აკეთებს, რითაც შესაძლებლობა ეძლევა ბოროტმოქმედს განახორციელოს დანაშაული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმნებებლობა აუცილებლად უმოქმედობით გამოიხატება. თუ პირი წინასწარ დაპირდა დაძნაშავეს, რომ არ შეუშლის ხელს დანაშაულის ჩადენას და დამტკიცდება, რომ დაპირებამ განამტკიცა ამსრულებლის განზრახვა, შეასუსტა დანაშაულის ჩადენის შიში, შემატა მას გაბედულება, ასეთი დაპირება მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან და იგი ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენს. დანაშაულის ჩადენისათვის წინასწარ შეუპირებული ხელის არშეშლა, თუ პირი თავისი წინასწარი საქმიანობით ჩართული არ იყო გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში და საზოგადოება მისგან არც მოელოდა რაიმე განსაზღვრული მოვალეობის შესრულებას, უმოქმედობის მიზეზობრიობის ხასიათის გამო, განიხილება როგორც დანაშაულის მიმნებებლობად.

¹ თ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

ამრიგად, მიმნებებლობა მაშინაა, როდესაც სუბიექტი შემთხვევით გახდა დანაშაულის ჩადენის მოწმე, დაცვის რაიმე წინასწარი მოვალეობა მას არ ჰქონია, ამასთანავე მას შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულს ისე, რომ საფრთხეში არ ჩაიგდოს არც თავისი თავი და არც სხვა.

მიმნებებლობა შეგნებულ უმოქმედობას გულისხმობს. ამიტომ, თუ პირმა არ იცის, რომ ვინმე დანაშაულს ჩადის, მას ვერ მოეთხოვთ, რათა ხელი შეუშალოს ამ დანაშაულს. მიმნებებელმა აუცილებელია ნამდვილად იცოდეს, რომ დანაშაულს ჩადიან. იგი ყოველთვის განზრახ ბრალს გულისხმობს. პირი ხედავს, რომ მის თვალწინ დანაშაულს ჩადიან, მაგრამ ხელს არ უშლის მას. ასევე აუცილებელია, პირს შეგნებული ჰქონდეს, რომ მას ობიექტური შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას. თუ პირი ფიქრობს, რომ დანაშაულის თავიდან აცილება მის ძალ-ღონეს აღემატება, თუნდაც შემდეგ დადასტურდეს, რომ მისი წარმოდენა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, იგი არ ჩაითვლება მიმნებებლად.

მიმნებებელს შეიძლება პირდაპირი განზრახვა ჰქონდეს, მაგრამ უშეტესად იგი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს: იგი გულგრილად ეკიდება დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

დანაშაულის დაფარვისაგან მიმნებებლობა განსხვავდება უპირველესად იმით, რომ დაფარვა ხდება ძირითადი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხოლო დანაშაულისათვის ხელის არშეშლა იმ დრომდეა შესაძლებელი, სანამ დანაშაულებრივი ქმედება შეწყდებოდეს. გარდა ამისა, დანაშაულის დაფარვა აქტიური მოქმედებით გამოიხატება, ხოლო მიმნებებლობა წმინდა უმოქმედობაა.

უფრო ძნელია მიმნებებლობის და განუცხადებლობის გამიჯვნა. პირველი რაც მათ განასხვავებს ის არის, რომ განუცხადებლობა შესაძლებელია როგორც დამთავრებული, ისე იმ დანაშაულისა, რომელიც ჩასადენად მზადდება. მიმნებებლობა კი შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში. გარდა ამისა, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ვალდებულების შინაარსითაც. მართალია, როგორც განუცხადებლობა, ისე მიმნებებლობა—ორივე

უმოქმედობაა, მაგრამ იმ მოქმედებათა ხასიათი, რომელიც შესრულებული უნდა ყოფილიყო განუცხადებლობის დროს სხვაა, ვიდრე მიმნებებლობის შემთხვევაში. განუცხადებლობისას პირს აკისრია მოვალეობა განუცხადოს სათანადო ორგანოებს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული. სუბიექტს შეიძლება პქონდეს შესაძლებლობა ხელი შეუშალოს დანაშაულს, მაგრამ სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების შესაძლებლობას მოკლებული იყოს. ასეთი პირი პასუხს არ აგებს დანაშაულის განუცხადებლობისათვის, მაგრამ ვერც იმისათვის ვერ დაისჯება, რომ პირადად ხელი არ შეუშალა დანაშაულს, ვინაიდან მიმნებებლობა მოქმედი კანონმდებლობით არ ისჯება.

ამრიგად, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დანაშაულის მიმნებებლობის დასჯადობას, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომლის შემადგენლობა მოიცავს დანაშაულის მიმნებებლობის კონკრეტულ შემთხვევას. სახელდობრ, საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლი ითვალისწინებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობას, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე. აგრეთვე სათანადო დანესებულების ან პირისათვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა. ამ მუხლის თანახმად, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზეზით ჩაეარდა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. მთავარი აქ ის არის, რომ მესამე პირს ობიექტური შესაძლებლობა აქვს ხელი შეუშალოს დანაშაულს, გადაარჩინოს დაზარალებულის სიცოცხლე და მიუხედავად ამისა, იგი არ მოქმედებს.

ლიტერატურაში დავაა იმის თაობაზე, უნდა იქნეს თუ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის მიმნებებლობა გათვალისწინებული. ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, არ არის აუცილებელი დავაკისროთ მოქალაქეს სამართლებრივი მოვალეობა ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას. ეს მოვალეობა მორალური უნდა იყოს და არა სამართლებრივი. დანაშაულს უნდა ებრძოდოს სასამართლო, პროკურატურა. პოლიცია და

სხვა ორგანო, და რომ არ არსებობს მიმწებებლობისათვის სისხლის ხამართლის პასუხისმგებლობის დანესების აუცილებლობა.¹

სხვებს მიჩნიათ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს თანამდებობრივი მიმწებებლობა, როგორც სპეციალური თანამდებობრივი დანაშაული. თანამდებობრივი მიმწებებლობისათვის უნდა დაისაჯოს ის, ვინც იცის, რომ მზადდება ან უკვე სრულდება დანაშაული და არავითარ ზომებს არ ლებულობს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, თუმც თავისი თანამდებობის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გაყო ვალდებული იყო ეს გაეკეთებინა. ასეთი მიმწებებლობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან, რამდენადაც მიზეზობრივ კავშირს შეიძლება ადგილი ექნეს არა მხოლოდ მოქმედების, არამედ უმოქმედობის დროსაც.

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი, თუ თანამდებობის პირი, რომლის სპეციალურ იურიდიულ მოვალეობას დანაშაულის თავიდან აცდენა წარმოადგენს, განზრახ ხელს არ უშლის დანაშაულის ჩადენას, მისი უმოქმედება განიხლება, როგორც იმ დანაშაულში თანამონაწილეობა, რომელსაც მან განზრახ არ შეუშალა ხელი. ხოლო, თუ იგივე თანამდებობის პირი დანაშაულს ხელს გაუფრთხილებლობით არ უშლის, იგი დაისჯება სათანადო თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მაგრამ მის უმოქმედობას მიმწებებლობა არ შეიძლება რომ ეწოდოს. სხვაგვარად გადანყდება საკითხი, როდესაც დანაშაულის ჩადენას ხელს არ უშლის ის თანამდებობის პირი, რომლის სპეციალურ მოვალეობასაც არ წარმოადგენს ამ დანაშაულის თავიდან აცილება. ასეთ შესთხვევაში მისი მოქმედება ჩვეულებრივ მიმწებებლობას წარმოადგენს, რომელისთვისაც იგი პასუხს არ აგებს, თუ კი, ეს მოქმედება რაიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეიცავს (მაგალითად, განუცხადებლობის, ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობის).²

1 ა. ტრანინი. დასახ. ნაშრ., გვ. 133. კ. მიშუნინი. დასახ. ნაშრ., გვ. 15. კ. გროშაევი, გ. კრიტიკი. დასახ. ნაშრ., გვ. 230.

2 თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 116-117;

პროფ. თ. ნერეთელს მიზანშეწონილად. მიაჩნია სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის მიმნებებლობის სპეციალური მუხლის გათვალისწინება. მისი აზრით კანონმდებლობა მოქალაქეებს აკისრებს პასუხისმგებლობას ზოგიერთი მძიმე დანაშაულის განუცხადებლობისათვის, მაგრამ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის მიმნებებლობისათვის, მაშინ, როცა მიმნებებლობა უფრო მძიმე, ყოველ შემთხვევაში მორალურად უფრო საძრახისი დანაშაულია, ვიდრე განუცხადებლობა. განუცხადებლობის მოტივი უმეტესად დაბნაშავის მხილების შიშია, რამდენადაც ამ უკანასკნელთან არგანმცხადებელი ნათესაურ ან მეგობრულ დამოკიდებულებაშია. ხოლო მიმნებებლობა ხშირად უსულგულობის, გულგრილობის, ეგოიზმის შედეგია. მაგრამ არა ყოველი დანაშაულის მიმნებებლობა უნდა იყოს დასჯადი, არამედ მხოლოდ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის, ბანდიტიზმის, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების. მიმნებებლობის მუხლი გათვალისწინებული უნდა იქნეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში!

შ ი ნ ა რ ს ი

თავი I სისხლის საგარეთლის ცნება, საგანი, ამოცანები და არიდნივები. სისხლის საგარეთლის გაცნიერება	
§ 1. სისხლის საგარეთლის ცნება და საგანი	3
§ 2. სისხლის საგარეთლის ამოცანები	7
§ 3. სისხლის საგარეთლის არიდნივები	11
§ 4. სისხლის საგარეთლის გაცნიერება	15
თავი II სისხლის საგარეთლის კანონი	
§ 1. სისხლის საგარეთლის კანონის ცნება	18
§ 2. სისხლის საგარეთლის კანონის მიზანი და ამის მოხდობა ღრინი	21
§ 3. სისხლის საგარეთლის კანონის მოხდობა სივრცეში	25
§ 4. სისხლის საგარეთლის კანონის აბეზლები	36
§ 5. სისხლის საგარეთლის კანონის ახსნა—განმარტება	39
თავი III დანაშაული	
§ 1. დანაშაულის ცნება და ამის ნიშნები	43
§ 2. დანაშაულთა კლასიფიკაცია	56
თავი IV დანაშაულის გიგაღბენლობა	60
თავი V დანაშაულის ობიექტი	
§ 1. დანაშაულის ზოგადი ობიექტი	81
§ 2. დანაშაულის გიგარეობითი ობიექტი	85
§ 3. დანაშაულის უშეალო ობიექტი	87
§ 4. დანაშაულის საგანი	88
თავი VI დანაშაულის ობიექტური გიგრა	
§ 1. დანაშაულგარეობითი გიგრა	91
§ 2. დანაშაულგარეობითი გიგრა	98
§ 3. გიგრაგარეობითი კაბიტი	111
§ 4. გიგრაგარეობითი კაბიტი უგიგაღბენლობის ღრინი	131
§ 5. გიგრაგარეობითი კაბიტი გიგრაგარეობითი სისხლის საგარეთლში	139
§ 6. დანაშაულის ობიექტური გიგრის უგაღბებებური ნიშნები და გიგრა გიგრაგარეობა	143
თავი VII დანაშაულის სუბიექტი	
§ 1. დანაშაულის სუბიექტი	148
§ 2. სისხლის საგარეთლის ახსნისგეგმელობის ახსნი	149
§ 3. გიგრაგარეობა	170
§ 4. სუბიექტური სუბიექტი	176
თავი VIII დანაშაულის სუბიექტური გიგრა	
§ 1. დანაშაულის სუბიექტური გიგრის ცნება და გიგრაგარეობა	178
§ 2. გიგრაგარეობის ცნება	180
§ 3. გიგრაგარეობის უგრაგარეობა	195
§ 4. გიგრაგარეობა და ამის სახეები	188
§ 5. გიგრაგარეობის უგრაგარეობა და ამის სახეები	196
§ 6. გიგრაგარეობის გიგრაგარეობის უგრაგარეობა	204
§ 7. დანაშაულის გიგრაგარეობა და გიგრაგარეობა	207
§ 8. გიგრაგარეობა და ამის გიგრაგარეობა	209

თავი IX საზოგადოებრივი საზოგადოების გამორჩეული გარემოებები

§ 1 აუცილებელი მომართობა	219
§ 2 უიღბროსი აუცილებლობა	245
§ 3 მოძალანის მიერ დანაშაულის შეპყრობა	260
§ 4 სპეციალური გრძობის შესრულება	274
§ 5 მართლმადიდებელი სასაქონლო რისკი	278
§ 6 დანაშაულის ტანჯობა	281
§ 7 არმდებრივი უნაბეზრის შესრულება	284
§ 8 სასაქონლო უფლების განმარტობა	287
§ 9 კანონის აღსრულება	290

თავი X დანაშაულის განმარტობის სტადიები

§ 1 დანაშაულის განმარტობის სტადიის ზომადი ცნება	293
§ 2 დანაშაულის დანაშაულის ცნება	297
§ 3 დანაშაულის მომართობა	300
§ 4 დანაშაულის მძღობა	307
§ 5 ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე	336

თავი XI თანამონაწილეობა დანაშაულში

§ 1 თანამონაწილეობა დანაშაულში	343
§ 2 თანამონაწილეობა და დანაშაულის შედეგებზე	352
§ 3 თანამონაწილეთა ანაზღაურების ანაზღაურების ხასიანთი	354
§ 4 თანამონაწილეთა სხვაობი	358
§ 5 მონაწილეთი	370
§ 6 ნაბეზრული	373
§ 7 დანაშაულის	377
§ 8 უმდებრივი ნაბეზრული და უმდებრივი დანაშაულის	381
§ 9 ანაზღაურების შედეგებზე, დანაშაულის და გამორჩეული გარემოების გასაღება თანამონაწილეთა დანაშაულებზე	382
§ 10 თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება	383
§ 11 თანამონაწილეთა ანაზღაურება	385
§ 12 სანაშაულის ინდივიდუალური ხასიანთი თანამონაწილეობის დროს	386

თავი XII დანაშაულის შედეგებზე

§ 1 დანაშაულის დანაშაულის	388
§ 2 დანაშაულის განმარტობა	400
§ 3 დანაშაულის შედეგებზე	409

პატივცემულო მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა მზის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა“ იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა“ სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

● „ბონა კაუზა“ უზრუნველყოფს იურისპრუდენციაში თქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.

● წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ პონორარი.

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

● „ბონა კაუზა“ გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შეღავათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.

დინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგემართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.

 990 071 მობილური 8(99) 78 61 77

ქალაქი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე

ქალაქის ზომა 70X84 1\32

ტირაჟი 100